

სისსლის საპარტლის
კანონმდებლობის
კეფორმისა და
თანამშრომლობა
კრიმინოლოგიის
კრობლავები

11 910



თინათინ ჯერეთლის სახელობის
სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი

**სისხლის სამართლის
კანონმდებლობის რეფორმისა და
თანამედროვე კრიმინოლოგიის
პრობლემები**

ექვნება პროფესორ თამაზ შავგულიძის
დაბადების 75-ე წლისთავს

საქართველოს რესპუბლიკის შეცნობრებათა
აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტს
სამეცნიერო ბიბლიოთეკა

გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი - 2006

- 016 11 -

რედაქტორი

ოთარ ბაყრაძე

(პროფ. თ. შავგულიძის დაბადების 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილ
სამეცნიერო კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებების კრებული)

© გამომცემლობა „მერიდიანი“, 2006

ISBN 99940-46-77-2

შინაარსი

რედაქტორისაგან	5
თამაზ გრიგოლის ძე შავგულიძე – 75	6
ოთარ გამყრელიძე	
შერაცხვის პრობლემა სისხლის სამართალში და ბრალის ნორმატიული ცნების დასაბუთების ცდა	8
ოთარ გამყრელიძე	
სიკვდილით დასჯის პრობლემა	47
დიმიტრი კიკნაძე	
თ. შავგულიძის შეხედულება სამართლებრივი ცოდნისა და მარ- თლშეგნების საკითხებზე	70
დიმიტრი კიკნაძე	
კორუფციის სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორები და მათი პრო- ფილაქტიკა	113
გიორგი ტყეშელაშვილი	
პროფ. თინათინ წერეთელი – ქართული სისხლის სამართლის მეცნიერული სკოლის ფუძემდებელი	163
გიორგი ნადარეიშვილი	
XII საუკუნის საქართველოში სიკვდილით დასჯის გაუქმებისა და დამასახიჩრებელ სასჯელთა ამოკვეთის ზოგიერთ თავისებურებათა გამო	167
თამარ მბრალიძე	
წამქეზებული წაქეზებულის წინააღმდეგ	174

6160 ბჰენეტაკე

მასტიმულირებელი ნორმები საქართველოს სისხლის სამართლის
კოდექსში..... 198

იური ბაბისონია

სისხლის სამართლის მატერიალური და საპროცესო კოდექსების
პარმონიზაციის ზოგიერთი საკითხი..... 207

ელდჰერ ფუტკარაკე

ბრალის გამოძიების გარემოებები და საპატიო უკიდურესი
აუცილებლობა ქართულ სისხლის სამართალში..... 222

გიორგი თოდრია

მცდარი შეხედულება ბუნებითი სამართლის ადრეულ თეორიებზე..... 239

ლასა ბრემზაკე..... 258

ანომიის თეორია კრიმინოლოგიასა და სამართლის სოციოლოგიაში:
სოციალური ინტეგრაციისა და ნორმატიული რეგულირების
პრობლემები..... 258

იაკობ ფუტკარაკე..... 315

ტერორიზმთან ბრძოლის საერთაშორისო დაკონსტიტუციურ-
სამართლებრივი საფუძვლები..... 315

გიორგი ლლონტიძე, მირან მოსულიშვილი

კრიმინოლოგიური დახასიათება კორუფციის საქართველოში..... 327

კახა ფიქარიშვილი

გამამართლებელი და საპატიო გარემოებების გამიჯვნის საკითხი
ინგლისურ და ამერიკულ სისხლის სამართალში..... 367

ირაკლი გომიაშვილი

საზოგადოებრივი ერთიანობა და დანაშაული..... 382

ბესო კვირიკაშვილი

დანაშაულებრივი ქცევის სუბიექტურსა და ობიექტურ ფაქტორთა
დეტერმინანტების კრიმინოლოგიური ასპექტები..... 388

რედაქტორისაგან

ამ კრებულში ვებეჭდავთ პროფესორ თ. შავგულიძის დაბადების 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაზე წაკითხულ მოხსენებებს. სამეცნიერო კონფერენცია, რომლის ძირითადი თემა იყო „სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმის საკითხები პოსტსაბჭოურ საქართველოში,“ 2000 წ. 16-17 მაისს ჩატარდა.

კონფერენცია მოამზადა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტმა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის დახმარებით. თავდაპირველად განზრახული გეკონდა, საერთაშორისო კონფერენცია გაგვემართა და მოგვეწვია მეცნიერები სხვადასხვა ქვეყნიდან, მაგრამ უსახსრობის გამო ეს ვერ მოხერხდა. თუმცა კონფერენციაში მაინც მიიღო მონაწილეობა ერთმა გერმანელმა მეცნიერმა, რომელიც თავისი ხარჯით ჩამოვიდა. ეს გახლდათ ქ. ფრაიბურგის (ბრ., გერმანია) მაქს-პლანკის საზოგადოების საერთაშორისო და საზღვარგარეთის სისხლის სამართლის ინსტიტუტის თანამშრომელი **ზიგფრიდ ლამიხი**.

კონფერენციაზე წაკითხულმა მოხსენებებმა მსმენელთა დიდი ინტერესი გამოიწვია. მათ ირგვლივ ნამდვილი დებატები გაიმართა. სამწუხაროდ, კრებულში ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზებით ვერ მოხერხდა ყველა მოხსენების დაბეჭდვა. ზოგიერთი მოხსენება გაფართოებული სახით ქვეყნდება.

მინდა მადლობა ვუთხრა კონფერენციის ყველა მონაწილეს. განსაკუთრებული მადლიერებით უნდა მოვიხსენიოთ ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია.

ასევე მადლობის ღირსია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ხელმძღვანელობა, რომელმაც დაგვითმო დარბაზი ორდღიანი კონფერენციის ჩასატარებლად.

თამაზ შავგულიძე დაიბადა 1930 წელს. 1953 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. ერთხანს პრაქტიკულ იურიდიულ საქმიანობას ეწეოდა. 1958 წლიდან კი მუშაობა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში ჯერ უფროს ლაბორანტად, შემდეგ კი მეცნიერ-თანამშრომლად. 1964 წელს თამაზ შავგულიძემ დაამთავრა ინსტიტუტის ასპირანტურა და დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „აუცილებელი მოგერიება“. ეს ნაშრომი 1966 წელს წიგნადაც გამოიცა. 1974 წელს, მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, თამაზ შავგულიძემ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „ფექტი და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა“ (რუსულ ენაზე).

თამაზ შავგულიძის ნაშრომები დადებითად შეაფასეს საზღვარგარეთის ქვეყნებში (პოლონეთი, უნგრეთი). ამავე დროს, მიიწვიეს ღექციების წასაკითხად ვარშავის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტში, კრაკოვის უნივერსიტეტში, აგრეთვე გერმანია ფედერაციულ რესპუბლიკაში (კერძოდ, პასაუს უნივერსიტეტში).

1983-1984 წლებში თამაზ შავგულიძე მაქს-პლანკის შედარებითი და საერთაშორისო სისხლის სამართლის ინსტიტუტის მიწვევით ხანგრძლივი სამეცნიერო მივლინებით იმყოფებოდა ქ. ფრაიბურგში (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა). სისტემატიურად მონაწილეობდა საკაეშირო და საერთაშორისო სემინარების, კოლოკვიუმებისა და კონფერენციების მუშაობაში. თამაზ შავგულიძე იყო საბჭოთა-დასავლეთგერმანული კოლოკვიუმის (თბილისი, 1982) და საბჭოთა-ამერიკული კოლოკვიუმების (1985) საორგანო საციო კომიტეტის თავმჯდომარე. გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის საზღვარგარეთაც.

სამეცნიერო მუშაობასთან ერთად იგი პედაგოგიურ საქმიანობასაც ეწეოდა. კითხულობდა ღექციებს თბილისის მილიციის

სკოლასა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იკრიდიულ ფაკულტეტზე. თამაზ შავგულიძის ხელმძღვანელობით დაცულია არაერთი საკანდიდატო დისერტაცია.

პროფესორი თამაზ შავგულიძე, სამეცნიერო მუშაობასთან ერთად, დიდ პრაქტიკულ საქმიანობასაც ეწეოდა. 1970-77 წლებში იგი საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ მუშაობდა. რაც მთავარია, თამაზ შავგულიძე იყო 1989 წლის 9 აპრილს თბილისში მთავრობის სახლის წინ მომხდარი სისხლისღვრის შემსწავლელი სამთავრობო კომისიის თავმჯდომარე.

პროფესორი თამაზ შავგულიძე 1977-1990 წლებში იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სასართლის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე. თამაზ შავგულიძის ძალიან ხშირად, სამართლის სექტორი გამოეყო ეკონომიკის სექტორს და 1990 წლიდან ჩამოყალიბდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტად, რომლის დირექტორიც იყო იგი სიცოცხლის ბოლომდე - 1993 წლამდე.

შერაცხვის პრობლემა სისხლის სამართალში და ბრალის ნორმატიული ცნების დასაბუთების ცდა¹

ეუძღვნი აღმზრდელი ბებიის ეკატერინე (ეპე)
კონსტანტინეს ასული აბაშიძე-გამყრელიძის ხსოვნა

1. შეურაცხაობა

იანამედროვე სისხლის სამართალში სამი მონათესავე ცნება გამოიყენება. ეს ცნებებია: 1) შერაცხვა; 2) შერაცხვაუნარიანობა (შერაცხადობა) და 3) შერაცხვაუნარობა (შეურაცხაობა). ამ სამიდან შერაცხვის ცნებაზე ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში, შეიძლება ითქვას, არაფერი იწერება ან თითქმის არ იწერება. ის მხოლოდ ტერმინის სახით გამოიყენება მაგადღითად, ხშირად ვამბობთ ხოლმე: ბრალად შეურაცხა ან არ შეურაცხა. შერაცხვა, მართლაც, პროცესია, მოქმედებაა, როცა სასამართლო მავანსა და მავანს თავის მართლსაწინააღმდეგონამომემდარს, ესე იგი სისხლის სამართლებრივ უმართლობას ბრალად შეარაცხავს და პასუხისმგებლობას დააკისრებს.

რაც შეეხება შერაცხვაუნარიანობას (შერაცხადობას) და შერაცხვაუნარობას (შეურაცხაობას), ამ საკითხებზე გაცილებით ზევრი იწერება, თუმცა ქართული იურიდიული ლიტერატურავერც ამ მხრივ მოიწონებს თავს მაინცდამაინც.

როგორც ვთქვი, შერაცხვა პროცესია, მოქმედებაა, მაშინ როცა შერაცხვაუნარიანობა და შერაცხვაუნარობა (შეურაცხაობა) ადამიანის მდგომარეობაა. პირველ შემთხვევაში ისეთი მდგომარეობა იგულისხმება, როცა ადამიანს გააჩნია იმის უნარი

¹ პროფ. თ. შავგულიძის დაბადების 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე წაკითხული მოხსენების ვაჟართოებელი ტექსტი.

რომ მას ბრალად შეერაცხოს და პასუხისმგებლობა დაეკისროს ჩადენილი უმართლობის გამო.

ადამიანის უნარი, რომ ბრალად შეერაცხოს ჩადენილი უმართლობა, ნებისყოფის თავისუფლების ფილოსოფიურ პრობლემას უკავშირდება. ამ საკითხზე როგორც ძველ, ისე ახალ იურიდიულ ლიტერატურაში ძალიან ბევრია დაწერილი. განსაკუთრებით მწვავედ იდგა ეს საკითხი იმ ეპოქებში, როცა დეტერმინიზმისა და ინდეტერმინიზმის მომხრეები მკვეთრად უპირისპირდებოდნენ ერთმანეთს.

თავდაპირველად ამ პრობლემის ირგვლივ დიდი დაბნეულობა შეიქმნა საბჭოურ იურიდიულ ლიტერატურაში. ამის მიზეზი გახდა მარქსისტული ფილოსოფია, რომელიც სახელმწიფო ფილოსოფიად იყო აღიარებული საბჭოთა კავშირში და მისგან გადახვევა მეცნიერის პოლიტიკური დევნის საბაბი ხდებოდა. მარქსისტული ფილოსოფია, როგორც მატერიალისტური მოძღვრება, დეტერმინიზმის პოზიციებზე იდგა, რაც იურიდიულ მეცნიერებაში სამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაბუთების შესაძლებლობას ძლიერ ართულებდა.

თუმცა, როგორც თანამედროვე მეცნიერებაშია აღიარებული, არც დეტერმინიზმისა და არც ინდეტერმინიზმის ცნებათა აბსოლუტიზაცია და მასზე დაყრდნობა არ შეიძლება. „ინდეტერმინიზმი თავისი აბსოლუტური ნების თავისუფლებით, – წერს რ. მიხეევი – არაერთარ გარეშე დეტერმინანტზე რომ არ არის დამოკიდებული, უარყოფს ადამიანზე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ზემოქმედების, მისი მიზნების ჰიდწვევის შესაძლებლობას და ამით აზრს უკარგავს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, აქცევს მას უმიზნოდ. ვუღაგარული დეტერმინიზმი, თავისი სრული უარყოფით ადამიანის ნების თავისუფლებისა, ადამიანს სტიქიურ ძალთა უნებისყოფო იარაღად აქცევს, შეერაცხვაუნარიანობისა და პასუხისმგებლობის უარყოფისაკენ მიგვაქანებს“.²

² Р. И. Михеев, Проблемы вменяемости и невменяемости в советском уголовном праве, 1983, стр. 17.

ნებისყოფის თავისუფლების იდეას ეყრდნობოდა თ. შავგულიძეც. (აგრამ ის არ უთანხმებოდა იმ ავტორებს, რომლებიც იმპულსურ ქცევას არ უკავშირებენ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. თ. შავგულიძეს მხედველობაში ჰქონდა ისეთი იმპულსური ქცევა, როგორცაა, მაგალითად, აფექტი.

საბოლოოდ თ. შავგულიძე იმ დასკვნამდე მიდის, რომ „დანაშაულის სუბიექტია მხოლოდ ნების სუბიექტი. მაგრამ ნების სუბიექტია არა მარტო ის, ვინც ფაქტიურად ჩაიდინა ნებელობითი ქცევა, არამედ ისიც, ვისაც კონკრეტულ ვითარებაში ნებელობითი ქცევის უნარი გააჩნდა. სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე არ შეიძლება ვილაპარაკოთ იქ, სადაც ნებელობითი ქცევის შესაძლებლობა არ არსებობს“.³

„ნებელობითი ქცევის შესაძლებლობა“ ეს იგივეა, რაც ადამიანის სხვაგვარად ქცევის შესაძლებლობა, რომელსაც კანონმდებელი ეყრდნობა, როცა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას აწესებს. „ნებელობითი ქცევის შესაძლებლობა“ ეს იგივეა, რაც შერაცხვისუნარიანობა, როდესაც ადამიანს აქვს უნარი, პასუხი აგოს ჩადენილი უმართლობისათვის.

ყოველი ადამიანი ტიპურად შერაცხვაუნარიანია. მაგრამ არის განონაკლისი შემთხვევები, როცა ადამიანს ეს უნარი არ გააჩნია, როცა ის შერაცხვაუნაროა (შეურაცხია) და ამიტომ მას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაეკისრება. თანამედროვე კანონმდებელი ნებისყოფის თავისუფლების იდეას ეყრდნობა და მიიჩნია, რომ ადამიანი, ზოგიერთ გამონაკლის შემთხვევას თუ არ მივიღებთ მხედველობაში, შერაცხვაუნარიანია. ამიტომ არის, რომ ვერსად კანონმდებლობაში ვერ ვნახულობთ შერაცხვისუნარიანობის ცნების განსაზღვრებას, ეს საკითხისადმი საესებით: სწორი მიდგომაა.

მაგრამ, თუ კანონმდებელი არ იძლევა ამ ცნების პოზი-

³ Т. Г. Шавгулидзе, Философские и психологические основания уголовной ответственности, Актуальные вопросы современного уголовного права, криминологии и уголовного процесса (второй советско-западногерманский коллоквиум Тбилиси, 1986, стр. 15.

ტიურ განსაზღვრებას, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ იგი მას საერთოდ უყურადღებოდ ტოვებს. ამიტომ არის, რომ ჩვენ ტრადიციულად ყოველი ქვეყნის კანონმდებლობაში ვნახულობთ ამ ცნების ნეგატიურ განსაზღვრებას. კანონმდებლობა ადგენს არა იმას, თუ რა არის შერაცხვადი უნარიანობა, არამედ გვეუბნება, თუ რა შემთხვევაში არ არის ადამიანი შერაცხვადი უნარიანი, ერთი სიტყვით, ჩვენ კანონმდებლობაში ვნახულობთ შერაცხვადურობის ცნების განსაზღვრებას.

მაგრამ სხვა საკითხია, როგორ არის გაგებული შერაცხვადურობის (შეურაცხაობის) ცნება სისხლის სამართალში და როგორ განსაზღვრავს მას კანონმდებლობა. სისხლის სამართლის კანონმდებლობა ტრადიციულად, როგორც წესი, შერაცხვადურობის იმ შემთხვევას განსაზღვრავს, რომელიც ფსიქიკურ დაავადებასთან არის დაკავშირებული. მაგალითად, საქართველოს 1960 წ. სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით შერაცხვადურობა ის, ვისაც „საზოგადოებრივად საშიში ქმედობის ჩადენის დროს“ „არ შეეძლო ანგარიში გაეწია საკუთარი მოქმედებისათვის ან ეხელმძღვანელა ამ მოქმედებისათვის ქრონიკული სულიერი დაავადების, სულიერი მდგომარეობის დროებითი მოშლილობის, ჭკუასუსტობის ან სხვა ავადმყოფური მდგომარეობის გამო“ (13 მ.).

ეს ფორმულა, როგორც ვიცით, მაშინდელი საკავშირო კანონიდან მომდინარეობდა. საქართველოს 1960 წ. სისხლის სამართლის კოდექსმა სიტყვასიტყვით ასახა საბჭოთა კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკათა 1958 წ. 25 დეკემბრის სისხლის სამართლის კანონის („საფუძვლები“) მე-11 მუხლის ტექსტი.

ანალოგიური ნორმა ცოტაოდენი განსხვავებით შეტანილია აგრეთვე რუსეთის ფედერაციის 1996 წ. 24 მაისის სისხლის სამართლის კოდექსში (იხ. 21 მ.).

დასავლეთის კოდექსებიდან შემოძლია დავასახელო ავსტრიის 1974 წ. სისხლის სამართლის კოდექსი, რომელიც ასეთსავე ნორმას აწესებს. ეს კოდექსიც შერაცხვადურობას უკავშირებს ფსიქიკურ დაავადებას, რაც ხელს უშლიდა ადამი-

ანს შეიცნოს ჩადენილი ქმედების უმართლობა ან იმოქმედოს თავისი ცნობიერების მიხედვით (§ 11).

განსაკუთრებულად უდგება ამ საკითხს გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსი, რომლის მიხედვით შერაცხვაუუნარობას აფუძნებს არა მარტო ფსიქიური დაავადება, არამედ მცირეწლოვანობაც. ამ კოდექსის §19-ის მიხედვით „ბრალისუუნაროა ის, ვისაც ქმედების ჩადენის დროს ჯერ არ შესრულებია თოთხმეტი წელი“, ხოლო §20-ის თანახმად „ბრალის გარეშე მოქმედებს ის, ვისაც ქმედების ჩადენის დროს არ ჰქონდა უნარი შეეცნო ქმედების უმართლობა ან ემოქმედა ამ შეცნობის შესაბამისად ავადმყოფური სულიერი მოშლილობის, დრმა გონებაშლილობის, ჭკუა აუსტობის ან სხვა მძიმე სულიერი გადახრის გამო“.

ამ თვალსაზრისით ყურადღებას იმსახურებს საქართველოს 1999 წ. 22 ივლისის სისხლის სამართლის კოდექსის პოზიცია. ჩვენმა კოდექსმა შემოიტანა სისხლის სამართლის პასუხისმკებლობის გამომრიცხველი გარემოებების ორკვადიანი სისტემა. ამ სისტემის მიხედვით კოდექსის ცალკე თავშია გათვალისწინებული მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებები, ხოლო ცალკეა ჩამოთვლილი ბრალის გამომრიცხველი გარემოებები (იხ. მე-8 და მე-9 თავები).

ბრადის გამომრიცხველ გარემოებებად კოდექსი მიიჩნევს არა მარტო მცირეწლოვანობას და ფსიქიკურ დაავადებას, არამედ აგრეთვე მისატყვებელ შეცდომას და ბრძანების ან განკარგულების შესრულებას (36 და 37 მმ).

ეს ჩამონათვალი, რასაკვირველია, ამომწურავი არ არის და არც შეიძლება იყოს. ცხოვრებამ შეიძლება ამოატივტივოს ისეთი ახალი გარემოება, რომელიც კანონმდებლისათვის ცნობილი არ იყო, კოდექსს როცა იღებდა. ამიტომ კანონმდებელმა დააწესა ზოგადი წორმა, რომელიც იძლევა მდგომარეობიდან იოლ გამოსავალს, თუკი ასეთი ახალი გარემოება აღმოჩნდება მომავალში. კოდექსის 38-ე მუხლის მიხედვით „ბრალეულად არ მოქმედებს ის, ვინც ამ კოდექსით გათვალისწინებულ ქმედებას ჩაიდენს სხვა ისეთი გარემოების არსებობისას, რომელიც თუმცა ამ კოდ-

ექსით სახელდებით არ არის მოხსენიებული, მაგრამ აქვეყნებით აკმაყოფილებს ამ ქმედების არაბრალეულობის პირობებს“.

ჩვენი კოდექსის იმ სიახლემ, რომელიც დაკავშირებულია პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებათა ორკვალიანი სისტემის შემოტანასთან, ხელი უნდა შეუწყოს ბევრი საკითხის ახლებურ გაგებას. განსაკუთრებით საყურადღებოა ბრალის გამომრიცხველი გარემოებების ცალკე გამოყოფა, რაც ტრადიციულად ჩვენთვის უცნობი იყო. ამ გარემოებამ მძლავრი ბიძგი უნდა მისცეს შერაცხვის პრობლემის შემდგომ მეცნიერულ დამუშავებას და მის სწორ გააზრებას.

საბჭოურ სისხლის სამართალში, როგორც ჩანს, მაშინდელი კანონმდებლობის ზეგავლენით, დამკვიდრებული იყო დებულება, რომ შერაცხვა უუნარობა ეფუძნება მხოლოდ ფსიქიკურ დაავადებას. ერთადერთი გამონაკლისი აქედან იყო პათოლოგიური სიმთვრალის მდგომარეობა, რომლის დროსაც ადამიანი ასევე შერაცხვა უნაროდ მიიჩნეოდა.⁴ დღესაც კი ჩვენს იურიდიულ წრეებში, ძველი აზროვნების ინერციით, შერაცხვა უნარობა ფსიქიკურ დაავადებასთან ასოცირდება. ამიტომ არის, რომ ბრალის გამომრიცხველი ისეთი გარემოება, როგორცაა, ვთქვათ, მცირეწლოვანობა, ლიტერატურაში ცალკე განიხილება, ხოლო შერაცხვაობის პრობლემაში მხოლოდ ფსიქიკური დაავადება მოიაზრება.

რუსულ საბჭოურ სისხლის სამართალში დამკვიდრდა აგრეთვე დებულება, რომ სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია დანაშაულის შემადგენლობა (იგულისხმება პასუხისმგებლობის საკმარისი საფუძველი). თვითონ შემადგენლობა კი ოთხი ელემენტისაგან შედგება: 1) ობიექტი; 2) სუბიექტი; 3) ობიექტური მხარე და 4) სუბიექტური მხარე.⁵

⁴ იხ. მაგალითად, А. А. Габнани, Уголовная ответственность за преступления, совершенные в состоянии опьянения, 1968, стр. 44. გამონაკლისია პათოლოგიური აფექტი.

⁵ А. А. Пионтковский, Курс советского уголовного права, т. II, 97. გამონაკლისი იყო ა. ტრანინი, რომელიც ამტკიცებდა, რომ შემადგენლობის ელემენტი არ შეიძლება იყოს „დანაშაულის სუბიექტი“ (იხ. იქვე).

ეს სასტიკმა ჩვენმა იურიდიულმა აზროვნებამაც ტრაფარეტულად კადმოილო და მას დღესაც, პოსტსაბჭოურ ქართულ აზროვნებაშიც, დიდი გასავალი აქვს. ასე რომ, ჩვენი იურიდიული სააწავლებლის კურსდამთავრებული ღრმა ძილისაგან რომ გამიაღვიძო და შეეკითხო, რა ელემენტებისაგან შედგება დანაშაულის შემადგენლობა, შეუცდომლად ჩამოგიწიკწიკებს ზემოთ ხსენებულ ოთხ ელემენტს.

მე, რასაკვირველია, არ შევუდგები აქ დანაშაულის შემადგენლობის ცნების განხილვას. მინდა მოკლედ შევეხო მხოლოდ დანაშაულის სუბიექტის პრობლემას.

საბჭოური სისხლის სამართლის მიხედვით დანაშაულის სუბიექტად მიჩნეული იყო ადამიანი, რომელიც კანონით დადგენილ ასაკსაა მიღწეული და შერაცხვაუნარიანია. „დანაშაულის სუბიექტი—წერდა ა. პიონტკოვსკი— შეიძლება იყოს მხოლოდ შერაცხვაუნარიანი ფიზიკური პირი, რომელმაც განსაზღვრულ ასაკს მიაღწია. მცირეწლოვანი არ შეიძლება იყოს დანაშაულის სუბიექტი.“⁶

ეს ებულება კრიტიკას ვერ უძლებს, ჯერ-ერთი, იმიტომ, რომ შერაცხვაუნარობა ა. პიონტკოვსკის და მის მომხრეებს ვიწროდ ესმით და ამ ცნებას მხოლოდ ფსიქიკური დაავადების სფეროთი შემოფარგლავენ. მათი აზრით, ადამიანის შერაცხვაუნარობა მხოლოდ ფსიქიკურ დაავადებას ეფუძნება.

მეორეც, ის, რომ ასაკი შერაცხვაუნარობის ცნების გარეთაა გამოტანილი და არსად არ არის ახსნილი ასაკის ბუნება, მისი არსა. ყველა ავტორი მხოლოდ იმაზე მსჯელობს, როდის რომელი ასაკიდან აწესებდა კანონმდებელი სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას და არაეინ არ მსჯელობს იმაზე, რატომ უკავშირდება პასუხისმგებლობა ამა თუ იმ ასაკის მიღწევას

⁶ ა. პიონტკოვსკი, მით. ნაშრომი, 247-ე გვ. არსებითად იგივე აზრია გავრცელებული პოსტსაბჭოურ სიერცეშიც, კერძოდ, საქართველოშიც. იხ. მაგალითად, ლ. სურგულაძე, სისხლის სამართალი, 1997, 148-ე გვ. მ. ლეკვეიშვილი, გ. მამულაშვილი, პასუხისმგებლობა სახელმწიფო დანაშაულისათვის (კომენტარი), 32-ე გვ. და სხვ.

მესამე და მთავარი პრობლემა აქ ისაა, რომ დანაშაულის სუბიექტის პრობლემა არასწორადაა გაგებულნი და ამ პრობლემას ადამიანის ასაკთან და მის შერაცხვანარიანობასა თუ შერაცხვანარობასთან არავითარი კავშირი არა აქვს.

დანაშაულის სუბიექტის პრობლემა წამოიჭრება ჩხოლოდ იქ, სადაც დგება საკითხი: ვინ აგებს პასუხს სისხლია სამართლის წესით, ადამიანი თუ სხვა რამ არსება. ეს საკითხი სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვაგვარად წყდებოდა. მაგალითად, იყო დრო, როცა დანაშაულის სუბიექტად მიიჩნევენ არა მხოლოდ ადამიანს, არამედ ცხოველსაც, მათ შორის მწვერს, ზოგჯერ უსულო საგნებსაც.⁷ დანაშაულის სუბიექტის ასეთი გაგება ზოგ ქვეყანაში მე-19 საუკუნეშიც კი შეინიწნებოდა.⁸ ახალ ეპოქაში, როცა დანაშაულის სუბიექტის ასეთმა გაგებამ გაიარა, ერთხმად აღიარეს ის აზრი, რომ დანაშაულის სუბიექტი ადამიანია. სადავო გახდა მხოლოდ ის საკითხი, შეიძლება თუ არა სისხლის სამართლის წესით, ადამიანთან ერთად, პასუხი აგოს აგრეთვე იურიდიულმა პირმაც. ზოგიერთ ქვეყანაში ეს საკითხი დღესაც პრობლემატურია. მაგალითად, რუსეთის ფედერაციის 1996 წ. 24 მაისის კოდექსის მიღებას წინ უძლოდა დიდი დებატები ამ საკითხზე. იურიდიული პირის პასუხისმგებლობა ამ კოდექსის პროექტშიც კი იყო შეტანილი. თუმცა სახელმწიფო სათათბირომ („დუმა“) ეს არ დაამტკიცა და ამჟამად რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსი იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას არ აწესებს.

საქართველოს 1999 წ. კოდექსიც არ აწესებს იურიდიული პირის პასუხისმგებლობას. თუმცა, რუსეთისაგან განსხვავებით, საქართველოში სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმის დროს ეს საკითხი არც წამოჭრილა. ჩვენი კანონმდ-

⁷ Н.С. Таганцев, Русское уголовное право, 1902, стр. 367. აქვე ნახ. შესაბამის ლიტერატურაზე მითითება. ქართული სისხლის სამართლის ისტორიაში ასეთი მოკლეა არ შეინიშნება, იხ. ივ. ჯავახიშვილი, 7-ე ტ. 226-227-ე გვ.

⁸ 1864 წ. სლოვენიაში სიკვდილით დაუსჯიათ ღორი. იხ. ნ. ტაგანცევის მით. ნაშრომი, 368-ე გვ. შენიშ.1.

ბლობის რეფორმატორებს ამ საკითხის დასმაც კი შეეძლებოდა მიიჩნიათ და ეს პოზიცია, ჩემი ღრმა რწმენით, სწორად უნდა მივიჩნიოთ.

მაშასადამე, საბოლოოდ შეგვიძლია დავასკვნათ: საკითხი, თუ ვინ უნდა იყოს დანაშაულის სუბიექტი, მთავრდება იქ, სადაც გადაწყდება, რომ ეს არის ადამიანი. ის ფაქტი, მიღწეულია თუ არა ადამიანი შესაბამის ასაკს, დაავადებულია თუ არა ფსიქიკურად და სხვ. დანაშაულის სუბიექტთან არავითარ კავშირში არ არის. „მხოლოდ ადამიანი („ვინ“) – წერს გერმანელი კრიმინალისტი ი. ბაუმანი – შეიძლება იყოს დასჯადი ქმედების შემადგენლობის (Straftatbestand) სუბიექტი“.⁹

შერა კხვა-შეურაცხაობა, ასაკი, ფსიქიკური დაავადება თუ სხვა რამ მოვლენა დაკავშირებულია არა დანაშაულის სუბიექტთან, არამედ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხთან. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა კი დანაშაულის სუბიექტს წინასწარვე გულისხმობს. სუბიექტი, ესე იგი ადამიანი წინამძღვარია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა.

ადამიანი იმიტომ არის დანაშაულის სუბიექტი, რომ იგი და არა სხვა რაიმე არსება არის ქმედუნარიანი, დელიქტუნარიანი. „ქმედება შეუძლია მცირეწლოვანსაც და სულიერად დაავადებულსაც“ – წერს ი. ბაუმანი.¹⁰ ეს რომ ასე არ იყოს, მაშინ სრულ უაზრობამდე მივიდოდით, მაგალითად, თუკი მცირეწლოვანი დანაშაულის სუბიექტი არ არის, მაშინ როგორ ავლტრათ საქმე იმის მიმართ, ვისი ასაკიც დასადგენია? ასევე დადგება საკითხი იმის მიმართაც, ვისი შერაცხვაუუნარობა შეიძლება გამოირიცხოს ფსიქიკური დაავადების გამო.

თუ ჩვენ ვიტყვით, რომ უასაკო, ესე იგი მცირეწლოვანი ან ფსიქიკურად დაავადებული არ არის დანაშაულის სუბიექტი, მაშინ პროცესუალურად ასეთ პირთა საქმე უნდა შეწყდეს დანაშაულის სუბიექტის არარსებობის გამო. მაგრამ სისხლის

⁹ J. Bumann, Grundbegriffe und System des Strafrechts, 1962, s. 41.

¹⁰ ი. ბაუმანი, შთ. ნაშ., 49-ე გვ.

სამართლის საქმის შეწყვეტის ასეთი საფუძველი არც არსებობს და არც შეიძლება იყოს კოდექსში შეტანილი.

ისიც გასათვალისწინებელია, რომ მცირეწლოვანს და ფსიქიკურად დაავადებულს შეუძლია ჩაიდინოს სისხლისსამართლებრივი უმართლობა. მაგრამ როგორ შეიძლება უმართლობის ჩადენა შეეძლოს იმ არსებას, რომელიც არ არის დანაშაულის სუბიექტი!

სინამდვილეში საკითხი სულ სხვაგვარად წყდება. საქმე ის არის, რომ მითითებულ შემთხვევებში დანაშაულის სუბიექტი კი გვეყავს, მაგრამ არა გვაქვს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკმარისი საფუძველი და ამიტომ ვათავისუფლებთ მოქმედს და ვწყვეტთ მის მიმართ საქმის წარმოებას.

მაშასადამე, ერთმანეთისაგან უნდა გავმიჯნოთ, ერთი მხრივ, დანაშაულის სუბიექტი, ხოლო, მეორე მხრივ, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი. დანაშაულის სუბიექტი წინამძღვარია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა იმ გაგებით, რომ, თუ არ არის სუბიექტი, არც დაისმება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი. მაგალითად, რატომ არ ისმება თანამედროვე სისხლის სამართალში ეს საკითხი, ვთქვათ, ცხოველის, უსულო საგნის მიმართ? ეს არ ხდება იმიტომ, რომ არც ცხოველი და არც უსულო საგანი თანამედროვე ეპოქაში დანაშაულის სუბიექტად არ მოაზრება.

მხოლოდ ადამიანი მოიაზრება დანაშაულის სუბიექტად. მაგრამ როდის აგებს იგი პასუხს? ადამიანმა რომ პასუხი აგოს სისხლის სამართლის წესით, ამისათვის უნდა არსებობდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი. ამიტომ მცირეწლოვანობა, ფსიქიკური დაავადება და სხვა დანაშაულის სუბიექტის ნიშნები კი არ არის, არამედ მათი ადგილი პასუხისმგებლობის საფუძვლის სისტემაში უნდა ვეძიოთ.

ცნობილია, რომ ფსიქიკური დაავადება გამორიცხავს ბრალს. ამიტომ ფსიქიკურად დაავადებულს ხშირად ბრალისუენაროს, ხოლო ფსიქიკურად ჯანსაღს ბრალისუენარიანს («спс способность быть виновным»), „Schuldtauglichkeit“ უწოდებენ. მაშასადამე, და-

საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და საპარტულის ინსტიტუტი
სამეცნიერო ბიბლიოთეკა

ნაშაულს სუბიექტი გვეყავს, მაგრამ ის ბრალისუუნაროა და ამიტომ „ასუხს არ აგებს ჩადენილი უმართლობისათვის. ერთი სიტყვით. დანაშაულის სუბიექტად ყოფნა, როგორც ზემოთ ვამტკიცებდით, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის წანამძღვარია. ამიტომ ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის წანამძღვარი და პასუხისმგებლობის საფუძველი. დანაშაულის სუბიექტი პასუხს აგებს სისხლის სამართლის წესით იმ პირობით, თუ არსებობს პასუხისმგებლობის საფუძველი, ესე იგი, თუ მან ჩაიდინა დანაშაული. სწორად შენიშნავს მერაბ ტურავა, რომ სუბიექტის „ასაკი და ფსიქიკური მდგომარეობა ქმედების შემადგენლობის ეტა.ზე ირელევანტურია. მას ყურადღება ექცევა ბრალის დადგენის დროს“.¹¹

რახ.ნ სუბიექტის საკითხი გავარკვევით, დავეუბრუნდეთ ისევ შერაცხვაუუნარობის პრობლემას. ამ პრობლემიდან ცალკე მინდა გამოვეყო ასაკის საკითხი. ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში ეს საკითხი, შეიძლება თამამად ითქვას, სრულიად შეუსწავლელია, ასაკის ბუნება გაურკვეველია. მაგალითად, ლ. სურგულაძე, რომელმაც ამ საკითხს რამდენიმე ნაშრომი მიუძღვნა, „საკს ტრადიციის მიხედვით დანაშაულის სუბიექტის ნიშნად მიიჩნევს.“¹² მეორე მხრივ, ის ერთმანეთისაგან მიჯნავს ასაკს და შეურაცხაობას.¹³ მაგრამ ავტორი არ ასაბუთებს ასაკის ბუნებას და არ გვიხსნის, რატომ დასჭირდა კანონმდებელს ასაკის ცალკე გამოყოფა. ეს მიმართულება არაფერს გვეუბნება

¹¹ მ. ტურავა, სისხლის სამართალი, მე-3 გამოც., 37-ე გვ.

¹² ლ. სურგულაძე, მით. ნაშრომი, 148-ე გვ.

¹³ ლ. სურგულაძე, მით. ნაშრომი, 170-176-ე გვ. სწორედ ამ თეორიის არასწორი ზეგავლენით შეიძლება ავხსნათ ტერმინი „დანაშაულის სპეციალური სუბიექტი“ (იხ. საქართველოს სსკ-ის 25 მ, 6 ნაწ.), ნაცვლად „სპეციალური ამსრულებლისა“. „სუბიექტი“ ფართო ცნებაა და მოიცავს ამსრულებელსაც და თანამონაწილესაც. ზოგიერთი დან.შაულის აღსრულება შეუძლია მხოლოდ სპეციალური უფლებამოსილებით აღჭურვილ ადამიანს, მაგ., სამხედრო მოსამსახურე, სახელმწიფო მოხელე. მაგრამ ეს უფლებამოსილება არ მოეთხოვება თანამონაწილეს. ამიტომ 25-ე მუხლის მე-6 ნაწ. უსაფუძვლოდ ზღუდავს თანამონაწილის პასუხისმგებლობას.

იმაზე, თუ რატომ არ მიაქცია კანონმდებელმა სუბიექტის სხვა ნიშნებს ყურადღება და რატომ შემოიფარგლა მხოლოდ ასაკით და ფსიქიკური დაავადებით.

ასაკის და ფსიქიკური დაავადების ბუნება სუსტად იყო შესწავლილი რუსულ საბჭოურ მეცნიერებაში, რამაც ქართულ იურიდიულ აზროვნებაზეც მოახდინა უარყოფითი გავლენა. რუსულ საბჭოურ მეცნიერებაში ზოგი ავტორი ფსიქიკურ დაავადებას, ესე იგი შეურაცხაობას ბრალის გამომრიცხველ გარემოებად მიიხსენებდა. მაგალითად, რ. მიხევეის აზრით, „შეურაცხაობა – ეს ბრალისა და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამომრიცხველი უუნარობაა პირისა“.¹⁴ თუმცა წინა გვერდზე რ. მიხევეი ამტკიცებს, რომ „შეურაცხაობა აღნიშნავს ჰირობას, რომლის დროსაც პირი, რომელმაც საზოგადოებრივად საშიში ქმედება ჩაიდინა, არ შეიძლება ვცნოთ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის სუბიექტად“.¹⁵

რ. მიხევეის მონოგრაფია, რომელიც თითქმის სამას გვერდს მოიცავს, მთლიანად შერაცხველუნარიანობისა და შერაცხველუნარობის პრობლემას ეძღვნება. მაგრამ წიგნში არსებითად შერაცხველუნარობის მხოლოდ ერთი სახე – ფსიქიკური დაავადებაა განხილული. ეს არის შერაცხველუნარობის ტრადიციული საბჭოური გაგება, რომლის თანახმად შერაცხველუნარობა მხოლოდ ფსიქიკურ დაავადებასთან იყო გაიგივებული.

რ. მიხევეი თავის მონოგრაფიაში მხოლოდ გაკერით ეხება ასაკის პრობლემას. „შერაცხველუნარიანობა მჭიდროდ არის დაკავშირებული – წერს რ. მიხევეი – სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის სუბიექტის ასაკთან, რადგან შერაცხველუნარიანობის

¹⁴ რ. მიხევეი, მით. ნაშრომი, 123-ე გვ.

¹⁵ რ. მიხევეი, მით. ნაშრომი, 122-ე გვ; ამ თვალსაზრისს საფუძველი ჯერ კიდევ რევოლუციამდელ რუსულ იურიდიულ ლიტერატურაში ჰქონდა მოზადებული. მაგალითად, ნ. ტაგანცევი წერდა: «Таким образом, рассуждая о том, кто может быть субъектом преступного деяния, мы, с формальной стороны, можем ответить на это, тот, кто способен быть виновным, а потому и ответственным» (Н.С. Таганцев, Русское уголовное право, общая ч. 1902, стр. 410) ამ დებულების მიხედვით დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს ცხოველიც, თუკი იგი ბრალულად მოიპოვება.

ერთერთ წანამძღვარს წარმოადგენს ფსიქიკური ფუნქციების საკმარისი განვითარება და ადამიანის შედარებითი ფსიქიკური ჯანმრთელობა, ხოლო ის, როგორც სოციალური გამოცდილება, შეიძინება ასაკთან ერთად. მაშასადამე, მისი (ესე იგი ასაკის, ო. გ.) მიუღწევლობა გამოირიცხეს (устраняет) შერაცხვაუნარიანობის წანამძღვარს, უფრო სწორად, თვითონ შერაცხვაუნარიანობას.¹⁶

შერაცხვაუნარიანობის გამორიცხვა ხომ შეურაცხობას ნიშნავს! მაშასადამე, შესაბამის ასაკს მიუღწევლობა, ესე იგი მცირეწლოვანობა, რ. მიხევევის აზრით, შერაცხვაუნარიანობა ყოფილა. მკირეწლოვანობა შეურაცხაობის ერთერთი სახეობა უნდა იყოს. ეს სავსებით სწორი დებულებაა. თუმცა რ. მიხევევი ამ სწორ და დასაბუთებულ დებულებას, როგორც ჩანს, კარგად ვერ აცნობიერებს და ბოლომდე ვერ იცავს.

ხსენებული წიგნის მომდევნო გვერდზე რ. მიხევევი კვლავ ტრაფარეტულ ფრაზას იმეორებს: „შერაცხვაუნარიანობა და ასაკი საწართალში – დანაშაულის სუბიექტის დამოუკიდებელი ნიშნებია“.¹⁷

ცოტა ქვემოთ რ. მიხევევი წერს: „სანამ ბრალის საკითხს გადაწყვეტდეს, სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს (რასაკვირველია, სხვა საკითხებთან ერთად) დანაშაულის სუბიექტის საკითხი! ასაკისა და შერაცხვაუნარიანობის არსებობა“.¹⁸ თუკი შერაცხვაუნარიანობა ბრალის გამომრიცხველი გარემოებაა, როგორც ამას რ. მიხევევი სხვა ადგილას ამტკიცებს, მაშინ შერაცხვაუნარიანობა როგორღა იქნება სუბიექტის ნიშანი?

ჩავეყთ ქვემოთ. რ. მიხევევი წერს: „1. ვინც განზრახ გამოიყენა იარაღის სახით დანაშაულის ჩასადენად მცირეწლოვანი ან შეურაცხი, ანდა უბრალო ადამიანი...“ და ა. შ. დააკვირდით ამ ტექსტს! უბრალო, ესე იგი ბრალის არმქონე სხვა ვინმე ყოფილა, ხოლო შეურაცხი თუ მცირეწლოვანი – სხვა. საკითხავია, განა შეურაცხი იგივე უბრალო არ არის? ასევე უბრალო არ

¹⁶ ი. ზიხევი, მით. ნაშრომი, 38-ე გვ.

¹⁷ ი. ზიხევი, მით. ნაშრომი, 39-ე გვ.

¹⁸ ი. ზიხევი, მით. ნაშრომი, 265-ე გვ.

არის მცირეწლოვანიც? მაგრამ რ. მიხეევს ამ სამი კაცეგორიის ადამიანისათვის ვერ მოუძებნია საერთო სახელწოდება და ვერ განუზოგადებია მათი მდგომარეობა.

როგორ უნდა მოვაქციოთ ეს სამივე კატეგორიის ადამიანი ერთ ცნებაში? თუკი ჩვენ განუზოგადების პრინციპს მოვიშველიებთ, სამივე აქ დასახელებული კატეგორიის ადამიანი შეგვიძლია მოვაქციოთ ერთი საერთო სახელწოდების ქვეშ. ეს სახელწოდებაა შეურაცხი ანუ შერაცხვაუუნარო.

შეურაცხაობის ცნების საბჭოური გაგება პოსტსაბჭოური იურიდიულ ლიტერატურაშიც აგრძელებს თავის არსებობას. მაგალითად, რუსეთის ფედერაციის 1996 წ. სისხლის საქართლის კოდექსის კომენტარში ნათქვამია: „პირები, რომლებსაც არ ესმით თავისი მოქმედების ფაქტიური მხარე ან მისი სოციალური მნიშვნელობა, არ შეიძლება იყვნენ დანაშაულის სუბიექტები... დანაშაულის სუბიექტის აუცილებელ ნიშანს, გარკვეული ასაკის მიღწევასთან ერთად, წარმოადგენს შერაცხადობაც“¹⁹. მაშასადამე, ასაკი ან შესაბამის ასაკს მიუღწევლობა შერაცხვა-შეურაცხაობის ცნებებთან არ არის დაკავშირებული. ასაკი დანაშაულის სუბიექტის დამოუკიდებელი ნიშანი ყოვიდა.

შეურაცხაობის ცნების ახლებურ გაგებას მძლავრი ბიძგი მისცა საქართველოს 1999 წ. 22 ივლისის სისხლის საქართლის კოდექსმა, რომელმაც პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებების ორკვალიანი სისტემა შემოიტანა. კოდექსის მე-8 თავში ჩამოთვლილია გარემოებები, რომლებიც გამორიცხავენ მართლწინააღმდეგობას, ხოლო მომდევნო მე-9 თავი ბრალის გამომრიცხველ და შემამსუბუქებელ გარემოებებს ითვალისწინებს. აქ ჩამოთვლილია გარემოებები, რომელთა არსებობის დროს ადამიანი შეურაცხია, ესე იგი მას ბრალად არ შეერაცხება ჩადენილი უმართლობა.

კანონის თანახმად, შეურაცხაობა შეიძლება გამიწვეული

¹⁹ Комментарий к уголовному кодексу Российской Федерации, 2000, стр. 29. ფსიქიკურ დაავადებასთან ერთად, ხსენებული კომენტარი უთითებს აგრეთვე პათოლოგიურ სიმთვრალეს (იხ. 34-ე გვ.).

იყოს სხვადასხვა გარემოებებით. ეს არის, მაგალითად, მცირეწლოვანობა ანუ ასაკობრივი განუვითარებლობა, ფსიქიკური დაავადება, საპატიო შეცდომა, სავალდებულო ბრძანების ან განკარგულების შესრულება თუ სხვა რომელიმე გარემოება, რომელიც კანონით გათვალისწინებული არ არის (იხ. 38 მ.).

შეურაცხაობისათვის არ არის აუცილებელი, რომ ადამიანი ხანგრძლივი დროით, როგორც ეს ზოგჯერ ფსიქიკური დაავადების დროს ხდება ხოლმე, იყოს გამოთიშული და შერაცხვის უნარს მოკლებული. შეურაცხი შეიძლება იყოს ისიც, ვინც თუქცა ძალიან საღი გონების და ნებისყოფის პატრონია, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში მოუვიდა შეცდომა ან მოხდა იეთი კონკრეტული ფაქტი, რომლის გამოც ჩადენილი უმართობა მას ბრალად არ შეურაცხება (ვთქვათ, ბრძანების შესრულების დროს და სხვ.).

თუმცა, კანონის ტექსტის უზუსტობის გამო, ზოგიერთმა შეურაცხადობა მაინც ვიწროდ გაიგო და ეს ცნება მხოლოდ მცირეწლოვნობას და ფსიქიკურ დაავადებას დაუკავშირა. მაგალითად, მერაბ ტურაევა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 33-ე და 34-ე მუხლებზე დაყრდნობით დაასკვნის, რომ შეურაცხაობა „თავის თავში მოიცავს ორ მომენტს: შეურაცხაობას ასაკის გამო და შეურაცხაობას ფსიქიკური მდგომარეობის გამო“.²⁰

ეს გაუგებრობა გამოიწვია კოდექსის 33-ე და 34-ე მუხლების სათაურებმა – „შეურაცხაობა ასაკის გამო“ და „შეურაცხაობა

²⁰ მ. ტურაევა, მით. ნაშრომი, 122-ე გვ; ვერ დავთანხმებით ავტორის იმ მონაზრებასაც, თითქოს პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებათა ორკვალიან სისტემას „არ იცნობდა არც ძველი კოდექსი და არც ქართული სისხლის სამართლის თეორია“ (96-ე გვ). ეს საკითხი ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში ადრეც მუშავდებოდა. ჰვალითად, ჟურ. „მართლმსაჯულების მაცნეს“ 1995 წ. №1-ში დაიბეჭდა ჩემი წერილი „სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობის სრულყოფისათვის“, სადაც დასმულია წინადადება, რომ ახალმა კოდექსმა შემოიტანოს პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებათა ორკვალიანი სისტემა. ეს სისტემა პირველად შემოვიდა 1996 წ. ჩემი ალტერნატიულ პროექტში (იხ. ო. გამყრელიძე, ბრძოლა სამართლებრივი სახელმწიფო სათვის, 1998, ნახ. პროექტი). ეს პროექტი პირველად გამოქვეყნდა ჟურ. „პარლამენტის უწყებანი“, 1996 წ. 6 ნომბერი.

ფსიქიკური დაავადების გამო“. 36-ე მუხლის სათაურია „შეცდომა“. საკმარისი იყო აქაც კანონმდებელს, წინა მუხლების მსგავსად, ამ მუხლისთვისაც სათაურად ეწოდებინა „შეურაცხაობა შეცდომის გამო“, რომ ყველაფერი გაირკვეოდა. ასე რომ, საკანონმდებლო ტექნიკის ამ უზუსტობამ არ უნდა შეკვაცდინოს და არ უნდა გვაფიქრებინოს, რომ შეურაცხაობა მხოლოდ ასაკს და ფსიქიკურ დაავადებას უკავშირდება. შეურაცხაობა ნებისმიერ ისეთ გარემოებას უკავშირდება, როცა ადამიანს მის მიერ ჩადენილი უმართლობა ბრალად არ შეერაცხება. ყოველ ასეთ შემთხვევაში ადამიანი შეურაცხია.

2. შეზღუდული შერაცხადობა

როგორც ზემოთ ვნახეთ, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, ადამიანი შერაცხვაუნარიანია, შერაცხადი არსებაა. მაგრამ სრული შერაცხადობის გვერდით სისხლის სამართალი იცნობს შეზღუდული შერაცხადობის ცნებასაც. ტრადიციულად ეს ცნებაც ფსიქიკურ დაავადებას უკავშირდება. საქართველოს 1960 წ. კოდექსი, რომელიც 1958 წ. 25 დეკემბრის საბჭოთა კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკათა სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლებს პრინციპებზე იყო დამყარებული, შეზღუდული შერაცხადობის ცნებას არ ითვალისწინებდა. საქართველოს 1999 წ. სისხლის სამართლის კოდექსი ამ ცნებას ასე განსაზღვრავს: „სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან არ თავისუფლდება სრულწლოვანი, რომელიც დანაშაულის ჩადენის დროს იმყოფებოდა შეზღუდული შერაცხადობის მდგომარეობაში, ესე იგი ფსიქიკური დაავადების გამო არ შეეძლო სრულად გაცნობიერებინა თავისი ქმედების ფაქტობრივი ხასიათი ან მართლწინააღმდეგობა ანდა „ხელმძღვანელა მისთვის“ (იხ. 35-ე მ, 1 ნაწ.).

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის §21-ე მიხედვით იმას, ვისაც ქმედების ჩად-

ენის დროს § 20-ით აღნიშნული საფუძველით მნიშვნელოვნად აქვს შეზღუდული („erheblich vermindert“) უნარი გააცნობიეროს უმართლობა ან იმოქმედოს ამ გააცნობიერების თანახმად, სასჯელი შეიძლება შეუმსუბუქდეს §49-ის პირველი ნაწილის შესაბამისად. §20-ით აღნიშნული საფუძველი ფსიქიკური დაავადებაა. ესაშასადამე, გერმანული კანონმდებლობაც შეზღუდულ შერაცხდ უბას ფსიქიკური დაავადებით შემოფარგლავს.

ჩემი აზრით, შეზღუდული შერაცხადობაც ისევე ფართოდ უნდა იქნეს გაგებული, როგორც სრული შეუარაცხადობა. ფსიქიკურ დაავადებაზე, ცხადია, აღარაფერს ვიტყვით და საკითხის განხილვას დავიწყებთ ასაკით. თუ მცირეწლოვანი სრული შეუარაცხადობის მდგომარეობაშია, მაშინ არასრულწლოვანობა შეზღუდული შერაცხადობა უნდა იყოს. მით უმეტეს, რომ სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობა იცნობს შეზღუდული ქმედუნარიანობის ცნებას. არასრულწლოვანი შეიდიდან თვრამეტწლამდე შეზღუდული ქმედუნარიანია (იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 13 მ.).

ერთი სიტყვით, არასრულწლოვანობა, როგორც შეზღუდული შერაცხდ უბის მდგომარეობა, ბრალის შემამსუბუქებელი გარემოებაა. ამიტომ არის, რომ მოქმედმა კოდექსმა არასრულწლოვანის პასუხისმგებლობას ცალკე კარი (მეხუთე) დაუთმო და გაითვალისწინა შეღავათები არასრულწლოვანი დამნაშავის მიმართ. ცაგალითად, არასრულწლოვანს არ შეიძლება დაენიშნოს უვადო თავისუფლების აღკვეთა. ვადიანი თავისუფლების აღკვეთა კი შეიძლება დაენიშნოს არა უმეტეს ათი წლისა. მხოლოდ თექვსმეტიდან თვრამეტწლამდე ასაკის არასრულწლოვანს დაენიშნება ათ წელზე მეტი ვადით თავისუფლების აღკვეთა, ისაგრამ არაუმეტეს თხუთმეტი წლისა (88 მ.). კოდექსის ამ კარში არასრულწლოვანის სხვა შეღავათებიცაა გათვალისწინებული.

საგულისხმოა აგრეთვე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 35-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი ნორმა: „სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან შეიძლება

გათავისუფლდეს არასრულწლოვანი, რომელიც დანაშაულის ნადენის დროს იმყოფებოდა შეზღუდული შერაცხადობის მდგომარეობაში. ასეთ შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია დანიშნოს სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება“.

თუკი ჩვენ ზემოთ ნათქვამს გავითვალისწინებთ და ვიტყვი, რომ არასრულწლოვანობა თავისთავად წარმოადგენს შეზღუდულ შერაცხადობას, მაშინ აქ უნდა ვაღიაროთ სრული შერაცხადობის ორმაგი შეზღუდვის მდგომარეობა. 31-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, თავისთავად არასრულწლოვანობა წარმოადგენს შეზღუდულ შერაცხადობას, რასაც ემატება მისი ფსიქიკური დაავადება, რომელიც კიდევ უფრო ზღუდავს პიროვნების შერაცხვის უნარს. ასეთ შემთხვევაში კანონმდებელი უფლებას აძლევს სასამართლოს გაათავისუფლოს არასრულწლოვანი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან და დაუნიშნოს მას სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება. თუმცა ამ ღონისძიების დანიშვნა სავალდებულო არ არის, რადგან კანონი ამას იმპერატიულად არ მოითხოვს. ამას გვაფიქრებინებს კანონმდებლის ფორმულა – „სასამართლოს შეუძლია დანიშნოს სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება“.

შემდეგი გარემოება, რომელიც უთუოდ შეზღუდულ შერაცხადობას უნდა მიეკუთვნოს, ჩემი აზრით, არის მთელი გაუფრთხილებლობის სფერო (საქართველოს სს კოდექსის მე-10 მ). გაუფრთხილებლობა შეცდომის ნაირსახეობაა.²¹ მოქმედი კოდექსი აკრძალვაში შეცდომის ორ სახეს ოცნობს: მისატყუებელ შეცდომას და მიუტყუებელ შეცდომას (36 მ). მისატყუებელი შეცდომა ბრალს მთლიანად გამორიცხავს და, როგორც ზემოთ ვთქვით, სრული შეუარაცხაობის მდგომარეობას გამოხატავს. რაც შეეხება მიუტყუებელ შეცდომას, ამ დროს ადამიანს დაეკისრება პასუხისმგებლობა მხოლოდ გაუფრთხ-

²¹ Миндия Угрехелидзе, Проблема неосторожной вины в уголовном праве, 1976, стр. 126-129; შეცდომა მ. უგრეხელიძე საზოგადოებრივი სამიშრობის (მართლ-წინააღმდეგობის) გამოპრიცხველ გარემოებად მიიჩნევს.

იღებლობისათვის. სწორედ ეს არის შეზღუდული შერაცხადობის მდგომარეობა, როცა ადამიანს პასუხისმგებლობა, სრულად კი არა, შეზღუდულად, ესე იგი გაუფრთხილებლობისათვის დაეკისრება. გაუფრთხილებლობის გამომწვევი მიზეზები ათასგვარია და ჩვენ ამ საკითხზე აქ არ შეეჩერდებით, რადგან ეს სპეციფიკურ შესწავლას მოითხოვს. ჩვენი მიზანი იყო მხოლოდ იმის გაცნობიერება, რომ გაუფრთხილებლობის სფერო არის შეზღუდული შერაცხადობის ნაირსახეობა.

შეზღუდული შერაცხადობის სპეციალურ შემთხვევებს ვხვდებით ჩვენ კოდექსის კერძო ნაწილში. მაგალითად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 110-ე მუხლი სამ წლამდე იავისუფლების აღკვეთას აწესებს მკვლელობისათვის „მსხვერპლის დაჟინებული თხოვნით და მისი ნამდვილი ნების შესაბამისად“, თუკი ის ჩადენილია „მომაკვდავის ძლიერი ფიზიკური ტკივილისაგან გათავისუფლების მიზნით.“ ხსენებული გარემოებები ზღუდავენ დამნაშავეს შერაცხვის უნარს, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს მისი ბრალის ხარისხს.

კოდექსის მომდევნო 111-ე მუხლით დამნაშავეს შერაცხვის უნარი შეზღუდულია იმ შემთხვევაშიც, როცა განზრახი მკვლელობა ხდება „უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში, რაც გამოიწვია დამნაშავეს ან მისი ახლო ნათესავის მიმართ მსხვერპლის მიერ მართლსაწინააღმდეგო ძალადობამ, მძიმე შეურაცხყოფამ ან სხვა მძიმე ამორალურმა ქმედებამ, აგრეთვე მსხვერპლის არაერთგზისი მართლსაწინააღმდეგო ან ამორალური ქცევით განპირობებულმა ფსიქიკურმა ტრავმამ“.

„უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვება“ ზემოქმედებს ადამიანის ნებაზე და ხელს უშლის მას უხელმძღვანელოს თავის მოქმედებას სრული მოცულობით. ამიტომ ამ დროს ადამიანი იმყოფება შეზღუდული შერაცხადობის მდგომარეობაში, რაც ასევე ამცირებს მისი ბრალის ხარისხს. „ფიზიოლოგიური აფექტი – წერს თ. შავგულიძე – არ გამორიცხავს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას, არამედ მხოლოდ ამსუბუქებს

ჩადენილ დანაშაულს“.²² ეს უკანასაკნელი სიტყვეები იმაზე მიგვანიშნებს, რომ აფექტი ამსუბუქებს დამნაშავის პასუხისმგებლობას მისი ბრალის ხარისხის შემცირების ხარჯზე, თორემ მკვლელობის უმართლობის ხარისხი ამ დროს იგივე რჩება, არ მცირდება.

შეზღუდული შერაცხადობის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშად უნდა მივიჩნიოთ საქართველოს სისხლის საჩართლის კოდექსის 112-ე მუხლით აღწერილი შემადგენლობა, რომლითაც შემსუბუქებული პასუხისმგებლობაა დაწესებული დეჯის მიერ ახალშობილის განზრახ მკვლელობისათვის მშობიარობისას ან უმალვე მშობიარობის შემდეგ. მშობიარობა ურთულესი პროცესია, რომელიც, თუ მთლიანად არა, მნიშვნელოვნად ზღუდავს ქალის შერაცხვის უნარს. „მშობიარის პათოლოგიური მდგომარეობა – ნათქვამია რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარში—ამ დანაშაულის ჩადენის მომენტში (თუმცა არ გამოორიცხავს შერაცხვის უნარს, საფუძველს გვაძლევს, მივიჩნიოთ ის მკვლელობად შემამსუბუქებელ გარემოებებში.“²³

აქ ისიც უნდა ითქვას, რომ კანონმდებელი სპეციალურად გამოყოფს შეზღუდული შერაცხადობის ტიპიურ შემთხვევებს. მაგრამ პრაქტიკაში შეიძლება შეგვხვდეს ისეთი გარემოებაც, რომელიც კანონმდებელს შეიძლება არ მიუჩნევია შეზღუდული შერაცხადობის შემთხვევად და შემამსუბუქებელი პასუხისმგებლობა არ დაუწესებია მისთვის. ამ დროს წინა პლანზე გამოდის სამოსამართლო სამართალი. მოსამართლემ ამ გარემოების გამო საგანგებოდ უნდა იმსჯელოს და შესაბამისად შეუმსუბუქოს სასჯელი დამნაშავეს.

ცნობილია, რომ საქართველოს 1960 წ. სისხლის სამართლის კოდექსის პროექტი ითვალისწინებდა დედის ჰიერახალშობილის მკვლელობას მშობიარობის დროს ან უმალვე

²² ვ. შავაშვილი, მ. მაჭავარიანი, თ. წერეთელი, თ. შავგულიძე, დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ, 1980, 46-ე გვ.

²³ Комментарий к уголовному кодексу Российской Федерации, с. р. 239.

მშობიარობის შემდეგ. ამ შემადგენლობას, რომელიც ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებდა, მაშინ ზოგი იურისტი კრიტიკულად შეხვდა და საბოლოოდ ის პროექტიდან ამოიღეს. ასე რომ, პრაქტიკა იძულებული გახდა ეს ქმედება 1960 წ. კოდექსის 105-ე მუხლით დაეკვალიფიცირებინა. კოდექსი ამ შემთხვევისათვის საკმაოდ მძიმე სასჯელს-ხუთიდან ორმეტ წლამდე თავისუფლების აღკვეთას აწესებდა. მოსამართლეთა კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე ჩვენ ვურჩევდით მოსამართლეებს, რომ ამ ქმედებისათვის შეეძლოთ საგრძნობლად შეემსუბუქებიათ პასუხისმგებლობა და კოდექსის 45-ე მუხლის საფუძველზე (მინიმუმზე ქვევით ჩამოსვლა) ხუთ წელზე ნაკლები თავისუფლების აღკვეთაც კი დაენიშნათ.

3. ბრალის ნორმატიული ცნების დასაბუთების ცდა

ბრალის ფსიქოლოგიური თეორია დასავლეთში დიდი ხანია განვლილ ეტაპად ითვლება. ჯერ კიდევ ასი წლის წინ, მე-19 ს. 90-იან წლებში გერმანიაში დაიწყო ბრალის იდეის კრიზისი ამის მიზეზი გახდა დასმული კითხვა: თუკი ბრალი არის ადამიანის ფსიქიკური დამოკიდებულება შედეგთან, მაშინ აუცილებელი მოგერიების დროს მომგერიებელს ჰქონია ბრალი, ვინაიდან იგი ითვალისწინებს, რომ აზიანებს თავმდასხმელს და სურს კიდევ ეს დაზიანება. ამით აშკარად გამოვლინდა ბრალის წმინდა ფსიქოლოგიური თეორიის სრული უსუსურობა და უკარგისობა ბრალის არსის ახსნისათვის.

შემდგომი ეტაპი ბრალის იდეის განვითარებისა და მისი კრიზისიდან გამოსვლისა იწყება 1907წ., როცა გერმანელმა კრიმინალისტმა რ. ფრანკმა ბრალის ფსიქოლოგიურ ცნებაში შემოიტანა გაკიცხვის ელემენტი. რ. ფრანკის მიხედვით, ბრალი არის ისეთი ფსიქიკური დამოკიდებულება შედეგთან, რომელიც გასაკიცხია. ამ თვალსაზრისმა შემდეგ ძლიერ მოიკიდა ფეხი

და გერმანიის გარეთაც გავრცელდა. კერძოდ, ის გაბატონებული იყო საბჭოურ სისხლის სამართალშიც.

ბრალის იდეის განვითარების მესამე ეტაპს წარმოადგენს ბრალის წმინდა ნორმატიული თეორია, რომელიც გერმანელი მეცნიერების ცუ დონასა და კ. ველცელის სახელებს უკავშირდება. კ. ველცელმა მოახდინა სრული რევიზია დანაშაულის ცნების კლასიკური სისტემისა, რომელიც მე-20 საუკუნის დასაწყისში შეიქმნა და რომელიც ლისტ-ბელინგის სახელებს უკავშირდება. კლასიკური სისტემა გულისხმობს დანაშაულის ცნების სამნიშნოვან სტრუქტურას: ქმედება, რომელიც ე. ბელინგის აზრით, წმინდა ფაქტიური გარემოებებისაგან შედგება, მართლწინააღმდეგობა, რომელიც წმინდა შეფასებით კატეგორიას წარმოადგენს, და ბრალი, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ფსიქოლოგიური ცნებაა. ერთი შეხედვით დანაშაულის ეს ცნება სრულიად მყარი და მარტივია. ე. ბელინგს ეგონა, რომ მან ჩამოაყალიბა დანაშაულის ცნების ისეთი სტრუქტურა, რომელსაც არავითარი ცვლილება აღარ დასჭირვებოდა. მაგრამ იგი დრმად ცდებოდა.

მართალია, ბელინგის ძირითადმა იდეამ, რომ დანაშაულის ცნების სტრუქტურა შეიცავს სამ ელემენტს: ქმედებას, მართლწინააღმდეგობას და ბრალს, გაუძლო დროის გამოცდას და დღეისათვის ის უკვე მიღებულია არა მარტო სისხლის სამართლის თეორიაში, არამედ კანონმდებლობასა²⁴ და პრაქტიკაშიც, მაგრამ ამას ვერ ვიტყვით იმ მასალის ბელნიკისეულ

²⁴ დანაშაულის ცნების სამნიშნოვან სტრუქტურას აღიარებდა ვერ კიდევ 1958 წ. 25 დეკემბრის საბჭოთა კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკათა სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლები, სადაც ნათქვამი იყო: „სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ეკისრება და სასჯელი ედება მხოლოდ იმ პირს, ვისაც ბრალი მიუძღვის დანაშაულის ჩადენაში, ესე იგი ვინც განზრახ ან გაუფრთხილებლობით ჩადინა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში ქმედება“ (იხ. მე-3 მ.). ცოტაოდენი არაარსებითი ცვლილებით ეს ცნება გვხვდება რუსეთის ფედერაციის 1996 წ. სს კოდექსში (მე-14 მ). დანაშაულის ცნების სამნიშნოვან სტრუქტურას ითვალისწინებს აგრეთვე საქართველოს 1999 წ. 22 ივლისის სისხლის სამართლის კოდექსიც (იხ. მე-7 მ). დანაშაულის ამ ცნებამ ბოლო დროს საქაოდ მოიკადა ფეხი ქართულ იურიდიულ აზროვნებაშიც.

განაწილებაზე, რომლებითაც აიგება, ერთი მხრივ, ქმედება, ხოლო მეორე მხრივ, მართლწინააღმდეგობა და ბრალი. განსაკუთრებით ეს ითქმის ბრალის ცნებაზე.

დისკუსია ბრალის ცნების ირგვლივ, მე-19 ს. ბოლო ათწლეულში რომ დაიწყო, ვერც რ. ფრანკის ფორმულამ და ვერც პ. ველცელის თეორიამ ვერ შეაჩერა და ის დღემდე გრძელდება.²⁵ თუმცა ბრალის წმინდა ფსიქოლოგიურ თეორიას დღეს უკვე აღარავინ იზიარებს. პირველ ეტაპზე, როგორც ზემოთ ვთქვით, ბრალის ცნებაში შევიდა გასაკიცხობის ელემენტი (რ. ფრანკი). ასევე მოხდა უმართლობის მიმართაც. თუ ბელინგის სისტემაში უმართლობა წმინდა ობიექტური ცნებაა, ხოლო ქმედების შინაარსი ბრალის ეტაპზე ხდება საცნაური (განზრახვა, გაუფრთხილებლობა), შემდგომ წლებში ხდება იმის გაცნობიერება, რომ ზოგჯერ უმართლობის ტიპს სუბიექტური ელემენტები აფუძნებენ, რასაც გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში უმართლობის სუბიექტური ელემენტების აღმოჩენას უწოდებენ. ასე მივიღეთ ბრალის შერეული ცნება (ფსიქოლოგიურ-ნორმატიული) და უმართლობის შერეული ცნება (ობიექტურ-სუბიექტური).

ყოველივე ამან სისხლის სამართლის თეორიაში საფუძველი მოუმზადა პ. ველცელის ფინალური მოქმედების მოძღვრებას. მეორე მხრივ, ამ მოძღვრებას გზა გაუკვალა იმ ფილოსოფიურმა მიმართულებამ, რომელიც ანტიფსიქოლოგიზმის (ფენომენოლოგია) სახეულითაა ცნობილი,²⁶ განსაკუთრებით კი ნ. ჰარტმანის მოძღვრებამ ადამიანური მოქმედების ფინალობის საკითხზე.

ნ. ჰარტმანის მოძღვრებაზე დაყრდნობით პ. ველცელი ამტკიცებს, რომ ადამიანის მოქმედება ყოველთვის მიზანმიმართულია, ფინალურია, ესე იგი რაიმე შედეგისაკენ არის მიმართული. თუ მოქმედებას კაუზალური თეორიის მიხედვით, რომელიც ტრადიციულად გაბატონებული იყო სისხლის სამარ-

²⁵ იხ. აქ საკითხზე ლაშა-გიორგი კუტალია, ბრალის ნორმატივისტული მოდელი, 2000 წ.

²⁶ ირ. სურგულაძე, ხელისუფლება და სამართალი, თარგმანი გერმანულიდან ოთარ გაყრელიძისა, 2002.

თლის მეცნიერებაში, მოქმედებისათვის არსებითი იყო კაუზალური, მიზეზობრივი კავშირი შედეგთან, ფინალური მოქმედების მოძღვრებამ ყურადღება გაამახვილა მოქმედების შინაარსზე. არსებობს არა ნებელობითი მოქმედება საზოგადოებრივად, არამედ მკვლევლობა, ქურდობა, ესე იგი მკვლევლობის მოქმედება, ქურდობის მოქმედება და სხვ. ასე რომ, კ. ველცელს განზრახვა და გაუფრთხილებლობა ტრადიციულად გაგებულ ბრალის ფსიქოლოგიური ცნებიდან მოქმედების ცნებაში გადააქვს.²⁷ ერთი სიტყვით, თუ მანამდე ნორმატიულად გაგებულ ბრალის ცნებაში კიდევ იყო შენარჩუნებული განზრახვა და გაუფრთხილებლობა, კ. ველცელმა ბრალის ცნება მთლიანად გაწმინდა ფსიქოლოგიური ელემენტებისაგან და ეს ელემენტები მოქმედების ცნებაში გადაიტანა. ასე მივიღეთ ბრალის წმინდა ნორმატიული ცნება.²⁸

ყურადღებას მივაქცევთ ერთ მნიშვნელოვან გარემოებასაც. 1935 წ. გერმანელმა მეცნიერმა გრაფ ცუ დონამ გამოთქვა მოსაზრება, რომ ფსიქოლოგიური და ნორმატიული მომენტების ერთ ცნებაში (იგულისხმება ბრალი) მოთავსება არ შეიძლება, რადგან ისინი სხვადასხვა სინამდვილის მოვლენებია. ერთი მათგანი, კერძოდ, ნორმატიული მომენტი გაკიცხვავა, ხოლო მეორე ფსიქოლოგიური ელემენტი (განზრახვა, გაუფრთხილებლობა) გაკიცხვის ობიექტია. ამიტომ ცუ დონამ ბრალის ცნებიდან გამოიტანა განზრახვა, მაგრამ უსამშობლოდ დატოვებულ განზრახვას ადგილი არ მოუნახა (heimatlos gewordenen Vorsatz) დანაშაულის ცნების სტრუქტურაში. კ. ველცელი ამბობს, რომ ფინალური მოქმედების მოძღვრებამ ფსიქოლოგიურ ელემენტებს მოქმედებაში მიუჩინა ბინა.²⁹

საყურადღებოა ისიც, რომ ფინალური მოქმედების მოძ-

²⁷ H. Welzel, Das neue Bild des Strafrechtssystems, Eine Einführung in die finale Handlungslehre, Göttingen, 1957, s. 25-30 (მითითებულია თ. წერეთლის წიგნიდან „თანამონაწილეობა დანაშაულში“, იხ. 106-ე გვ. სქოლიო 54).

²⁸ H. Jescheck, Lehrbuch des strafrechts, 1996, s. 421.

²⁹ H. Welzel, Das deutsche Strafrecht, 9. Auflage, Berlin, 1965, s. 176.

ღვრება გერმანელი ფილოსოფოსის ჰეგელის შეხედულებას ერთგვარ შორეული გამოძახილია. ჰეგელს მიაჩნდა, რომ სისხლის სამართალი უნდა ითვალისწინებდეს პასუხისმგებლობას მხოლოდ განზრახი დანაშაულისათვის. გაუფრთხილებლობისაივის ის პასუხისმგებლობას არ მოითხოვდა.³⁰ მაგრამ ჰეგელის შეხედულებამ სამართლიანად ვერ მოიკიდა ფეხი მაშინდელ იურიდიულ აზროვნებაში. გერმანელი იურისტები მიუთითებდნენ იმაზე, რომ, რაც დრო გადის, ცხოვრება უფრო და უფრო რთულდება, ტექნიკა ვითარდება და გაუფრთხილებლობის აფერო ფართოვდება. ამიტომ გაუფრთხილებლობით ჩადენილ ქმედებათა კრიმინალიზაციის გარეშე დატოვება დიდ საფრთხეს შეუქმნის საზოგადოებრივი ცხოვრების ნორმალურ განვითარებას.

ჰეგელისაგან განსხვავებით, კ. ველცელი ყურადღების გარეშე არ ტოვებს გაუფრთხილებლობის სფეროს და ცდილობს გაუფრთხილებლობითი დელიქტებიც ფინალური მოქმედების ცნებით მიიცივას. ერთი შეხედვით ისე ჩანს, თითქოს ეს საკითხი კ. ველცელმა დამაჯერებლად გადაწყვიტა. კ. ველცელმა, მოქმედების კაუზალური მოძღვრებისაგან განსხვავებით, ერთმანეთისაგან გამიჯნა ქმედების უღირსობა (Handlungsunwert) და შედეგის უღირსობა (Erfolgsunwert). მისი აზრით, ქმედება ყოველთვის ფინალურია, ესე იგი რაიმე შედეგზეა მიმართული. ამის მიხედვით ფინალურია ის მოქმედებაც, რომელიც გაუფრთხილებლობით შედეგს იწვევს. ამ დებულების დასაბუთებისათვის კ. ველცელი ასეთ მაგალითს იშველიებს: გზის მოსახვევში ორი მანქანა ერთმანეთს შეეჯახა. რომელი მძღოლია დამნაშავე? შედეგით ამას ვერ გავარკვევთ. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, რომელი მათგანი მოქმედებდა მართლსაწინააღმდეგოდ. მოქმედება კი ამ დროსაც ფინალური იყო, ესე იგი რაღაც შედეგზე იყო მიმართული, თუმცა ის არ იყო მიმართული მეორე

³⁰ „კველთან განზრახი დელიქტი ისე მტკიცედ იყო წამოწეული წინა პლანზე, რომ მას გაუფრთხილებლობითი დელიქტი ერთხელაც კი არ უხსენებია“ (იხ. კ. ველცელი, მიი. ნაშრ., 115-ე გვ.).

მძღოლის დაზიანებისაკენ.³¹

ფინალური მოქმედების მოქდვრების დახასიათება არ იქნება სრულყოფილი, თუ კიდევ ერთ მომენტს არ მივაქცევთ ყურადღებას. ბრალის ცნებიდან ქმედების ცნებაში გადატანილი განზრახვა აღარ არის ტრადიციულად გაგებულ „ბოროტი განზრახვა“ (dolus malus), რომელიც ყოველთვის უარყოფთად ხასიათდება. პ. ველცელს შემოაქვს ბუნებრივი განზრახვის ცნება, რომელიც შეფასებისაგან თავისუფალია. განზრახვა შეიძლება იყოს ბოროტიც და კეთილიც, უარყოფითად შეფასებულს და დადებითად შეფასებულს.³²

ყოველივე ის, რაც ჩვენ აქ სქემატურად გადმოვეცით, მე-20 საუკუნის გერმანული იურიდიული აზროვნების წაყოფია. როგორც გერმანელი მეცნიერები აღნიშნავენ, მე-20 საუკუნეში გერმანულ აზროვნებაში დანაშაულის ცნების სამგვარი სტრუქტურა გამოიქვეყნა: 1) დანაშაულის კლასიკური ცნება, 2) დანაშაულის ნეოკლასიკური ცნება და 3) დანაშაულის ცნება ფინალიზმისა. დანაშაულის კლასიკურ ცნებაში იგულისხმება ლისტ-ბელინგის მიერ შემუშავებული სამნიშნოვანი ცნებია. ნეოკლასიკურია ის ცნება, რომელიც, თუმცა სამნიშნოვან ცნებას არ უარყოფს, მაგრამ კლასიკურისაგან განსხვავებით, სხვაგვარად განსაზღვრავს დანაშაულის ნიშნების შინაარსს. მაგალითად, თუ კლასიკური ცნების მიხედვით, ქმედების შემადგენლობა ღირებულებისაგან თავისუფალია, ხოლო მართლწინააღმდეგობა ფორმალური კატეგორიაა, ბრალი კი წმინდა ფსიქოლოგიურ ცნებას წარმოადგენს, ნეოკლასიკური ცნება დანაშაულისა ამ ნიშნებს სხვაგვარად წარმოგვიდგენს. კერძოდ, შემადგენლობაში ნელ-ნელა შემოვიდა შეფასებითი ელემენტები; ამას მოჰყვა უმართლობის სუბიექტური ელემენტების აღმოჩენა, როგორც მას გერმანელი იურისტები უწოდებენ, შემუშავდა მატერიალ-

³¹ პ. ველცელი, მით. ნაშრომი, 116-ე გვ.

³² „ფინალური სწავლების ერთ-ერთ უმთავრეს დამახასიათებელ ნიშნად — ამბობს ლაშა-გიორგი კუტალია-ითვლება ბრალის ცნებისაგან განსხვავებული „ბუნებრივი განზრახვა“ (იხ. ლაშა-გიორგი კუტალია, მით. ნაშრომი, 172-ე გვ.).

ური მარო ლწინააღმდეგობის ცნება („სოციალური საზიანობა“). რაც შეეხება ბრალს, მასში შეიჭრა გაკიცხვის ელემენტი და თანდათანობით იწყო ფსიქოლოგიური მომენტების ბრალის ცნებიდან გამოდევნა; შემდეგ ყალიბდება დანაშაულის ცნების ფინალური სტრუქტურა, რაზედაც ჩვენ ახლა ვილაპარაკეთ.³³

ახლა ვნახოთ, რა ძვრები ხდებოდა, გერმანული მეცნიერების პარალელურად, მე-20 ს. ქართულ იურიდიულ აზროვნებაში და ამის შესაბამისად შევეცადოთ განვსაზღვროთ დანაშაულის ცნების ჩვენეული სტრუქტურა. აქ, უპირველეს ყოვლისა, ის უნდა ვთქვა, რომ დანაშაულის კლასიკური ცნება აღიარა რუსულმა საბჭოურმა სისხლის სამართალმა (იხ. 1958 წ. 25 დეკემბრის საბჭოთა კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკათა სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლები, 3, 7 მმ), საიდანაც ეს ცნება გადმოვიდა საქართველოს 1960 წ. სს კოდექსში (იხ. 3, 8 მმ). ამ მოვლენამ შესაძლებლობა მისცა ქართველ იურისტებს, რომ დაემკვიდრებინათ ქართულ იურიდიულ აზროვნებაში დანაშაულის ცნების სამნიშნოვანი სტრუქტურა³⁴. თუმცა საქმე ამით არ დამთავრებულა და დროთა მსვლელობაში ჩვენს აზროვნებაში თანდათანობით შემოიჭრა დანაშაულის ნეოკლასიკური ცნებისათვის დამახასიათებელი ელემენტები. ასე, მაგალითად, გამოიკვეთა უმართლობის სუბიექტური ელემენტები³⁵, ბრალის ცნებაში კი შემოვიდა ნორმატიული მომენტი. რაც შეეხება მართლწინააღმდეგობის მატერიალურ შინაარსს, ის თავიდანვე დამახასიათებელი იყო საბჭოური სისხლის სამართლისათვის („საზოგადოებრივი საშიშროება“).

მე-20 ს. 60-იანი წლებიდან ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში დაიწყო ფინალური მოქმედების მოძღვრების და საზოგადოდ დანაშაულის ფინალისტური ცნების კრიტიკული

³³ ნახ. უფრო დაწვრილებით პ. იეშუკი, მით. ნაშრომი, 201-214-ე გვ.

³⁴ ამ საკითხზე უფრო დაწვრილებით ნახ. ო. გამყრელიძე, ბრძოლა სამართლებრივი სახელმწიფოსათვის, პირველი წიგნი, 250-256-ე გვ.

³⁵ ო. გამყრელიძე, დანაშაულის შუალობითი ამსრულებლობა და თანამსრულებლობა, 82-88-ე გვ.

განხილვა (თ. წერეთელი, ო. გამყრელიძე). ფინალისტებს ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავდათ და ჰყავთ დღესაც თვითონ გერმანიაშიც. მაგრამ საბჭოურ იურიდიულ ლიტერატურაში ამ მოძღვრებას უფრო მეტად პოლიტიკური პოზიციებიდან აკრიტიკებდნენ. ამიტომ მაშინ ძნელი იყო ფინალისტების მოძღვრების ზოგიერთი დადებითი მომენტის წინ წამოწევა. ასეთ დადებით მომენტად ფინალური მოძღვრებისა ჩვენ მიგვაჩნია ბრალის ცნებიდან განზრახვის გამოტანა და მოქმედებაში გადატანა. ეს არის პროცესი, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ ბრალის ცნების გაწმენდა ფსიქოლოგიური ელემენტებისაგან. ეს პროცესი ჩვენს მიერ ზემოთ ნახსენები ბრალის იდეის კრიზისიდან დაიწყო, როცა ბრალის წმინდა ფსიქოლოგიური თეორია ეჭვის ქვეშ დადგა.

ბრალის ფსიქოლოგიური თეორია რომ ვერ ამართლებს თავის ფუნქციას, დღეს ეს ეჭვს უკვე აღარ უნდა იწვევდეს. ჩვენ შეგვიძლია მოვიყვანოთ არაერთი მაგალითი, როცა ადამიანის ფსიქიკური დამოკიდებულება შედეგისადმი გვაქვს. მაგრამ ბრალი არა გვაქვს.

უპირველეს ყოვლისა, შეგვიძლია დავასახელოთ მცირეწლოვანის მოქმედება. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 33-ე მუხლის თანახმად ამ კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედება არ შეერაცხება ბრალად იმას, ვისაც ამ ქმედების ჩადენამდე არ შესრულებია თოთხმეტი წელი. მაშასადამე, მცირეწლოვანი შეურაცხია, ესე იგი ჩადენილი უმართლობა ბრალად არ შეერაცხება, თუმცა მას შედეგისადმი ფსიქიკური დამოკიდებულება გააჩნია.

34-ე მუხლი კოდექსისა ლაპარაკობს ჩადენილი უმართლობის შეურაცხაობაზე ფსიქიკური დაავადების გამო. მაგრამ ფსიქიკური დაავადება სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ადამიანს ჩადენილი უმართლობისა და მართლსაწინააღმდეგო შედეგისადმი ფსიქიკური დამოკიდებულება არ გააჩნია. ამ დროს შეიძლება ნორმალური ფსიქიკისაგან გადახრა. თუმცა ფსიქიკა მაინც ფსიქიკაა, ფსიქიკური დამოკიდებულება შედეგისადმი მაინც

გვაქვს. მიუხედავად ამისა, ბრალზე აქ ლაპარაკიც კი ზედმეტია — ჩადენილი უმართლობა მას ბრალად არ შეერაცხება.

ჩვენს მიერ ზემოთ წამოყენებულ დებულებას თვალნათლივ ადასტურებს აგრეთვე ბრალის გამომძიებელი ისეთი გარემოება, როგორცაა ბრძანების ან განკარგულების შესრულება. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 37-ე მუხლის თანახმად „სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაეკისრება იმას, ვინც სავალდებულო ბრძანების ან განკარგულების შესრულებისას დააზიანა სამართლებრივი სიკეთე. ასეთი ზიანისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება იმას, ვინც მართლსაწინააღმდეგო ბრძანება ან განკარგულება გასცა“ (1 ნაწ.). აქ საქმე გვაქვს ტიპიურ თანამონაწილეობასთან. ბრძანების გამცემი წამქეხებელია ხოლო ბრძანების შემსრულებელი დანაშაულის ამსრულებელს წარმოადგენს. ამსრულებელი, რასაკვირველია, განზრახ მოქმედებს. მას შეცნობილი აქვს არა მარტო ის, რომ აზიანებს სამართლებრივ სიკეთეს. უფრო მეტიც, იგი ითვალისწინებს თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობასაც. მიუხედავად ამისა, ბრძანების შემსრულებელს ბრალი არ მიუძღვის სამართლებრივი სიკეთას დაზიანებაში, იგი შეურაცხია ამ უმართლობის მიმართ. ასე რომ, ბრალი არ ყოფილა შედეგისადმი ფსიქიკური დამოკიდებულება, ბრალი თურმე სულ სხვა მასალისაგან შედგება. გაბატონებული დოქტრინის მომხრეებმა ამაზე შეიძლება გვიპასუხონ, რომ ეს დებულება არავითარ სიახლეს არ შეიცავს. მათ შეიძლება გვითხრან, რომ ისინი ხედავენ ბრალს ადამიანის ყოველგვარ ფსიქიკურ დამოკიდებულებაში შედეგისადმი. გაბატონებული დოქტრინის წარმომადგენლებს შეუძლიათ თქვან, რომ ბრალი არის ისეთი ფსიქიკური დამოკიდებულება შედეგისადმი, რომელიც გასაკიცხია მორალურ-პოლიტიკურად (ბრალის აბსოლური დოქტრინა).

მაგრამ მეთოდოლოგიურად ეს არ იქნება გამართლებული, რადგან გასაკიცხაობა და ფსიქიკური დამოკიდებულება სხვადასხვა სანამდვილის მოვლენებია და მათი ერთ ცნებაში

მოთავსება შეუძლებელია. გასაკიცხაობა ღირებულებითი სინამდვილის ელემენტია, ხოლო ფსიქიკური დამოკიდებულება რეალური სინამდვილის მოვლენაა, რომელიც მიზეზ-შედეგობრივ კანონზომიერებას ემორჩილება.³⁶ სწორად შენიშნავენაა ვუ დონა, რომ გასაკიცხობა შეფასებაა, ხოლო ფსიქიკური დამოკიდებულება შეფასების ობიექტია. ამიტომ შეფასება და შეფასების ობიექტი ერთ ცნებაში არ უნდა მოიაზრებოდეს.

ადამიანის მოქმედება, რომელიც სისხლის სამართლის კანონითაა გათვალისწინებული, რეალური სინამდვილის მოვლენაა და მიზეზ-შედეგობრივ კანონზომიერებას ემორჩილება. ასეთივე მოვლენაა ადამიანის ფსიქიკური დამოკიდებულება თავისი მოქმედებისა და შედეგისადმი. ადამიანის მოქმედება ადამიანის ფსიქიკისაგან განუყრელია, მისგან დამოუკიდებლად არ არსებობს. ამიტომ ყოველად გაუმართლებელია დანაშაულის კლასიკური ცნება, როცა ადამიანის მოქმედებას განზრახვისაგან თიშავს და განზრახვა ბრალის ცნებაში გადააქვს. დანაშაულის კლასიკური ცნების მიხედვით, მოქმედება არის ნების წარმართვა გარკვეული მიმართულებით. რაც შეეხება ნების წინაარსს (განზრახვა და გაუფრთხილებლობა), ის ბრალის ეტაპზე ხდება ცნობილი. როგორ უნდა დაკვალიფიცირდეს მოქმედება, როგორ უნდა გაირკვეს რომელი უმართლობაა ჩდენილი, თუკი განზრახვა ბრალის ელემენტია.

ამდენად დანაშაულის კლასიკური ცნება ხელიწინურად ხლიწავს მოქმედებას მისი შინაარსიდან (განზრახვა), რაც ყოველად გაუმართლებელია. ეს უსამართლობაა. ამიტომ აუცილებელია აღდგეს სამართლიანობა და განზრახვა დაუბრუნდეს თავის ბუნებრივ ადგილს. მან ბრალიდან ქმედების ცნებაში უნდა გადაინაცვლოს.

მაგრამ, როგორც კი განზრახვა მოქმედების ცნებაში გადაინაცვლებს, ის მაშინვე დაკარგავს იმ თვისებას, რომელიც განზრახვის ცნებაში აქვს შექენილი. განზრახვა ამ შემოხვევაში აღარ არის „ბოროტი განზრახვა“ (dolus malus“), ის ბუნებრივი

³⁶ იხ. ირ. სურგულაძე, მით. ნაშრომი, 2000.

განზრახვის სახეს იღებს და შეფასებისაგან ნეიტრალური ხდება (პ. ველ(ელი). განზრახვა, რომელიც მოქმედების აუცილებელი კომპონენტია, ზოგჯერ შეიძლება დადებითად შეფასდეს, ზოგჯერ კი უარყოფითად. ასეთია საბოლოოდ ჩვენი დამოკიდებულება განზრახვის ცნების მიმართ.

ახლა შევეხოთ გაუფრთხილებლობის პრობლემას. საყურადღებოა ის, რომ გაუფრთხილებლობის ადგილის მიმართ დანაშაულის ცნების სტრუქტურაში ჩვენ ერთნაირ დამოკიდებულებას ვხედავთ განზრახვის ცნებასთან მიმართებაში. თუ, მაგალითად, დანაშაულის კლასიკური და ნეოკლასიკური ცნებები განზრახვასა და გაუფრთხილებლობას ბრალის ფორმებად მიიჩნევენ, ფინალურმა ცნებამ დანაშაულისა ერთი და მეორეც, განზრახვაც და გაუფრთხილებლობაც მოქმედების ცნებაში გადაიტანა. აქ, როგორც ვხედავთ, ერთი კანონზომიერება შეიმჩნევა. განზრახვა და გაუფრთხილებლობა ყველგან გვერდიგვერდ არიან და ერთმანეთს არ ცილდებიან. თვით ფინალურ მოძღვრებაშიც კი, რომელიც უარყოფს „ბოროტი განზრახვის“ (dolus malus) ტრადიციულ ცნებას, გაუფრთხილებლობა განზრახვის გვერდით თანაარსებობს. განზრახვაცა და გაუფრთხილებლობაც ყველგან ფსიქიკურ მოვლენებადაა მიჩნეული.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ განზრახვა და გაუფრთხილებლობა არ შეიძლება დანაშაულის ცნების სტრუქტურაში გვერდიგვერდ თანაარსებობდნენ, რადგან ისინი სხვადასხვა სინამდვილის მოვლენებს გამოხატავენ. თუ, მაგალითად, განზრახვა, როგორც ზემოთ ვნახეთ, რეალური სინამდვილის მოვლენაა და მისი ადგილი ამიტომაც მოქმედების ცნებაშია, ამასვე ვერ ვიტყვი გაუფრთხილებლობის მიმართ. თუ განზრახვა არ არის „ბოროტი განზრახვა“ და მას შემდგომში, კერძოდ, ბრალის დადგენის ეტაპზე შეფასება სჭირდება, გაუფრთხილებლობა, პირიქით, უკვე შეფასებაა, გაკიცხვაა, საყვედურია ინდივიდის მიმართ. ამიტომ არის გაუფრთხილებლობა პ. ველცელის თეორიის ყველაზე უფრო სუბტილური ადგილი, რამაც მისი სისტემის კრახი გამოიწვია. პ. ველცელმა გაუფრთხილებლობას ვერ მოუნახა თავისი ბუნე-

ბრივი ადგილი დანაშაულის ცნების სისტემაში.

ზემოთ ჩვენ მოვიყვანეთ ავტოავარიის მაგალითი, რომელსაც კ. ველცელი ეყრდნობა გაუფრთხილებლობის ფინანსობის ასახსნელად და ამტკიცებს, რომ გაუფრთხილებლობის დროს მოქმედება ისეთივე ფინანსურია, ესე იგი შედეგზეა მიმართული (მოქმედების უღირსობა), როგორც განზრახვის დროს. მაგრამ მას უსაყვედურეს, რომ განზრახვის დროს მოქმედება, თუ ის მართლა შედეგისკენაა მიმართული, ფინანსურია, გაუფრთხილებლობის დროს ასეთი რამ არ არსებობს, რადგან შედეგი ადამიანს ზოგჯერ წარმოდგენილიც კი არა აქვს (დაუფერობა). ამიტომ კ. ველცელი იძულებული გახდა შემოეტანა. ეგრეთ წოდებული პოტენციური ფინანსობის ცნება. ამის მიხედვით, ინდივიდს უნდა გაეცნობიერებია შედეგის დადგომის ფაქტი და მოქმედება სხვა, დადებითი მიზნისაკენ წარემართა. ამრიგად, უნდა აეცილებინა დამდგარი შედეგი. ინდივიდს ჰქონდა ამის შესაძლებლობა.

ამაზე კ. ველცელს უპასუხეს, რომ პოტენციური ფინანსობა უკვე აღარ არის ფინანსობა. თუ ფინანსური მოქმედების მოძღვრება განზრახვის დროს ამართლებს თავის დანიშნულებას, ამას ვერ ვიტყვით გაუფრთხილებლობის მიმართ. გაუფრთხილებლობის დროს მოქმედება არ არის მიმართული იმ შედეგისაკენ, რომელიც კანონმდებელს აინტერესებს, როგორც ეს ხდება განზრახვის დროს. ამიტომ ფინანსური მოქმედების მოძღვრებამ ვერ შეიმუშავა მოქმედების ისეთი ცნება, რომელიც საერთო იქნება განზრახვისა და გაუფრთხილებლობისათვის.

ჩემი აზრით, ფინანსური მოქმედების მოძღვრების ნაკლი მართო აქ კი არ უნდა ვეძებოთ. საკმე ის არის, რომ გაუფრთხილებლობის საკითხი არ შეიძლება გადაწყდეს მოქმედების დადგენის ეტაპზე. ეს არსებითად ბრალის მსჯელობის საკითხია. ჰქონდა თუ არა ინდივიდს შესაძლებლობა სხვაგვარად ემოქმედა, ეს მოქმედების ეტაპზე გადასაწყვეტი საკითხი როდია. მოქმედების ეტაპზე უნდა დადგინდეს რა მოხდა, რა მოქმედება წაიღინა ინდივიდმა და რა შედეგი გამოიწვია ამ მოქმედებამ.

რაც შეეხება იმას, რისი შესაძლებლობა ჰქონდა ინდივიდს და
რა არ გააკეთა, ეს უკვე შეფასების საკითხია და ბრალს უკავ-
შირდება. ასე რომ, ფინალური მოქმედების მოძღვრებაზე აგებ-
ულმა დანაშაულის ცნებამ გაუფრთხილებლობას ვერ მოუნახა
მისი კუთვნილი ადგილი დანაშაულის ცნების სტრუქტურაში.

განზრახვას და გაუფრთხილებლობას ვერც დანაშაულის
კლასიკურმა ცნებამ მოუნახა თავისი ადგილი, რადგან ეს ცნება
ბრალის ფსიქოლოგიურ თეორიას აღიარებს და განზრახვა და
გაუფრთხილებლობა ბრალის ფორმებად მიაჩნია.³⁷ რაც შეეხება
დანაშაულის ნეოკლასიკურ ცნებას, მართალია, ეს ცნება ბრალს
ნორმატიულ ელემენტად მიიჩნევს, მაგრამ აქ მაინც არ არის
გარკვეული განზრახვისა და გაუფრთხილებლობის ადგილი
დანაშაულის ცნების სტრუქტურაში.

ქართული იურიდიული აზროვნება, რომელიც გათავისუ-
ფლებულია საბჭოური აზროვნების არტახებისაგან, არ უარყოფს
ბრალის ნორმატიულ, შეფასებით ელემენტს, მაგრამ ბრალი აქ
მაინც ფსიქოლოგიურ ცნებად რჩება. ჩვენი იურისტების წარ-
მოდგენაში მტკიცედ არის გამჯდარი ის აზრი, რომ ბრალი
არის დამნაშავის ფსიქიკური დამოკიდებულება ჩადენილი
მოქმედებისა და მის მიერ გამოწვეული შედეგისადმი. თუმცა
საქართველოს 1999 წ. კოდექსის მე-9 და მე-10 მუხლები ასეთი
დასკვნის გაკეთების საშუალებას არ იძლევა (9-ე მ – განზ-
რახი დანაშაული, 10-ე მ – გაუფრთხილებლობითი დანაშაული).³⁸
ასეთია ის საერთო სურათი ბრალის არსისა, რომელსაც ჩვენ
თანამედროვე იურიდიულ ლიტერატურაში ვხედავთ.

ბრალის ფსიქოლოგიური თეორია დღეისათვის აშკარად
განვლილი ეტაპია და ბრალის ნორმატიულ ცნებას, გვინდა

³⁷ განზრახვა და გაუფრთხილებლობა კვლავ ბრალის ფორმებად არის მიჩნეუ-
ლი რუსეთის ფედერაციის 1996 წ. 24 მაისის კოდექსით (იხ. 24-ე მ).

³⁸ მერაბ ტურავას აზრით, „ახალი კოდექსით განზრახვა და გაუფრთხილებლობა
არ წარმოადგენს ბრალის ფორმებს, არამედ იგი ქმედების სუბიექტური შემადგენლობის
ელემენტებია“ (იხ. მერაბ ტურავა, მით. ნაშრომი, 52-ე გვ). როგორც ვხედავთ, ავტორს
გაუფრთხილებლობაც ქმედების შემადგენლობაში გადააქვს, რასაც ვერ დავეთანხმე-
ბით.

არ გვინდა, ანგარიში უნდა გავუწიოთ. იმდენად თვალსაჩინოა ფსიქოლოგიური თეორიის ნაკლი, რომ აუცილებელი ხდება ბრალის ცნების გაწმენდა ფსიქოლოგიური ელემენტებისაგან და ამ ცნების ნორმატიულ საფუძველზე აგება. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ეს პროცესი არ შეიძლება ლოკალურად მოხდეს და არ შეეხოს დანაშაულის ცნების სხვა ნიშნებს, რადგან ბრალის ცნებიდან განდევნილ ფსიქიკურ მოვლენებს „უბინაოდ“ ვერ დავტოვებთ და მათ ადგილი უნდა მოენახოთ სხვაგან, ისინი დანაშაულის სხვა ნიშანს უნდა შეეკედლონ. ეს კი გაკოიწვევს დანაშაულის ცნების მთელი სტრუქტურის ასე თუ ისე შეცვლას და ტრადიციული ცნებების ახლებურ დალაგებას.

დანაშაულის ცნების სტრუქტურა თუ გვინდა ავაგოთ, უპირველეს ყოვლისა, ეს პროცესი მოქმედების ცნებით უნდა დავიწყოთ. გერმანულ ლიტერატურაში ყველაზე უფრო გამოიკვეთა მოქმედების კაუზალური და ფინალური ცნებები. მაგრამ ორივე ცნებას აქვს ნაკლოვანებები, თუმცა მათ დადებითი მომენტებიც გააჩნიათ. ფინალური მოქმედების მოძღვრების ნაკლი ის არის, რომ იგი გაუფრთხილებლობას მოქმედებაში მიუჩენს ადგილს. კაუზალური მოქმედების თეორიის წარმომადგენლები კი ცდილობენ მოქმედების შინაარსი (განზრახვა, გაუფრთხილებლობა) ბრალის ცნებაში გადაიტანონ, ხოლო თვითონ მოქმედება დაგვიხასიათონ ნების წარმართვად შედგისაკენ. ეს არის უშინაარსო ნების გამოვლინება (კაუზალობა ბრმაა, ამბობენ ფინალისტები, ხოლო ფინალობა თვალხილულია).

რახან ბრალის ცნება ფსიქოლოგიური ელემენტებისაგან უნდა დაიცალოს, ისინი, უპირველეს ყოვლისა, მოქმედების ცნებაში უნდა გადავიდეს. აქ რასაკვირველია, განზრახვა იგულისხმება. ფინალური მოქმედების დადებითი მხარეა ის, რომ მას განზრახვა მოქმედებაში გადააქვს. ამით მოქმედებას ეძლევა შინაარსი. არცერთი დამნაშავე უშინაარსო ნებას არ წარმართავს, თუკი ის განზრახ მოქმედებს. დამნაშავე სჩადის განზრახ მკვლევლობას, ფარულად ეუფლება სხვის მოძრავ ნივთს და ა. შ. ა. შ. ასევე იქცევა გამოძიებელიც. ის თავდაპირველად,

ობიექტურთან ერთად, სუბიექტურ შემადგენლობას ადგენს და იკვლევს რა მიზანი ამოძრავებდა დამნაშავეს. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ იგი ამით ბრალს ადგენს. ამ მიზანს გამომძივებელიც და შემდეგ მოსამართლე ბრალის მსჯელობის დროს აფასებს. მოქმედების ჩადენის ეტაპზე ხდება მიზნის დადგენა, რა მიზანს ისახავდა და როგორ უნდა დაკვალიფიცირდეს მისი მოქმედება. ხოლო ბრალის მსჯელობის ეტაპზე მოსამართლე ახდენს ამ სუბიექტური ელემენტის შეფასებას უკვე ბრალის პოზიციებიდან.³⁹

ზემოთ ჩვენ მოკლედ გავაანალიზეთ თანამედროვე მეცნიერებაში, განსაკუთრებით გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში არ ებუღი ვითარება დანაშაულის ცნების სტრუქტურის საკითხზე. ვნახეთ, რომ ამ საკითხზე მეცნიერებაში არსებობს სამი ძირითადი მიმართულება: 1) დანაშაულის კლასიკური ცნება, 2) დანაშაულის ნეოკლასიკური ცნება და 3) ფინალისტების მიერ შემუშავებული ცნება. არცერთი ეს ცნება არ არის უნაკლო. თუმცა თოთოეულ ამ მიმართულებას აქვს აშკარა დადებითი მომენტებიც. ეს დადებითი და უარყოფითი მომენტები კარგად არის შესწავლილი და გამოვლენილი სპეციალურ ლიტერატურაში. ყოველივე ეს შესაძლებლობას გვაძლევს შევიმოწავოთ ახლებური მიდგომა ამ საკითხისადმი და იმ დადებით მომენტებზე დაყრდნობით, რომლებიც თანამედროვე მეცნიერებამ და საკანონმდებლო პრაქტიკამ გამოიმუშავა, დანაშაულის ცნების ახლებური, უფრო სრულყოფილი სტრუქტურა ჩამოვაყალიბოთ.

უპირველეს ყოვლისა, ვერ უარყოფთ დანაშაულის კლასიკური ცნების იმ დადებით მომენტს, რომ დანაშაული სამი ელემენტის, სამი ნიშნისაგან შედგება: 1) სისხლის სამართლის კანონით აღწერილი ქმედება ანუ დანაშაულის (ქმედების)

³⁹ „ბრალის ეტაპზე ამბობს მერაბ ტურავა-განზრახვა და გაუფრთხილებლობა როდი კარგვს თავის მნიშვნელობას. განზრახვა და გაუფრთხილებლობა ბრალის ეტაპზე წარადგენს არა ფსიქიკური დამოკიდებულების მომენტებს, არამედ მხოლოდ ინდივიდუალური ვაკიცხვის კრიტერიუმებს...“

შემადგენლობა, 2) ამ ქმედების მართლწინააღმდეგობა და 3) ბრალი.

ასევე მისაღებია ფინალისტების მოსაზრება, რომ განზრახვა და სხვა ფსიქიკური ელემენტები ბრალის ცნებიდან მოლიანად უნდა გამოიდევნოს და ქმედების ცნებაში გადავიდეს და სხვ. ამ მომენტების გათვალისწინებით ჩვენ უკვე შეგვიძლია განვსაზღვროთ დანაშაულის ცნების სტრუქტურა. მაგრამ მთავარი აქ მაინც მოქმედების (ქმედების) ცნების განსაზღვრაა. ჩვენი აზრით, ქმედება არის სოციალური ცხოვრების ფაქტი, რომელსაც ადამიანი სჩადის განზრახ ან განუზრახველად. მიაქციეთ ყურადღება: განზრახვის გადმოტანით ქმედების ცნებაში ჩვენ დავძლიეთ კაუზალური ქმედების ცნების ნაკლი, რომლის მიხედვით ქმედება ნებელობითი აქტია და იწვევს ცვლილებას გარე სასაქაროში. რაც შეეხება ნების შინაარსს, განზრახვა— გაუფრთხილებლობას, ის ბრალის მსჯელობის დროს დგინდება.

ამავე დროს ჩვენ ანგარიშს ვუწვევთ ფინალისტები, აშკარა დამსახურებას ამ საკითხში და ვაღიარებთ, რომ „განზრახვა“ შეფასებისაგან ნეიტრალური ცნებაა, ვაღიარებთ ბუნებრივი განზრახვის ცნებას, რომელიც ქმედების კომპონენტია, მისი შემადგენელი ნაწილია. ამასთან ერთად, არ ვეთანხმებით მოქმედების ფინალურ ცნებას, რომლის მიხედვით ადამიანის ქცევა ყოველთვის ფინალურია, განზრახია. ჩემი აზრით, ადამიანი შეიძლება მოქმედებდეს განზრახ ან განუზრახველად. მიაქციეთ ყურადღება სიტყვებს: „განუზრახველად“ და არა გაუფრთხილებლობით, როგორც ამას თანამედროვე სისხლის საწართალი აღიარებს. განზრახვა და გაუფრთხილებლობა არ შეიძლება გვერდიგვერდ თანაარსებობდნენ, როგორც დღემდე მიიჩნევენ. განზრახვა შეფასებისაგან ნეიტრალური ცნებაა, ის შეფასების საგანია. შეფასების შემდეგ შეიძლება აღმოჩნდეს, რომ განზრახვა დადებითია ან უარყოფითი. მაგრამ ამას ვერ ვიტყვით გაუფრთხილებლობაზე. გაუფრთხილებლობა ყოველთვის გაკიცხვია. არ არსებობს დადებითი და უარყოფითი გაუფრთხილებლობა. გაუფრთხილებლობა ყოველთვის რაღაცის უარყოფითი

შეფასება. ამიტომ ის არ შეიძლება იყოს მოქმედების ცნებაში და ეს იყო ფინალისტების უდიდესი შეცდომა.

ამიტომ შეიძლება დავასკვნათ, რომ, თუ განზრახვის ადგილი ქმედების ცნებაშია, გაუფრთხილებლობა ბრალის გამოხატულებაა. ქმედება, უფრო ზუსტად, უმართლობა, რომელიც განზრახაა ჩადენილი, შეიძლება შეერაცხოს მის ჩამდენს ბრალად და შეიძლება არ შეერაცხოს. ეს შეფასების საკითხია. რაც შეეხება გაუფრთხილებლობას, ის უკვე შეფასებაა, ესე იგი უკვე შერაცხვია. როცა ვამბობთ, რომ პეტრე მოქმედებდა გაუფრთხილებლობით, ეს იმას ნიშნავს, რომ პეტრეს შეერაცხა ბრალად თავისი ნამოქმედარი. ამ მსჯელობიდან შეგვიძლია ერთადერთი სწორი დასკვნის გაკეთება: განზრახვა ქმედების შემადგენელი ნაწილია, ხოლო გაუფრთხილებლობა ბრალს გამოხატავს. ამიტომ განზრახვისა და გაუფრთხილებლობის ცნებები გვერდი-გვერდ არ შეიძლება დავაყენოთ, ისინი ერთად ვერ იარაღებებიან.

საბოლოოდ დანაშაულის ჩვენს მიერ შემოთავაზებულ სტრუქტურა ასე გამოიყურება: 1) ქმედება ჩადენილია განზრახ ან განუზრახველად, 2) ქმედება მართლსაწინააღმდეგოა და 3) ქმედება ბრალად შეერაცხება მის ჩამდენს. ვინაიდან განზრახვა და სხვა ფსიქიკური ელემენტები ბრალის ცნებიდან მოქმედების ცნებაში გადავიდა. ბრალი, მაშასადამე, გაიწმინდა ფსიქიკური ელემენტებისაგან, მივიღეთ ბრალის წმინდა ნორმატიული ცნება, ბრალი გასაკიცხობაა ჩადენილი უმართლობისა. თუ მოქმედება განზრახაა ჩადენილი, სასამართლო აფასებს ამ განზრახვას იმ თვალსაზრისით, რამდენად შეერაცხება ქმედება მის ჩამდენს ბრალად. ასეთ შემთხვევაში განზრახვა, როგორც მოქმედების კომპონენტი, შეფასების საგანია, მასალაა. შეერაცხვა, იმას ნიშნავს, რომ სასამართლოს შეუძლია, უფლება აქვს გამოთქვას საყვედური მოქმედის მიმართ, უსაყვედუროს მას, რატომ ჩაიდინა ქმედება, რომ მას ეს ქმედება არ უნდა ჩაედინა, რადგან სამართალი უკრძალავდა მას ამის ჩადენას. როდის შეუძლია სასამართლოს უსაყვედუროს ადამიანს, რომ

მას არ უნდა ჩაედინა უმართლობა, რომ მისი განზრახვა გასაკიცხია და, მაშასადამე, ბრალი მიუძღვის? ეს დამოკიდებულია ინდივიდის სხვაგვარად ქცევის შესაძლებლობაზე. მას შეეძლო სხვაგვარად მოქცეულიყო და არ ჩაედინა ეს ქმედება.

სემოთ ჩვენ ამ დებულების დასაბუთებისათვის არაერთი მაგალითი მოვიტანეთ. დავასახელებ აქ კიდევ ერთ შემთხვევას, რომელსაც შეიძლება ტრაგიკული კოლიზია ვუწოდოთ. გემი დაიღუპა და ორმოცდაათი კაცი გადავიდა ნაუზე. მაგრამ ნავს გვერდზე აქვს ბზარი, საიდანაც წყალი ჟონავს და თუ ნავს სიმძიმე არ მოაკლდა და მადლა არ აიწია, ყველანი მალე ფსკერისაკენ დაქანდებიან. ამის გამო ნავიდან თორმეტი კაცი გადაყარეს და დანარჩენები გადარჩნენ. აშკარაა, რომ ოცდათვრამეტი კაცი მოქმედებდა მართლსაწინააღმდეგოდ. მაგრამ მიუძღვის თუ არა მათ ბრალი თორმეტი კაცის მკვლელობაში? არის თუ არა მათი განზრახვა გასაკიცხი? რასაკვირველია, არა. ისინი იმყოფებოდნენ ტრაგიკული კოლიზიის მდგომარეობაში, როცა მათ ბრალი არ მიუძღოდათ ამ ქმედებაში. მაშასადამე, განზრახვა არის, მაგრამ არ არის ბრალი, რადგან ეს განზრახვა არ ფასდება უარყოფითად. ნაუში მსხდომების გაკიცხვა არ შეიძლება, რადგან მათ არ ჰქონდათ სხვაგვარად ქცევის შესაძლებლობა. ეს აზრი პირდაპირ არის გამოხატული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 34-ე მუხლში, სადაც ნათქვამია, რომ ადამიანს არ შეეძლება თავისი მართლსაწინააღმდეგო ქმედება, თუ მას „არ შეეძლო გაეცნობიერებინა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა ან თუმცა შეეძლო მისი ვაცნობიერება, მაგრამ არ ჰქონდა უნარი ემოქმედა სხვაგვარად“. ასე უნდა მოხდეს ქმედების შეფასება და, მაშასადამე, ბრალის დადგენა, როცა ეს ქმედება განზრახაა ჩადენილი. ახლა ვნახოთ, როგორ უნდა მოიქცეს სასამართლო, როცა ქმედება განუზრახველადაა ჩადენილი.

როცა ქმედება განუზრახველადაა ჩადენილი, ეს არ იშნავს, რომ ადამიანის ფსიქიკა არ მოქმედებს. თუკი ადრე ფსიქიკური გათანაბრებული იყო მხოლოდ ცნობიერთან, თანამედროვე

ფსიქოლოგია აფართოებს ფსიქიკურის სფეროს და მიიჩნევს, რომ ფსიქიკური შეიძლება იყოს არაცნობიერიც. ამიტომ სასამართლო ვადებულება შეაფასოს ადამიანის ფსიქიკური (არაცნობიერი) დამოკიდებულება საკუთარი მოქმედებისა და ამ მოქმედებით გამოწვეული შედეგისადმი. ასეთი შეფასების დროს სასამართლო შეიძლება მივიდეს იმ დასკვნამდე, რომ ადამიანი მოქმედებდა გაუფრთხილებლად. მან არ გამოიჩინა სიფრთხილე, იგი მოქმედებდა წინდაუხედავად. ეს უკვე საყვედურია, გაკიცხება. ავიღოთ, მაგალითად, ისეთი შემთხვევა, როცა ადამიანს მოუხდა შეცდომა, იგი შეცდა და, კურდღლის ნაცვლად, მოკლა კაცი. სასამართლო შეაფასებს ამ ქმედებას, რომელიც, ცხადია, განუზრახველადაა ჩადენილი, და, თუ მივა იმ დასკვნამდე, რომ იგი მოიქცა გაუფრთხილებლად, მის ქმედებას ბრადღად შერაცხავს და დასჯის. მაგრამ სასამართლომ შეფასებთ დროს შეიძლება დაინახოს, რომ ადამიანი არ მოქცეულა გაუფრთხილებლად. ასეთ შემთხვევაში სასამართლო მას ჩადენილ უმართლობას ბრადღად ვერ შეარაცხავს.

ზემოთ ნათქვამიდან აშკარად გამოიკვეთა, რომ ქმედება სოციალური ცხოვრების ფაქტია, რომელსაც ადამიანი ჩაიდენს განზრახ ან განუზრახველად. მართლწინააღმდეგობის დადგენის შედეგ სასამართლო იწყებს ამ ქმედების შეფასებას. შეფასების საგანი, უპირველეს ყოვლისა, არის შედეგისადმი ადამიანის ფსიქიკური დამოკიდებულება. თუ ქმედება განზრახაა ჩადენილი, შეფასების საგანია განზრახვა, ხოლო, როცა ქმედება განუზრახველადაა ჩადენილი, ხდება შედეგისადმი ადამიანი ფსიქიკური (განუზრახველი) დამოკიდებულების შეფასება ერთი სიტყვით, განზრახვა ფსიქიკური მოვლენაა და მოქმედებას ცნებაშია მოქცეული, ხოლო გაუფრთხილებლობა ბრალის მომენტი, რადგან ის უკვე შეფასებაა, საყვედურია. ამიტომ განზრახვისა და გაუფრთხილებლობის გვერდი-გვერდ დაყენება დიდი შეცდომაა.

2000-2001 წ. ივნისი

სიკვდილით დასჯის პრობლემა

(ეუბლენი 1924 წ. აჯანყებაში მონაწილეობისათვის
უკანონოდ სიკვდილით დასჯილი ბიძის
კონსტანტინე (ჭიჭია) ეფრემის ძე გამყრელიძის ხსოვნას)

მოკლე შესავალი

სიკვდილით დასჯა ყველაზე უფრო არქაულია სისხლის სამართლის სასჯელთა შორის. ის ისეთივე ძველია თავისი წარმოშობით, როგორც თვითონ სისხლის სამართალი. ტერმინი სისხლის სამართალი წარმოიშვა სისხლის აღებიდან, რომელიც დამახასიათებელია სამართლის ამ დარგის განვითარების პირველი პერიოდისათვის, როცა საზოგადოების სახელმწიფოებრივი მოწყობა ჯერ კიდევ არ არსებობდა და ამიტომ სისხლის სამართალს კერძო ხასიათი ჰქონდა.

სისხლის აღება მაშინ იგივე სიკვდილით დასჯა იყო თანამედროვე გაგებით. განსხვავება ის გახლდათ, რომ მაშინ ამას კერძო კაცი, ესე იგი დღევანდელი წარმოდგენით და'არადლებული ადასრულებდა (მოკლავდა მამის მკვლელს და სხვ.).

მას შემდეგ, რაც სახელმწიფო წარმოიშვა, სისხლი ა სამართალმა, როგორც სამართლის დარგმა, საჯარო ხასიათი შეიძინა. სისხლის აღება, როგორც ყველა სხვა სისხლის სამართლის სასჯელი, საჯარო ღონისძიებად იქცა და მისი გამოყენების უფლება მხოლოდ სახელმწიფოს მიეკუთვნა. ამიტომ არის, რომ სისხლის აღება აიკრძალა და მის ნაცვლად შემოვიდა სიკვდილით დასჯა. ასე რომ, სისხლის აღება სიკვდილით დასჯის წინამორბედი ყოფილა. როგორც აქედან ვნახეთ, ამ დიდ ისტორიულ ცვლილებას მოვლენის ტერმინოლოგიური ცვლილებაც მოჰყოლია.

სიკვდილით დასჯამ, როგორც აქედან ირკვევა, ისტორიულად თავისი განვითარების დიდი გზა გაიარა. განსაკუთრებით შესამჩნევია ეს, თუკი თვალს გავადევნებთ წარსულში სასჯელის ამ სახის აღსრულების წესის სახეცვლილებას. რაც უფრო შორს გადავიდვართ წარსულში, მით უფრო სასტიკი ჩანს ამ სასჯელის აღსრულების წესი. საზოგადოებრივი აზრის ჰუმანიზაციის კალდაკვალ სიკვდილით დასჯის აღსრულების პროცესი თანდათანობით უფრო ჰუმანური ხდება. ამას საბოლოოდ ისიც მოჰყვა, რომ სრულიად აიკრძალა სიკვდილით დასჯის საჯარო, სახალხო აღსრულება.

სიკვდილით დასჯა სისხლის სამართლის სასჯელთა შორის ყველაზე უფრო მძიმე სასჯელია. ეს სასჯელი დამნაშავეს ყველაზე უფრო ძვირფასს სიკეთეს-სიცოცხლეს უსპობს. ამიტომ არის, რომ ისტორიულად სიკვდილით დასჯის პრობლემა გასცდა სისხლის სამართლის ვიწრო ჩარჩოებს და ფართო საზოგადოების დაინტერესება გამოიწვია. სიკვდილით დასჯის პრობლემა, საკუთრივ იურიზტთა გარდა, ყოველთვის აღელვებდათ ფილოსოფოსებს, მწერლებს და კულტურის სხვა დარგის წარმომადგენლებს.

ამიტომ იყო, რომ გამოჩენილ მოაზროვნეთა და განსაკუთრებით განმანათლებელთა შორის თანდათან გამოჩნდნენ სიკვდილით დასჯის მოწინააღმდეგენი. განმანათლებელთა იდეებში დიდი ზეგავლენა მოახდინა სასამართლო პრაქტიკაზე. მე-18 საუკუნის განმანათლებლურმა აზროვნებამ სიკვდილით დასჯის გამოყენების მიზანშეწონილობის საკითხი დიდი ეჭვის ქვეშ დააყენა.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან მოკიდებული განმანათლებლური აზროვნების ზეგავლენით დასავლეთ ევროპის ქვეყნებში იწყება სიკვდილით დასჯის გაუქმება (პორტუგალია, იტალია და სხვ.). დროთა მსვლელობაში ეს პრაქტიკა თანდათანობით გაერცვლდა. მე-20 საუკუნის ბოლოსათვის სიკვდილით დასჯა მსოფლიოს სახელმწიფოთა დიდმა ნაწილმა გააუქმა.

საქართველოში სიკვდილით დასჯა 1997 წ. 11 ნოემბრის კანონით გაუქმდა ყველა დანაშაულისათვის და მის საცვლად შემოღებული უვადო თავისუფლების აღკვეთა. ასეთ პირობებში ამ პრობლემამ ჩვენში თითქოს უკვე დაკარგა თავისი ადრინდელი სიმწვავე და მისი მეცნიერული დამუშავებისათვის დროს აღარ უნდა ვკარგავდეთ. შეიძლება გვითხრან, რომ ამ პრობლემას ახლა მხოლოდ ისტორიული მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს.

მაგრამ, ჩემი აზრით, საქმე მთლად ასე არ უნდა იქონ. მართალია, საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით სიკვდილით დასჯა გაუქმდა და სასჯელთა სისტემაში ის მოხსენიებული აღარ არის, მაგრამ საქართველოს კონსტიტუციას ამ სასჯელის კვალი დღესაც ატყვია. კონსტიტუციის მე-15 მუხლში ნათქვამია: „2. სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება – სიკვდილით დასჯა, მის სრულ გაუქმებამდე, შეიძლება კათვალისწინებულ იქნეს ორგანული კანონით სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის“.

საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლი, როგორც ვხედავთ, დღესაც არ გვიკრძალავს სიკვდილით დასჯის შემოღებას მოქმედი კანონმდებლობით. ეს ფორმულირება მოქმედ კანონმდებლობას უფლებას აძლევს გამოიყენოს სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება, მაგრამ მის გაუქმებას არ უკრძალავს. ამაზე მიგვანიშნებს სიტყვა „შეიძლება“. საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა დაეყრდნო კონსტიტუციის მე-15 მუხლს, არ გამოიყენა ეს უფლება და სიკვდილით დასჯა გააუქმა.

მაგრამ, სანამ კონსტიტუციის მე-15 მუხლი ძალაშია, მანამ ყოველთვის არსებობს იმის სრული შესაძლებლობა, რომ მოქმედმა სისხლის სამართლის კანონმდებლობამ ისევ აღადგინოს სიკვდილით დასჯა ხსენებული მუხლით დაწესებულ ფარგლებში, ესე იგი „სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის“. ასე რომ, ხსენებული მუხლი დამოკლეს მახვილივით ჰკიდია ჩვენს თავზე.

ერთი სიტყვით, 1997 წ. 11 ნოემბრის კანონით საქართველოში სიკვდილით დასჯა მთლიანად არ გაუქმებულა. ხვალ რომ საქართველოში პოლიტიკური ვითარება შეიცვალოს, სიკვდილით დასჯის აღდგენა კონსტიტუციის მე-15 მუხლის ფარგლებში სავსებით შესაძლებელია. კანონი, რომელიც სასჯელის ამ ღონისძიებას ისევ შემოიღებს და შეიტანს სასჯელთა სისტემაში, ანტიკონსტიტუციურ კანონად არ ჩაითვლება.

ასე რომ, მოქმედი კანონმდებლობით სიკვდილით დასჯის დაწესებრს შესაძლებლობა მანამ არსებობს, სანამ კონსტიტუციის მე-15 მუხლის დღევანდელი ფორმულირება იარსებებს და ძალაში აქნება. სიკვდილით დასჯის სრული გაუქმებისათვის აუცილებელია, რომ საქართველოს კონსტიტუციის დასახელებული მუხლის ფორმულირება ისე შეიცვალოს, როგორც ეს მოცემულია გერმანიის 1949 წ. კონსტიტუციის 102-ე მუხლით. ამ მუხლში არაორაზროვნად არის ნათქვამი: „სიკვდილით დასჯა აკრძალულია“.

მაშა ადამე, სიკვდილით დასჯის პრობლემა, მარტო ეს გარემოებაც რომ მივიღოთ მხედველობაში, ჩვენთვის დღესაც კვლავ აქტუალური რჩება და ამიტომ მისი უწყურადღებოდ დატოვება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება.

საგულისხმოა ისიც, რომ საზოგადოების ფართო ფენები ვერა და ვერ ეგუებიან სიკვდილით დასჯის აკრძალვას. თუმცა ეს მარტო ჩვენში არ იგრძნობა და იმ ქვეყნებშიც შეიმჩნევა, რომლებსაც, ჩვენთან შედარებით, სიკვდილით დასჯის აკრძალვის გაცელებით უფრო ხანგრძლივი ტრადიცია აქვთ (ბელგია და სხვ.).

თუ კოველივე აქ ნათქვამს პრობლემის ისტორიულ მნიშვნელობა ანც მიუმატებთ, აშკარა გახდება სასჯელის ამ სახის შესწავლას აუცილებლობა. მით უმეტეს, რომ ჩვენი იურიდიული მწერლობა ამ მხრივ საკმაოდ ღარიბია. პროფესორი ჯ. ხეცურიასი პირველი იყო თანამედროვე ქართველ იურისტებს შორის, ვინც ხმა აღიმადლა სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ კომუნისტური რეჟიმის დროს. ჯერ კიდევ 70-იანი წლების

მეორე ნახევარში ჯ. ხეცურიანი რამდენიმე წერილი დაბეჭდა ამ საკითხზე ჟურნ. „საბჭოთა სამართალში“. 1987 წ. ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 150-წლისთავის აღსანიშნავად ჟურნალმა „კრიტიკამ“ (№3, 1997) გამოაქვეყნა ნ. წულუესკირის პუბლიკაცია „არა სიკვდილსა მიცემად“. ამ წერილში, რომელიც სიკვდილით დასჯის წინააღმდეგაა მიმართული, გაასაღიზებურია ილია ჭავჭავაძის ერთ-ერთი საუკეთესო მოთხრობა „სარჩობელაზე“.

80-იანი წლების შუახანებიდან, როცა ეგრეთ წოდებული გარდაქმნისა და საჯარობის ეპოქა დაიწყო, თანდათანობით გააქტიურდა საზოგადოებრივი აზრი სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ.¹ ბევრი იწერება ამ საკითხზე 1995 წ. 24 აგვისტოს შემდეგ, როცა საქართველოს კონსტიტუციამ საკმაოდ შეაეწროვა სიკვდილით დასჯის არეალი. დისკუსიამ საბოლოოდ იქამდე მიგვიყვანა, რომ 1996 წ. 11 დეკემბრის კანონით პოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობა მოყვანილ იქნა კონსტიტუციასთან შესაბამისობაში. კონსტიტუციის მე-15 მუხლის საფუძველზე შეიზღუდა სიკვდილით დასჯის შემთხვევები და ეს სასჯელი დარჩა მხოლოდ „სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის“ (იხ. საქართველოს 1960 წ. სსკ-ის 65¹ მ, 67-ე მ-ის მე-4 ნაწ., 68-ე მ, 69 მ, 104-ე მ, 209¹-ე მ).

სიკვდილით დასჯა ძველ ქართულ სამართალში

ივ. ჯავახიშვილმა საგანგებოდ გამოიკვლია სიკვდილით დასჯის საკითხი ძველ ქართულ სამართალში. „ყოველი ერის სამართლის წარმატება-წერს მეცნიერი-მეტადრე სასამართლოს, სისხლის სასამართლოს წარმოებას, ისევე როგორც სასჯელთა სისტემასა და სიმკაცრეს დაეტყობა ხოლმე: რაც უფრო

¹ ჯ. ხეცურიანი, სიკვდილით დასჯა, 5-ე გვ.

კულტურულად დაქვეითებულია იგი, სასჯელებიც მკაცრი და უღმობელი აქვს ხოლმე, კულტურულ წარმატებასთან ერთად თანდათან შემზარავი და დამასახინრებელი „მესისხლეობა“ ქრება და მხოლოდ იშვიათ და განსაკუთრებული დანაშაულები-სათვის რჩება ხოლმე“.²

მეთორმეტე საუკუნის საქართველო ეკონომიკურად და კულტურულად დაწინაურებული ქვეყანა იყო. ამ ეპოქაში საქართველომ თავისი კულტურის ყველა სფეროს მართლაც დიდ აღმავლობას მიაღწია. ამიტომ იყო, რომ სიკვდილით დასჯა იმ დროს დაწესებული იყო მხოლოდ „მარტო მეფისა და სახელმწიფოს დალატისათვის“, „აგრეთვე მეფის პირადი საჯარო სიტყვიერი შეურაცხყოფისა და მეკობრეობისათვის“.³

მაგრამ თამარის დროს ეს სასჯელიც კი პრაქტიკულად არ გამოიყენებოდა. თვითონ თამარი სიკვდილით დასჯისა და სხვა დამასახინრებელი სასჯელების აღსრულებას ყოველნაირად უშლიდა ხელს.

„მარილაც თამარს, გამეფებასთან ერთად, საქართველოში არამცთუ სიკვდილით დასჯა მოუსპია, – წერდა ივ. ჯავახიშვილი – არამედ ყოველგვარი დამასახინრებელი და ადამიანის ბუნებისა და ღირსების დამამცირებელი სასჯელებიც ამოუკვეთია“.⁴

სამწეხაროდ, ზოგიერთს ივ. ჯავახიშვილის სიტყვები ისე გაუგია, თითქოს თამარის დროს სიკვდილით დასჯა მთლიანად აიკრძალა კანონმდებლობით. მაგალითად, ნ. წულეისკირი წერს: „ქართულმა სამართალმაც მაშინ მიაღწია განვითარების უმაღლეს დონეს–აიკრძალა სიკვდილით დასჯა. თამარ მეფემ აკრძალა იგი“.⁵

სინანდვილეში საქმე სულ სხვაგვარად იყო. არც თამარის

² ივ. ჯავახიშვილი, თხზ. 12 ტომად, 7-ე ტ. 383-ე გვ.

³ ივ. ჯავახიშვილი, თხზ., 7-ე ტ. 372-ე გვ.

⁴ ივ. ჯავახიშვილი, თხზ. 7-ე ტ., 383-ე გვ.

⁵ ნ. წულეისკირი, „არა სიკვდილსა მიცემად“, ჟურ. „კრიტიკა“, 1987, №3,

დროს და არც სხვა ეპოქაში საქართველოში სიკვდილით დასჯა არავის აუკრძალია. თამარის უდიდესი დამსახურება ის იყო, რომ იგი ნებას არ აძლევდა არავის აღესრულებინათ სიკვდილით დასჯა და სხვა დამსახვინებელი სასჯელები.

რომ ეს ნამდვილად ასე იყო, დავიმოწმებ ისევ ივ. ჯავახიშვილის სიტყვებს: „ისტორიკოსის⁶ ზემომოყვანილი ცნობითაცა მტკიცდება, რომ ავაზაკებს გარდა-ამბობს მეცნიერ-თამარ მეფის დროს სიკვდილითა და სხვაგვარ დამსახვინებელ მისაგებლით არავინ დასჯილა. ყურადღების ღირსია, რომ, როგორც ისტორიკოსის სიტყვები გეჩვენებენ, მაშინ ყველა ეს სასჯელები კანონისა და სასამართლო წიგნის ძალით-კი არა ყოფილა ამოკვეთილი და მოსპობილი, არამედ თვით თამარ მეფეს უსარგებლნია თავის „მოწყალების“ უქვლებით. რა-კი სასჯელის აღსრულებისათვის მეფის „მეცნიერება“ და თანხმობის „შეკითხვა“ იყო საჭირო, ხოლო მეფეს შეკითხვაზე უნდა „ებრძანა“, თამარ მეფეს სასჯელის აღსრულების ამგვარი „ბრძანება“ და თანხმობა არა დროს არ გაუცია და ამ საშუალებით მას თავის მეფობის დროს სიკვდილითა და სხვაგვარი დამსახვინებელი სასჯელით დასჯა ამოუკვეთნია“.⁷

აქედან აშკარად ჩანს, რომ აქ სიკვდილით დასჯის აკრძალვასთან კი არა გვაქვს საქმე, არამედ თამარ მეფის გულმოწყალებისა და კაცთმოყვარეობის გამო არ სდებოდა სიკვდილით დასჯისა და სხვა დამსახვინებელი სასჯელის აღსრულება. საქმე ის კი არ არის, თავი მოვიწონოთ მე-12 საუკუნის საქართველოში სიკვდილით დასჯის აკრძალვით. ვიყოთ რეალისტები და ვადიაროთ, რომ ზემოთ მითითებული ის ოთხი შემთხვევა, რომლისთვისაც იმ დროს სიკვდილით დასჯა იყო დაწესებული, თავისთავად მიგვანიშნებს მაშინდელი ქართული სისხლის სამართლის განვითარების მაღალ დონეს. ხოლო, თუ ამას დავუმატებთ თამარის გულმოწყალებას, რომლის მეშვეობით სიკვდილით დასჯის პრაქტიკული

⁶ იგულისხმება ქართველი ისტორიკოსი ბასილი ეზოს-შოდვარი.

⁷ ივ. ჯავახიშვილი, 7-ე ტ. 384-ე გვ.

გამოყენება და აღსრულებაც არ ხდებოდა საქართველოში, ყველაფერი ნათელი გახდება. ასეთ მაღალ განვითარებას ქართული სამართალი მომავალ საუკუნეებში ვეღარ აღწევს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ დღევანდელ ვითარებას, როცა სიკვდილით დასჯა მთლიანად აიკრძალა საქართველოს 1997 წ. 11 ნოემბრის კანონით.

მე-12 საუკუნეში ქართული სისხლის სამართლის აზროვნების ასეთ განვითარებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა შემდგომი ეპოქებისთვისაც, როცა პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების დონე ჩვენი ქვეყნისა დაეცა. მართალია, ამის გამო სისხლის სამართლის აზროვნების განვითარებაც შეფერხდა, მაგრამ მე-12 საუკუნეში მიღწეული დონე აზროვნებისა შემდგომ საუკუნეებსაც გადასწვდა. ეს ფაქტორი საფუძველი გახდა ქართული სისხლის სამართლის თანდათანობით ჰუმანიზაციისა. ამიტომ იყო, რომ ქართული სისხლის სამართალი სისასტიკეს ავლენდა მხოლოდ მაშინ, როცა მასზე უცხო ზეგავლენა იჩენდა თავს. როგორც კი ამ უცხო ზეგავლენისაგან გათავისუფლდებოდა, ჩვენი სისხლის სამართალი კვლავ უბრუნდებოდა თავის პირვანდელ მდგომარეობას; ასე მოხდა მე-20 საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლებიდან; როგორც კი ქვეყანა გათავისუფლდა რუსული სოციალიზმის კაცთმოძულეობისა და სისასტიკის ზეგავლენისაგან, მაშინვე დაიწყო ჩვენში სიკვდილით დასჯის საწინააღმდეგო მოძრაობა, რამაც საბოლოოდ ამ სასჯელის სრულ გაუქმებამდე მიგვიყვანა.

სიკვდილით დასჯის პრობლემა თანამედროვე ქართულ სისხლის სამართალში

მე-19 საუკუნეში საქართველოს სახელმწიფოებრიობის გაუქმების გამო, როგორც ცნობილია, სიკვდილით დასჯის დაწესება არდაწესების საკითხი რუსული კანონმდებლობის საფუძველზე წყდებოდა. რაც შეეხება საქართველოს და-

მოუკიდებელი რესპუბლიკის ხანას (1918-1921 წ. წ.), მაშინ ქართულმა სისლისსამართლებრივმა აზროვნებამ კიდევ ერთხელ გამოაბრწყინა. საქართველოს 1921 წ. კონსტიტუციით სიკვდილით დასჯა მთლიანად აიკრძალა (გარდა საომარი მოქმედებისა, მე-19 მ.).

მეორე შემთხვევა საქართველოში სიკვდილით დასჯის გაუქმებისა მოხდა ორმოციანი წლების მეორე ნახევარში. მაგრამ ეს აქტი არ იყო დამოუკიდებელი საქართველოს აზროვნების ნაყოფი, რადგან მაშინ საქართველო, როგორც ვიცით, საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შედიოდა და ამიტომ ინიციატივაც ამ საკითხზე მოსკოვიდან მოდიოდა.

სიკვდილით დასჯა გაუქმდა საბჭოთა კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წ. 26 მაისის „სიკვდილით დასჯის გაუქმების“ ბრძანებულებით. ეს სასჯელი გაუქმდა მთლიანად მხოლოდ იმ დანაშაულისათვის, რომელიც ჩადენილი იყო მშვიდობიანობის დროს. მაშასადამე, ომიანობის შემთხვევაში ხელისუფლებას კვლავ შეეძლო სიკვდილით დასჯის შექოლება. ხსენებული ბრძანებულებით სიკვდილით დასჯის შემცველად დააწესეს თავისუფლების აღკვეთა ოცდახუთი წლით.

ამ ბრძანებულებამ სამ წელსაც ვერ გაძლო. 1950 წ. 12 იანვარს საბჭოთა კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა გამოსცა ახალი ბრძანებულება, რომელიც გამონაკლისის სახით უშვებდა სიკვდილით დასჯას „სამშობლოს დაღატის, ჯაშუშობის, ძირგამომთხრელ-დივერსიული საქმიანობისათვის“.⁸ მართალია, ამ ბრძანებულებით მთლიანად არ გაუქმებულა 1947 წლის ბრძანებულება, მაგრამ გარკვეული ბზარი მასში უკვე შეიტანა, რაც შემდგომ წლებში თანდათანობით გაღრმავდა და მოიცვა დიდი სფერო დანაშაულებისა. მაგალითად, საბჭოთა კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1954 წ. 30 აპრილის ბრძანებულებით სიკვდილით დასჯა დაწესდა კიდევ განზრახი

⁸ Курс советского уголовного права, ч. общая, т 2, изд ленинградского университета, 1970, стр. 251-252.

მკვლელ-ობისათვის დამამძიმებელი გარემოების არსებობის დროს⁹ და სხვ.

განსაკუთრებით გახშირდა კანონმდებლობით სიკვდილით დასჯის დაწესების შემთხვევები სამოციანი წლებიდან. რუსული სოციალიზმის სისასტიკე ამ წლებში იმითაც გამოვლინდა, რომ სასჯელის უმაღლესი ღონისძიება დაწესდა ქონებრივი დანაშაულების ჩადენისათვის (განსაკუთრებით დიდი ოდენობით სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების მითვისება მიუხედავად ხერხისა, ქრთამის მიღება განსაკუთრებით დამამძიმებელი გარემოების დროს). სამწუხაროა, რომ ამ სასჯელმა მაშინ ქონებრივი დანაშაულის ჩადენის გამო ბევრი მსჯავრდებულის სიცოცხლე შეიწირა.¹⁰ ასე გაგრძელდა მანამ, სანამ ეგრეთ წოდებული გარდაქმნისა და საჯაროობის ეპოქა დაიწყო, რასაც საბოლოოდ საბჭოთა კავშირის დაშლა მოჰყვა (1991 წ. დეკემბერი).

საბჭოთა კავშირის დაშლის დროისათვის, როცა საქართველომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აღადგინა, საქართველოს იუსტიციის სამართლის კოდექსში სიკვდილით დასჯა დაწესებული იყო ოცდაათზე მეტი შემთხვევისათვის, მაშინ, როდესაც; ამავე კოდექსის 1992 წ. 21 ოქტომბრის გამოცემაში ეს შემთხვევები ცხრამდე შემცირდა. 1993 წ. 8 ივლისის კანონით კოდექსს დაემატა კიდევ ორი მუხლი, რომლებიც სასჯელის სახედ ითვალისწინებდნენ სიკვდილით დასჯას (65¹ – გენოციდი და 66¹ – დაქირავებულის მონაწილეობა შეიარაღებულ კონფლიქტში). ასე რომ, ამ დროისათვის ჩვენი კოდექსი თერთმეტი დანაშაულის ჩადენისათვის ითვალისწინებდა სასჯელის უმაღლეს ღონისძიებას.

ამის შემდეგ ქვეყნის დემოკრატიული განვითარების კვალობაზე სიკვდილით დასჯის არეალი კოდექსში კიდევ უფრო

⁹ შიკ. ნაშრ., 252-ე გვ.

¹⁰ 1930-1991 წ. წ. 124 სიკვდილმსჯილიდან საქართველოში განაჩენი აღსრულდა 6¹-ის მიმართ, საიდანაც 6 კაცი დაისაჯა ეკონომიკური დანაშაულის გამო (იხ. ჯ. ხეცურიანი, სიკვდილით დასჯა, 27-ე გვ.).

შევიწროვდა. განსაკუთრებით დიდი ბიძგი მისცა სისხლის სამართლის კანონმდებელს სიკვდილით დასჯის შემოხვევათა შემცირებისათვის საქართველოს 1995 წ. 24 აგვისტოს კონსტიტუციამ, რასაც საბოლოოდ ამ სასჯელის სრული გაუქმება მოჰყვა.

კონსტიტუციის მე-15 მუხლით „სიკვდილით დასჯა შეიძლება დაწესდეს მხოლოდ სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის“. 1996 წ. 11 დეკემბრის კანონით მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობა მოყვანილია შესაბამისობაში კონსტიტუციის მე-15 მუხლთან. ამ კანონის თანახმად კოდექსში სიკვდილით დასჯა დარჩა მხოლოდ „სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული მძიმე დანაშაულისათვის.“

დაიწყო მზადება ქვეყანაში სიკვდილით დასჯის სრული გაუქმებისათვის. გაიშალა დისკუსია პრესის ფურცლებზე ამ პრობლემის ირგვლივ. უფრო ადრე, ჯერ კიდევ 1994-95 წლებში განაჩენი სისრულეში მოიყვანეს 14 პირის მიმართ. ამავე პერიოდში მოხდა 20 სიკვდილმისჯილის შეწყალება. 1996 წ. 10 დეკემბერს კი საქართველოს პრეზიდენტმა მორატორიუმი გამოაცხადა სიკვდილით დასჯის აღსრულების მიმართ. 1997 წ. 25 ივლისს საქართველოს პრეზიდენტმა ბრძანებულებით ამ დროისათვის საქართველოში ყველა სიკვდილმისჯილი შეიწყადა. სულ მათი რიცხვი ორმოცდათოთხმეტ კაცს შეადგენდა.¹¹ ამას მოჰყვა სიკვდილით დასჯის სრული გაუქმება მოქმედი კანონმდებლობით 1997 წ. 11 ნოემბრის კანონით. სიკვდილით დასჯის შემცველად კოდექსით უვადო თავისუფლების აღკვეთა დაწესდა.

¹¹ ვაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 26. 7. 97 წ.

სიკვდილით დასჯის აღსრულების წესი

ძველ ქართულ სამართალში სიკვდილით დასჯის აღსრულების ერთი საერთო წესი არ არსებობდა, როგორც ეს თანამედროვე სისხლის სამართლისათვის არის დამახასიათებელი. სიკვდილით დასჯის აღსრულების ერთ-ერთი წესი მაშინ ყოფილა, ძველი ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, „ჩამორჩობა“. „მეკობრი აათვის საქართველოში, — წერს ივ. ჯავახიშვილი — ებრაელთა საღმრთო სჯულის თანახმად, მიღებული იყო „ძელსა ზედა ჩამორჩობა“.¹²

ყოფილა სხვაგვარი წესიც ამ სასჯელის აღსრულებისა. მაგალითად, ივ. ჯავახიშვილის მიხედვით, ეს ყოფილა „თავის მოკვეთა“: „კლდითგან გადმოგდება“. მე-13 საუკუნეში თორღვა პანკელი „განდგომისათვის“ კლდეკარიდან გადმოუგდიათ.¹³

დამახასიათებელია მეორე უფრო გვიანდელი ფაქტიც. მეფის მოღალატე კახაბერ ყორღანაშვილი, რომელმაც სიმონ მეფე გასცა, მისი ადგილსამყოფელი აჩვენა მტერს და ამით სპარსელებს მისი დატყვევების საშუალება მისცა, საჩინო ბარათაშვილმა ამ დანაშაულისათვის გელიყარის კლდიდან გადმოაგდო. ეს უნდა მომხდარიყო 1569 წელს.¹⁴

მონღოლებისათვის ცნობილი ყოფილა ისეთი წესი სიკვდილით დასჯის აღსრულებისა, როგორიც იყო „მოშობა“ და „ცეცხლიცა დაწვა“.¹⁵

საზარები „დამნაშავის ცხენებზე მიბმით და განზიდვით“ ახდენდნენ, დამნაშავის ტანისაგან თავის მოცილებას. „შეიპყრეს ბუღჩან (ხაზართა სპასალარი) — წერს ივ. ჯავახიშვილი — და მოაბეს ყელსა საბელი და მოსწყვიტეს თავი მისი ბოროტად“.¹⁶

¹² ივ. ჯავახიშვილი, 7-ე ტ. 371-ე გვ.

¹³ ივ. ჯავახიშვილი, იქვე.

¹⁴ იხ. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, 2-ე ტ. 200-ე გვ. (ბარათაშვილი საჩინო)

¹⁵ ივ. ჯავახიშვილი, იქვე.

¹⁶ ივ. ჯავახიშვილი, 7-ე ტ. 37-ე გვ.

სიკვდილით დასჯის აღსრულების ასეთივე სასტიკი წესი უფრო გვიან გამოიყენებოდა აგრეთვე დასავლეთ ევროპის ქვეყნებშიც. დამახასიათებელია ამ მხრივ რავალიაკის სიკვდილით დასჯის აღსრულების ფაქტი, რომელიც თავისი სისატიკის გამო ისტორიაში შევიდა. ეს მოხდა პარიზში 1610 წ.

რავალიაკი ზურგით დააწინეს ეშაფოტზე და ჯაჭვებით ძლიერად შეუკრეს სხეულის ყველა ნაწილი. შემდეგ მის ხელს მიამაგრეს დანაშაულის იარაღი და შეუნთეს გოგირდის ცეცხლი; ამის მერე სპეციალური ბასრი ხელსაწყოთი გლჯდნენ სხეულის სხვადასხვა ადგილებიდან ხორცს და ჭრილობებში გამძვავლ ტყვიას, ზეთს და გოგირდს ასხამდნენ; შემდეგ სხეულის ყველა ნაწილი მიაბეს ცხენებს და აიძულეს ისინი სხეული ჯერ ნელ-ნელა, ხოლო მერე მთელი ძალით დაეწიათ, სანამ ეს ნაწილები ერთმანეთს არ მოცილდნენ; საბოლოოდ, შეაგროვეს სხეულის ყველა ნაწილი, დაწვეს და მათი ფერფლი ქარს გაატანეს.¹⁷

საგულისხმოა, რომ ძველ საქართველოში, როგორც ამას ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, „სიკვდილით დასჯის აღსრულების ორი წესი არსებობდა – „თავის მოკვეთა“ და „ჩამოსრობა“, კლდითგან გადაგდება“-ც კი უფრო გვიან შემოსულა და ის მონდოლთა ბატონობის ხანას უკავშირდება.¹⁸

რაც შეეხება დასავლეთ ევროპას, იქ სიკვდილით დასჯის აღსრულების სასტიკი წესი მე-19 საუკუნის ოცდაათიანი წლების დასასრულამდეც კი შემორჩენილია. მაგალითად, 19-ს. გერმანელი კრიმინალისტის კესტლინის ნაშრომებზე მითითებით ნ. ტაგანცევი აღნიშნავდა, რომ საქსონიაში სიკვდილმისჯილის დაწვა გაუქმდა მხოლოდ 1838წ. კოდექსით. რაის-გრაიკის სათავედოში კი იმავე წელს აღინიშნა ამ სასჯელის (დამნაშავის დაწვის) გამოყენების შემთხვევა.¹⁹

¹⁷ Н.С.Таганцев, Лекции по русскому уголовному праву, С-Петербург, 1892, стр.1428.

¹⁸ ივ. ჯავახიშვილი, ტ. 7, გვ. 371-2

¹⁹ Н.С.Таганцев, указ соч. стр. 1428, сноска 1.

სიკვდილით დასჯის აღსრულების წარსულში არსებული პლურალისტული წესი ანუ კვალიფიციური სიკვდილით დასჯა, როგორც ამას ზოგჯერ უწოდებენ, დროთა მსვლელობაში თანდათანობით შეიცვალა და საბოლოოდ დამკვიდრდა აღსრულების ერთი საერთო წესი. თანაც ყურადღება ექცევა იმას, რომ საზოგადოებრივი აზრისა და განმანათლებლური ფილოსოფიის ზეგავლენით ხდება სიკვდილით დასჯის აღსრულების წესის თანდათანობითი ჰუმანიზაცია. შემდგომი ნაბიჯი ამ განვითარებისა იყო სიკვდილით დასჯის სრული გაუქმება, რასაც ჩვენ უკვე ვხვდებით მე-19ს. მეორე ნახევრიდან დასავლეთის ზოგიერთ ქვეყანაში (პორტუგალია, იტალია, ბელგია და სხვ.).

საგულისხმოა ისიც, რომ მე-20 საუკუნის დამდეგამდეც კი სიკვდილით დასჯის აღსრულება ისევ საჯაროდ ხდებოდა. ძირითადად მიღებულია ჩამოხრჩობა. საფრანგეთში დიდი რევოლუციის დროს სიკვდილით დასჯა გილიოტინით თავის მოკვეთით ხდებოდა.

სიკვდილით დასჯის ეს ორი წესი – გილიოტინით თავის მოკვეთა და ჩამოხრჩობა მე-19 საუკუნეში საყოველთაოდ ყოფილა გავრცელებული. განსაკუთრებით ცდილობდნენ, რომ ამ სასჯელის აღსრულებას, რაც შეიძლება, ბევრი ხალხი დასწრებოდა. ამიტომ იყო, რომ აღსრულება ხდებოდა ხალხმრავალ ადგილებში, მოედნებზე, გზაჯვარედინებზე და სხვ. „სადაც ბევრი ხალხი ტრიალებდა. თანაც სახრჩობელებზე წლების განმავლობაში კი და ჩამოხრჩობილთა გვამები“.²⁰

მკითხველს უთუოდ დააინტერესებს სიკვდილით დასჯის საჯაროდ აღსრულების ერთი ისტორიული ფაქტი, რომელიც 1880წ. მოხდა თბილისში. ქალაქ თბილისის მოსახლეობის თვალწინ ეშაფოტზე აიყვანეს „მთელს კავკასიაში ცნობილი ავაზაკი“, როგორც ამას სერგეი მესხი წერს, შესანიშნავი გარეგნობის ახალგაზრდა ტატო წულუკიძე. ზიარების და პაპიროსის მოწვევის შემდეგ, სიკვდილმისჯილს ჯალათმა თოკის ყულფში თავი გააყოფინა და ტაბურეტი გამოაცალა. ამ დროს ხალხს

²⁰ Н.С. Таганцев, указ соч. стр. 1429.

სიკვდილმისჯილის უშევრი გინების ხმა მოესმა, რომელიც იძახოდა -, თოკი ნიკაპს ამოედო და არ მასხრობსო“. ჯალათმა თოკი გაუსწორა. სიკვდილმისჯილს „მთელი სახე გაულურჯდა, თვალები წამოუყარდა.. მაგრამ ისეთი შესაძრწუნებელი სურათია, რომ ნულარ ვუყურებთ, თვალი ავარიდოთ..“²¹

მე-19 საუკუნის ბოლოსათვის მდგომრეობა ამ მხრივაც იცვლება. სიკვდილით დასჯის საჯაროდ აღსრულების იდეა თანდათანობით კრიზისს განიცდის. აი, რას წერს ანის გამო ამ კრიზისოს ერთერთი თანამედროვე ნ. ტაგანცევი: „Но как изменились все эти условия к настоящему времени! Даже сохраняя публичность смертной казни, ее стали исполнять в местах наиболее глухих, в возможно ранние часы, иногда даже тщательно скрывая от народа время исполнения казни, и, наконец, мало по малу почти во всех государствах введена система непубличного ее исполнения“.²²

ნ. ტაგანცევი ამ სიტყვებს გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში წერდა (ნაშრომი, საიდანაც ეს სიტყვებია ამოღებული, დაიბეჭდა 1892წ.). საგულისხმოა, რომ მაშინ სიკვდილით დასჯის საჯაროდ აღსრულება: „დიდი სახელმწიფოებიდან“, როგორც ამას ნ. ტაგანცევი გკუწყებს, შენარწუნებული ყოფილა მხოლოდ საფრანგეთში. მაგრამ იმ დრისათვის მომზადებული ახალი დებულების პროექტის მიხედვით საფრანგეთში უკვე დაუპირებიათ სიკვდილით დასჯის საჯაროდ აღსრულების გაუქმება.²³

ამ მსჯელობას ისე ვერ დავემთავრებთ, ორიოდე სიტყვით მაინც თუ არ დავახასიათებთ ჯალათის ფიგურას. რას წარმოადგენდა ჯალათი? როგორ აფასებს მას საზოგადოებრივი აზრი? შუა საუკუნეებში სიკვდილით დასჯის საჯაროდ აღსრულება იმდენად მისაღებად მიაჩნდათ, რომ ამ ღონახიობას საზეიმო ხასიათიც კი ეძლეოდა. მაგალითად, ესპანეთის მეფე საზეიმო auto da fe-ეს (ქუჩის სპექტაკლი) დაწყებისათვის თვი-

²¹ სერგეი მესხი, ტატო წულუკიძის ჩამოხრობა, 3-ე ტ. 1964, 273-274-ე გვ.

²² Н. С. Таганцев, указ. сач.

²³ Н. С. Таганцев, указ. сач. стр. 1430.

თონ აძლევდა ნიშანს. ასეთ პირობებში ჯალათს ყოველთვის ეკავა მაღალი საზოგადოებრივი მდგომარეობა. შუა საუკუნეების გერმანიაში არცთუ იშვიათად ჯალათი აზნაურობის პატივშიც კი აჰყავდათ.²⁴

უფრო მეტიც, ჯალათის ფიგურა მაშინ იმდენად პოპულარული ყოფილა, რომ ამ საქმიანობაზე ზოგჯერ არათუ თავადები, თკით მეფეც კი არ ამბობდა ხოლმე უარს. მაგალითად, პეტრე დიდს პრეობრაჟენსკოეში ხუთი სტრელცისათვის თვითონ მოუკვეთია თავი.²⁵

ცნობილი რუსი ისტორიკოსი სოლოვიოვი წერდა: „პრეობრაჟენსკოეში სისხლიანი ვარჯიშები მიმდინარეობდა: 17 ოქტომბერს (1698) მეფის დაახლოებულმა პირებმა თავები მოჰკვეთეს სტრელცებს: თავადმა რომოდანოესკიმ მოჰკვეთა ოთხი თავი; გოლიცინმა, თავის მოკვეთის მოუხერხებლობის გამო, გაუძლიერა ტანჯვა მის წილადხედომილ უბედურს; პეტრეს რჩეული ალექსაშკა (მენშიკოვი) ტრაბახობდა, რომ მან 20 კაცს მოჰკვეთა თავი“.²⁶

სიკვიდილით დასჯის საჯაროდ აღსრულების იდეის კრიზისმა თავისთავად გამოიწვია ჯალათის საზოგადოებრივი მდგომარეობის შეცვლა. კისტიაკოესკის ნაშრომზე დაყრდნობით, ნ. ტაგანცევი წერდა, რომ „ამჟამად ევროპელისათვის ჯალათის მოვალეობა საშინელებისა და საზიზღრობის საგანს წარმოადგენს; ჯალათი— ეს არის ადამიანი განკიცხული, რომელთან უბრალო შეხებაც კი წაბილწავდაა მიწნეული“²⁷ და სხვ.

დამასახიანებელია ერთი მაგალითი. როცა გენერალ გრიზინოვის ბეკლელს ტერორისტ არსენა ჯორჯიაშვილს ჩამოხრჩობა მიუღაჯეს, სასჯელის აღსრულება გაუჭირდათ იმის გამო, რომ ჯალათი ვერ იშოვეს. ბოლოს, როგორც იქნა, რუსეთის

²⁴ Н. С. Таганцев, указ. сач. стр. 1429.

²⁵ Н. С. Таганцев, указ. сач. стр. 1430.

²⁶ Соловьев, История России, т. XIV. стр. 280 и сл. მითითებულია ნ. ტაგანცევის ზემოთ დ. სახელეული ნაშრომის მიხედვით, იხ. 1430-ე გვ.

²⁷ Н. С. Таганцев, указ. сач. стр. 1430.

რომელიდაც ქალაქიდან გამოიძახეს ერთერთი მსჯავრდებული, რომელმაც ეს საქმე იკისრა. მაგრამ სასჯელის აღსრულების შემდეგ თბილისიდან უკან დაბრუნებული ჯალათი თურმე გზაში მოკლეს.²⁸

მე-20 საუკუნეში სიკვდილით დასჯის საჯაროდ აღსრულების წესი საბოლოოდ გაუქმდა და ამ სასჯელს დახურულ კარს მიღმა აღასრულებენ.²⁹ ეს პროცესი განსაკუთრებული საიდუმლოებით იყო მოცული საბჭოთა კავშირის ტერორიაზე. ვიცოდით მხოლოდ ის, რომ აღსრულება დახვერტით ხდებოდა. თავდაპირველად ცნობილი იყო ისიც, რომ დახვერტის პროცედურას, ჯალათის გარდა, ესწრებოდნენ ექიმი, განაჩენის გამომტანი მოსამართლე და ბრალმდებელი პროკურორი. ჯალათის ვინაობა ღრმად გასაიდუმლოებული იყო.

საყურადღებოა ლ. ბერიას დახვერტის პროცედურა, რომელსაც განაჩენის აღსრულების ერთერთი დამსწრე-მიტროვანე კუჭავა აღწერს. ბერიას დახვერტის განაჩენი სამხედრო შტაბის შენობაში აღუსრულებიათ.

„სიკვდილმისჯილი სამხედროებმა შემოიყვანეს. იგი ორ ჯარისკაცს გაკავებული მოჰყავდა, ნერვიულობდა. იმავე მუქ კოსტუმში იყო გამოწყობილი, რომლითაც პროცესზე იჯდა. კედელზე რკინის ორი რგოლი იყო მიმაგრებული. სამხედროებმა იგი კედელთან დააყენეს და გვერდზე გადგნენ. გენერალური პროკურორი რუდენკო მივიდა ბერიასთან, განაჩენი 'უაიკითხა. ლავრენტი ბერიამ საბოლოო სიტყვა მოითხოვა. იგი ჯერ გარკვევით ლაპარაკობდა, შემდეგ კი აბუტბუტდა. რუდენკომ უთხრა: ბერია თქვენ აბსოლუტურად გაუგებრად ლაპარაკობთ, სასამართლოზე ხომ ყველაფერი უკვე თქვით. პროკურორმა საკუთარი ხელებით ბერიას თეთრი ნაჭრით თვალები აუხვია,

²⁸ თ. შავიშვილი, ჯალათი, ჟურ., „საბჭოთა სამართალი“, 1965, №1, 72-74-ე გვ.

²⁹ სიკვდილით დასჯის საჯაროდ აღსრულების მთელი სისასტიკე დაშინების თეორიის ნაყოფია. ამ თეორიის ნაყოფია ჯალათის პოპულარობაც. სიკვდილით დასჯის საჯარო აღსრულების წესის უარყოფა და საბოლოოდ სიკვდილის დასჯის გაუქმებისაკენ შემობრუნება დაშინების თეორიის კრიზისის შედეგია.

განზე გადადგა და წარმოთქვა: „განაჩენი მოიყვანეთ სის-
რულეში“. ჯარისკაცებმა იგი კედელზე ჩასობილ რგოლებზე
მიაბეს.

კედელზე მიბმულ ბერიას წინ 10-15 მეტრის მოშორებით
ვიდექით მე, მოსკალენკო, ბატიცკი, გეტმანოვი, იუფეროვი და
სხვა სანოქალაქო თუ სამხედრო პირები. ბატიცკიმ ერთი
ნაბიჯი გადადგა, ამოიღო „ტტ“ და ბერიას დაუმიზნა. გაისმა
სროლის ხმა, ტყვიამ ბერიას შუბლში გაუარა და იგი რგოლე-
ბზე ჩამოეკიდა. ექიმმა მისი სიკვდილი დაამოწმა. ლაერენტი
ბერიას გვამი ბრეზენტში გაახვიეს, ჩვენ კი თავშესაფრიდან
გამოვედით.³⁰

რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, დახვერტა ამჟამად ბევრ
ქვეყანაში გამოიყენება სიკვდილით დასჯის აღსრულებისათ-
ვის. ამერიკის შეერთებულ შტატებში სიკვდილის განაჩენს
სიკვდილძისჯილის ელექტროსკამზე დასმით აღასრულებენ.
იმის გამო, რომ სიკვდილით დასჯის პროცედურა გასაიდ-
უმლოებულა, ჩვენი თანამედროვე საზოგადოებრივი აზრი
ჯალათის ფიგურას თითქმის არ შეხება. ჩვენში, მაგალითად,
არც არაჟინ იცის, ვინ აღასრულებს სიკვდილით განაჩენს და
ამიტომ ჯალათის მიმართ არც ავი თქმულა და არც კარგი.
ყოველ შემთხვევაში, სიკვდილით დასჯის მომხრეები ალბათ
ნაკლებად დაფიქრებულან იმაზე, თუ რამდენად ესიამოვნე-
ბათ მათ ჯალათთან ურთიერთობა, თუკი ამის შესაძლებლობა
მიეცემათ.¹¹

³⁰ მიქროფანე კუჭავა, ლაერენტი ბერიას და მის თანამზრახველთა სასამართ-
ლო პროცესი (სასამართლოს წევრის დღიურიდან), თბილისი, 1996, 60-61-ე გვ.

³¹ აი რას ამბობს მაქსიმოვი ჯალათის გამო: ციმბირში „გლეხებს ეზიზღებოდათ
გაენაწილებათ ჯალათისათვის პურის ლუკმა, მიეპატიებოდათ იგი სუფრასთან, მისი
ხელის შეხებ წაბილწვად იყო მიჩნეული“. მითითებულია ნ. ტავანცევის ხსენებული
თხზულების (იხილეთ, 1430-31-ე გვ.

სიკვდილით დასჯის სტატისტიკა

ჯ. ხეცურიანი აღნიშნავს, რომ სიკვდილით დასჯა უპირატესად პოლიტიკური და რელიგიური დანაშაულებისათვის გამოიყენებოდა.³² ეს, რასაკვირველია, სწორი მოსაზრებაა. თუმცა გასათვალისწინებელია ისიც, რომ რელიგიური დანაშაულებისათვის სიკვდილით სჯიდნენ დასავლეთ ევროპის ქვეყნებში უპირატესად მაშინ, როცა იქ რელიგიური ფასატიზმი ბატონობდა. ახალ დროში რელიგიის ადგილი ნაციონალიზმმა დაიკავა. მაგალითად, ცნობილია, რომ ნაციზმის ხანაში მარტო ექვს მილიონამდე ებრაელი გაუღიტეს. ბევრი სიკვდილის განაჩენია გმოტანილი აგრეთვე განზრახ მკვლელობისათვის დამამძიმებელი გარემოების დროს. საზოგადოებრივი აზრი დღესაც ვერ ეგუება იმას, რომ საქართველოში სიკვდილით დასჯა ამ დანაშაულისათვის გაუქმდა.

განსაკუთრებით ხშირი იყო სიკვდილით დასჯის შემთხვევები შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპაში, სადაც მაშინ რელიგიური ფანატიზმი ბატონობდა და მწვალებლებს ყოველგვარი სისასტიკით ებრძოდნენ. ეს იყო პერიოდი, როცა სიკვდილით დასჯა ყველაზე საუკეთესო საშუალებად იყო მიჩნეული თავისუფალ მოაზროვნეთა წინააღმდეგ.

ზუსტი სტატისტიკური მონაცემები ჩვენამდე თუქცა არ შემორჩენილა, მაგრამ ის მაინც ვიცით, რომ შუა საუკუნეებში ღვთის სახელით ათეული ათასობით ადამიანი გამოასაღმეს სიცოცხლეს. ზოგჯერ მთელ ქალაქებსა დაპროვინციებსაც კი ცეცხლითა და მახვილით ანადგურებდნენ ეკლესიის წარმომადგენელთა ბრძანებით. როგორც ნ. ტაგანცევი წერს მარტო ესპანეთში ინკვიზიციამ დაწვა 35.000 კაცი. 1568წ. 16 თებერვალს წმინდა ინკვიზიციამ გაასამართლა და სიკვდილი მიუსაჯა ნიდერლანდების ყველა მცხოვრებს მწვალებლობისათვის იმათი გამოკლებით, ვისი სახელიც პირდაპირ იყო მითითებული. ფილიპე მეორემ, რომელმაც ეს საშინელი განაჩენი დაამტკიცა,

³² ჯ. ხეცურიანი, სიკვდილით დასჯა, 26-ე გვ.

ბრძანა მისი დაუყოვნებლივ აღსრულება და მოკვდინება ყველა-სი განუზრუნველად სქესისა, ასაკისა და რანგისა. მართალია, ეს განაჩენი მთლიანად ვერ მოიყვანეს სისრულეში, მაგრამ ნიდერლანდებში ზოგიერთის გამოთვლით კარლოს მეხუთის სასამართლოებმა მაშინ სიკვდილით დასაჯეს 50.000 კაცი, ხოლო ზოგის ახრით იმ დროს 100.000- მდე მწვალებელი დახოცეს.³³

მე-15 საუკუნეში, სტატისტიკური მონაცემების თანახმად, სიკვდილით დასჯის შემთხვევებმა თანდათანობით იკლო.³⁴ ამ მონაცემებზე დაყრდნობით რუსი იურისტი ნ. ტაგანცევი გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში იმედს გამოთქვამდა, რომ „შეღარებით ახლოა ის დრო, როცა სიკვდილით დასჯა ისევე გაქრება კოდექსებიდან, როგორც გაქრა მისი განუყრელი თანამგზავრები – წამება, ასოთდამზიანებელი სასჯელები, დადაღვა, შოლტი და როზგი“.³⁵

მიუხედავად იმისა, რომ ეს დებულება არსებითად სწორია, მე-20 საუკუნეში მაინც ბევრი სისხლი დაიდგარა და სიკვდილით დასჯის არული გაუქმებაც შეღარებით დიდი ხნით გადაიდო. ორმა მსოფლიო ომმა, რომლებიც კაცობრიობამ ამ საუკუნეში გადაიტანა, ხელი შეუწყო სიკვდილით დასჯის ისეთი ფართო მასშტაბებით გამოყენებას, რომლებიც შუა საუკუნეებს, თუ არ აჭარბებდა, ყოველ შემთხვევაში, არ ჩამორჩებოდა მაინც.

ცნობილია, რომ მილიონობით ადამიანი ჩახოცეს ფაშისტურ საკონტრეტაიო ბანაკებში, ხოლო ასევე მილიონობით სიცოცხლე შეიწირა აღმოსავლეთ ევროპაში რუსული კომუნისტების იდვამ 20-30-40-იან და მომდევნო წლებში. სუსტი სტატისტიკური მონაცემები ჯერჯერობით არ არსებობს, რადგან საბჭოთა კავშირში 1934 წლიდან სიკვდილით დასჯის სტატისტიკა ოფიციალურად არ ქვეყნდებოდა.³⁶

³³ Н. С. Таганцев, указ. сач. стр. 1431.

³⁴ შეღარებით დაწერილებით სტატისტიკური მონაცემები ნახეთ ნ. ტაგანცევის ხსენებულ თხზულებაში, 1432-1435-ე გვ.

³⁵ Н. С. Таганцев, указ. сач. стр. 1435-36.

³⁶ ჯ. ხეცურიანი, შით. ნაშრომი, 27-ე გვ.

სამაგიეროდ უახლეს პუბლიკაციებზე დაყრდნობით ჩვენ შეგვიძლია მოვიტანოთ ოციანი წლების სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც საქართველოში მომხდარ რეპრესიებს ასახავს. უნდა ითქვას ისიც, რომ ამ პერიოდში სიკვდილით დასჯის გამოყენება გასცდა სასამართლოს საქმიანობას. მაშინ ამ სასჯელის მისჯისა და აღსრულების უფლება მიცემული ჰქონდა ძირითადად ქართველი ჯალათებით დაკომპლექტებულ რუსულ „საგანგებო კომისიას“ („ჩეკა“).

ათასობით ადამიანი დახვრიტეს მთელ საქართველოში მარტო 1924 წლის აგვისტოს აჯანყების ჩახშობის შემდეგ. გერმანელი პროფესორი ობსტი, რომელიც 1924 წლის შემოდგომაზე თბილისში იმყოფებოდა, თავის ნაშრომში „საქართველო“ წერდა: „გაუგონარი მძვინვარებით მოსპეს აჯანყება. ოფიციალური სტატისტიკა თუმცა აცხადებს, რამოდენიმე ასი კაცი სამხედრო სასამართლოს განაჩენით დაიხვრიტარი, მაგრამ ვილას აინტერესებს ეს რიცხვი... ნამდვილი მსხვერპლი ათასობით ითვლება. ისინი დახვრიტეს გაუსამართლებლად, ხშირად იმ შემთხვევაშიც, როცა დაბეჯითებით იცოდნენ, რომ ისინი აჯანყებაში სრულებითაც არ მონაწილეობდნენ.“³⁷

ზუსტი სტატისტიკური მონაცემები ამ დახვრეტებისა, რასაკვირველია, გასაგები მიზეზების გამო, არ არსებობს. მაგრამ არის ამ აჯანყების ერთი ტრაგიკული ეპიზოდი, სადაც დახვრეტილთა ზუსტმა ციფრმა ჩვენამდე მოაღწია. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ზესტაფონში მომხდარი სისხლისღვრა, სადაც ჭიათურა-სანხერის ახალგაზრდობა მატარებლის ვაგონებში სრულიად გაუსამართლებლად ტყვიამფრქვევებით ამოხოცეს. ამ სისხლისღვრის დამსწრე ვ. ჩუბინიძემ თავის ორტომიან „მოგონებაში“ (პარიზი, 1953) გადმოგვცა ზუსტი რიცხვი ვაგონებში დახვრეტილებისა. სულ იქ 95 კაცი ყოფილა.³⁸

³⁷ ობსტის სიტყვები გადმოცემულია ნ. კირთაძის წიგნიდან „1924 წლის აჯანყება საქართველოში“, 1996, 183-84-ე გვ.

³⁸ ნ. კირთაძე, მით. ნაშრომი, აქვეა მოცემული დახვრეტილთა სრული სია (188-90-ე გვ).

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ვითარება ამ მხრივ მიეღო მსოფლიოში რადიკალურად შეიცვალა და ასე თუ ისე ჩვეულ კალაპოტში ჩადგა. თანდათანობით იმატა იმ ქვეყნების რიცხვმა, რომლებმაც სიკვდილით დასჯა საერთოდ გააუქმეს³⁹ ხოლო, სადაც ეს სასჯელი დარჩა, იქ შეძლებისდაგვარად მისმა გამოყენებამ იკლო.

საყურადღებოა იმ ქვეყნების სტატისტიკური მონაცემები, სადაც სამწლიან პერიოდში (1985-1988) სიკვდილით დასაჯეს 50-ზე მეტი კაცი. ოფიციალური სტატისტიკა ასეთია: მაღალიზია - 52, საბჭოთა კავშირი - 63, აშშ - 66, პაკისტანი - 115, საუდის არაბეთი - 140, სომალი - 150, ნიგერია - 439, ჩინეთი - 500, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა - 537, ირანი - 743.⁴⁰

1992 წელს 35 ქვეყანაში სიკვდილით დასაჯეს 1798 კაცი, ხოლო 6: ქვეყანაში სულ სიკვდილის განაჩენი გამოტანილი იყო 2697 კაცის მიმართ. ეს სტატისტიკური ცნობა აღებულია „ემნისტი ინტერნეიშლის“ („საერთაშორისო ამნისტია“) მონაცემებიდან. როგორც ამბობენ, რეალური სურათი შეიძლება უფრო უარესი იყოს.⁴¹

1934 წლის შემდეგ საბჭოთა კავშირში დანაშაულის სტატისტიკა აღარ ქვეყნდებოდა. მით უმეტეს არ ქვეყნდებოდა სიკვდილით დასჯის სტატისტიკა. პირველად სიკვდილით დასჯის სტატისტიკა 1934 წლის შემდეგ საბჭოთა კავშირის მასშტაბით გამოქვეყნდა 1991 წელს მაშინდელი საქართველოს იუსტიციის მინისტრის ჯ. ხეცურიანის ინიციატივითა და ძალისხმევით, რაც საგანგებოდ აღნიშნა ისეთმა საერთაშორისო ორგანიზაციამ, როგორცაა „საერთაშორისო ამნისტია“. ამ ორგანიზაციამ სპეციალური გამოკვლევაც კი მიუძღვნა

³⁹ „ამნისტი ინტერნეიშლის“ 1994 წლის მონაცემებით 52 ქვეყანამ საერთოდ გააუქმა სიკვდილით დასჯა, ხოლო 103 ქვეყანაში ამ დროისათვის სიკვდილით დასჯა იყო, იხ. „მართლსაჯულების მაცნე“, 1994, №3, 19-ე გვ. დღეისათვის ამ ქვეყნების რიცხვს უკვე გამოაკლდა საქართველო.

⁴⁰ Кт где убивают государство... Мю 1989, с. 408. მითითებულია ჯ. ხეცურიანის წიგნის მიხედვით, იხ. 26-ე გვ.

⁴¹ იხ. „მართლსაჯულების მაცნე“, 1994, №3, 23-ე გვ.

საქართველოში სიკვდილით დასჯის მდგომარეობას. 1980-1991 წლებში საქართველოში სიკვდილი მიესაჯა 124 კაცს, აქედან 65 სიკვდილის განაჩენი აღსრულდა. ამ განაჩენებიდან 6 ეკონომიკური დანაშაულისათვის იყო გამოტანილი.⁴²

„საერთაშორისო ამნისტიის“ მონაცემებით 1993 წ. საქართველოში სიკვდილით დაისაჯა 13 ადამიანი (იხ. დოკუმენტი – Грузия, смертная казнь-последние сведения).

1998 წ.

⁴² ჯ. ხეცურიანი, შიშ. ნაშრომი, 27-ე გვ.

თ. შავგულიძის შეხედულება სამართლებრივი ცოდნისა და მართლშეგნების საკითხებზე

მრავალმხრივი და მრავალფეროვანი იყო პროფ. თ. შავგულიძის საქმეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობა. ამასთან, მან როგორც ადამიანმა და როგორც მკვლევარმა ყველგან ორიგინალური კვალი დატოვა, რისი მნიშვნელობა, რაც დრო გადის კიდევ უფრო მეტად იზრდება და ნათელი ხდება.

პროფ. თ. შავგულიძემ მოტივაციისა და განწყობის უახლესი გაგების პოზიციებიდან პირველმა კომპლექსურად, ყველაზე სრულყოფილად და ორიგინალურად განიხილა სამართლებრივი ცოდნის, კანონებისა და მართლშეგნების აქტუალური პრობლემები, ჩამოაყალიბა ორიგინალური შეხედულებები სამართლებრივი ცოდნისა და შეგნების, მოტივაციისა და განწყობის სოციალურ-ფსიქოლოგიურ ასპექტებზე, რომელთა შემდგომ კვლევას დიდი მნიშვნელობა ენიჭება სამართლებრივი და საერთოდ ყოველგვარი აღზრდის თეორიასა და პრაქტიკაში ქვეყნის ექსპერტიზული ტრანსფორმაციის წარმატებით განხორციელებაში.

პროფ. თ. შავგულიძის აზრით, მართლშეგნება არის სამართლის ნორმების არსში წედომა, მისი მოთხოვნების განხორციელების აუცილებლობის შინაგანი რწმენა და შესაბამისი პრაქტიკული მოქმედების მზაობა, განწყობა, რაც შემდეგ თვალსაჩინოდ პრაქტიკულ მოქმედებაში ვლინდება. ასეთ შეგნებამდე, თ. შავგულიძის აზრით, მართლშეგნების სუბიექტი მხოლოდ მოტივაციის გზით მიდის. ამის დასაბუთებისათვის თავის შრომებში იგი შემოქმედებითად იყენებს მოტივაციის შესახებ უახლეს შეხედულებებს და მის მთელ რიგ სოციალურ-ფსიქოლოგიურ ასპექტებს თავისებურად ანვითარებს. მოტივაციისა და გან-

წყობის შესახებ გამოთქვამს მთელ რიგ ახალ მოსაზრებებს, რაც ხელს უწყობს მართლშეგნების საკითხებზე არსებული შეხედულებების შემდგომ სრულყოფასა და განვითარებას.

ყველა რუსი ავტორი, ვინც მართლშეგნებას ეხება, მაგალითად, ე. ლუკაშევა, ვ. კამინსკაია, ა. რატინოვი, ვ. კულჩაიკოვი და სხვები. მართლშეგნების სხვა და სხვა არსებით ინიშნებზე მიანიშნებენ და ხელს უწყობენ მისი განსაზღვრების სრულყოფას. მიუხედავად ამისა თითოეული მათგანი ვერც ცალცალკე და ვერც ერთად აღებული მართლშეგნების არსებას სრულყოფილად ვერ გამოხატავენ.

მართლშეგნების ყველაზე სრულყოფილი და ორიგინალური განსაზღვრება, ვფიქრობთ, მოგვცა თ. შავგულიშემ, რომლის მიხედვით მართლშეგნება წმინდა სუბიექტური ფენოქენია. ის წარმოადგენს ადამიანის შინაგან რწმენას, მის მზაობას განწყობას შეასრულოს სამართლის ნორმების მოთხოვნები (იხ. საზოგადოებრივი აზრი და მართლშეგნება დინამიკაში. რუს. თბილისი, 1990 წ. გვ. 115-116). თუ სრულყოფილად გავითვალისწინებთ რწმენისა და შესაბამისი მზაობის, განწყობის არსებას და ადგილს ადამიანის ქცევის ფსიქოლოგიურ მექანიზმში ამაზე ნათლად და ზუსტად მართლშეგნების განსაზღვრება ჯერ არავის მოუცია. ეს განსაზღვრება გაკეთებულია უახლოესი გვარისა და სპეციფიკური ნიშნის მიხედვით, რაც განსაზღვრების ლოგიკური წესების ყველა დანარჩენ მოთხოვნებს აკმაყოფილებს. მართლშეგნების უახლოესი გვარია რწმენა, ხოლო სახეობის არსებითი ნიშანი, რაც მას რწმენის სხვა სახეებისაგან განასხვავებს, სამართლის ნორმების ცოდნა, მისი მოთხოვნების განხორციელების აუცილებლობის განცდა, შეგნება და შესაბამისი მოქმედების შინაგანი მზაობა.

ამრიგად, მოცემულ განსაზღვრებაში მართლშეგნების არსება ლაკონურად, მოკლედ და მკაფიოდ არის გადმოცემული, როგორც სამართლის მოთხოვნების განხორციელების აუცილებლობის შინაგანი რწმენა, შესაბამისი ქცევის მზაობა, განწყობა, რაც როგორც წესი, პიროვნების სოციალიზაციის პროცესში

ხანგრძლივი და მომენტალური მოტივაციის საფუძველზე ყალიბდება.

მარილშეგნების ასეთი გაგებით ავტორმა რწმენის ერთ-ერთი ყველაზე სპეციფიკური და უმაღლესი სახე – შეგნებულ რწმენა გამოკვეთა, რაც მოტივაციის გზით ცოდნისა და მისი შეგნების საფუძველზე აღმოცენდება. ამ განსაზღვრების სიზუსტე რომ უფრო ნათელი გახდეს, საჭიროდ მიგვაჩნია მართლშეგნება, როგორც შეგნებულ რწმენის ერთერთი სახე რწმენის სხვა სახეებთან კავშირში განვიხილოთ.

როგორც ცნობილია, რწმენა ადამიანისათვის სპეციფიკური მოქმედების, (სოციალური აქტიურობის) უზენაესი მამოძრავებელი ძალაა. ადამიანი ყველაფერს აკეთებს იმ რწმენით, რომ იგი მოცემულ ვითარებაში მისთვის ყველაზე მიზანშეწონილი, შესაძლებელი და აუცილებელი მოქმედებაა. ამასთან, ადამიანისათვის ყველაფერი არსებობს იმდენად და იმ სახით, რამდენადაც და რა სახითაც მას მათი არსებობა სწამს.

თ. შავგულიძე შემოქმედებითად იყენებს რა ფსიქოლოგების მიერ ჩამოყალიბებულ უახლეს შეხედულებებსა და დასკვნებს, მთელ რიგ შემთხვევაში მათ კიდევ ანვითარებს. მაგალითად, თავისი ცოსაზრებების ფსიქოლოგიური ასპექტების ანალიზის დროს იგი ძირითადად დ. უზნაძის განწყობის თეორიას ეყრდნობა. მიაი შემოქმედებითი გამოყენებით ადამიანის შინაგანი სამყაროს ლაბირინთებში სამართლის მეცნიერებისათვის და არა მარტო სამართლისათვის, თვით ფსიქოლოგიისათვისაც მანამდე უცნობ მთელ რიგ საინტერესო მოვლენებს პირველმა მიაქცია ყურადღება, რომელთა საფუძველზე ახალი მნიშვნელოვანი დასკვნებიც გააკეთა. მის მიერ ახლად დანახული ფაქტებისა და კანონზომიერებათა ლოგიკამ ავტორი ფიქსირებული გენერალური განწყობის აღმოჩენამდე მიიყვანა. ამით მან სრულიად ახალი სიტყვა თქვა განწყობის თეორიაში და საერთოდ ქცევის ფსიქოლოგიაში. ეს ფაქტი თავის დროზე აკად. ა. ფრანგიშვილმა და პროფ. ვ. კაკაბაძემაც შენიშნეს და ამ მიმართულებით შემდგომი მუშაობა განწყობის ფსიქოლო-

გვისათვის საინტერესოდ მიიჩნევს (იხ. საბჭოთა სამართალი, თბილისი 1982, №5, გვ. 58)

ავტორის აზრით, „გენერალური განწყობა“ თავის ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირების კანონზომიერებითა და მასშტაბებით არსებითად განსხვავდება როგორც ჩვეულებრივი, კონკრეტული ისე ინტეგრირებული მოქმედებისა და ქცევის ახლად შექმნილი თუ ფიქსირებული განწყობისაგან. ადამიანთა სამართლებრივი აღზრდა კი საბოლოოდ გენერალური ქცევის სამართლებრივი ნორმების შეგნებას, მათი შესრულებას გენერალური განწყობების ჩამოყალიბებას ნიშნავს.

ამგვარი განწყობა კონკრეტულ მოქმედებათა განწყობების გაერთიანების საფუძველზე ფიქსირდება და იქცევა სოციალურ გენერალურ განწყობად. მას შემდეგ, რაც ადამიანს გამოუმუშავდა გენერალური ქცევის განწყობა, მისი იმგვარი მოდიფიცირება ხდება, რომ ყველა დანარჩენი ქცევა მის სფეროში დაექვემდებარება მის განწყობას. ფიქსირებული გენერალური განწყობის აღმოცენება ნიშნავს სხვა და სხვა ქცევის განხორციელებისათვის მზაობას, რომლებიც ემსახურებიან გენერალური მიზნის მიღწევას. ამის შემდეგ რაიმე სხვა მოთხოვნალების დაკმაყოფილების მოქმედების მოტივაციის პროცესში გენერალური მოტივიც ღებულობს მონაწილეობას მოტივაციის ძლიერი ფაქტორის სახით. მისი მოქმედება იმაში გამოიხატება, რომ ის ხელს უშლის იმ მოტივის გამომუშავებას, რომელიც ეწინააღმდეგება გენერალურ მიზანს. სანამ ფიქსირებული გენერალური განწყობა არსებობს, იგი გამორიცხავს მისი საწინააღმდეგო განწყობის წარმოშობის შესაძლებლობას. ასეთი განწყობის წარმოშობა შესაძლებელია მხოლოდ გენერალური განწყობის მოხსნის შემდეგ. (იხ. გვ. 120)

ასეთი არგუმენტირებული წანამკვდრების შემდეგ ავტორი დაასკვნის, რომ „არაფერი ისე თვალსაჩინოდ არ წარმოაჩენს ინდივიდის სოციალურსა და სამართლებრივ ღირებულებებს, როგორც მისი გენერალური ქცევის მიზანი, მოტივი და ფიქსირებული განწყობა. სწორედ ამ სფეროებში ვლინდება ადა-

მიანის სოციალურ და სამართლებრივ ღირებულებათა მთელი სისტემა, რაც ძირითადად განსაზღვრავს მის სოციალურ და სამართლებრივ სახეს.“ (იხ. იქვე, გვ. 121). ამ დრმა და ლაკონური დასკვნის საწინააღმდეგოდ, ვფიქრობ, ძალიან ძნელია რაიმე არგუმენტის წამოყენება.

ასევე, მოკლედ, თეზისების სახით აქვს მას მოცემული მთელი რიგი სხვა შეხედულებები და დასკვნები ქცევის ფსიქოლოგიური მექანიზმის, მისი აღმკვერელი და მიმართულების მიმცემი ფაქტორების, მართლშეგნებისა და საზოგადოებრივი აზრის ურთიერთდამოკიდებულების როლისა და ადგილის შესახებ ადამიანის ქცევის ფაქტორთა სისტემაში. მათი გაცნობა და სიღრმისეული გააზრება არა მარტო სამართლის, არამედ ადამიანის პრობლემებით დაინტერესებულ საზოგადოებათმცნიერებს მომიჯნავე დარგების სპეციალისტს უსათუოდ დააინტერესებს და დაეხმარება კიდევ ამ კუთხით მათთვის საჭირო პრობლემების უკეთ დანახვასა და გააზრებაში.

აღსანიშნავია, რომ თ. შავგულიძე თავის ბოლო დროინდელ შრომებში კიდევ უფრო სრულყოფს ადამიანის ქცევის განმსაზღვრელი მოტივაციის ფაქტორთა სისტემის ფსიქოლოგიური მექანიზმის ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირების ძირითადი ეტაპების გაგებას. ამ ასპექტში მას პირველად შემოაქვს ხმარებაში სრულიად ახალი ახსნითი ცნებები: „ზოგადი მიზანი“, „ზოგადი განწყობა“, „გენერალური მიზანი“, „გენერალური მოტივი“, „გენერალური განწყობა“ აგრეთვე პიროვნების შესაძლო ნებისმიერი და იმპულსური მოქმედების მიზნის, მოტივის, მოტივაციის ფაქტორების, ქცევის შაბლონების ფიქსირებული გენერალური განწყობის ჩამოყალიბებისა და მათი რეალიზაციის პოტენციური ველის ცნებები და სხვა.

ეს ცნებები ასახავენ იმ გზას, რომელსაც ადამიანი სხვა და სხვა ფაქტორების ზემოქმედებით კონკრეტული მოთხოვნილებიდან მიზნის, მოტივისა და განწყობისაკენ მიჰყავს, აქედან ზოგადი მოტივისა და განწყობისაკენ, ხოლო ბოლოს – მათ გენერალურ მიზნად, მოტივად და განწყობად გარდაქმნას გა-

ნაპირობებს. ეს გზა ადამიანის პიროვნებად ჩამოყალიბებისა და გამოვლენების ერთადერთი გზა არის. ამ გზით ყალიბდება ადამიანის ყოველგვარი თვისებები, რასაც საზოგადოებისათვის სიკეთე და სიხარული ან ზიანი და უსიამოვნება მოაქვს. ამიტომ, ამ გზაზე ადამიანის მამოძრავებელი და მიმართულების მიმცემ ფაქტორთა სისტემის შიგნით ურთიერთზემოქმედებისა და განვითარების, ერთი თვისებრიობიდან მეორეში გადასვლის მთლიანი მექანიზმის საიდუმლოებათა ახსნას დიდი მნიშვნელობა ენიჭება არა მარტო სამართლის თეორიასა და პრაქტიკაში, არამედ საერთოდ ადამიანთა აღზრდისა და სოციალური პროცესების კომპლექტურ მართვაში.

ამრიგად, თ. შავეგულიძემ შემოგვთავაზა დანაშაულებრივი ქცევის ფაქტორთა სისტემის ფსიქოლოგიური მექანიზმისა და სტრუქტურის ახლებური გაგება, რომელიც სხვა ცნობიდი სტრუქტურებთან შედარებით უფრო კონკრეტულია. ასევე, თავისი საკუთარი მოსაზრებები გამოთქვა მოტივაციის პროცესისა და მის ფაქტორთა სისტემის პრინციპულ საკითხებზე, რითაც ხელი შეუწყო გამოთქმულ მოსაზრებათა შემდგომ დაკონკრეტებასა და სრულყოფას.

ჩანაშაულებრივი ქვევის მოტივაციის სისტემური გაბეზისათვის

შესავალი

დანაშაულის სწორი კვალიფიკაციის, სასჯელის ზომის ზუსტი განსაზღვრისა და მართმსაჯულების განხორციელებისათვის აუცილებელია დამნაშავე სუბიექტისა და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სისტემური ანალიზი, რაც ნიშნავს დანაშაულებრივი ქმედების მოტივაციის აღმქველი, წამმართველი და მიმართულების მიმცემი სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების განხილვას ურთიერთკავშირში, ურთიერთზემოქმედებასა და თანამოქმედებაში.

ცნობილია, რომ ადამიანი დამოუკიდებელი ბიოფსიქოსოციალური სისტემა, მის ბუნებრივ და სოციალურ გარემოსთან, როგორც წესი, დინამიკური წონასწორობის მდგომარეობაში იმყოფება, რაც, ჩვეულებრივ პერიოდულად ირღვევა და აღდგენას საჭიროებს. ამ საჭიროების გაცნობიერება მოთხოვნილების სახით შეაბამისი მოქმედების მოტივაციის პროცესს აღძრავს. მოტივაციის პროცესში ადამიანის წინაშე მოთხოვნილების დაკმაყოფილების მოქმედების სხვადასხვა შესაძლებლობათა მეტად ან ნაკლებად ფართო არჩევანი დგება. აქედან თუ რომელს აირჩევს ადამიანი, ეს დამოკიდებულია როგორც გარეგანი ობიექტური, ისე შინაგანი სუბიექტური ფაქტორების ურთიერთზემოქმედებისა და თანამოქმედების შედეგებზე, რომლის დასაბუთებაც მოტივაციის პროცესში ხორციელდება.

მოტივაციის პროცესში მონაწილე სუბიექტური ფაქტორებიდან განსაკუთრებულ როლს თამაშობენ მოთხოვნილებები, ინტერესები, ღირებულებითი ორიენტაციები, ადრე ჩამოყალიბებული მიზნები, მოტივები, განწყობები, დამოკიდებულებები და სხვა; ობიექტური ფაქტორებიდან კი – მოთხოვნილების საგანი, მისი მოპოვებისა და მოხმარების ობიექტური, სოციალურად განსაზღვრული სამართლებრივი და მორალური ნორმები, მათი დაცვის მდგომარეობა, საზოგადოებაში გაბატონებული ინტერე-

სები, ღირებულებითი ორიენტაციები და სხვა.

მოტივაციის შედეგად ყალიბდება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დანაშაულებრივი მოქმედების ან მისგან თავის შეკავების მოტივი, რომლის ფაქტორების შეცნობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ბრალდების დასაბუთების, სასჯელის ზომის განსაზღვრისა და მართლმსაჯულების განხორციელებისათვის. ამასთან, დანაშაულებრივი მოქმედების მოტივის გარკვევას დიდი მნიშვნელობა აქვს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი ან დამამძიმებელი გარემოებების დადგენისათვის, ბრალდებულის მოქმედებაში საზოგადოებრივად საშიში ნიშნების გამორიცხვისა ან დადასტურებისათვის. უფრო მეტიც, იმის მიხედვით, თუ რა მოტივით იყო განპირობებული, ერთი და იგივე მოქმედებისათვის შესაძლებელია მისი სუბიექტი ერთ შემთხვევაში სასჯელის უმაღლეს ზომას, ხოლო მეორე შემთხვევაში, პირიქით, მადლობასა და წახალისებას იმსახურებდეს.

მოტივაციისა და მოტივის ასეთი დიდი მნიშვნელობის მიუხედავად, მათ შესახებ სპეციალისტებს შორის დღემდე არ არსებობს ერთიანი და სრულყოფილი, მეცნიერულად დასაბუთებული შეხედულება, ამასთან, იურისტებსა და ფსიქოლოგებს შორის მოტივების სრულიად სხვადასხვაგვარი გაგება არსებობს: სამართალში მოტივებს უწოდებენ შურისძიებას, ანგარებას, ხულიგნურ მისწრაფებებს, ეჭვიანობას, შეუთავსებელ დამოკიდებულებებს და სხვა; ფსიქოლოგიაში მოტივებად მიიჩნევენ მოთხოვნილებებს, ინტერესებს, სურვილებს, მისწრაფებებს, ემოციებს, მოთხოვნილებების საგნებს და ა. შ.

ჩვენი აზრით, აღნიშნული ფსიქიკური თვისებები, მართალია, მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან როლს თამაშობენ სხვადასხვა ნებისმიერ მოქმედებათა პროცესსა და მოტივის ჩამოყალიბებაში, მაგრამ არც ერთი მათგანი თავისთავად მოტივად არ შეიძლება ჩაითვალოს. სინამდვილეში, მოტივი არის მოტივაციის შედეგად რაიმეს შესახებ ჩამოყალიბებული აზრის, ჭეშმარიტების შინაგანი განცდა, რწმენა და შესაბამისი პრაქტიკული მოქმედების განწყობა, რაც შემდეგ რეალიზაციას განიცდის მოქმედებაში.

§. დანაშაულებრივი ქცევა – ადამიანის ნებისმიერი მოქმედების ერთ-ერთი სახე

დანაშაულებრივი ქცევა ადამიანის ნებისმიერი აქტი-
ურობის ერთ-ერთი სახეა. ჩვეულებრივი ნებისმიერი ქცევისა-
გან განსხვავებით, იგი სამართლის ნორმის დარღვევაა და
გარკვეულ პირობებში კანონით ისჯება. ყოველი ქცევა პრობ-
ლემურ ვითარებაში, როგორც წესი, ხორციელდება მოტივაციის
საფუძველზე.

მოტივაცია ადამიანის შინაგანი იდეალური მოქმედებაა,
რაც, წინ უსწრებს რა ნებისმიერ პრაქტიკულ მოქმედებას, აზ-
როვნების საშუალებით კანონზომიერად განსაზღვრავს მის
შინაარსსა და მიმართულებას.

დანაშაულის თავიდან აცილების ეფექტურ ღონისძიებათა
განხორციელება საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფერო-
ში შესაძლებელია მხოლოდ მოტივაციის კანონზომიერება-
თა გამოყენების საფუძველზე, რაც, სამწუხაროდ, დღემდე სუ-
ლყოფილად შესწავლილი არ არის. მათი შესწავლისა და
დადგენისათვის აუცილებელია მოტივაციის ფაქტორებისა და
ძირითადი ეტაპების სისტემური ანალიზი.

ადამიანის მოქმედების, ქცევის სისტემური ანალიზი ნიშ-
ნავს იმას, რომ მათი მოტივაციის ფაქტორების, ძირითადი
ეტაპები, შინაგანი და გარეგანი შედეგები ურთიერთკავშირში,
ურთიერთზემოქმედებასა და თანამოქმედებაში იყოს განხილუ-
ლი. წინააღმდეგარე ნაშრომიც სწორედ ამ საკითხებს ეძღვნება.

მოტივაცია ადამიანის ყოველგვარი მოქმედებისა და ქცე-
ვის საიდუმლოებათა გასაღებია. ყოველ კონკრეტულ ვითარე-
ბაში მისი საშუალებით ყალიბდება; მოთხოვნილება, ინტერესი,
მოზანი, მოტივი – რწმენა, გადაწყვეტილება, შესაბამისი შინა-
განი ცვლილებები და განწყობა, რაც შემდგომ საგნობრივად
და თვალსაჩინოდ გარეეთ მიმართულ პრაქტიკულ მოქმედე-
ბაში, ქცევასა და მის შედეგებში ვლინდება. ამიტომაც, „ქცევა
სარკეა, რომელშიც ყველა ადამიანი თავის სახეს უჩვენებს“

(გოეთე), ისევე, როგორც „კოკასა შიგან რაცა სდგას, იგივე გადმოდინდება“ (შ. რუსთაველი).

აღამიანი სამყაროს მრავალფეროვანი იერარქიული სისტემის მოძრაობისა და განვითარების ერთ-ერთი უსაღლესი საფეხურია. სხვა სისტემისაგან განსხვავებით, იგი ურთულესი და ერთადერთი ბიოფსიქოსოციალური არსებაა, რომელიც, როგორც სისტემა, სამყაროს თითქმის ყველა ძირითად ევისებას აერთიანებს. ამიტომაც მას, სამართლიანად, მიკროკოსმოსსაც უწოდებენ.

რაოდენ რთული ან მარტივი არ უნდა სხვადასხვა სისტემები და სინამდვილის რომელ სფეროსაც არ უნდა ეკუთვნოდეს ის, ყველა მათგანს აქვს წარმოშობის, განვითარებისა და გამოვლინების საერთო და სფეციფიკური, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი, კანონზომიერებები, რომელთა შეცნობა და გამოყენება გარკვეულ ფარგლებში სისტემების მუშაობაში შეგნებულად ჩარევისა და მათი სასურველი მიმართულებით წარმართვის შესაძლებლობებს იძლევა.

აღამიანთა დანაშაულებრივ მოქმედებებსაც აქვს სხვა მოქმედებებთან საერთო და მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი, სპეციფიკური თავისებურებებიც, მაგრამ არც ერთი და არც მეორე დღეისათვის სრულყოფილად შესწავლილი არ არის. დღემდე არ არსებობს მეცნიერულად დასაბუთებული ერთიანი საერთო აზრი ქცევის ისეთ ფაქტორებსა და ახსნით ცნებებზე, როგორიცაა: მოთხოვნილება, ინტერესი, მიზანი, მოტივაცია, მოტივი, რწმენა, მათი ურთიერთდამოკიდებულება და სხვა.

აღამიანი სამყაროს მრავალსაფეხურიანი იერარქიული სისტემის ერთ-ერთი საფეხურის კომპონენტი, რომელიც, თავის მხრივ, გარკვეული სისტემის სახით არსებობს. აგი, როგორც სისტემა და კომპონენტი, გარემოს სხვა სისტემებსა და კომპონენტებთან მუდმივ კავშირში, ურთიერთზემოქმედებასა და თანამოქმედებაში იმყოფება, რაც, ერთი მხრივ, მას თვისებრივად ცვლის და პიროვნებად აყალიბებს, ხოლო, მეორე მხრივ, იგი თვითონ ახდენს მათზე უკუზემოქმედებას და გარკვეულ

ფარგლებში მათ თვისებრივ ცვლილებებსაც იწვევს. ასე ფუნქციონირების ყოველი სისტემა და კომპონენტი განვითარების ყველა დონეზე, რაც კანონზომიერად განაპირობებს იერარქიული კიბის (უმარტივესიდან დაწყებული, სამყაროთი დამთავრებულ) ყოველი სისტემისა და კომპონენტის იმ სახით არსებობას და ფუნქციონირებას, როგორადაც ისინი არსებობენ და ფუნქციონირებენ.

ადამიანი, როგორც ბიოფსიქოსოციალური არსება, სამყაროს იერარქიული სისტემების ყველა საფეხურისა და კომპონენტისაგან განსხვავებით, სამი ძირითადი კომპონენტისაგან – ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური და სოციალური კომპონენტებისაგან შედგება. თითოეული მათგანი, თავის მხრივ, სხვადასხვა ქვესისტემის იერარქიულ კიბის მრავალ საფეხურს აერთიანებს.

ყველა ცოცხალ არსებასა და საგანს, გააჩნია თავისი გარე სამყარო, მაგრამ ადამიანი, მათგან განსხვავებით, ერთადერთი არსებაა, რომელიც, გარე სამყაროს ასახვისა და გაცნობიერების საფუძველზე, საკუთარ შინაგან სამყაროს აყალიბებს, რის საშუალებითაც გარე სამყაროსთან როგორც ცნობიერ, ისე შეგნებულ ურთიერთშემოქმედებასა და თანამოქმედებაში იმყოფება.

აღნიშნული თვისების გამო, სამყაროში ადამიანი გამოდის ნებისმიერი მოქმედების სუბიექტად, რომელიც, ცხოველური იმპულსური მოქმედებისაგან განსხვავებით, პრობლემურ ვითარებაში აზროვნების საშუალებით, მოტივაციის საფუძველზე, შეგნებულად წარმართავს თავის მოქმედებას.

მოტივაცია პრობლემურ ვითარებაში შინაგანი იდეალური მოქმედებაა. მისი ფუნქციაა – მოცემული ვითარებისთვის სუბიექტის მიერ ყველაზე მიზანშეწონილი და გამართლებული მოქმედების დასაბუთება, რაც, ყოველთვის წინ უძღვის რანებისმიერ პრაქტიკულ მოქმედებას, განსაზღვრავს მის მიმართულებასა და შინაარსს.

ნებისმიერი მოქმედების მოტივაციისა და პრობლემურ ვითარებაში

რებაში პრაქტიკული მოქმედების პირველად განხორციელების შედეგად მოტივაციის განვითარების ეტაპებისა და დინამიკურ ფაქტორთა ახალი ფუნქციონალური სისტემა წარმოიშობა, რაც მოქმედების შედეგების დადებითი უკუკავშირის შემოხვევაში თანდათანობით მტკიცდება და პიროვნების თვისებად იქცევა. ასე ყალიბდება პიროვნების ახალი თვისებები.

ადამიანის ყოველგვარი დანაშაულის, ანტისოციალური ქცევის მიზნობრივად თავიდან აცილების ერთადერთი საშუალება არსებობს. ეს არის მათი წარმომშობი კონკრეტული მიზეზების გარკვევა და მეცნიერულად დასაბუთებული შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

ისმება კითხვა: როგორ შეიძლება დანაშაულებრავე ქცევის მიზეზების მონახვა და მათზე საჭირო ზემოქმედების განხორციელება? ზოგადი პასუხი ამ კითხვაზე ცნობილია – ამის მიზეზი პიროვნებისა და გარემოს ურთიერთშემოქმედებაში უნდა ვეძიოთ,¹ მაგრამ ეს პასუხი ყოველი კონკრეტული პიროვნებისა და ყოველი დანაშაულის მიზეზების მონახვისა და მათზე ზემოქმედებისათვის საკმარისი არ არის. ამისთვის აუცილებელია პრობლემის საერთო და სპეციფიკური გასაღების მონახვა და გამოყენება. ვფიქრობთ, ასეთი გასაღები მოტივაციის ფაქტორებსა და ძირითადი პროცესების სისტემურ ანალიზში უნდა ვეძიოთ, რაც, თავის მხრივ დღემდე ასევე პრობლემად რჩება. თუმცა მათზე გამოთქმულია მრავალი სხვადასხვა ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრება. მათ შორის ერთ-ერთის მიხედვით, რომელსაც ჩვენ ვიზიარებთ, მოტივაცია, როგორც სუბიექტის შინაგანი იდეალური მოქმედება მსჯელობებისა და დასკვნების საფუძველზე ხორციელდება, რომლის მთავარი შედეგი საგნებისა და მოვლენების შესახებ გარკვეული აზრისა და მისი რწმენის ჩამოყალიბებაა. ეს შემ-

¹ გარემოში იგულისხმება არა მხოლოდ ფიზიკურად მოცემული გაზე სამყარო, არამედ ცნობიერებაში ასახული და სუბიექტისათვის იდეალურად მოცემული შინაგანი სამყარო, რომელიც გარკვეულ პირობებში მასზე იგივე ზემოქმედებას ახდენს და იგივე შედეგებს იწვევს, რასაც გარე სამყარო.

დეგ საფუძვლად ედება შესაბამის პრაქტიკულ მოქმედებას-
ქცევასა და საქმიანობას.

მოტივაცია ყოველთვის მსჯელობებისა და დასკვნების სა-
შუალებით ხორციელდება, ხოლო მსჯელობებსა და დასკვნებს,
როგორც წესი, ყოველთვის თან ახლავს შესაბამისი რწმენის
ჩამოყალიბება.

ამრიკად, რწმენას, როგორც მოტივს, ადამიანის უზენაეს
მამოძრავებელ ძალას, აყალიბებს მოტივაცია მსჯელობებისა
და დასკვნების საფუძველზე.

მოტივაციის პროცესში რწმენის ჩამოყალიბების მთა-
ვარი ფაქტორებია მოთხოვნილებები და ინტერესები. რისი
მოთხოვნილებაც აქვთ ადამიანებს, რაც აინტერესებთ, მისი
განხორციელების აუცილებლობაში ისინი უფრო სწრაფად და
ადვილად რწმუნდებიან. მაშასადამე, თუ გვინდა, რომ ადამიან-
ები დაეარწმუნოთ, უნდა დავეყრდნოთ მის მიმართ მათ რაიმე
მოთხოვნილებებსა და ინტერესებს ან, თუ ასეთი არ გააჩნიათ,
ისინი წინასწარ ჩამოვუყალიბოთ.

ადამიანთა ნებისმიერი მოქმედების, ქცევის აღძვრასა და
წარმართვისათვის, გარდა დაინტერესებისა, სხვა გზა არ არ-
სებობს. „ჩვენ ერთადერთი მამოძრავებელ ძალას ინტერესი
წარმოადგენს“ /ჰელვეციუსი/. „ინტერესის გარეშე, საზოგა-
დოებაში არაფერი ხდება“ /ჰეგელი/ და „ყველაფერი რასაც
ადამიანები აკეთებენ დაკავშირებულია მათ ინტერესებთან“
/მარქსი/.

ინტერესი, როგორც წესი, მოთხოვნილებიდან იღებს სა-
თავეს, მაკრამ მისი ჩამოყალიბებისათვის საჭიროა მოტივა-
ცია და კარგეული რწმენა. თავის მხრივ, ინტერესი თავად
წარმოადგენს რაიმეს მნიშვნელობის რწმენას. ამასთან, მით
უფრო დიდია მისი, როგორც მოქმედების აღმძვრელის, ადამი-
ანებზე სემოქმედების ძალა, რაც უფრო დიდია მნიშვნელობა,
რომელიც მასში სუბიექტს სწამს, ე.ი. რწმენა ისევე რწმენისა-
გან წარმოიშობა. ეს არის ადამიანის ფსიქიკური სამყაროს
ერთ-ერთ უზენაესი კანონი, რომლის შესახებ ჯერ კიდევ უ.

რუსთაველი გვამცნობს, რომ „მსგავსი ყველაი მსგავსაა შობს, ესე ბრძენთაგან თქმულია“.

ეს კანონი განსაკუთრებით თვალსაჩინოდ ვლინდება ადამიანთა ფსიქიკური ცხოვრების სფეროში, სადაც, მსგავსისაგან მსგავსის წარმოშობის კანონის უფრო ღრმად შეცნობას, სისტემურ გააზრებასა და პრაქტიკულად გამოყენებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება დანაშაულის თავიდან აცილებაცხათვის.

2. მოტივაცია – შინაგანი იდეალური მოქმედება

ადამიანის ნებისმიერ მოქმედებას, ქცევას ყოველთვის წინ უძღვის რაიმე მოთხოვნილების წარმოშობა, რაც, პირველ რიგში, აზროვნების პროცესს აღძრავს და მის ობიექტად იქცევა. პრობლემურ ვითარებაში გაცნობიერებული მოთხოვნილება პირდაპირ და უშუალოდ არ გადადის მოქმედებაში. სანამ ინდივიდი მოთხოვნილების საპასუხო პრაქტიკულ მოქმედებას მიმართავდეს, იგი ახორციელებს შინაგან იდეალურ მოქმედებას—მოტივაციის პროცესს, რომლის შედეგად ყალიბდება მოცემულ ვითარებაში ამ და არა მოქმედების მიზანშეწონილობის შესაძლებლობისა და აუცილებლობის რწმენა, ანუ მოტივი.

მოქმედება, რომლის მოტივიც წარმოიშობა მოტივაციის პროცესში, ე. ი., რომელიც მოცემულ კონკრეტულ სიტუაციაში მიზანშეწონილად და აუცილებლად იქნა ცნობილი, შესაძლებელია მოტივაციის გამომწვევი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ან მისგან თავის შეკავებას გულისხმობდეს. მოტივაცია ყოველთვის მისი აღმძვრელი მოთხოვნილების დაკმაყოფილების სასარგებლოდ არ მთავრდება, რადგან ამ პროცესში, მისი აღმძვრელი მოთხოვნილების გარდა, სხვა მოთხოვნილებები და სხვადასხვა სუბიექტური და ობიექტური ფაქტორებიც მონაწილეობს. მათ შორის ისეთებიც, რომლებიც მეტ მნიშვნ-

ელობას ანიჭებენ თავის შეკავებას მოტივაციის აღმპერელი მოთხოვნების დაკმაყოფილებისაგან.

მოტივაციის პროცესში ადამიანი მეტ-ნაკლებად აცნობიერებს მოთხოვნების დაკმაყოფილების მოქმედების ყველა შესაძლო სუბიექტურ და ობიექტურ შედეგებს, მათთან დაკავშირებულ სხვა მოთხოვნებს, ინტერესებს, ღირებულებებით ორიენტაციებს, მისწრაფებებს, მიზნებს, მოტივებს, განწყობებს, გრძნობებს, ემოციებს და ა.შ. ამასთან, იგი მეტ-ნაკლებად ცნობიერყოფს არა მარტო უშუალო კონკრეტულ გარემოს, რომელშიც წარმოიშვა მოტივაციის აღმპერელი მოთხოვნა, არამედ, საერთოდ, სოციალურ გარემოს მისი მოთხოვნებით, ინტერესებით, მიზნებით, მოტივებით, სამართლებრივი და მორალური ნორმებით, მათი დაცვის მდგომარეობით, ღირებულებითი ორიენტაციებით, ტრადიციებით და სხვა, რომელშიც მას უხდება არსებობა, როგორც ინდივიდსა და პიროვნებას

ერთი და იგივე მოთხოვნა შეიძლება მრავალი სხვადასხვა მოქმედებით დაკმაყოფილდეს მაგრამ, თუ მათგან რომელს აირჩევს ადამიანი, ეს მთლიანად მოტივაციის პროცესში მონაწილე სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების ურთიერთემოქმედებისა და თანამოქმედების შედეგებზეა დამოკიდებული, რომლის საფუძველზეც ყალიბდება მოცემულ ვითარებაში სუბიექტისათვის ყველაზე გამართლებული, შესაძლებელი და აუცილებელი მოქმედების რწმენა, ანუ ნებისმიერი მოქმედების, ქცევის მოტივი.

პრობლემურ ვითარებაში, მოტივაციის პროცესში მისი აღმპერელი მოთხოვნების გარდა, სხვა მოქმედებათა მოთხოვნები, ინტერესები, მიზნები, მოტივები, განწყობები და სხვა მონაწილეობენ არა როგორც მოტივები, არამედ მხოლოდ როგორც მოტივაციის ჩვეულებრივი ფაქტორები. ამ ფაქტის გათვალისწინებას პრინციპული მნიშვნელობა აქვს ადამიანის მოქმედებისა და მისი მოტივის სწორად გაგებისათვის, ჰისი გაუთვალისწინებლობის შედეგია ის, რომ ფი-

ლოსოფოსების, ფსიქოლოგების, სოციოლოგების, იურისტების, პედაგოგებისა და სხვათა დიდი ნაწილი დღემდე ამტკიცებენ, რომ ადამიანის ამა თუ იმ გადაწყვეტილებასა და მოქმედებას თითქოს რამდენიმე მოტივი ედოს საფუძვლად, რაც, ვფიქრობთ, სინამდვილეს არ შეესაბამება.

ჭეშმარიტებასთან, მიმანია, უფრო ახლოსაა ის მოსაზრება, რომლის მიხედვით, ყოველ მოქმედებას შეიძლება ქონდეს მხოლოდ ერთი მოტივი, ფაქტორი კი – მრავალი; მრავალმოტივაციური შეიძლება იყოს მხოლოდ ქცევა და საემიანობა, რომელთაგან პირველი – მოქმედებათა სისტემას, ხოლო მეორე – მოქმედებათა და ქცევათა სისტემებს აერთიანებს. ქცევაში ერთი საერთო მოტივით გაერთიანებულ ყოველ მოქმედებას თავისი საკუთარი მოტივი გააჩნია, ხოლო მოქმედებისა და ქცევების მოტივები საქმიანობის მოტივის ჩამოყალიბებაში ანალოგიურად მონაწილეობენ როგორც მისი მოტივაციის ფაქტორები და არა როგორც მოტივები.

მოტივაციის სუბიექტური და ობიექტური ფაქტორები ყოველ კონკრეტულ ვითარებაში მეტ-ნაკლები სიცხადით აისახება ცნობიერებაში. ზოგიერთი მათგანი ზოგჯერ ცნობიერების ზღურბლსაც კი არ აღწევს, მაგრამ არაცნობიერად მაინც მონაწილეობს მოტივაციის პროცესში. ამასთან, ადგილი აქვს მოთხოვნილების დაკმაყოფილების მოქმედების სასარგებლო და საწინააღმდეგო სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების მრავალმხრივ შეპირისპირებას. ასეთ შემთხვევაში რომელიმე მათგანმა შესაძლებელია წამყვანი როლი ითამაშოს, მაგრამ მაშინაც არ შეიძლება დაყვანილ იქნას მოთხოვნილობის საგანზე, რასაც ადგილი აქვს ზოგიერთი ცნობილი სპეციალისტის მიერ შემუშავებულ თეორიაში.

რა თქმა უნდა, მოთხოვნილების საგანი და მასიან დაკავშირებული სხვა საგანები და მოვლენები მონაწილეობენ მოტივის ჩამოყალიბების პროცესში როგორც ფაქტორები, მაგრამ, ჩვენი აზრით, არცერთი მათგანი თავისთავად მოტივს არ წარმოადგენს მოტივის როლში მოთხოვნილების საგანი რომ

გამოდითოვდეს, მაშინ ერთი და იგივე საგანი ყოველთვის ერთსა და იმავე მოქმედებას უნდა იწვევდეს, მაგრამ ფაქტები ადასტურებენ, რომ ეს სინამდვილეში ასე არ ხდება.

ნებისმიერი მოქმედების მოტივის როლში შეიძლება გამოვიდეს მხოლოდ მოთხოვნილება, ისიც იმ შემთხვევაში, როდესაც მოტივაციის ეტაპის მრავალჯერ გამეორების შედეგად ერთსა და იმავე სუბიექტურ და ობიექტურ გარემოებაში მისი დაკმაყოფილება ჩვევად იქცევა და მოტივაციის პროცესის გამეორების გარეშე გაცნობიერებისათანავე შესაბამის ვითარებაში, როგორც პრაქტიკული მიქმედების მოთხოვნილება, უშუალოდ გადადის მოქმედებაში. ეს ხდება იმის გამო, რომ მოტივაციის პროცესის გავლის შემდეგ მოთხოვნილებასა და მისი დაკმაყოფილების მოქმედებას შორის უმიკლესი გზით პირდაპირი კავშირი ჩყარდება, ისევე, როგორც დროებითი კავშირების აღმოცენების შემდეგ პირობით რეფლექსების შემუშავების დროს. ამის საფუძვლზე, მოთხოვნილება ჩვეულ ვითარებაში, მოტივაციის პროცესის გარეშე, უშუალოდ იწვევს მოქმედებას, მაგრამ, თუ მოთხოვნილების დაკმაყოფილების ჩვეულ ვითარებაში რაიმე ცვლილებები მოხდა, მოტივაციის პროცესი კვლავ განახლდება და აღნიშნული მოთხოვნილების დაკმაყოფილების მოქმედება შესაბამის შესწორებას განიცდის.

ნებისმიერ მოქმედებათა რიცხვს მიეკუთვნება მოქმედება, რომელიც ერთსა და იმავე მოთხოვნილებას აკმაყოფილებს ერთსა და იმავე სუბიექტურ და ობიექტურ პირობებში, როცა მრავალჯერ გამეორების შედეგად, ის ჩვევაში გადადის და მოტივის როლში გარეგნულად უშუალოდ მოთხოვნილება გამოდის. ბევრი მკვლევარი ასეთ მოქმედებას არ თვლის ნებისმიერ მოქმედებად და მას იმპულსურ მოქმედებასთან აიგივებს. სინამდვილეში კი მოქმედება, რომელსაც საფუძვლად უდევს მოტივაციის ეტაპგავლილი მოთხოვნილება, არსებითად განსხვავდება იმპულსური მოქმედებისაგან. თუ ეს გარემოება არ იქნა გათვალისწინებული ადამიანთა მოქმედების ანალიზის დროს შესაძლებელია სერიოზული შეცდომები იქნას დაშვებული.

იმ შემთხვევაში, როდესაც ჩვეულ მოქმედებაში მოთხოვნილებასა და მოქმედებას შორის პირდაპირი კავშირი მქარდება და იგი ხორციელდება თითქოს მოტივაციის გარეშე, სინაქვილეში მოტივაციის ეტაპი მასში მონაწილეობს მოხსნილი სახით.

ამრიგად, მოთხოვნილება ყველაზე ახლოსაა ნებისმიერი მოქმედების მოტივთან, მაგრამ მოთხოვნილებასა და ნებისმიერი მოქმედების მოტივს შორის მაინც არსებითი განსხვავებაა, რაც ერთმანეთისაგან მიჯნავს ადამიანის ნებისმიერ მოქმედებას იმპულსური მოქმედებისაგან. ამ უკანასკნელს თავიდან ბოლომდე აღძრავს და შესაბამის ვითარებაში უწეალოდ წარმართავს მოთხოვნილების იმპულსი მაშინ, როცა ნებისმიერ მოქმედებას წინ უძღვის მოტივაციის რთული სოციალურ-ფსიქოლოგიური პროცესი, რომელშიც თავიდან ბოლომდე აქტიურად მონაწილეობს სუბიექტი, როგორც პიროვნება.

ნებისმიერი მოქმედების მოტივაციის პროცესი, მართალია, უფრო ხშირად ერთი რომელიმე მოთხოვნილების საფუძველზე აღმოცენდება ხოლმე, მაგრამ ამ პროცესში, როგორც დავინახეთ, მასთან ერთად, მეტ-ნაკლებად მონაწილეობენ პიროვნების სხვა მოთხოვნილებების, ინტერესების, მიზნების, მოტივებისა და დამოკიდებულებათა სისტემები. ერთი სიტყვით, ამ პროცესში მონაწილეობს პიროვნების მთელი შინაგანი სამყარო, მისი ფიზიკური და სულიერი ძალები, მოთხოვნილების დაკმაყოფილების მოქმედების სუბიექტური და ობიექტური ფაქტორები, რომელთა ურთიერთხემოქმედებისა და თანადგომის შედეგად მიიღება ნებისმიერი მოქმედების მოტივი.

ამრიგად მოთხოვნილებასა და ნებისმიერი მოქმედების მოტივს შორის არსებითი განსხვავებაა. მათ შორის შინაგანი იდეალური მოქმედების სახით დგას მოტივაციის, ე.ი. დასაბუთების რთული ფსიქოლოგიური პროცესი, რომლის შედეგადაც მოცემული კონკრეტული ვითარების სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების გათვალისწინებით ყალიბდება ამ და არა სხვა მოქმედების აუცილებლობის რწმენა, ანუ მოტივი. ნებისმიერი მოქმედების მოტივი, მართალია, ცნებითი

აზროვნების საშუალებით ადამიანის შინაგან სამყაროში მოტივაციის პროცესში მრავალი სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების ურთიერთხემოქმედებისა და თანადგომის შედეგად წარმოიშობა, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც ემოციის საფუძველზე წარმოშობილი ძლიერი მოთხოვნილება სხვა ფაქტორების დომინირებას ახდენს და მოთხოვნილება მოტივაციის პროცესის გარეშე, სხვა ფაქტორების მნიშვნელობის სრულყოფილად, გაუთვალისწინებლად, უშუალოდ გადადის ავექტურ მდგომარეობაში. მართალია, ასეთი მოქმედება საგრძნობლად უახლოვდება იმპულსურ მოქმედებას, მაგრამ იმპულსურ მოქმედებად არც მისი ჩათვლა არ შეიძლება, რადგანაც მის განხორციელებაში მონაწილეობს ნებისმიერ მოქმედებათა პოტენციური ველი“ /კ.ლევინი/, რაც ადამიანში მთელი სიცოცხლის განსაგებლობაში მის მიერ განხორციელებული შეგნებული, ნებისმიერი პროცესების საფუძველზე ყალიბდება. მოტივაციის პროცესში ადამიანი, როგორც ბიოფსიქოსოციალური არსება, მოქმედებს იდეალურად აზროვნების საშუალებით მოცემულ ობიექტურ გარემოში. მართალია, მასზე, ცხოველის მსგავსად, მოქმედებს მხედველობის ველში უშუალოდ ფიზიკურად მოცემული კარემო, მაგრამ, ცხოველისაგან განსხვავებით, ადამიანის გარეშე მაინც სოციალურია, რაც მის ცნობიერებაში რეალურად არსებული საზოგადოებრივი ურთიერთობების სახითაა ასახული მისთვის დამახასიათებელი სამართლებრივი და მორალური ნორმებით. ძირითადად, სწორედ ეს, ცნობიერებაში ასახული სოციალური გარემო ახდენს ადამიანის მოქმედების რეგულირებას, ამასთან, აღნიშნული გარემო მით უფრო მეტად ახდენს ადამიანის მოქმედების რეგულირებას, რაც უფრო ამაღლებულია იგი ცხოველური მდგომარეობიდან.

აზროვნება და ცნობიერება, როგორც დავინახეთ, მოტივის უბრალო გამტარს არ წარმოადგენენ. ისინი აქტიურად მონაწილეობენ მის ფორმირებაში, როდესაც მოთხოვნილება ცნობიერების ფაქტად იქცევა. თავის მხრივ ცნობიერებას სინათლე და გარკვეულობა შეაქვს მის შინაარსში, ურთიერ-

თობებსა და დამოკიდებულებებში მოჰყავს იგი მოქმედების სუბიექტურ და ობიექტურ ფაქტორებთან, მის საფუძველზე კი საბოლოოდ წარმოიშობა სუბიექტისათვის მოცემული სიტუაციაში ყველაზე მიზანშეწონილი, შესაძლებელი და აუცილებელი მოქმედების მოტივი, ანუ ამ და არა სხვა მოქმედების აუცილებლობის რწმენა.

ყოველ კონკრეტულ ვითარებაში ამ და არა სხვა მოქმედების აუცილებლობის შინაგანი რწმენა ნებისმიერი მოქმედების მოტივის არსებითი ნიშანია. მის საფუძველზე მიიღება პრაქტიკული მოქმედების გადაწყვეტილება და ყალიბდება შესაბამისი განწყობა, რითაც მთავრდება მოტივაციის პროცესი. მთელი ამ პროცესის საბოლოო შედეგია მოტივირებული მოქმედების განწყობის ჩამოყალიბება, რაც, თავის მხრივ, გათვალისწინებულ ვითარებაში პრაქტიკული მოქმედების მოთხოვნილებას წარმოშობს და უშუალოდ განიცდის რეალიზაციას გარე სამყაროზე მიმართული მოქმედების სახით.

მოტივაციის პროცესის საბოლოო შედეგები მხოლოდ პრაქტიკული მოქმედებითა და უშუალოდ მისი საგნობრივი სახით არ ამოიწურება. მოქმედების შედეგები, თავის მხრივ, უკუგავლენას ახდენს მოტივაციის მთელ პროცესებზე და მათი დადებითი ან უარყოფითი მნიშვნელობის შესაბამისად, ამ პირველი მოქმედების ფაქტორთა სისტემას და ახლად ჩამოყალიბებულ მექანიზმს კიდევ უფრო განამტკიცებენ, რითაც მათ ფუნქციონირებას ჩვევად აქცევენ ან პირველივე მოქმედების შედეგად მთლიანად აღკვეთენ.

ნებისყოფის აქტი, როგორც ცნობილია, გადაწყვეტილების მიღებაა, ხოლო მიღებული გადაწყვეტილება აუცილებლობით სრულდება, თუ იგი ყველა ფაქტორის წინასწარ გათვალისწინებითა და საქმის ცოდნითაა მიღებული.

გადაწყვეტილების შესრულების პროცესში ზოგჯერ შესაძლებელია ისეთი ფაქტორი გამოჩნდეს, რომელიც თავის დროზე სუბიექტის მიერ გათვალისწინებული არ იყო, ასეთ შემთხვევაში სუბიექტი კვლავ უბრუნდება მოტივაციის პრო-

ცესს, საჭირო შესწორება შეაქვს მიღებულ გადაწყვეტილებაში ან ტოვებს მას წინანდელ მდგომარეობაში.

ამრ იგად, ნებისმიერი მოქმედების მოტივაცია, როგორც შინაგანი მოქმედება, რამე მოთხოვნილების გაცნობიერებით იწყება, რაც შემდეგ თანმიმდევრობით აყალიბებს გარეთ მიმართული პრაქტიკული მოქმედების დინამიკური ფაქტორების ფუნქციონაღურ სისტემას, რომლის ძირითადაი კომპონენტებია; მოთხოვნილება, ინტერესი, მიზანი, მოტივი-რწმენა და განწყობა. აღნიშნული კომპონენტები, თავის მხრივ, ყალიბდება ქვესისტემის სახით, საკუთარი მოტივაციის საფუძველზე, რომლებსაც სპეციფიკური კომპონენტები და ფაქტორთა სისტემები გააჩნიათ. ყოველი შემდგომი ეტაპი წინა ეტაპს მოიცავს მოხსნილი და შემონახული სახით.

აღნიშნულ კომპონენტებს შორის განსაკუთრებული ფუნქციას რწმენა ასრულებს. იგი ნებისმიერი მოქმედების მოტივაციის ყველა ეტაპზე მოტივის როლში გამოდის, რაც საბოლოოდ გადაწყვეტილების მიღებასა და განწყობის ჩამოყალიბებას განაპირობებს. ამიტომაც რწმენას ჩვენ განვიხილავთ როგორც ნებისმიერი მოქმედების მოტივს, უზუნაესს მამოძრავებელ ძალას. ადამიანისათვის ყველაფერი არ არსებობს იმდენად და იმ სახით, რამდენადაც და რა სახითაც მას სწამს მათი არსებობა. რწმენას თან ახლავს გადაწყვეტილება, როგორც მისი თვისება, ამიტომაც გადაწყვეტილებას ჩვენ ცალკე ეტაპად არ გამოვყოფთ და ვაერთიანებთ მას რწმენაში, როგორც მოტივში.

მოტივაციის პროცესი და მოტივის ჩამოყალიბება, როგორც ვნახეთ, ცნებითი აზროვნების, მსჯელობებისა და დასკვნის ლოგიკური პროცესია, ფსიქოლოგიურად ყოველ ლოგიკურ მსჯელობასა და დასკვნას მისი ჭეშმარიტებისა და აუცილებლობის რწმენა ახლავს. ნებისმიერი მოტივის არსებაც სწორედ მის ჭეშმარიტებასა და აუცილებლობისადმი სუბიექტის შინაგანი რწმენაა

რწმენა მოტივაციის შემდეგ წარმოშობილი ის ფენომენია,

რომლის გარეშეც არ არსებობს გადაწყვეტილება და ნებისმიერი მოქმედება რასაც აკეთებს ადამიანი საზოგადოებრივად სასარგებლოს თუ საზიანოს აკეთებს იმ რწმენით, რომ ეს მოქმედება მისთვის ყველაზე მიზანშეწონილი და აუცილებელია მოცემულ სიტუაციაში, თუმცა ობიექტურად იგი შესაძლებელია არ იყოს მიზანშეწონილი და აუცილებელი.

მოტივაციაში მონაწილე ფაქტორების მნიშვნელობა და თვით მოქმედების ობიექტური მნიშვნელობა შეფასებას ღებულობს სუბიექტური ღირებულებების საფუძველზე. ობიექტური ღირებულება სუბიექტურ ღირებულებათა ასპექტში გრდატყდება და თუ როგორ შეფასებას მიიღებს იგი, როგორც მოტივაციის ფაქტორი, ეს დამოკიდებულია ამ ღირებულებისადმი სუბიექტის რწმენაზე.

ამრიგად, მოტივის წარმოშობას საფუძველად უქვეს სხვადასხვა მოთხოვნილებების, ინტერესების, მისწრაფებების, ინდივიდში ადრე ჩამოყალიბებული სხვა მოქმედებათა მიზნების, მოტივების განწყობისა და დამოკიდებულებების ურთიერთშეპირისპირება, ურთიერთზემოქმედება და თანამოქმედება. ისინი, ვინც მოტივაციაში მონაწილე აღნიშნულ ფაქტორებს აიგივებენ მოტივებთან, ამ ეტაპს უწოდებენ მოტივების ბრძოლის ეტაპს. სინამდვილეში კი ადგილი აქვს არა მოტივების, არამედ მოტივაციის ფაქტორების ბრძოლას, შეპირისპირებას ურთიერთზემოქმედებასა და თანამოქმედებას მოცემულ ვითარებაში სუბიექტისათვის ყველაზე მიზანშეწონილი და გაპართლებული მოქმედების გარკვევისათვის.

მოტივაციის პროცესში მხოლოდ ფაქტორები მონაწილეობენ. მოტივი ამ ფაქტორების ურთიერთზემოქმედებისა და თანამოქმედების შედეგად ყალიბდება. ადრე ჩამოყალიბებული სხვა მოქმედებათა მოტივებიც, რომლებიც ახალ, პრობლემურ ვითარებაში მოტივაციის პროცესში მონაწილეობენ, როგორც ითქვა, ახალი მოქმედებისათვის მოტივებს კია არა. არამედ მოტივაციის ფაქტორებს წარმოადგენენ. ყოველ მოქმედებას მოტივი შეიძლება მხოლოდ ერთი ჰქონდეს. ერთი და იგივე

მოქმედების მრავალი მოტივის დაშვება, ვფიქრობთ, შეცდომაა და მოტივაციისა და მოტივის არსების არასწორი გაგებიდან გამომდინარეობს.

ნებრსმიერი მოქმედების მოტივაცია ყოვეთვის ცნებითი აზროვნების საშუალებით მიმდინარეობს. მასში მონაწილეობენ პიროვნების საერთო დამოკიდებულებები გარემოსთან, საზოგადოების სამართლებრივ და მორალურ ნორმებთან, მისი მოთხოვნების, ინტერესების, მიზნების, მოტივების განწყობებისა და დამოკიდებულებათა სისტემები. ერთი სიტყვით, ნებრსმიერი მოქმედების მოტივაცია მოიცავს მთლიან პიროვნებას თავისი ზიოფსიქოსოციალური თვისებებითა და თავისებურებით. ამიტომ წიღებული გადაწყვეტილება და მოქმედებაც არის ადამიანის, როგორც მთლიანობის გადაწყვეტილება და მოქმედება.

მოტივაციის პროცესი უფრო ხშირად ერთი რომელიმე მოთხოვნილების საფუძველზე წარმოიშობა, მაგრამ მოტივი პრობელქმურ სიტუაციაში, როგორც წესი, მთლიანი პიროვნების მრავალი ფაქტორების საფუძველზე ფორმირდება.

ნებისმიერ სიტუაციაში მოთხოვნილება უშუალოდ აზროვნები, როგორც შინაგანი მოქმედების, მოტივის როლში გამოდის „აზროვნებას – ადამიანი იწყებს მაშინ, როდესაც მას რაიმეს გაგების მოთხოვნილება გაუნდება“.² სხვა შემთხვევაში მოთხოვნილება, როგორც მოტივი, უშუალოდ მხოლოდ იმპულსურ მოქმედებებს აღძრავს, მაგრამ მოთხოვნილება, რომელიც ნებისმიერი მოქმედების მოტივაციის პროცესს აღძრავს, უშუალოდ და აუცილებლობით არ კმაყოფილდება. მოტივაციის სხვა ფაქტორების გამო, ხშირად მისი აღმძვრელი მოთხოვნილების დათრგუნვა და დაკმაყოფილებისაგან თავის შეკავება ხდება. მაგრამ მოთხოვნილება, რომელმაც მოტივაციის პროცესი აღძრა, დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შემთხვევაშიც უკვალოდ არ იკარგება. მას თავისებური ცვლილებები შეაქვს ადამიანის მოთხოვნილებათა შინაგან სისტემასა და საერთოდ ცნობიერე-

² ლ. ს. რუბინშტეინი, ზოგადი ფსიქოლოგიის საფუძვლები, მ., 1940 წ., გვ. 289.

ბაში. ხოლო, როდესაც დაუკმაყოფილებელ მოთხოვნებს გარკვეული მნიშვნელობა აქვს პიროვნების ცხოვრებაში, საერთოდ, ასეთ შემთხვევაში იგი თვალსაჩინოდ ინახება. როგორც მომავალი იდეალური მოქმედების, მოტივაციის ერთ-ერთი სტიმული და პრაქტიკული მოქმედების მოტივის ჩამოყალიბების „პოტენციური ველის“ შემადგენელი კომპონენტი.

პიროვნებაზე კიდევ უფრო ღრმა კვალს ტოვებს დაკმაყოფილებული მოთხოვნა. ასეთი მოთხოვნა თავის შესაფერის ადგილს იკავებს მისი დაკმაყოფილების მოქმედების მოტივაციის ფაქტორთა სისტემაში, ხოლო ერთსა და ამავე გარემოში მისი დაკმაყოფილების ხშირი განმეორების შემდეგ მოქმედება ჩვევაში გადადის, რის შედეგად ადამიანი აღარ განიცდის ისეთ დაძაბულობას, როგორც პირველ მოქმედებაში, რადგან ფაქტორთა სისტემის თანდათანობით განმტკიცების კვალობაზე თვით მოტივაციის პროცესიც ქრება იპის გამო, რომ მოთხოვნებსა და მოქმედებას შორის პარდაპირი, უშუალო კავშირი მყარდება და მოთხოვნა შესაბამის სიტუაციაში უშუალოდ იწვევს მოქმედებას.

ჩვევაში გადასული მოქმედება, როგორც ვხედავთ, გარეგნულად იმპულსურ მოქმედებას ემსგავსება, თუმცა მათ შორის არსებითი განსხვავებაა. ჩვევა მოტივაციის პროცესში ეტაპგაველილი მოქმედებაა და გაშუალებულია თავის დროზე მოტივაციის პროცესში მონაწილე სუბიექტური და ობიექტური ფაქტორებით. ამი გამო, თუ მის ჩამომყალიბებელ ფაქტორთა სისტემაში რაიმე არსებითი ცვლილება მოხდა და ძველი ჩვევა აღარ შეესაბამება ახალ სიტუაციას, ადამიანი თავიდან იცილებს მას ან ახალი სიტუაციის შესაბამისად გარკვეული კორექტივები შეაქვს მასში. თუმცა მას ამის გაკეთება ყოველთვის იოლად არ შეუძლია.

ადამიანთა ცხოვრებაში მეტად დიდი როლი ენიჭება ჩვევების გამომუშავებას. იგი ადამიანის დროისა და ენერჯის ეკონომიის უდიდესი წყაროა და რაც მთავარია, ჩვევის ჩამოყალიბება ნიშნავს ადამიანის ახალი თვისების, უნარის

წარმოშობას და გარკვეული მიმართულებით მის განვითარებას, პირი ვნების ფორმირებას.

მოქმედება, რომელიც პირველად მოთხოვნილების დაკმაყოფილების საშუალება იყო და ჩვევაში გადაუა, ამით იგი თვით იქცევა მოთხოვნილებად. ამ კანონზომიერების უდიდესი მნიშვნელობა აქვს აღზრდის თეორიასა და პრაქტიკაში. მაგალითად, სამართლებრივი და მორალური ნორმების დაცვისა და საერთოდ, საზოგადოებრივ-სასარგებლო საქმიანობის ჩვევად და მოთხოვნილებად გადაქცევა ყოველი საზოგადოებისათვის ადამიანთა აღზრდის მთავარი ამოცანაა.

პრობლემურ ვითარებაში მოთხოვნილების პირველად დაკმაყოფილების შედეგად მოქმედების სუბიექტი გარკვეულ ცვლილებებს განიცდის. ეს ცვლილებები განპირობებულია იმით, რომ, ჯერ ერთი, მოტივაციის აღმძვრელ ყოველ მოთხოვნილებას გარკვეული ცვლილებები შეაქვს სუბიექტის მოთხოვნილებათა შინაგან სისტემაში. მისი დამოკიდებულების ტედენცია სუბიექტს აიძულებს აქტიური, შეგნებული დამოკიდებულება დაამყაროს არა მხოლოდ მოთხოვნილების საგანთან, არამედ მისი მოპოვებისა და მოხმარების საშუალებებთან, თვით დაკმაყოფილების მოქმედებასა და საერთოდ, გარემოსთან, მეორეც, მოთხოვნილების დაკმაყოფილება და დაკმაყოფილების მოქმედება, ამ მიზნით გამოყენებული საშუალებები არა მარტო ააქტიურებს ადამიანის ფიზიკურ და სულიერ ძალებს, არამედ ახალი სიტუაციის შესაბამისად, გარკვეულად კიდევ ცვლის, რადგან ეს ერთდროულად მათი მოხმარებისა და წარმოების პროცესია, რაც ხელს უწყობს ახალ ვითარებაში საგნებისა და მოვლენების უფრო ღრმად შეცნობას, გააზრებასა და მათდამი ახალი, კიდევ უფრო სრულყოფილი შინაგანი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას.

ყველა აღნიშნული პროცესი და ფაქტორები მთლიანობაში განაპირობებენ ახალი თეორიული და პრაქტიკული მოთხოვნილებების წარმოშობას, რაც საბოლოოდ, საფუძვლად ედება როგორც ცალკეული ინდივიდების, ისე მთელი საზოგადოების განვითარებას. როგორც ცნობილია, „თვით დაკმაყოფილე-

ბული პირველი მოთხოვნის დაკმაყოფილების მოქმედება და დაკმაყოფილების უკვე შექმნილი იარაღი ახალ მოთხოვნებს წარმოშობენ და ეს წარმოშობა ახალი მოთხოვნებისა წარმოადგენს პირველ ისტორიულ აქტს¹. აღნიშნულ დებულებაში მოცემულია ახალი მოთხოვნების ფორმირებისა და ახალი ადამიანის აღზრდის ერთ-ერთი კანონზომიერება.

მოთხოვნებები ყოველთვის დარჩება ადამიანის ყოველგვარი აქტიურობის, მოქმედების აღმძვრელ მთვარ ფაქტორად, მიუხედავად იმისა, განვითარების რა დაონესაც არ უნდა მიაღწიოს საზოგადოებამ და ინდივიდმა. საზოგადოების განვითარების შესაბამისად, პირველ რიგში იცვლება მხოლოდ ინდივიდების მოთხოვნებათა შინაარსი, მათი დაკმაყოფილების ინტერესები, მიზნები, საშუალებები, ფორმები და მეთოდები, რომელთა ერთობლიობა მოტივაციის პროცესში მიმართულებას აძლევს შინაგან იდეალურ მოქმედებას და საბოლოოდ, მიმართულებას აძლევს თვით პრაქტიკულ მოქმედებას.

ადამიანის პრაქტიკული მოქმედების ერთ-ერთი და უშუალო ფაქტორი მოტივაციის აღმძვრელი მოთხოვნის დაკმაყოფილებაა რომ იყოს, მაშინ ინდივიდები პასუხისმგებელი აღარ იქნებიან თანხმად დანაშაულებრივ მოქმედებაზე, რადგანაც მოთხოვნები ყალიბდება აღზრდისა და გარემოს ზემოქმედებით და პასუხისმგებლობაც მხოლოდ აღზრდასა და გარემოს უნდა დაკისრებოდეს. მაგ⁴რამ, როგორც უკვე დავინახეთ, მოტივაციის პროცესში, მისი აღმძვრელი მოთხოვნების გარდა, მონაწილეობენ სხვა მოთხოვნები, ინტერესები, მიზნები, მოტივები, სამართლებრივი და მორალური ნორმების ცოდნა და შეგნება. მათ საფუძველზე ადამიანს აქვს შესაძლებლობა და ვალდებულება, რომ შეაფასოს როგორც მოტივაციის აღმძვრელი მოთხოვნის დაკმაყოფილების მოქმედება, არჩევანი გააკეთოს სხვადასხვა შესაძლო მოქმედებათა შორის, რაც მას თავის მოქმედებაზე პასუხისმგებლობასაც აკისრებს.

¹ კ. მარქსი, ფ. ენგელსი, თხზ. ტ. 3. რუს., გვ. 27.

3. იურიდიული განათლება და აღზრდა მოტივაციის ფაქტორთა სისტემაში

დანაშაულებრივი ქცევის მოტივაციაში განსაკუთრებულ როლს თამაშობს ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა სამართლის ცოდნა და სამართლებრივი შეგნება, მართლშეგნება. თუმცა სამართლებრივი აღზრდის თეორიასა და პრაქტიკაში მათ ყოვეთვის არ აქვთ მინიჭებული თავიანთი კუთვნილი ადგილები. ყველაზე არსებითი ნაკლი ამ მხრივ ის არის, რომ სამართლებრივ ცოდნასა და სამართლებრივ აღზრდას უმეტეს შემთხვევაში ერთიმეორესთან აიგივებენ, რის გამოც უყურადღებო ტოვებენ აღზრდის ყველაზე არსებით სპეციფიკურ მოთხოვნებს-განათლების შესაბამისი რწმენის ჩამოყალიბებას. ამის შედეგია ის, რომ სამართლის ნორმებს იურიდიულად კარგად ;ანათლებული ადამიანებიც არღვევენ. უფრო მეტიც, სამართლის ნორმებს ხშირად არღვევენ და დანაშაულს ჩადიან ისეთი კვალიფიციური სპეციალისტებიც, რომლებმაც კანონის მოთხოვნები განათლებითაც კარგად იციან და მისი დაცვა სამსახურებრივადაც ევალებათ.

ანალოგიურ შემთხვევებს, როდესაც ადამიანები მიღებული ცოდნისა და განათლების შესაბამისად არ მოქმედებენ, ადგილი აქვს განათლებისა და აღზრდის ყველა სფეროში.

ყოველი თეორიული ცოდნა, განათლება და მისი მოთხოვნები ადამიანთა მიერ ხორციელდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ისინი მოტივაციის პროცესის საშუალებით მათ შეგნებად, შინაგან რწმენად და პრაქტიკულ დამოკიდებულებად იქცევიან. აღზრდას განათლებისაგან სწორედ ეს სპეციფიკა, არსებითი ნიშანი განასხვავებს. განთლება აღზრდის აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა. იგი აღზრდის მხოლოდ ორიენტირის როლში გამოდის.

ამრიკად, იურიდიული განათლება და აღზრდა ადამიანთა განვითარების, პიროვნებათა ჩამოყალიბების ორ თვისობრივად განსხვავებულ დონეს გამოხატავს. მათ შორის იურიდიული

განათლება ნიშნავს იურიდიული ცოდნის სისტემის დაუფლებას, ხოლო აღზრდა—ცოდნის შინაარსის შეგნებას, შინაგან რწმენასა და შესაბამისი პრაქტიკული დამოკიდებულების ჩამოყალიბებას. ცნობილი ბერძენი ფილოსოფოსის, დემოკრიტეს აზრით, „აღზრდა გარდაქმნის ადამიანს და ამ გარდაქმნით მეორე ბუნებას უქმნის“, ხოლო, კ. უშინსკის აზრით, „იმისათვის, რომ აღზრდამ სექლოს ადამიანის მეორე ბუნების შექმნა, აუცილებელია აღზრდის იდეები აღსაზრდელთა რწმენა ექცეს, ხოლო რწმენა-ჩვეულებად.

ისმება კითხვა: კონკრეტულად როგორ ხორციელდება აღზრდა—რა გზით ექცევა ცოდნის შინაარსი ადამიანის შეგნებად, შინაგან რწმენად და ჩვეულებად? ჩვენი აზრით ამ ფუნქციას მოტივაციის პროცესი ასრულებს.

მოტივაციის გარეშე არაერთად განათლებას არ შეუძლია პიროვნების გარდაქმნა და აღზრდა. განათლება პიროვნების შინაგანი სამყაროს ჩამოყალიბებისა და განვითარებას მხოლოდ საამშენებლო მასალას ამზადებს. მაგრამ როგორი ძვირფასიც არ უნდა იყოს ეს მასალა, შესაძლებელია იგი მთელი სიცოცხლის მანძილზე გამოუყენებელი დარჩეს შესაბამისი მიზნის და მოტივის, მოქმედების აუცილებლობის რწმენის გარეშე, რასაც მხოლოდ და მხოლოდ მოტივაციის პროცესი აყალიბებს.

ამრიგად, იურიდიული განათლებისა და აღზრდას ცნებაში უნდა ვიგულისხმოთ არა მხოლოდ სამართლის ნორმების თეორიული ცოდნა, არამედ მასთან ერთად ამ ნორმების მოთხოვნების დაცვის აუცილებლობის შინაგანი რწმენის და შესაბამისი პრაქტიკული დამოკიდებულებების ჩამოყალიბება. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსახლეობაში მართლწეგნების ჩამოყალიბებისა და უმაღლეს სასწავლებლებში სპეციალისტთა მაღალ კვალიფიციური კადრების აღზრდისათვის აუცილებელია, რომ იურიდიული საგნების, სამართლის სხვადასხვა კოდექსებისა და მათი ცალკეული მუხლების სწავლებას თანახლდეს მათი მოთხოვნების დაცვის აუცილებლობის მოტივა-

ცია, დასაბუთება, რომლის გარეშეც შეუძლებელია, როგორც სამართლებრივი, ისე ყოველგვარი ცოდნის რწმენად, შეგნებად და პრაქტიკულ მოქმედებად გადაქცევა. გულახდილად უნდა ითქვას, რომ ამ პრობლემას დღეს ფაქტობრივად, არცერთ უმაღლეს სასწავლებელში სრულყოფილი ყურადღება არ ექცევა. ვფიქრობთ, ამ დასკვნას სპეციალური გამოკვლევები და ექსპერიმენტი არ ესაჭიროება. სამართალდამცავი ორგანოების მუშაკებისა და სხვა მოქალაქეების დანაშაულებათა დინამიკაც მას დამაჯერებლად ადასტურებს.

მოტივაციის მთვარი შედეგი, როგორც ვხედავთ, რწმენის ჩამოყალიბებაა. რწმენა, საერთოდ ადამიანის ნებისმიერი აქტიურობის უშუალო აღმძვრელი და მიმართულების მიმცემი უზენაესი ძალაა. ადამიანის ყოველ მოქმედებას თან ახლავს რწმენა, მოცემულ სიტუაციაში ამ მოქმედების მიზანშეწონილობისა და აუცილებლობის შესახებ, მიუხედავად იმისა, არის თუ არა იგი ობიექტურად აუცილებელი და მიზანშეწონილი. რწმენა ალაგზნებს ადამიანს დიდი საგმირო საქმეებისათვის. ასევე რწმენა ღდის მას საზოგადოებისათვის მავნე და უსარგებლო ადამიანად. ამიტომაც რწმენის არსების სწორად შეცნობას, ყოველ კონკრეტულ პირობებში, მისი წარმოშობის ფაქტორებისა და კანონზომიერებათა პრაქტიკულად გამოყენებას. უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სამართლებრივი აღზრდისა და საერთოდ ყოველგვარი აღზრდის თეორიასა და პრაქტიკაში.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მოტივაციის პროცესის ადამიანთა შინაგანი სამყაროს ჩამოყალიბებისა და გამოვლინების, საბოლოოდ კი სოციალური პროცესების წარმატებით მართვის საიდუმოებათა გასაღებია. მიუხედავად ამისა, მისი აღმძვრელი, წარმმართველი და მიმართულების მიმცემი ფაქტორები და მათი ფუნქციონირების კანონზომიერებანი დღემდე ჯერ კიდევ სრულყოფილად შესწავლილი არ არის. ზოგიერთი სპეციალისტი მხოლოდ ორიოდვე ავტორს ასახელებს, რომლებიც თითქოს ყველაზე ახლოს მივიდნენ მოტივაციის როგორც შინაგანი დამოუკიდებელი მოქმედების გაგუ-

ბასთან.⁴ თუმცა ერთ-ერთი მათგანის სახელით ვაცხადებ, რომ ის, რაც მათ ამ პრობლემის გარკვევისათვის აქვთ გაკეთებული, მხოლოდ წვეთია ზღვაში. მოტივაციის პრობლემის სრულყოფილი გადაწყვეტა მომავლის საქმეა და იგი ადამიანის როგორც კომპლექსური პრობლემის კვლევის გზით უნდა გადაწყდეს. ამ მიმართულებით დიდ მნიშვნელობას იძენს ადაქიანთმცოდნეობის, ადამიანის როგორც ბიოფსიქოლოგიური არსების მეცნიერების შემდგომი განვითარება და პოპულარიზაცია, რაც დღეისათვის მის სხვადასხვა დონეზე სპეცილურად მიღებული დადგენილების მიუხედავად მაინც ფერხდება.

იურიდიული განთლებისა და აღზრდის არსებისა და მოტივაციის კანონზომიერებათა სწორად გაგება და პრაქტიკაში გამოყენება, ასევე გადაუჭარებლად შეიძლება ითქვას, რომ ყოველგვარი სამართალდარღვევის პროფილაქტიკისა და აღკვეთის, ადამინთა საზოგადოებრივი ურთიერთობების ჭეშმარიტი ჰუმანიზაციის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა.

4. ნებისმიერი მოქმედების ორი სფერო

ნებისმიერ მოქმედებას შეიძლება ჰქონდეს იდეური და პრაქტიკული სახე. პრაქტიკულ მოქმედებას ყოველთვის წინ უსწრებს იდეური მოქმედება, მაგრამ ყოველ იდეურ მოქმედებას უშუალოდ არ მოჰყვება პრაქტიკული მოქმედება. იდეურ და პრაქტიკულ მოქმედებებს გააჩნიათ თავიანთი სპეციფიკური აღმძვრელი ფაქტორები. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ. იდეური მოქმედების აღმძვრელია გარემოს ზემოქმედების შედეგად წარმოშობილი საგნობრივი მოთხოვნილება, რომელიც გაცნობიერების შემდეგ გარკვეულ პირობებში აღძრავს მოტივაციის პროცესს, აყალიბებს სუბიექტის მიზანშეწონილი მოქმედების მოტივსა და შესაბამისი მოქმედების განწყობას. ეს უკანასკნელი კი გათვალისწინებულ ვითარებაში უშუალოდ წარწობს

⁴ „კობროსი ფსიქოლოგოვ“, 1985., №3, გვ. 115.

მოთხოვნების ახალ სახეს, რომელსაც პრაქტიკული მოქმედების მოთხოვნა ეწოდება.

პრაქტიკული მოქმედების მოთხოვნა მოტივაციის ეტაპამოვლილი და განწყობის შემუშავების შედეგად წარმოშობილი მოთხოვნაა, რომლის შინაარსი მდგომარეობს მოტივირებული მოქმედებისადმი სწრაფვაში. სხვადასხვა პრაქტიკული მოქმედების მოთხოვნები ადამიანს უშუალოდ მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე. ისინი ერთიმეორეს უკავშირდებიან და ქმნიან პრაქტიკულ მოთხოვნებათა ერთიან შინაგან სისტემას, რომელიც გადამწყვეტ როლს ასრულებს შესაბამისი კონკრეტული მოქმედებების მოტივაციაში.

პრაქტიკული მოქმედების მოთხოვნაში მოხსნილი სახით იგულისხმება საგნობრივი მოთხოვნა. მაგრამ იგი იმთავითვე გაშუალებულია ადამიანის არსებობის სოციალური პირობებით (შრომის დანაწილების, წარმოების, განაწილების, გაცვლისა და მოხმარების არსებული პირობებისა და წესის თავის ებურებით).

ადამიანს, როგორც სოციალურ არსებას, მრავალი მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის ისეთი ოპერაციების შესრულება უხდება, რომლებიც უშუალო კავშირში არ არის მოთხოვნებთან, მაგრამ ეს მოქმედებები სოციალურად აუცილებელია. შრომა სხვა არაფერია, თუ არა პროცესი, რომლითაც ადამიანი სოციალურად განსაზღვრულ პირობებში, კონტროლს უწევს ნივთიერებათა ცვლას საკუთარ თავსა და ბუნებას შორის, რომლის დანიშნულებაა ადამიანური არსებობის მოთხოვნების დაკმაყოფილება. ვიმეორებთ, ამ მოთხოვნების დაკმაყოფილება გაშუალებულია დროსა და სივრცეში მრავალი სოციალური პროცესით, რომელთა დროსაც ადამიანურად არსებობის მოთხოვნა, როგორც დამოკიდებულება, ყოველთვის აქტუალურია.

ნებისმიერი პრაქტიკული მოქმედების განწყობა შესატყვის ვითარებაში თავს იჩენს პრაქტიკული მოქმედების მოთხოვნების სახით და ეს მოთხოვნა, როგორც წესი, პირდაპირ,

მოტივაციის გარეშე, გადადის მოქმედებაში; იქმნება მცდარი შთაბეჭდილება, თითქოს იგი იმპულსური მოქმედებაა. სინამვილეში ასეთი მოქმედება ნებისმიერი მოქმედებაა, რადგან მას იწვევს არა საგნობრივი, არამედ პრაქტიკული მოქმედების მოთხოვნილება, რომელიც მოტივაციისა და განწყობის შექმნის შემდგომ წარმოიშობა.

იმპულსურ მოქმედებასთან მხოლოდ მაშინ გვაქვს საქმე, როდესაც მას იწვევს საგნობრივი მოთხოვნილება უსუალოდ, მოტივაციის პროცესის გარეშე.

5. მოტივაცია და სუბიექტის უნარები

მოტივის გამომუშავებაში, როგორც დავინახეთ, მონაწილეობენ მოტივირებული მოქმედების შესრულების სუბიექტური, ფიზიკური და სულიერი უნარები. ეს უნარები თაკისებურ მიმართულებებს აძლევს მოტივაციის პროცესს. მაგ., პიროვნება, რომელმაც შენიშვნა წყალში ჩავარდნილი დასახრობად განწირული ადამიანი, თუ ცურვა იცის, მის გადასარჩენად დაუფიქრებლად გადაეშეება წყალში, მაშინ, როდესაც პიროვნება, რომელმაც არანაკლებ განიცადა საფრთხეში ჩავარდნილი ადამიანის მდგომარეობა, თუ ცურვა არ იცის, მისი გადარჩენისათვის მოქმედების სხვა ფორმას მიმართავს, შესაძლებელია უფრო ნაკლებად ეფექტურს.

უნარი მიმართულებას აძლევს მოტივაციის პროცესს, ამიტომ პასუხისმგებლობა მოქმედების ან უმოქმედობისათვის ადამიანს მისი უნარის მიხედვითაც ეკისრება.

რამდენადაც ყველა ადამიანური უნარი პირდაპირ ან არაპირდაპირ მის საზოგადოებრივად სასარგებლო მოქმედებას განაპირობებს, ამდენად ყველა ადამიანური უნარის კარმონიული განვითარება აღზრდის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

მოტივის აღზრდა შესაძლებელია არა რომელიმე მოთხოვნილების, არამედ შესაბამის მოთხოვნილებათა სისტემისა და უნარების აღზრდით; ცალკეული მოთხოვნილებები და უნ-

არები კი მოტივისათვის მხოლოდ ფაქტორებს წარმოადგენენ. რაც უფრო ძლიერი და მრავალი ფაქტორი მონაწილეობს საზოგადოებრივ-სასარგებლო მოქმედების მოტივაციაში, მით უფრო უზრუნველყოფილია ასეთი მოქმედების მოტივის შემუშავება.

მოტივის ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა მოთხოვნილება და უნარი, მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან. მიუხედავად ამისა. მათი ურთიერთდამოკიდებულება მხოლოდ ზოგად ფორმაშია გამოკვლეული.

უნარების აღზრდისა და განვითარების კანონზომიერებანი ძირითადადში ემთხვევა მოთხოვნილებების აღზრდისა და განვითარების კანონზომიერებებს. უნარები და მოთხოვნილებები ერთმანეთს განაპირობებენ, ამიტომ ისინი მთლიანობაში უნდა იქნენ შესწავლილი.

უნარი და მოთხოვნილება მიცავს ინდივიდის ყველა თვისებასა და თავისებურებას, რაც კი მის მოქმედებაში მქლავნდება და ვითარდება. უნარი წარმოშობს მოთხოვნილებას, ამასთან განსაზღვრავს მის ინტენსივობას, ექსტენსივობასა და ხანგრძლივობას. მოთხოვნილება საფუძვლად ედება შესაბამისი ინტერესების, სურვილების, მისწრაფებების, მიდრეკილებების, ვნებების, გრძნობებისა და მიზნების წარმოშობას. მოთხოვნილება უნარის პირველადი გამოვლენის ფორმაა. ინდივიდის ყველა დანარჩენი ფსიქიკური გამოვლინება უნარისა და მოთხოვნილების სოციალურად განპირობებული ურთიერთ-დამოკიდებულების ბაზაზე.

უნარისა და მოთხოვნილების კატეგორიები არ უნდა განვიხილოთ ერთიმეორესთან კავშირისა და ურთიერთგანპირობებულობის გარეშე. წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელი იქნება მათი არსების სწორად გარკვევა.

უნარისა და მოთხოვნილება, რასაკვირველია, მხოლოდ იურიდიული და ფსიქოლოგიური მეცნიერების კვლევის საგანი არ არის, რადგან ადამიანის უნარისა და მოთხოვნილებების განვითარება საზოგადოებრივ-ისტორიული პროცესია.

საზოგადოებრივი წარმოება, მის მიერ შექმნილი საგნობრივი სინამდვილით, განსაზღვრავს მოხმარების უნარს მოთხოვნილების სახით და თვით წარმოების უნარს. ეს დბულება ეხება როგორც ადამიანის უნარის მოხმარებასა და კვლავ წარმოებას, ისე მოთხოვნილების საგნის წარმოებისა და მოხმარების უნარს, რაც, თავის მხრივ, ვითარდება და სულ უფრო სრულყოფილი ხდება დაკმაყოფილების შედეგად.

გარკვეული უნარი და მოთხოვნილება ადამიენეის დაბადებიდანვე მემკვიდრეობით ეძლევა. მაგრამ ადამიანი, როგორც პიროვნება, ყველა უნარს როდი იღებს მემკვიდრეობით. ინდივიდს, მემკვიდრეობით უნარებთან ერთად, გადმოეცემა უნარი ახალი უნარების ფორმირებისათვის. ეს უკანასკნელი კი დამოკიდებულია აღზრდაზე. მემკვიდრეობით უნარის გამოვლინებასა და ახალი უნარის წარმოშობაში გადამწყვეტი როლს ასრულებს სოციალური გარემო და ადამიანის საზოგადოებრივი საქმიანობა.

პიროვნების შინაარსს გამოხატავს მის უნარისა და მოთხოვნილებების ერთობლიობა. ადამიანისათვის დამასისათუბელია საკუთარი უნარის, თვისების დადასტურება მის გარეთ არსებულ საგნობრივ სინამდვილეში.

ადამიანის მიერ თავისი უნარის გამოვლენის სპეციფიკური ფორმაა საზოგადოებრივი საქმიანობა, შრომა; ინდივიდის მოქმედება, როგორც ცნობილია, საზოგადოებრივი მოქმედებაა. ადამიანი ასაგნობრივებს თავის უნარს და საზოგადოებრივად გარკვეული წესით მოიხმარს სხვა ადამიანებისაგან, მთელი საზოგადოების მიერ სხვა ფორმით გასაგნობრივებულ უნარს.

უნარის გარეშე არ არსებობს მოთხოვნილება. მოთხოვნილება კი, თავის მხრივ, წარმოშობს მოქმედების სტიმულსა და ენერგიას უნარის სახით, რომლის რეალიზაცია მოქმედებაში უნართა და მოთხოვნილებათა შემდგომ განვითარებას იწვევს. ამ განვითარების საფუძველი საბოლოო ანგარიშით წარმოებისა და მოთხოვნილების ურთიერთშემოქმედებაა.

უნარი და მოთხოვნილება ერთიმეორეს განაპირობებს

უნარი წარმოშობს მოხმარებისა და მოქმედების მოთხოვნილებას. კარკვეული აზრით, მოხმარების მოთხოვნილება თვით წარმოადგენს უნარს, მაგრამ მოხმარების მოთხოვნილება თავისთავად, მოქმედების მოთხოვნილების გარეშე, პასიური უნარია და არ იწვევს ადამიანის განვითარებას. ინდივიდებს მრავალი მოთხოვნილება აქვთ, მაგრამ ზოგიერთი მათგანის დაკმაყოფილებისათვის ისინი აქტიურობის არაერთარ ფორმას არ მიმართავენ. ასეთი მოთხოვნილებები მთელი სიცოცხლის ან გარკვეული პერიოდის მანძილზე არ იქცევა მათი მოქმედების მიზნად და ამოცანად. ეს იმიტომ, რომ მათ არ გააჩნიათ ამ მოთხოვნების დაკმაყოფილების პირობები როგორც საკუთარი უნარს, ისე შესატყვისი ობიექტური გარემოს სახით. ასეთ მოთხოვნებებს არარეალური მოთხოვნილებები ეწოდება.

უნარი დადასტურებას პრაქტიკაში მოითხოვს, უამრავი უნარიდან, რომლებსაც ადამიანი მემკვიდრეობით ღებულობს ან ცხოვრებაში იძენს, ერთი ან რამდენიმე მეტ-ნაკლები ძალით განორიენება. ეს უკანასკნელნი კი ამა თუ იმ დარგისადმი მიდრეკილებებს ქმნიან. თუ გარემოებამ ხელი შეუწყო და ადამიანის აღზრდა-საქმიანობა მასში მოცემული ყველაზე ძლიერი, დადებითი უნარის მიხედვით წარიმართება, მაშინ მიდრეკილება სწრაფად ვითარდება და უმაღლეს მწვერვალს აღწევს. სწორედ ამ გზით ვღებულობთ ტალანტებს.

მიუხედავად ამისა, ბევრ სააღმზრდელო დაწესებულებაში ნაკლებად ან სრულიად არ ექცევა ყურადღება აღსაზსრდელთა მიდრეკილებებისა და უნარების შესწავლას, ახალგაზრდები, საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებს ამთავრებენ ისე, რომ მათ აღმზრდელებს არა აქვთ საერთო აზრი თითოეული მათგანის შესაძლებლობებზე, მათ შინაგან მოთხოვნილებებზე, ინტერესებსა და მისწრაფებებზე, რომლებიც გარკვეულ უნართანაა დაკავშირებული. არ ტარდება საკამო ღონისძიებები მოსწავლის დამოუკიდებელი აზროვნების უნარის განვითარებისათვის. ამა თუ იმ სასწავლო დისციპლინაში მოსწავლეს შეფასება ეძლევა მხოლოდ ცოდნის მიხედვით ისე, რომ უყურ-

ადღებოდ რჩება ამ ცოდნის გამოყენების უნარი, მოსწავლის შინაგანი პოზიცია, დამოკიდებულება შესასწავლი მასალისადმი. დასწავლის უნარი, ცოდნა და ცოდნის შინაარსისადმი დამოკიდებულება, მართალია გარკვეულ კავშირშია ერთმანეთთან, მაგრამ არსებითად განსხვავებული მოვლენებია. მოსწავლის ყოველი უნარი მასწავლებლისათვის სპეციალური შესწავლის საგანი უნდა იყოს. როდესაც კლასიდან კლასში გადაყვანის დროს მოსწავლის დახასიათება იწერება, სხვა მონეცემებთან ერთად, მასში ფიქსირებული უნდა იყოს ყველა მასწავლებლის აზრი აღნიშნული უნარის შესახებაც. ჩვენს სკოლებში კი უმეტეს შემთხვევაში ასე ხდება: დახასიათებას წერს (ხოლოდ კლასის ხელმძღვანელი, თანაც ისე ზერეულად და სტანდარტულად, რომ მისი წაკითხვა ნათელ სურათს არ იძლევა მოსწავლის, როგორც პიროვნების, შესახებ—მის უნარზე, მოთხოვნილებებზე, მსოფლმხედველობაზე, მოტივებზე, მიდრეკილებებზე, ინტერესებზე, მისწარაფებებზე, ტემპერამენტზე, ხასიათზე, დამოკიდებულებებზე. პედაგოგიურ მეცნიერებაში საყოველთაოდ მიღებულია და არაფერ დაობს მოსწავლეებისადმი ინდივიდუალური მიდგომის აუცილებლობაზე. მაგრამ, როგორ შეუძლია აღმზრდელს იხელმძღვანელოს ინდივიდუალური მიდგომის მეთოდით, როდესაც მოსწავლეები მისთვის არ არიან ცნობილი როგორც ინდივიდები? ადამიანებს ყოველ ასაკში აქვთ საერთო და სპეციფიკური, თანდაყოლილი ან შექენილი თვისებები. ამ უკანასკნელთა ერთიანობა აქცევს მათ ინდივიდებად. აღზრდის მეცნიერული ორგანიზაცია შესაძლებელია მხოლოდ ამ ინდივიდუალურ თვისებებსა და უნარის ცოდნაზე დაყრდნობით. აღმზრდელობითი მუშაობის ეფექტიც მთლიანად განისაზღვრება აღსაზრდელებში, როგორც ინდივიდებში, უნარის მოთხოვნილებების, ინტერესების, მიდრეკილებებისა და სხვათა შეცნობისა და გამოყენების ხელოვნებით.

ადამიანი თავის არსებობას და არსების ძალეზე გარემოს საგნებთან ურთიერთობაში ავლენს და ავითარებს. თავის მხრივ, ყოველი ინდივიდი წარმოადგენს ობიექტს, საგანს, რო-

მელშიც მის გარეშე არსებული და მასთან ურთიერთობაში მყოფი სხვა ადამიანები და საგნები ადასტურებენ თავიანთ არსებობასა და არსების ძალებს.

ადამიანი რასაც ასახავს, რასაც გრძნობს გარეგანი საგნების მიმართ, ამ უკანასკნელთა ობიექტური თვისებების ზემოქმედებითაა გამოწვეული, მაგრამ იგი მხოლოდ ამ საგნების თვისებების ასახვა არ არის. აღნიშნული პროცესი, ამასთან ადამიანის არსების ძალების, უნარის დადასტურებაა საგნობრივ სინამდვილეში. “ჩვენ არ შეგვიძლია სხვა რამ დავადასტუროთ, თუ თვით ჩვენი თავი არ დავადასტურეთ, არ გამოვაფიქნეთ”, – წერს ფოიერბახი.

თუ ადამიანი რაიმე საგანთან დამოკიდებულებაში არ არის, ეს საგანი მისთვის არც არსებობს. ამასთან, საგანი ადამიანსთვის არსებობს მხოლოდ იმ სახით, როგორ დამოკიდებულეა შიშაშიცაა ადამიანი მის მიმართ, რა სახითაც ადამიანი მასში თავის თავს ადასტურებს. ეს დებულება ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ადამიანი აძლევდეს საგნებს იმ თვისებებს, რომლებითაც იგი თავის თავს ადასტურებს. საგნებს საკუთარი თვისებები ახასიათებს, მაგრამ ამ თვისებებს ისინი მხოლოდ სხვა საგნებთან ურთიერთობაში ავლენენ. ასევე, ადამიანიც თავის თვისებებს ადასტურებს სხვა ადამიანებში, საგნებსა და მოვლენებში.

ამრიგად, ადამიანების არსების ძალებს ობიექტურად თავისი საგნები შეესატყვისება. ეს არსების ძალები იმიტომ არსებობენ, რომ ობიექტური საგნები გააჩნიათ. თავის მხრივ, ობიექტური საგნები ადამიანებისთვის, როგორც სუბიექტებისათვის, საგნებად ხდებიან მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ადამიანს გააჩნია შესატყვისი არსების ძალა, თვისება, გრძნობა უნარის სახით. ყოველი საგნის თვისება სხვა საგნის საშუალებით დასტურდება ბუნებაში, მაგრამ სხვა საგნებისაგან განსხვავებით, ადამიანი თავის თავსა და თვისებებს ცნობიერად ადასტურებს საგნებში. ადამიანის არსება მრავალმხრივია, იგი როგორც ბუნებრივი, ასევე სოციალური თვისებების მატარებელი

ლია, მაგრამ მისი არსებისათვის სპეციფიკურია სოციალური თვისებები. ინდივიდებში შერწყმულია ადამიანის არსებობისათვის დამახასიათებელი საერთო და განმასხვავებელი სპეციფიკური თვისებები. ისინი, როგორც ინდივიდები, აწორედ იმიტომ არსებობენ, რომ, საერთოსთან ერთად, ურთიერთგანმასხვავებელი ნიშნებიც აქვთ. ამიტომ ცალკეულ ინდივიდებში, საერთოს გარდა, შესწავლილ უნდა იქნეს ის სპეციფიკურიც და ინდივიდუალურიც, რის საფუძველზეც ადამიანური არსება ვლინდება და განსახიერებას პოულობს საზოგადოებრივი ურთიერთობების ერთობლიობა. ეს მეტად რთული, მაგრამ აუცილებელი პირობაა ადამიანის ფორმირების კანონზომიერებათა დადგენისათვის.

ადამიანის არსება მის უნარსა და მოთხოვნილებებშია ასახული, რაც ყველაზე თვალსაჩინოდ წარმოების პროცესში მის მიერ შექმნილი საგნობრივ სინამდვილეში ვლინდება.

ადამიანთა ისტორიის საგნობრივი ყოფიერება სხვა არაფერია, თუ არა მათ მიერ გასაგნობრივებული უნარი შრომის იარაღების, წარმოების საშუალებებისა და პროდუქტების სახით, რომლებიც ადამიანთა ნამდვილ ურთიერთობებს ავლენენ.

ცნობილია, რომ ადამიანები ქმნიან საზოგადოებას ისევე, როგორც საზოგადოება აყალიბებს ადამიანებს. მაგრამ, როგორ ყალიბდება საზოგადოების თითოეული წევრი, როგორც ინდივიდი, როგორც პიროვნება, ამ კითხვაზე ზოგადი პასუხი — ადამიანების გარემოსა და აღზრდის პროდუქტები არიან — საყოველთაოდ ცნობილია. მაგრამ იგი დაკონკრეტებას საჭიროებს იმ კანონის საფუძველზე, რომ ადამიანის ყველა თვისება, უნარი და მოთხოვნილება წარმოიშობა და ვითარდება მხოლოდ შესატყვის საგანთან ურთიერთობაში. ამ პროცესების შესწავლასა და გამოყენებას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა გააჩნია აღზრდის თეორიასა და პრაქტიკაში.

ადამიანს ჭეშმარიტ სიხარულს ჰგერის თავისი არსების ძალების, უნარის გამოვლინება და დადასტურება, რადგან ისინი ინდივიდისათვის ყველაზე ძლიერ და მუდმივ მოთხოვნ-

ნილებას წარმოადგენს. ამიტომ ადამიანის კმაყოფილებასა და ბედნიერებას განაპირობებს მხოლოდ მისი უნარისა და მოთხოვნილებების შესატყვისი მდგომარეობა. უკმაყოფილება იწყება მაშინ, როცა ადამიანს არ ეძლევა თავისი უნარის გამოვლინება და ფუნქციონირების, დადასტურების საშუალება. როცა მას, ობიექტური პირობების გამო, არ ეძლევა რეალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შესაძლებლობა.

ადამიანში მოცემულ ყველა უნარს განვითარების საშუალება უნდა მიეცეს, მაგრამ, ამასთანავე, როგორც ინდივიდისათვის, ისე საზოგადოებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, როცა ფუნქციონირებისა და განვითარების მაქსიმალური შესაძლებლობა, პირველ რიგში, იმ უნარს შეექმნას, რომლითაც ადამიანი ყველაზე მეტად არის დაჯილდოებული, როგორც კონკრეტული ინდივიდუალობა. ეს, თავის მხრივ, ყველა სხვა უნარის ნორმალური განვითარების საფუძველია.

უნარისა და მოთხოვნილებების განვითარების ობიექტურ წყაროს წარმოადგენს წარმოება. წარმოების პროცესში შექმნილი საკნები და დამკვიდრებული ურთიერთობები ადამიანებში წარმოშობენ შესაბამის მოთხოვნილებებს, ხოლო ეს უკანასკნელნი—შესატყვის უნარს. უნარი, თავის მხრივ, იხვეწება და სრულყოფილი ხდება მოთხოვნილების დაკმაყოფილების შედეგად. ყოველი დაკმაყოფილებული მოთხოვნილება წარმოშობს ახალ მოთხოვნილებას და ასე შემდეგ—უსასრულოდ.

ადამიანთა ახალ მოთხოვნილებებს წარმოშობს ახალი საკნები, საქმიანობა და ურთიერთობები, რომლებიც მათში აქამდე მთვლემარე უნარის გამოცოცხლებასა და განვითარებას იწვევენ. ასეთი პირობების შედეგად ადამიანი თავის თავში აღმოაჩენს ისეთ უნარს, რომელსაც მანამდე ვერც თვითონ და ვერც სხვა ამჩნევდა.

ამრიკად, ახალ საგანთა და ურთიერთობათა ზემოქმედება ადამიანში წარმოშობს ახალ მოთხოვნილებებსა და უნარს, რომლებიც შემდგომ ვითარდება და სრულყოფას განიცდის მოთხოვნილების დაკმაყოფილების კვალობაზე.

აღნიშნული საგნები შეიძლება იყოს როგორც მატერიალური, ისე სულიერი კულტურული მოხმარებისა. მოთხოვნილებების წარმოშობის ეს კანონზომიერება საზოგადოების წინაშე აყენებს ჯანსაღი და გონივრული მოთხოვნილებების აღზრდის პრობლემას, რადგან საზოგადოებრივი წარმოების, მცენიერებისა და ტექნიკის განვითარების თანამედროვე პირობებში ადამიანებზე ზემოქმედებას ახდენს ისეთი საგნებიც, რომელთა შექმნა და მოხმარება ყველა ადამიანს არ შეუძლია კანონიერი გზით, ამიტომ ასეთი მოთხოვნილებები პოტენციურად, შესაძლებლობის სახით დანაშაულებრივი მოქმედების სტიმულებს წარმოადგენს. ეს შესაძლებლობა სინამდვილედ იქცევა შესაბამის სიტუაციაში—სათანადო სუბიექტურ და ობიექტურ პირობებში.

გარემოსთან ურთიერთობა ადამიანებში აყალიბებს შესაბამის უნარსა და მოთხოვნილებებს, რაც თავის მხრივ, საფუძვლად ედება ადამიანის აქტივობასა და პიროვნების შემდგომ განვითარებას. ყოველი უნარი წარმოშობს შესატყვის საგნობრივ მოთხოვნილებას, რომლის დაკმაყოფილება გარკვეულ პირობებში მიზნად იქცევა. მიზანს თანმიმდევრობით მოჰყვება მისი განხორციელებისათვის საჭირო მოქმედების მოტივაციის პროცესი, მოტივი, გადაწყვეტილება, განწყობა და პრაქტიკული მოქმედების მოთხოვნილება. ეს უკანასკნელი არსებითად განსხვავდება მიზნის წარმომშობი საგნობრივი მოთხოვნილებისაგან. საგნობრივი მოთხოვნილება იდეური მოქმედებისა და მოტივაციის შედეგად ახალ თვისობრიობაში გადადის, იქცევა პრაქტიკული მოქმედების მოთხოვნილებად, რომელიც შესატყვის სიტუაციაში რეალიზაციას განიცდის მომედების სახით. მთელი ეს პროცესი განპირობებულია ადამიანთა სხვადასხვა უნარისა და მოთხოვნილებების გარემოსთან მრავალმხრივი ურთიერთზემოქმედებით, რომლის დროსაც ისინი გარკვეულად ვითარდებიან და თვისობრივად იცვლებიან, რაც საბოლოოდ, საფუძვლად ედება პიროვნების განვითარებას.

6. ზოგადი მოტივები და დამოკიდებულებები

ჩვენ ზემოთ შევეხეთ ისეთ მოტივებს, რომლებიც იქმნება კონკრეტული მოთხოვნილებების გაცნობიერებით აღმოცენებული მოტივაციის პროცესის შედეგად, მაგრამ არსებობს ისეთი მოტივებიც, რომლებიც იქმნება ადამიანის მთელი ცხოვრების მანძილზე, პრაქტიკის საფუძველზე და ერთი რომელიმე კონკრეტული მოქმედების მოტივს კი არ წარმოადგენს, არამედ მრავალ გარეგნულად განსხვავებულ მოქმედებას განაპირობებს. ასეთ მოტივს ჩვენ ზოგად, განსაკუთრებულ და საყოველთაო მოტივს ვუწოდებთ. მისი სუბიექტური ფაქტორები ყალიბდება ადამიანის მთელი სიცოცხლის მანძილზე კონკრეტული მოტივების გაერთიანების შედეგად.

ზოგადი მოტივი, მოტივაციის ხელახალი გავლის გარეშე, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, უშუალოდ, თითქოს გადაწყვეტილების აქტის გარეშე იწვევს მოქმედებას, მაგრამ გადაწყვეტილება აქ მოხსნილი და შემონახული სახით არსებობს. გადაწყვეტილების მიღება რთულ პროცესს წარმოადგენს მხოლოდ მაშინ, როდესაც სუბიექტის წინაშე რაიმე ახალი ამოცანა დგება, ახალი მოთხოვნილება და სიტუაცია წარმოიშობა. ზოგადი მოტივისათვის კი ცალკეული მოქმედებები ახალი არ არის. ეს ამოცანა უკვე გადაწყვეტილია ზოგადი მოტივაციის ხანგრძლივი პროცესის შედეგად.

ზოგადი მოტივი საფუძველად უდევს მრავალ სხვადასხვა მოქმედებას, ქცევას, ხოლო კონკრეტული მოტივი – მხოლოდ ერთ რომელიმე მოქმედებას კონკრეტულ სიტუაციაში.

ზოგადი მოტივი კონკრეტული მოქმედებების საშუალებით ვლანდება, ამიტომ ზოგადი მოტივის გასაღებს ცალკეული მოქმედებები წარმოადგენს. ადამიანური არსების, ფსიქოლოგიის ეს მხარე ადამიანისათვის პრაქტიკულად ცნობილია. სწორედ ამიტომ ხდება, რომ ხშირად ერთი რომელიმე, ვთქვათ, ამორალური, მოქმედების საფუძველზე აკეთებენ ზოგად დასკვნას.

ნას ადამიანის შესახებ, მაგალითად, ანდაზა იმის შესახებ, რომ „ნემსის ქურდი და აქლემის ქურდი ერთია“, სინამდვილეს შეეფერება, რადგან, თუ ადამიანში არსებობს ქურდობის გამართლების ზოგადი მოტივი, მაშინ, ცხადია, მას შეუძლია იგივე მოქმედება გაიმეოროს მოთხოვნილების დაკმაყოფილების სხვა ვითარებაშიც და სხვა საშუალებათა მიმართ. ასეთი მოქმედების საფუძველზე, ადამიანისა და მისი დანაშაულის შეფასებისათვის იმას კი არა აქვს გადაწყვეტი მნიშვნელობა, თუ რა ღირებულების ნივთი მოიპარა მან, არამედ იმას, რომ მას ქურდობის ზოგადი მოტივი და განწყობა აქვს, რომელიც ხელსაყრელ ვითარებაში ყოველთვის მოქმედებაში გადავა. იგივე ვრცელდება იურიდიულად და მორალურად გაუმართლებელ ყველა სხვა მოქმედებაზეც.

ადამიანი თავისი ცხოვრების მანძილზე სხვადასხვა სუბიექტურ და ობიექტურ გარემოში მრავალ მსგავს მოწოდებას ახორციელებს, რომელთაგან თითოეულს თავისი გამართლება, კონკრეტული მოტივი გააჩნია. ადამიანის მიერ უკვე განხორციელებულ მოქმედებათა კონკრეტული მოტივები შინაგანად ერთიმეორეს უკავშირდებიან და ქმნიან ერთ მთლიან სისტემას ზოგადი მოტივის სახით.

ხშირად, შესატყვის ვითარებაში ზოგადი მოტივი უშუალოდ წარმოშობს კონკრეტული მოქმედების მოტივს, რის გამოც გადაწყვეტილება მიიღება მოტივაციის რთული პროცესის გარეშე. ასეთ შემთხვევაში მოქმედება მაინც ოტივირებულ მოქმედებად ითვლება, რადგან მოტივაციის პროცესი მასში მონაწილეობს მოხსნილი სახით.

ზოგადი მოტივები და დამოკიდებულებები საფუძველად ედება ქცევასა და საქმიანობას, ხოლო კონკრეტული მოტივები—მოქმედებებს. ადამიანის ნამდვილი ბუნება, სრულყოფილად ვლინდება არა ცალკეულ მოქმედებებში, არამედ ქცევაში, რომელიც მისი ზოგადი მოტივებისა და დამოკიდებულებების გასაღებს იძლევა.

ამრიგად, ყოველი კონკრეტული მოქმედების მოტივს წარ-

მოშობს მოტივაციის სუბიექტური და ობიექტური ფაქტორები; კონკრეტული მოტივები, მსგავსად მოთხოვნისა, შინაგანად ერთიანდებიან და მოქმედებათა გარკვეულ სფეროში ქმნიან ზოგად, განსაკუთრებულ და საყოველთაო მოტივს; ზოგადი მოტივები აყალიბებენ დამოკიდებულებას, ხოლო დამოკიდებულებათა ერთობლიობა პიროვნებას; პიროვნების არსება მის დანოკიდებულებებში მჟღავნდება. საზოგადოების სამართლებრივი და მორალური ქცევის შესაბამისი ზოგადი მოტივებისა და დამოკიდებულების ჩამოყალიბება აღზრდის მთავარი პირობაა.

კორუფციის სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორები და მათი პროფილაქტიკა

1. კორუფციის არსი და გამოვლინება

კორუფცია წარმოშობით სოციალური, ხოლო შინაარსით ანტისოციალური მოვლენაა. მას ნებისმიერი მოქმედების სხვა სახეებთან მრავალი საერთო და სპეციფიკური ფაქტორები განაპირობებს, რომელთა შეცნობა და პროფილაქტიკა კორუფციის, როგორც ანტისოციალური დანაშაულებრივი მოქმედების პროფილაქტიკის გადამწყვეტი პირობაა.

ამ მიზნით ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში, პირობებში აუცილებელია, პირველ რიგში კორუფციის, როგორც ანტისოციალური მოქმედების სისტემური ანალიზი – მისი აღმძვრელი, მიმართულების მიმცემი და წარმმართველი სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორების დადგენა და განხილვა ურთიერთკავშირში, ურთიერთზემოქმედებასა და თანამოქმედებაში, ხოლო ამის შემდეგ დასაბუთებული ღონისძიების შემუშავება და განხორციელება.

ცნობილია, რომ ადამიანი როგორც დამოუკიდებელი ბიოფსიქოსოციალური სისტემა მის ბუნებრივ და სოციალურ გარემოებასთან, როგორც წესი, დინამიკური წონასწორობის მდგომარეობაში იმყოფება, რაც ჩვეულებრივ პერიოდულად ირღვევა და აღდგენას საჭიროებს.

დინამიკური წონასწორობის დარღვევა ადამიანში, წარმოშობს მისი აღდგენის საჭიროებას, რომლის გაცნობიერება მოთხოვნილების სახით შესაბამისი მოქმედების მოტივაციის პროცესს აღძრავს. მოტივაციის პროცესში ადამიანის წინაშე მოთხოვნილების დაკმაყოფილების მოქმედების სხვადასხვა შესაძლებლობათა მეტად ან ნაკლებად ფართო არჩევანი დგუ-

ბა. ამ შესაძლებლობებიდან თუ რომელს აირჩევს ადამიანი ეს დამოკიდებულია, როგორც გარეგანი, ობიექტური, ისე შინაგანი, სუბიექტური ფაქტორების ურთიერთშემოქმედებისა და თანამოქმედების რეალურ და შესაძლო შედეგებზე, რომლის დასაბუთებაც მოტივაციის პროცესში ხორციელდება.

მოტივაციის პროცესში მონაწილე სუბიექტური ფაქტორებიდან კანსაკუთრებულ როლს თამაშობენ მოთხოვნილებები, ინტერესები, ღირებულებითი ორიენტაციები, ადრე ჩამოყალიბებული მიზნები, მოტივები, განწყობები, დამოკიდებულებები და სხვა. ობიექტური ფაქტორებიდან კი—მოთხოვნილების საგანი, მისი მოპოვებისა და მოხმარების ობიექტური, სოციალურად განსაზღვრული სამართლებრივი და მორალური ნორმები, მათი დაცვის მდგომარეობა, საზოგადოებაში გაბატონებული ინტერესები, ღირებულებითი ორიენტაციები და სხვა, რაც გადამწყვეტ როლს თამაშობს ადამიანის როგორც პიროვნების სოციალიზაციაში.

სოციალიზაცია — ადამიანის პიროვნებად ჩამოყალიბების, მოცემული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი სოციალური ღირებულებების, სამართლებრივი და მორალური ქცევის სავალდებულო ნორმების შესწავლისა და შეგნების, შესაბამისი მოტივების, მიზნების, განწყობების, დამოკიდებულებების პრაქტიკულად დაუფლების პროცესია. იგი ხორციელდება, როგორც აღზრდის სისტემის მიერ ადამიანზე მიზანმიმართული შემოქმედების, ისე ოჯახის, ოჯახის გარე საზოგადოებრივი ურთიერთობების შემოქმედების სხვადასხვა საშუალებებით.

სოციალიზაციის შედეგად ინდივიდის ცნობიერებისა და შეგნების სფეროში ყალიბდება საკუთარი „მე“-ს ხატი, მისი, როგორც მოქმედი სუბიექტის მოთხოვნილებები, ინტერესები, ღირებულებითი ორიენტაციები, მიზნები, მოტივები, დამოკიდებულებები, სოციალური როლისა და მოვალეობის შეგნება, საზოგადოებაში საკუთარი თავის მიგნებისა და შესაბამისი ადგილის ჰონახვის უნარი.

სოციალიზაციის სხვადასხვა სახის დეფექტი საფუძვლად

ედება პიროვნების ნებისმიერი სოციალური როლის შეუსრულებლობას და შესაბამის დანაშაულებრივ ქმედებას.

სოციალური როლებისადმი ადამიანთა შინაგანი დამოკიდებულებების ჩამოყალიბება მოტივაციის პროცესში ხორციელდება.

მოტივაციის შედეგად ყალიბდება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ანტისოციალური მოქმედების ან მისგან თავის შეკავების მოტივი, რომლის შეცნობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ბრალდების დასაბუთების, სასჯელის ზომის განსაზღვრისა და მართლმსაჯულების განხორციელებისათვის.

მოტივაციისა და მოტივის ასეთი დიდი მნიშვნელობის მიუხედავად მათ შესახებ სპეციალისტებს შორის დღემდე არ არსებობს ერთიანი და სრულყოფილი, მეცნიერულად დასაბუთებული შეხედულება. ამასთან, იურისტებსა და ფსიქოლოგებს შორის მოტივების სრულიად სხვადასხვაგვარი გაგება არსებობს, სამართალში მოტივებად მიიჩნევენ შურისძიებას, ანგარებას, ხულიგნურ მისწრაფებებს, იჭვიანობას, შეუთავსებელ დამოკიდებულებებს და სხვა, ფსიქოლოგიაში კი ხშირად მოტივებს უწოდებენ მოთხოვნილებებს, ინტერესებს, სურვილებს, მისწრაფებებს, ემოციებს, მოთხოვნილების საგანს და ა. შ.

ჩვენი აზრით, აღნიშნული ფსიქიკური თვისებები მართალია მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან როლს თამაშობენ სხვადასხვა მოქმედებათა მოტივაციის პროცესში და მოტივის ჩამოყალიბებაში, მაგრამ არცერთი მათგანი თავისთავად მოტივად არ შეიძლება ჩაითვალოს. ჩვენთვის მოტივი არის რაიმეს შესახებ მოტივაციის შედეგად ჩამოყალიბებული აზრის ტექშიარტების შინაგანი გაცდა და შესაბამისი პრაქტიკული მოქმედების აუცილებლობის რწმენა, რომელიც მოტივაციის პროცესში გარკვეული მსჯელობების შედეგად ყალიბდება. ცნობილია, რომ მოტივაცია მსჯელობისა და დასაბუთების გარკვეული სახეა, ხოლო ფსიქოლოგიურად ყოველ მსჯელობას მეტ-ნაკლებად დარწმუნებლობა ახლავს.

2. კორუფციის მოტივაციის სისტემური გაგზისათვის

კორუფცია ადამიანთა ნებისმიერი მოქმედების, ქცევის, ერთ-ერთი სახეა. ჩვეულებრივი ნებისმიერი ქცევისაგან განსხვავებით იგი სამართლის ნორმების დარღვევაა და გარკვეულ პირობებში კანონით ისჯება. ყოველი ქცევა პრობლემურ სიტუაციაში, როგორც წესი, მოტივაციის საფუძველზე ხორციელდება.

მოტივაცია ადამიანის შინაგანი იდეალური მოქმედებაა, რაც წინ უძღვის რა ნებისმიერ პრაქტიკულ მოქმედებას, აზროვნების საშუალებით კანონზომიერად განსაზღვრავს მის შინაარსს და მიმართულებებს.

დაწაშულებათა პროფილაქტიკისა და აღკვეთის ეფექტური ღონისძიებათა განხორციელება საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, შესაძლებელია მხოლოდ მოტივაციის ფაქტორებისა და მათი ურთიერთზემოქმედების საფუძველზე, რაც სამწუხაროდ დღემდე სრულყოფილად არ ხორციელდება. მათი შესწავლისა და დადგენისათვის აუცილებელია მოტივაციის ფაქტორებისა და ძირითადი ეტაპების სისტემური ანალიზი.

ადამიანის მოქმედების, ქცევის სისტემური ანალიზი ნიშნავს მათი მოტივაციის ფაქტორების ძირითადი ეტაპების შინაგანი და გარეგანი შედეგების ურთიერთკავშირში, ურთიერთზემოქმედებასა და თანამოქმედებაში განხილვას.

მოტივაცია ადამიანის ყოველგვარი მოქმედებისა და ქცევის საიდუმლოებათა გასაღებია. ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში მისი საშუალებით ყალიბდება: მოქმედების, ქცევის ინტერესი, მიზანი, მოტივი, გადაწყვეტილება, შესაბამისი შინაგანი ცვლილებები – განწყობა, და პრაქტიკული დამოკიდებულება, რაც შემდეგ საგნობრივად და თვალსაჩინოდ გარეთ მიმართულ პრაქტიკულ მოქმედებაში, ქცევასა და მის შედეგებში ვლინდება. მართლაც „ქცევა სარკეა, რომელშიც ყველა ადამიანი თავის სახეს უჩვენებს“ (გოეთე), ისევე როგორც „კოკასა

შიგან რაცა დგას იგივე გადმოდინდების“ (შ. რუსთაყელი).

ადამიანი სამყაროს მრავალფეროვანი იერარქიული სისტემების მოძრაობისა და განვითარების ერთ-ერთი უქაღლესი საფეხურია. სხვა სისტემებისაგან განსხვავებით, იგი ურთულესი და ერთადერთი ბიოფსიქოსოციალური არსებაა, რომელიც როგორც სისტემა სამყაროს თითქმის ყველა ძირითად თვისებას აერთიანებს. ამიტომაც მას, სამართლიანად, მიკროკოსმოსსაც უწოდებენ.

რაოდენ რთული ან მარტივი არ უნდა იყვნენ სხვადასხვა სისტემები და სინამდვილის რომელ სფეროსაც არ უნდა ეკუთვნოდნენ ისინი, ყველა მათგანს აქვს წარმოშობის განვითარებისა და გამოვლინების საერთო და სპეციფიკური, ჩოლოდ მისთვის დამახასიათებელი კანონზომიერებანი, რომელთა შეცნობა და გამოყენება გარკვეულ ფარგლებში სისტემების მუშაობაში შეგნებულად ჩარევისა და მათი სასურველი მიმართულებით წარმართვის შესაძლებლობებს იძლევა.

კორუფციასაც აქვს სხვა მოქმედებებთან საერთო და მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი, სპეციფიკური თავისებურებანიც, მაგრამ არც ერთი და არც მეორე, დღეისთვის სრულყოფილად შესწავლილი არ არის. სპეციალისტებს შორის არ არსებობს ერთიანი აზრი არა თუ კორუფციის არამედ საერთოდ, ადამიანის ჩვეულებრივი მოქმედების, ქცევის აღმკვერელ და წამმართველ ფაქტორთა სისტემის და მათი განვითარების ძირითადი ეტაპების შესახებ. უფრო მეტიც დღემდე არ არსებობს მეცნიერულად დასაბუთებული ერთიანი საერთო აზრი ქცევის ისეთი ფაქტორებისა და ახსნითი ცნებების შესახებ, როგორიცაა: მოთხოვნილება, ინტერესი, მოტივაცია, მოტივი, რწმენა, მათი ურთიერთდამოკიდებულება და სხვა.

ადამიანი სამყაროს მრავალსაფეხურიანი იერარქიული სისტემის ერთ-ერთი საფეხურის კომპონენტია, რომელიც თავის მხრივ გარკვეული სისტემის სახით არსებობს. იგი, როგორც ბიოფსიქოსოციალური სისტემა გარემოს სხვა სისტემებთან და კომპონენტებთან მუდმივ კავშირში, ურთიერთზემო-

ქმედებასა და თანამოქმედებაში იმყოფება, რაც ერთის მხრივ მას თვისებრივად ცვლის და პიროვნებად აყალიბებს, ხოლო მეორეს მხრივ, იგი თვითონ ახდენს მათზე უკუზემოქმედებას და გარკვეულ ფარგლებში მათ თვისებრივ ცვლილებებსაც იწვევს.

ყველა საგანს, ცოცხალ არსებას გააჩნია თავისი გარე სამყარო, მაგრამ ადამიანი მათგან განსხვავებით ერთადერთი არსებაა, რომელიც გარე სამყაროს ასახვისა და გაცნობიერების საფუძველზე საკუთარ შინაგან სამყაროს ქმნის, რომელიც თავის მხრივ, როგორც კომპონენტი გარე სამყაროსთან უმეტესად ცნობიერ, შეგნებულ ურთიერთზემოქმედებასა და თანამოქმედებაში იმყოფება.

აღნიშნული თვისების გამო, სამყაროში ადამიანი და მხოლოდ ადამიანი, გამოდის ნებისმიერი მოქმედების სუბიექტად, რომელიც ცხოველური იმპულსური მოქმედებისაგან განსხვავებით პრობლემურ სიტუაციაში აზროვნების საშუალებით, მოტივაციის საფუძველზე, შეგნებულად წარმართავს თავის მოქმედებას.

მოტივაცია პრობლემურ სიტუაციაში შინაგანი იდეალური მოქმედებაა. მისი ფუნქციაა მოცემული სიტუაციისათვის სუბიექტის მიერ მისთვის ყველაზე მიზანშეწონილი და გამართლებული მოქმედების დასაბუთება და შესაბამისი რწმენის ჩამოყალიბება, რაც ყოველთვის წინ უძღვის რა ნებისმიერ პრაქტიკულ მოქმედებას, განსაზღვრავს მის მიმართულებას და შინაარსს.

ნებისმიერი მოქმედების მოტივაციისა და პრობლემურ სიტუაციაში პრაქტიკული მოქმედების პირველად განხორციელების შედეგად, მოტივაციის განვითარების ეტაპებისა და ფაქტორია ახალი დინამიკური სისტემა წარმოიშობა. მოქმედების შედეგების დადებითი უკუკავშირის შემთხვევაში მასში მონაწილე სუბიექტური და ობიექტური ფაქტორები ერთ სისტემად ერთიანდებიან და თითოეული მათგანი თანდათანობით მოქმედების მთლიანი სისტემის მოძრაობაში მოყვანის

უნარს იძენს. ასე ყალიბდება პიროვნების ახალი თვისებები და თვით პიროვნება, როგორც ბიოფსიქოსოციალური არსება.

ადამიანის ყოველგვარი დანაშაულის, ანტისოციალური ქცევის მიზნობრივი პროფილაქტიკისა და აღკვეთის ერთადერთი საშუალება არსებობს. ეს არის მათი წარმოშობი კონკრეტული მიზეზების გარკვევა და შესაბამისი, მეცნიერულად დასაბუთებული ღონისძიებების განხორციელება.

ისმება კითხვა: როგორ შეიძლება კორუფციის, როგორც დანაშაულებრივი ქცევის მიზეზების მონახვა და მათზე საჭირო ზემოქმედების განხორციელება? ზოგადი პასუხი ამ კითხვაზე ცნობილია – ამის მიზეზი პიროვნებისა და გარემოს ურთიერთზემოქმედებაში უნდა ვეძიოთ. მაგრამ ეს პასუხი ყოველი კონკრეტული პიროვნებისა და ყოველი დანაშაულობათა მიზეზების მონახვისა და მათზე ზემოქმედებისათვის საკმარისი არ არის. ამისთვის აუცილებელია პრობლემის საერთო და სფეციფიკური გასაღების მონახვა და გამოყენება. ვფიქრობთ, ასეთი გასაღები ნებისმიერი მოქმედების მოტივაციის ფაქტორებისა და მისი ძირითადი კომპონენტების სისტემურ ანალიზში უნდა ვეძიოთ, რაც თავის მხრივ, დღემდე, ასევე პრობლემად რჩება.

ისმება კითხვა: როგორ შეიძლება კორუფციის, როგორც დანაშაულებრივი ქცევის მიზეზების მონახვა და მათზე საჭირო ზემოქმედების განხორციელება? ზოგადი პასუხი ამ კითხვაზე ცნობილია – ამის მიზეზი პიროვნებისა და გარემოს ურთიერთზემოქმედებაში უნდა ვეძიოთ. მაგრამ ეს პასუხი ყოველი კონკრეტული პიროვნებისა და ყოველი დანაშაულობათა მიზეზების მონახვისა და მათზე ზემოქმედებისათვის საკმარისი არ არის. ამისათვის აუცილებელია პრობლემის საერთო და სპეციფიკური გასაღების მონახვა და გამოყენება. ვფიქრობთ, ასეთი გასაღები ნებისმიერი მოქმედების მოტივაციის ფაქტორებისა და მისი ძირითადი კომპონენტების სისტემურ ანალიზში უნდა ვეძიოთ, რაც თავის მხრივ, დღემდე, ასევე პრობლემად რჩება.

მოტივაცია ყოველთვის მისი აღრმქველი მოთხოვნების დაკმაყოფილების სასარგებლოდ არ მთავრდება, რადგან ამ პროცესში მისი აღმქველი მოთხოვნების გარდა სხვა მოთხოვნებები და სხვადასხვა სუბიექტური და ობიექტური ფაქტორებიც მონაწილეობენ. მათ შორის ისეთებიც – რომლებიც მეტ მნიშვნელობას ანიჭებენ მოტივაციის აღმქველი მოთხოვნების დაკმაყოფილებისგან თავის შეკავებას.

მოტივაციის პროცესში ადამიანი მეტ-ნაკლებად აცნობიერებს მოთხოვნების დაკმაყოფილების მოქმედების ყველა შესაძლო სუბიექტურ და ობიექტურ შედეგებს, მათთან დაკავშირებულ სხვა მოთხოვნებებს, ინტერესებს, ღირებულებით ორიენტაციებს, მისწრაფებებს, მიზნებს, მოტივებს, განწყობებს, გრძნობებს, ემოციებს და ა. შ. ამასთან, მეტ ნაკლებად ცნობიერყოფს არა მარტო უშუალო კონკრეტულ გარემოს, რომელშიც წარმოიშვა მოტივაციის აღმქველი მოთხოვნა, არამედ საერთოდ სოციალურ გარემოს მისი მოთხოვნებით, ინტერესებით, მიზნებით, მოტივებით, სამართლებრივი და მორალური ნორმებით. მათი დაცვის მდგომარეობით, ღირებულებითი ორიენტაციებით, ტრადიციებით და სხვა, რომელშიც მას უხდება არსებობა, როგორც ინდივიდსა და პიროვნებას.

ერთი და იგივე მოთხოვნა შეიძლება მრავალი სხვადასხვა მოქმედებით დაკმაყოფილდეს, მაგრამ მათგან თუ რომელს აირჩევს ადამიანი, ეს მთლიანად დამოკიდებულია მოტივაციის პროცესში მონაწილე სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების ურთიერთშემოქმედებისა და თანამოქმედების შედეგებზე, რომლის საფუძველზეც ყალიბდება მოცემულ სიტუაციაში სუბიექტისათვის ყველაზე გამართლებული, შესაძლებელი და აუცილებელი მოქმედების რწმენა ანუ ნებისმიერი მოქმედების, ქცევის მოტივი.

პრობლემურ სიტუაციაში მოტივაციის პროცესში მისი აღმქველი მოთხოვნების გარდა მონაწილე სხვა მოთხოვნებზე, ინტერესები, მიზნები, მოტივები, განწყობები და ა. შ. მონაწილეობენ არა როგორც ამ მოქმედების მიზნები. მოტი-

ვები, განწყობები და სხვა, არამედ მხოლოდ როგორც მოტივაციის წყულებრივი ფაქტორები, ამ ფაქტის გათვალისწინებას პრინციპული მნიშვნელობა აქვს ადამიანის მოქმედებისა და მისი მოტივის სწორად გაგებისათვის. მისი გაუთვალისწინებლობის შედეგია ის, რომ ფილოსოფოსების, ფსიქოლოგების, სოციოლოგების, იურისტების, პედაგოგებისა და სხვათა დიდი ნაწილი დღემდე ამტკიცებენ, რომ ადამიანის ამა თუ გადაწყვეტილებას და მოქმედებას თითქოს რამოდენიმე მოტივი ედოს საფუძვლად, რაც ვფიქრობთ სინამდვილეს არ შეესაბამება.

ჭეშმარიტებასთან, ვფიქრობთ უფრო ახლოსაა ის მხასაზრება, რომლის მიხედვით ყოველ მოქმედებას შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ერთი მოტივი, ფაქტორი კი – მრავალი. მრავალმოტივაციური შეიძლება იყოს მხოლოდ ქცევა და საქმიანობა, რომელთაგან პირველი – მოქმედებათა სისტემას, ხოლო მეორე – მოქმედებათა და ქცევათა სისტემებს აერთიანებს. ქცევაში ერთი საერთო მოტივით გაერთიანებულ ყოველ მოქმედებას თავისი საკუთარი მოტივები გააჩნიათ, ხოლო მოქმედებების და ქცევების მოტივები, საქმიანობის მოტივის ჩამოყალიბებაში ანალოგიურად მონაწილეობენ როგორც მისი მოტივაციის ფაქტორები და არა როგორც მოტივები.

მოტივაციის სუბიექტური და ობიექტური ფაქტორები ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში მეტ-ნაკლები სცხადით აიკახებიან ცნობიერებაში. ზოგიერთი მათგანი ზოგჯერ ცნობიერების ზღურბლსაც კი არ აღწევს, მაგრამ არაცნობიერად მაინც მონაწილეობს მოტივაციის პროცესში. ამასთან ადგილი აქვს მოთხოვნილების დაკმაყოფილების მოქმედების სასარგებლო და საწინააღმდეგო სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების მრავალმხრივ შეპირისპირებას. ასეთ შემთხვევაში რომელიმე მათგანმა შესაძლებელია წამყვანი როლი ითამაშოს, მაგრამ მაშინაც არ შეიძლება ნებისმიერი მოქმედების მოტივის დაყვანა ერთ რომელიმე ფაქტორზე, ეთქვას მოთხოვნილებაზე, ინტერესზე, მისწრაფებებზე, ვნებებზე, ემოციებზე, მოვალეობის შეგნებაზე და სხვა. იგი არ შეიძლება დაყვანილ იქნას აგრეთვე

არც მოთხოვნების საგანზე, რასაც ადგილი აქვს ზოგიერთი ცნობილი სპეციალისტების მიერ. მაგალითად, ისეთი ცნობილი ფსიქოლოგი, მსოფლიოში აღიარებული სპეციალისტიც კი, როგორცაა ა. ნ. ლეონტიევი, მოტივად მოთხოვნების საგანს მიიჩნევს იხ. ა. ნ. ლეონტიევი, საქმიანობა, ცნობიერება, პიროვნება /რუს/ მ. 1975 წ. გვ. 102).

რა თქმა უნდა, მოთხოვნების საგანი და მასთან დაკავშირებული სხვა საგნები და მოვლენები მონაწილეობენ მოტივის ჩამოყალიბების პროცესში, როგორც ფაქტორები, მაგრამ ჩვენი აზრით, არკურთი მათგანი თავისთავად მოტივს არ წარმოადგენს. მოტივის როლში მოთხოვნების საგანი, რომ გამოდიოდეს, მაშინ ერთი და იგივე საგანი ყოველთვის ერთი და იგივე მოქმედებას უნდა იწვევდეს, მაგრამ ფაქტები ადასტურებენ, რომ ეს სინამდვილეში ასე არ ხდება.

ნებისმიერი მოქმედების მოტივის როლში შეიძლება გამოვიდეს მხოლოდ მოთხოვნა, ისიც იმ შემთხვევაში, როდესაც მოტივაციის ეტაპის მრავალჯერ გამეორების შედეგად ერთი და იგივე სუბიექტურ და ობიექტურ გარემოში მისი დაკმაყოფილება ჩვეულებრივად იქცევა და მოტივაციის პროცესის გამეორების გარეშე გაცნობიერებისთანავე შესაბამის სიტუაციაში როგორც პრაქტიკული მოქმედების მოთხოვნა, უშუალოდ გადადის მოქმედებაში. ეს ხდება იმის გამო, რომ მოტივაციის პროცესის ხშირად გველის შედეგად, მოთხოვნებსა და მისი დაკმაყოფილების მოქმედებას შორის უმოკლესი გზით პირდაპირი კავშირი მყარდება, ისევე, როგორც დროებითი კავშირების აღმოცენების შემდეგ პირობითი რეფლექსების შემუშავების დროს. ამის საფუძველზე მოთხოვნა ჩვეულ სიტუაციაში მოტივაციის პროცესის გარეშე უშუალოდ იწვევს მოქმედებას, მაგრამ მოთხოვნების დაკმაყოფილების ჩვეულ სიტუაციაში მოტივაციის თუ რაიმე ცვლილებები მოხდა, მოტივაციის პროცესი კვლავ განახლდება და აღნიშნული მოთხოვნების დაკმაყოფილების მოქმედება შესაბამის შესწორებას განიცდის.

ერთი და იგივე მოთხოვნების დაკმაყოფილების მოქ-

მედება ერთი და იგივე სუბიექტურ და ობიექტურ პირობებში, მრავალჯერ განმეორების შედეგად, როდესაც ჩვევაში გადადის და მოტივის როლში გარეგნულად უშუალოდ მოთხოვნილება გამოდის, ბევრი მკვლევარი ასეთ მოქმედებას არ თვლის ნებისმიერ მოქმედებად და მას იმპულსურ მოქმედებასთან აიგივებს. სინამდვილეში კი მოქმედება, რომელსაც საფუძვლად უდევს მოტივაციის ეტაპგავლილი მოთხოვნილება, არსებითად განსხვავდება იმპულსური მოქმედებისაგან. თუ ეს გარემოება არ იქნა გათვალისწინებული ადამიანთა მოქმედების ანალიზის დროს, შესაძლებელია სერიოზული შეცდომების დაშვება.

იმ შემთხვევაში, როდესაც ჩვეულ მოქმედებაში მოთხოვნილებასა და მოქმედებას შორის პირდაპირი კავშირი წყარდება და იგი ხორციელდება თითქოს მოტივაციის პროცესის გარეშე, სინამდვილეში მოტივაციის ეტაპი მასში მონაწილეობს მოხსნილი სახით.

ამრიგად, მოთხოვნილება ყველაზე ახლოსაა ნებისმიერი მოქმედების მოტივთან. მის გარეშე არ არსებობს მოტივაციის პროცესი და პრაქტიკული მოქმედება, მაგრამ მოთხოვნილებასა და ნებისმიერი მოქმედების მოტივს შორის მაინც არსებითი განსხვავებაა, რაც ერთმანეთისაგან მიჯნავს ადამიანის ნებისმიერ მოქმედებას იმპულსური მოქმედებისაგან. ამ უკანასკნელს თავიდან ბოლომდე აღძრავს და შესაბამის სიტუაციაში უშუალოდ წარმართავს მოთხოვნილების იმპულსი, მაშინ როცა ნებისმიერ მოქმედებას წინ უძღვის მოტივაციის რთული სოციალურ-ფსიქოლოგიური პროცესი, რომელშიც თავიდან ბოლომდე აქტიურად მონაწილეობს სუბიექტი როგორც სოციალური არსება და როგორც პიროვნება.

ნებისმიერი მოქმედების მოტივაციის პროცესი, მართალია, უფრო ხშირად ერთი რომელიმე მოთხოვნილების საფუძველზე აღმოცენდება ხოლმე, მაგრამ ამ პროცესში, როგორც დაეინახეთ, მასთან ერთად მონაწილეობენ პიროვნებას სხვა მოთხოვნილებების, ინტერესების, მიზნების, მოტივებისა და დამოკიდებულებათა სისტემები. ერთი სიტყვით პიროვნების

მთელი შინაგანი სამყარო, მისი ფიზიკური და სულიერი ძალები, მოთხოვნების დაკმაყოფილების მოქმედების სუბიექტური და ობიექტური ფაქტორები, რომელთა ურთიერთშემოქმედებისა და თანამოქმედების შედეგად მიიღება ნებისმიერი მოქმედების მოტივი.

ამრიგად, მოთხოვნებისა და ნებისმიერი მოქმედების მოტივს შორის არსებითი განსხვავებაა. მათ შორის შინაგანი იდეალური მოქმედების სახით დგას მოტივაციის, ე. ი. დასაბუთების რთული ფსიქოლოგიური პროცესი, რომლის შედეგადაც მოცემული კონკრეტული სიტუაციის სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების გათვალისწინებით ყალიბდება ამ და არა სხვა მოქმედების აუცილებლობის რწმენა ანუ მოტივი. მოთხოვნალება მოტივის როლში უშუალოდ მხოლოდ იმპულსური მოქმედების შემთხვევაში გამოდის, როდესაც იგი შესაძლო დაკმაყოფილების სიტუაციაში მოტივაციის გარეშე უშუალოდ იწვევს მოქმედებას.

მოტივაციის პროცესში ადამიანი მოქმედებს იდეალურად, აზროვნების საშუალებით მოცემულ ობიექტურ გარემოში, როგორც ბიოფსიქოსოციალური არსება. მასზე, მსგავსად ცხოველისა, მართალია, მოქმედებს მხედველობის ველში უშუალოდ, ფიზიკურად მოცემული გარემო, მაგრამ ცხოველისაგან განსხვავებით ადამიანის გარემო ამასთან სოციალურია, რაც მის ცნობიერებაში რეალურად არსებული საზოგადოებრივი ურთიერთობების სახითაა ასახული მისთვის დამახასიათებელი საპართლებრივი და მორალური ნორმებით. ძირითადად, სწორედ აი ეს ცნობიერებაში ასახული სოციალური გარემო ახდენს ადამიანის მოქმედების რეგულირებას. ამასთან, მით უფრო მეტად, რაც უფრო იგი ამალღებულია ცხოველური მდგომარეობიდან.

აზროვნება და ცნობიერება, როგორც დავინახეთ მოტივის უბრალოდ გამტარს არ წარმოადგენენ. ისინი აქტიურად მონაწილეობენ მის ფორმირებაში, როდესაც მოთხოვნალება ცნობიერების ფაქტად იქცევა, თავის მხრივ ცნობიერებას სინათლე

და გარკვეულობა შეაქვს მის შინაარსში, ურთიერთობებსა და დამოკიდებულებებში მოჰყავს იგი მოქმედების სუბიექტურ და ობიექტურ ფაქტორებთან. მის საფუძველზე კი საბოლოოდ წარმოიშობა სუბიექტისათვის მოცემულ სიტუაციაში კვებაზე მიზანშეწონილი, შესაძლებელი და აუცილებელი მოქმედების მოტივი ანუ ამ და არა სხვა მოქმედების აუცილებლობის რწმენა.

ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში ამ და არა სხვა მოქმედების აუცილებლობის შინაგანი რწმენა ნებისმიერი მოქმედების მოტივის პირველი არსებითი ნიშანია. მის საფუძველზე მიიღება შესაბამისი პრაქტიკული მოქმედების გადაწყვეტილება, რითაც მთვარდება მოტივაციის პროცესი. მთელი ამ პროცესის საბოლოო შედეგია მოტივირებული მოქმედების განწყობის ჩამოყალიბება, რაც თავის მხრივ გათვალისწინებულ სიტუაციაში პრაქტიკული მოქმედების მოთხოვნილებას წარმოშობს და უშუალოდ რეალიზაციას განიცდის გარე სამყაროზე მიმართული მოქმედების სახით.

მოტივაციის პროცესის საბოლოო შედეგები მხოლოდ პრაქტიკული მოქმედებით და უშუალოდ მისი საგნობრივი სახით არ ამოიწურება. მოქმედების შედეგები თავის მხრივ უკუგაველენას ახდენს მოტივაციის მთელ პროცესებზე და მათი დადებითი ან უარყოფითი მნიშვნელობის შესაბამისად ამ პირველი მოქმედების ფაქტორთა სისტემას ჩვევად აქცევენ ან პირველივე მოქმედების შემდეგ მთლიანად აღკვეთენ.

ამრიგად, ნებისმიერი მოქმედების მოტივაცია, როგორც შინაგანი იდეალური მოქმედება რაიმე მოთხოვნილების გაცნობიერებით იწყება, რაც შემდეგ თანმიმდევრობით ცივილის განვითარების ისეთ ძირითად ეტაპებს, როგორცაა: ინტერესის გაცნობიერება, მიზნის, მოტივი-რწმენის და პრაქტიკული მოქმედების განწყობის ჩამოყალიბება, რომლის რეალიზაციაც შემდეგ შესატყვის სიტუაციაში პრაქტიკულად ხორციელდება.

4. მოტივაციის ფაქტორთა სისტემის ჩამოყალიბების ძირითადი ეტაპები

მოტივაცია ადამიანის ნებისმიერი მოქმედების, ქცევის სპეციფიკური და მთავარი ეტაპია. ამიტომაც ზოგიერთი მკვლევარი როგორც საზღვარგარეთ, ისე ჩვენს ქვეყანაში, ვფიქრობთ სამართლიანად მიიჩნევენ ნებისმიერი მოქმედების პრობლემას მოტივაციის პრობლემად (იხ. მილერი, გალანტერი, პრიმბრამი, ქცევის გეკმა და სტრუქტურა, რუს. მ. 1965 წ. გვ. 24).

ნებისმიერი მოქმედების მოტივი, რომელსაც მოტივაციის პროცესი წარმოშობს, რთული მსჯელობებისა და დასკვნების შედეგად წილებული დანასკვია, რასაც როგორც წესი, ჩვეულებრივ თან ახლავს შესაბამისი შინაგანი განცდა და რწმენა. ფაქტობრივად მოტივის როლში საბოლოოდ მოტივაციის, როგორც დასაბუთების შედეგად ჩამოყალიბებული რწმენა გამოდის.

მოტივაციის პროცესში მონაწილე სუბიექტური და ობიექტური ფაქტორები გარკვეულ აკუმულაციას განიცდიან ამ პროცესის შედეგად ჩამოყალიბებულ მოტივში. მოტივში მოცემულია პიროვნება, როგორც ბიოფსიქოსოციალური არსება მთელი მიზი ფიზიკური და სულიერი უნარებითა და თვისებებით.

მოტივაციისა და მოტივის ჩამოყალიბების პრობლემა საბოლოოდ ადამიანთა აქტიურობის, პიროვნების ჩამოყალიბებისა და სოციალური პროცესების ეფექტური მართვის პრობლემაა. მიუხედავად ამისა, მისი არსება და კანონზომიერებანი ჯერ კიდევ სრულყოფილად არ არის გამოკვლეული. უფრო მეტიც, დღემდე ისიც არ არის დადგენილი, თუ რა იგულისხმება მოტივში. ერთნი მოტივად მიიჩნევენ მოთხოვნილების საგანს, რომლის დაუფლებისაკენ ისწრაფვის ადამიანი. მეორენი, მოტივს აიკივებენ ისეთ მოვლენებთან, როგორიცაა მოთხოვნილება, ინტერესი, სურვილი, მისწრაფებები, გრძნობები, ემოციები, მოვალეობის შეგნება, მიზანი და ა. შ

მოტივის არსებას, ვფიქრობთ, აღნიშნული პოზიციებიდან

სწორად არცერთი არ გამოხატავს. აღნიშნული ფაქტორები, მართალია, სხვადასხვა ფორმით მონაწილეობენ მოტივაციის პროცესში, მაგრამ ნებისმიერი მოქმედების მოტივად არცერთი მათგანი არ შეიძლება ჩაითვალოს.

მოტივად ადამიანის ნებისმიერ მოქმედებაში შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ რწმენა, რაც, როგორც წესი, ჩვეულებრივ მოტივაციის პროცესში მსჯელობისა და დასკვნის შედეგად ყალიბდება.

სუბიექტის მიერ რაიმე მოთხოვნის გაცნობიერების შემდეგ მის წინაშე აუცილებლობით დგება შემდეგი კითხვები: დააკმაყოფილოს თუ არა იგი, რა გზები და საშუალება არსებობს მისი დაკმაყოფილებისათვის, მათ შორის რომელს ენიჭება უპირატესი მნიშვნელობა და სხვა. რა თქმ: უნდა მოტივი საბოლოოდ ყალიბდება იმ მოქმედების სასარგებლოდ, რომელიც მოცემულ სიტუაციაში უპირატეს დადებით მნიშვნელობას იძენს. მოტივაციის პროცესი სწორედ ამ კითხვებზე მსჯელობისა და პასუხის გაცემის პროცესია.

მოტივაცია არის პრობლემურ სიტუაციაში ადამიანის მიერ რაიმე მოსაზრების დასაბუთება და შესაბამისი რწმენის, ნებისმიერი მოქმედების მოტივის ჩამოყალიბება, რასაც აუცილებლობით მოჰყვება მისი განხორციელების გადაწყვეტილება, ხოლო გადაწყვეტილებას – ფიზიკური და სულიერი ძალების მობილიზაცია, პრაქტიკული მოქმედების განწყობა. ეს უკანასკნელი კი შესატყვის სიტუაციაში პრაქტიკული მოქმედების მოთხოვნისა და წარმოშობის და რეალიზაციას განიცდის მოქმედების სახით.

ამრიგად, მოთხოვნისა და ნებისმიერი მოქმედების მოტივაციის პროცესში გაცნობიერებიდან მის საპასუხო პრაქტიკულ მოქმედებამდე გათვლის მსჯელობებისა და დასაბუთების რთულ ფსიქოლოგიურ პროცესს, რომელიც მთავრდება შესაბამისი მოქმედების რწმენის განწყობის და პრაქტიკული მოქმედების მოთხოვნისა და წარმოშობით.

მოტივაციის პროცესი და მოტივის ჩამოყალიბება, როგორც

დავინახეთ, ცნებითი აზროვნების, მსჯელობებისა და დასკვნის ლოგიკური პროცესია. ფსიქოლოგიურად ყოველ ლოგიკურ მსჯელობას და დასკვნას მისი ჭეშმარიტებისა და აუცილებლობის რწმენა ახლავს. ნებისმიერი მოქმედების მოტივის არსებაც სწორედ მის ჭეშმარიტებასა და აუცილებლობისადმი სუბიექტის შინაგანი რწმენაა.

რწმენა მოტივაციის შედეგად წარმოშობილი ის ფენომენია, რომლის გარეშეც არ არსებობს რაიმე გადაწყვეტილება და ნებისმიერი მოქმედება, რასაც აკეთებს ადამიანი, საზოგადოებრივად სასარგებლოს თუ საზიანოს, აკეთებს იმ რწმენით, რომ ეს მოქმედება მისთვის ყველაზე მიზანშეწონილი და აუცილებელია მოცემულ სიტუაციაში. თუმცა ობიექტურად იგი შესაძლებელია არ იყოს მიზანშეწონილი და აუცილებელი. ეს ხდება იპიტომ, რომ მოტივაცია სუბიექტური პროცესია. მართალია, მასში მონაწილეობენ ობიექტური ფაქტორებიც, მაგრამ მათი როლიც გადაწყვეტილების მიღებაში სუბიექტურ შეფასებაზეა დამოკიდებული.

ამრიგად, მოტივის წარმოშობას საფუძველად უდევს სხვადასხვა მოთხოვნილებების, ინტერესების, მისწრაფებების, ინდივიდში ადრე ჩამოყალიბებული სხვა მოქმედებათა მიზნების, განწყობებისა და დამოკიდებულებების, უამრავი სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების ურთიერთშეპირისპირება, ურთიერთშემოქმედება და თანამოქმედება. ისინი, ვინც მოტივაციაში მონაწილე აღნიშნულ ფაქტორებს აიგივებენ მოტივებთან, ამ ეტაპს უწოდებენ მოტივების ბრძოლის ეტაპს. სინამდვილეში კი ადგილი აქვს არა მოტივების, არამედ მოტივაციის ფაქტორების ბრძოლას, შეპირისპირებას ურთიერთშემოქმედებას და თანამოქმედებას მოცემულ სიტუაციაში სუბიექტისათვის ყველაზე მიზანშეწონილი და გამართლებული მოქმედების გარკვევისათვის.

მოტივაციის პროცესში მხოლოდ ფაქტორები მონაწილეობენ. მოტივი ამ ფაქტორების ურთიერთშემოქმედებისა და თანამოქმედების შედეგად ყალიბდება. ადრე ჩამოყალიბებული

სხვა მოქმედებათა მოტივებიც, რომლებიც ახალ, პროსლემურ სიტუაციაში მოტივაციის პროცესში მონაწილეობენ, როგორც ითქვა, ახალი მოქმედებისათვის მოტივებს კი არა, არაქედ მოტივაციის ფაქტორებს წარმოადგენენ. *ყოველ მოქმედებას მოტივი შეიძლება მხოლოდ ერთი აქონდეს. ერთი და იგივე მოქმედების მრავალი მოტივის დაშვება, ვფიქრობთ, შეცდომაა და მოტივაციისა და მოტივის არსების არასწორი გაკებიდან გამომდინარეობს.*

ნებისმიერი მოქმედების მოტივაცია ყოველთვის აზროვნების საშუალებით ადამიანის შინაგან სამყაროში, კნობიერების სფეროში მიმდინარეობს. მასში მონაწილეობენ პიროვნების საერთო დამოკიდებულებები გარემოსთან, საზოგადოების სამართლებრივ და მორალურ ნორმებთან, მისი მოთხოვნნილებების, ინტერესების, მიზნების, მოტივების განწყობებისა და დამოკიდებულებათა სისტემები. ერთი სიტყვით— მილიანი პიროვნება თავისი ბიოფსიქოსოციალური თვისებებითა და თავისებურებებით. ამიტომ მიღებული გადაწყვეტილება და მოქმედებაც არის ადამიანის, როგორც ბიოფსიქოსოციალური მთლიანობის გადაწყვეტილება და მოქმედება.

მოტივაციის პროცესი უფრო ხშირად ერთი რომელიმე მოთხოვნის საფუძველზე წარმოიშობა, მაგრამ მოტივი, პრობლემურ სიტუაციაში, როგორც წესი, მთლიანი პიროვნების მრავალი ფაქტორების საფუძველზე ფორმირდება. ერთი რომელიმე მოთხოვნისა და მოტივის უშუალოდ წარმოშობს და მოქმედებას იწვევს მხოლოდ იმპულსურ მოქმედებაში, რაც მთლიანად დამახასიათებელია ცხოველებისათვის და ზოგჯერ, სამწუხაროდ, გარკვეულ პირობებში ადამიანებშიც ვლინდება.

ჩვევაში გადასული ნებისმიერი მოქმედება, გარეგნულად იმპულსურ მოქმედებას ემსგავსება, თუმცა მათ შორის არსებითი განსხვავებაა. ჩვევა მოტივაციის ეტაპგავლილი მოქმედებაა და გაშუალებულია თავის დროზე მოტივაციის პროცესში მონაწილე სუბიექტური და ობიექტური ფაქტორებით, ამის გამო თუ რაიმე არსებითი ცვლილება მოხდა მის ჩამომყალიბებელ

ფაქტორთა სისტემაში და ძველი ჩვევა აღარ შეესაბამება ახალ სიტუაციას, ადამიანი თავიდან იცილებს მას ან ახალი სიტუაციის შესატყვისად გარკვეული კორექტივები შეაქვს მასში. თუმცა მას ამის გაკეთება ყოველთვის იოლად არ შეუძლია.

ადამიანთა ცხოვრებაში მეტად დიდი როლი ენიჭება ჩვევების გაქოშუშებას. იგი ადამიანის დროისა და ენერჯის ეკონომიის უდიდესი წყაროა და, რაც მთავარია, ჩვევების ჩამოყალიბება ნიშნავს ადამიანის ახალი თვისების, უნარის წარმოშობას და გარკვეული მიმართულებით მის განვითარებას, პიროვნების ფორმირებას.

მოქმედება, რომელიც პირველად მოთხოვნილების დაკმაყოფილების საშუალება იყო, როდესაც ჩვევაში გადავა ამით იგი თვით იქცევა მოთხოვნილებად. ამ კანონზომიერებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს აღზრდის თეორიასა და პრაქტიკაში. მაგალითად, სამართლებრივი და მორალური ნორმების დაცვისა და სერთოდ საზოგადოებრივ-სასარგებლო საქმიანობის ჩვევად და მოთხოვნილებად გადაქცევა ყოველი საზოგადოებისათვის ადამიანთა აღზრდის მთავარი ამოცანაა.

პრობლემურ სიტუაციაში მოთხოვნილების პირველად დაკმაყოფილების შედეგად მოქმედების სუბიექტი გარკვეულ ცვლილებებს განიცდის. ეს ცვლილებები განპირობებულია იმით რონ: ჯერ ერთი, მოტივაციის აღმძვრელ ყოველ მოთხოვნილებას გარკვეული ცვლილებები შეაქვს სუბიექტის მოთხოვნილებათა შინაგან სისტემაში. მისი დაკმაყოფილების ტენდენცია სუბიექტს აიძულებს აქტიური, შეგნებული დამოკიდებულება დაამყაროს არა მხოლოდ მოთხოვნილების საგანთან, არამედ მისი მოპოვების და მოხმარების საშუალებებთან, თვით დაკმაყოფილების მოქმედებასთან და საერთოდ გარემოსთანაც; მეორეც, მოთხოვნილების დაკმაყოფილება და დაკმაყოფილების მოქმედება. ამ მიზნით გამოყენებული საშუალებები არა მარტო ააქტიურებს ადამიანის ფიზიკურ და სულიერ ძალებს, არამედ ახალი სიტუაციის შესაბამისად მას გარკვეულად კიდევ ცვლის, რადგან ეს პროცესი ერთდროულად მათი მოხმა-

რებისა და წარმოების პროცესია, რაც ხელს უწყობს ახალ სიტუაციაში საგნებისა და მოვლენების უფრო ღრმად შეცნობას, გააზრებას და მათდამი ახალი, კიდევ უფრო სრულყოფილი შინაგანი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას.

ყველა აღნიშნული პროცესები და ფაქტორები მილიანობაში განაპირობებენ ახალი თერიული და პრაქტიკული მოთხოვნილებების წარმოშობას, რაც საბოლოოდ საფუძვლად ედება როგორც ცალკეული ინდივიდების, ისე მთელი საზოგადოების განვითარებას, როგორც ცნობილია „თვით დაკმაყოფილებული პირველი მოთხოვნილება, დაკმაყოფილების მოქმედება და დაკმაყოფილების უკვე შექმნილი იარაღი ახალ მოთხოვნილებებს წარმოშობენ და ეს წარმოშობა ახალი მოთხოვნილებებისა წარმოადგენს პირველ ისტორიულ აქტს“ (კ. მარქსი, ფენგელსი, თხზ. ტ.3, რუს. გვ. 27). ამ დებულებაში მოცემულია ახალი მოთხოვნილების ფორმირებისა და ახალი ადამიანის აღზრდის ძირითადი კანონზომიერება.

მოთხოვნილებები ყოველთვის დარჩება ადამიანის ყოველგვარი აქტიურობის, მოქმედების აღმძვრელ მთავარ ფაქტორად, მიუხედავად იმისა განვითარების რა დონესაც არ უნდა მიადწიოს საზოგადოებამ და ინდივიდმა. საზოგადოების განვითარების შესაბამისად პირველ რიგში იცვლება ინდივიდების მოთხოვნილებათა შინაარსი, მათი დაკმაყოფილების ინტერესები, მიზნები, საშუალებები, ფორმები და მეთოდები, რომელთა ერთობლიობა მოტივაციის პროცესში მიმართულებას აძლევს შინაგან იდეალურ მოქმედებას და საბოლოოდ მიმართულებას აძლევს თვით პრაქტიკულ მოქმედებას.

ადამიანის პრაქტიკული მოქმედების ერთადერთი და უშუალო ფაქტორი მოტივაციის აღმძვრელი მოთხოვნილება რომ იყოს, მაშინ ინდივიდები პასუხისმგებელნი აღარ იქნებოდნენ თავიანთ დანაშაულებრივ მოქმედებაზე, რადგანაც მოთხოვნილებები ყალიბდებიან აღზრდისა და გარემოს ზემოქმედებით და პასუხისმგებლობაც მხოლოდ აღზრდასა და გარემოს უნდა დაკისრებოდა, მაგრამ როგორც უკვე დავინახეთ მოტივაციის

პროცესში მისი აღმკვერელი მოთხოვნების გარდა მონაწილეობენ სხვა მოთხოვნები, ინტერესები, მიზნები, მოტივები, სამართლებრივი და მორალური ნორმების ცოდნა და შეგნება. მათ საფუძველზე ადამიანს აქვს შესაძლებლობა და ვალდებულება, რომ შეაფასოს როგორც მოტივაციის აღმკვერელი მოთხოვნები, ისე მისი დაკმაყოფილების მოქმედება, არჩევანი გააკეთოს სხვადასხვა შესაძლო მოქმედებათა შორის, რაც მას თავის მოქმედებაზე პასუხისმგებლობასაც აკისრებს.

5. სამართლის ცოდნა და შეგნება კორუფციის მოტივაციის ფაქტორთა სისტემაში

კორუფციის, როგორც დანაშაულებრივი ქცევის მოტივაციაში გასსაკუთრებულ როლს თამაშობს ისეთი ფაქტორები, როგორცაა სამართლის ცოდნა და სამართლებრივი შეგნება, მართლშეცნება. თუმცა სამართლებრივი აღზრდის თეორიასა და პრაქტიკაში მათ ყოველთვის არ აქვთ მინიჭებული თავიანთი კუთვნილი ადგილები. ყველაზე არსებითი ნაკლი ამ მხრივ ის არის, რომ სამართლებრივ ცოდნას და სამართლებრივ აღზრდას უმეტეს შემთხვევაში ერთიმეორესთან აიგივებენ, რის გამოც უყურადღებოდ ტოვებენ აღზრდის ყველაზე არსებით სპეციფიკურ მოთხოვნებს— განათლების შესაბამისი რწმენის ჩამოყალიბებას. ამის შედეგია ის, რომ სამართლის ნორმებს იურიდიულად კარგად განათლებული ადამიანებიც არღვევენ. უფრო მეტიც, სამართლის ნორმებს ხშირად არღვევენ და დანაშაულს ჩადიან ისეთი კვალიფიციური სპეციალისტებიც, რომლებმაც კანონის მოთხოვნები განათლებითაც კარგად იციან და მისი დაცვა სამსახურეობრივადაც ევალებათ.

ყოველი თეორიული ცოდნა, განათლება და მისი მოთხოვნები ადამიანთა მიერ ხორციელდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ისინი მოტივაციის პროცესის საშუალებით მათ შეგნებად, შინაგან რწმენად და პრაქტიკულ დამოკიდებულებად იქცევიან.

აღზრდას განათლებისაგან სწორედ ეს სპეციფიკა, ორსებითი ნიშანი განასხვავებს.

ამრიგად, იურიდიული განათლება და აღზრდა ადამიანთა განვითარების, პიროვნებათა ჩამოყალიბების ორ თვი ებრივად განსხვავებულ დონეს გამოხატავენ. მათ შორის იურიდიული განათლება ნიშნავს იურიდიული ცოდნის სისტემის დაუფლებას, ხოლო აღზრდა – ცოდნის შინაარსის შეგნებას, შინაგან რწმენას და შესაბამისი პრაქტიკული დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას. ცნობილი ბერძენი ფილოსოფოსის დენოკრიტეს აზრით, „აღზრდა გარდაქმნის ადამიანს და ამ გარდაქმნით მეორე ბუნებას უქმნის“, ხოლო კ. უშინსკის აზრით, „იმისათვის, რომ აღზრდამ შეძლოს ადამიანის მეორე ბუნების შექმნა, აუცილებელია აღზრდის იდეები აღსაზრდელთა რწმენად იქცეს, ხოლო რწმენა – ჩვეულებად“.

ისმება კითხვა: კონკრეტულად როგორ ხორციელდება აღზრდა, რა გზით იქცევა ცოდნის შინაარსი ადამიანის შეგნებად, შინაგან რწმენად და ჩვეულებად? ჩვენი აზრით, ამ ფუნქციას მოტივაციის პროცესი ასრულებს. ცხოვრების ყველა აფეროში პიროვნების შეგნებული აღზრდის, განვითარების ეროადერთი გზა და საშუალება ეს არის მისი მიზნობრივი განათლება და შესაბამისი მოქმედებათა მოტივაცია.

მოტივაციის გარეშე კორუფციის საწინააღმდეგო არავითარ განათლებას არ შეუძლია პიროვნების შესაბამისი გარდაქმნა და აღზრდა. განათლება პიროვნების შინაგანი სამყაროს ჩამოყალიბებისა და განვითარების მხოლოდ სამამუენებლო მასალას ამზადებს, მაგრამ როგორი ძვირფასიც არ უნდა იყოს ეს მასალა, შესაძლებელია იგი მთელი სიცოცხლის მანძილზე გამოუყენებელი დარჩეს შესაბამისი ინტერესის, მიზნის და მოტივის – მოქმედების აუცილებლობის რწმენის გარეშე, რასაც მხოლოდ და მხოლოდ მოტივაციის პროცესი აყალიბებს.

ამრიგად, იურიდიული განათლებისა და აღზრდის ცნებაში უნდა ვიგულისხმოთ არა მხოლოდ სამართლის ნორმების თეორიული ცოდნა, არამედ მასთან ერთად ამ ნორმების

მოთხოვნების დაცვის აუცილებლობის შინაგანი რწმენის და შესაბამისი პრაქტიკული დამოკიდებულებების ჩამოყალიბება. აღნიშნულ იდან გამომდინარე, მართლშეგნების ჩამოყალიბებისა და უმაღლეს სასწავლებლებში სპეციალისტთა მაღალკვალიფიციური კადრების აღზრდისათვის აუცილებელია, რომ იურიდიული საგნების, სამართლის სხვადასხვა კოდექსებისა და მათი ცანქეული მუხლების სწავლებას თან ახლდეს მათი მოთხოვნების დაცვის აუცილებლობის მოტივაცია, დასაბუთება, რომლის გარეშეც შეუძლებელია, როგორც სამართლებრივი, ისე ყოველგვარი ცოდნის რწმენად, შეგნებად და პრაქტიკული მოქმედების დამოკიდებულებად გადაქცევა. გულახდილად უნდა ითქვას, რომ ამ პრობლემას დღეს ფაქტობრივად, არცერთ უმაღლეს სასწავლებელში სრულყოფილი ყურადღება არ ექცევა. ვფიქრობთ, ამ დასკვნას სპეციალური გამოკვლევები და ექსპერიმენტი არ ესაჭიროება. სამართალდამცავი ორგანოების მუშაკებისა და სხვა მოქალაქეების დანაშაულებათა დინამიკაც მას დამაჯერებლად ადასტურებს.

მოტივაციის მთავარი შედეგი, როგორც ვხედავთ, რწმენის ჩამოყალიბებაა. რწმენა ადამიანის ნებისმიერი მოქმედების, აქტიურობის აღმძვრელი და მიმართულების მიმცემი უზენაესი მამოძრავებელი ძალაა. ადამიანის ყოველ მოქმედებას თან ახლავს რწმენა, მოცემულ სიტუაციაში ამ მოქმედების მიზანშეწონილობისა და აუცილებლობის შესახებ, მიუხედავად იმისა, არის თუ არა იგი ობიექტურად აუცილებელი და მიზანშეწონილი. რწმენა ალაგზნებს ადამიანს დიდი საგმირო საქმეებისათვის. ასევე რწმენა ხდის მას საზოგადოებისათვის მავნე და უსარგებლო ადამიანად. ამიტომაც რწმენის არსების სწორად ჰეცნობას, ყოველ კონკრეტულ პირობებში, მისი წარმომშობი ფაქტორებისა და კანონზომიერებათა პრაქტიკულად გამოყენებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, როგორც კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში, ისე საერთოდ სოციალური პროცესების წართვის თეორიასა და პრაქტიკაში.

სამართლებრივი განათლებისა და აღზრდის არსებისა და

მოტივაციის კანონზომიერებათა სწორად გაგება და პრაქტიკაში გამოყენება, ასევე გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ყოველგვარი სამართალდარღვევის პროფილაქტიკისა და აღკვეთის, ადამიანთა საზოგადოებრივი ურთიერთობების ჭეშმარიტი ჰუმანიზაციის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა.

6. მოტივაციიდან პრაქტიკული მოქმედებისაკენ

მოტივაციის პროცესი, როგორც ცნობილია ყოველთვის რაიმე კონკრეტული მოთხოვნილების გაცნობიერებით იწყება და მოტივის ჩამოყალიბებით მთავრდება, რასაც შემდეგ აუცილებლობით მოჰყვება შესაბამისი პრაქტიკული მოქმედება.

როდესაც მოთხოვნილება გაცნობიერდება, სუბიექტის წინაშე აუცილებლობით დგება შემდეგი კითხვები: დააკმაყოფილოს თუ არა იგი, რა გზები და საშუალებები წეარჩიოს მისი დაკმაყოფილებისათვის. მოტივაციის პროცესი სწორედ ამ კითხვებზე პასუხის გაცემის პროცესია, მოტივაცია ეს არის სუბიექტის მიერ მისი მოთხოვნილების განსჯა მოცემულ სიტუაციაში, ხოლო მოტივი მოთხოვნილების დაკმაყოფილების განსჯის შედეგად მიღებული, მოცემული სიტუაციის შესაბამისი დასკვნაა ამა თუ იმ მოქმედების მიზანშეწონილების, შესაძლებლობისა და აუცილებლობის შესახებ. როდესაც შესაძლო მოქმედების მიზანშეწონილობა და აუცილებლობა დასაბუთდება, მას აუცილებლობით მოჰყვება გადაწყვეტილება მისი განხორციელების შესახებ, გადაწყვეტილებას ჰოყვება ფიზიკური და სულიერი ძალების შესაბამისი მობილიზაცია, მათი მომართვა მიღებული გადაწყვეტილების პრაქტიკული განხორციელებისათვის სუბიექტში მომხდარ ამ ცვლილებებს განწყობა ეწოდება.

ამრიგად, მოტივაცია არის სუბიექტის მიერ მოთხოვნილებისა და მისი დაკმაყოფილების მოქმედების, გზებისა და

საშუალებების განსჯა და დასაბუთება, ხოლო მოტივი – ამ განსჯის შედეგად მიღებული დასკვნა და რწმენა მოცემულ სიტუაციაში ამ და არა სხვა მოქმედების მიზანშეწონილების შესაძლებლობისა და აუცილებლობის შესახებ.

ეს დასკვნა იგივე ლოგიკური აზროვნების პროცესია, რომლის საფუძველს მოტივაციის სუბიექტური და ობიექტური ფაქტორები წარმოადგენს. ფსიქოლოგიურად ყოველ მსჯელობას და დასკვნას თან ახლავს დარწმუნებულობა, შესაბამისი შინაგანი რწმენა, რომლის გარეშეც არ არსებობს ადამიანის ნებისმიერი, მიზანდასახული მოქმედება. რასაც აკეთებს ადამიანი, საზოგადოებრივად სასარგებლოს თუ საზიანოს, აკეთებს იმ რწმენით, რომ ეს მოქმედება მისთვის ყველაზე მიზანშეწონილი და აუცილებელია მოცემულ სიტუაციაში, თუმცა ობიექტურად შესაძლებელია იგი არც მიზანშეწონილი და არც აუცილებელი არ იყოს. ეს ხდება იმიტომ, რომ მოტივაციის პროცესი სუბიექტური პროცესია. მართალია მასში მონაწილეობს ობიექტური ფაქტორებიც, მაგრამ მათი როლიც გადაწყვეტილების მიღებაში სუბიექტურ შეფასებაზე დამოკიდებული.

მოტივაცია ყოველთვის მიმდინარეობს აზროვნების საშუალებით ცნობიერების სფეროში, რომელშიც მოცემულია ადამიანის საერთო დამოკიდებულება გარემოსთან მისი მოთხოვნილებების, ინტერესების, სურვილების, მისწრაფებების, ვნებების, მიზნების, ინტელექტუალური, მორალური, ესთეტიკური და ფიზიკური თვისებებისა და თავისებურებების სახით. მიღებული გადაწყვეტილება და მოქმედება არის გადაწყვეტილება და მოქმედება ადამიანისა, რომელიც მისი ფიზიკური და ფსიქიკური თვისებების მთლიანობაა.

როდესაც ესა თუ ის მოტივირებული მოქმედება ხშირად მეორედ და ადამიანი თავისუფლდება მოტივაციის რთული ფსიქოლოგიური პროცესისაგან, დაძაბულობისაგან, რომელიც თან ახლავს გადაწყვეტილების აქტს და მის შესრულებას, ჩვევაში გაქადის მოთხოვნილების დაკმაყოფილების მოქმედების მთელი სტრუქტურა, ხოლო მოქმედება, რომელიც პირველად

მოთხოვნების დაკმაყოფილების საშუალებას წარმოადგენდა, გარკვეულ პირობებში თვით იქცევა მოთხოვნებად. ასე ემართება, მაგალითად შრომას, რომელიც გარკვეულ პირობებში საარსებო საშუალებიდან პირველ სასიცოცხლო მოთხოვნებად იქცევა. საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობის გადაქცევა ადამიანების ჩვევად, შინაგან მოთხოვნებად, ყოველ პროგრესულ საზოგადოებაში აღზრდის მთავარი ამოცანაა.

ახალი მოთხოვნების დაკმაყოფილების შედეგად რამდენადმე იცვლება სუბიექტი, მისი ცნობიერება, დამოკიდებულება გარე სამყაროსთან. ჯერ ერთი ახალ მოთხოვნებზე, რომელიც მოტივის წყაროდ იქცევა, ცვლილებები შეაქვს მოთხოვნებათა შინაგან სისტემაში, რადგანაც მისი დაკმაყოფილება სუბიექტს აიძულებს აქტიურ, შეგნებულ დამოკიდებულებაში იყოს არა მხოლოდ მოთხოვნების დაკმაყოფილების საგანთან, არამედ დაკმაყოფილების მოქმედებასთან და გარემოსთან; მეორეც, მოთხოვნების დაკმაყოფილება და მოთხოვნების დაკმაყოფილების მოქმედება ამავე დროს არის ადამიანის ფიზიკური და სულიერი ძალების აქტივიზაცია. მათი მოხმარება და წარმოება, ვარჯიში და განვითარება; მესამეც, ყოველი ახალი მოქმედება, აქტიურობა გარე სამყაროს საგნებისა და მოვლენების კანონზომიერებათა უკეთ შეცნობასაც იწინავს.

ინდივიდი მოტივაციის პროცესში ცნობიერების საშუალებით თავისი მოთხოვნებიდან ობიექტურ სიტუაციაში გადადის. მოტივის წარმოშობაში წამყვან როლს ასრულებს ის მოთხოვნები, რომლებიც ყველაზე მეტ ღირებულებას იძენენ მოცემულ სიტუაციაში. ცოდნა, განათლება და საერთოდ გარემოსა და მოქმედების შეფასების უნარი ერთ-ერთ გადამწყვეტ როლს ასრულებს მოტივაციის პროცესში. ამიტომ ინტელექტუალური აღზრდა, განათლება, აუცილებელი პირობაა მოტივებისა და ნებისყოფის აღზრდაში.

მართალია, მოტივი სუბიექტური მოვლენაა და იგი დრამად პიროვნებისეულია, მაგრამ მისი შემეცნება სხვა სუბიექ-

ტისათვის ისევე შესაძლებელია, როგორც ყოველი ობიექტური საგნისა და მოვლენისა, ამასთან, მის შემეცნებას თან ახლავს სირთულეებიც, რადგან მოტივი ხშირად იმდენად გაშუალებულია მრავალი ფაქტორით, რომ ერთი მოქმედების საფუძველზე მისი გაგება შეუძლებელია. ერთეული მოქმედების ნამდვილი მოტივის გაგებისათვის აუცილებელია აღნიშნული მოქმედების გაანალიზება სხვა მოქმედებათა სისტემასთან კავშირში. ამ გზით შეიძლება არა მარტო შესრულებული მოქმედების მოტივის, არამედ იმ განწყობისა და მოტივის შეცნობაც, რომლის შესატყვისი მოქმედება ჯერ კიდევ არ მომხდარა. პიროვნების მოტივებისა და განწყობების შესასწავლად აუცილებელია მოქმედების ანალიზი ქცევის სისტემაში და არა ერთი რომელიმე მოქმედების მიხედვით.

ადამიანთა ახალ მოთხოვნილებებს წარმოშობენ ახალი საგნები, საქმიანობა და ურთიერთობანი, რომლებიც მათში აქამდე მთვლემარე უნარის გამოცოცხლებასა და განვითარებას იწვევენ. ეს საგნები შეიძლება იყვნენ როგორც მატერიალური, ისე სულიერი, კულტურული მოხმარების საგნები. მოთხოვნილებების წარმოშობის ეს კანონზომიერება საზოგადოების წინაშე აცენებს ჯანსაღი და გონივრული მოთხოვნილებების აღზრდის პრობლემას.

7. კორუფცია და მართლშეგნება

ადამიანი, ყველა სხვა ცოცხალ არსებათა მსგავსად, ბუნებრივი მოთხოვნილებებითა და მათი დაკმაყოფილების რეფლექსური და ინსტიქტური მექანიზმებით აღჭურვილი იბადება. იგი გარე სამყაროსთან კონტაქტებში შესვლისთანავე იწყებს აქტიურობას, „ბრძოლას არსებობისათვის“. ამ პროცესში სოციალური გარემო ადამიანური ინდივიდის, როგორც ბიოფსიქოსოციალური არსების, უპირველეს მოთხოვნილებას – სიცოცხლის შენარჩუნებისა და არსებობის მოთხოვნილებას,

ადამიანურად არსებობის მოთხოვნილებად აქცევს და მას სოციალიზაციის გზით თანდათანობით პიროვნებად აყალიბებს.

ადამიანის აქტიურობა, „ბრძოლა არსებობისათვის“ თვისებრივად განსხვავდება ყველა სხვა არსებათა ბრძოლისაგან, რადგან იგი როგორც ბიოფსიქოსოციალური არსება მათგან განსხვავებით მემკვიდრეობით იღებს ბიოლოგიურის გარდა ფსიქოლოგიური და სოციალური განვითარების პოტენციურ უნარს. რომლის სრულყოფის საფუძველზე გარე სამყაროს არა მარტო იმეცნებს, არამედ თავისი ინტერესების შესაბამისად კიდევ გარდაქმნის.

სხვა ცოცხალ არსებებს მართალია შესწევთ მათთვის საინტერესო, მნიშვნელობის მქონე საგნებისა და მოვლენების შეცნობის უნარი, მაგრამ იგი მხოლოდ ინსტიქტური შეცნობის საზღვრებში რჩება. ადამიანი კი ასახავს და იმეცნებს. რა გარე სამყაროს საგნებს და მოვლენებს, უფრო მაღალ საფეხურზე ადის. მათ შორის მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს სწვდება, ცოდნის სისტემას და თვით ცოდნის შესახებ ცოდნას ე.ი. შეგნებას, შინაგან დამოკიდებულებას აყალიბებს. როგორც ცნობილია, შეგნებული დამოკიდებულებები გარე სამყაროს საგნებთან და მოვლენებთან მხოლოდ ადამიანებს ახასიათებს.

გარემოს ზემოქმედებისა და მიზნობრივი აღზრდის შედეგად ადამიანი მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე უამრავ შთაბეჭდილებებს იძენს, რომელთა გონებაში გადამეშავეების შედეგად მას ობიექტური საგნებისა და მოვლენათა შესახებ ცოდნის გარკვეული სისტემა უყალიბდება. ცოდნის სისტემის შესაბამისად მოქმედება, ადამიანს მხოლოდ მისი შეგნებულ რწმენად გადაქცევის შემთხვევაში შეუძლია. ადამიანი შექმნილ ცოდნას თუ როგორ გამოიყენებს პრაქტიკულ საქმიანობაში, ეს ცოდნის შეგნებით, მისი შინაარსისადაც სუბიექტის რწმენით, შინაგანი დამოკიდებულებით განისაზღვრება.

რწმენა, საერთოდ ადამიანის ნებისმიერი აქტიურობის აღმკერე და მიმართულების მიმცემი უზენაესი ძალაა. ადამიანის ყოველ მოქმედებას თან ახლავს რწმენა მოცემულ

სიტუაციაში ამ მოქმედების მიზანშეწონილობისა და აუცილებლობის შესახებ, მიუხედავად იმისა, არის თუ არა იგი ობიექტურად აუცილებელი და მიზანშეწონილი. რწმენა ადაგზნებს ადამიანს დიდი საგმირო საქმეებისათვის, ასევე რწმენა ხდის მას საზოგადოებისათვის მავნე და უსარგებლო ადამიანად, ამიტომაც რწმენის არსების სწორად შეცნობას, მისი წარმომშობი ფაქტორებისა და კანონზომიერებათა გამოყენებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება აღზრდისა და საერთოდ სოციალური პროცესების მართვის თეორიასა და პრაქტიკაში. მიუხედავად ამისა, რწმენა ადამიანის შესახებ მეცნიერებათა კომპლექსური პრობლემებიდან დღემდე ერთ-ერთი ყველაზე დაუმუშავებელი და წეუსწავლელი პრობლემაა. მაშინ როცა ცნობილია, რომ „რწმენას იგივე ძალა აქვს რაც აუცილებლობას“ (გორგია) „თუ რწმენა გექნებათ და არ დაეჭვდებით... მთასაც რომ უთხრათ, „იწიე და ზღვაში ჩაეარდიო – ასეც იქნება“ /მათე 21,21/ „ყველა ფლობს შესაფერ ძალას, რათა განახორციელოს ის, რაც ს'ვამს“ /გოეთე/ და სხვა მრავალი, რაც რწმენის უზენაესობას ამტკიცებს.

ხშირად რწმენას ცოდნასთან აიგივებენ, რაც საერთოდ გაერცვლებული და მეტად საზიანო მოვლენაა. სინამდვილეში მათ შორი არსებითი განსხვავებაა. ცოდნა, როგორც ცნობილია ობიექტური სინამდვილის ასახვის შედეგად ყალიბდება. იგი ყალიბდება, როგორც ოფიციალური განათლების, ისე საკუთარი გამოცდილებისა და ინფორმაციის სხვა უამრავი წყაროების საშუალებით. ცოდნა მონაწილეობას დებულობს გარემოსთან პრაქტიკული ურთიერთობის მოტივაციის პროცესში, მაგრამ თუ როგორ იმოქმედებს ადამიანი, ეს მხოლოდ ცოდნაზე არ არის დამოკიდებული. ამას განსაზღვრავს არა ცოდნა თავისთავად, არამედ სუბიექტის შეგნება, შინაგანი დამოკიდებულება ცოდნაში მოცემული შინაარასისადმი, რაც რწმენის სახით მოტივაციის შედეგად ყალიბდება

ადამიანთა, როგორც სამართლებრივი ისე ყოველგვარი მიზანდასახული, შეგნებული აღზრდა შესაძლებელია მხოლოდ

შესაბამისი ცოდნის შეგნებად, შეგნებულ რწმენად გადაქცევის გზით. მხოლოდ ცოდნის შექმნა, განათლება რომ შესაბამის აღზრდას არ ნიშნავს ეს ყველასათვის ნათელია. მაკალითად, ბევრმა ძალიან კარგად იცის, რომ კორუფცია, მექრთაქეობა და სხვა, საზოგადოებრივი დანაშაულია, მაგრამ ეს ცოდნა თუ გადაქცეული არ არის შესაბამისი შეგნებად, რწმენად, ამით აიხსნება უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე სპეციალისტების, სამწუხაროდ, ზოგჯერ თვით სამართალდამცავი ორგანოების მუშაკების მიერ ჩადენილი დანაშაულის ფაქტები.

ადამიანს, რომელსაც მიღებული აქვს იურიდიული ცოდნა, განათლება და კარგად ერკვევა სამართლის ნორმების მოთხოვნებში, მაგრამ შესაბამისი შეგნება არ აქვს ჩამოყალიბებული, უფრო მეტი ზიანის მიყენება შეუძლია საზოგადოებისათვის, ვიდრე იურიდიულად გაუნათლებელ, უცოდინარ ადამიანს. ამიტომ სამართლებრივი აღზრდის თეორიასა და პრაქტიკაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მართლშეგნების როლისა და ადგილის სწორად განსაზღვრას, მისი ჩამოყალიბების მეთოდებისა და გზების მეცნიერულ დამუშავებას. აქედან გამომდინარე, სწავლებასა და ცოდნის მიცემასთან ერთად, შესაბამისი შეგნების, რწმენის ჩამოყალიბება განათლების მთელი სისტემის ერთ-ერთი ყველაზე მთავარი, არსებითი პრობლემაა, რაც დღეისათვის სამწუხაროდ არა თუ გადაწყვეტილი, არამედ სრულყოფილად შეფასებულიც არ არის, როგორც განათლების სისტემის მთავარი პრობლემა.

ცნობიერება, როგორც ცნობილია, სინამდვილის ასახვის უმაღლესი ფორმაა. მის შინაარსს ქმნის სინამდვილის კრძნობადი აღქმა და აზროვნება. მათი ურთიერთზემოქმედება ადამიანის შინაგან იდეალურ სამყაროს აყალიბებს. თავის მხრივ, ადამიანის შინაგანი სამყაროს ცნობიერება ორ, არსებითად განსხვავებულ დონეს—ცოდნისა და შეგნების დონეებს მოიცავს. მათი გაიგივება, როგორც ითქვა სერიოზული შეცდომაა. სინამდვილეში, ცოდნა რაიმეს შესახებ სხვადასხვა ცნობების, ინფორმაციების გარკვეული სისტემაა, ხოლო შეგნება ცოდნის არსში წვდომა,

მისი ჭეჭმარიტების შინაგანი განცდა, რწმენა და შესაბამისი აუცილებლობისადმი პრაქტიკული დამოკიდებულებაა.

ყოველი შეგნება ამასთან ცოდნაა, ცნობიერების შინაარსია, მაგრამ ყოველი ცოდნა შეგნება არ არის. ადამიანის აღზრდა საბოლოოდ შესაბამისი შეგნების ჩამოყალიბებას ნიშნავს. ადამიანი შეიძლება სამართლებრივად, ზნეობრივად და სხვა, განათლებული იყოს, ზეპირად იცოდეს სამართლისა და ზნეობის ნორმების მოთხოვნები, მაგრამ შესაბამისად აღზრდილი არ იყოს და იგივე ნორმებს პრაქტიკულად თვითონვე არღვევდეს.

ანაღლოგიურ ფაქტებს ადგილი აქვს ცოდნის ყველა სფეროში, მათ შორის პროფესიული განათლების სფეროშიც. ეს ფაქტები კიდევ ერთხელ ადასტურებს ცოდნის შეგნებად, რწმენად გადაქცევის მექანიზმისა და კანონზომიერებათა მეცნიერულად დამუშავების უდიდეს მნიშვნელობას.

ადამიანები თავიანთი სიცოცხლის მანძილზე უამრავ ცოდნასა და შეგნებულ რწმენას აყალიბებენ ბუნებისა და საზოგადოების ცალკეული საგნებისა და მოვლენების შესახებ. ყველა მათგანი თანდათანობით შინაგანად ერთიანდებიან და ერთი მთლიანი სისტემის სახით ყალიბდებიან. ეს პროცესი კი საბოლოოდ საფუძვლად ედება მთლიანი პიროვნების ჩამოყალიბებას

თეორიული ცოდნის შეგნებულ რწმენად გადაქცევაში გადამწყვეტი როლი პრაქტიკას ეკუთვნის. ადამიანთა საზოგადოებრივი ცხოვრება, როგორც ცნობილია, არსებითად პრაქტიკულია და ყოველი წარმატება თუ წარუმატებლობა ადამიანთა აღზრდისა და სოციალური პროცესების მართვის სისტემაში თავის აქსნას და დადსტურებას პრაქტიკაში პოულობს.

ცოდნასა და შეგნებას, შეგნებულ რწმენას შორის ის არსებითი განსხვავებაა, რომ ცოდნა თეორიის სფეროს ეკუთვნის, ხოლო შეგნებულ რწმენა-პრაქტიკის სფეროს, პრაქტიკულ მოქმედებას საბოლოოდ აღძრავს და წარმართავს არა ცოდნა, არამედ მოქმედების მოტივაციის შედეგად წარმოშობილი შეგნება, რწმენა. მის ჩამოყალიბებაში, რა თქმა უნდა, როგორც

ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი, ცოდნაც მონაწილეობა, მაგრამ მათი გაიგივება როგორც ითქვა შეცდომაა.

შეგნება, ე. ი. შეგნებული რწმენა ცოდნის საფუძველზე განხორციელებული მოტივაციის შედეგია. იგი როგორც მოტივი საფუძვლად ედება ადამიანთა შესაბამის აქტიურ დამოკიდებულებას გარე სამყაროს საგნებთან და მოვლენებთან. სამართლებრივი ურთიერთობებისა და საერთოდ ყოველგვარი ურთიერთობების სფეროში შეგნებული რწმენის ჩამოყალიბება აქტიური და თავისუფალი ნებისყოფის მქონე პიროვნებათა აღზრდის ყველაზე სრულყოფილი გზაა.

ამრიგად, სამართლის ცოდნა და მართლშეგნება სამართლებრივი ცნობიერების განვითარების ორ თვისებრივად განსხვავებულ დონეს გამოხატავენ. მათ შორის სამართლებრივი ცოდნა არის სამართლის ნორმებისა და მისი მოთაონების შესახებ სხვადასხვა ცნობების, ინფორმაციების სისტემა, ხოლო მართლშეგნება – სამართლებრივი ცოდნის არსში წვდომა, მისი ჭეშმარიტების შინაგანი განცდა, რწმენა და შესაბამისი აუცილებლობისადმი პრაქტიკული დამოკიდებულება.

8. ცოდნისა და შეგნების ჩამოყალიბების სიღრმისეული ფაქტორები

ადამიანის უმარტივესი მოქმედებაც კი შინაგანად რთული ბიოფსიქოსოციალური პროცესია. იგი ზემოქანნიკური მოძრაობის უმაღლესი ფორმაა, სადაც „მოძრაობა მარტო აღვიღებადანაცვლება როდია... იგი თვისებრიობის ცვლილებაცაა“ (ფენგელსი. ბუნების დიალექტიკა. თბ. 1950, გვ. 451). უფრო მეტიც, „სიცოცხლე სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ესა თუ ის არსება ყოველ წუთს იგივეცაა და მაინც სხვაც“ (იქვე, კვ. 144).

ამრიგად, ადამიანის სიცოცხლე მოძრაობისა და ცვლილებების, წონასწორობის დარღვევისა და აღდგენის პროცესშია, რაც ყოველ კონკრეტულ პირობებში კანონზომიერად წარმოშობს

შესაბამის საჭიროებას. ეს საჭიროება ადამიანის მიერ აისახება და განიცდება მოთხოვნილების სახით. მის დაკმაყოფილებას ემსახურება აქტიურობის სხვადასხვა ფორმები— მოქმედება, ქცევა და საქმიანობა.

ყოველი მოქმედება პირდაპირ ან არაპირდაპირ, უშუალოდ ან გაშუალებულად უხილავი ძაფებით მოთხოვნილებასთან და მისი დაკმაყოფილების მნიშვნელობასთან არის დაკავშირებული. ნებისმიერი, მიზანდასახული მოქმედება არ არსებობს შესაბამისი მოთხოვნილებისა და ინტერესის გარეშე. თავის მხრივ, ეს მოთხოვნილება წარმოშობის მიხედვით შესაძლებელია იყოს ბუნებრივი ან საზოგადოების მიერ წარმოშობილი მატერიალური ან სუფიერი, გონივრული ან არაგონივრული, თეორიული ან პრაქტიკული და ა. შ.

ადამიანის ცნობიერ მოქმედებათა შორის ყველაზე უმარტივესიც კი როგორც საგნობრივი აღქმაა, ყურადღებისა და აზროვნებას საშუალებით ხორციელდება, ხოლო „აზროვნებას ადამიანი იწყებს მაშინ, როდესაც მას რაიმეს გაგების მოთხოვნილება გაუჩნდება“ (ს. ლ. რუბინშტეინი. ზოგადი ფსიქოლოგიის საფუძვლები, მ., 1940 წ. გვ. 289).

ყოველ მოქმედებას, გარეგნულად რაოდენ მარტივიც უნდა იყოს, ყოვეთვის რაღაც არსებითი ცვილილება შეაქვს ადამიანის შინაგან სამყაროში, მის ფსიქოფიზიოლოგიურ თვისებათა სისტემაში. როგორც სამართლიანად შენიშნავდა ბ. პასკალი „არავითარი მოძრაობა უკვალოდ არ ქრება, არ იკარგება ბუნებაში: მთელ ზღვას სახეს უცვლის შიგ ჩაგდებული კენჭი“ (გ. პასკალი. აზრები. თბილისი, 1981 წ. გვ. 299). ასევე ყოველი მოთხოვნილება და მის მიერ აღძრული უმარტივესი მოქმედებაც კი ადამიანის შინაგანი სამყაროს თვალუწვდენ ზღვაში ჩავარდნილი პატარა კენჭია, რომელიც სახეს უცვლის მას და გარკვეული მიმართულებით ანვითარებს, რაც ჩვენთვის უმეტეს შემთხვევაში, როგორც წესი, შეუმჩნეველი რჩება.

მოქმედება, მისი გარეგნული შედეგების მიუხედავად პირველყოვლისა მოძრაობაა, რაც ყოვეთვის გარკვეულ თვისებრივ

ცვლილებებთან არის დაკავშირებული. ამ თვისებრივ ცვლილებებს ჩვენ გრძნობის ორგანოების საშუალებით ყოველთვის ვერ ვწვდებით და მათ უბრალოდ რაოდენობრივი ცვლილებების კატეგორიაში ვაქცევთ. სინამდვილეში ყოველი რაოდენობრივი ცვლილებების შიგნით სხვადასხვა ზომის მრავალი საფეხურის თვისებრივ ცვლილებებს აქვს ადგილი. თვისებრივი და რაოდენობრივი ცვლილებები, იმის მიხედვით, თუ რა ზომის შიგნით და რა მიმართებაში განვიხილავთ – შეფარდებითია. ერთი ზომასა და მიმართებაში რაოდენობრივი ცვლილებები შესაძლებელია თვისებრივი იყოს მეორე ზომაში. ამ ფაქტის გათვალისწინებას ადამიანის მოქმედებისა და განვითარების კანონზომიერებათა სწორად გაგებისათვის, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ვფიქრობთ, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

ადამიანის შინაგანი თვისებრივი ცვლილებები, მისი ახალი უნარის წარმოშობა და განვითარება, ჩვეულებრივ, ახად სიტუაციაში პირველი მოქმედების პროცესში ხორციელდება, როცა პირველად იქმნება ამ სიტუაციაში მოქმედების ფაქტორთა სისტემა, ფსიქოფიზიოლოგიური მექანიზმი. განმეორებით მოქმედებებში კი მისი მხოლოდ განმტკიცება ხდება.

ახალ სიტუაციაში პირველი მოქმედების ფაქტორთა შინაგანი სისტემის წარმოშობა ერთი თვისებრივი მდგონარობის მეორეში გადასვლისა და მარტივიდან რთულისაკენ განვითარების თანმიმდევრულ ფსიქოფიზიოლოგიურ პროცესს გაცვლის. ამ პროცესის საბოლოო შედეგი შინაგანად გარკვეული მოქმედების განწყობის ჩამოყალიბებით მთავრდება, ხოლო გარეგნულად პრაქტიკულ მოქმედებაში ვლინდება. ამ მოქმედების შედეგების დადებითი უკუკავშირის შემთხვევაში იგი საბოლოოდ ჩვევაში გადადის და პიროვნების თვისებად, პრაქტიკულ მოთხოვნილებად და უნარად იქცევა.

ადამიანთა განვითარებას საბოლოოდ მისი პრაქტიკული მოთხოვნილებებისა და უნარის განვითარება განაპირობებს. სოციალური მოთხოვნილებები შესატყვისი საგნის ზემოქმედებით, ხოლო უნარი, მისი დაკმაყოფილების მოქმედების შესაბამისი

შინაგან ვაქტორთა ახალი სისტემების ჩამოყალიბების საფუძველზე ვიარდება.

საზოგადოების მიერ შექმნილი მატერიალური და სულიერი სიმდიდრე, საგნები, მოვლენები, პოლიტიკური, სამართლებრივი, ზნეობრივი და სხვა შეხედულებები შესაბამისი ურთიერთობები წარმოშობენ რა სხვადასხვა სახის მატერიალურ და სულიერ, თეორიულ და პრაქტიკულ მოთხოვნილებებს ადამიანთა ცნობიერებაში შესაბამის ინტერესების, სურვილების, მისწრაფებების, ვნებების მიდრეკილებების, მიზნებისა და სხვათა სახით აისახებიან. ამასთან, ცალკეული მოთხოვნილებები და მათ საფუძველზე წარმოშობილი ფსიქიკური თვისებები ერთი მეორისაგან იზოლირებულად კი არ ფუნქციონირებენ, არამედ პიროვნების ერთიან შინაგან სისტემას აყალიბებენ. ამ სისტემის ჩამოყალიბებას საბოლოოდ გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს პიროვნების შინაგანი სამყაროს ჩამოყალიბებაში.

როგორცაა ეს სისტემა, ისეთივეა პიროვნების შეგნება და თვის პიროვნება, რომელიც როგორც სარკეში - ქცევაში აელენს თავის ნამდვილ სახეს.

საზოგადოება, როგორც უნდა იყოს მისი ფორმა, როგორც ცნობილია, არის „პროდუქტი ადამიანთა ურთიერთმოქმედებისა“. ადამიანები თავიანთი აქტიურობით, საქმიანობით ავითარებენ თვით საზოგადოებას და ქმნიან ისტორიას. მოქმედების პროცესში ვითარდებიან თვით ადამიანებიც. ეს პროცესი კი პრაქტიკულად ასე მიმდინარეობს: „თვითოეული ადამიანი თავის საკუთარ შეგნებულად დასახულ მიზანს მისდევს: მრავალი სხვადასხვა მიმართულებით მოქმედი მისწრაფება და მათი მრავალმხრივი შემოქმედება გარე სამყაროზე შედეგად ისტორიას იძლევა, (კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II, თბილისი, 1964 წ., გვ. 541)

ადამიანს, როდესაც რაიმე მოთხოვნილება უჩნდება, გაცნობიერების შემდეგ დაისახავს თუ არა მიზნად მის დაკმაყოფილებას, ან დაკმაყოფილების როგორი მოქმედების გადაწყვეტილებას მიიღებს - სამართლებრივად და ზნეობრივად გამართლებულს

თუ არა, ეს მთლიანად დამოკიდებულია მოქმედების მოტივაციის პროცესში მონაწილე სუბიექტურ და ობიექტურ ფაქტორებზე. პრაქტიკული მოქმედების მიზანი, როგორც ცნობილია, ჩნდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მისი განხორციელების როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური ფაქტორები და შესაძლებლობები უკვე არსებობს ან ჩამოყალიბების პროცესშია.

მოქმედების შედეგი, როდესაც ფაქტიურად შეესრულება მის აღმძვრელ მოთხოვნილებას და დასახულ მიზანს, დადებით უკუგავლენას ახდენს მთელს პროცესზე და ხელს უწყობს მოცემულ სიტუაციაში პირველად განხორციელებული მოქმედების შედეგად ადამიანის შინაგან სამყაროში ახლად ჩამოყალიბებული ფსიქოფიზიოლოგიური მექანიზმისა და ფაქტორთა სისტემის განმტკიცებას. ხოლო განმეორებათა კვალობაზე ასეთი სისტემები თანდათანობით ჩვევაში გადადიან და პიროვნების დამახასიათებელ თვისებად, უნარად იქცევიან.

თუ პირველად განხორციელებული, მოტივირებული მოქმედების, მაგალითად კორუფციის საბოლოო შედეგი არ შეეატყვისება მის აღმძვრელ მოთხოვნილებას, ეს უარყოფით უკუგავლენას ახდენს მოქმედების ფაქტორთა ახლად ჩამოყალიბებულ მთელ სისტემაზე და საბოლოოდ მის აღკვეთას იწვევს დაწაშულურივი ქცევისათვის სასჯელის დადებას ძირითადად სწორედ ეს ფუნქცია აკისრია, რომ მისმა უარყოფითმა შედეგმა მეტი უარყოფითი უკუგავლენა მოახდინოს მოქმედების ფაქტორთა მთელ სისტემაზე და მომავალში აღკვეთოს მისი განმეორება. ამასთან, არ არის აუცილებელი, რომ სასჯელი მეტისმეტად მკაცრი იყოს. აქ გადამწყვეტია სასჯელის გარდაუვალობისა და შედარებით მეტი უსიამოვნების აუცილებლად მიღების რწმენის ჩამოყალიბება. უკუკავშირის ამ კანონზომიერების გათვალისწინებას და პრაქტიკულად გამოყენებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს კორუფციის და საერთოდ დანაშაულებრივი ქცევის მოტივაციისაგან თავის შეკავებასა და ასეთი ქცევის მოტივის აღკვეთაში.

ადამიანთა დანაშაულებრივი ქცევის მოტივაციის და მისი

პრაქტიკულად განხორციელების აღკვეთის უნივერსალური საშუალებაა მათი დარწმუნება ასეთი ქცევის ზოგიერთ დადებით შედეგთან ერთად შედარებით მეტი უარყოფითი უკუპასუხის, უკუკავშირის გარადაუვალობაში.

როგორც ცნობილია, ადამიანთა ცხოვრება წინააღმდეგობებითაა სავსე. ასეთი წინააღმდეგობანი, კომფლიქტები ინდივიდებსა და გარემოს შორის, პიროვნებებისა ცალკეულ პიროვნებებთან, შრომით კოლექტივთან, ზოგჯერ კი უფრო ფართო საზოგადოებასთან სხვადასხვა ფორმით და შინაარსით, მეტნაკლებად, ადამიანთა ინდივიდუალური განვითარების ყველა ასაკში და ყველა ეტაპზე გვხვდება.

პიროვნებასა და საზოგადოებას შორის წინააღმდეგობათა მოხსნის ერთადერთი გზა ყოველ კონკრეტულ პირობებში ეს არის პიროვნების მიერ ობიექტური აუცილებლობის შეცნობა, მისი შეგნებულ რწმენად და შესატყვისი პრაქტიკული მოქმედების და გონივრული მოქმედების მოთხოვნილებად ჩამოყალიბება. სწორედ ეს არის პიროვნების განვითარების გზა „აუცილებლობის სამეფოდან თავისუფლების სამეფოსაკენ“. საბოლოოდ კი გზა პიროვნების ყოველმხრივი და ჰარმონიული განვითარებისაკენ.

თავისუფლება, ყოველ კონკრეტულ პირობებში და ხაერთოდ, აუცილებლობის შეგნება და შესაბამისი პრაქტიკული მოქმედებაა, თავისუფლება აუცილებლობის მხოლოდ თეორიული ცოდნა არ არის. ცოდნასთან ერთად თავისუფლება ნიშნავს მის შეგნებას, რწმენას და შესაბამის პრაქტიკულ მოქმედებას.

შეგნებული რწმენა ადამიანთა ნებისმიერი მოქმედების ქცევის, საქმიანობის არა მხოლოდ უზენაესი ძალა და რეგულიატორია, იგი ამავე დროს მათი ნებისყოფის თავისუფლების გასაღები და გადამწყვეტი პირობაა. ადამიანის ნებისყოფის ნამდვილი თავისუფლება ნიშნავს გადაწყვეტილების მიღებას არა მხოლოდ საქმის ცოდნით, როგორც ეს ბევრს გონია, არამედ ამასთან მისი შეგნებით, რწმენით, როდესაც მოტივაციის შედეგად ჩამოყალიბებული მოტივი, მოქმედების სუბიექტური აუცი-

ღებლობა ამავე დროს ემთხვევა ობიექტურ აუცილებლობას.

ადამიანთა ნებისყოფის თავისუფლების მიღწევაში გადა-
მწვევტი, ყველაზე მთავარი როლი მატერიალური და სულიერი
მოთხოვნილებების საფუძველზე წარმოშობილი ინტერესების
დროულად შეცნობასა და სწორად გაგებას ენიჭება. ინტერესი
ადამიანთა ყოველგვარი ცნობიერი, ნებისმიერი აქტურობის
გადამწვევტი პირობაა. „ინტერესის გარეშე არაფერი ხდება ადა-
მიანთა ცხოვრებაში“ /*პეგელი*/, „ყველაფერი რასაც ადამიანები
აკეთებენ დაკავშირებულია მათ ინტერესთან“ /*მარქსი*/.

ინტერესის უდიდესი მნიშვნელობის მიუხედავად, მას ადა-
მიანთა სოციალური აქტიურობის, მოქმედების განმსაზღვრელ
ფაქტორთა სისტემაში ყოველთვის არ აქვს მინიჭებული მისი
კუთვნილი ადგილი.

ამრიგად, ცოდნა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფე-
როში ინტერესის შედეგიაცაა და პირობაც.

ადამიანები ცხოვრებაში სიკეთეს აკეთებენ თუ ბოროტებას,
აშენებენ თუ ანგრევენ, ემორჩილებიან ვინმეს თუ იმორჩილე-
ბენ, იძულებით აკეთებენ რაიმეს თუ მოვალეობის ქეზნებით,
საბოლოოდ ყველა მათგანი სათავეს ყოველთვის მათი მო-
თხოვნილებებიდან და ამ მოთხოვნილებების დაკმაყოფილების
მნიშვნელობიდან, ინტერესებიდან იღებენ. ამასთან, რამდენად
ძლიერია მოთხოვნილება და მისი დაკმაყოფილების (ინტერესი,
მით უფრო ძლიერია მის მიერ აღძრული აქტიურობა. *ადამიანი
სხვადასხვა შესაძლო მოქმედებიდან ყოველთვის ირჩევს იმას,
რომელიც მოცემულ სიტუაციაში ყველაზე მეტ მნიშვნელობას
იძენს, თუ ადამიანისათვის დანაშაულებრივი მოქმედებისაგან
თავის შეკავება უფრო მეტ მნიშვნელობას შეიძენს, ვიდრე მისი
განხორციელება, მაშინ ის დანაშაულს არ ჩაიდენს. ასეთი
რწმენის ჩამოყალიბება სამართლებრივი აღზრდის მთავარი
ამოცანაა.*

მოტივაცია ფაქტობრივად ადამიანის მიერ გონებაში აზრო-
ვნების საშუალებით იდეალურად შესრულებული მოქმედებაა,
რომელიც წინ უძღვის რა პრაქტიკულ მოქმედებას, განსაზღ-

ვრავს მის შინაარსს და მიმართულებას. მოტივაციის მთავარი შედეგია გარკვეული რწმენის ჩამოყალიბება, რომელსაც თან ახლავს შესაბამისი შინაგანი ფსიქოფიზიოლოგიური და სხვა სახის თვისებრივი ცვლილებები.

მოტივაცია არსებობს ხანგრძლივი და მომენტალური. ზოგიერთი თეორიული პრობლემის, თუ მოქმედების მოტივაცია დღეების, თვეებისა და წლების განმავლობაში მიმდინარეობს, ზოგიერთისა კი – მომენტალურად ხორცილედება.

მოტივაცია ადამიანის ნებისმიერი მოქმედების ძირითადი ეტაპია, მთავარი რგოლია. იგი ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში გარკვეული მოქმედების ქცევის აუცილებლობის რწმენას და შინაგან მზაობას, განწყობას აყალიბებს. ეს პროცესი სამწუხაროდ, დღესათვის ჯერ კიდევ სრულყოფილად შესწავლილი არ არის (ამ საკითხზე უფრო ვრცლად იხ. დ. კიკნაძე, პიროვნების მოქმედებისა და განვითარების ფაქტორთა სისტემა. თბილისი. 1982 წ. გვ. 121-179).

წარმოშობის მიხედვით თუ მოვახდენთ კლასიფიკაციას, შეიძლება რწმენის სამი ძირითადი სახე გამოვყოთ – ემპირიული, ავტორიტატული და მეცნიერული რწმენა. ემპირიული რწმენა, როგორც რწმენის ყველაზე დაბალი მარტივი სახე ყოველდღიური ცხოვრების, პრიმიტიული პრაქტიკის საფუძველზე წარმოიშობა. ამიტომ მას შეიძლება მარტივი რწმენაც ეწოდოს. რწმენის ეს სახე ადამიანებს უყალიბდებათ ყოველგვარი თეორიული განათლებისა და ცოდნის გარეშე, ძირითადად ცხოვრებისეული გამოცდილების საფუძველზე.

ავტორიტატული რწმენა რაიმეს შესახებ ინფორმაციის წყაროს, როგორც სუბიექტის, ავტორიტეტის საფუძველზე წარმოიშობა, მისი სუბიექტი შეიძლება იყოს ღმერთი, უფროსი ადამიანი, ცნობილი მეცნიერი, ადამიანებისათვის თავდადებული სახელმწიფო, პოლიტიკური ან საზოგადო მოღვაწე, პარტია, ხელმძღვანელი ორგანო და სხვა. ავტორიტატული რწმენის წარმოშობაში ცდისეული რწმენაც მონაწილეობს, როგორც ფაქტორი, მაგრამ მის ჩამოყალიბებაში გადამწყვეტ როლს ინფორმაციის

წყაროს ავტორიტეტი ასრულებს.

როდესაც რაიმე ინფორმაცია ავტორიტეტული ორგანოდან ან პიროვნებიდან მოდის, რომელთა ნათქვამის ჭეშმარიტება არასოდეს საეჭვო არ გამხდარა და ყოვეთვის გამართლებულა. ასეთ შემთხვევაში ადამიანებს მისადმი რწმენა უყალიბდებათ და მის ყოველ ახალ ინფორმაციას უკრიტიკოდ იღებენ. ასეთ რწმენას, რა თქმა უნდა, აქვს თავისი დადებითიც და უარყოფითიც. დემოკრატიის პირობებში ავტორიტარულ რწმენას მეტად მნიშვნელოვანი დადებითი შედეგების მოტანა შეუძლია, მაგრამ ფაშისტური დიქტატურის პირობებში მას საზოგადოება კატასტროფამდე მიჰყავს, როგორც ეს გერმანიას დაემართა მეორე მსოფლიო ომში.

უმაღლესი დონეა რწმენის შესამე სახე, როდესაც რაიმე დასაბუთებულია მეცნიერულად, აღიარებულია ავტორიტეტების მიერ და დადასტურებულია პრაქტიკულად. ასეთი რწმენა ადამიანთა პირად და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ყოველგვარი წარმატების გადამწყვეტი პირობაა.

ადამიანის ცნობიერ, ნებისმიერი მოქმედების ყოველი სისტემისათვის, როგორი მარტივიც უნდა იყოს იგი, დამაახსიათებელია პირველი მოქმედების ისეთი ძირითადი ფაქტორები და განვითარების ეტაპები, როგორიცაა: მოთხოვნილება, ინტერესი, მიზანი, მოტივი (რწმენა) და განწყობა. ეს ფაქტორები და ეტაპები პირველი მოქმედების განმეორების შემდეგ თანდათანობით ერწყმიან ერთიმეორეს, ხოლო ამ მოქმედების უფრო მაღალი მოქმედების სისტემაში გაერთიანების შედეგად თითქოს ქრებიან და იკარგებიან. მაგრამ საკმარისია თითოეული სისტემის შიგნით რაიმე ახალი ფაქტორი განჩნდეს, რომ ყველა მათგანი კვლავ გაცოცხლდეს, გააქტიურდეს და ნათლად გასოჩნდეს. ყოველივე ეს პროცესი ხორციელდება აკად. პ. ანოხინის მიერ აღმოჩენილი ფუნქციონალური სისტემების კანონზომიერებათა მიხედვით. ეხებოდა რა თავის ტვინის ფუნქციონალური თავისებურებების საკითხს, იგი აღფრთოვანებით წერდა ადამიანის თავის ტვინის კეთილშობილური უნარის შესახებ, რომელიც

მოვლენების განმეორების შემდეგ მათგან ახდენს ყველაზე არსებითი შედეგის თანდათანობით აბსტრაგირებს, იმახსოვრებს მაა, რაც საჭირო და აუცილებელია, ხოლო ზედმეტი პროცესებისაგან კი თავისუფლდება, რითაც არც ცნობიერებას ტვირთავს ზედმეტად და ხელს უწყობს დროის ეკონომიას (იხ. გადაწყვეტილების მიღების პრობლემები ფსიქოლოგიასა და ფიზიოლოგიაში. ჟურნალი „კოპროსი პსიხოლოგი“, 1974, №4, გვ. 28).

მართალია, ყოველ დაბალ სისტემას თავისი ფუნქცია, მიზანი და მოტივი გააჩნია, მაგრამ იგი უფრო მაღალ სისტემაში დაქვემდებარებულია და ერწყმის იმ მაღალი სისტემის მოტივს და მიზანს, რაჟღის კომპონენტადაც იქცევა. უფრო მეტიც, ზოგიერთ შემთხვევაში დაბალი სისტემის მიზანი და მოტივი ცნობიერად ან არაცნობიერად მოქმედების უფრო მაღალი სისტემის გააქტიურების მნიშვნელოვანი ფაქტორის როლშიც გამოდის.

მოქმედების ყოველი ფიზიოლოგიური სისტემა უმდაბლესიდან უმაღლეს დონემდე, როგორც შედარებით მაღალი ფუნქციონალური სისტემის კომპონენტი, წარმოიშვება და ვითარდება რა ინტეგრაციისა და იერარქიის პრინციპების მიხედვით, იგივე პრინციპები საფუძვლად ედება შესატყვისი ფსიქოლოგიური სისტემების წარმოშობასა და განვითარებას.

მოქმედების ფსიქოლოგიური განვითარების ყველა ეტაპს ანალოგიური ფიზიოლოგიური განვითარების ეტაპი შეესატყვისება. ეს ფსიქოლოგებისაგან დამოუკიდებლად, ნათლად და დამაჯერებლად დაადასტურეს ფიზიოლოგებმა (იხ. ქცევის ნეიროფიზიოლოგიის სისტემური ასპექტები. რუს მ. „მეცნიერება“, 1971 წ.).

ყოველ ფსიქიკურს, რა თქმა უნდა, წინ უსწრებენ და უშუალოდ განაპირობებენ ფიზიოლოგიური პროცესები, მაგრამ ფსიქიკური პროცესები თავის მხრივ უკუგავლენას ახდენენ ფიზიოლოგიურ პროცესებზე და გარკვეულ მიმართულებას აძლევენ მათ. უფრო მეტიც, ფსიქიკური პროცესები ხშირ შემთხვევაში თვითონ წარმოშობენ ახალ ფიზიოლოგიურ პროცესებს. მათი

მიხეხ-შედევობრივი მდგომარეობის მონაცველობა და ურთიერ-
თხემოქმედება ქცევის როულ აქტებს ედება საფუძველად.

9. ნეზისმიერი მოქმედების შედეგების უკუკავშირი

ადამიანი, როგორც ინდივიდი და როგორც პიროვნება, ყა-
ლიბდება და ვლინდება მოქმედების, სოციალური აქტიურობის
პროცესში, ადამიანებთან, საზოგადოებასთან ურთიერთო საში. ეს
საყოველთაოდ ცნობილი დებულებაა, მაგრამ დღემდე სპეცია-
ლისტებს შორის არ არსებობს ერთიანი აზრი იმის შესახებ, თუ
როგორ ყალიბდება ყოველი ცალკეული მოქმედების ფაქტორთა
ახალი შინაგანი სისტემა, რომელსაც გარკვეული ცვლელბები
შეაქვს მოქმედების სუბიექტებში და საბოლოოდ საფუძველად
ედება მთლიანი პიროვნების განვითარებას. უფრო მეტად, ჯერ
კიდევ სრულყოფილად არაა შესწავლილი ადამიანის მოქმედების,
ქცევის და საბოლოოდ პიროვნების განვითარების ფაქტორთა
სისტემაში ისეთი ძირითადი ფაქტორების შესაბამისი ადგილი
და როლი როგორცაა: გარემო, მოთხოვნილება, ინტერესი, მი-
ზანი, მოტივაცია, მოტივი, რწმენა, შეგნება, განწყობა, მოქმედების
მოთხოვნილება, დამოკიდებულება და სხვა.

ადამიანის კომპლექსური განხილვის საფუძველზე სათელი
ხდება, რომ მის ყოვეგვარ შეგნებულ მოქმედებას, იქნება იგი
იურიდიულად და მორალურად გამართლებული თუ გაუმართლე-
ბელი, საბოლოო სიღრმისეულ საფუძველად უდევს მოთხოვნილე-
ბები. ადამიანის ყოველი მოქმედება თავის მხრივ პირდაპირ ან
არაპირდაპირ, უშუალოდ ან მრავალი პროცესების გაშუალებით
რაიმე მატერიალური ან სულიერი მოთხოვნილების დაკმაყო-
ფილებას ემსახურება. „არავის არ შეუძლია გააკეთოს რაიმე,
ისე, თუ მას არ აკეთებს თავისი რაიმე მოთხოვნილები“ და ამ
მოთხოვნილების ორგანოსათვის“ (კ. მარქსი და ფ. ენგელსი,
თხზ. ტ. 3, გვ. 245).

მოთხოვნილებები ყოველ კონკრეტულ პირობებში არა მარტო აღძრავენ ინდივიდთა ცადკეულ მოქმედებებს, სოციალურ აქტიურობას, არამედ საფუძვლად ედებიან ადამიანთა საზოგადოებრივი ურთიერთობების განვითარებას, საზოგადოებრივი ცხოვრებას ესა თუ ის ორგანიზაცია დამოკიდებულია, რა თქმა უნდა, ყოვეთვის უკვე განვითარებულ მოთხოვნილებებზე. „ამ მოთხოვნილების წარმოშობა კი, როგორც მათი დაკმაყოფილება, თვით არის ისტორიული პროცესი“ (იქვე. გვ. 71). „მოთხოვნილების გარეშე არ არის წარმოება“, ინდივიდებისა და საზოგადოების განვითარება.

ანიტონენ რა გადაწყვეტ მნიშვნელობას ადამიანთა განვითარებისათვის ახალი მოთხოვნილების წარმოშობასა და მისი დაკმაყოფილების პირველ მოქმედებას, მარქსი და ენგელსი წერდნენ: „...თვით დაკმაყოფილებული პირველი მოთხოვნილება, დაკმაყოფილების მოქმედება და დაკმაყოფილების უკვე შექმნილი იარაღი ახალ მოთხოვნილებებს წარმოშობენ და ეს წარმოშობა ახალი მოთხოვნილებებისა პირველ ისტორიულ აქტს წარმოადგენს“ (კ. მარქსი, ფ. ენგელსი, თხზ. ტ. 3. გვ. 27).

ისმენია კითხვები: რა ცვლილებები ხდება ახალი მოთხოვნილებების წარმოშობისა და მისი დაკმაყოფილების პირველი მოქმედებას პროცესში, რაც პიროვნების განვითარებას ედება საფუძვლად; რა ძირითადი ფაქტორები მონაწილეობენ ახალი მოთხოვნილების წარმოშობისა და დაკმაყოფილების, პირველი მოქმედებას პროცესში, რა ადგილი და რა როლი ენიჭებათ თითოეულ მათგანს მოქმედების ფაქტორთა მთლიან სისტემაში. როგორია მათი ურთიერთშემოქმედების, თანამოქმედებისა და პიროვნებას განვითარების კანონზომიერებანი?

ამ საკითხების გარკვევისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება თანამედროვე მეცნიერთა მიერ დადასტურებულ შემდეგ წინამძღვრებს:

პირველი – ადამიანის ნებისმიერი მოქმედება ცხოველის იმპულსური მოქმედებისაგან განსხვავებით ცნობიერი და შეგნებული სოციალური მოქმედებაა. ადამიანი სანამ პრაქტიკულად

გააკეთებდეს რაიმეს, მანამდე მას ჯერ იდეალურად ე. ი. აზროვნების საშუალებით თავის გონებაში აკეთებს, რაც წინასწარ განსახდურავს პრაქტიკული მოქმედების მიმართულებას, პროცესსა და შედეგს. აზროვნების საშუალებით, გონებაში იდეალურად შესრულებული მოქმედების განწყობის ჩამოყალიბებით.

მეორე – ადამიანის მოქმედება, როგორი მარტივიც არ უნდა იყოს იგი, მრავალი კომპონენტისაგან შედგება და მას ყოველთვის სისტემური ხასიათი აქვს. ყოველი ასეთი სისტემა, ერთის მხრივ, შედგება მთელი რიგი იერარქიული ქვესისტემებისაგან, კომპონენტებისაგან, ხოლო მეორეს მხრივ, თვითონ წარმოადგენს, უფრო მაღალი სისტემის ქვესისტემას, კომპონენტს.

ადამიანის მოქმედების, სოციალური აქტიურობის აღმძვრელი და წარმმართველი ფაქტორები, მისი წარმოშობისა და ჩამოყალიბების ეტაპები უნდა განვიხილოთ, როგორც ერთი მთლიანი სისტემის კომპონენტები შინაგან და გარეგან ურთიერთზემოქმედებაში. მხოლოდ ასეთი მიდგომა იძლევა საშუალებას გავიგოთ ყველა ფაქტორის, პირველ რიგში, ქცევის აღმძვრელი მოთხოვნილების ერთი თვისებრიობიდან მეორეში გადასვლის კანონზომიერებანი, მათი ტრანსფორმაციის მთელი ჯაჭვის და ბოლოს სხვასდასხვა თვისებისა და უნარების პიროვნების ერთიან სისტემად ჩამოყალიბება.

მესამე – პირველი მოქმედება ე. ი. ახალი მოთხოვნილების პირველად დაკმაყოფილებას, ან ახალ სიტუაციაში შესრულებული მოქმედება არის პიროვნების შესაბამისი მიმართულებებით შინაგანი ცვილვლებებისა, და განვითარების მომენტი. იგი არის გასაღები პიროვნების რთული მოქმედების, ქცევის, საქმიანობისა და მათი განვითარების გაგებისათვის. ეს იმიტომ, რომ ქცევის ფაქტორების მთლიანი სისტემები, ფიზიკური და აულიერი უნარები ნებისმიერ პირველ მოქმედებაში, ახალი სისტემის წარმოშობის და დამკვიდრების პირველსავე აქტში გარკვეულ წილად იცვლებიან და ვითარდებიან. ბუნებრივია, მის კვალობაზე იცვლება და ვითარდება თვით მოქმედების სუბიექტიც. ამით აიხსნება ის, რომ ნებისმიერი პირველი მოქმედება თვისებრივად

სრულიად ნათლად. გარკვევით, ყველასათვის თვალსაჩინოდ განსხვავდება მომდევნო, ანალოგიური მოქმედებისაგან.

ეს პროცესები ადამიანთა ყოველდღიურ ცხოვრებაში თითქოს შეუმჩნეველი რჩება, მაგრამ ახალ სიტუაციაში პირველი მოქმედების შედეგად გამოწვეული ცვლილებები, ისტორიული პროცესისა ეს უმცირესი მომენტი, თითოეული ადამიანის ცხოვრებაში წარუშლელ კვალს ტოვებს.

ახალი მოთხოვნების წარმოშობა და დაკმაყოფილება, ან ახალ სიტუაციაში პირველი მოქმედება, ფაქტორთა ახალ შინაგან სისტემას წარმოშობს, რაც გარკვეულ ფსიქოფიზიოლოგიურ ცვლილებებს იწვევს ადამიანის შინაგან სამყაროში. ეს ცვლილებები წარმოშობის შემდეგ თავის მხრივ, სხვა უფრო რთულ ცვლილებებს იწვევს, რაც საბოლოოდ საფუძვლად ედება მთლიანი პიროვნების ცვლილებებსა და გარკვეული მიმართულებით განვითარებას.

ახლად წარმოშობილი მოთხოვნების განმეორებითი დაკმაყოფილების მოქმედება იმავე სიტუაციაში გარდა იმისა, რომ ეს მოქმედება სხვა დროს ხდება, თავისთავად, უკვე ისედაც სხვა მოქმედებაა. უფრო მეტიც, თვით სუბიექტი, რომელიც განმეორებით მოქმედებს, უკვე სხვა სუბიექტია. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ერთი და იგივე ადამიანს არ შეუძლია ორჯერ ჩაიდინოს ერთი და იგივე მოქმედება და დარჩეს თავის თავთან იგივეობრივი, ისევე როგორც „არავის არ შეუძლია ორჯერ შევიდეს ერთი და იგივე მდინარეში“.

პირველად შესრულებული მოქმედების სხვადასხვა ფაქტორი, ეტაპები მრავალგზის განმეორების შედეგად თანდათანობით ერთმანეთს ერწყმიან და მოქმედების თვით სტრუქტურაც შესაბამისად მარტივდება, უფრო მყარი, მტკიცე ხდება და ბოლოს თვით მოქმედება ჩვევად იქცევა. ამასთან, პირველი მოქმედების ფაქტორთა ახლად შექმნილი სისტემა თავის მხრივ გარკვეულ პირობებში უფრო მაღალ სისტემაში ერთიანდება, მის კომპონენტად იქცევა და ახალ თვისებრიობაში გადადის. ამიტომ, მხოლოდ პირველი მოქმედების აღძვრისა და განვითარების

ეტაპების ანალიზის შედეგად შეიძლება ჩავწედეთ მთლიანი პიროვნების თანდათანობითი განვითარების უპირველესსა და ძირითად კანონზომიერებებს.

თუ ჩვენ ანალიზს დავიწყებთ ადამიანის არა პირველი მოქმედებიდან, არამედ მრავალგზის განმეორებული ან ჩვევად ქცეული მოქმედებიდან, მაშინ ვერ შევძლებთ, მთელი სიღრმით მისი თითოეული კომპონენტის ადგილისა და როლის სწორად შეცნობას, რაც სამწუხაროდ დღემდე ჯერ კიდევ პრობლემად რჩება.

ყოველგვარი პროგრესი ადამიანთა განვითარებაში მოთხოვნილებასთანაა დაკავშირებული. მოთხოვნილება შექმნა ისტორიულად ადამიანთა ახალი ფუნქციები—მეტყველება და აზროვნება. მოთხოვნილება დაედო საფუძვლად იარაღის გამოყენებასა და ადამიანთა შრომით საქმიანობას. მოთხოვნილების გარეშე არ არის წარმოება, არ არსებობს პისტორია—ინდივიდუებისა და საზოგადოების განვითარება.

მართალია, საზოგადოებრივი განვითარების ყოველ საფეხურზე ადამიანი არსებობს პირველ რიგში, როგორც ბიოლოგიური არსება, რომელსაც ყოველთვის ჰქონდა და ექნება ბიოლოგიური მოთხოვნილებები, მაგრამ საზოგადოებრივი განვითარების შედეგად, ადამიანი იქცევა რა ბიოფსიქოსოციალურ არსებად, ეს მოთხოვნილებებიც შესაბამისად ბიოფსიქოსოციალური ხდებიან, შესაბამისად ვითარდება და იცვლება მათი შინაარსი, დაკმაყოფილების საგანი, საშუალებები, ფორმა და მეთოდები.

მოთხოვნილებებში მოცემულია ადამიანის სოციალური განსაზღვრულობა, მისი არსება. რაც შეეხება ადამიანის მოქმედებას, იგი მხოლოდ ამ არსების გამოვლინებაა კონკრეტულ გარემოში, სიტუაციაში.

ადამიანის განვითარების, პიროვნების შინაგანი სიძლიერის მაჩვენებელია მისი მოთხოვნილებების შინაარსი, კერძოდ ის თუ რამდენად ჯანსაღი და გონივრულია ისინი საზოგადოების განვითარების მოცემულ ეტაპზე და რამდენად უწყობს ხელს მათი დაკმაყოფილება როგორც პიროვნების ისე მთელი საზოგა-

დოების შემდგომ სრულყოფას, წინსვლასა და განვითარებას.

ადამიანური მოქმედება არასოდეს არ გამოდის მხოლოდ იდეებიდან, აზრებიდან. ეს უკანასკნელი თვით გამოდინ მოთხოვნილებათა სფეროდან, მოთხოვნილებათა შინაგანი სისტემიდან. საპართლებრივი და ზნეობრივი აღზრდის საფუძველია არა მხოლოდ სამართლებრივი და ზნეობრივი იდეების, ნორმების ცოდნა, როგორც იდეალური ფაქტორი, არამედ შესაბამისი აუცილებლობის შეგნების, შინაგანი მოთხოვნილებისა და რწმენის ჩამოყალიბება.

ამრიგად, ადამიანის აქტიურობის—მოქმედების, ქცევის და საქმიანობის ფაქტორთა სისტემის ანალიზი გვარწმუნებს, რომ ინდივიდის განვითარება და პიროვნების ჩამოყალიბება ყოველთვის უნდა აიხსნას მისი მოთხოვნილებებით, ხოლო მოთხოვნილებების წარმოშობა და დაკმაყოფილება გაგებულ იქნას, როგორც ისტორიული პროცესი. ამ პროცესში იცვლება მხოლოდ მოთხოვნილებების შინაარსი—ისინი შეგნებისა და რწმენის დონემდე მადლდებიან. რაც შეეხება თვით მოთხოვნილებას, როგორც აქტიურობის პირველ წყაროს, იგი უცვლელია ყველა დროისა და ეპოქისათვის.

ადამიანის მოთხოვნილება და მოხმარების საგანი გაშუალებულია წარმოების, განაწილებისა და გაცვლის სოციალური პროცესებით. ამიტომ ნორმალური ადამიანური არსებობისათვის აუცილებელია ყველა აღნიშნულ პროცესებში სოციალური ინტერესების შესაბამისი აქტიურობა.

ადამიანის მოთხოვნილების და ინტერესის საგანია ყველა ნივთი, მოვლენა და ურთიერთობანი, რომელიც ამა თუ იმ მოთხოვნილებას აკმაყოფილებს, სულ ერთია, იქნება იგი მატერიალური და სულიერი წარმოების, უშუალოდ დააკმაყოფილებს მოთხოვნილებას როგორც მისი დაკმაყოფილების საგანი, თუ მრავალი სოციალური პროცესებით გაშუალების გზით, როგორც ინტერესი.

ყოველი ცოცხალი ორგანიზმის პირველი მოთხოვნილებაა არსებობის მოთხოვნილება. ცხოველი თავის არსებობას ავლენს

და განამტკიცებს ბუნებრივ გარემოში, ადამიანი კი – სოციალურ გარემოში. ამიტომ ადამიანის სპეციფიკურ მოთხოვნილებას წარმოადგენს ადამიანურად არსებობის მოთხოვნილება, რწმენა და სოციალური ფუნქციის შესრულება.

მოთხოვნილებები არის ბუნებრივი და საზოგადოების მიერ შექმნილი. ცხოველებს ახასიათებს მხოლოდ ბუნებრივი მოთხოვნილებები. მაგალითად, კვების, წყურვილის, გამრავლების და სხვა. ადამიანებს ბუნებრივი მოთხოვნილებების გარდა გააჩნიათ სოციალური ანუ საზოგადოების მიერ შექმნილი ისეთი მოთხოვნილებებიც, როგორცაა: სამართლებრივი და ზნეობრივი ნორმების დაცვის, ადამიანებთან შეგნებული ურთიერთობის, მეგობრობის, ინტელექტუალური, კულტურული და სხვა, რომელთა დაკმაყოფილების წესიც სოციალური ხდება.

ადამიანს უმეტესად ისეთი მოთხოვნილებები გააჩნია, რომელთა დაკმაყოფილება შეიძლება, როგორც საზოგადოებრივად გამართლებული საშუალებებით, ასევე მორალურად და იურიდიულად აკრძალული გზით. მათ შორის თუ რომელს აირჩევს იგი, ეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მის შეგნებაზე, ე. ი. რწმენაზეა დამოკიდებული, რასაც მოთხოვნილებათა შინაგანი სისტემისა და ობიექტური პირობების ურთიერთშემოქმედება აყალიბებს.

მართალია ყოფიერება პირველადია, ცნობიერება – მეორეა, ადამიანთა ცნობიერებას განსაზღვრავს ცხოვრების რეალური პროცესები, საზოგადოებრივ-ეკონომიკური პირობები. მაგრამ ეს ძირითადი დებულება ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ყოფიერება, ეკონომიკური პირობები უშუალოდ და ავტომატურად განსაზღვრავდეს ადამიანთა ცნობიერებასა და მოქმედებას. სინამდვილეში მათი დამაკავშირებელი რგოლია მოთხოვნილებები და მათი დაკმაყოფილების ინტერესები, ყოველგვარი ადამიანური მოქმედების, აქტიურობის შინაგანი აღმძვრელი და მამოძრავებელი ძალა.

ყოველი პიროვნების შინაარსს, მისი მოთხოვნილებათა და ინტერესთა სისტემა განსაზღვრავს, ხოლო მოქმედება – ამ

თვისების გასაგნება და თვალსაჩინო დადასტურებაა.

სოციალური აქტიურობის, მოქმედების შედეგად ვითარდება და თანდათანობით სრულყოფილი ხდება ადამიანთა უნარები და მოთხოვნილებები. გარკვეული აზრით შეიძლება ითქვას, რომ ადამიანთა საზოგადოებრივი განვითარების ისტორია, საბოლოო ჯამში მაციი ახალი მოთხოვნილებების შესაბამისი ინტერესებისა და უნარების წარმოშობისა და განვითარების ისტორიაა.

ადამიანები, როგორც ცნობილია, თავიანთი მოქმედებით გარდაქმნიან სამყაროს, ცვლიან გარემოპირობებს, რაც შემდგომ მათი მოქმედებების ცვილებებსა და განვითარებას ედება საფუძვლად. ამ საქმეში როგორც ითქვა, ახალ სიტუაციაში პირველად შესრულებული მოქმედება განსაკუთრებულ როლს თამაშობს.

ახალ სიტუაციაში, გარემოპირობებში პირველი მოქმედების განხორციელება ჯერ ადამიანის გონებაში იდეალურად, ხოლო შემდეგ პრაქტიკულად ერთი თვისებრივი მდგომარეობიდან მეორეში გადასვლისა და მარტივიდან რთულისაკენ, განვითარების რიულ, მაგრამ თანმიმდევრულ პროცესს გაივლის, რაც აყალიბებს მოქმედების ახალ შინაგან ფსიქოფიზიოლოგიურ სისტემას პიროვნების ახალი თვისების, უნარის სახით.

შეცვლილ გარემოპირობებში განხორციელებული შინაგანი მოქმედებას შემთხვევაში ადამიანი თავის გონებაში ასახავს რა ობიექტური საგნებისა და მოვლენების ახალ, მის გამოცდილებაში მანამდე, ჯერ კიდევ არარსებულ მიმართიულებებს, ამით ერთის მხრივ ეცნობა ობიექტურად არსებულ საგანთა და მოვლენათა ახალ თვისებებს და ურთიერთკავშირს, ხოლო მეორეს მხრივ, გარდაქმნის თავის თავს—იძენს ახალ გარემოში ორიენტაციისა და მოქმედების უნარს. ეს ახლად შექმნილი უნარი, გარეულად და თვალსაჩინოდ, განმეორებით მოქმედებაში ვლინდება და დასტურდება იმით, რომ ყოველი განმეორებითი მოქმედება პირველთან შედარებით უფრო თავისუფლად, ადვილად სრულდება, ხოლო გარკვეულ პირობებში იგი ჩვევაში გადადის და პიროვნების შინაგან თვისებად იქცევა.

როგორც ვხედავთ, ის ცვლილებები რაც სუბიექტის შინაგან სამყაროში ხდება მოთხოვნილების წარმოშობის, მისი დაკმაყოფილების მოქმედების მოტივაციის, შინაგანი იდეალური მოქმედების შედეგად, შემდგომში თვალსაჩინოდ ვლინდება და დასტურდება გარესსამყაროზე მიმართულ პრაქტიკულ მოქმედებაში. ამიტომ ყოველი მოქმედება პიროვნების შინაგან სამყაროში მიმდინარე პროცესებისა და მომხდარი ცვლილებების თვალსაჩინოდ მოცემული სინამდვილეა. თუ ეს სინამდვილე ეწინააღმდეგება სამართლის ნორმების მოთხოვნებს, დაწაშაულებრივია – ამის მიზეზები მოტივაციის სუბიექტურ და ობიექტურ ფაქტორთა სისტემაში პირველ რიგში კი მოთხოვნილებებსა და ინტერესებში უნდა ვეძიოთ.

კორუფციის მოტივაცია, როგორც შინაგანი იდეალური მოქმედება, მისი სუბიექტის მიერ დანაშაულებრივი გზებით და საშუალებებით ეგოისტური მოთხოვნილებებისა და ინტერესების დაკმაყოფილების აუცილებლობის დასაბუთება, შეაბამისი რწმენის ჩამოყალიბებაა, რაც თუ საწინააღმდეგო მოტივაციამ არ შეცვალა, გარეთ მიმართულ მოქმედებაში პრაქტიკულად ხორციელდება. ასეთი ქცევის მოტივაციის აღკვეთისათვის საჭიროა სწავლა – აღზრდის უკუკავშირის, შემოქმედების ყველა საშუალებით ადამიანებს ჩამოუყალიბოთ სამართლებრივი ნორმების მოთხოვნების დაცვის აუცილებლობის რწმენა, შეგნება და განუმტკიცოთ ყოველი კონკრეტული დანაშაულებრივი ქცევისათვის შედარებით უფრო მეტი უარყოფითი უკუკავშირის, უკუშემოქმედების გარდაუვალობის რწმენა.

აღნიშნული კანონზომიერების პრაქტიკულად გამოყენებისათვის, ვფიქრობთ მიზანშეწონილი იქნება, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების ცალკეულ სფეროებში დანაშაულობათა კონკრეტულ სახეობათა მიხედვით შესწავლილ იქნას მათი მოტივაციის განმსაზღვრელი, როგორც საერთო ძირითადი, ისე სფეროფიკური ფაქტორები და მათი აღმოფხვრის მიზნით შემუშავდეს მეცნიერულად დასაბუთებული პრაქტიკული რეკომენდაციები. ამასთან, განათლების სისტემაში ცოდნის მიცემის

პროცესი მის ყველა რგოლში, ყველა დარგსა და სპეციალობაში
ორგანულად შეერწყას აღზრდის პროცესს, ისე, რომ სწავლება
უფრო მეტად იქნას ორიენტირებული შესაბამისი შეგნებული
რწმენის ჩამოყალიბებაზე. ამ მიზნით სასურველია შეიქმნას
სწავლების ყველა ფორმისათვის ცოდნის შეგნებად, რწმენად
გადაქცევის შესაბამისი მეთოდიკური ცენტრი, რომელსაც დაევა-
ლება საერთოდ და სპეციალურ პირობებში ცოდნის, შეგნებულ
რწმენად ჩამოყალიბების ფაქტორთა სისტემისა და კანონზომიე-
რებათა მკვნიერული კვლევა და შესაბამისი რეკომენდაციების
შემუშავება.

პროფ. თინათინ წერეთელი ქართული სისხლის სამართლის მეცნიერული სკოლის ფუძემდებელი

მეცნიერებაში მოღვაწენი შეიძლება ორ ჯგუფად დაეყოთ: ერთნი გამორჩეულნი ხდებიან საკუთარი შემოქმედებით და იმავდროულად ახალგაზრდა სწავლულთა დაოსტატებით, ხოლო მეორენი – მხოლოდ საკუთარი შემოქმედებით იფარგლებიან. ამ კლასიფიკაციაში პროფ. თინათინ წერეთელი უსათუოდ მეცნიერთა პირველ კატეგორიას მიეკუთვნება.

უპირველეს ყოვლისა, თ. წერეთელი თავად იყო სისხლის სამართლის ფუნდამენტური პრობლემების საქვეყნოდ აღიარებული მკვლევარი. თ. წერეთლის მეცნიერული შემოქმედება მისი მაღალი ინტელექტის, ჰუმანურობისა და ზნეობრივი სისპეტაკის უტყუარი ანარეკლი იყო. ასეთი თვისებების ჩამოყალიბებაში, რასაკვირველია დიდი როლი შეასრულა მამამკვასილ წერეთელმა, პროფესიით ექიმმა, ცნობილმა პუბლიცისტმა და საზოგადო მოღვაწემ, დედამ – ქეთევან ჩიქოვასმა, მამის ძმამ, – დიდმა ქართველმა პატრიოტმა და მეცნიერმა მიხაკო წერეთელმა. ფრიად საგულისხმოა ისიც, რომ გამოჩენილი აღმოსავლეთმცოდნე, აკადემიკოსი გიორგი წერეთელი თ. წერეთლის ძმა იყო.

საერთოდ კი წერეთლების ოჯახში კეთილშობილური გონებრივი ცხოვრების განწყობილება სუფევდა. აქ ხშირად იკრიბებოდნენ იმდროინდელი ქართული ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები და მსჯელობდნენ საზოგადოებრივი ცხოვრების საჭირობოროტო საკითხებზე.

თ. წერეთლის, როგორც მეცნიერის ჩამოყალიბებაში ფასდაუდებელია სახელგანთქმული ადვოკატისა და სწავლული იურისტის ლუარსაბ ანდრონიკაშვილის ღვაწლი. ახლად დაფუძნებულ უნივერსიტეტში ივანე ჯავახიშვილის თაოსნობით

მიწვეულმა ლ. ანდრონიკაშვილმა მრავალმხრივი, ფართო განათლებით, არწყინვალე ნიჭით და მრავალშინაარსიანი ლექციებით, ახალგაზრდობისადმი გულმხურვალე დამოკიდებულებით ერთბაშად დაატყვევა თ. წერეთელი და იმთავითვე აღუძრა უდიდესი ინტერესი სამართლის მეცნიერებისადმი, ასევე ფილოსოფიისადმი, რადგანაც ლ. ანდრონიკაშვილს მიაჩნდა, რომ უამისოდ სამართლებრივი პრობლემების შესწავლა შეუძლებელია.

აქ აქარ შეუდგები თ. წერეთლის მეცნიერული შემოქმედების ანალიზს. ამის შესახებ ბევრი ლაპარაკია.¹ ერთი რამ აუცილებელია: თ. წერეთლის მეცნიერულმა შემოქმედებამ თავდასაჩინო როლი შეასრულა ჩვენი იურიდიული მეცნიერების განვითარებაში. მისი მეცნიერული გამოკვლევები გამოირჩევა სისხლის სამართლის კანონმდებლობის, სასამართლო პრაქტიკის, აგრეთვე სამართლის თეორიისა და სამოქალაქო საწართლის ღრმა ცოდნითა და საფუძვლიანი ანალიზით. იმავედროულად ამ გამოკვლევებს არ ქონდა ცხოვრებისაგან მოწყვეტილი აბსტრაქტული ხასიათი, მასში იყო ასახული სასამართლო და საკანონმდებლო პრაქტიკის მოთხოვნები.

ამრიგად, თ. წერეთლის როგორც მეცნიერული სკოლის ფუძემდებლის როლს, უპირველეს ყოვლისა იმ განსაზღვრავდა, რომ იგი თავად იყო სისხლის სამართლის მეცნიერების ფუნდამენტური პრობლემების სწორუპოვარი მკვლევარი.

თ. წერეთელს ღრმად ჰქონდა გაცნობიერებული საქართველოში ახალგაზრდა სამართალმცოდნეთა აღზრდის აუცილებლობა. იგი მართლაც სანთლით დაეძებდა ნიჭიერ, შემოქმედებითი აზროვნების უნარით აღჭურვილ ახალგაზრდებს, ხოლო ამის შემდეგ ინტენსიურად მუშაობდა მათთან. ამ მიმართულებას იგი თავისი სამეცნიერო მოღვაწეობის მნიშვნელოვან ნაწილად თვლიდა, მზად იყო გვერდზე გადაედო ნებისმიერი საქმე, საკუთარ გამოკვლევებზე მუშაობაც და მეტი

¹ იხ. მაგ. გ. ტყეშელაძე. მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, Правовые исследования ТБ. გვ. 15-27.

ყურადღება გადაეტანა მოწაფის შემოქმედებით საქმიანობაზე. საქმიანობის უპირველეს ეტაპს წარმოადგენდა საკვლევაძიებო თემის შერჩევა. თავად თ. წერეთელი უპირატეს მნიშვნელობას ანიჭებდა სისხლის სამართლის მეცნიერების ყველაზე ზოგად, ძირითად პრობლემებს, რომელსაც ხანგრძლივი ისტორია ქონდათ. ასეთი პოზიცია თავს იჩენდა მოწაფეთა საკვლევაძიებო თემის შერჩევისას. იგი მოწაფეთაგან მოითხოვდა ლიტერატურული, მათ შორის უცხოური წყაროების დეტალურ შესწავლას. ლიტერატურული წყაროების შესწავლის შემდეგ მას აუცილებლად მიაჩნდა სათანადო ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური კატეგორიებისა და ცნებების გათვადვისწინება, სასამართლო პრაქტიკის შესწავლა. ამ პრაქტიკის შესწავლა მნიშვნელოვანი იყო არა მარტო იმიტომ, რომ დაძლეულიყო შემჩნეული სიძნელე და გაუგებრობა, არამედ იმიტომაც, რომ ეს წარმოშობდა სრულიად ახალ საკითხებს, რომლებიც მოითხოვდნენ თეორიულ გაშუქებასა და დასაბუთებას. ამით მთავრდებოდა მოწაფის მიერ შერჩეული პრობლემის კვლევის პირველი ეტაპი.

მხოლოდ ამ პირველი ეტაპის შემდეგ იწყებოდა თავად ნაშრომის წერა. პირველ ეტაპზე წარმოშობილი იდეები ხშირად ქმნიდა პრობლემის გადაწყვეტის პერსპექტივას. ბუნებრივია, ნაშრომის წერისას ბევრი რამ იცვლებოდა, წარმოიშობოდა ახალი მოსაზრებები და იდეები.

თ. წერეთელი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა აზრის, დებულების ლოგიკურად და სტილისტურად კამართულად გადმოცემას.

როგორც პირველი, ისე მეორე ეტაპზე თანამშრომლობა მოწაფესთან გამოიხატებოდა ნაშრომის ცალკეული ნაწილების და მთლიანად ნაშრომის კრიტიკულად წაკითვასა და განხილვაში.

მოწაფის მიერ ნაშრომზე მუშაობის დასასრული მასში განუზომელ სიხარულს იწვევდა. შეიძლება ითქვას, რომ ეს სიხარული უფრო მეტიც იყო, ვიდრე საკუთარ ნაშრომზე მუ-

შაობის დაძმთავერებით გამოწვეული განცდა.

თ. წერეთელს, რომელიც თავად არ იყო გატაცებული ნაშრომთა ოდენობით, მიაჩნდა, რომ მეცნიერის რეპუტაციას განსაზღვრავდა არა ნაშრომთა ოდენობა, არამედ მათი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა. საგანგებოდ მინდა შევნიშნო, რომ თ. წერეთლისათვის მოწაფის ზნეობრივ პრინციპებსა და სახეს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. ამ მიმართულებით იგი უაღრესად მომთხოვნი იყო.

თ. წერეთელი მოწაფეზე ზემოქმედებდა არა ინტელექტუალურ, დიქტატით, არამედ მეცნიერული არგუმენტაციით. მოწაფის დასაბუთებული პასუხი, თუნდაც იგი მისი შეხედულების საწინააღმდეგო ყოფილიყო, მას უდიდეს კმაყოფილებას ანიჭებდა.

თ. წერეთლის და მისი მეუღლის, ცნობილი კრიმინალისტის ვლადიმერ მაყაშვილის ასეთმა თავდაუზოგავმა შრომამ ჯეროვან შედეგი გამოიღო. მისმა მოწაფეებმა - ა. გაბიანმა, ო. გამყრელიძემ, ლ. სურგულაძემ, გ. ტყეშელიაძემ, მ. უგრეხელიძემ, თ. შავგულიძემ და სხვებმა ასე თუ ისე შეძლეს დიდი მასწავლებლის - პროფ. თინათინ წერეთლის ღვაწლი უკვალოდ არ გამქრალიყო და ამასთან ეზრუნათ მისი მეცნიერული დებულებების განვითარებისათვის. თ. წერეთლის სკოლა ასეთად ჰირველად უცხოელმა სწაველულმა იურისტებმა მოიხსენიეს.

XII საუკუნის საქართველოში სიკვდილით დასჯის გაუქმებისა და ღამასახიჩრებელ სასჯელთა ამოკვეთის ზოგიერთ თავისებურებათა გამო

ქართული ფეოდალური წყობილება ძირითადად მსგავსი იყო დასავლეთ ევროპულისა და არა აღმოსავლეთურისა. ამიტომ საქართველოში არ არსებობდა საფუძველი აღმოსავლური დესპოტიზმის წარმოსაქმნელად.

ეფიქრობთ, ბიზანტიაში ვერ დაიწერებოდა „თაქისუფლების დიდი ქარტია,“ ხოლო საქართველოში მეტნაკლებად ანალოგიური ქარტიის შექმნა არ იყო გამორიცხვად. ვიქრობენ კიდევ ისტორიკოსები, რომ თამარის მეფობის დროს ყუთლუ არსლანის დასის გამოსვლა ამ მიმართულებით მიგეითითებს. მეფეს ამიერიდან დიდებულ აზნაურთა ერთნებობისა და თანადგომის გარეშე არ შეეძლო სერიოზული გადაწყვეტილებების მიღება.

სავარაუდოა, რომ საქართველოში ნოყიერი ნიადაგი არსებობდა ეთიკური მონარქიზმის იდეის წარმოსაშობად

დავით აღმაშენებელმა (1089-1125) ჩამოაყალიბა მუდმივმოქმედი სასამართლო, მუდმივი არმია, მოაწესრიგა სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობა. რეფორმატორ მეფეს მრავალი მოწინააღმდეგე ჰყავდა, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე აგრესიულად განწყობილ მეზობელ ქვეყნებში. ამიტომ მას უნდა ჰქონოდა მოწინააღმდეგის განზრახვის აღმოფხვრავი ინფორმაცია. კარგად უნდა სცოდნოდა, თუ რა ხდებოდა როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთაც – მეზობელ სახელმწიფოებში. დავით აღმაშენებელს სხვა არჩევანი არ ჰქონდა: ან უნდა შეექმნა ქმედუნარიანი სახელმწიფო-საინფორმაციო სამსახური, ან ქვეყანა დამოუკიდებლობა დაკარ-

გავდა და საფიქრებელია, ქაოსში აღმონდებოდა. სელჩუკთა სახელმწიფოს ნიჭიერმა მოხელემ ნიზამ აღ მულქმა (1017-1092) მეფეს ურჩია: შეექმნა საიდუმლო სახელმწიფო სამსახური. მალე ქ შაჰმა (1072-1092) თურქ-სელჩუკთა სახელმწიფოში ძლიერი ჯდმითი არმიაც და ძლიერი სადაზვერვო სამსახურიც შექმნა. აევე მოიქცა დავით აღმაშენებელიც. ამ შემთხვევაში მოწინააღმდეგე, მტერი იყო მისი მეგზური. ცხადია, ქართველთა მართლმორწმუნე ქრისტიანი მეფისათვის ადვილი არ იქნებოდა სადაზვერვო სამსახურის მეთოდების მართლზომიერად აღიარება მაგრამ აქ სხვა გამოსავალი არ არსებობდა.

თუ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს დაუუჯერებთ, და არ გვაქვს უფლება არ ვენდოთ მას, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ მეფისათვის ცნობილი ხდებოდა ყოველი განზრახვა სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისა. დავით აღმაშენებელს შეეძლო გაეგო თვით ოჯახში, მეუღლეთა შორის საიდუმლოდ განზრახული ქმედების ამბავიც კი. მეფეს საშუალება ეძლეოდა დაეპატიმრებინა დანაშაულები დანაშაულის მომადებისა და მცდელობის სტადიაზე.

ამ გარემოებამ დავით აღმაშენებელს საშუალება მისცა ერთიეორესთან შეეთვისებინა სიმტკიცე და ჰუმანურობა და მოეხდინა სასჯელთა სისტემის გონივრული ჰუმანიზაცია. ცხადია, სასჯელთა სისტემის ჰუმანიზაცია სრულიადაც არ ნიშნავდა საერთოდ სასჯელების გამოყენებაზე უარის თქმას. უარი ეთქვა მხოლოდ სიკვდილით დასჯას.

დავით აღმაშენებელს არცერთი მისი პილიტიკური მოწინააღმდეგე სიკვდილით არ დაუსჯია. სამეფო, სახელმწიფო თავის ძლიერებას გრძნობდა. არც ერთი დანაშაული რეაგირების კარეშე არ რჩებოდა. სასჯელიც ხომ დანაშაულზე სახელმწიფოსმიერი რეაქციაა. ეს რეაგირება კი შესაძლებელს ხდიდა სასჯელთა სისტემის ჰუმანიზაციისა. ადამიანის სიცოცხლე აღიარებულ იქნა ზღუდელ პოლიტიკური მიზნების მიღწევის გზაზე.

დავით აღმაშენებელმა მიაღწია იმას, რომ ხალხში გამ-

ჯდარი აზრის სიმტკიცე მოიპოვა შეხედულებამ, რომ მეფეს ისეთი ქმედებაუნარიანი საიდუმლო სამსახური გააჩნდა, რომ ვერცერთი დამნაშავე მხილებასა და დასჯას ვერ გადაურჩებოდა.

როგორც ჩანს, მეფის მიზნები ხალხმა გაითავისა და იშვიათად თუ ვინმე გაბედავდა ორგულობასა და ღალატს.

მოუესმინოთ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს

„პირველად ორგულობასა და ზაკუასა და ღალატსა რასამე ვერავინ დიდთა ანუ, მცირეთაგანი იკადრებდა მოგონებადცა, არა თუ თქმად ვისდა, არცა თუ მეუღლესა და ცხეცრეულსა თუისსა თანა, ანუ მოყუასსა თუისსა, გინა ყრმათა თუისთა თანა, ვინათგან ესე მტკიცედ უწყოდა ყოველმან კაცმან, რომელ პირთა აღმოსვლასავე თანა სიტყუისასა საცნაურ ქმნილი არს უეჭველად.“ დავით აღმაშენებლისა და გიორგი მესამის მეფობის წლებში სხეულებრივი სასჯელები გამოიყენებოდა. ცემა, გაროზგვა და სხვა მსგავსი სასჯელები გამოიყენებოდა მონასტრებშიც. ექვთიმე მთაწმინდელი დამნაშავე ბერს თასმით ცემას უსჯიდა. მძიმე დანაშაულისათვის ბერის ცემა ღვედით სამოცჯერ შეიძლებოდა.

გიორგი მესამემ – თამარ მეფის მამამ სასტიკი სასჯელებით შესძლო ქვეყანაში წესრიგის დამყარება. გიორგი მესამის ზეობის წლებში საკუთრების დაცვის მაღალ დონეზე საუბრობს სომეხი ისტორიკოსი ვარდანიც (XIII-ს. დასას.) თავის „მსოფლიო ისტორიაში.“

ლაშა გიორგის დროინდელი მემატრიანე იწონებდა იმ გარემოებას, რომ დავით აღმაშენებელი იყო „ერთგულთა შემწყნარებელი“ და „შეცოდებულთა სამართლიანად მწუროთელი.“

დამნაშავეთა გამოსწორებაზე ზრუნვა შეადგენდა თამარ მეფის პირველ საწადელს.

თამარ მეფის ზეობის წლებში არც ერთი დამნაშავე სიკვდილით არ დაუსჯიათ. აიკრძალა ასოთდამაზიანებელი სასჯელებიც და მხოლოდ ერთი ყაჩაღი – გუზან ტაოელი დაისაჯა დაბრძალებით, მას ორივე თვალი ამოწვეს, მაგრამ არა

თამარ მეფის ნებართვით, არამედ დავით სოსლანის განკარგულებით.

ბასიღი, ეზოს მოძღვარი, თამარ მეფის მეორე ისტორიკოსი აღნიშნავდა:

„დღეა შინა თამარისათა არავენ გამოჩნდა მომძლავრებულნი მეცნიერებთა მისითა, არცავენ დასჯილი, თვინიერ ძუელისა სჯულისა, რომელი ძეს ავაზაკთა ზედა ძელსა ზედ ჩამორჩობა. თვით არცა ვისს ღირსსა სიკუდილისასა და არცა პატიუხისასა მიეხადა თანანადები, არცა ვინ ბრძანებთა მისითა ასომოკუეთილ იქმნა, და არც სიბრძითა დაისაჯა, თვინიერ გუზან, ღირსი სიკუდილისა, რომელი ორგულებით განდგა და კოლას სადმე მათათა შინა ავაზაკობდა მალვით. ესე შეიპყრეს მთიბავთა თივისათა და დავით მეფისა წინაშე მოიყუანეს. ხოლო მან იცოდა დიდი მოწყალება თამარისა, ამისათვის მისსა შეკითხვამდის თუალნი დასწუნა, ნაცვლად მრავალთა სისხლთა ქრისტიანეთა.“

საქართველოში ტრადიცია იყო, რომ მეფის ნებართვის გარეშე არ შეიძლებოდა დამნაშავის სიკვდილით დასჯა. გარდა ამისა, მონარქის სპეციალური განკარგულების გარეშე იკრძალებოდა სხეულებრივი – ასომოკუეთითი სასჯელის გამოყენებაც (ხელის და ფეხის მოკვეთა, დაბრმავება და ა.შ.)

თამარ მეფე ავაზაკსაც ვერ იმეტებდა სასიკვდილოდ ან დასაბრმავებლად და ამიტომაც, გუზან ტაოელის შემთხვევაში, როგორც ჩანს, თამარის მეუღლემ დავით სოსლანმა აიღო თავის თავზე ასეთი მკაცრი სასჯელის შეფარდებისთვის პასუხისმგებლობა.

თამარის მეფობისას მომხდარა დიდი ბოროტება: ლიპარიტ ერისთავის ჩამომავლებმა – კახაბერის შვილებმა ხუთმა ძმამ თამარის ისტორიკოსის ცნობით, სიცოცხლეს გამოასაღმა ანტონ ჭყონდიდელის ორი ძმა.

მიუხედავად იმისა, რომ კახაბერის შვილებმა სიცოცხლეს გამოასაღეს მეფესთან დაახლოებული დიდი თანამდებობის მატარებელი პირის ძმები, თანახმად მაშინდელი ქართული სამართლის ორმებისა, ისინი სიკვდილით მაინც არ დაუსჯიათ.

ბასილი ეზოს მოძღვარი, თამარ მეფის მეორე ისტორიკოსი, ამასთან დაკავშირებით წერდა:

„და თამარ, რამეთუ ჭალასა მდგომან მოუწოდ, ხუთივე და სიბრძნითა თუისითა შეიპყრნა და თუითო ციხესა შესუა, რათამცა განიწუართნეს, არამედ იგინი იგივე იყუნეს, ამისთვის ექსორია ყუნა მაკედონიას საბერძნეთისასა და მუჲ მოსწყედეს ყიფჩაყთა მიერ კარგნი ჭაბუკნი ბრძოლასა შინა, ვითარცა გუესმა-ო.“

სავარაუდოა, რომ ბიზანტიასა და საქართველოს შორის არსებობდა სათანადო ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც ზოგიერთი კატეგორიის დამნაშავეებს საქართველოდან ბიზანტია მაკედონიაში დებულობდა, იქ ასახლებდა და იყენებდა თავისი საზღვრების დასაცავად ყიფჩაღთაგან.

თამარის მეორე ისტორიკოსს ჰქონია ინფორმაცია, რომ კახაბერის შვილები, ხუთი ძმა „კარგნი ჭაბუკნი“ – კარგი მებრძოლენი დაიღუპნენ ყიფჩაღების წინააღმდეგ ბრძოლაში... მართლაც და, სად არ იღვრებოდა ქართული სისხლი.

ჩვენი აზრით, ქართველ მეფეებს კარგად ჰქონდათ შეგნებუილი, რომ ბაღკანეთის დაცვა ყიფჩაღთაგან საქართველოს სახელმწიფოს ინტერესებში შედიოდა.

იქნებ სადმე ბერძნულ წყაროებში იყოს შემორჩენილი ინფორმაცია ამასთან დაკავშირებით?

საინტერესოა, კახაბერის შვილებს ხუთ ძმას, ოავიანთი საქციელი რომ მოენანიებინათ, რა სასჯელს გამოუტანდა მათ ქართული მართლმსაჯულება? ცხადია, ექსორიაზე უფრო მსუბუქს. დამნაშავის მონანიებას დიდ მნიშვნელობა აძლევდა საეკლესიო სამართალი და ამ უკანასკნელის ზეგავლენით ქართული საერო სამართალიც. დამნაშავე, რომელმაც თავისი დანაშაული გულწრფელად მოინანია, საზოგადოებისა და სახელმწიფოსათვის დაკარგულად არ ითვლებოდა.

თამარ მეფის კაცთმოყვარეობისა და მაღალი სახელმწიფოებრივი ნიჭის ამბავს არა მარტო მისი თანამედროვე ისტორიკოსები მოგვითხრობენ.

ლასა გიორგის დროინდელი მემეტნიანე გადმოგვცემს, რომ თამარ ქეფე იყო „ვაზირთა მისთა და ლაშქართა განურისხებელი, ღირსთათუის მშობლიურთა წყალობათა მიმფენელი და ეგზომ, რომელ მასსა სამეფოსა შინა ერთიცა მსახური არ გაპატიუებულა, თუინიერ გუზან ტაოს კარელისაგან კიდუ: მას თუალნი დასწუნეს.“

სხეუბული მემატნიანე იმასაც გვამცნობს, რომ თამარის მეფობის ხანაში ამადლდა ქვეშევრდომთა მორალური დონეც „ქარავანსა ვერვინ ძარცუიდა ამერი და იმერი. ძუელი სამეფო მათი აფხაზეთისა დაწყნარებით ჰქონდა ერთიცა ქათამი არსად ღოიკლვოდა. მპარავი, ავის მოქმედი აღარ იყო. ნაპარევი თუ ვინიქმ პოვის, კარსა ზედა მიიღოს და დროშათა ქუეშე დადვის. ოვსმან, მთიულმან და ყივჩაყმან და სუანმან ვერ იკადრიან პარვა და იყო მდიდრად ესე სამეფო, რომელ აზნაურის ყმანი მათთა პატრონთა სწორად იმოსებოდეს.“

სამ სხვადასხვა ისტორიკოსს თამარ მეფისათვის სასახელო საკმედ მიაჩნდათ სიკვდილით დასჯისა და დამასახინრებელი სასჯელების ამოკვეთა.

საოგადოება, როგორც ჩანს მომზადებული იყო სასჯელთა სისცემის ჰუმანიზაციისათვის.

„მატიანე ქართლისაიში“ XI ს-ის ამბებთან დაკავშირებით იხსენიება „ძელზე გასმა,“ მაგრამ იგი სიკვდილით დასჯას არ ნიშნავს. „შეიპყრეს სულა, კალმახისა ერისთავი, მრავლითა ტანჯვითა და ძელსა გასმითა სთხოვეს კალმახი და არა მისცა. მასკე ომსა შეიპყრეს გრიგოლ, ძე აბუსერისი და სთხოვეს არტანუჯი სიკვდილისა ქადებითა, და მისცა.“ (ქ. ცხ. I, 1955, გვ. 302-304)

სოიქებთა მეფე მოიყვანეს სამშვილდეს და ამართეს ძელი და „გასუეს სომეხთა მეფე კვირიკე სამ დღე; ითხოვეს მშვიდობა და მისცეს სამშვილდე.“

(იქვე. 307) სამშვილდე წაართვა ბაგრატმა სომეხებს, მაგრამ კვირიკე სიკვდილით არ დაუსჯიათ.

და აზნაურტებელი და გამოსარკვევია თუ რას ნიშნავდა

ამ ხანებში „ძელსა გასმა“ ის, რომ სიკვდილით და აჯას არ
ნიშნავდა, ცხადია, მაგრამ სიკვდილით დასჯას მუქარას რომ
უკავშირდებოდა ეს კი ჩანს.

საქართველოში იყენებდნენ სიმბოლურ სასჯელებსაც.
ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, სამეგრელოში ცოდნი-
ათ ადამიანის სიმბოლურად „ცოცხლად დამარხვა.“ თხრიდნენ
ორმოს, სადაც დამნაშავეს ყელამდე ჩამარხავდნენ ცოცხლად
და ლაფს ასხამდნენ. ამის შემდეგ ცოცხლად დაწარხულს
ამოიყვანდნენ და თემიდან მოჰკვეთდნენ.

სავარაუდოა, რომ სიმბოლური სასჯელების გამოყენებამაც
ხელი შეუწყო სასჯელთა სისტემის ჰუმანიზაციას.

25.05.2000

წამქეზებული წამქეზების წინააღმდეგ

თანამონაწილეთა შორის მეტად მნიშვნელოვან ფიგურას წარმოადგენს წამქეზებელი, ე. ი. ის, ვინც სხვა ადამიანი დაიყოლია განზრახი დანაშაულის ჩასადენად. მაგრამ მარტო თანამონაწილეობით არ ამოიწურება წამქეზების მოქმედების არეალი. წამქეზებელი ზოგჯერ პასუხს აგებს დანაშაულის შუალობითი ამსრულებლობისათვის, რომელიც არ წარმოადგენს თანამონაწილეობას. ზოგჯერ კი, წამქეზებელი შეიძლება დანაშაულის უშუალო ამსრულებლის როლშიც მოგვევლინოს. რომელია ეს შემთხვევები და როგორ უნდა მოხდეს წამქეზების ქმედების კვალიფიკაცია ამ დროს? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭიროა განვიხილოთ თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძვლის საკითხი, რომელიც თანამონაწილეობის პრობლემატიკის ერთ-ერთ ძირითად საკითხს წარმოადგენს.

რისთვის ისჯება თანამონაწილე? რას ეფუძნება მისი პასუხისმგებლობა? რომელ სიკეთეს, რომელ ობიექტს ხელყოფს ის, ვისაც დანაშაული უშუალოდ არ ჩაუდენია და მხოლოდ წაქეზებით ან დახმარებით შემოიფარგლა? ამ საკითხზე სისხლის სამართლის თეორიაში ორი ძირითადი მიმართულება არსებობს: 1. ბრალეული თანამონაწილეობის მოძღვრება (Schuldteilnahmelehre) ანუ კორუფციის იდეა, რომელიც გავრცელებულია ძირითადად შვეიცარიაში და 2. მიზეზობრიობის თეორია, რომელიც გავრცელებულია გერმანულ, რუსულ, ქართულ და მსოფლიოს მრავალი ქვეყნის სისხლის სამართალში.

ბრალეული თანამონაწილეობის მოძღვრების თანახმად, თანამონაწილე, კერძოდ, წამქეზებელი ისჯება ამსრულებლის კორუფციისათვის – წამქეზებელი ამსრულებელს შეაცდენს, ბრალეულად აქცევს და სასჯელს დაამსახურებინებს. წამქეზე-

ბელი და ამსრულებელი სხვადასხვა სიკეთეს ხელყოვენ. კერძოდ, წამქეზებელი ხელყოფს ამსრულებლის პიროვნებას, ახდენს მის სულიერ დეგრადაციას, ხოლო ამსრულებელი კი აელყოფს სისხლის სამართლის კანონით დაცულ ამა თუ იმ სიკეთეს (სიცოცხლეს, საკუთრებას და ა. შ.).¹

ბრალეული თანამონაწილეობის მოძღვრების ფესვები შორეულ წარსულში უნდა ვეძებოთ. ჯერ კიდევ Corpus Juris შეიცავდა დებულებებს იმის შესახებ, რომ წამქეზებელი აზიანებს წაქეზებულს, მოაქვს მისთვის ვნება, ვინაიდან შეაცდენს და ბრალეულად აქცევს მას. ეს იდეა რომაული სამართლიდან შუა საუკუნეების სამართალში გადავიდა, სადაც საკმაოდ ფართო გავრცელება ჰპოვა.

კორუფციის იდეის მიმდევრებს შორის აზრთა სხვადასხვაობას იწვევს ის საკითხი, თუ რას ნიშნავს წაქეზებულის შეცდენა, მისი „ბრალეულად ქცევა და სასჯელამდე მიყვანა“ (In Schuld und Strafe führen). ზოგი ავტორი ამ კითხვაზე პასუხის გაცემას თეოლოგიური მორალის მოშველიებით ცდილობს. ბიბლიაზე დაყრდნობით ისინი აღნიშნავენ, რომ შეცდენა ნიშნავს მოყვასს ცოდვა ჩაადენინო და იგი სულიერად მოკლა. დანაშაულის ჩასადენად წაქეზებით წამქეზებელი ხელყოფს წაქეზებულის ანუ შეცდენილის „სულიერ ინტეგრაციას“.

ზოგჯერ შეცდენაში გულისხმობენ ამსრულებლის სულიერ დეგრადაციას, ხასიათის მოშლას, გახრწნას. კორუფციის იდეის ზოგი მიმდევარი კი თვლის, რომ წაქეზების ობიექტია წაქეზებუ-

¹ აღსანიშნავია, რომ საბჭოურ სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში ბრალეული თანამონაწილეობის მოძღვრება მეცნიერ-იურისტთა ყურადღების მიღმა იყო. გამონაკლისს წარმოადგენდა მხოლოდ პროფესორ ო. გამყრელიძის შრომები, რომელიც ლიტერატურულად ამ მოძღვრებით და მოკვცა მისი კრიტიკული ანალიზი. (იხ ო. გამყრელიძე, თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი, იურიდიული ძიებანი, იცნიერული წერილების კრებული, მიძღვნილი თ. წერეთლის 70 წლისთავისადმი, თბილისი, 1977, გვ. 115-126; მისივე, სისხლისსამართლებრივი უმართლობის პრობლემა და თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი, თბილისი, 1989, გვ. 9-19). ჩვენს მიერ ბრალეული თანამონაწილეობის მოძღვრება განხილულია ო. გამყრელიძის ზემოხსენებულ შრომებზე დაყრდნობით.

ლის განწყობა დაემორჩილოს კანონის მოთხოვნებს, იყოს კანონის ერთგული. ორივე ამ თვალსაზრისის წინააღმდეგ სამართლიანად მიუთითებენ, რომ წაქეზებული შეიძლება წაქეზებამდე იყოს გახრწნილი, წაქეზებამდე ჰქონდეს მოშლილი კანონის ერთგულების განწყობა და ა. შ., ე. ი. საქმე გვექონდეს ე. წ. უვარგის ობიექტთან. გარდა ამისა, წაქეზება გულისხმობს პირის დაყოლიებას კონკრეტულად განსაზღვრული დანაშაულის ჩასადენად. აღაძვირებელი გამორწნელი ზემოქმედების მოხდენა, მასში კანონის ერთგულების განწყობის მოშლა შეიძლება ისე, რომ არ გვექონდეს წაქეზება ამ ცნების სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობით. მაგალითად, საპატიმრო ადგილებში დამნაშავეთა ერთი ნაწილი გამხრწნელ ზემოქმედებას ახდენს დანარჩენ პატიმრებსზე.

ბრალეული თანამონაწილეობის მოძღვრების თავგამოდებული დანაცვების სტ. ტრექსელის აზრით, თანამონაწილე, კერძოდ, წამქეზებელი, ხელყოფს ამსრულებლის „სოციალურ ინტეგრაციას“. დანაშაულის ჩასადენად წაქეზებით ხდება წაქეზებულის განცალკევება საყოველთაოდ მოწესრიგებული საზოგადოებისაგან. იგი ამ საზოგადოებას მოწყდება, მისი სტრუქტურულიდან ამოვარდება და მას დაუპირისპირდება. საზოგადოების ჯანსაღი ნაწილის თვალში მისი ღირსება ეცემა. ასე რომ, ხდება წაქეზებულის „სოციალური დეზინტეგრაცია“. „დეზინტეგრაცია“ აქ გაგებულა კონკრეტული აზრით. წამქეზებელი ისჯება იმის გამო, რომ მან ამ კონკრეტულ ვითარებაში წარმოშვა კონფლიქტი პიროვნებასა და საზოგადოებას შორის და ჩაადენინა მას ისეთი მოქმედება, რომელიც კანონით ისჯება. ამით სტ. ტრექსელის თვალსაზრისმა ერთგვარი უპირატესობა მოიპოვა ბრალეული თანამონაწილეობის მოძღვრების ზემოთ განხილულ ნაირსახეობებთან შედარებით. კერძოდ, მითითება იმაზე, რომ პირის „სოციალური დეზინტეგრაცია“ წაქეზების გარეშეც არის შესაძლებელი და შეიძლება იგი მანამდეც იყო ასოციალური პიროვნება, ტრექსელის თვალსაზრისის საფუძველს ვეღარ შეარყევს.

კორუფციის იდეის სხვადასხვა განშტოებათა მოკლე ანალიზიდანაც კარგად ჩანს, რომ იგი მხოლოდ თანამონაწილე-

ობის ერთი სახის—წამქეზებლობის დასჯადობას ასაბუთებს და სრულიად გამოუსადეგარია დამხმარის დასჯადობის დასაბუთებისათვის. დამხმარე არ აღუძრავს ამსრულებელს დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილებას. იგი ამ უკანასკნელისა მისგან დამოუკიდებლად მიიღო. ამიტომ დამხმარე წამქეზებისაგან განსხვავებით არ ახდენს ამსრულებლის სულიერ დეგრადაციას. „წამქეზებელი ქმნის დამნაშავეს, დამხმარე კი ამ კონკრეტულ დანაშაულს“. აქედან გამომდინარე, დამხმარის დასჯადობას დამოუკიდებელი საფუძველი აქვს — მისი პასუხისმგებლობა მიზეზობრიობას ეფუძნება, წამქეზებელი კი პასუხს აკებს ამსრულებლის პიროვნების ხელყოფისათვის. ამას არც კორუფციის იდეის მიმდევრები უარყოფენ. მაშასადამე, ბრალეული თანამონაწილეობის მოძღვრებას არ ძალუძს ერთიან საფუძველზე ააგოს წამქეზებლისა და დამხმარის დასჯადობა, რაც მის სერიოზულ ნაკლად უნდა ჩაითვალოს.

ბრალეული თანამონაწილეობის მოძღვრების ყველა ზემოთ განხილულ ნაირსახეობათა ამოსავალ დებულებას უარმოადგენს ის, რომ წამქეზებლისა და ამსრულებლის დასჯადობა სხვადასხვა საფუძველს ემყარება. კერძოდ, ამსრულებელი პასუხს აკებს კანონით დაცული კონკრეტული სამართლებრივი სიკეთის დაზიანებისათვის, ხოლო წამქეზებელი კი ამსრულებლის პიროვნების ხელყოფის, მისი „სოციალური დეზინტეგრაციის“, მისი შეცდენისა და ბრალეულად ქცევისათვის. განსხვავება ზემოთ განხილულ თვალსაზრისთა შორის მხოლოდ ისაა, თუ როგორ უნდა გავიგოთ წამქეზებლის შეცდენა, მისი „ბრალეულად ქცევა და სასჯელამდე მიყვანა“. ახლა ვნახოთ რამდენად სწორია ამ თეორიის ამოსავალი დებულება.

„ამ მიმართულების დამცველებს თუ დაეუჯერებთ, სოციალური ინტეგრაცია“ ყოფილა დამოუკიდებელი სამართლებრივი სიკეთე. ეს უკვე იმაზე მიგვანიშნებს, რომ წამქეზებლობა თანამონაწილეობა კი არა, ისიც დანაშაულის გამოვლინების ისეთივე დამოუკიდებელი ფორმა ყოფილა, როგორიც ამსრულებლობაა. წამქეზებლობა დამოუკიდებელი შინაარსის უმართლობაა,

რადგანაც; იგი ამსრულებლისაგან განსხვავებულ სამართლებრივ სიკეთეს აზიანებს. აქედან კი ერთადერთი დასკვნა უნდა გაკეთდეს: ბრალეული თანამონაწილეობის მოძღვრება საერთოდ უარყოფს დანაშაულში თანამონაწილეობის ცნებას და შლის ყოველგვარ ზღვარს თანამონაწილეობასა (წამქეზებლობა) და ამსრულებლობას შორის.²

გარდა ამისა, არ შეიძლება დანაშაულის ჩასადენად წაქეზების ყველა შემთხვევა ერთ სიბრტყეზე დავაყენოთ. ავიღოთ ორი ასეთი მაგალითი: 1. წამქეზებელმა მოატყუა ვინმე და ჩაადენინა გაუფრთხილებლობითი მკვლელობა. მაგალითად, მედდა ავადმყოფის მკვლის მიზნით შეაგულიანებს მეორე მედდას, რომ ამ უკანასკნელმა რეცეპტისა და დანიშნულების დაუხედავად ავადმყოფს დააღვინოს „წამალი“ და მიაწვიდის საწამლავს. მეორე მედდა შემოწმების გარეშე, ე. ი. გაუფრთხილებლობით, მისცემს ავადმყოფს საწამლავს. 2. მედდამ ყოველგვარი მოტყუების გარეშე წააქეზა მეორე მედდა და ჩაადენინა განზრახი მკვლელობა. ბრალეული თანამონაწილეობის მოძღვრების თანახმად, ორივე მაგალითში წამქეზებელმა პასუხი უნდა აგოს დანაშაულში თანამონაწილეობისათვის. უფრო მეტიც, პირველ შემთხვევაში (როცა მოტყუებით გაუფრთხილებლობითი დანაშაული ჩაადენინეს ამსრულებელს), წამქეზებელი უფრო მსუბუქად უნდა დაისაჯოს, ვიდრე მეორე შემთხვევაში, ვინაიდან ამსრულებლის „სოციალური დეზინტეგრაციის“ ხარისხი გაცილებით მეტია მაშინ, როცა მან უფრო მძიმე დანაშაული ჩაიდინა და პირიქით.

საკითხის ასეთი გადაწყვეტა არ შეიძლება სწორად ჩაითვალოს. წაქეზების ჩვეულებრივ, ნორმალურ შემთხვევაში, როცა ამსრულებელმა იცის, თუ საით წარმართავს მის მოქმედებას წამქეზებელი, როცა მასა და წამქეზებელს შორის სრული თანხმობაა და მათი საქმიანობა შეგნებულად მიმართულია ერთი და იმავე დანაშაულებრივი შედეგისაკენ, ძნელია ვილაპარაკოთ ამსრულებლის ცდუნებასა და მისი პიროვნების ხელყოფაზე. „იქ, სადაც არ არის მოტყუების ელემენტი, სადაც წამქეზებელი არ

² ო. კამერულოძე, სისხლისსამართლებრივი უმართლობის პრობლემა... ვვ. 13-14.

იყენებს ამსრულებლის შეცდომას, ვერ ვიტყვით, რომ წამქეზებლის მოქმედება ამსრულებლის პიროვნების წინააღმდეგ არის მიმართული. ამიტომაც ასეთ შემთხვევაში წინა პლანზე დგება წამქეზებლობის კაუზალური მნიშვნელობა“.³

ასე რომ, ბრალეული თანამონაწილეობის მოძღვრება ვერ ხსნის სწორად წამქეზებლობის ბუნებას. ამიტომ იგი არ გამოდგება თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძვლის დასაბუთებისათვის.

მრავალი ქვეყნის სისხლის სამართალში გავრცელებული თვალსაზრისის თანახმად, თანამონაწილეთა პასუხისმგებლობა ობიექტური მხრივ მიზეზობრიობის მომენტს ეფუძნება.⁴ ყოველი თანამონაწილის, მათ შორის წამქეზებლის მოქმედება მიზეზობრივ კავშირში უნდა იყოს დანაშაულებრივ შედეგთან. ეს დებულება მართალია პირდაპირ არ არის აღნიშნული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში, მაგრამ კოდექსის შესაბამისი მუხლების ანალიზის საფუძველზე ადვილად დავინახავთ, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა თანამონაწილეთა დასჯადობის აუცილებელ წინაპირობად მიზეზობრივ კავშირს მიიჩნევს. სისხლის სამართლის კოდექსის 23-ე მუხლის თანახმად, დანაშაულში თანამონაწილეობა ნიშნავს „ორი ან მეტი პირის განზრახ ერთობლივ მონაწილეობას კანონრღობის დანაშაულის ჩადენაში“. „დანაშაულის ჩადენაში მონაწილეობა“ თავისთავად გულისხმობს მიზეზობრივ კავშირს ქმედებასა და დანაშაულებრივ შედეგს შორის.

მიზეზობრივი კავშირის მნიშვნელობა თანამონაწილეთა პასუხისმგებლობისათვის კარგად ჩანს დამხმარის ქმედების კვალიფიკაციის მაგალითზე. ცნობილია, რომ საბჭოური კანონ-

³ ო. გამყრელიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 14.

⁴ თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძვლის შესახებ განსხვავებული პოზიცია უკავია პროფ. ო. გამყრელიძეს, რომელიც აღიარებს მიზეზობრივი კავშირის მნიშვნელობას თანამონაწილეთა პასუხისმგებლობისათვის, მაგრამ აღნიშნავს, რომ მიზეზობრივი კავშირი თანამონაწილეობის დასჯადობის წინამძღვარია. დასჯადობის საფუძველი კი არის თანამონაწილეთა მიერ ერთიანი უმართლობის ჩადენა (იხ. ო. გამყრელიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 180).

მდებლობა. 1958 წლამდე არ ასხეავებდა ერთმანეთისაგან წინასწარ შეპირებულ და წინასწარ შეუპირებელ დაფარვას და ორივე სახის დაფარვას თანამონაწილეობად, კერძოდ, დახმარებად მიიჩნეოდა.⁵ გამონაკლისს წარმოადგენდა საქართველოს სსრ 1928 წლის სისხლის სამართლის კოდექსი, რომელიც დანაშაულის წინასწარ შეპირებულ დაფარვას თანამონაწილეობად თვლიდა, რადგან ასეთი დაფარვა მიზეზობრივ კავშირშია ამსრულებლის მოქმედებით გამოწვეულ დანაშაულებრივ შედეგთან.⁶ რაც შეეხება წინასწარ შეუპირებელ დაფარვას, რომელიც არ არის მიზეზობრივ კავშირში დანაშაულებრივ შედეგთან, იგი განიხილებოდა არა დანაშაულში თანამონაწილეობად, არამედ შემხეობლობად და პასუხისმგებლობას იწვევდა მხოლოდ კოდექსის კერძო ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში.⁷

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს 1999 წლის სისხლის სამართლის კოდექსი, მისი წინამორბედისაგან განსხვავებით, დამხმარის ცნების განსაზღვრებისას პირდაპირ არ მიუთითებს წინასწარ შეპირებულ და წინასწარ შეუპირებელ

⁵ მაგალითად, რსფსრ 1926 წლის სისხლის სამართლის კოდექსის მე-17 მუხლის თანახმად, დამხმარედ ითვლებოდა ის, „ვინც ხელს უწყობს დანაშაულის ჩადენას რჩევით, მითითებით, საშუალების მიწოდებით და დაბრკოლების აცილებით ან დამნაშაულისა და დანაშაულის კვალის დაფარვას“. ამგვარად, კანონი დამხმარის ორ კატეგორიას განასხვავებდა: პირველს მიეკუთვნებოდნენ ის პირები, რომლებიც ხელს უწყობდნენ დანაშაულის ჩადენას და მასასადამე, რომელთა მოქმედება მიზეზობრივ კავშირში იყო დანაშაულებრივ შედეგთან, ხოლო მეორე კატეგორიას — ის პირები, რომლებიც ხელს უწყობდნენ დამნაშაულის ან დანაშაულის კვალის დაფარვას, მოუხედავად იმისა, ეს დაფარვა წინასწარ შეპირებული იყო თუ წინასწარ შეუპირებელი.

⁶ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიზეზობრივ კავშირში შედეგთან არის არა თვით დაფარვის ფაქტი, არამედ დაფარვის დაპირება. „თავისი დაპირებით, რომ დაჰფარავს ჩადენილ დანაშაულს, პირი განამტკიცებს ამსრულებლის განზრახვას... სუსტდება ის მოტივები, რომლებიც ხელს უშლიდნენ დამნაშაულის ჩადენას დანაშაული... დაფარვის დაპირება დანაშაულის ჩადენის ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენს. დაპირება რომ არ ყოფილიყო, დანაშაული ჩადენილი არ იქნებოდა“ (იხ. თ. წერეთელი, თანამონაწილეობა დანაშაულში, თბილისი, 1965, გვ. 29-30).

⁷ ამ სკოტის საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის ანალოგიურად წვევტად უზბეკეთისა და უკრაინის 1926 და 1927 წლების სისხლის სამართლის კოდექსები.

დაფარვათა შორის განსხვავებაზე. კოდექსის 24-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად: „დამხმარეა ის, ვინც ხელი შეუწყო დანაშაულის ჩადენას“. „ხელის შეწობა დანაშაულის ჩადენაში“ გულისხმობს მიზეზობრივი კავშირის არსებობას მოქმედებასა და დანაშაულებრივ შედეგს შორის. დაფარვამ კი მხოლოდ მაშინ შეიძლება შეუწიოს ხელი დანაშაულის ჩადენას, როდესაც იგი წინასწარ იყო შეპირებული. გარდა ამისა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 375-ე მუხლი „განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის წინასწარ შეუპირებლად დაფარვას“ დამოუკიდებელი დანაშაულის სახით ითვალისწინებს. ჩამასადაძმე, კოდექსი წინასწარ შეუპირებულ დაფარვას თანამონაწილეობად არ თვლის, რადგან ასეთი დაფარვა არ არის მიზეზობრივ კავშირში დანაშაულებრივ შედეგთან. კანონმდებელმა უბრალოდ საჭიროდ არ ჩათვალა დამხმარის ცნების განსაზღვრებისას ამ საკითხზე სპეციალურად შეჩერება.

ყოველივე ზემოთქმული, რომელიც შეეხება მიზეზობრივი კავშირის მნიშვნელობას დამხმარის პასუხისმგებლობისათვის, პრინციპული ხასიათის არის და ეხება არა მხოლოდ დამხმარეს, არამედ თანამონაწილეთა ყველა სახეს. მათ შორის, ცხადია, წამქეზებელსაც. თუ ჩვენ უარყოფით მიზეზობრივი კავშირის არსებობას წამქეზებლის მოქმედებასა და დანაშაულებრივ შედეგს შორის და ვაღიარებთ ბრალეული თანამონაწილეობის მოძღვრებას (რომლის მიხედვით წამქეზებელი პასუხს აგებს ამსრულებლის პიროვნების ხელყოფისათვის), „მაშინ წამქეზებლობის ყველა შემთხვევა ერთნაირ კლასიფიკაციაში უნდა მოვაქციოთ, მაშინ წამქეზება დანაშაულის ჩასადენად ყოველთვის თანამონაწილეობად უნდა დაკვალიფიციროდეს“.⁸ მაგრამ, როგორც ქვემოთ იქნება ნაჩვენები, წამქეზებლის მოქმედები, არეალი მარტო თანამონაწილეობით არ შემოიფარგლება.

საქართველოს ახალი სისხლის სამართლის კოდექსის მე-8 მუხლში მოცემულია მიზეზობრივი კავშირი, როგორც პასუხისმგებლობის აუცილებელი ობიექტური წინამძღვარი. უფრო

⁸ ო. გამყრელიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 35.

მეტიც, კოდექსი მიუთითებს აგრეთვე, მიზეზობრიობის რომელი კონცეფცია უნდა იქნეს გამოყენებული სასამართლო პრაქტიკაში.⁹ სისხლის სამართლის კოდექსის მე-8 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად „მიზეზობრივი კავშირი არსებობს მაშინ, როდესაც ქმედება წარმოადგენდა ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო შედეგის ან კონკრეტული საფრთხის აუცილებელ პირობას, ურომლისოდაც ამჯერად ეს შედეგი არ განხორციელდებოდა ან ასეთი საფრთხე არ შეიქმნებოდა“. ამრიგად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსმა განამტკიცა პროფ. თ. წერეთლის მიერ შემუშავებული მიზეზობრიობის თეორია. სწორედ ამ თეორიის ძირითადი დებულებაა: „სახელი კანონის ზემოთ მოტანილ მუხლში“.¹⁰

⁹ მართალია, საბჭოთა სისხლის სამართლის თეორიაში უდავოდ იყო აღიარებული მიზეზობრივი კავშირის მნიშვნელობა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის, მაგრამ სისხლის სამართლის კანონმდებლობით ეს საკითხი არ რეგულირდებოდა. ეს იყო მიზეზი მრავალწლიანი დავისა მიზეზობრიობის სხვადასხვა თეორიების მშდევარ შეცნობიერებისტა შორის. არაერთგვაროვანი იყო სასამართლო პრაქტიკაც. (იხ. მიზეზობრივი კავშირის საკითხის საკანონმდებლო წესით დარეგულირება საქართველოს ახალი სისხლის სამართლის კანონმდებლობის უდავო ღირსებად უნდა ჩაითვალოს).

¹⁰ აღსანიშნავია, რომ საბჭოურ იურიდიულ ლიტერატურასა და სასამართლო პრაქტიკაში, კავრცელებული იყო აუცილებელი მიზეზობრივი კავშირის თეორია, რომლის ავტორსაც ცნობილი რუსი კრიმინალისტი ა. პიონტკოვსკი. ეს თეორია ცდილობს შეზღუდოს მიზეზობრივი კავშირი, როგორც პასუხისმგებლობის ობიექტური წინამძღვარი. ამ მიზნით ა. პიონტკოვსკი გვთავაზობს, რომ სისხლის სამართალში მხედველობაში იქნას მიღებული მხოლოდ „აუცილებელი მიზეზობრივი კავშირი“ და არა „შემთხვევითი მიზეზობრივი კავშირი“. იმის დამტკიცების შემდეგ, რომ აღამიანის მოქმედება შედეგის დადგომის ერთ-ერთი აუცილებელი პირობა იყო, უნდა გადაწყვედეს საკითხი იმი შესახებ, შემთხვევითი იყო თუ აუცილებელი ეს შედეგი მოქმედების მიმართ. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, ა. პიონტკოვსკის აზრით, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დაუკავშირდეს აღამიანის მოქმედების შემთხვევით შედეგს. „დაამდგარი შედეგისათვის პასუხისმგებლობის საკითხი, — წერდა ა. პიონტკოვსკი, — შეიძლება. დაისვას და დადებითად გადაწყვედეს მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს შედეგი აღამიანის მიერ ჩადენილი მოქმედების აუცილებელი კანონზომიერი შედეგი იყო, როცა მას საფუძველი ამ მოქმედებაში ჰქონდა“. (იხ. Курс советского уголовного права, Т. 2, М., 1970, с. 181.).

პროფ. თ. წერეთელი არ ეთანხმება მიზეზობრივი კავშირის საკითხის ამგვარ გადაწყვეტას სისხლის სამართალში. მას მიუღებლად მიაჩნია აუცილებლობისა და შემ-

ყოველივე ზემოთქმული, ცხადია, ეხება ასევე წამქეზებლის მიზეზობრიობას. წამქეზებლის მოქმედება მიზეზობრივ კავშირშია დანაშაულებრივ შედეგთან, რადგან მის გარეშე შედეგი არ დადგებოდა. წამქეზება რომ არ ყოფილიყო, ამსრულებელი დანაშაულს არ ჩაიდენდა. სწორედ წამქეზებელია ის, ვინც ამსრულებელს დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილება აქვსძრა. ეს რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ წამქეზებლისა და ამსრულებლის მოქმედებანი, რომლებიც შედეგის დადგომის აუცილებელ პირობებს წარმოადგენენ, კაუზალურად ტოლფასოვანი არიან. აუცილებელ პირობათა არატოლფასოვნების თინათინ წერეთლისეული დებულების მართებულობა ყველაზე ნათლად სწორედ თანამონაწილეთა მაგალითზე ჩანს. „ყოველი თანამონაწილის როლი დანაშაულის ჩადენაში თავისებურია და მიზეზობრივად სხვების როლისაგან განსხვავდება. შეუძლებელია წარმოკიდგინოთ ამ მხრივ ორი ობიექტურად აბსოლუტურად თანასწორფასოვანი მოქმედება.“¹¹ მიზეზობრივი კავშირის ჯაჭვში, რომელმაც დანაშაულებრივი შედეგის დადგომა გამოიწვია, ძირითად რგოლს წარმოადგენს ამსრულებლის მოქმედება. მას გადამწყვეტი, არსებითი მნიშვნელობა აქვს შედეგის განხორციელებისათვის. დანარჩენ თანამონაწილეთა როლი კი სხვადასხვაგვარია.

თანამონაწილეთა (წამქეზებლის) მიზეზობრიობას კრთვარი თავისებურება ახასიათებს. ეს თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ წამქეზებლის მოქმედება უშუალოდ არ იწვევს დანაშაულებრივ შედეგს. ის გაშუალებულია ამსრულებლის მოქმედებით. წამქეზებელი დანაშაულის მონაწილე ხდება არა იმით, რომ მონაწილეობა მიიღო დანაშაულის უშუალო განხორციელებაში, არამედ იმით, რომ დაიყოლია სხვა პირი დანაშაულის ჩასადენად

თხვევითობის ურთიერთდაპირისპირებულობა და შედეგის ან მხოლოდ აუცილებლობად, ან მხოლოდ შემთხვევითობად გამოცხადება. თ. წერეთელი თვლის, რამ დანაშაულებრივი შედეგი ერთდროულად აუცილებლობის გამოვლინებაც არის და შემთხვევითობისაც. ამიტომ მიზეზობრივი კავშირი ადამიანის მოქმედებასა და დანაშაულებრივ შედეგს შორის არსებობს ყოველთვის, როცა ეს მოქმედება იყო შედეგია ერთ-ერთი აუცილებელი პირობა.

¹¹ თ. წერეთელი, თანამონაწილეობა დანაშაულში, გვ. 111.

და ამ პირის მეშვეობით განახორციელა თავისი ჩანაფიქრი. წამქეზებლის მიზეზობრიობის მეორე თავისებურებას ის წარმოადგენს, რომ ამსრულებლისაგან განსხვავებით, რომელიც ფიზიკურად ასრულებს დანაშაულს, წამქეზებელი დანაშაულის ფსიქიკური მიზეზია. „წამქეზებლის მოქმედების მიზეზობრიობა ფსიქიკურად გაშუალებული მიზეზობრიობაა. წამქეზებლის ზემოქმედებამ ამსრულებელს ცნობიერებაში უნდა გაიაროს და მისი მოქმედების მოტივი გახდეს იმისათვის, რომ შედეგის ერთ-ერთ აუცილებელ პირობად გადაიქცეს“.¹²

მიზეზობრივი კავშირის დასაბუთება ფსიქიკურ სფეროში გარკვეულ სირთულეებთანაა დაკავშირებული. ამით არის განპირობებული ის გარემოება, რომ ზოგიერთი ავტორი კატეგორიულად უარყოფს ფსიქიკური მიზეზობრიობის არსებობას და მიზეზს მხოლოდ წმინდა მატერიალური, ფიზიკური სამყაროს კუთვნილებად მიიჩნევს.¹³ თუ ამ თვალსაზრისს გავიზიარებთ, შეუძლებელია დავასაბუთოთ არა მხოლოდ წამქეზებლის, არამედ ორგანიზატორისა და ფსიქიკური დამხმარის მოქმედებათა კაუზალური მნიშვნელობა, რადგან ამ თანამონაწილეთა მოქმედებები სწორედ ფსიქიკური ხასიათისაა. სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში დამაჯერებლად არის დასაბუთებული, რომ ფსიქიკური „სრულიად არ არის ისეთი პასიური მოვლენა, რომელსაც არ შეეძლოს წარმოქმნას მეორე მოვლენა, არ შეეძლოს მოახდინოს ზემოქმედება გარე სამყაროზე“.¹⁴ „ფსიქიკური მოვლენა სოციალური ცხოვრების ფაქტია, რომელიც არ შეიძლება მიზეზ-შედეგობრივ კანონზომიერებას არ ემორჩილებოდეს“.¹⁵ წინააღმდეგ შემთხვევაში „უნდა ვცნოთ სოციალურ სფეროში სრული თვითნებობა და ადამიანის ნების სრული თავისუფლება“.¹⁶

ამრიგად, წამქეზებლის მოქმედება მიზეზობრივ კავშირ-

¹² თ. შერეთელი, დასახ. ნაშრ., გვ. 153-154.

¹³ ო. აკურაძე, თავისუფლება და აუცილებლობა, თბ., 1964, გვ.141-145.

¹⁴ ო. კამყრელიძე, სისხლისსამართლებრივი უმართლობის პრობლემა..., გვ.29.

¹⁵ იქვე, გვ.28

¹⁶ იქვე, გვ.29.

შია დანაშაულებრივ შედეგთან. წამქეზებელი ხელყოფს იმავე სიკეთეს, რასაც ხელყოფს ამსრულებელი. ამ ფუნდამენტური დებულების აღიარებით, რომელიც გაბატონებულია მოფლიოს მრავალი ქვეყნის სისხლის სამართლის მეცნიერებასა და კანონმდებლობაში, თანამედროვე სისხლის სამართალი (კვეთრად გაემიჯნა ბრალეული თანამონაწილეობის მოძღვრებას, რომლის მიხედვითაც წამქეზებელი და ამსრულებელი სხვადასხვა სიკეთეს ხელყოფენ. კერძოდ, წამქეზებელი ხელყოფს ამსრულებლის პიროვნებას, ხოლო ამსრულებელი კი სისხლის სამართლის კანონით დაცულ კონკრეტულ სიკეთეს – სიცოცხლეს, აკუთრებას და ა. შ.

მიუხედავად იმისა, რომ ბრალეული თანამონაწილეობის მოძღვრების ამოსავალი დებულება ჩვენთვის პრინციპულად მიუღებელია, არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ ამ მოძღვრებაშიც არის რაციონალური მარცვალი. წამქეზებლის მოქმედება ზოგჯერ მართლაც შეიძლება მიმართული იყოს ამსრულებლის წინააღმდეგ და ხელყოფდეს ამსრულებლის პიროვნებას. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ასეთ შემთხვევებში წამქეზებლობა სცილდება თანამონაწილეობის ფარგლებს და დამოუკიდებელ შინაარსს იძენს. იმ სიკეთეს, რომელსაც წამქეზებელი აზიანებს, სრულიად გამოკვეთილი სახე აქვს, წამქეზებულის პიროვნება დამოუკიდებელ სამართლებრივ სიკეთეს წარმოადგენს. ამიტომ წამქეზებლობა თანამონაწილეობის სახე კი აღარ არის, დანაშაულის გამოვლინების ისეთივე დამოუკიდებელი ფორმაა, როგორიც ამსრულებლობაა. წამქეზებელი ამსრულებლისაგან განსხვავებულ სამართლებრივ სიკეთეს აზიანებს. ამიტომაც აღნიშნავს პროფ. ო. გამყრელიძე, რომ „კანონმდებელმა, რომელიც თანამონაწილეობის დასჯადობას მიზეზობრიობაზე აფუძნებს, კოდექსის კერძო ნაწილში დამოუკიდებელი დანაშაულს სახით უნდა გაითვალისწინოს წამქეზებლის მოქმედება, რომელიც... ამსრულებლის პიროვნებას ხელყოფს, ამსრულებლის პიროვნების წინააღმდეგ არის მიმართული.“¹⁷

¹⁷ ო. გამყრელიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 35.

ზემორე მსჯელობის შესანიშნავი ნიმუშია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 145-ე მუხლი, რომლითაც ისჯება „დანაშაუდის პროვოკაცია, ე. ი. სხვისი დაყოლიება დანაშაულის ჩასადენად მისი სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის ღიზნით“. რა თქმა უნდა, „დაყოლიება“ გულისხმობს დანაშაულის ჩასადენად წაქეზებას. ის, ვინც დაიყოლია სხვა დანაშაულის ჩასადენად იმ განზრახვით, რომ შემდეგ იგი ამხილოს და მართლმსაჯულების ორგანოებს გადასცეს, სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში ცნობილია აგენტი-პროვოკატორის სახელწოდებით.

აგენტი-პროვოკატორის საქმიანობა მიუღებელია სამართლებრივი სახელმწიფოსათვის. ჩვენ ცხადია, არ ვგულისხმობთ ისეთ შემთხვევებს, როცა პოლიცია სპეციალურ აგენტურას შეაგზავნის დანაშაულებრივ ჯგუფში და მისი დახმარებით შეეცდება დანაშაულის გახსნას. 145-ე მუხლში ლაპარაკია დანაშაულის ჩასადენად ვინმეს წაქეზებაზე მისი მხილებისა და პასუხისგებაში მიცემის მიზნით. ასეთი სახის პროვოკაციას კი ზოგჯერ ნიმართავენ სამართალდამცავი ორგანოები, რომლებიც ხელმძღვანელობენ არასწორად გაგებული საზოგადოებრივი ინტერესებით და სამსახურებრივი მოვალეობით. გამორიცხული არ არის ისეთი შემთხვევაც, რომ წაქეზებას პროვოკაციის მიზნით ადგილი ჰქონდეს წმინდა პირადი მოტივით. მაგალითად, წაქეზებულისადმი ანგარიშსწორების ან შურისძიების ნიადაგზე როგორც არ უნდა იყოს მოტივი, რითაც ხელმძღვანელობდა აგენტი-პროვოკატორი, მისი ქმედება დასასჯელია სისხლის სამართლის წესით. დანაშაულთან ბრძოლა და დამნაშავის მხილება კანონიერი საშუალებებით უნდა წარმოებდეს. დაუშვებელია დამნაშავეთა მხილება ისეთი საშუალებებით, რომლებიც თავად განაპირობებენ დანაშაულის ჩადენას ცალკეულ, თუნდაც ეჭვიმტანილ პირთა მიერ.

საბჭოურ სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში გაბატონებული იყო თვალსაზრისი, რომ აგენტი-პროვოკატორი უნდა დაისაჯოს იმ დანაშაულში თანამონაწილეობისათვის, რომლის

ჩასადენად სხვას აქეზებდა. ხოლო თუ იგი სამართაქღმამცავი ორგანოს წარმომადგენელი იყო, მაშინ გარდა თანამონაწილეობისა, პასუხს აგებდა ხელისუფლების ან სამსახურერივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისათვის (საქართველოს სსრ 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 186-ე მუხლი). ასეთივე აზრია გატარებული პროფ. თ. წერეთლის მონოკრაფიაში „თანამონაწილეობა დანაშაულში“ (გვ. 167).

აგენტი-პროვოკატორის ქმედების დანაშაულში თანამონაწილეობად მიჩნევას ვერ დავეთანხმებით. თანამონაწილეობა განზრახვა მიმართულია დანაშაულებრივი შედეგის განხორციელებაზე, რასაც ვერ ვიტყვით აგენტ-პროვოკატორზე. მას არა აქვს განზრახვა ბოლომდე მიიყვანოს დანაშაული. იგი დაინტერესებულია მხოლოდ იმით, რომ ამსრულებელმა მცდელობის სტადიას მიაღწიოს, რაც შესაძლებლობას მისცემს ამხილოს ეამნაშავე და გადასცეს დასასჯელად შესაბამის ორგანოებს. გარდა ამისა, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, შეუძლებელია წაქეზების ყველა შემთხვევის ერთ სიბრტყეზე მოთავსება. წაქეზებას პროვოკაციის მიზნით ვერ გავუთანაბრებთ წაქეზების ჩვეულებრივ შემთხვევებს, როცა წამქეზებელი და ამსრულებელი ერთმანეთთან შეთანხმებით მოქმედებენ და ნათლად აქეთ წარმოდგენილი ის დანაშაული, რომელსაც ერთობლივად სჩადიან.

პროვოკაციის მიზნით წაქეზებისას მართლაც 'შეიძლება ლაპარაკი წამქეზებლის მიერ ამსრულებლის შეცდენაზე, მის კორუფციაზე, ბრალეულად ქცევასა და სასჯელამდე მიყვანაზე („in Schuld und strafe führen“), როგორც ამას კორუფციის იდეის მომხრეები ქადაგებენ. ამსრულებელმა არ იცის, რომ მას ხაფანგს უგებენ, აქეზებენ იმისათვის, რათა დანაშაულის ჩადენის მომენტში შეიპყრონ და დასაჯონ. მან რომ აგენტ-პროვოკატორის ნამდვილი მიზანი იცოდეს, ცხადია, მის მიერ ღაგებულ ხაფანგში არ გაებმება, მაგრამ იგი ცდება და ცდება სწორედ წამქეზებლის „წყალობით“. ამიტომ თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ პროვოკატორის მოქმედება მიმართულია ამსრულებლის წინააღმდეგ. ამიტომაც კანონმდებელმა დანაშაულის პროვოკაცია

დამოუკიდებელი დანაშაულის სახით გაითვალისწინა. სისხლის სამართლის კოდექსის 145-ე მუხლი მოთავსებულია პიროვნების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავში.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სსრ 1928 წლის სისხლის სამართლის კოდექსი იცნობდა დანაშაულის პროვოკაციის ერთ შემთხვევას – ქრთამის პროვოკაციას (125-ე მუხლი). 1960 წლის კოდექსმა აღარ გაითვალისწინა ასეთი დანაშაულის შემადგენლობა, თუმცა როგორც ზემოთ ვთქვით, სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში გაბატონებული თვალსაზრისის თანახმად, ასეთ შემთხვევებში პირი უნდა დაესაჯათ როგორც თანამონაწილე – ქრთამის აღების ან ქრთამის მიცემის წამქეზებელი. საქართველოს ახალი სისხლის სამართლის კოდექსის პროექტით ასევე გათვალისწინებული იყო „ქრთამის ან კომერციული მოსყიდვის პროვოკაცია, ესე იგი, მოხელისათვის ან სამეწარმეო საზოგადოების ან სხვა ორგანიზაციაში მმართველობითი ფუნქციის შემსრულებელი პირისათვის მისი ნების გარეშე ფულის, ფასიანი ქაღალდის, სხვა ქონების შეძღვევის, აგრეთვე ქონებრივი ხასიათის მომსახურების გაწევის მცდელობა დანაშაულის ჩადენის ხელოვნური მტკიცებულების შექმნის ან შანტაჟის მიზნით“ (369-ე მუხლი). საეხებით მართებულად უნდა ჩაითვალოს სისხლის სამართლის კოდექსის პოზიცია, რომელმაც გააფართოვა დანაშაულის შემადგენლობის ფარგლები და დასჯადად აღიარა არა მხოლოდ ქრთამის, არამედ საერთოდ დანაშაულის პროვოკაცია. სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში მოტანილია ასეთი მაგალითი სასამართლო პრაქტიკიდან: თბილისის რკინიგზის სადგურის პოლიციის თანამშრომლებმა მოსაცდელ დარბაზში ერთ-ერთ ჰგზავრს დაუდგეს წინ ჩემოდანი და თხოვეს თავი მოემძინარებინა. ამ გზით დაიჭირეს ქურდი¹⁸ (ქურდობის პროვოკაცია). ამ მაგალითში პოლიციის თანამშრომლები პასუხს

¹⁸ ო. კამერულიძე, მოტყუების გზით სხვისი დაყოლიება დანაშაულის ჩასადენად. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის 40 წლისაღმდეგ მიძღვნილი კონფერენციის მასალები, თბილისი, 1997, გვ.159. (სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის ბიბლიოთეკა. ხელნაწერის უფლებით).

აგებენ დანაშაულის პროვოკაციისათვის, „პროვოკაციის მსხვერპლი“ კი—ქურდობის მცდელობისათვის.

სხვა მაგალითების მოხმობაც შეიძლება სისხლის სამართლის კანონმდებლობიდან, როცა წამქეზებელი ხელყოფს ამსრულებლის პიროვნებას, რის გამოც წაქეზება დანაშაულის ჩასადენად დამოუკიდებელი დანაშაულის სახით გვევლინება და წამქეზებელი პასუხს აგებს არა თანამონაწილეობისათვის, არამედ დანაშაულის ამსრულებლობისათვის.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 272-ე მუხლით იხჯება „ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, ფიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის მოხმარებაზე დაყოლიება“. ხოლო ამავე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებულია „იგივე ქმედება, ჩადენილი ... არასრულწლოვნის მიმართ“.

ნარკოტიკულ საშუალებათა მოხმარება სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლით დანაშაულად არის აღიარებული. ამიტომ ნარკოტიკულ საშუალებათა ხმარებაზე სხვისი დაყოლიება თავისთავად არის თანამონაწილეობა 273-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულში. მაგრამ ვინაიდან ეს მოქმედება ხელყოფს წაქეზებულის პიროვნებას, საფრთხეს უქმნის მის ჯანმრთელობას, ხოლო თუ წაქეზებული არასრულწლოვანია — მის ნორმალურ ფიზიკურ და ზნეობრივ განვითარებას, კანონმდებელმა ნარკოტიკულ საშუალებათა მოხმარებაზე დაყოლიება დამოუკიდებელი დანაშაულის სახით გაითვალისწინა. ამიტომ წამქეზებელი პასუხს აგებს არა თანამონაწილეობის, არამედ დანაშაულის უშუალო ამსრულებლობისათვის.

შემდეგი მაგალითი: საქართველოს 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლით იხჯებოდა არასრულწლოვანის ჩაბმა დანაშაულებრივ საქმიანობაში. დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩაბმა ტიპიურად წაქეზების ფორმით ხდება. პირი, რომელმაც წააქეზა არასრულწლოვანი დანაშაულის ჩასადენად, პასუხს აგებს თანამონაწილეობისათვის არასრულწლოვანის მიერ ჩადენილ დანაშაულში. მაგრამ მარტო თანამონაწილეობით არ ამოიწურება მის მიერ ჩადენილი ქმედების შინაარსი.

როგორც აღვნიშნეთ, თანამონაწილის მოქმედება მიზეზობრივ კავშირშია ამსრულებლის მიერ გამოწვეულ შედეგთან. წამქეზებელი ხელყოფს იმავე სიკეთეს, რასაც ხელყოფს ამსრულებელი. ცოცა სხვაგვარად არის საქმე მაშინ, როცა დანაშაულის ჩასადენად აქეზებენ არასრულწლოვანს. ამ შემთხვევაში წამქეზებლის მოქმედება, გარდა იმისა, რომ მიზეზობრივ კავშირშია ამსრულებლის მიერ გამოწვეულ შედეგთან, თვით ამსრულებლის – არასრულწლოვანის პიროვნებასაც აზიანებს. მაგალითად, თუ პირმა წააქეზა არასრულწლოვანი ქურდობის ჩასადენად, იგი ხელყოფს ორგვარ სიკეთეს – 1. სხვის საკუთრებას და 2. თვითონ წაქეზებუდი არასრულწლოვანის პიროვნებას, მის ნორმალურ ზნეობრივ განვითარებას. არასრულწლოვანი ადვილად ექცევა სხვისი გავლენის ქვეშ, არა აქვს აქტიური წინააღმდეგობის გაწევის უნარი. ბავშვობაში გადადგმული ცუდი ნაბიჯი კი შეიძლება საბედისწერო აღმოჩნდეს მთელი ცხოვრებისათვის, საბოლოოდ გადააცდინოს პირი სწორ გზას. ასე რომ, ეს სიკეთე – წამქეზებულის (არასრულწლოვანის) პიროვნება, მისი ნორმალური ზნეობრივი განვითარება, სრულიად დამოუკიდებელი შინაარსის არის. ამიტომ წამქეზებლის მოქმედება გასცილდა დანაშაულში თანამონაწილეობის ფარგლებს. ამსრულებლის პიროვნების ხელყოფით მან კიდევ სხვა უმართლობა განახორციელა. ამიტომაც არასრულწლოვანის წამქეზება დანაშაულის ჩასადენად კანონმდებელმა ცალკე შემადგენლობის სახით გაითვალისწინა, რითაც დაამძიმა წამქეზებლის პასუხისმგებლობა. წამქეზებელი ასეთ შემთხვევაში პასუხს აგებდა დანაშაულთა იდეალური ერთობლიობისათვის – არასრულწლოვანის მიერ ჩადენილ დანაშაულში თანამონაწილეობისა და არასრულწლოვანის დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩაბმისათვის.¹⁹

მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი არ ითვალისწინებს

¹⁹ თუ არასრულწლოვანს ჩადენილი დანაშაულისათვის უასაკობის გამო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ ეკისრებოდა, მაშინ წამქეზებელი პასუხს აგებდა ქესაბამისი დანაშაულის შუალობითი ამსრულებლობისა და ასევე 236-ე მუხლით.

პასუხისმგებლობას არასრულწლოვანის დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩაბმისათვის. უნდა ვივარაუდოთ, რომ ასეთ შექითხვევებს მოიცავს კოდექსის 171-ე მუხლი – არასრულწლოვანის ჩაბმა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში. ამ მუხლით ისჯება არასრულწლოვანის დაყოლიება მათხოვრობაზე ან სხვა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაზე, მისი ჩაბმა გამაბრუებელ ან სამკურნ. ღწამლო საშუალებათა არასამედიცინო მოხმარებაში, ასევე პრო ატიტუცი-აში²⁰. ყველა ამ შემთხვევაში ადგილი აქვს არასრულწლოვანის პიროვნების, მისი ჯანმრთელობის, ნორმალური ზნეობრივი და სქესობრივი განვითარების ხელყოფას.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 253-ე მუხლით ისჯება „პროსტიტუციაში ჩაბმა ძალადობით, ძალადობის ან ქონების განადგურების მუქარით, შანტაჟით ან მოცულებით“. ძალადობა, მუქარა, შანტაჟი და მოცუება წაქეზების აშუალებებია. აქაც, ცხადია, ხდება წაქეზებულის პიროვნების ხელყოფა. მას აიძულებენ თავისი ნების საწინააღმდეგოდ იმოქმედოს და ხელი მიჰყოს ისეთ საქმიანობას, რომელიც ხელყოფს მის ჯანმრთელობას, ღირსებას და ა. შ.

ფიზიკური ძალადობით ან მუქარით შეიძლება აიძულონ პირი ჩაიდინოს დანაშაული. ზოგჯერ მუქარა ისეთ ინტენსივობას აღწევს, რომ მთლიანად უსპობს პირს მოქმედების განკარგვის შესაძლებლობას და წარმოქმნის უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობას. ასეთ შემთხვევაში დამმუქრებელი პასუხს აგებს დანაშაულის შუალობითი ამსრულებლობისათვის, რა ღვან დანაშაულის ფიზიკური ამსრულებელი ბრმა იარაღია მის ხელში. ზოგჯერ მუქარა მთლიანად არ უსპობს, მხოლოდ უზღუდავს პირს მოქმედების თავისუფლების შესაძლებლობას. ორივე შემთხვევაში წამქეზებელი ხელყოფს ამსრულებლის პიროვნებას. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 150-ე მუხლით ისჯება „ადამიანისათვის ქმედების თავისუფლების უკანონო შეზღუდვა, ესე იგი მისი ფიზიკური ან ფსიქიკური იძულება, შეას-

²⁰ ანალოგიურ ნორმებს შეიცავდა საქართველოს 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე და 236-ე მუხლები.

რულოს ან არ შეასრულოს მოქმედება, რომლის განხორციელება ან რომლის განაც თავის შეკავება მის უფლებას წარმოადგენს...“ აქ, ცხადია, იგულისხმება ადამიანის იძულებაც ჩაიდინოს დანაშაული. ამიტომ ის, ვინც ფიზიკური ან ფსიქიკური იძულებით ადამიანს დანაშაულს ჩაადენინებს, პასუხს აგებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 150-ე და იმ მუხლის ერთობლიობით, რომლითაც გათვალისწინებულია ამსრულებლის მიერ ჩადენილი დანაშაული. მაგალითად, თუ ვინმემ წააქეზა პირი მკვლელობის ჩასადენად და წაქეზების საშუალებად მუქარა გამოიყენა, იგი ხელყოფს ორ სიკეთეს – სხვის სიცოცხლეს და წაქეზებულის პიროვნებას. ამიტომ წამქეზებელი პასუხს აგებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე და 150-ე მუხლების ერთობლიობით.

ამასთან დაკავშირებით ვერ დავეთანხმებით ვ. მაყაშვილის მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 135-ე მუხლით (ახალი კოდექსის 150-ე მუხლი – თ. ე.) ქმედების კვალიფიკაცია უნდა მოხდეს „მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც იმ დანაშაულისათვის, რომელიც დაზარალებულს იძულებით ჩაადენინებს, კანონით შეიძლება დაინიშნოს იმავე სიმძიმის ან უფრო მსუბუქი სასჯელი, ვიდრე 135-ე მუხლით გათვალისწინებული სასჯელია. წინააღმდეგ შემთხვევაში დამნაშავე პასუხს აგებს როგორც იმ დანაშაულის წამქეზებელი, რომელიც პირს იძულებით ჩაადენინებს“.²¹ ჩვენი აზრით, ასეთი მსჯელობა დამოუკიდებელ სახეს უკარგავს კოდექსის 150-ე მუხლს და კაუმართლებლად ზღუდავს მისი მოქმედების ფარგლებს. საკითხის ასეთი გადაწყვეტა არ შეესაბამება დანაშაულთა კვალიფიკაციის პრინციპებს. დანაშაულთა კვალიფიკაციას არ შეიძლება საფუძვლად დაედოს კანონით გათვალისწინებული სასჯელის სიმძიმე. კვალიფიკაცია ხდება დამნაშავეის მიერ ჩადენილ ქმედებათა იურიდიული ბუნების სწორი შეფასების საფუძველზე. თუ დამნაშავეის ქმედებაში არის რამდენიმე დანა-

²¹ ვ. მაყაშვილი, მ. მაკვარიანი, თ. წერეთელი, თ. შავგულიძე, დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ, თბ., 1980 წ., გვ. 159.

შაულის შემადგენლობის ნიშნები, მან პასუხი უნდა აგოს კოდექსის რამდენიმე მუხლით, იმისგან განურჩევლად, თუ რა სახის სასჯელია გათვალისწინებული ამ დანაშაულებისათვის ასევე უნდა გადაწყდეს საკითხი დანაშაულის ჩასადენად იძულების შემთხვევაში. წამქეზებლის პასუხისმგებლობა მხოლოდ იმ დანაშაულში თანამონაწილეობისათვის, რომელიც პირს იძულებით ჩაადენინეს, მისი ქმედების არასრული კვალიფიკაცია იქნებოდა. სისხლის სამართლის კოდექსის 150-ე მუხლი დამოუკიდებლად არსებობს, ხელყოფის დამოუკიდებელი ობიექტი აქვს – ეს არის პირის უფლება განკარგოს თავისი მოქმედება. როცა ეს ობიექტი ზიანდება, ყოველთვის უნდა დადგეს პასუხისმგებლობა. 150-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის.

ჩვენ განვიხილეთ ისეთი შემთხვევები, როცა წამქეზებლის მიერ წაქეზებულის პიროვნების ხელყოფა დამოუკიდებელი დანაშაულის სახით არის გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსში. ახლა გვინდა შევეხოთ წაქეზებულის პიროვნების ხელყოფის სხვა შემთხვევებს, რომლებიც კანონმდებლის რეაგირების გარეშე არის დატოვებული და ამიტომ წამქეზებელი ამ კონკრეტული სიკეთის დაზიანებისათვის პასუხს არ აგებს.

დაუბრუნდეთ ისევ მედლის მაგალითს. მედლა ავადმყოფის მოკვლის მიზნით შეაგულიანებს მეორე მედლას, რომ ამ უკანასკნელმა რეცეპტისა და დანიშნულების დაუხედავად ავადმყოფს დააღვინოს „წამალი“ და მიაწვდის საწამლავს. მეორე მედლა შემოწმების გარეშე, ე. ი. გაუფრთხილებლობით, მისცემს ავადმყოფს საწამლავს.

ამ მაგალითში წამქეზებელი მოქმედებს განზრახ, ხოლო მკვლელობის უშუალო ამსრულებელი კი – გაუფრთხილებლობით. თანამედროვე სისხლის სამართალი წაქეზების ასეთ შემთხვევას თანამონაწილეობად არ მიიჩნევს. თანამონაწილეობა გვაქვს მაშინ, როცა დანაშაულის ყველა მონაწილე, მათ შორის ამსრულებელიც, განზრახ მოქმედებს. ეს აზრი მკვეთრად არის ჩამოყალიბებული სისხლის სამართლის ახალ კანონმდებლობაში. კერძოდ, კოდექსის 23-ე მუხლის თანახმად, „დანაშაულში თანამონაწილეობა

ნიშნავს ორი ან მეტი პირის განზრახ ერთობლივ მონაწილეობას განზრახი დანაშაულის ჩადენაში“. ხოლო მომდევნო 24-ე მუხლით, რომელიც თანამონაწილის სახეებს ეძღვნება, წამქეზებელია ის, „ვინც დაიკოლია სხვა პირი განზრახი დანაშაულის ჩასადენად“. ასე რომ, ჩვენს მაგალითში ორივე მედდა დანაშაულის ამსრულებელია. ოღონდ ვინც განზრახ მოქმედებს, ის შუალობითი ამსრულებელია, ხოლო გაუფრთხილებლობით მოქმედი პირი დანაშაულის უშუალო ამსრულებელს წარმოადგენს.

შუალობითი ამსრულებლის მოქმედება მიზეზობრივ კავშირშია დანაშაულებრივ შედეგთან (ჩვენს შემთხვევაში ავადმყოფის სიკვდილთან). იგი ხელყოფს იმავე სიკეთეს, რასაც ხელყოფს უშუალო ამსრულებელი. ამიტომ ორივე მათგანი პასუხს აგებს სხვისი სიცოცხლის მოსპობისათვის. მაგრამ შუალობითი ამსრულებელი კიდევ სხვა სიკეთესაც აზიანებს—უშუალო ამსრულებლის პიროვნებას, რომელიც მან შეაცდინა, მოტყუებით დამნაშავედ აქცია და სასჯელი დაამსახურებინა. ეს უკანასკნელი გარემოება სისხლის სამართლის თეორიაში ყურადღების გარეშეა დატოვებული. მასზე ყურადღება გაამახვილა პროფ. ო. ჯამყრელიძემ. იგი სვამს კითხვას: უნდა აგოს თუ არა პასუხი შუალობითმა ამსრულებელმა უშუალო ამსრულებლის შეცდენისა და მოტყუებით მკვლელობის ჩადენინებისათვის, რომლის გამოც ის ციხეში მოხვდა?²² ამ კითხვას დადებითი პასუხი უნდა გავცეს. ჩვენს მაგალითში წამქეზებელი მართლაც რომ „ქმნის დამნაშავეს“, როგორც ამას კორუფციის იდეის მომხრეები ამტკიცებენ. გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობისათვის სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთაა დაწესებული. მაგრამ საქმე მარტო სასჯელსა და ციხეზე როდია. ერთი წუთით წარმოვიდგინოთ იმ პირის ფსიქოლოგიური მდგომარეობა, რომელიც მოატყუეს, „ბრმა იარაღად“ გამოიყენეს და კაცი მოაკვლევინეს. ეს ყველაფერი დაკავშირებულია უდიდეს ფსიქოლოგიურ სტრესთან, მძიმე განცდებთან. ცნობილია შემ-

²² ო. ჯამყრელიძე, მოტყუების ვხით სხვისი დაყოლიება დანაშაულის ჩასადენად, გვ. 156-157.

თხვევები, როცა გაუფრთხილებლობითი მკვლევარობის ჩამდენმა იმდენად განიცადა მის მიერ ჩადენილი დანაშაული, რომ თავი მოიკლა.

სხვა მაგალითების მოყვანაც შეიძლება, როცა წამქეზებელი მოატიუებს ამსრულებელს და ჩაადენინებს გაუფრთხილებლობით დანაშაულს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 321-ე მუხლით იხჯება „სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი დოკუმენტისადმი ან საგნისადმი მოპყრობის წესის განზრახ ან გაუფრთხილებლობით დარღვევა, რამაც „სეთი დოკუმენტის ან საგნის დაზიანება, განადგურება ან დ . . კ ა რ გ ვ ა გამოიწვია“. 399-ე მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას „სამსახურებრივი სარგებლობისათვის მინდობილ იარაღის, საბრძოლო მასალის, სატრანსპორტო საშუალების, სამხედრო ტექნიკის ან სხვა სამხედრო ქონების შენახვის წესის დარღვევისათვის, რამაც გამოიწვია მისი დ ა კ ა რ გ ვ ა ან გაუვარჯისება“.

დაეუშვათ, პირმა სამხედრო ქონების დაკარგვის მიზნით შეაგულიანა მეორე პირი, რომელსაც მინდობილი აქვს ეს ქონება სამსახურებრივი სარგებლობისათვის, დაერღვია ქონების შენახვის წესი, რასაც შედეგად სამხედრო ქონების დაკარგვა მოჰყვა. როგორ უნდა აგოს პასუხი წამქეზებელმა ასეთ შემთხვევაში? კანონის ტექსტში ლაპარაკია სამხედრო ქონების „დაკარგვაზე“. მაშასადამე, ამსრულებელი მოქმედებს გაუფრთხილებლობით, ვინაიდან „დაკარგვა“ რაიმე ნივთისა, იქნება ეს სამხედრო ქონება, თუ სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი დოკუმენტი, არ შეიძლება განზრახ განხორცილდეს. აქედან გამომდინარე, შეუძლებელია წამქეზებელმა პასუხი აგოს დანაშაულში თანამონაწილეობისათვის. წინა მაგალითისაგან განსხვავებით, იგი ვერც შუალობითი ამსრულებლობისათვის აგებს პასუხს. განსახილველი დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება იყოს მხოლოდ ის, ვისაც სამხედრო ქონება „მინდობილი“ ჰქონდა სამსახურებრივი სარგებლობისათვის. მაშასადამე, შუალობით ამსრულებელს ეს ნიშანი პირადად უნდა ახასიათებდეს.

კაცს, ვინც განზრახ შეუწყო ხელი ნიეთის დაკარგვას, არ ექნებოდა ეს ნიეთი სამსახურებრივად მინდობილი.

ანალოგიური მდგომარეობა იქმნება სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი დოკუმენტის ან საგნის დაკარგვის შემთხვევაშიც. მართალია, კოდექსის 321-ე მუხლში პირდაპირ არ არის აღნიშნულ, რომ ეს დოკუმენტი დამკარგავს „მინდობილი“ უნდა ჰქონდეს, მაგრამ, ცხადია, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა პირს მხოლოდ იმ ნიეთის დაკარგვისათვის შეიძლება დაეკისროს, რომელიც მას აბარია, რომელიც მინდობილი აქვს, რომელზეც ის პასუხისმგებელია. შეუძლებელია ნიეთის დაკარგვისათვის იმას მოეთხოვოთ პასუხი, ვისაც ამ ნიეთთან არავითარი დამოკიდებულება არა აქვს. ამიტომ ამ შემთხვევაშიც გამორიცხებულია წამქეზებლის ქმედების თანამონაწილეობად ან შუალობით ამსრულებლობად დაკვალიფიცირება. ის საერთოდ არ აგებს პასუხს სისხლის სამართლის წესით. ხოლო წაქეზებული კი, რომელიც მან შეაცდინა, მოატყუა და გაუფრთხილებლობით დანაშაული ჩაადენინა, პასუხს აგებს სისხლის სამართლია კოდექსის 321-ე მუხლის პირველი ნაწილით, რომლითაც საკმარის მკაცრი სასჯელია გათვალისწინებული – თავისუფლების აღკვეთა ვადით სამ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით იმავე ვადით.

ზემოთ მოტანილ შემთხვევებში სიკეთე, რომელიც სამართლებრივ დაცვას საჭიროებს, იმდენად გამოკვეთილია, რომ მისი უგულვებელყოფა შეუძლებელია. ყველა ადამიანი გარანტირებული უნდა იყოს, რომ მას არ შეაცდენენ და მოტყუებით დანაშაულს არ ჩაადენინებენ. ამის გარანტია კი შეიძლება იყოს მხოლოდ სისხლის სამართლის კოდექსში შესაბამისი ნორმის არსებობა.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ჩვენ ვუერთდებით ქართულ სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში პროფ. ო. გამყრელიძის მიერ გამოთქმულ თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც სასურველია სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული იქნეს პასუხისმგებლობა „მოტყუების გზით

სხვისი დაყოლიებისათვის დანაშაულის ჩასადენად“.²³ რაც შეეხება ამ ნორმის ადგილს სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის სტრუქტურაში, იგი შეიძლება გაერთიანდეს ერთ მუხლში დანაშაულის პროვოკაციასთან, რადგან დანაშაულის პროვოკაცია არის სხვისთვის მოტყუებით დანაშაულის ჩადენინების ერთ-ერთი სახე.

²³ ო. გამყრელიძე, ღასახ. ნაშრ., გვ. 160.

მასტიმულირებადი ნორმები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში

საქართველოს 1999 წ. 22 ივლისის სისხლის სამართლის კოდექსის პირველივე მუხლში, სადაც საუბარია სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიზანზე და დანაშაულებრივი ქმედებისათვის რეაგირების სახით, სასჯელის გვერდით, დაწესებულია სხვა სახის სისხლისამართლებრივი ღონისძიება, არაფერია ნათქვამი წამახალისებელ ნორმებზე. თუმცა დანაშაულებრივი ხელყოფის თავიდან აცილება ალბათ, მასტიმულირებადი ღონისძიებების გარეშე სრულყოფილად მიღწეული ვერ იქნება.

დასჯისა და წახალისების თანაფარდობის პრობლემა ქართული სისხლის სამართლის პოლიტიკაში ერთობ დაუმუშავებელი საკითხია, რაც ხშირად, დაბალი სამართლებრივი ღონის საზოგადოებაში, სისხლისსამართლებრივი რეპრესიის ტოტალური გამკაცრების წინაპირობასაც წარმოადგენს. დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლა მარტო რეპრესიის გაძლიერებით ვერ მოხერხდება. ამისათვის საჭიროა დასჯისა და წახალისების პარმონიზაცია, ისევე, როგორც კრიმინალიზაცია და დეკრიმინალიზაცია, პენალიზაცია და დეპენალიზაცია.

სისხლის სამართლის პოლიტიკა განსაზღვრავს დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი რეაგირების, ზემოქმედების სხვადასხვა პრინციპებსა და ფორმებს. რეაგირების ორი ფორმიდან, რომელიც ნორმიდან გადახრილი, ასოციალური ქცევის დასჯას და სოციალურად სასარგებლო, გამართლებული ქცევის წახალისებას გულისხმობს, ეს უკანასკნელი საინტერესოა იმ დათქმით, რომ რეაგირების აღნიშნული ფორმა, ისევე როგორც დასჯა, სამართლიანი უნდა იყოს. სისხლის სამართლის პოლიტიკის ეს არატრადიციული, მაგრამ საკმაოდ პერსპექტიული მიმართულება სტიმულირებასა და მასტიმულირებად ნორმებთან

ან არის დაკავშირებული. სისხლის სამართლის პოლიტიკა განსაზღვრავს ქცევის დასჯისა თუ წახალისების საკითხს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში. ეფექტობ, იგი სისხლის სამართლის ლიბერალიზმით ნაბიძგები განსაკუთრებული გამოხატულებაა, რომელიც სხვადასხვა ვარიანტით იჩენს თავს ჩვენს კანონმდებლობაში. მაგალითად, ისეთი ვარიანტებით, როგორცაა დაუსჯელობა და ქმედების დანაშაულად შეურაცხაობა გარკვეული პირობების დათქმით.

მასტიმულირებელი ქცევების ეფექტურობაზე სისხლის სამართლის თეორიაში ძალზე ცოტაა ნათქვამი, მაშინ როდესაც მისი ეფექტურობა იმდენად დიდია, რომ მას შეუძლია შეცვალოს ადამიანის ქცევა მაშინაც კი, როდესაც სასჯელის მუქარა უძლურია. ადამიანის ქცევა, რომელიც არ ემორჩილებოდა სასჯელის შიშს, დაემორჩილება დროულ წახალისებასა და სტიმულირებას, მაშინ, როდესაც მას კიდევ აქვს არჩევანის შანსი კანონიერ და დანაშაულებრივ ქცევას შორის. აღნიშნული კი ეფექტური საშუალებაა დანაშაულებრივი ხელყოფის თავიდან ასაცილებლად.

სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის სამეტაპიანი (1. დანაშაულის ჩადენიდან სასჯელის დანიშნამდე; 2. სასჯელის დანიშნიდან მის მოხდამდე; 3. სასჯელის მოხდიდან ნასამართლობის მოხსნამდე ან გაქარწყლებამდე.) სისტემიდან გამომდინარე, დანაშაულებრივი ხელყოფის თავიდან ასაცილებლად და მართლწესრიგის დასაცავად, განსხვავებული მიზნების არსებობა განაპირობებს წამახალისებელი ნორმების სხვადასხვა სახის კლასიფიკაციას, რომელთაგან ზოგი წინარე პენიტენციალური სტადიის მარეგულირებელ ნორმებში გამოიხატება (დანაშაულის გახსნა, იმ ზარალის ანაზღაურება, რომელიც გათვალისწინებულია კოდექსის კერძო ნაწილში და რომლის მიზანია საშიში შედეგების ლიკვიდაცია, შემცირდება ან ნეიტრალიზაცია, ანდა განპირობებულია გარკვეული დანაშაულის გახსნის სიძნელით, მათი მაღალი ლატენტურობით); ზოგი თავად ამ სტადიის (დამნაშავეზე გარკვეული სახით ზემოქმედება) და ზოგიც

პოსტპენიტენციალური (დამნაშავის რესოციალიზაცია) სტადიის მარეგულირებელ ნორმებს მოიცავს.

ახალი სისხლის სამართლის კოდექსზე მუშაობისას კანონმდებელი ვფიქრობ, აღნიშნული სახის კლასიფიკაციას ეყრდნობოდა და ალბათ ამიტომ იყო, რომ კლასიკურ ინსტიტუტებში გამოხატული ტრადიციული მასტიმულირებელი ნორმების გვერდით, მრავალი ახალი წამახალისებელი ღონისძიება იქნა შემოტანილი, როგორც კოდექსის ზოგად, ისე კერძო ნაწილში.

პენიტენციალური სტადიის მარეგულირებელი კლასიკური მასტიმულირებელი ნორმები, რომლებიც კოდექსის ზოგად ნაწილშია მოქცეული, სისხლის სამართლის პოლიტიკის თვალსაზრისითა და კოდექსის მიზნიდან გამომდინარე, (სსკ-ის პირველი მუხლი) გარკვეულწილად, დეიურიდიზაციის პრობლემას უკავშირდება. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ დეიურიდიზაციის დეფინიცია¹ გაფართოვდა და „იგი აღარ აიხსნება მხოლოდ სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო ინსტიტუტის მთლიანი არიდებით,“ არამედ შუამავლობის ან შერიგების გზით, გეთავაზობს პროპორციულობას დანაშაულსა და სოციალურ რეაქციას შორის. სისხლის სამართლის კოდექსის 69-ე მუხლი (სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება და ზარალებულთან შერიგების გამო) ის ახალი ნორმაა სისხლის სამართლის კოდექსში, რომელიც დეიურიდიზაციის პრობლემასაც უკავშირდება და მასტიმულირებელ ეფექტებსაც ფლობს. თუმცა, აღნიშნული კუთხით საკითხის დასმამ შეიძლება აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვიოს ისევე, როგორც კოდექსში დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის ადების, ქმედითი მონაწილებისა თუ პირობითი მსჯავრდების საკითხებმა.

ჩვენი თემისათვის აქტუალურია კოდექსის კერძო ნაწილში წარმოდგენილი ახალი მასტიმულირებელი ნორმები და მათი

¹ ჟან პრადელი, შედარებითი სისხლის სამართალი 1999 წ. საგამომცემლო-პოლიგრაფიული კომპანია „სანი“, ქართული თარგმანის რედაქტორი თ. ნინიძე, გვ. 112-113.

დაჯგუფება ქცევის სხვადასხვა ეტაპების გათვალისწინებით. ამ დიფერენციის მთავარი დანიშნულება წახალისების სისხლის-სამართლებრივი მნიშვნელობაა და ის იზრდება მაშინ, როდესაც გარანტირებული საზოგადოებრივად სასარგებლო ქცევის ჩადენისას, ჩამდენი დარწმუნებულია, რომ მისი ძალისხმევა შეფასებული იქნება დადებითად.

სსკ 184-ე მუხლი (ავტომობილის ან სხვა მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მართლსაწინააღმდეგო დაუფლება მისაკუთრების მიზნის გარეშე) შენიშვნის სახით გვთავაზობს ისეთ მასტიმულირებელ ღონისძიებას — პასუხისმგებლობის შემსუბუქების სახით, რომელიც გამოიყენება დანაშაულის ჩადენის შემდეგ, მაგრამ სასჯელის დანიშვნისას. კერძოდ, „თუ 24 საათის განმავლობაში დამნაშავე ნებაყოფლობით, დაუზიანებლად დააბრუნებს ავტომობილს ან სხვა მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებას, მას გაუნახევრდება სასჯელი.“

რაც შეეხება სსკ 203-ე (პროფესიული სპორტული შეჯიბრის ანდა კომერციულ-სანახაობითი კონკურსის მონაწილის ან ორგანიზატორის მოსყიდვა) მუხლის შენიშვნას — ის ქცევის წახალისებას გულისხმობს დანაშაულის ჩადენის შემდეგ, მაგრამ სასჯელის დანიშვნამდე და პასუხისმგებლობისაგან ათავისუფლებს იმას, ვინც ნებაყოფლობით განუცხადებს ხელისუფლების ორგანოს, რომ პროფესიული სპორტული შეჯიბრის მონაწილეს, მსაჯს, მწვრთნელს, გუნდის ხელმძღვანელს ან ორგანიზატორს, აგრეთვე კომერციულ — სანახაობითი კონკურსის ორგანიზატორს ან ჟიურის წევრს გადასცა ფული, ფასიანი ქაღალდი ან სხვა ქონება ანდა გაუწია მას ქონებრივი მომსახურება. ანალოგიურია 221-ე (კომერციული მოსყიდვა) მუხლის შენიშვნა, რომელიც ჯერ კიდევ ძველი სისხლის სამართლის კოდექსში არსებული ქრთამის მიმცემის (თუ მას ქრთამი გამოსძალეს ან თუ მან ქრთამის მიცემის ამბავი ნებაყოფლობით განაცხადა შესაბამის ორგანოებში) ქცევის წახალისების ნაირსახეობაა, ამ შემთხვევაში კანონი დანაშაულის სპეციალური ამსრულებლის (სამეწარმეო ან სხვა ორგანიზაციაში ხელმძღვანელობითი,

წარმომადგენლობითი ან სხვა სპეციალური უფლებამოსილების განმხორციელებლის) ქცევის წახალისებას გულისხმობს პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების სახით, თუ მას გამოსძალეს ქონება ან თუ მან ნებაყოფლობით განაცხადა ფულის, ფასიანი ქაღალდის ან სხვა ქონების უკანონოდ გადაცემის ან ქონებრივი მომსახურების უკანონოდ გაწევის შესახებ.

სისხლის სამართლის პოლიტიკის თვალსაზრისით, დანაშაულთან ბრძოლაში წახალისება (სტიმულირება) და დასჯა ერთმანეთს ავსებენ. თითოეულის როლის გათვალისწინებით მათი თანაფარდობა საბოლოოდ დადებით შედეგებს იძლევა. აღნიშნული პრინციპით ხელმძღვანელობს კანონმდებელი არა მხოლოდ მასტიმულირებელი ნორმების მომრავლებისას, არამედ თვით ამ ნორმის შექმნისას, რაც ხშირად იმ სახის დათქმით გამოიხატება, რაც სსკ-ის 223-ე მუხლის შენიშვნაშია მოცემული. კერძოდ, წამახალისებელი ნორმის ამოქმედება შესაბამისი გარემოების არსებობისას, რაც ჩვენს შემთხვევაში წახალისების წინაპირობად გულისხმობს სხვა დანაშაულის ნიშნების არსებობას. მაგალითად, სსკ 223-ე (უკანონო შეიარაღებული ფორმირების შექმნა ან ხელმძღვანელობა ანდა მასში მონაწილეობა) მუხლის შენიშვნის მიხედვით „ის ვინც ნებაყოფლობით შეწყვიტა უკანონო შეიარაღებულ ფორმირებაში საქმიანობა და ჩააბარა იარაღი, თავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ მის ქმედებაში არ არის სხვა დანაშაულის ნიშნები. იგივე პრინციპითაა აგებული სსკ 236-ე (ცეცხლსასროლი იარაღის, გარდა გლუვგულიანი სანადირო თოფისა, საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შექმნა, შენახვა, ტარება, დამზადება, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება) მუხლის და 323-ე (ტერორისტული აქტი) მუხლის შენიშვნები. მითითებული პრინციპი გამოყენებულია ნარკოტიკულ დანაშაულთა მიმართაც. ზემოხსენებული წამახალისებელი ნორმები ჩვენეული კლასიფიკაციით დანაშაულის ჩადენის პროცესი წახალისებას უკავშირდება.

წამახალისებელი ნორმების ახალი სახეა სისხლის სამართლის კოდექსში ის შენიშვნები, რომლებიც სსკ-ის 371-ე (მოწმის ან დაზარალებულის მიერ ჩვენების მიცემაზე უარის თქმა) და 376-ე (დანაშაულის შეუტყობინებლობა) მუხლებს უკავშირდება. აღნიშნული მასტიმულირებელი ნორმების შემოტანა, რომლებიც ნათესაური კავშირების პრობლემას ეხება, რაღაც დამატებით სიკეთეს არ თავაზობს პიროვნებას, არამედ უბრუნებს იმას, რაც ბუნებრივად ქონდა და რაც კანონმდებელმა მას სასჯელის მუქარით წაართვა. ამ შემთხვევებში სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან იმის გათავისუფლება, ვინც ჩვენების მიცემაზე უარი განაცხადა, ან არასწორად ითარჯიმნა ან არ შეატყობინა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის მზადების ამბავი ახლო ნათესაური ურთიერთობების გამო, გონიერების ფარგლებში ზის და სისხლის სამართლის პოლიტიკის მიზნებიდან გამომდინარე, შესატყვისია საზოგადოების განვითარების, სრულყოფისა და მართლშეგნების დონისა.

წამახალისებელი ნორმების მოჭარბების მიუხედავად, ჩვენს კანონმდებლობაში აშკარად შესამჩნევია დასჯაზე ორიენტირება. თუმცა ცალსახაა, რომ სისხლის სამართალში უნდა იყოს ზემოქმედების ისეთი სახე, რომელიც ადამიანის ნებას მიმართავს საზოგადოებრივად სასარგებლო ქცევის ჩასადენად, მისი ინტერსებიდან გამომდინარე. ეს სხვა არაფერია, თუ არა წახალისება, რომელიც სისხლის სამართლებრივი რეგულირების დამოუკიდებელ მეთოდს წარმოადგენს. აღნიშნული გამოყენებულ უნდა იქნეს მაშინ, როცა სასჯელი არაეფექტურია იმის გამო, რომ შექმნილ ვითარებაში დაკარგა თავისი ძალა ან უკვე ითამაშა თავისი როლი და მის გამოყენებას შეიძლება უარყოფითი შედეგები მოჰყვეს. სსკ 388-ე (სამხედრო ნაწილის ან სამსახურის სხვა ადგილის თვითნებურად დატოვება) და 389-ე (დეზერტირობა) მუხლების შენიშვნები წამახალისებელი ნორმების ის კატეგორიაა, რომლებიც ამოქმედდება არა ზემოთ მითითებული დანაშაულების ჩამდენი ყველა პირის მიმართ, გამონაკლისის გარეშე, არამედ მხოლოდ მოსამართლის მიხედ-

უღლებით და მხოლოდ შესაბამისი გარემოების არსებობისას. ეს გარემოება ჩვენს შემთხვევაში გულისხმობს სამხედრო ნაწილის, სამსახურის სხვა ადგილის დატოვებას ან დეზერტირობას მძიმე ვითარების გამო, რომელსაც მოსამართლე აფასებს.

სისხლისამართლებრივი იუსტიციის ეფექტურობის ამაღლება მხოლოდ სასჯელზე ორიენტირებით ალბათ შეცდომაა და უშედეგოა. ადამიანს, რომელიც კონფლიქტშია სისხლის სამართლის კანონთან, უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა გამოვიდეს ამ კონფლიქტიდან გარკვეული პირობების დაცვით. ასეთი განსაკუთრებული პირობაა დათქმული სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა კარში საქართველოს კონსტიტუციური წყობილებისა და უშიშროების საფუძვლების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების მასტიმულირებელ შენიშნაში. აღნიშნული მასტიმულირებელი ნორმა ფაქტიურად ქმედითი მონანიების სპეციალურ შემადგენლობას ქმნის და მოქმედებს აღნიშნულ მუხლში შეტანილი დანაშაულების ჩამდენი ყველა პირის მიმართ, გამონაკლისის გარეშე, მაგრამ ისეთი გარემოების თანხლებით, როგორცაა საქართველოს ინტერესებისათვის მოსალოდნელი ზიანის დაუდგომლობა და არა მისი ანაზღაურება. ფაქტიურად, ეს სპეციფიკური ნიშანი განასხვავებს კონკრეტულ მასტიმულირებელ ნორმას ქმედითი მონანიების კლასიკური გაგებისაგან და ამდენად, დავას არ იწვევს მისი წამახალისებელი ბუნება. წახალისება ისევე, როგორც დასჯა ფუნდამენტური სამართლებრივი ღირებულებაა. ზემოქმედების ამ სახეს აქვს შესაძლებლობა გამოუმუშავოს ადამიანს დადებითი თვისებები. წახალისების ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა აშკარაა. რასაკვირველია, ეს არ ნიშნავს უარის თქმას სასჯელის გამოყენებაზე.

წახალისება, როგორც პუმანიზმის გამოვლინება, ჩვენი სისხლის სამართლის კანონმდებლობის სახელმძღვანელო და ძირითადი პრინციპია. წახალისებაში მას კონკრეტული ხასიათი ეძლევა და საბოლოოდ ადამიანის ქცევის კორექციას გულისხმობს, თანაც მომავლისათვის გათვლილს, რომელიც

გვთავაზობს ადამიანის გათავისუფლებას კონფლიქტური ვითარებიდან, რომელიც მას კანონთან აქვს. წახალისებაც აღზრდის ერთ-ერთ ძირითად მეთოდად მოიაზრება. ამ პოტენციალის სრულყოფილად გამოყენებაზე ბევრად არის დამოკიდებული სისხლის სამართლის ეფექტურობა. უდავოა ის, რომ ადამიანები უფრო ემორჩილებიან წამახალისებელ ზემოქმედებას, ვიდრე დამსჯელ ღონისძიებას. წამახალისებელი ნორმები, სტიმულს აძლევენ რა საზოგადოებრივად სასარგებლო ქცევას, ამავდროულად აფასებენ ამ ქცევას, როგორც სოციალურად გამართლებულს. წახალისება მაშინაა შედეგიანი, როცა იგი გამოიყენება პირის მიერ რეალურად განხორციელებული ქმედების საპასუხოდ.

სისხლის სამართლი კოდექსში არსებული წამახალისებელი ნორმების გამოყენება დანაშაულის ჩამდენის უფლებაა და სახელმწიფოს აკისრია მოვალეობა, შესაბამისი გარემოებების არსებობისას აამოქმედოს კანონმდებლობაში არსებული ნორმები ყველა დანაშაულის ჩამდენის მიმართ გამონაკლისის გარეშე.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ წამახალისებელი ნორმები სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში მოკლებულია ინდივიდუალიზაციას და გარკვეული პირობების არსებობისას გამოიყენება ყველას მიმართ გამონაკლისის გარეშე.

სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში არსებული წამახალისებელი ნორმები მოქმედებენ მხოლოდ მოცემულ მუხლში არსებულ დანაშაულთა მიმართ და ამ მუხლში დადგენილი წესით. თუმცა, აქაც გააკეთა გამონაკლისი ახალმა კოდექსმა და სსკ 260-ე მუხლთან არსებული შენიშვნა ნარკოტიკული დანაშაულის მთელ თავზე გაავრცელა, ხოლო სსკ 322-ე (სახელმწიფო დანაშაულის ქმედითი მონაწილეობა) მუხლით მოცემული მასტიმულირებელი ნორმა საქართველოს კონსტიტუციური წყობილებისა და უშიშროების საფუძვლების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავში არსებულ ხუთ შემადგენლობას ეხება. სსკ 309-ე (ანტიკონსტიტუციური ხელშეკრულების დადება

ან მოლაპარაკების წარმოება), 311-ე (უცხოეთის სადაზვერვო სამსახურში შესვლა), 319-ე (უცხო ქვეყნისათვის, უცხოეთის ორგანიზაციისათვის ან უცხოეთის კონტროლს დაქვემდებარებული ორგანიზაციისათვის მტრულ საქმიანობაში დახმარება), 314-ე (ჯაშუშობა) და 315-ე (შეთქმულება ან ამბოხება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შესაცვლელად) მუხლების პირველი ნაწილები) გათვალისწინებული შემადგენლობები.

სასამართლო პრაქტიკა ახალი მასტიმულირებელი ნორმების გამოყენებასთან დაკავშირებით ჯერჯერობით მწირია და ამდენად, საუბარი მის განზოგადებაზე ნაადრევია. სამომავლოდ, პრაქტიკის ანალიზის ფონზე, მრავალი ნიშანდობლივი დასკვნის გაკეთება იქნება შესაძლებელი როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული თვალსაზრისით.

სისხლის სამართლის მატერიალური და საპროცესო კოდექსების ჰარმონიზაციის ზომიერით საქმის¹

თანამედროვე პირობებში, როცა სულ უფრო მზარდი და-
 ეინებით საუბრობენ სხვადასხვა ქვეყნების სამართლებრივ
 სისტემათა შორის არა ოდენ „ზომიერ“, არამედ ე.წ. „გაძლიერე-
 ბულ“ ჰარმონიზაციაზე, ანუ სახელმწიფოთა მიერ ერთნაირი
 ან ძალზე დაახლოებული წესების (სამართლებრივი ნორმების)
 მიღებაზე (მათ შორის საერთაშორისო აქტების ნორმა-პრინ-
 ციპთა თუ შედარებით კონკრეტულ ნორმათა ეროვნულ კანონ-
 მდებლობაში ინტეგრირების გზით)², მით უფრო მიუღებელია
 შიდაეროვნულ კანონმდებლობაში დისჰარმონიის არსებობა.
 ეს უწინარესად შეეხება სამართლის ისეთ „ღვიძელ ნათესავ“
 დარგებს, როგორც სისხლის სამართლის მატერიალური და
 საპროცესო კანონმდებლობებია – პირველი ხომ, ასე ვთქვათ,
 „შინაარსია“, მეორე კი – მისი „ფორმა“³. სამწუხაროდ, ბოლო
 წლების დაძაბული საკანონმდებლო პროცესების მთლიანობაში

¹ ნაშრომი წარმოადგენს პროფ. თ. შვეკულიძის დაბადების 70 წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაზე გამოსვლის გავრცობილ ვარიანტს.

² იხ., მაგ., ე. პრადელი. შედარებითი სისხლის სამართალი (გამოცემის მეცნიერ-
 რედაქტორი თ. ნინიძე), თბ., 1999, გვ. 159-166.

³ ამის თაობაზე იხ., მაგალითად, И.Я. Козаченко. Уголовное право как ос-
 новной инструмент уголовно-правового регулирования // Уголовное право. Общая
 часть / под ред. И.Я. Козаченко, З.Я. Незнамовой. М., 1997, с.9. ამასთან, სქმატუ-
 რად აღენიშნავ იმასაც, რომ ავტორები ხაზს უსვამენ მატერიალურ და საპროცესო
 სამართალს შორის არსებულ როგორც ჰორიზონტალურ კავშირებს (იხ., მაგალითად,
 Колосович С.А., Кузнецов И.А. Соотношение уголовно-процессуального и уголов-
 ного права // Журн. «Гос. и право», 1996, №12, с. 77), ისე სამართლის დარგთა
 სისტემაში მათს ვერტიკალურ კავშირსაც შემდეგი სქემით: „სისხლის სამართალი-
 სისხლის სამართლის პროცესი“ (В.В. Малцев. Понятие и место уголовного права в
 системе отраслей права. Журн. «Гос. и право», 2000, №5, с. 55).

ფრიად პოზიტიური მნიშვნელობის „შემაჯამებელი“ პროდუქციის – 1999 წლის 22 ივლისის სისხლის სამართლის კოდექსის და უფრო ადრე⁴ – 1998 წლის 20 თებერვალს მიღებული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (შემდგომი მრავალრიცხოვანი ცვლილებებითურთ) ზოგიერთი „მონათესავე“ ნორმის თუ ნორმათა ჯგუფის ანალიზი მოწმობს, რომ მათ შორის გარკვეული დისონანსის თუ აშკარა წინააღმდეგობების აღმოფხვრა ჯერჯერობით ვერ მოხერხდა.⁵ ეს კი, ცხადია, გარდა წმინდა მეცნიერულ-თეორიული თუ კანონშემოქმედებითი პრინციპებისა და წესების თვალსაზრისით უხერხულობა-შეუსაბამობებისა, პრაქტიკაში იწვევს დაბნეულობას, აძნელებს დღევანდელ ისედაც სპეციფიკურად რთულ ქართულ სამართალგამოყენებით საქმიანობას.

ნათქვამის საილუსტრაციოდ მოვიხმობ რამდენიმე მაგალითს.

1. ე.წ. „დამნაშავის შეპყრობის“ შესახებ

ახალმა სისხლის სამართლის კოდექსმა მიმოქცევაში ფართოდ დანერგა ცნება-ტერმინი „დამნაშავე“, რომელიც როგორც არაერთგზის აღნიშნა თავის ნაშრომებში პროფ. გ. ნაჭყებიაძე⁶, არსებითად სოციოლოგიური ცნებაა და არა იურიდიული, ამასთან, ეს „უხეში სოციოლოგიზმი“ ფაქტობრივად მთლიანად უგულებელყოფს არაბრალეულობის (ანუ უდანაშაულობის – როგორც კონსტიტუცია და სხვა საკანონმდებლო

⁴ აღნიშნულთან დაკავშირებით, სისხლის სამართლის ახალი კოდექსის ერთ-ერთ განხილვაზე მართებულად შენიშნა პროფ. გ. ტყეშელაძემ, რომ უნდა მომხდარიყო პირუკუ – ჯერ უნდა მიეღოთ მატერიალური, შემდეგ კი – საპროცესო კოდექსი – თუ, ცხადია, ვერ მოხერხდებოდა მათი სინქრონულად მიღება.

⁵ ამ მხრივ ყველაზე მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებები განხორციელდა მიმდინარე წლის 5 მაისის კანონებით (იხ. „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“, I ნაწ., №18, 2000, მუხ. 45 და 48).

⁶ იხ., მაგ., გურამ ნაჭყებია. სისხლის სამართლის საგანი. თბ., თსუ გამომც., 1997, გვ. 83, 89, 97 და სხვ.

აქტები უწოდებენ) პრეზუმფციის პრინციპს. საქმე ისაა, რომ სამართლებრივად „დამნაშავეა“ მხოლოდ ის, ვის მიმართაც არსებობს კანონიერ ძალაში მყოფი გამამტყუნებელი განაჩენი. მაგრამ, სამწუხაროდ, ზედაპირული ანალიზიც კი ცხადყოფს, რომ ახალ სსკ-ში ტერმინი „დამნაშავე“ გამოიყენება უფრო ფართო მნიშვნელობით – ასე ვთქვათ, მოქალაქეთა სასაუბრო მეტყველების, მათი არაპროფესიული სამართალგაგების შესაბამისად. ასე, მაგალითად, მე-6 მუხლში ტერმინოლოგიურად ლაპარაკია „დამნაშავის გადაცემაზე“, 29-ე მუხლში კი – „დამნაშავის შეპყრობაზე“, მაგრამ ამ მუხლებიდან შინაარსობრივად აშკარაა, რომ, კერძოდ, მე-6 მუხლში ლაპარაკია არა მარტო დამნაშავეებზე, რომლებიც სასჯელის მოხდას არიდებენ თავს, არამედ, სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მისაცემ პირზე ანუ პირზე, რომლის მიმართაც დაუსწრებლადაა გამოტანილი დადგენილება სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ⁷, თუმცა, როგორც ჩანს, აქ შეიძლება სხვა პირებიც ვიგულისხმოთ, – პირები, რომლებიც, ჩვენეული გაგებით, საპროცესო წესით ექვემდებარებიან პირს უთანაბრდებიან იმ ქვეყნების კანონმდებლობით, რომლებიც ამგვარი „ერთჯერადი“ საპროცესო აქტის მიღებას არ ითვალისწინებენ. რაც შეეხება 29-ე მუხლს, აქ მითითებულ „შეპყრობილ დამნაშავეთა“ ძირითად „კონტინგენტს“ შეადგენს ჩვენი საპროცესო კანონმდებლობით ექვემდებარებულად აღიარებული პირები, ამასთან, ლაპარაკია არა

⁷ ამავე მუხლის მე-2-3 ნაწილებში „დამნაშავის“ სინონიმად გამოიყენება კომპოზიტები: „დანაშაულის ჩამდენი უცხო ქვეყნის მოქალაქე“, „დანაშაულის ჩამდენი პირი“.

⁸ აღნიშნულმა დებულებამ გაუგებრობა რომ არ გამოიწვიოს, კონსტატაციის წესით აქვე აღვნიშნავ, რომ სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა ჩვენი კანონმდებლობით ორმოქმედებიან აქტია – იგი შედგება ა) სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ დადგენილების გამოტანისაგან და ბ) ამ დადგენილების (ანუ ბრალდების) წაყენებისაგან. პირველი მოქმედებისაგან განსხვავებით, მეორე შეიძლება განხორციელდეს ნებაყოფლობით მოსული ან მოყვანილი პირის მიმართ. სწორედ მოყვანას უმსახურება მე-6 მუხლით და, საერთოდ, ექსტრადიციის შესახებ კანონმდებლობით დადგენილი პროცედურა (ექსტრადიციის შესახებ ის, მაგალითად: 24-ე, 28-29-ე, 44-ე (ნაწ. 3), 75-76-ე, 247-260-ე, 281-285-ე და ზოგიერთი სხვა მუხლი).

მარტო საპროცესო წესით ეჭვიმტანილად ცნობილ და ამ სტატუსით დაკავებულ პირებზე (სსსკ-ის 146-ე მუხლი), არამედ მხოლოდ ე.წ. „ფაქტობრივად დაკავებულ“ პირებზე.⁹ საპროცესო კოდექსი ორივე ამ კატეგორიის პირს უწოდებს „ეჭვიმტანილს“ (ზოგჯერ – „დანაშაულის ჩადენაში ეჭვიმტანილ პირს“, რაც იგივეა, ამიტომ სჯობდა კანონმდებელს ერთი, – კერძოდ, ერთ-სიტყვიანი, – ცნება-ტერმინისთვის მიეცა უპირატესობა და მხოლოდ იგი გამოყენებინა). მათგან *ფაქტობრივად ეჭვიმტანილს* (ანუ, პირს, რომლის მიმართ ჯერ დაკავების ოქმიც კი არ არის შედგენილი და ეჭვიმტანილადაც კი არაა ცნობილი) სსსკ უწოდებს „ეჭვიმტანილს“ (ან „დანაშაულის ჩადენაში ეჭვიმტანილ პირს“ სხვადასხვა ვარიანტით), ხოლო სსკ – „დამნაშავეს“. წინააღმდეგობა აშკარაა, რომ არაფერი ეთქვათ სისხლის სამართლის კოდექსში მოცემული ტერმინის აშკარა უხერხულობაზე (რბილად რომ ვთქვათ!) უდანაშაულობის პრეზუმფციის ზემოხსენებული კონსტიტუციური, საყოველთაოდ აღიარებული პრინციპის თვალსაზრისით, რაზეც აქ საუბარს არ გავაგრძელებ.¹⁰ ამასთან, ტერმინოლოგიური თვალსაზრისით აქ უნდა შევნიშნო, რომ სსსკ მოიგებდა, თუ ეჭვიმტანილის ფაქტობრივად დაკავებას, სსკ-ის მიერ შემოთავაზებული ტერმინის გამოყენებით, დაარქმევდა „ეჭვიმტანილის შეპყრობას“, ხოლო სისხლის სამართლის კოდექსიც ამ ტერმინის გამოყენებით მე-9 და 29-ე მუხლებს უწოდებდა (ტერმინის ნორმის ტექსტში ინტეგრირებით) შესაბამისად, „მსჯავრდებულის, განსასჯელის, ბრალ-

⁹ ამ ასპექტის თაობაზე უფრო დაწვრილებით იხ. ჩემი სტატია: „დაკავება მოყვანა, ძებნა: ზოგიერთი თეორიულ-პრაქტიკული და საკანონმდებლო ასპექტი“. ჟურნ. „სამართალი“, 2000, №3.

¹⁰ შევნიშნავ მხოლოდ იმას, რომ გაუგებარია, ასეთ ვითარებაში კანონმდებელი როგორღა დაუშლის მუხლის წარმომადგენელს, მითუმეტეს, რიგით მოქალაქეს, ყოველი ამგვარი ეჭვიმტანილი დამნაშავედ გამოაცხადოს! ამ კონტექსტში, როგორც ჩანს, საკვებით მართებულად შენიშნა აწ განსვენებულმა ცნობილმა მეცნიერმა, პროფ. ვ. სავიციკიმ, რომ უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპზე 30-იანი წლების კატაკლიზმის ეპოქაში აღბეჭდილი წყველა გამუდმებით იჩენდა თავს შემდგომშიც (იხ. В.М. Савицкий. Презумпция невиновности. М., «Норма», 1997, с. 6).

დებულის ან ექვემდებარების შეპყრობა“. ამით გარკვეულწილად თავიდან ავიცილებთ ამ ორ კოდექსში აშკარა წინააღმდეგობას, ტერმინობრივ „გაორებას“ და სხვა ზემოხსენებულ თუ ქვემოთ მითითებულ ხარვეზებს, რომლებიც მიუღებელია საკანონმდებლო პრინციპებისა თუ ტექნიკის თვალსაზრისით.¹¹

2. „დამნაშავის შეპყრობა“: ტერმინის ზოგადი ისტორიული და კონცეპტუალური ფონი /თემის ბაბრქაძე და ორი ასკეპტი/

სისხლის სამართლის მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობებში ტერმინ „დამნაშავის“ უფრო შორეულ (სოციალისტურამდელ) პრეისტორიას თუ გადაეხედავთ, ზოგადად შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ მის „უხერხულობას“ მრავალი მეცნიერი გრძნობდა და ცდილობდა იგი „შეერბილებინა“ რაიმე სიტყვა-კომპონენტის დამატებით (მაგ., „предполагаемый преступник“). შემდგომში ადამიანის დამნაშავედ უცერემონიოდ გამოცხადება, საზოგადოდ, ლოგიკური გახდა არსებული ტრადიციარულ-რეპრესიული სისტემისთვის. მიუხედავად ამისა, „დამნაშავის შეპყრობის“ ამგვარ ინსტიტუტს საბჭოური კანონმდებლობა არ იცნობდა – იგი პირველად გამოჩნდა საბჭოთა კავშირის დაშლის კვირაძალს – 1991 წელს მიღებულ ანუ „მკედრადშობილ“ აქტში – „სსრ კავშირის და რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლებში“. მანამდე, როგორც ცნობილია, „დანაშაულის ჩამდენი პირის“ დაკავებისას მისთვის ზიანის მიყენებასთან დაკავშირებული პრობლემატიკა ძირითადად აუცილებელი მოგერიების ინსტი-

¹¹ აღნიშნულის თაობაზე იხ., მაგალითად: Теория государства и права – Учебник. Под ред. М.М. Рассолова, В.О. Лучина, Б.С. Эбзеева. М., «Закон и право», 2000, с. 295.; Нащинц А. Правотворчество: Теория и законодательная техника, М., «Прогресс», 1974, с. 298; Радугин Н. В. Правовая экспертиза проектов федеральных законов. М., Изд.-во МГУ, 1998, с. 23 и др.

ტუტთან იყო „მიბმული“, მიუხედავად მათ შორის არსებული არაერთი არსებითი განსხვავებისა.¹² ეს ინსტიტუტი და შესაბამისი ტერმინი შემდგომში, პოსტსაბჭოურ სახელმწიფოებში ფაქტობრივად ტრადიციული გახდა, ოღონდ მათს კოდექსებში ინტეგრირებული იქნა საერთო კონცეფტუალური საფუძვლების შესაბამისად: მაგალითად, რუსეთის ფედერაციის სსკ-ში (მუხ. 38), უზბეკეთის სსკ-ში (მუხ. 39) იგი ითვლება ქმედების დანაშაულებრიობის გამომრიცხველ გარემოებად, ლატვიის სსკ-ში – სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამომრიცხავ გარემოებად (მუხ. 142)¹³, საქართველოს სსკ-ში კი – მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავ გარემოებად (მუხ. 29).

ტრადიციისამებრ, საქართველოს, რუსეთის და რიგი სხვა ქვეყნების სისხლის სამართლის კოდექსები განსახილველ ინსტიტუტს ავრცელებენ მხოლოდ კერძო პირებზე ანუ, სხვაგვარად, ამ მუხლის მოქმედება არ ვრცელდება დაკავებისათვის სპეციალურად უფლებამოსილ თანამდებობის და სხვა ოფიციალურ პირებზე – მათი უფლებამოსილება პირთა შეპყრობისას რეგულირდება პოლიციის (მილიციის) კანონმდებლობით, საბაჟო კოდექსით და სხვა საკანონმდებლო აქტებით.¹⁴ აქ საჭიროდ ვთვლი დეტალური არგუმენტაციის გარეშე აღვნიშნო, რომ ამ მნიშვნელოვანი პრობლემის ამგვარი „სპეციალური“, სისხლის სამართლის კოდექსიდან „ამოვარდნილი“ სამართლებრივი რეგულირება არ მიმჩნია გამართლებულად – იგი რაღაცნაირად საბჭოურ-ტოტალიტარული „დახურული საზოგადოების“, პოლიციური სახელმწიფოს დაღს ატარებს. ამიტომ, ვფიქრობ, სსკ-ის 29-ე მუხლი უნდა განივრცოს ამ მიმართულებით (სხვათა შორის, ამ მუხლის ტექსტში სულაც არ ჩანს,

¹² უფრო დაწვრილებით იხ. Курс уголовного права. Общая часть. Т. I. Под ред. Н.Ф. Кузнецовой и И.М. Тяжковой. М., «Зеркало», 1999, с. 462-463.

¹³ Комментарий к уголовному кодексу Российской Федерации. Под ред. Н.Ф. Кузнецовой. М., «Зеркало», 1998, с. 84, 88-89; ზემოთ მითითებული „კურსი“, გვ. 468.

¹⁴ Н.И. Ветров. Уголовное право. Общая часть. Учебник. М., «Юнити-Дана», 1999, с. 250.

რომ იგი შეპყრობისთვის თუ დაკავებისთვის სპეციალურად უფლებამოსილ პირებს არ ეხება, თუმცა, როგორც ირკვევა, კანონმდებელი მხოლოდ კერძო პირებს გულისხმობს ამ ნორმაში).

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მეტწილ ქვეყნებში მსჯავრდებულთა, ბრალდებულთა და ეჭვმიტანილთა შეპყრობასა, დაკავებასა და დაპატიმრებასთან დაკავშირებული საკითხები საკმაოდ დეტალურად რეგულირდება არა მატერიალური, არამედ საპროცესო კანონმდებლობით.¹⁵ ამგვარი რეგლამენტირების დადებითი მხარეა ის, რომ საპროცესო კანონმდებლობა, ეტაპების შესაბამისად, ნაბიჯ-ნაბიჯ მიჰყვება და მკაცრად აწესრიგებს პროცესის მონაწილეთა «ბროუნის მოძრაობას», აფიქსირებს მათი სტატუსის ნებისმიერ არსებით საპროცესო სახეცვლილებას (მაგ.,: «ეჭვმიტანილი – ბრალდებული – განსასჯელი – მსჯავრდებული» შიდა, დამატებითი გრადაციებით), რაც იმანენტურად უცხოა მატერიალური სისხლის სამართლისათვის, რადგან იგი გულგრილია პროცედურებისადმი – ორიენტირებულია საბოლოო შედეგზე თუ მიზანზე – დანაშაულის დასრულებულ სურათსა და ადეკვატურ სასჯელზე (გარკვეულწილად ამითაცაა ალბათ პირობადებული თვით «ახალგამომცხვარი» ეჭვმიტანილისაც კი «დამნაშავედ» სახელდება – ეს ფაქტი საბოლოო ორიენტირის პოზიციიდანაა «დანახული»!).

¹⁵ იხ. Курс уголовного права... , с. 468. შეპყრობის, დაკავებისა და დაპატიმრების ტერმინოლოგიურ-ცნებითი პრობლემატიკის შესახებ იხ. ჩემი ზემოხსენებული სტატია ურნალ „სამართალში“ (2000 წ., №3).

3. სისხლის სამართლის საქმის აღძვრისა და მისი შეწყვეტის საფუძვლების ზოგიერთი სადავო ასპექტის შესახებ

ახალი სისხლის სამართლის მატერიალური და საპროცესო კოდექსების შედარებითი ანალიზიდან აშკარაა, რომ ისინი აღიარებენ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საფუძველს – დანაშაულის ნიშნების არსებობას (სსსკ, მუხ. 22), რაც გამომდინარეობს იმ დებულებიდან, რომ სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია დანაშაული ანუ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული, მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება (სსკ, მუხ. 7). დანაშაულის ეს ცნება აგებულია დანაშაულის სამსაფეხურიან სისტემაზე, ხოლო ქმედების შემადგენლობა, მართლწინააღმდეგობა და ბრალი წარმოადგენს დანაშაულის ნიშნებს – დანაშაულის სისტემის ელემენტებს¹⁶. ცხადია, სისხლის სამართლის საქმის აღძვრისას სავალდებულო არაა (მეტწილად ეს შეუძლებელიცაა!), რომ სამივე ელემენტი გამოკვეთილ-დადგენილი იყოს – საკმარისია ქმედების შემადგენლობის აუცილებელი ელემენტების მინიმუმის არსებობის თაობაზე საკმარისი მონაცემები. თანახმად სსსკ-ის 264-ე მუხლისა, სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საბაზი და საფუძველია „კანონით დადგენილი წყაროებიდან მიღებული ფაქტობრივი მონაცემები დანაშაულის ნიშნების შესახებ“. აქ არგუმენტაციის გარეშე, კონსტატაციის წესით შეენიშნავ, რომ, აღნიშნული დებულებებიდან გამომდინარე, სისხლის სამართლის საქმე ყველა შემთხვევაში უნდა აღიძვრას ფაქტის გამო (ფაქტზე) – განსხვავებით სისხლის სამართლებრივი დევნისაგან, სისხლის სამართლის საქმის აღძვრა არ უნდა ატარებდეს პერსონიფიცირებულ ხასიათს, მაგრამ სამწუხაროდ, ახალი სსსკ ამ პრინციპს ყოველთვის ვერ იცავს¹⁷. ამას „ნეგატიურ პლანში“ ცხადყოფს

¹⁶ იხ. მერაბ ტურავა. სისხლის სამართალი (ზოგადი ნაწილი). თბ., 2000, გვ. 12.

¹⁷ აღნიშნულის თაობაზე უფრო დეტალურად ვწერდი მონოგრაფიაში: „პროკურატურის სტატუსი საზღვარგარეთ და საქართველოში (ძირითადი კონცეპტუალური

თუნდაც სსსკ-ის 28-ე მუხლის („სისხლის სამართლის საქმისა და სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრაზე უარის თქმის და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის საფუძვლები“) ანალიზი. ამ ვრცელი და ფრიად რთული მუხლის თუნდაც ამ ასპექტში ანალიზი ერთ სტატიაში შეუძლებელია. ამიტომ აქ დავკმაყოფილდები ერთი მაგალითის მოხმობით. კერძოდ:

სსსკ-ის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სისხლის სამართლის საქმე არ შეიძლება აღიძრას, ხოლო აღძრული უნდა შეწყდეს, თუ „ახალი კანონი აუქმებს ქმედების დანაშაულობას“ (უნდა იყოს: „დანაშაულებრიობას“ – როგორც ეს ახალი სსკ-ის მე-2-3 მუხლებშია!). ეს ნორმა იდენტურია სსკ-ის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის პირველ წინადადებაში მოცემულისა, რომელიც, თავის მხრივ, გამონაკლისის წესით გამომდინარეობს უფრო ზოგადი ნორმა-პრინციპიდან: „ქმედების დანაშაულებრიობა და დასჯადობა განისაზღვრება სისხლის სამართლის კანონით, რომელიც მოქმედებდა მისი ჩადენის დროს (მუხ.2, ნაწ. 1)“. ცხადი უნდა იყოს, რომ ახალი-დებულებული კანონით ქმედების დანაშაულებრიობის გაუქმება მთლიანად ხსნის სასჯელის პრობლემას – სისხლის სამართლის საქმე არ შეიძლება აღიძრას, ხოლო აღძრული უნდა შეწყდეს! 2000 წლის 5 მაისის კანონით სსკ-ში ცვლილებების შეტანამდე აქ მოქმედებდა დებულება: თუ ეს გარემოება გამოვლინდება სასამართლო განხილვის სტადიაზე, სასამართლო წყვეტს საქმეს მისი გამოვლინებისთანავე, – როგორც პირველ, ისე სააკულაციო და საკასაციო ინსტანციებში (ნაწ. 8). 5 მაისის შეტანილი ცვლილებების შედეგად კი 28-ე მუხლის მე-7 ნაწილი ადგენს, რომ „აღნიშნული საფუძვლით საქმის შეწყვეტა დაუშვებელია, თუ ბრალდებული ამის წინააღმდეგია. ასეთ შემთხვევაში სამართალწარმოება გრძელდება ჩვეულებრივი წესით და მთავრდება

საკითხების შედარებით-სამართლებრივი გამოკვლევა“). თბ., „ფაქორიტი“, 1999 წ. კვ. 254-272. ამ საკითხს სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა პროფ. შ. ფაფიაშვილმა (იხ. „სისხლის სამართლის საქმისა და სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრის პრობლემა სისხლის სამართლის პროცესში“. თბილისი, 1999).

გამამართლებელი ან გამამტყუნებელი განაჩენითა და განსასჯელის სასჯელის მოხდისაგან განთავისუფლებით“.

ჩემი აზრით, ეს ფორმულა უზუსტოა და იგი უნდა დაიხვეწოს შემდეგი გარემოებებისა გამო:

ჯერ ერთი, გამამართლებელი განაჩენი აქ უნდა გაიმიჯნოს, თორემ გრამატიკულ-ლოგიკურად გამოდის, რომ თითქოს გამამართლებელი განაჩენიც შეიძლება დამთავრდეს „სასჯელის მოხდისაგან განთავისუფლებით“, რაც, ცხადია, ნონსენსია.

მეორე. გამამართლებელი განაჩენის გამოტანის საფუძველი აქ ნათელია – თუ დადგენილია პირის უდანაშაულობა მისთვის შერაცხულ დანაშაულში, ანუ სსსკ-ის 504-ე მუხლის პირველი ნაწილის სიტყვებით რომ ვთქვათ, დადგინდა „განსასჯელის სრული (ეს სიტყვა აქ ზედმეტია, რადგან ისედაც იგულისხმება – ი.გ.) უდანაშაულობა მისთვის წაყენებულ ბრალდებაში“, ამავე მუხლის მე-3 ნაწილში (2000 წლის 5 მაისის რედაქციით) მითითებული ერთ-ერთი საფუძველით. რაც შეეხება გამამტყუნებელ განაჩენს, აქ საქმე ასე მარტივად როდია. კერძოდ, 503-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენი შეიძლება გამოიტანონ: ა) მოსახდელი სასჯელის დანიშვნით; ბ) სასჯელის დანიშნითა და მისი მოხდისაგან გათავისუფლებით; გ) სასჯელის დაუნიშნავად. ამ სამი ვარიანტიდან, ქმედების დანაშაულებრიობის გაუქმების შემთხვევაში, ბრალდებულის მოთხოვნით (იგულისხმება, რომ ამით იგი ისახავს, როგორც წესი, თავისი უდანაშაულობის დადასტურების – სრული რეაბილიტაციის მიზანს) სასამართლოს მიერ სამართალწარმოების გაგრძელების და, შედეგად, გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შემთხვევაში სასამართლო უნდა შეჩერდეს „გ“ ვარიანტზე – განსასჯელის დამნაშავედ ცნობა სავსებით საკმარისია, ხოლო ქმედებისათვის, რომლის დანაშაულებრიობა და, მაშასადამე, დასჯადობაც უკვე გაუქმებულია, სასჯელის დანიშვნა, თუნდაც მისი მოხდისაგან გათავისუფლებით, რეალურ იურიდიულ აზრს მოკლებულია. აქედან გამომდინარე, საჭიროდ მიმაჩნია:

1. სსსკ-ის 28-ე მუხლის შესაბამის ნაწილში უნდა ჩაიწიქ-

როს, რომ „ასეთ შემთხვევაში სამართალწარმოება გაგრძელდება ჩვეულებრივი წესით და მთავრდება: ა) გამამართლებელი განაჩენით ან ბ) გამამტყუნებელი განაჩენით, სასჯელის დაუნიშნავად“.

2. სასჯელის დაუნიშნავად გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის ეს საფუძველი შეტანილი უნდა იქნეს სსსკ-ის 503-ე მუხლის მე-6 ნაწილში („ბ“ ქვეპუნქტად – ასე უფრო ლოგიკური იქნება, ახლანდელი „ბ“ ქვეპუნქტი კი იქნება „გ“ ქვეპუნქტი).

4. ავადმყოფობის გამო სასჯელისაგან გათავისუფლება გათავისუფლება სსკ-სა და სსსკ-ში

სსკ-ის 74-ე მუხლის („სასჯელისაგან გათავისუფლება ავადმყოფობის გამო“) მეორე ნაწილის ძალით, სასამართლოს შეუძლია სასჯელისაგან გაათავისუფლოს ის, ვინც დანაშაულის ჩადენამდე ან ჩადენის შემდეგ დაავადდა მძიმე ავადმყოფობით (გარდა ფსიქიკურისა), რაც ხელს უშლის სასჯელის მოხდას. ამასთან, გამოჯანმრთელების შემთხვევაში მას, ხანდაზმულობის ვადების გასვლამდე, შეიძლება კვლავ დაეკისროს სისხლისამართებელი პასუხისმგებლობა და დაენიშნოს სასჯელი (ნაწ. 4). ამ ნორმიდან კონკრეტულად არ ჩანს, თუ სასამართლო განხილვის რა სტადიაზე თუ ეტაპზეა აქ საუბარი, ამიტომ, ლოგიკურად უნდა ვიგულისხმოთ, რომ ეს ნორმა მოქმედებს სასამართლო განხილვის ნებისმიერ სტადიასა თუ ეტაპზე. მაგრამ საპროცესო კოდექსით ეს დებულება არ დასტურდება – საქმის (ბრალდების) არსებითად (პირველი ან სააპელაციო) ან საკასაციო განხილვის სტადიების არცერთ ეტაპზე კოდექსი მატერიალური სამართლის ამ ნორმის რეალიზაციის რაიმე მექანიზმს ან შემთხვევას არ ითვალისწინებს – ლაპარაკია მხოლოდ მძიმე ავადმყოფი განსასჯელის მიმართ საქმის წარმოების შეჩერების შესახებ (29-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი და 451-ე მუხლის მე-2 ნაწილი). ანალოგიურ

წესს ადგენს მსჯავრდებულის მიმართ 607-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი. მხოლოდ სსსკ-ის 608-ე მუხლი ადგენს სსკ-ის 74-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლის რეალიზაციის წესს, მაგრამ... მხოლოდ მსჯავრდებულის მიმართ სასჯელის აღსრულების პროცესში!..

ამ ცალმხრივობის გადალახვას თითქოს ცდილობს სსსკ-ის 29-ე მუხლის შემოხსენებული ნოველა, მაგრამ, სამწუხაროდ, უშედეგოდ. კერძოდ, აღნიშნულ ქვეპუნქტში მითითებულია:

„სისხლის სამართალწარმოება ჩერდება, თუ: ... გ) ბრალდებული ფსიქიკურად ან სხვა მძიმე ავადმყოფობით დაავადდა, რაც დადასტურებულია სასამართლო-სამედიცინო ან სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტის დასკვნით – დაუყოვნებლივ ამ ფაქტის დადგენიდან ბრალდებულის გამოჯანმრთელებამდე, ხოლო თუ ასეთი რამ ექვსი თვის განმავლობაში არ მოხდა, აღიძვრება წარმოება სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოსაყენებლად.“

ჩემი აზრით, აქ ერთმანეთში უმართებულოდაა არეული „ფსიქიკურად“ და „სხვა მძიმე ავადმყოფობით“ დაავადებული ბრალდებულები, რადგან სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიებანი, თანახმად ამავე კოდექსის სამოცდამეოთხე თავისა, ეხება მხოლოდ ფსიქიკურად დაავადებულ ბრალდებულებს!.. ამგვარად, ეს მუხლი გასასწორებელია, რაც ძნელი არ არის, მაგრამ ამით პრობლემა არ იხსნება, რადგან ღიად რჩება „სხვა მძიმე ავადმყოფობის“ გამო ბრალდებულის (ისევე, როგორც სასამართლო განხილვის სტადიაზე – ასეთივე განსასჯელის) მიმართ სსკ-ის 74-ე მუხლის გამოყენების საკითხი...

დაბოლოს, ამ საკითხთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს ისიც, რომ 29-ე მუხლით მძიმე ავადმყოფობის ფაქტი დგინდება სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზით, ხოლო 608-ე მუხლით – რაღაც ამორფული „საექიმო კომისიის დასკვნის“ საფუძველზე, რაც უმართებულოდ მიმაჩნია.

5. დანაშაულთა კატეგორიზაციის ახალი სისტემის ერთი უმართებულო გაბრძნობა- გამოვლინების შესახებ სსსკ-ში

სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი დანაშაულთა ახლებური კატეგორიზაცია (მუხ. 12), რომელიც უკვე იყო ინტეგრირებული 1960 წლის სსკ-ში 2000 წლის 1 იანვრიდან, სამწუხაროდ, არცთუ ჰუმანურ პლანში აირეკლა სსსკ-ში. კერძოდ, 151-ე მუხლის მე-3 ნაწილში 2000 წლის 5 მაისის კანონით შეტანილი შემოხსენებული ცვლილებებით, დანაშაულის მიმძიმე გამოცხადდა ბრალდებულისათვის აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობის შეფარდების ერთ-ერთ ალტერნატიულ, თვითკმარ საფუძვლად (“ანდა თუ ჩადენილია მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაული”). საქმე ისაა, რომ, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთაგან განსხვავებით (მათ გამო დაპატიმრება ასე თუ ისე გასაგები იქნებოდა), მძიმე დანაშაულთა გამო ამგვარი წესის დადგენა აშკარად გაუმართლებელია შემდეგი გარემოებების გამო: ა) ზერელე შედარებაც კი ცხადყოფს, რომ მძიმე დანაშაულთათვის (განსაკუთრებით მძიმესთან ერთად) პატიმრობის ამგვარი დაწესებით ახალმა კოდექსმა სიმკაცრით მნიშვნელოვნად გადააჭარბა ძველს, რომელიც ამ კატეგორიაში მოიაზრებდა მხოლოდ 1960 წლის სსკ-ის მე-8 პრიმა მუხლში ამომწურავად ჩამოთვლილ მძიმე დანაშაულებს; ამ ჩამონათვალში კი ვერ შეხედებოდით ისეთ შემადგენლობებს, როგორცაა, მაგალითად, 91-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით, 93-ე და 94-ე მუხლების მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული დანაშაულები, რომელთა გამოც კანონი სასჯელის სახით ითვალისწინებდა თავისუფლების აღკვეთას 5 წელზე მეტი ვადით. ახალი სსკ-ის მე-12 მუხლით (ახალი რედაქციით) კი მძიმე დანაშაულებს მიეკუთვნება ყველა განზრახი დანაშაული, რომლისთვისაც შეიძლება დაინიშნოს თავისუფლების აღკვეთა 5-დან 10 წლამდე ვადით, აგრეთვე ყველა გაუფრთხილებელი დანაშაული, რომლისთვისაც გათვალისწინებულია თავისუფ-

ლების აღკვეთა 5 წელზე მეტი ვადით; ბ) მართალია, ახალი კოდექსის მიღებისას კანონმდებელი გადაჭრით წავიდა კანონის ჰუმანიზაციის გზით (საკმარისია აღინიშნოს, რომ კოდექსში შეტანილი 500-ზე ცოტა მეტი დანაშაულის შემადგენლობიდან დაახლოებით 60% მიეკუთვნება ნაკლებად მძიმე დანაშაულთა კატეგორიას), მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ შემადგენლობათა 40% ახალი კატეგორიზაციით მიეკუთვნება მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებს (რომელთაგან მძიმე დანაშაულთა ხვედრითი წილი რიცხობრივად დაახლოებით 20%-ით სჭარბობს განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა შემადგენლობებს), რაც რაოდენობრივად ორასს აღემატება; გ) პროსტოციალისტურ სიერცეში, საზოგადოდ, და საქართველოში, კერძოდ, ოპერატიულ-სამძებრო, მოკვლევის, გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოთა მუშაკების დიდი ნაწილის დამოკიდებულება აღკვეთის ღონისძიებად დაპატიმრების გამოყენების მიმართ, ჯერჯერობით, სამწუხაროდ, კვლავ ტოტალიტარულ-რეპრესიულია, რის გამოც მოსამართლეთა კორპუსი არც თუ იშვიათად განიცდის სხვადასხვაგვარ ზემოქმედებას, ძლიერ „კომპლექსურ“ ზეწოლას, რასაც ზოგჯერ ზოგიერთმა მოსამართლემ შეიძლება ვერ გაუძლოს... ეს კი ქმნის ძალისმიერი, რეპრესიულ-ტოტალიტარული მეთოდების ახალი ფორმით, რადაც „დოზით“ მაინც რესტავრაციის საფრთხეს, რაც სამართლებრივი, დემოკრატიული სახელმწიფოს პრინციპებისადმი მიდრეკილი ქვეყნისთვის შეუფერებელია; დ) დაბოლოს, გასათვალისწინებელია, რომ დანაშაულის გახსნის მიზნით (ზოგჯერ – მხოლოდ მოჩვენებითად!) საქმეზე ჭეშმარიტების დადგენისათვის ხელის შეშლის ან მიმალვის „ყოველი შემთხვევისათვის“-ის პრინციპით გამორიცხვის მოტივით (აღარაფერს ვამბობ კორუფციის გასაადვილებლად ბრალდებულის და სხვა პირთა – პირველ რიგში, ბრალდებულობის „პრეტენდენტთა“ – „შეშინების“ და მისთანა მოტივებზე, თუმცა იგი ანგარიშიდან მოსახსნელი მოტივი ჩვენს დღევანდელ სინამდვილეში სულაც არ არის!..) ბრალდებულთა მხოლოდ დანაშაულის სიმძიმის

მოტივით ანუ მასობრივად დაპატიმრება გამოიწვევს ისედაც გავსებული საპრობლემატიკის კიდევ უფრო გადატვირთვას ელემენტარული პირობების არმქონე პატიმრებით¹⁸.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, აშკარაა, რომ დაუყოვნებლივ უნდა გადაიდგას ეფექტიანი ნაბიჯები, ვინაიდან, როგორც სასამართლო პრაქტიკა გვარწმუნებს, სსსკ-ის 151-ე, 153-ე და 159-ე მუხლებში არსებული გარკვეული „შემარბილებელი დათქმები“ ანუ აღკვეთის ღონისძიებად დაპატიმრების გამოყენებისას მხედველობაში მისაღები გარემოებების ჩამონათვალი ზემოხსენებულ საფრთხეს მეტწილად სულაც არ ხსნის. ამიტომ, ამ ეტაპზე, ჩემი აზრით, როგორც მინიმუმი, საჭიროა 151-ე მუხლის მე-3 ნაწილიდან დაუყოვნებლივ იქნეს ამოღებული სიტყვები „მძიმე და“. ეს ხელს შეუწყობს იმგვარი სამართლიანი სამართლებრივ-სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას, რომელიც დაეყრდნობა პრინციპს: აღკვეთის ღონისძიებად დაპატიმრება ნაკლებად მძიმე დანაშაულისთვის, როგორც წესი, არ გამოიყენება, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის როგორც წესი, გამოიყენება, ხოლო მძიმე დანაშაულისათვის მისი გამოყენება-არგამოყენების საკითხი წყდება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საქმის გარემოებათა და ბრალდებულის პიროვნების გათვალისწინებით. საჭიროა აუცილებლობის გარეშე პირის დაპატიმრების სხვა გარანტიათა ეფექტური სისტემის შემუშავება-დახვეწაც. ამის გარეშე, ჩემი ღრმა რწმენით, მხოლოდ საპროცესო კოდექსის „ბრჭყვიალა სამკაულად“ დარჩება მე-14 მუხლის (“საჯაროობა და დისპოზიციურობა”) მე-3 ნაწილში მოცემული, დიახაც მოწინავე, თანამედროვე უმაღლესი საერთაშორისო სტანდარტების დონეზე „გამართული“ დებულება: „პირად კანონიერ ინტერესებს აქვს პრიორიტეტი დანაშაულის გახსნისა და დამნაშავეის დასჯის საჯარო ინტერესებთან შედარებით“.

¹⁸ ეს პრობლემა ძალზე სერიოზულად აწუხებთ სხვა პოსტსოციალისტურ სახელმწიფოებშიც (იხ., მაგალითად, Вл. Руднев. Как нам сократить число арестованных? – «Российская юстиция», 2000, №6, с. 4).

ბრალის გამომრიცხველი გარემოებები და საპატიო უკიღურის აუცილებლობა ქართულ სისხლის სამართალში

ბრალის გამომრიცხველი გარემოებების საკანონმდებლო რეგლამენტაცია პირდაპირ კავშირშია ბრალის არსთან. ბრალის გამომრიცხველმა გარემოებებმა, მართალია, ქართული სისხლის სამართლის კანონმდებლობაში მხოლოდ 1999 წლის კოდექსში კპოვა ასახვა, მაგრამ ქართული სისხლის სამართლის თეორიაში ადრეც ხდებოდა მათი მეცნიერული დამუშავება.

სხვადასხვა ქვეყნის სისხლის სამართლის კანონმდებლობაზე დიდი გავლენა მოახდინა ბრალის ნორმატიულმა და ფსიქოლოგიურმა თეორიებმა. ქართულ სისხლის სამართალში დამკვიდრებული იყო ბრალის ფსიქოლოგიური თეორია, რომლის მიხედვით, ბრალი წარმოადგენს პირის ფსიქიკურ დამოკიდებულებას ქმედებისა და ამ ქმედებით გამოწვეული შედეგისადმი განზრახვის ან გაუფრთხილებლობის ფორმით. შესაბამისად, კანონმდებლობაშიც მოცემული იყო განზრახვისა და გაუფრთხილებლობის განმარტება. ქმედებისათვის სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობა (და მით უფრო სასჯელის შეფარდება) დგება მხოლოდ მაშინ, როდესაც ის ჩადენილია განზრახ ან გაუფრთხილებლობით. 1922 წლის საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-11 მუხლის თანახმად, „სასჯელი დაედება მხოლოდ იმას, ვინც: ა) მოქმედებდა განზრახ, ე.ი. არა მხოლოდ სურდა ქმედობის ჩადენა, არამედ შეგნებულად მიანება – ქმედობას თავისი შედეგი მოჰყოლოდა; ბ) მოქმედებდა გაუფრთხილებლად, ე.ი. მოუფიქრებლად იმედოვნებდა თავისი მოქმედების შედეგის აცდენას ან არ

ითვალისწინებდა ასეთ შედეგს, თუმცა კი უნდა გაეთვალისწინებინა იგი“ [6, გვ.6].

საქართველოს სსრ 1928 წლის სისხლის სამართლის კოდექსის მე-9 მუხლის მიხედვით, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ეკისრებოდა მხოლოდ განზრახ ან გაუფრთხილებლობით მოქმედს [7, გვ.7].

ფსიქოლოგიური თეორიის მიხედვით, განზრახვა და გაუფრთხილებლობა წარმოადგენს ბრალის ფორმებს, ხოლო ბრალი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის აუცილებელი პირობაა. საქართველოს სსრ 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლი, განსაზღვრავდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლებს, ხოლო მე-9 და მე-10 მუხლები – დანაშაულის განზრახ და გაუფრთხილებლობით ჩადენის ცნებებს [4, გვ.10].

დანაშაულის ჩადენა შეიძლება განზრახ ან გაუფრთხილებლობით, რა დროსაც სახეზე გვაქვს ბრალი და შეუძლებელია მისი გამორიცხვა. პირი უნდა მიეცეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში, თუ ის მოქმედებს განზრახ ან გაუფრთხილებლად. ფსიქოლოგიური თეორიის მიხედვით, ბრალის გამორიცხვისთვის საჭიროა, რომ პირი არ მოქმედებდეს განზრახ ან გაუფრთხილებლად.

ქართული სისხლის სამართლის მეცნიერება და კანონმდებლობა, ბრალის გამომრიცხველ გარემოებებს ცალკე არ გამოყოფდა. ამ საკითხზე არ არსებობდა რაიმე მონოგრაფიული გამოკვლევა ან სპეციალური ნაშრომი, სადაც განხილული იქნებოდა ასეთ გარემოებათა მნიშვნელობა და ადგილი სისხლის სამართლის მეცნიერებაში ან დასაბუთებული – მათი შემოღების აუცილებლობა. საბჭოთა პერიოდში ქართული სისხლის სამართლის მეცნიერება, ძირითადად, განიცდიდა რუსული სისხლის სამართლის ზეგავლენას, რომელიც არ ცნობდა ცალკე ბრალის გამომრიცხველ გარემოებებს. მეცნიერული გამოკვლევები ეხებოდა ზოგადად სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებებს. უშუალოდ

ბრალის გამომრიცხველი გარემოებები, სხვა გარემოებებისაგან მათი განსხვავების აღნიშვნის მიუხედავად, ცალკე არ მუშავდება. მაგალითად, სლუცკი მიუთითებდა, რომ „აუცილებელია განვასხვავოთ პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებები ქმედების საზოგადოებრივი საშიშროების გამომრიცხველი გარემოებებისაგან. ეს ცნებები ყოველთვის არ ემთხვევა. ზოგიერთი დასჯადობის გამომრიცხველი გარემოებები საკვებით არ გამორიცხავენ ქმედების საზოგადოებრივ საშიშროებასა და მართლწინააღმდეგობას. შეურაცხის ან თორმეტი წლის ასაკს მიუღწეველი პირის მიერ ჩადენილი მკვლელობა თუმცა არ იწვევს სასჯელს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ აღნიშნული ქმედება და მისი შედეგები არ წარმოადგენენ საზოგადოებრივად საშიშს და მართლსაწინააღმდეგოს“ [9, გვ. 9].

თუკი ქმედება არის მართლსაწინააღმდეგო, მაგრამ გამორიცხულია პასუხისმგებლობა, მაშინ ქმედება არ არის ბრალეული. მართლაც, შეურაცხის მიერ ჩადენილი მკვლელობა ინარჩუნებს მართლსაწინააღმდეგო ხასიათს, მაგრამ ის არ შეიძლება მიეცეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში, რადგან აღნიშნული ქმედება მას ვერ შეურაცხება ბრალად. ცნობილია, რომ დღევანდელი სისხლის სამართლის კოდექსი ბრალის გამომრიცხველ გარემოებებად მიიჩნევს როგორც ასაკს, ისე შეურაცხაობას ფსიქიკური დაავადების გამო.

ბრალის გამომრიცხველ გარემოებებს ეძღვნება პროფ. დაგელის შრომა. მისი აზრით, ბრალის გამომრიცხველ გარემოებებს მიეკუთვნება: სუბიექტური შემთხვევა, სუბიექტის შეცდომა, ბრძანების შესრულება, დაზარალებულის არამართლზომიერი მოქმედება. პროფ. დაგელი შესაძლებლად თვლის, რომ ამ გარემოებებს მიეკუთვნოს ასევე ფსიქიკური იძულებაც [8, გვ.14]. როგორც ვხედავთ, საბჭოთა კრიმინალისტიკები იზიარებდნენ ბრალის გამომრიცხველ გარემოებათა არსებობას, მაგრამ, საბჭოთა სისხლის სამართლის მეცნიერებაში დამკვიდრებული იყო ბრალის ფსიქოლოგიური თეორია. ამდენად, ბრალის გამომრიცხვა დაკავშირებული იყო ქმედებაში განზრახვის ან

გაუფრთხილებლობის არარსებობასთან. თუ პირი მოქმედებდა განზრახ ან გაუფრთხილებლობით, მაშინ ის მოქმედებდა ბრალეულად და მას ეკისრებოდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

მიუხედავად ამისა, ქართული სისხლის სამართლის მეცნიერებაში, ვხვდებით ნაშრომებს, სადაც მოცემულია განზრახ მოქმედის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების შესაძლებლობის დასაბუთება ბრალის არარსებობის გამო. ამ შრომებში განხილულია გარემოებები, როცა პირი მოქმედებს განზრახ, ითვალისწინებს ქმედების მართლსაწინააღმდეგო შედეგს და სურს მისი დადგომა, მაგრამ ის უნდა გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, რადგან არსებობს შემთხვევები, როცა პირს მის მიერ ჩადენილი განზრახი ქმედება არ შეიძლება შეერაცხოს ბრალად.

ამ მხრივ საინტერესოა პროფ. ო.გამყრელიძის ნაშრომი – „ახლო ნათესავის მიერ ჩადენილი დანაშაულის დაფარვა“ – სადაც ავტორი განიხილავს 1959 წელს გამოქვეყნებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის პროექტის 190-ე მუხლს, რომელიც ითვალისწინებდა პასუხისმგებლობას დანაშაულის დაფარვისათვის. ამ მუხლის შენიშვნის თანახმად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდებოდნენ დამნაშავის ახლო ნათესავები. პროექტის ეს მასტიმულირებელი ნორმა 1960 წელს მიღებულ სისხლის სამართლის კოდექსში არ შეუტანიათ. ავტორი, აანალიზებს პროექტის ამ ნორმას, გერმანიისა და პოლონეთის სისხლის სამართლის კანონმდებლობის შესაბამის ნორმებს და განმარტავს: „სამწუხაროა მხოლოდ ის, რომ ეს იდეა, როგორც უკვე ითქვა, მოქმედ კანონმდებლობაში არათუ არ განვითარდა, არამედ იმ სახითაც არ დაკანონდა, რა სახითაც ის დასახელებულ პროექტში იყო მოცემული“ [2, გვ.206].

ავტორს მისაღებად მიაჩნია ახლო ნათესავის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება

როგორც დანაშაულის დაფარვის, ასევე განუცხადებლობისა და ცრუ ჩვენებისათვის. ასეთ შემთხვევაში პირი მოქმედებს განზრახ, მაგრამ შესაძლებელია მისი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება. იბადება კითხვა: „მაინც რას ემყარება ინდივიდის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება დანაშაულის დაფარვის, განუცხადებლობის და ცრუ ჩვენების დროს, თუკი ეს ხდება ახლო ნათესავის სასჯელისაგან დახსნის მიზნით? ერთი შეხედვით, ისე ჩანს, თითქოს იურიდიულად დასჯის ღირსი იყოს ისიც, ვინც თავისი ახლობელი დანაშაულში არ ამხილა. მაგრამ თუ საკითხს უფრო ღრმად ჩაუკვირდებით, დაინახავთ, რომ ეს მთლად ასე არ არის. რამდენად სამართლიანია დედის დასჯა იმის გამო, რომ მან თავისი დამნაშავე შვილი არ ამხილა? მე ვფიქრობ, ეს მოთხოვნა ისევე მიუღებელია ზნეობრივად და სამართლებრივად, როგორც მკვლელის დასჯა საკუთარი დანაშაულის დაფარვის, განუცხადებლობისა და ცრუ ჩვენებისათვის“ [2, გვ.206].

როცა ინდივიდისათვის ცნობილია დანაშაულის ჩადენა, იგი ვალდებულია განაცხადოს ამის თაობაზე. მაგრამ როცა დანაშაული ჩაიდინა ახლობელმა ადამიანმა, ამ დროს ინდივიდი დგას არჩევანის წინაშე: რომელს დაემორჩილოს – კანონის მოთხოვნას, თუ ნათესაურ გრძნობას. თუ ის კანონს დაემორჩილება, მაშინ მან უნდა უარყოს ნათესაური გრძნობა და ამხილოს ახლო ნათესავი დანაშაულის ჩადენაში და თუკი დაემორჩილება ნათესაურ გრძნობას, მაშინ მან უნდა დაფაროს ახლო ნათესავის მიერ ჩადენილი დანაშაული, რის გამოც თავადაც სჩადის დანაშაულს. იმისათვის, რომ პიროვნება არ აღმოჩნდეს ასეთ გაორებულ მდგომარეობაში, კანონმდებლობა მას უნდა ათავისუფლებდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან. აღნიშნულის თაობაზე პროფ. ო.გამყრელიძე წერს: „ახლობელი ადამიანის დანაშაულის დაფარვა და განუცხადებლობა (ან ცრუ ჩვენება), თუკი ეს ხდება ნათესაური გრძნობის კარნახით, გამორიცხავს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. ეს, რასაკვირველია, არ ნიშნავს, თითქოს ამ

შემთხვევაში, პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება ადამიანის მართლზომიერ ქცევას ემყარებოდეს. ახლო ნათესავის მიერ ჩადენილი დანაშაულის დაფარვა გამორიცხავს მხოლოდ ინდივიდის ბრალს. ჩვენ არ შეგვიძლია ვუსაყვედუროთ მას, არ შეგვიძლია გავკიცხოთ იგი დამნაშავესთან განსაკუთრებული ნათესაური დამოკიდებულების გამო, რაც სასჯელისაგან გათავისუფლების საფუძველს ქმნის. მიუხედავად იმისა, რომ მოქმედი კანონმდებლობა ამის შესახებ არაფერს ამბობს, მაგრამ, ცხადია, უმჯობესი იქნება, თუკი ადამიანის ამ უფლებას პირდაპირ გაითვალისწინებს კანონი“ [2, გვ.208]. იქვე, პროფ. ო.გამყრელიძე იძლევა რეკომენდაციებს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში შენიშვნის სახით შესაბამისი ცვლილების შეტანის თაობაზე.

ამრიგად, პირი არ შეიძლება მიეცეთ სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში ახლო ნათესავის მიერ ჩადენილი დანაშაულის დაფარვისათვის, მიუხედავად იმისა, რომ ქმედება არის მართლსაწინააღმდეგო და განზრახი. ადამიანი არ შეიძლება გავკიცხოთ ნათესაური გრძნობით ჩადენილი ქმედებისათვის. მას არ შეიძლება ეს ქმედება შევარაცხოთ ბრალად. ამდენად, ახლო ნათესავის მიერ ჩადენილი დანაშაულის დაფარვა ბრალის გამომრიცხველი გარემოებაა. ამასთან, ბრალის გამორიცხვა დაკავშირებულია შეფასებით მომენტთან – გავკიცხვასთან.

ქართული სისხლის სამართლის მეცნიერებაში პროფ. ო.გამყრელიძის დასახელებული შრომა პირველია, სადაც განხილულია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამომრიცხვის უშუალო კავშირი ბრალის არარსებობასთან, ე.ი. გამოკვეთილია ბრალის გამომრიცხველი გარემოება.

პროფ. ო.გამყრელიძე გამოთქვამს თავის განსხვავებულ მოსაზრებას უკიდურეს აუცილებლობასთან დაკავშირებით. კერძოდ, ეს შეეხება უკიდურესი აუცილებლობის იმ შემთხვევას, რომელიც ცნობილია „ტრაგიკული კოლიზიის“ სახელწოდებით. ეს შემთხვევა დაკავშირებულია გადარჩენილ და დაზიანებულ სამართლებრივ სიკეთეთა თანაფარდობის საკითხთან. „ტრაგი-

კული კოლიზიის“ დროს ერთი ადამიანის სიცოცხლე იღუპება მეორის ხარჯზე და ამიტომ, ცხადია, შემადგენლობის შესაბამისი მოქმედება საზოგადოებრივად საშიში და მართლსაწინააღმდეგოა... მაგრამ სულ სხვაგვარად წარმოგვიდგება ამ შემთხვევაში ბრალის საკითხი. ვერ ვიტყვი, რომ „ტრაგიკული კოლიზიის“ დროს ადამიანს ბრალი მიუძღვის მეორე ადამიანის სიცოცხლის მოსპობაში. პერსონალური შერაცხვა ქმედობისა, პერსონალური გასაკიცხობა აქ შეუძლებელია. სასჯელის მოტივაციური ზეგავლენა, ამ შემთხვევაში, ნოლს უდრის. თუკი ამ დროს კაცს მოსალოდნელი სასჯელი გაახსენდება, ის მასზე ვერავითარ ზემოქმედებას ვერ მოახდენს. საერთოდ ძნელია კაცს უთხრა, რატომ ჩაიდინე ეს მკვლელობაო. ეს ხომ თვითმკვლელობისკენ მოწოდებას ნიშნავს! ამიტომ მიზანშეწონილად მენვენება შევიმუშავოთ წინადადება, რომლის მიხედვით „ტრაგიკული კოლიზიის“ დროს ადამიანი მთლიანად უნდა გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგან, ბრალის არარსებობის გამო. ეს არის უკიდურესი აუცილებლობის ერთ-ერთი სახე, რომელსაც ითვალისწინებს ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა“ [1, გვ.71]. ამრიგად, უკიდურესი აუცილებლობა შეიძლება იყოს ბრალის გამომრიცხველი გარემოება. ბრალის გამორიცხვის საკითხი დაისმის მაშინ, როცა გადარჩენილი და დაზიანებული სამართლებრივი სიკეთეები თანაბარია ან როცა დაზიანებული სიკეთე აღემატება გადარჩენილ სამართლებრივ სიკეთეს.

ბრალის გამომრიცხველ გარემოებათა საკითხს იკვლევს პროფ. ო.გამყრელიძე თავის ნაშრომში – „სისხლისსამართლებრივი კანონ-მდებლობის სრულყოფისათვის“ – სადაც აღნიშნავს, რომ „თუკი ჩვენ გავიზიარებთ დანაშაულის სამნიშნოვან ცნებას, მაშინ გვერდს ვერ აუუვლით იმ ფაქტს, რომ არსებობენ გარემოებები, რომლებიც სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას გამორიცხავენ არა მართლწინააღმდეგობის არარსებობის, არამედ ბრალის არარსებობის საფუძველზე“ [2, გვ.213]. აქედან, ბუნებრივია, გამომდინარეობს მართლწინააღმდეგობისა და ბრალის გამომრიცხველ გარემოებათა გამიჯვნის

საკითხი. ო.გამყრელიძის აზრით, ბრალის გამომრიცხველ გარემოებებს მიეკუთვნება 1) ასაკი, 2) შეურაცხაობა ფსიქიური დაავადებების საფუძველზე და 3) შეცდომა. პროფ. ო.გამყრელიძე იძლევა საკანონმდებლო წინადადებას, რომლის მიხედვითაც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებები უნდა გაიყოს მართლწინააღმდეგობის და ბრალის გამომრიცხველ გარემოებებად. ის ასახელებს როგორც მართლწინააღმდეგობის (აუცილებელი მოგერიება, უკიდურესი აუცილებლობა, დამნაშავეის შეპყრობა), ასევე ბრალის (ასაკი, შეურაცხაობა ფსიქიური დაავადების გამო, შეცდომა) გამომრიცხველ გარემოებებს. ავტორი უკიდურეს აუცილებლობას ათავსებს მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებებში და მას არ მოიხსენიებს ბრალის გამომრიცხველ გარემოებათა ჩამონათვალში. მაგრამ ჩვენთვის საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ავტორი გეთავაზობს წინადადებას სისხლის სამართლის კანონმდებლობაში არა რომელიმე გარემოების, არამედ მთლიანად ბრალის გამომრიცხველი გარემოებების რეგლამენტაციაზე. თუ რა გარემოებები უნდა ჩაითვალოს ბრალის გამომრიცხველად, ეს ცალკე კვლევის საგანია, მაგრამ მათი დამოუკიდებლად არსებობა დღევანდელი სისხლის სამართლის მეცნიერებაში ეჭვს არ იწვევს. ასეთ გარემოებებს დიდი ხანია ცნობს საზღვარგარეთის ქვეყნების სისხლის სამართლის მეცნიერება და კანონმდებლობაც.

ბრალის გამომრიცხველ გარემოებებს ცალკე გამოყოფს პროფ. ო.გამყრელიძე სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილის ალტერნატიულ პროექტში. პროექტის მეხუთე თავი ეთმობა მართლწინააღმდეგობის, ხოლო მეექვსე – ბრალის გამომრიცხველ და შემამსუბუქებელ გარემოებებს. მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებად პროექტში განხილულია აუცილებელი მოგერიება (მუხლი 29), აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილება (მუხლი 30), მართლზომიერი უკიდურესი აუცილებლობა (მუხლი 31) და პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება სხვა მართლზომიერი გარემოების დროს

(მუხლი 32). ბრალის გამომრიცხველ და შემამსუბუქებელ გარემოებებს კი, პროექტის მიხედვით, მიეკუთვნება: შეურაცხაობა ასაკის გამო (მუხლი 33), შეურაცხაობა ფსიქიური დაავადების გამო (მუხლი 34), შეცდომა (მუხლი 35), საპატიო უკიდურესი აუცილებლობა (მუხლი 36), პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება დანაშაულის წინასწარშეუპირებელი დაფარვისათვის (მუხლი 37), აუცილებელი მოგერიების ექსცესი (მუხლი 38), პარლამენტის წევრის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება (მუხლი 39). ამ გარემოებათაგან ზოგი მათგანის კანონმდებლობაში შემოტანას ავტორი ადრეც გეთავაზობდა. მაგალითად, პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება დანაშაულის წინასწარშეუპირებელი დაფარვისათვის. დღევანდელი სისხლის სამართლის კოდექსი ჩამოთვლილ გარემოებათაგან რამდენიმეს ითვალისწინებს. ესენია, მაგალითად: შეურაცხაობა ასაკის გამო (მუხლი 33), შეურაცხაობა ფსიქიური დაავადების გამო (მუხლი 34), შეცდომა (მუხლი 36). გარდა ამისა, ახალი სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს ბრალის გამომრიცხველ სხვა გარემოებებსაც (შეზღუდული შერაცხადობა (მუხლი 35), ბრძანების ან განკარგულების შესრულება (მუხლი 37), სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება სხვა არაბრალეული ქმედების დროს (მუხლი 38) [5, გვ.26-28]. აღნიშნული გარემოებები არ არის მოცემული როგორც პროფ. ო.გამყრელიძის მიერ შემოთავაზებულ სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილის ალტერნატიულ პროექტში, ასევე სამართლებრივი რეფორმის სახელმწიფო კომისიის სისხლის სამართლის კოდექსის პროექტის შემმუშავებელი ქვეკომისიის მიერ წარმოდგენილ სისხლის სამართლის კოდექსის პროექტში.

ეს უკანასკნელი ბრალის გამომრიცხველ გარემოებებს ცალკე არ გამოყოფდა. პროექტის მე-10 თავი ითვალისწინებდა მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ შემდეგ გარემოებებს: აუცილებელი მოგერიება, დამნაშავის შეპყრობა, უკიდურესი აუცილებლობა, მართლზომიერი რისკი, ბრძანების ან განკარ-

გულების შესრულება, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება სხვა მართლზომიერი გარემოების დროს. რადგან პროექტი ცალკე არ გამოყოფდა ბრალის გამომრიცხველ გარემოებებს, ამიტომ მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებებში მოხსენიებული იყო ისეთი გარემოებებიც, რომლებიც ბრალს გამომრიცხავს. კერძოდ, ასეთ გარემოებებს მიეკუთვნება ბრძანების ან განკარგულების შესრულება (პროექტის 38-ე მუხლი), რომელსაც ითვალისწინებს ახალი სისხლის სამართლის კოდექსი და უკიდურესი აუცილებლობა, რომელიც, პროექტის 36-ე მუხლის (უკიდურესი აუცილებლობა) მესამე ნაწილის მიხედვით, ბრალს გამომრიცხავს. აღსანიშნავია, რომ ახალი სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, უკიდურესი აუცილებლობა ბრალის გამომრიცხველ გარემოებებში არ მოიხსენიება. უკიდურეს აუცილებლობას, როგორც ბრალის გამომრიცხველ ერთ-ერთ გარემოებას, პროფ. ო.გამყრელიძე სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილის ალტერნატიულ პროექტში განიხილავდა. სამართლებრივი რეფორმის სახელმწიფო კომისიის სისხლის სამართლის კოდექსის პროექტის შემმუშავებელი ქვეკომისიის მიერ გამოქვეყნებულ პროექტის 36-ე მუხლის მესამე ნაწილში მითითებული იყო: „ის, ვინც ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებულ ქმედებას ჩაიდენს და სხვას დააზიანებს იმ უშუალო საფრთხის თავიდან ასაცილებლად, რომელიც ემუქრებოდა თვით დამზიანებლის ან მისი ახლობლის სიცოცხლეს, სხეულებრივ მთლიანობას ან თავისუფლებას, მოქმედებს ბრალის გარეშე, თუკი ეს საფრთხე არ შეიძლებოდა აცდენილი ყოფილიყო სხვა საშუალებით“ [3, გვ.19]. ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ პროექტი ბრალის გამომრიცხველ გარემოებებს ცალკე არ გამოყოფდა, უკიდურეს აუცილებლობას მართლწინააღმდეგობასთან ერთად, ბრალის გამომრიცხველ გარემოებადაც მიიჩნევდა. შეიძლება ითქვას, რომ პროექტი მხოლოდ უკიდურეს აუცილებლობას ცნობდა ბრალის გამომრიცხველ გარემოებად. იგი ასეთ ხაზგასმას არ აკეთებდა ბრძანების ან განკარგულების შესრულებაზეც კი,

რომელიც ახალი სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, ბრალის გამომრიცხველ გარემოებას მიეკუთვნება.

ჩვენთვის საინტერესოა ის, რომ პროექტის მიხედვით, უკიდურესი აუცილებლობა არის ბრალის გამომრიცხველი გარემოება, როცა პროექტი ცნობს მხოლოდ მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებებს. სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით კი უკიდურესი აუცილებლობა არის მხოლოდ მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოება. მართლაც, დანაშაულის რომელ ნიშანს გამორიცხავს უკიდურესი აუცილებლობა – მართლწინააღმდეგობას თუ ბრალს?

ის, რომ უკიდურესი აუცილებლობა ქმედების მართლწინააღმდეგობას გამორიცხავს – აღიარებულია სისხლის სამართლის მეცნიერებაში და მრავალი ქვეყნის კანონმდებლობაში. აზრთა სხვადასხვაობა შეიძლება გამოიწვიოს მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის მართლწინააღმდეგობის საკითხში.

შეიძლება თუ არა უკიდურესი აუცილებლობის დროს, მართლწინააღმდეგოდ მოქმედი გათავისუფლდეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან, მის ქმედებაში ბრალის არარსებობის გამო, ე.ი. ბრალის გამორიცხვით? თუ ამ კითხვაზე დადებითად ვუპასუხებთ, ეს ნიშნავს, რომ უკიდურესი აუცილებლობა ბრალის გამომრიცხველ გარემოებად უნდა მივიჩნიოთ და მაშინ, ჩვენი აზრით, მიზანშეწონილია კანონმდებლობაში მისი დამკვიდრება.

ცნობილი გერმანელი კრიმინალისტი ი. გოლდშმიტი უკიდურეს აუცილებლობას განიხილავდა ბრალის პრობლემად. მან თავისი შეხედულება გამოთქვა შრომაში – „უკიდურესი აუცილებლობა – ბრალის პრობლემა“ „Der Notstand – ein Schuldproblem“. ავტორის აზრით, უკიდურესი აუცილებლობის დროს კაცი მოქმედებს მართლწინააღმდეგოდ, განზრახ, მაგრამ მისი ქმედება არ არის ბრალეული, ის არ არღვევს მავალეულ ნორმას.

უკიდურესი აუცილებლობა შეიძლება იყოს საპატიო, ბრალის გამომრიცხველი გარემოება. მნიშვნელოვანია იმის

გარკვევა, თუ რას უნდა ეფუძნებოდეს ბრალის გამორიცხვა ამ მდგომარეობაში ჩადენილი ქმედების დროს.

უკიდურესი აუცილებლობის დროს კაცი მოქმედებს განზრახ და ბრალის გამორიცხვა უფრო მეტ სირთულესთანაა დაკავშირებული. სისხლის სამართლის მეცნიერებაში ცნობილია, რომ შეცდომას შეუძლია გამორიცხოს ქმედების განზრახვა და „როცა შეცდომა მისატყვებელი არ არის, პირს შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა მხოლოდ გაუფრთხილებლობისათვის, თუ ამ ქმედების გაუფრთხილებლობით ჩადენა ისჯება ამ კოდექსით“ [5, გვ. 28].

შესაძლებელია, რომ განზრახი ქმედება პირს არ შეეცდოს ბრალად. ამისათვის საჭიროა კიდევ ერთხელ იმის დაზუსტება, თუ როგორ გვესმის ბრალი. თუ ბრალი არის გასაკიცხაობა, ე.ი. ქმედების შეფასება, ნორმატიული თვალსაზრისით, ხოლო განზრახვა და გაუფრთხილებლობა კი შეფასების წინაპირობებს წარმოადგენენ, მაშინ განზრახი ქმედება, რომელიც არ იმსახურებს გაკიცხვას, არ ითვლება ბრალეულად, ე.ი. მიეკუთვნება ბრალის გამომრიცხველ გარემოებას. თუ ბრალი არის გასაკიცხი ფსიქიკური დამოკიდებულება ქმედებასა და ამ ქმედებით გამოწვეულ შედეგს შორის, ხოლო განზრახვა და გაუფრთხილებლობა წარმოადგენენ ბრალის ფორმებს, მაშინ განზრახ მოქმედი პირი, რომელიც არ იმსახურებს გაკიცხვას, ბრალის ასეთი (ნორმატიულ-ფსიქოლოგიური) განმარტებითაც არ შეიძლება მიეცეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში. თუ ბრალს განვიხილავთ როგორც მხოლოდ ფსიქიკურ დამოკიდებულებას ქმედებასა და ამ ქმედებით გამოწვეულ შედეგს შორის, განზრახვას და გაუფრთხილებლობას კი ბრალის ფორმებად, მაშინ განზრახ ჩადენილი ქმედება ბრალეულია და მისი ჩამდენი არ თავისუფლდება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან.

ჩვენი აზრით, ბრალის მხოლოდ ფსიქოლოგიური განმარტებით, ნორმატიული ნიშნების გათვალისწინების გარეშე, პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებათა ჩამოყალიბება

შეუძლებელია. ამ შემთხვევაში ბრალის გამოძირიცხველ გარემოებებად არ ჩაითვლება ისეთი გარემოებები, რომლებსაც უკვე სცნობს ახალი სისხლის სამართლის კოდექსი. მაგალითად, ბრძანების ან განკარგულების შესრულების დროს (მუხლი 37) პირს გაცნობიერებული აქვს ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და სურს ეს შედეგი ან არ სურს ეს შედეგი, მაგრამ შეგნებულად უშვებს. სავალდებულო ბრძანების ან განკარგულების შესრულებისას, მართლსაწინააღმდეგო განზრახვი ქმედების არაბრალეულად ცნობა დაკავშირებულია ამ ქმედების შეფასებასთან. ბრძანების შემსრულებელი არ შეიძლება გააკიცხოთ ქმედებისათვის, რომლის ჩადენაც მისთვის სავალდებულო იყო სამსახურებრივი დაქვემდებარების ან სხვა მდგომარეობის გამო. მაშინ, რატომ უნდა გააკიცხოთ ის, ვინც მართლსაწინააღმდეგო განზრახვი ქმედებას ჩაიდენს ნათესაური დამოკიდებულების გამო? თუ ბრალის გამოძირიცხვას დაუუკავშირებთ ქმედების შეფასებას გასაკიცხაობის თვალსაზრისით, მაშინ საპატიო უკიდურესი აუცილებლობა სამართლიანად უნდა მივაკუთვნოთ ბრალის გამოძირიცხველ გარემოებებს.

უკიდურესი აუცილებლობის პრობლემის გამოკვლევა გვიჩვენებს, რომ არსებობს უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევები, რომლებიც არ შეიძლება დარეგულირდეს მხოლოდ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის უკიდურესი აუცილებლობის ნორმის ამჟამინდელი რედაქციით. თუ მხოლოდ სსკ-ის 30-ე მუხლს დავეყრდნობით, მაშინ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამოძირიცხველი უკიდურესი აუცილებლობის სხვა შემთხვევები უნდა უარყვოთ, რაც, ჩვენი აზრით, სისხლის სამართლის მეცნიერების განვითარების თანამედროვე ეტაპზე, მიზანშეუწონელია. მით უმეტეს, რომ სისხლის სამართლის მეცნიერება და ზოგი ქვეყნის კანონმდებლობა მართლზომიერი უკიდურესი აუცილებლობის გარდა, ცნობს უკიდურესი აუცილებლობის სხვა სახეებს, როგორცაა: იძულებით გამოწვეული უკიდურესი აუცილებლობა, დეფენზიური

უკიდურესი აუცილებლობა, საპატიო უკიდურესი აუცილებლობა. საბჭოთა პერიოდის ქართული სისხლის სამართლის მეცნიერება და კანონმდებლობა ცნობდა და ამუშავებდა მხოლოდ მართლზომიერი უკიდურესი აუცილებლობის პირობებს. ამასთანავე, ეს შეეხებოდა ძირითადად აგრესიულ უკიდურეს აუცილებლობას. ბოლო პერიოდის ქართული სისხლის სამართლის ლიტერატურაში ვხვდებით მითითებებს საპატიო უკიდურეს აუცილებლობასა (ო.გამყრელიძე) და დეფენზიურ უკიდურეს აუცილებლობაზე (მ.ტურავა). თუმცა, ახალი სსკ-ის 30-ე მუხლში განმარტებული პირობები აკმაყოფილებს მხოლოდ მართლზომიერ აგრესიულ უკიდურეს აუცილებლობას.

საპატიო უკიდურესი აუცილებლობის ინსტიტუტთან მიმართებაში ქართველ მეცნიერთა მოსაზრებები განსხვავებულია. მეცნიერთა ერთი ჯგუფი თვლის, რომ საპატიო უკიდურესი აუცილებლობის ნორმა არ არის საჭირო და საკმარისია კანონმდებლობაში მხოლოდ მართლზომიერი უკიდურესი აუცილებლობის არსებობა. მათი აზრით, უკიდურესი აუცილებლობის ყველა შემთხვევა შეიძლება დარეგულირდეს მართლზომიერი უკიდურესი აუცილებლობის ნორმით. აღსანიშნავია, რომ დღეისათვის ქართველ მეცნიერთა დიდი ნაწილი ამ ჯგუფს მიეკუთვნება. განსხვავებულია მეცნიერთა პოზიცია, რომლებიც აღიარებენ საპატიო უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევების არსებობას, მაგრამ მათი რეგულირებისთვის ცალკე ნორმის შემოღება მიზანშეწონილად არ მიაჩნიათ. მათი აზრით, საპატიო უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევები შეიძლება დარეგულირდეს სსკ-ის 38-ე მუხლით, რომელიც ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებას სხვა არაბრალეული ქმედების დროს. ასევე არიან მეცნიერები, რომლებიც აღიარებენ საპატიო უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევების არსებობას და ამასთან მიზანშეწონილად მიიჩნევენ კანონმდებლობაში ცალკე ნორმის დამკვიდრებას.

ჩვენი აზრით, საპატიო უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევათა არსებობა დღეს ეჭვს აღარ იწვევს. ეს შემთხვევები

ბრალის გამომრიცხველი ან შემამსუბუქებელია. ამიტომ მათი რეგულირება მართლზომიერი უკიდურესი აუცილებლობის ნორმით შეუძლებელია. ერთი ნორმით არ უნდა დარეგულირდეს მართლწინააღმდეგობისა და ბრალის გამომრიცხველი შემთხვევები. ვფიქრობთ, ამ საკითხში მეცნიერთა შორის დავა არ არის და, თუ ეს ასეა, მაშინ მართლზომიერი და საპატიო უკიდურესი აუცილებლობა სხვადასხვა ნორმით უნდა დარეგულირდეს.

ვიზიარებთ მეცნიერთა შეხედულებას საპატიო უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევების არსებობაზე. მაგრამ ამ შემთხვევების რეგულირება ბრალის გამომრიცხველი ზეკანონური გარემოებებით მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია. ეს გარემოებები მართლაც სამოსამართლეო სამართალ შემოქმედების სფეროა. ამ ნორმის არსებობა კანონმდებლობაში მოწონებას იმსახურებს. საქმის გამოკვლევისას შეიძლება აღმოჩნდეს ისეთი გარემოება, რომელიც კანონმდებელმა ვერ გაითვალისწინა, მაგრამ აშკარად ადასტურებს მოქმედის არაბრალეულობას. ასეთ დროს გამართლებულია ამ ნორმაზე მითითება. შეიძლება ვთქვათ, რომ ეს არის ბრალის გამომრიცხველი ზოგადი ნორმა, რომელიც სპეციალურ(კონკრეტულ) შემთხვევებს ითვალისწინებს. აქ იგულისხმება ყველა ის შემთხვევა, რომელიც კანონმდებელმა სახელდებით არ ან ვერ მოიხსენია. ვფიქრობთ, რომ ეს ნორმა გამოდგება არა მხოლოდ იმ გარემოებებზე, რომლებიც კანონმდებლობაში სახელდებით მოხსენიებული არ არიან, არამედ იმათზეც, რომლებიც ცალკე ნორმებადაა ჩამოყალიბებული. თითოეული ბრალის გამომრიცხველი სპეციალური (კონკრეტული) გარემოებაა. იგი გამიჯნულია ბრალის გამომრიცხველი ზოგადი ნორმისაგან, რადგან მისი სპეციალური სახით არსებობა მიზანშეწონილად არის მიჩნეული.

ბრალის გამომრიცხველ სპეციალურ გარემოებათა გვერდით ზეკანონური, ზოგადი ნორმის არსებობას რა დანიშნულება აქვს, თუ არა ის, რომ ზოგადად გაითვალისწინოს ყველა სხვა გარემოება, რომელიც კანონმდებელმა ცალკე, სპეციალური

ნორმით არ ჩამოყალიბა? ხომ არ არის ეს კანონმდებლობაში სპეციალურ ნორმათა ხარვეზის შექსების ზოგადი საშუალება? სხვა რა დანიშნულება შეიძლება ჰქონდეს ამ ნორმას? კანონმდებლობაში მისი არსებობა შეიძლება გამართლდეს მხოლოდ ამ კუთხით. მაგრამ მან არ უნდა მოიცვას ის შემთხვევები, რომლებიც სპეციალური(კონკრეტული) ნორმის სახით შეიძლება ჩამოყალიბდეს. თუ ზოგადი ნორმა მოიცავს თუნდაც ერთ სპეციალურ ნორმას, რატომ არ შეიძლება რომ სხვებიც მას შეესაბამებოდნენ? ჩვენი აზრით, თუკი შეიძლება გარემოება სპეციალური ნორმის სახით ჩამოყალიბდეს, მაშინ იგი აღარ უნდა დაექვემდებაროს ზოგად ნორმას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ ვიზიარებთ მესამე ჯგუფის მეცნიერთა შეხედულებას. ჩვენი აზრით, საპატიო უკიდურესი აუცილებლობა არის ბრალის გამომრიცხველი დამოუკიდებელი, სპეციალური გარემოება და მისი რეგულირებისათვის აუცილებელია ასევე დამოუკიდებელი, სპეციალური ნორმის არსებობა კანონმდებლობაში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გამყრელიძე ო., სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებები. „საბჭოთა სამართალი“, 1989, № 9.
2. გამყრელიძე ო., ბრძოლა სამართლებრივი სახელმწიფოსათვის. წიგნი პირველი. თბ., 1998.
3. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ბიულეტენი. თბ., 1997, № 4.
4. საქართველოს რესპუბლიკის 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსი. თბ., 1995.
5. საქართველოს 1999 წლის სისხლის სამართლის კოდექსი. თბ., 1999.

6. საქართველოს სსრ 1922 წლის სისხლის სამართლის კოდექსი. ტფ., 1924.
7. საქართველოს სსრ 1928 წლის სისხლის სამართლის კოდექსი. თბ., 1944.
8. Дагель П., Обстоятельства, исключают виновность субъекта и влияющие на форму вины. Советская Юстиция, 1973, № 3.
9. Слуцкий И., Обстоятельства, исключают уголовную ответственность. Л., 1956.

მცდარი შხეძულეზა ბუნებითი სამართლის აღრეულ თეორიეზე

1. თანამედროვე პირობეზში ბუნებითსამართლებრივი აზრონეზი სა დში ინტერესი ძირი თადად განპირობეზულია არაპოზიტიური, საერთო-საკაცობრიო სამართლის გააზრეზის ფრიად წინააღმდეგობრივი მოთ ხოვნი ლებით. ამავე დროს, მისადში მაღალი ინტერესის გამომწვევი ობიექტური პროცესეზი ასუსტეზენ მას და კიდევაც ახდენენ ამ სამყაროდან მისი განდევნის სტიმულირეზას.

სამართლისადში არაპოზიტიური მიდგომის ინტერესის გაძლიერეზის ძირითად სტიმულატორს წარმოადგენს ეროვნული ეკონომიკური სისტემის მსოფლიო მეურნეობაში ჩართვის კანონზომიერეზა, რაც XX საუკუნის ბოლოდან ვითარდეზა. გლობალურ საბაზრო ურთიერთობეზს მუდმივად შეაქეთ ცვლილებეზი სახელმწიფოთა ურთიერთობეზში და შესაბამისად ახდენენ ამა თუ იმ ქვეენეზის და ხალხეზის კანონთა „რედაქტირეზას“. მრავალრიცხოვანი ხელშეკრულებეზი და პაქტეზი, შეთანხმეზეზი სრულიად სხვადასხვა საკითხეზზე, მთავრობათა მეთაურეზის წინასწარი კონსულტაციეზი, დელეგაციეზის სამუშაო შეხვედრეზი და ა. შ. არაორაზროვნად ამუღვენეზს ქცევის საერთო-საკაცობრიო ნორმეზის არსეზობას.

რადგანაც ქვეენეზის საერთო მსოფლიო პროცესში ჩართვა ფრიად ხშირად ხორციელდეზა კონკრეტული ხალხის ცხოვრეზის წესის ეროვნული კულტურულ-სამართლებრივი სტანდარტეზის გადახედვისა და ცვლილებეზის ხარჯზე, თავის მხრივ, კანონზომიერად ვითარდეზა სახელმწიფოთა მისწრაფეზა დაიცვან თავიანთი ეროვნული ინტერესი როგორც ეკონომიკის, ისე სახელმწიფო-სამართლებრივ სფეროში, გაამყარონ სწორედ პო-

ზიტიური სამართლის ელემენტები, მიუსადაგონ რიგი ქვეყნების საერთო სამართლებრივი ინტერესები თავიანთ სტანდარტებს, ან მოახდინონ საერთო-საკაცობრიოს რეცეპცირება საკუთარ ეროვნულად თავისებურ ფორმაში.

ამ ტენდენციების ურთიერთბრძოლა თავისებურად აისახება სამართლის გაგებაზე. ინტეგრაციული პროცესებს წინა პლანზე გამოაქვს საერთაშორისო-სამართლებრივი ნორმები, რომლებიც ტიპიური არაა პოზიტიური სამართლის დარგებისათვის, მაშინ როცა წინააღმდეგობა ამ პროცესების მიმართ განაპირობებს პოზიტიური სამართლის გაძლიერებას და წარმოშობს არაპოზიტიური სამართლისადმი დამოკიდებულებას, როგორც რაღაც ტრანსცენდენტალურისადმი. საერთო სამართლებრივი ნორმების მომხრეთა აზრით, მათი წიაღიდან ხდება ეროვნული სამართლებრივი სისტემების დედუცირება. ხოლო მოწინააღმდეგეებს მიაჩნიათ, რომ ლაპარაკია რაღაც საერთო კონვენციულურ კატეგორიებზე, რომელთა ინდუცირება ხდება ეროვნული კანონებიდან. როგორც არ უნდა იყოს, თანამედროვე მსოფლიო დგას ჩვენი მზერისაგან დაფარული ამ საერთო-საკაცობრიო ნორმატიულობის და მისი ჭეშმარიტულობის გააზრების პრობლემის წინაშე.

არჩეული არგუმენტების გასამაგრებლად საერთო-საკაცობრიო ნორმატიულობის როგორც მოწინააღმდეგეები, ისე მომხრეები ფაქტოლოგიური მასალის მოგროვებასა და ინტერპრეტაციასთან ერთად, ცდილობენ მოიძიონ თავიანთი სიმართლე ისტორიულ მასალაში. ამ რთული გააზრების პროცესში განსაკუთრებული ადგილი უკავია ბუნებითი სამართლის ადრინდელი თეორიების არათანმიმდევრულ და ურთიერთგამომრიცხავ შეფასებებს. შეფასებების წინააღმდეგობრიობის საფუძველად გვევლინება ფილოსოფიური შეხედულება სამართალზე, რომლის თანახმადაც ჯერარსი მოიაზრება, როგორც აპოფატიზებული (დამაკონკრეტებელ მახასიათებლებს მოკლებული) უნივერსალური (ტრანსცენდენტული და არა რეალური) იდეალი

მეოცე საუკუნის საბაზრო ეკონომიკის განვითარებამ წარ-

მოშვა სამართლის ფილოსოფიის გადასინჯვის ტენდენცია. თავი იჩინა იმ გარემოებამ, რომ მრავალი სოციალური და ეკონომიკური პროცესი სულ უფრო ხშირა ვითარდება კონკრეტულ ადამიანთა ზურგს უკან. მოვლენები აღიქმებოდა როგორც უცნობი ტრანსცენდენტური სამყარო. ამ გაუგებარი ვირტუალური სამყაროს გასაგებად მეცნიერები მიმართავენ ბუნებით სამართალს, სადაც ეძებენ იმანენტურ ღირებულებებს, რომელიც მყარია კაცობრიობის განვითარების ისტორიაში. ამ მიმართულებით თავს იჩენს ისტორიის რეტროსპექციული გადახედვა და წარსულში მიმავალი არსებობის მოდელების მოძიების ცდა. ამ მიმართულების თვალსაჩინო წარმომადგენელია ინდოელი მეცნიერი ს. სინხა, როგორც რეტროსპექტიური სამართლის მიმდევარი, ის ცდილობს დაუპირისპიროს თანამედროვე კაპიტალის დაგროვების პროცესებს ის მითოლოგიური სამყარო, რაშიც მას მიანია ადამიანთა არსებობის კრიტერიუმი. მისი ძირითადი პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ წარსულის მასალა მას წარმოეჩინება, როგორც ნატურა(ტრანსცედენტური), ხოლო დღევანდელი სინამდვილე, კი როგორც ამ ტრანსცედენტურის უარყოფა. ს. სინხა არის თანამედროვე სამართლის ფილოსოფიის რეტროსპექციული გადახედვის თვალსაჩინო მიმდევარი და ამიტომ მისი მსოფლმხედველობის განხილვა ფაქტიურად საფუძველს გვაძლევს გავარკვიოთ რეტროსპექტიური ფილოსოფიური აზროვნების ნაკლი.

ე. წ. რეტროსპექციული ფილოსოფიური მიმართულების მიმდევრების ძირითადი ნაკლია ბუნებითი სამართლისათვის დამახასიათებელი ონტოლოგიური დუალიზმი. როგორც ამ მიმართულების თვალსაჩინო წარმომადგენელი, ს. სინხაც ცდილობს ამ ნაკლის დაძლევას. უფრო მეტიც, ე. წ. რეტროსპექციული ფილოსოფიური მიმართულების მიმდევრებთან შედარებით, ს. სინხა ართულებს პრობლემას და უნებლიედ ააშკარავებს რეტროსპექტიული ფილოსოფიური მიმართულების ნაკლს.

2. „ბუნებითი სამართლის თეორია, – წერს ს. სინხა, – შეპყრობილია დაბნეულობის გამომწვევი ონტოლოგიური დუალი-

ზმით. მასში არსებობს ემპირიული სინამდვილე, მაგრამ ასევე არის ტრანსცენდენტული ხასიათის სინამდვილე, რომელიც ვითარდება, როგორც ეგზისტენციალური სამყარო და არა უბრალოდ, როგორც ამ ემპირიული სინამდვილის ეპისტომოლოგიური წინაპირობა. ტრანსცენდენტულს, მისი უნივერსალურობისა და სუფთა რაციონალურობის გამო, რეალური არსებობის პრეტენზია აქვს. შემეცნებითი საქმიანობა ამრიგად იქცევა თვით ადამიანური შემეცნების ობიექტად. ამრიგად, ავტორმა, ისევე, როგორც სამართლის ისტორიის ფილოსოფიის დარგში მომუშავე მეცნიერთა უმრავლესობამ, ბუნებითი სამართალი განიხილვის ტრადიცია, როგორც რაღაც ტრანსცენდენტული.

მსგავს შემფასებაში არაა გათვალისწინებული, რომ ადამიანისა და ბუნების (კოსმოსის) ურთიერთობა სასაქონლო წარმოების ჩარჩოებში და მის მიერ გამეშვებობითებული სოციალური ურთიერთობები ჯერჯერობით კაცობრიობის ერთადერთი და პირველი ცივილიზაციაა, კაცობრიობის კოსმოსთან ისტორიული კავშირის საფეხური. როგორც ისტორიის სუბიექტი, კაცობრიობა წარმოიშვა არა ერთბაშად, არამედ თანდათან. ხალხები ეკონომიკური და პოლიტიკური დაქსაქსულობიდან, მჭიდრო საერთაშორისო ურთიერთობათა არარსებობიდან, ომებიდან და უთანხმოებიდან, როგორც პრობლემათა გადაწყვეტის მეთოდიდან, კაპიტალისტური სისტემის განვითარების კვალობაზე გადადის მჭიდრო სავაჭრო უღთიერთობებზე, წარმოება იძენს ხაერთაშორისა ხასიათს. ერები იწყებენ თავიანთი ცხოვრების რეორგანიზაციას საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით. ხალხებისა და სახელმწიფოების სტიქიური გაერთიანება ამ პროცესში ისახება კაცობრიობის ქცევის საერთო ნორმების სახით, რომლებიც არ დაიყვანება ცალკეულ სახელმწიფოთა ნორმებამდე. ამიტომ იბადება რაღაც იდუმალი ძალის ტრანსცენდენტულის ილუზია, რომელიც გეაიძულებს აღვიქვათ იგი, როგორც ნორმა. გვეონია, რომ არსებობს ემპირიული სინამდვილე, მაგრამ ასევე არის ტრანსცენდენტული ხასიათის რელობა, რომელიც თითქოს ჩამოწოლილია მასზე. ასეთ იდუმალ

მსოფლიო წესრიგს, რომელიც უნდა მიიღოს ყველა ხალხმა საერთო კეთილდღეობის მისაღწევად, ისინი აღიარებენ, როგორც ბუნებითს. ამიტომ ბუნებითი სამართალი, უფო ზუსტად კი მსოფლიო წესრიგი, ქცევის მსოფლიო მოდელი, არცთუ ისეთი ტრანსცენდენტული მოვლენაა, როგორც ამას ამტკიცებს ს. სინხა. ისტორიული პერიოდისაგან დამოუკიდებლად ბუნებითი სამართლის ყველა თეორია არაპირდაპირ აღნიშნავს ამ მოვლენას და სწორედ ამაში მდგომარეობს მათი მსოფლმხედველობრივი მნიშვნელობა.

ადრინდელი თეორიები ბუნებით სამართალს აღწერდნენ ბუნების ენით, რამეთუ ყველა მათგანი იშვა ბუნებრივად წარმოშობილი შრომის განაწილების პერიოდში. ამაში მდგომარეობდა მათი სწორედ ისტორიული შეზღუდულობა და არა აზროვნების ნაღებობა. მაგრამ კაპიტალისტური სისტემის განვითარების კვალბაზე ბუნებითი სამართალი რეალური ხდება. იგი ხდება კონკრეტული ხალხის ნორმატიული სისტემის საზომი. სახელმწიფოთა პარლამენტაშორისო კავშირები, ეროვნული ბიუჯეტების კორექტირება საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების ნორმათა გათვალისწინებით, საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის საერთო ზომები და სახელმწიფოების სხვა ღონისძიებანი მოწმობს, რომ ბუნებითი სამართალი ობიექტურად არსებობს.

თუ ადრინდელ თეორიებში დედუქცია ბუნებითი სამართლიდან ხორციელდებოდა ბუნების ტერმინებით (რწმენით, ინტუიციით და ა. შ.), ამჟამად კაცობრიობის თანამედროვე პრაქტიკულმა საქმიანობამ კვლავ დააყენა დღის წესრიგში ბუნებითი სამართლის პრობლემა. ნებისმიერ ხალხს ესმის, რომ თუ მისი ნორმატიული მოდელი არ შეესაბამება მსოფლიო წესრიგის იდეალებს, იგი დადუპეისთვისაა განწირული, მას ემუქრება იზოლაციონიზმი. მაშასადამე, ბუნებითი სამართლის ტრანსცენდენტალობა ცალკეული ხალხებისათვის ზენორმის ხასიათს იძენს. პრაქტიკულად ყალიბდება მსოფლიო ექსპერტიზის ანუ მსოფლიო სამართლიდან ან ბუნებითი სამართლიდან

დედუქციის მეთოდი. კაცობრიობის ამ ისტორიულმა აღმონენამ, როგორც ჩანს, დიდი ხანია გაუსწრო რიგ მეცნიერთა სქოლასტიკურ ძიებებს.

ს. სინხა ბუნებითი სამართლის (არამარტო ადრეული თეორიების) ცდომილებას ხედავს იმაში, რომ „ბუნებითი სამართლის თეორიას აქვს პრეტენზია არა უბრალოდ იდეალური კანონების ძიებაზე, არამედ თვით ჭეშმარიტ კანონზე“. ეს პრეტენზია, როგორც შემდეგაა აღნიშნული, წარმოადგენს „საეჭვო ონტოლოგიის“ მიზეზს. ეს „ჭეშმარიტი კანონი“, წერს იგი, ვითარდება როგორც ეგზისტენციალური სამყარო“, ე. ი. დამოუკიდებელი, „და არა როგორც ამ ემპირიული სინამდვილის უბრალო ეპისტემოლოგიური წინაპირობა“. გასაგებ ენაზე ავტორის ეს აზრი შეიძლება გადმოვცეთ შემდეგნაირად: ბუნებითი სამართალი ვითარდება რაღაც საკუთარი იდუმალი კანონების მიხედვით და არ წარმოადგენს რეალობის (ემპირიული სინამდვილის) წინაპირობას. რამდენად მართებულია გამოთქმული აზრი?

კაცობრიობის ისტორია მოწმობს, რომ მისი ერთიანობა, უფრო ზუსტად, კაცობრიობის ისტორიის სუბიექტად ჩამოყალიბება, იბადება სტიქიურად. მაგრამ, წარმოიშობა რა, კაცობრიობის ქცევის გამოცდილება თვითონ ხდება ცალკეული ხალხების ქცევის წინაპირობა. და ამ მხრივ კაცობრიობის ქცევის ნორმა წარმოადგენს ემპირიული სინამდვილის, ე. ი. ცალკეული ხალხების გამოცდილების წინაპირობას. მეცნიერმა არ მიიჩნია, რომ ბუნებითი სამართლის განვითარება იღებს რეალური ავტონომიურობის ხასიათს მხოლოდ კაპიტალიზმის განვითარების სტადიაზე, როცა საერთაშორისო გამოცდილება განსაზღვრავს კონკრეტული ხალხის გამოცდილებას. სწორედ ამაში მდგომარეობს კაცობრიობის გამოცდილების დამოუკიდებლობა, მისი „ეგზისტენციალობა“, „ტრანსცენდენტალობა“ და ა. შ. ავტორს უჭირს შენიღბოს საკითხის არსი ფსევდომეცნიერული, ძნელსაცნაური ტერმინებით.

თავის კრიტიკაში ს. სინხა აღნიშნავს, რომ „ტრანსცენდენტული პრეტენზიას აცხადებს რეალურ არსებობაზე უნივერსა-

ლურობისა და სუფთა რაციონალურობის მიზეზით“ . ამრიგად, ბუნებითი სამართალი, როგორც ჩვენ გვარწმუნებენ, არსებობს აზროვნებაში, ხოლო რეალურად იგი მხოლოდ მონაგონია. მეორე მხრივ, არსებობს რეალური ემპირიული სამყარო, ნორმატიულის მრავალფეროვნება. ამ ორი საწყისის არსებობაში ს. სინხა ხედავს ბუნებითი სამართლის ონტოლოგიურ დუალიზმს.

ავტორის ცდომილება მდგომარეობს იმაში, რომ ის ადრინდელი თეორიების ანალიზის საფუძველზე მიღებულ დასკვნას ავრცელებს ბუნებითი სამართლის მთელ თეორიაზე. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მან არ გაითვალისწინა, რომ იმ შორეულ ხანაში კაპიტალიზმამდელი ურთიერთობები ეფუძნებოდა ბუნებრივად წარმოშობილ შრომის განაწილებას. ბუნებაზე დამოკიდებულება სახეზე იყო. თვით ადამიანი საკუთარ თავს მოიაზრებდა, როგორც ბუნების ნაწილს. ამიტომ აზროვნება, რწმენა, ინტუიცია და ადამიანის, როგორც არა სოციალური ინდივიდის, არამედ როგორც ბუნების ძალთა პროდუქტის სხვა ატრიბუტები, აღიარებული იყო როგორც ბუნებითი სამართლის კრიტერიუმები. ამრიგად, ონტოლოგიური დუალიზმი მხოლოდ კაპიტალიზმამდელ პერიოდში არსებული თეორიების დამახასიათებელი თვისებაა. ამ დუალიზმს ბუნებით სამართალთან, ე. ი. კაცობრიობის, როგორც ისტორიის სუბიექტის მოქმედებასთან, მსოფლიო წესრიგთან ზუსტად ისეთი ურთიერთობა აქვს, როგორც კაპიტალიზმამდელი პერიოდის საფეხურს შედგომ ისტორიასთან.

ს. სინხა ამტკიცებს, რომ ბუნებითი სამართალი „მეტისმეტად ფართო და უკიდვგანოა იმისათვის, რომ ამ სქემით მოიცვა ყველა ეს ფაქტორი“ ამით ავტორი გამოდის იმ განმარტებებიდან, რომელსაც იძლევიან ბუნებითი სამართლის ადრინდელი თეორიების შემმუშავებლები, რაც არამართებულია. პლატონი, არისტოტელე, თ. აქვინელი და ბუნებითი სამართლის სხვა მომხრეები სწორად სვამდნენ საკითხს ბუნებითი სამართლის, როგორც ემპირიული ნორმის საზომის არსებობის შესახებ, მაგრამ იმ ურთიერთობათა ისტორიული შეზღუდულობის გამო,

რომლის პირობებშიც ისინი ცხოვრობდნენ, მათ არ შეეძლოთ მოეცათ ბუნებითი სამართლის განმარტება – იგი ჯერ კიდევ არ იყო განვითარებული. მაგრამ ამ ისტორიული „ნაკლის“ გავრცელება ბუნებითი სამართლის მთელ თეორიაზე შეცდომაა. ნორმატიულის ემპირიული სამყარო მეტად ვრცელია იგი შეიძლება მოიცვას არა ვიწრო იურიდიულმა აზროვნებამ, რომელიც ინდუქტიურად არსებობს, არამედ ნორმატიულის გენეზისმა, მსოფლიო წესრიგის განვითარების ტენდენციამ.

“ ბუნებითი სამართლის თეორიის ლოგიკური პროცედურა, – აღნიშნავს ს. სინხა, – მდგომარეობს სამართლებრივი ნორმების ბუნებითი სამართლის ონტოლოგიურად მიწერილი ფაქტებიდან გამოყვანაში. სახელდობრ: „შეიძლება თუ არა მართებული გამოყვანილი იქნას არსებულიდან“, საერთოდ, საკითხის ასე დაყენების წინაშე დგება სამართლის ფილოსოფიის ნებისმიერი მკვლევარი. ამიტომ ადრე თუ გვიან იგი აღმოჩნდება გზაგასაყარზე: თუ ბუნებითი სამართალი მოიაზრება როგორც რაღაც იმპეციენიური, აზროვნების გამონაგონი, მაშინ ასეთი ჯერარსიგან რეალობის, არსებულის გამოყვანა შეუძლებელი ჩანს, როგორც ძნელია ბუნების ფაქტებიდან, აბსტრაქტული გონებიდან ანუ ღმერთიდან რეალური ნორმატულობის გამოყვანა. მაგრამ თუ დავეუშევთ, რომ ბუნებითი სამართლის როლს ასრულებს ეკონომიკურად და პოლიტიკურად გაბატონებული ქვეყნების, ხალხების ჯგუფის თვალსაზრისი და ა. შ. , მაშინ ყველაფერი თავის ადგილზე დგება. მაშინ შეიძლება დავეთანხმოთ ს. ს. სინხას, რომ „ონტოლოგიური ღირებულებები განეკუთვნებიან ადამიანურ სამყაროს და რომ, არიან რა ამ ადამიანური სამყაროს ნაწილი, წარმოადგენენ ობიექტურობას”

კვლავ უნდა გავიხსენოთ, რომ ბუნებითი სამართლის ადრინდელი თეორიები წარმოიშვა იმ ისტორიულ პერიოდში, როცა გაბატონებული იყო შრომის ბუნებრივად წარმოშობილ დანაწილებაზე დაფუძნებული ურთიერთობები. ამ პერიოდში ბუნებითი სამართალი არსებობდა მხოლოდ ხალხთა ოცნებაში, რადგანაც ერთმანეთისაგან განცალკევებული იყვნენ, წარმოებაც

ლოკალურ ხასიათს ატარებდა და ა. შ. ამ დროს გაბატონებული იყო მხოლოდ დაქსაქსული „არსებულის სამყარო“. ეს განაპირობებდა იმას, რომ ნორმის არსებობას განმარტავდნენ სხვა სახის არსებულთ, რომლის მასალასაც იძლეოდა პირადი დამოკიდებულების ურთიერთობა. ბუნებრივად ითვლებოდა ის მოვლენა (მონობა, თანასწორობა, პარმონია ღმერთთან და ა. შ.), რომლის პონაც შეიძლებოდა ისტორიის იმ შორეულ ცხოვრებაში. მრავალი საუკუნის შემდეგ, კაპიტალიზმის განვითარების ეპოქაში არსებითი იმავდროულად მაგრამ ამ პერიოდში ხდება მართებული: ეკონომიკურად გაბატონებული ქვეყნები აფრქვევენ საკუთარი ცხოვრების წესის სტანდარტებს ქცევის ნორმების სახით დანარჩენი მსოფლიოსათვის. მაგრამ აქ ბუნებითი სამართლის ტრანსცენდენტალობა არის არა ფანტაზიის, რწმენის ნაყოფი, არამედ რეალობა.

ამ ფიქრთა კონტექსტში ზედმეტი არ იქნება, თუ უფრო დაწვრილებით შევხედვით საკითხზე: რატომ იმოწმებდნენ სხვადასხვა დროის მასროვნეები ღმერთს ან აბსტრაქტულ გონებას?

როგორც ცნობილია, აბსტრაქტული გონების ცნება ისტორიაში ორჯერ წარმოიშვა: თეოლოგიური სახით და ფილოსოფიური სახით. ამ ცნებათა ისტორიული ფესვები სხვადასხვაა. პირადი დამოკიდებულების პერიოდში დომინირებდა ტოტალურობა, მეფეების, ფეოდალების, მოხელეების განუკითხაობა. ამ ფონზე ურთიერთდახმარების ჩვეულებრივი ადამიანური ურთიერთობები, კეთილგანწყობა არსებულის სფეროს განეკუთვნებოდა, ე. ი. წარმოადგენდნენ ისეთივე განსაკუთრებულ ფორმებს, როგორც ხელისუფლების განუკითხაობა და თვითნებობა. ამიტომ ბუნებითი სამართალი ჯერჯერობით ატარებდა შემხვევით ხასიათს კონკრეტული ინდივიდების ურთიერთობათა ფრაგმენტების სახით. ამ ფორმის ბევრი წახნავის განვითარების არარსებობა წარმოქმნიდა ვაკუუმს, რომლის შევსება ხდებოდა თეოლოგიური კონსტრუქციებით. თეოლოგიის (როგორც ბუნებითი სამართლის ადრეული თეორიების

ნაირსახეობის) დამსახურება ისაა, რომ იგი შეეცადა ადამიანთა ბუნებრივი ურთიერთობები (კეთილგანწყობა, დახმარება, ყველას ერთიანობა და ა. შ.) განსაკუთრებული ფორმიდან გადაექცია უზოგადეს ნორმად. თეოლოგიამ შეაჩნია, რომ სწორედ ამ ურთიერთობებშია მოცემული იმის ჩანასახი, რასაც ეწოდება ბუნებითი სამართალი, კაცობრიობის ნორმატიულობა. მაგრამ მან ვერ შეძლო გადაწყვეტილების მიცემა, რადგანაც მაშინ ისტორია მხოლოდ იწყებოდა.

ბუნებითი სამართლის ცნება განჩნდა კაპიტალისტური სისტემის ჩასახვის გარიჟრაჟზე. ბაზრის სტიქიური კანონების განვითარება, საწარმოო ძალთა ინტეგრაციის პროცესების ჩასახვა და ა. შ., ინდივიდისაგან დამოუკიდებლად ხდება, მისთვის რაღაც იდუმალი კანონების მიხედვით, ბაძებს გაუცხოებული ადამიანის ურთიერთობის იდეას სამყაროსთან. მსოფლიოს გაერთიანება ხდება სპონტანურად, გაუცხოების მტკივნეულ პროცესებზე გავლით. ბუნებითი სამართლის გამოვლენის ფორმა წინააღმდეგობაშია თვით ბუნებითი სამართლის არსთან, უარყოფს ამ არსს. ამიტომ გვეჩინია, რომ მართებული, ბუნებითი, მსოფლიო წესრიგი არსებობს სადღაც გაუცხოებული ადამიანის ზურგს უკან, რომელიღაც სხვა სამყაროში. მტკიცება იმისა, რომ ამ ბუნებითი სამყაროს რეალობა ვითარდება როგორც ტრანსცენდენტული სამყარო, არის ინდივიდის (ხალხისაც კი) ფეტიშის ნაყოფი, რომელიც ჩაბმულია ამ დაუსაბამო სამყაროში. ეს დაფარული ბუნებითი სამართალი ნამდვილად წარმოგვიდგება, როგორც რაღაც ტრანსცენდენტული სამყარო, რომელიც ჩამოწოლილია კონკრეტული ინდივიდის თავზე.

ამრიგად, ორივე შემთხვევაში ბუნებითი სამართლის გამოვლენის ფორმა განსაზღვრავს ამ სამართლის გაგებისადმი მიდგომას. თეოლოგიური შეხედულება იბადება ამ ფორმის განუვითარებლობის გამო, ხოლო ფილოსოფიური შეხედულება (კანტის, ჰეგელის, შტამლერის და სხვ.) – ინდივიდის გაუცხოების განსაკუთრებული ფორმის განვითარების გამო, რაც პირდაპირ წინააღმდეგობაშია ბუნებითი სამართლის, კაცობრიობის ერ-

თიანობის არსსთნ. ამ ჭრილში უნდა განვიხილოთ ჯერარსი და არსის ურთიერთობა.

ს. სინხას მიაჩნია, რომ ბუნებითი სამართლის თეორია „ბადებს ვარაუდს, რომ ამ ღირებულებათა განვითარების პროცესი არის ავტონომიური, რომ . . . ეს პროცესი დეტერმინებულია მხოლოდ საკუთარი შინაგანი კანონებით“. ამიტომ, როგორც ავტორს მიაჩნია, „ადამიანის მხრიდან ძალისხმევა მათი (ღირებულებების – გ. ტ.) რეალიზაციისათვის უბრალოდ უადგილოა“. მისი აზრით, „ბუნებითი სამართლის ავტონომიურობის ასეთი აგებისას წევნ ისდა დაგერჩენია, რომ დაველოდოთ მათ გაშლას“. აქედან იგი აკეთებს დასკვნას: „თუ ეს ღირებულებები წადმოადგენს ისტორიული გაშლის შედეგს, მაშინ ყველა ძალისხმევა ადამიანის მხრივ მათი რეალიზაციისათვის უბრალოდ უადგილო აღმოჩნდება“

თუ გამოთქმულ აზრს გავიზიარებთ, მივიღებთ ფრიად პარადოქსულ სიტუაციას. თუ მონობა, თანასწორობა, კეთილგანწყობა, პარმონია ღმერთთან და სხვა ღირებულებანი, რასაც იმ შორეულ წლებში მოსახლეობის სხვადასხვა კლასები და ფენები აღიქვამდნენ როგორც ქცევის ეტალონებს, ავტონომიური და დეტერმინებულია საკუთარი შინაგანი კანონების მიხედვით, მაშინ ადამიანი ვერ ჩაერევა მათ რეალიზაციაში. ამრიგად, აქ ავტორი აღწერს ბუნებით სამართალს როგორც ტრანსცენდენტალურ სამყაროს, რომელიც ადამიანის გარეთ არსებობს, ვითარდება საკუთარი ავტონომიური კანონების მიხედვით. თუ ეს ღირებულებები ვითარდებიან არა ავტონომიურად, არამედ ისტორიულად, მაშინ მათი მომწიფების ლოდინი უადგილოა და მათი რეალიზაციისათვის ძალისხმევა ადამიანის მხრიდან მოკლებულია რაიმე მიზანშეწონილობას. ორივე შემთხვევაში უარყოფილია ადამიანის აქტივობა, დასტურდება ორივე სამყაროს არსებობა ადამიანის გარეთ.

ძველი ისტორიული ეპოქებისათვის ქვეყნების ერთ სამეურნეო მექანიზმად ჩამოყალიბება, ერთიანი ბაზრისაგან ნაკარნახევი ცხოვრების წესის საერთო საერთაშორისო სტანდარტები

იყო მისტიური რამ, რაც გააზრებული იყო მხოლოდ ოცნებებში, როგორც რაღაც ავტონომიური წარმონაქმნი, რომელსაც თავისი შინაგანი იდუმალი კანონები ჰქონდა. ესაა ძველების თვალსაზრისი ბუნებით სამართლზე.

ნაკლებად მისაღებია ავტორის პოზიცია მეორე საკითხშიც, რომელიც ისტორიას შეეხება. იგი გამოითქვა თანამედროვის მიერ, რომელიც ცხოვრობს ერთი ფორმაციის – კაპიტალიზმის არსებობისა და განვითარების ისტორიულ პერიოდში. მისი ისტორიულად წარმავალი ხასიათი ჯერ კიდევ არ ჩანს და ფრიად შორსაა. იქმნება ამ წყობილების მარადიულობის ილუზია. ამიტომ გასაგებია ავტორის პესიმიზმი ადამიანის ისტორიულ გარდაქმნებში მონაწილეობასთან დაკავშირებით.

ორივე შემთხვევაში ბუნებითი სამართლის ინტერპრეტირებისას ავტორი დაუსაბუთებლად უთავსებს ერთმანეთს სხვდასხვა ისტორიული დროის ბუნებითი სამართლის მდგომარეობებს. მაგრამ მნიშვნელოვანია შევნიშნოთ, რომ ბუნებითი სამართლის ტრანსცენდენტალობა წარმოქმნა მისმა განუვითარებულობამ. თუ ძველები ცხოვრობდნენ სასაქონლო წარმოების დანაწევრებულ ურთიერთობათა პერიოდის სამყაროში, რომელიც მიდიოდა მომავალი ერთიანობისაკენ, კაპიტალისტური სისტემის თანამედროვენი ცხოვრობენ დაწყებული, მხოლოდ დაწყებული გლობალიზაციის ისტორიულ პერიოდში.

ს. სინხას თეორიაში ბუნებითი სამართალი წარმოადგენს, არც მეტი, არც ნაკლები, წმინდანობის თავისებურ სარიტუალო შარავანდედს, რაც ყველას შეუძლია გამოიყენოს საკუთარი იდეოლოგიის მართებულობის დასადასტურებლად. „თუმცა არსებობს სერიოზული განსხვავება ხალხთა წესჩვეულებებს შორის, – წერს სინხა, – მათ შორის ბევრი საერთოც არის. ეს საერთო თვისებები გვეხმარება ენივერსალური ეთიკური კატეგორიების კონსტრუირებაში ისე, რომ არ ჩავეარდეთ ბუნებითი სამართლის თეორიის დოგმატიზმში“ მაგრამ იგი იქვე აღნიშნავს, რომ „ყოველთვის ერთდროულად არსებობდა ოთხი ცივილიზაცია ძველ სამყაროში და სამი ამერიკაში“, ე.

ი. არსებობდა სხვადასხვა კულტურები, რომლებმაც “შეიმუშავეს თავიანთი საკუთარი, მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი იდეები სოციალური მოწყობის შესახებ“. ამიტომ „ნებისმიერ შემთხვევაში მსოფლიოში ცივილიზაციის ნორმატიული გაუღენტა შესაბამისი კულტურისათვის არის პლურალისტული და სპეციფიური“. ეს „მრავალფეროვნება ასახავს ცდომილებათა სიმრავლეს“. ბუნებითი სამართლის თეორიას „აქვს ნებისმიერი ასეთი, დოგმატური განზოგადოებებისაკენ მიდრეკილი იდეოლოგიის უნივერსალურობის ყალბი შარავანდედით შემოსვის ტენდენცია“ და ამიტომ მას „არ გააჩნია ადექვატური კრიტიკური ამ საკითხის გადასაწყვეტად“.

ამრიგად, ს. სინხა ჩავარდა სრულ წინააღმდეგობაში: თუ ზემოთ ამტკიცებდა, რომ ‘ტრანსცენდენტული აცხადებს პრეტენზიას რეალურ არსებობაზე მისი უნივერსალურობისა და სუფთა რაციონალურობის გამო“, ე. ი. ბუნებითი სამართალი წარმოადგენს გამონაგონს, ახლა გეთაყვაზობს სრულიად საპირისპირო დასკვნას – ბუნებითი სამართლის ნორმატიული გაუღენტა „მსოფლიოში არის პლურალისტული და სპეციფიური შესაბამისი კულტურისათვის“, ე. ი. წარმოგვიდგება გარკვეულ კულტურაზე მიბმული საერთო ქცევის რეალური მოდელის სახით. ს. სინხა საკითხს მიუდგა არა როგორც ფილოსოფოსი, არამედ როგორც იურისტი და დაუშვა შეცდომა, რადგანაც ერთმანეთში აურია კატეგორია „საერთო“ და „კატეგორია“ საყოველთაო. რა დასკვნამდე მივიდა ავტორი ინტუიციურად?

არ შეიძლება არ დავეთანხმეთ ს. სინხას, რომ გარკვეული ხალხის, სოციალური ფენის ან სოციალური ჯგუფის კულტურა ნებისმიერ ისტორიულ დროში ყოველთვის ცდილობდა და ცდილობს წარმოადგინოს თავისი თვალსაზრისი როგორც საყოველთაო. სწორედ ასეთი გზით მოცემულ ჯგუფს თავისი თვალსაზრისი მიაჩნია ბუნებრივად სხვა ფენების პოზიციებთან მიმართებაში. გამონაკლისს არც კაცობრიობის განვითარების კაპიტალიისტური გზა წარმოადგენს. ამ პერიოდში მოქმედებს იგივე კანონზომიერებანი. ეს ნიშნავს, რომ ქცევის საერთო-სა-

კაცობრიო ნორმა ბუნებითი სამართლის სახით არ შეიძლება გავიგოთ პრიმიტიულად, როგორც რაღაც საშუალო, რამეთუ კვლავ აღმოვჩნდებით ტრანსცენდენტული ცნებების ხაფანგში, როლებიც მოკლებულია რეალობას და მეცნიერის გამონაგონს წარმოადგენენ. სინამდვილეში კაცობრიობის განვითარების კვალობაზე, ბუნებითი სამართლის როლი ყოველთვის იღებს თავის თავზე ეკონომიკურად უძლიერესი სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა ბლოკის სახელმწიფო ინტერესს. თავიანთი ეროვნული ინტერესების საწინააღმდეგოდ, დანარჩენი სახელმწიფოები ესწრაფვიან მონაცვლეობით მოახდინონ უძლიერესის სამართლის რეცეფიცირება თავიანთ სამართალში.

სხვათა შორის, ტრანსცენდენტულად გაგებული სამართლის ფილოსოფია მრავალ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან პრობლემაზე არ იძლევა პრაქტიკულად აუცილებელ პასუხებს. ამ პრობლემების რიცხვს განეკუთვნება ბუნებითი სამართლის რეცეფიცია კონკრეტული ხალხის სამართალში. ხალხის ბუნებითი სამართლისადმი დამოკიდებულების გააზრებისას ტრანსცენდენტულად განწყობილი მეცნიერები ყოველთვის მიიღტვიან ისტორიულად არსებული იდეალების, ნორმების, ტრადიციებისაკენ, რომელთაგანაც, მათი აზრით, უნდა წარმოქმნან ბუნებითი საწყისები ეროვნულ სამართალში. მათი მიაშიტი აზრით, ხალხის ისტორია უნდა იყოს მისი სამართლის საზომი. ამავე დროს კაპიტალიზმი ამსხვრევს ამ იდილიას და ამა თუ იმ ხალხის სამართალში ნერგავს უძლიერესი სახელმწიფოს სამართალს, ე.ი. სხვა ხალხის ისტორიას. ასეთია უძლიერესის სამართლის, როგორც ბუნებითი სამართლის, თავზე მოხვევის მტკივნეული რეალობა, როგორც ჰეგელი იტყოდა, საერთოს არსებობის რეალობა უზაგოდებობის სახით, რასაც, სამწუხაროდ კონკრეტული ქვეყნის ხალხი თავს ვერ აარიდებს.

მაგრამ რატომ არ შეუძლიათ ს. სინხას ისევე, როგორც სამართლის ფილოსოფიის თანამედროვე მკვლევარების უმრავლესობას, მთლიანად აღიარონ ბუნებითი სამართლის რეალობა და მაინც იხრებიან ბუნებითი სამართლის ტრანსცენდენტულობისაკენ?

ეს წინააღმდეგობა ბუნებითი სამართლის გაგებაში ჩადებულა თვით კაპიტალისტური საზოგადოების წინააღმდეგობრიობაში. ქცევის საერთო სტანდარტი თანამედროვე მსოფლიოში საერთაშორისო ბაზრის ზემოქმედების შედეგად სულ უფრო სტიქიურად წარმოიქმნება. ამასთან, ეს სტანდარტი საზოგადოების ზედაპირზე ვლინდება ისტორიული ფორმის სახით, სადაც ყველასაგან მიღებული სამართლებრივი ნორმები იმავდროულად არეულია მოცემული სოციალური ჯგუფის ნორმებთან: მონოპოლიების თვალსაზრისს თავს ახევენ ხალხებს, როგორც ქცევის წესს, რომელსაც თითქოს იზიარებს მთელი კაცობრიობა; ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნები გამოიმუშავენ უნივერსალური ქცევის კრიტერიუმებს სუსტად განვითარებულთათვის და ა. შ. ამიტომ, რაც უფრო ვითარდება ბუნებითი სამართლის არსებობის განსაკუთრებული ფორმა სტიქიური პროცესების პერიოდში, მით უფრო ტრანსცენდენტული გვეჩვენება იგი, როგორც თითქოს იმქვეყნიური რეალობა.

„ნორმატიული აქტების შესასწავლად, – წერს ს. სინხა, – ბუნებითი სამართლის მომხრეები მიმართავენ ისეთ მეთოდებს, როგორცაა ინსაიდი, ინტუიცია, ცხადის ჭვრეტა ანუ გონება. ეს უშუალო სიცხადის გრძნობა... შეიძლება თან ახლდეს ცდომილებასაც და მან მიიღოს იგი, როგორც ჭეშმარიტი მტკიცება. რაიმე მსჯელობის ჭეშმარიტების რწმენა საკმარისი არაა. საჭიროა სწორედ მტკიცება. რწმენა თავისთავად მტკიცება ვერ იქნება. ბუნებითი სამართლის თეორია, რწმენის გარდა, არ შეიცავს ჭეშმარიტების სხვა ობიექტურ კრიტერიუმს. ამიტომ იგი გარდუვალად არის ნებისმიერი ინტერპრეტაციის ობიექტი, რომელიც ნაკარნახევია ინსაიდით, ინტუიციით, ან თვითსიცხადით“ აქვე მოვიყვანთ კიდევ ერთ ციტატას: „თუ ბუნებითი სამართლის ნორმები დედუცირებულია აბსოლუტიზმად ერთადერთი კანონიდან, მაშინ დგება იმის აუცილებლობა, რომ ამ თეორიამ ახსნას ეს მრავალფეროვნება და უბრალოდ აღიაროს ამ მრავალფეროვნების ფაქტი“

იმის მტკიცებისას, რომ „ბუნებითი სამართლის თეორია

არ შეიცავს ჭეშმარიტების ობიექტურ კრიტერიუმს“ ძირითად არგუმენტად წარმოდგენილია ბუნებითობის დადგენის საშუალებათა ნაკლოვანებათა აღწერა. ერთი შეხედვით, ასეთი ანალიზი შეიძლება მართებულად მოგვეჩვენოს, თუ ვიმსჯელებთ მხოლოდ ამ მიმართულებით და ყურადღებას გავამახვილებთ მხოლოდ გარკვეულ ასპექტზე, სახელდობრ კი: ნორმის სამართლიანობა რომ გავიგოთ, საჭიროა ვიხლმძღვანელოთ „მარადიული კანონის“, „უმაღლესი წესრიგის“ პრინციპით. მათი შეცნობა ძალუძთ არა უბრალო ადამიანებს, არამედ მხოლოდ ნეტარებს, რომელთაც შეუძლიათ ამ „მარადიული კანონის“ ჭვრეტა, ნორმისათვის ნებისმიერი ინტერპრეტაციის მიცემა (თომა აქვინელი). რადგანაც „მარადიული კანონი“ მოუხელთებელია და შეცნობადია მხოლოდ განდობილების მიერ, გამოდის, რომ სუბიექტი გამოდის მხოლოდ საკუთარი ინტუიციიდან, თვითჭვრეტიდან, ინსაიდიდან, ე. ი. ჭეშმარიტების კრიტერიუმად განსაზღვრავს თავის თავს. რამდენადაც ობიექტური საზომი არ არსებობს, მაშინ არც ახსნა არ არის, გვაქვს აზრის გამოთქმა, ფორმების მრავალფეროვნების ჭვრეტა. იმის დამტკიცება, თუ რატომაა ნორმათა ეს რიგი ბუნებითი, ნორმათა სხვა რიგთან შედარებით, ობიექტურად შეუძლებელია, რამეთუ არ არსებობს კრიტერიუმი.

ამასთან, ამ თითქოს მართებულ მსჯელობებში დამალულია თვით ანალიზის ღრმა შეცდომა. მსგავსი მსჯელობა გვაგონებს დიდი ხნის კამათს ქიმიკში ატომის, როგორც დაუშლელი ელემენტის განსაზღვრის თაობაზე, რადგანაც არ აზუსტებდნენ, იყო თუ არა ატომი დაშლადი საერთოდ, თუ მეცნიერებას ჯერჯერობით არ გააჩნია საშუალება მის დასაშლელად. ინსაიდი, ინტუიცია ან კიდევ თვითსიცხადე, რა თქმა უნდა, ბუნებითი სამართლის წედომის ძველი ხერხებია. მაგრამ ბუნებითი სამართლის ჩაწვდომის საშუალებათა თვისებების გაიგივება თვით ბუნებითი სამართლის თვისებებთან ისეთივე უგუნურებაა, როგორც იმის მიჩნევა, რომ ხე იმდენად მაგარია, რომ მისი მოჭრა საერთოდ შეუძლებელია. საშუალების – ნაჯახის მდგომარეობა აქ მიეწერება ხეს, თუმცა ცხადია, რომ ხე ისტორიაში

არსებობდა ნაჯახის განენამდე დიდი ხნით ადრე, თანამედროვე ტექნიკის დახმარებით კი შესაძლებელია ისეთი პრობლემების გადაწყვეტა, რომელთა გადაწყვეტაც ძველი საშუალებებით წარმოუდგენელი იყო. თუ ინსაიდი ან ინტუიცია უძღურია გაგვარკვიონ ნორმების „სისწორესა“ თუ „არასისწორეში“, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ ბუნებითი სამართალი არ არსებობს. ბუნებითი სამართლის ადრეული თეორიების ანალიზისას ს. სინხას უნდა გაეთვალისწინებინა, რომ უმაღლესი დონის ბუნებითობა ანუ საერთო-საკაცობრიო ნორმატიულობა (როგორც ცივილიზაციის წესრიგის კანონი) მწიფდება ათასეულობით წლის განმავლობაში ერთმანეთს მიყოლებულ საზოგადოებრივ – ეკონომიკურ ფორმაციებში. პროგრესი მდგომარეობს იმაში, რომ კაცობრიობა თანდათანობით, ისტორიულად აშენებს ამ ბუნებით ნორმატიულობას და გაუცნობიერებლად მისდევს მას. სწორედ საერთო-საკაცობრიო გამოცდილებაში იგება ეს ნორმატიულობა. სხვადასხვა ისტორიულ ეტაპებზე ბუნებითი სამართალი ანუ საყოველთაოდ მიღებული სამართალი წარმოდგენილია იმ საერთო სურათის გარკვეული ფაგმენტებით, რისი ხილვაც შეუძლია თანამედროვეს. ბუნებითი სამართლისათვის ბუნებით სოციალურ წინაპირობათა არარსებობა უეჭველად აისახებოდა ამ სამართლის გაგებაზე. იმ სტადიაზე, როცა წარმოიქმნა ადრეული ბუნებით-სამართლებრივი თეორიები, ბუნებისა და საზოგადოების გაიგივებას ობიექტური საფუძველი ჰქონდა. ცივილიზაციის გარიჟრაჟზე მიწა, მასზე მიმაგრებული მუშაკები და ა. შ. წარმოადგენდნენ ბენებრივად წარმოშობილ წარმოების იარაღებს. ადამიანები მთლიანად ემორჩილებოდნენ ბუნებას: ინდივიდები იყოფოდნენ ბუნებრივად წარმოშობილ ადამიანთა ჯგუფებად ოჯახების, ტომების, ტომთა გაერთიანებების მიხედვით და ა.შ. მესაკუთრისა და არამესაკუთრის (მონის, ფეოდალის და ყმის) ურთიერთობა ეფუძნებოდა პირად ურთიერთობებს. მართალია, გაცვლა ნელა ვითარდებოდა, მაგრამ ძირითადად დომინირებდა წარმოება არა ბაზრისათვის, არამედ საკუთარ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. მაშინ

ყველგან ეჭვშეუვალი იყო ფაქტი, რომ წესრიგს ცხოვრებაში ამყარებს სწორედ ბუნება, რომ ადამიანი მთლიანადაა მასზე დამოკიდებული. (თვით მეფეების ჭირვეულობის, ქურუმების წყევლის, მოვლენათა აუხსნელობის შეცვლა რიტუალური წირვით და ა. შ.) ამიტომ ადრინდელი თეორიები ბუნებით სამართალს ასაბუთებდნენ ბუნების კანონთა საფუძველზე.

თავს შევიკავებთ შემდგომი ანალიზისაგან და აღვნიშნავთ, რომ წინააღმდეგობანი ს. სინხას შეხედულებებში ტიპიურია ბუნებითი სამართლის მკვლევართა უმრავლესობისათვის, რომლებიც პრობლემატიკას უდგებიან არა როგორც ფილოსოფოსები, არამედ როგორც იურისტები, ე. ი. ერთმანეთში ურევენ საერთოს და უზოგადესს, ისტორიულ თვალსაზრისს და ობიექტელის თვალსაზრისს, აიგივებენ ზედაპირზე მოცემულ მოვლენებს მათ არსთან. ამავე დროს მათ ავიწყლებათ, რომ ბუნებითი სამართლის თეორიები წარსულში წარმოიშვა, როგორც პროტესტი იურიდიული სინამდვილის წინააღმდეგ. ვედური პერიოდის ინდოელებისათვის კარგი ქცევის ნორმა – დრაჰმა არსებობს არა მმართველის დადგენილებებში, არამედ წმინდა წიგნებში – ვედებში. ჩინელებისათვის (ლაო ძი, კონფუცი და სხვ.) არსებობს ბუნებითი სამართლიანობა, რაც ხელს უწყობს ხალხის კეთილდღეობას, ხოლო იმპერატორის კაპრიზი ამ კანონს უზურპირებას უკეთებს: ტირანია, ძალადობა, შევიწროება, ნორმათა მექანიკური გამოყენება არ უწყობს ხელს ხალხის სათნო ქცევას. იმ დროის ბერძნებისათვის (არი-სტოტელე) ბუნებითი სამართლიანობა არსებობს ყველგან და არანაირად არაა დამოკიდებული ადამიანებზე. იგი იურიდიულ მიუკერძოებლობაზე უფრო მაღლა დგას. რომაელებისათვის (მ. ციცერონი) არსებობს ერთი მარადიული და უცვლელი კანონი, რომელიც ნამდვილია ყველა ქვეყნისა და დროისათვის. მისი გაუქმება შეუძლებელია. ეს კანონი არსებობს დაწერილ ნორმამდე და ამიტომ ნორმების და მართლმსაჯულების წარმოშობა უნდა ვეძებოთ ამ უზენაეს კანონში. ეს უზენაესი კანონია სამართლიანობა, რომელიც ერთია მთელი კაცობრიობისათვის.

წარმოადგენს ჭეშმარიტ გონებას, ღმერთს. შუა საუკუნეების იტალიელი მოაზროვნის (თ. აქვინელის) კონცეფციით, ბუნებითი არის ნეტარებისა და ბედნიერების მარადიული კანონი. მასში განსახიერებულია ღვთაებრივი სიბრძნე. ადამიანური კანონები სათავეს უნდა იღებდნენ ბუნებითო სამართლიდან ან ამ მარადიული კანონიდან.

შეიძლება გავაგრძელოთ ბუნებითი სამართლის თეორიების ადრინდელი კონცეფციების ჩამოთვლა, მაგრამ ეს არ შეცვლის მათ საერთო დახასიათებას. იგი იმაში მდგომარეობს, რომ ყველა მცდელობაში ჩანს ერთი იდეა, რომლის თანახმადაც არსებობს სამართლიანობის რაღაც საწყისი ანუ კაცობრიობის ქცევის ნორმები. სწორედ ის გვევლინება უზენაესი კანონის, ბუნებითი სამართლის სახით ყველა ქვეყნისა და ყველა დროისათვის. ბუნებითი სამართლის ადრეული თეორიების დამსახურება მდგომარეობს საკითხის დასმაში იმის შესახებ, რომ არსებობს ნორმატიულობა როგორც ცივილიზაციის ერთიანი წესრიგის, მისი სტრუქტურული ორგანიზაციის კანონი იმ დროში. იმ შორეულ წლებში არ შეიძლებოდა ყოფილიყო ეს ერთიანი წესრიგი. ეს მდგომარეობა მოგვიანებით, კაპიტალისტური სისტემის წარმოქმნის გარიჟრაჟზე უკვე იქნეს ობიექტურ საფუძველს საერთაშორისო სამართლის, ერთიანი ეკონომიკური ბაზრის, ქვეყნების სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური გაერთიანებების სახით და ა. შ. მაგრამ უკვე იმ შორეულ ხანებში ტირანიის, ძალადობის, შევიწროების ანტიპოლად მოიაზრებოდა კაცობრიობის ისეთი მდგომარეობა, სადაც იქნება ბუნებითი სამართლიანობა (ლაო ძი), მარადიული ნეტარება და ბედნიერება (თ. აქვინელი) და ა. შ. ბუნებით სამართლამდე ჯერ შორსაა. მაგრამ გლობალიზაცია ადამიანური სოციუმის ყველა მიმართებაში იმის მაუწყებელია, რომ ხდება ბუნებითი სამართლი ჩახახვა. ეს ბუნებითი სამართალი – კაპიტალის დაგროვების კანონთა სამართალი, რასაც ხალხი და სახელმწიფოებები გვერდს ვერ აუვლიან.

ანომიის თეორია კრიმინოლოგიასა და სამართლის სოციოლოგიაში: სოციალური ინტეგრაციისა და ნორმატიული რეგულირების პრობლემა

1. შესავალი

ანომია თანამედროვე სოციოლოგიის და, აქედან გამომდინარე, კრიმინოლოგიისა და სამართლის სოციოლოგიის უმნიშვნელოვანეს ცნებად ითვლება, თუმცა საკმაოდ წინააღმდეგობრივია მის დეფინიციასთან, წარმოშობასა და განვითარებასთან დაკავშირებული საკითხები. ანომიის კონცეფცია ფართოდ გამოიყენება როგორც თეორიულ, ასევე ემპირიულ სოციოლოგიაში. მოცემული ცნებისადმი ინტერესს და ასევე მის მრავალმხრივ მნიშვნელობას განაპირობებს თუნდაც ის ფაქტი, რომ იგი ინტენსიურად გამოიყენება ისეთი თემატურად განსხვავებული პრობლემების ანალიზისათვის, როგორებიცაა – სოციალური ევოლუცია, სამართლებრივი რეგულირება, ნორმათა ეროზია, საზოგადოების დეზორგანიზაცია, სუიციდური ფსიქოლოგია, სოციალური იზოლაცია, დევიაციური ქცევების გენეზისი, სოციალური ინტეგრაცია, პოლიტიკური ლეგიტიმირების კრიზისი, არასრულწლოვანთა დანაშაულობა, რასიზმი, ურბანიზაცია, დანაშაულობის სოციოლოგიური დასაბუთება, სოციალური ადაპტაციის სახეები, საზოგადოების სოციალური სტრუქტურისა და კულტურული ფასეულობების ურთიერთმიმართება... თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ მოცემული კონცეფცია კლასიკურ ფილოსოფიაში „ჩაისახა“ ანომია შეგვიძლია მივიჩნიოთ ინტერდისციპლინურ ცნებად, რომლის გამოყენებისა და შემდგომი დამუშავების ფარგლები გასცდა ერთი კონკრეტული მეცნიერების საზღვრებს. უშუალოდ სოციოლოგიაშიც ანომია განსხვავებული, ხშირად წინააღმდეგო-

ბრივი მნიშვნელობით გამოიყენება. ამდენად, ანომია, როგორც ფილოსოფიის, სოციოლოგიის, ფსიქოლოგიის, კრიმინოლოგიისა თუ სამართლის სოციოლოგიის ერთ-ერთი უმთავრესი კონცეფცია, მოითხოვს ფრთხილ თეორიულ ანალიზსა და ზუსტ ემპირიულ დამუშავებას. ამისათვის კი აუცილებელია ანომიის თეორიის ისტორიული განვითარების თანმიმდევრული ასახვა, მისი თანამედროვე მდგომარეობისა და სამომავლო ევოლუციის კანონზომიერებათა წარმოჩენა. მიუხედავად მრავალმხრივი და ხანგრძლივი დამუშავებისა, ანომიის ცნებას, როგორც სოციალურ მეცნიერებათა პროდუქტიულ კონცეფციას, ჯერ კიდევ არ ამოუწურავს თავისი დესკრიფციული შესაძლებლობანი, სოციალური სამყაროს სხვადასხვა პრობლემის ახლებურად წარმოჩენის, აღქმისა და რეკონსტრუქციის უნარი, რაც განაპირობებს ანომიის თეორიის „ხელახალი აღმოჩენის“ აუცილებლობას.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია ანომიის თეორიის ჩამოყალიბებისა და განვითარების ისტორიული ანალიზი, ანომიის განსხვავებული ცნებების მიმოხილვა და ურთიერთშედარება, ასევე თანამედროვე კრიმინოლოგიასა და სამართლის სოციოლოგიაში ანომიის კონცეფციის თეორიული და ემპირიული გამოყენების ძირითადი შედეგების წარმოჩენა. ნაშრომში განვითარებული იქნება ანომიის თეორიის შემდგომი დამუშავებისა და გამოყენების შესაძლო პერსპექტივები. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება მოცემული თეორიის პოტენციალის გამოყენების მიზანშეწონილობაზე პოსტსოციალისტური საზოგადოებების სოციალური სტრუქტურისა და მოცემულ საზოგადოებებში პოლიტიკურ-ეკონომიკური პრობლემების ანალიზისათვის. ამასთანავე, ანომიის თეორიის ძირითადი პრინციპები გამოყენებული იქნება ეკონომიკური თვალსაზრისით განვითარებად ქვეყნებში სამართლის მარტოოდენ სიმბოლური მოქმედების მიზეზების წარმოსაჩენად. ნაშრომში ასევე განხილული იქნება კოლექტიური ანომიის ფენომენი და მისი დაძლევის შესაძლებლობანი და ყურადღება დაეთმობა შინაარსობრივად

საწინააღმდეგო სოციალური მოვლენების – ანომიისა და იუ-რიდიზაციის ურთიერთმიმართების საკითხის წარმოჩენას.

2. ანომიის თეორიის ჩამოყალიბება

ანომია ბერძნული წარმოშობის სიტყვაა და პირდაპირი მნიშვნელობით გულისხმობს უკანონობას, კანონისა თუ ნორმების არარსებობას (anomia, anomos – „უნორმობა“). ძველი ბერძნული ფილოსოფიის კლასიკური ტექსტების შემდეგ, ანომიის ადრეული კონცეფცია საკმაოდ ინტენსიურად გვხვდება მეჩვიდმეტე საუკუნის ინგლისურენოვან თეოლოგიურ ლიტერატურაში,¹ სადაც იგი შემდეგი ორთოგრაფიით იხმარება – anomy. მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში მოცემული ტერმინი ამჯერად უკვე ფრანგულ ფილოსოფიურ და სოციოლოგიურ ლიტერატურაში დამკვიდრდა, სახეცვლილი მნიშვნელობითა და კვლავ სახეცვლილი ორთოგრაფიით – anomie.² სწორედ მოცემული ფრანგული ორთოგრაფიით გავრცელდა ტერმინი თანამედროვე სოციალურ თეორიაში,³ რაც კლასიკური სოციოლოგიის ფუძემდებლის, გამოჩენილი ფრანგი სოციოლოგის – ემილ დიურკემისა⁴ და სოციალურ მეცნიერებათა სხვადასხვა სფეროში მისი ნაშრომების ფართო რეცეფციის დამსახურებაა.

ზოგადად, უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე სოციალურ

1 Orrù, Marco: *Anomie. History and Meanings*, Boston: Allen & Unwin, 1987: 64-94.

2 Besnard, Philippe: 'Anomie' in Smelser N. J. and Baltens P. B. (eds.): *International Encyclopedia of the Social and Behavioral Sciences*, Volume 1, Amsterdam: Elsevier, 2001: 510-512, 510.

3 თუმცა, ესპანურენოვან სოციალურ თეორიაში გამოიყენება შემდეგი ორთოგრაფია: anomia. იხილეთ: Hernandez, Tosca: 'Anomia: Normas, expectativas y problemas de legitimacion social' in *Onati Proceedings*, Vol. 11, *Anomie: Norms, Expectations and Social Legitimation*, 1993: 13-23.

4 მოცემული გვარი (Durkheim) ქართულად სხვადასხვა ორთოგრაფიით იხმარება – დიურკემი, დიურკეიმი, დიურკაიმი, დიურკემი. ორიგინალურ ფრანგულ ელერადობასთან მიხედვით ქართული წარმოთქმის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად უნდა იქნეს მიჩნეული ამ უკანასკნელის გამოყენება. ამგვარივე ორთოგრაფიითაა გამოყენებული ფრანგი სოციოლოგის გვარი მისი წიგნის ქართულ თარგმანში: დიურკემი, ემილ: *სოციოლოგიის მეთოდის წესები*, (მთარგმნელი – დოდო ლაბუჩიძე-ხოფერია), თბილისი: „იანე პეტრიწი“ 2001.

მეცნიერებებში ანომია გამოიყენება ორი, მასშტაბურად განსხვავებული, მოვლენის აღსანიშნავად – სოციალური ანომია და სუბიექტური ანომია.⁵ სოციალური ანომია გულისხმობს კონკრეტულ სოციალურ სისტემებში მორალური თუ სამართლებრივი ნორმების არაეფექტიანობას, საზოგადოებრივი რეგულირების კრიზისს, კულტურული მიზნების განუსაზღვრელობას, რაც საზოგადოების რღვევას და სოციალურ დეზორგანიზაციას განაპირობებს. სუბიექტური ანომია გულისხმობს კონკრეტული ინდივიდის მდგომარეობას, როდესაც იგი ვერ ახერხებს საკუთარი მიზნების განსაზღვრასა და მათ მისაღებებას საზოგადოებრივი ფასეულობებისა და ინსტიტუციური სტრუქტურისადმი, რის შედეგადაც ადამიანი აღარ იზიარებს სოციალურ ნორმებს, მას ეუფლება სოციალური გაუცხოებისა და იზოლაციის შეგრძნება, აპათია, რაც გაუთვალისწინებელ და მძიმე პიროვნულ შედეგებს იწვევს.

არ არსებობს ანომიის კონვენციური დეფინიცია. იმდენად წინააღმდეგობრივია ანომიის ცნების გამოყენება სხვადასხვა მეცნიერების დისციპლინურ თუ ინტერდისციპლინურ ფარგლებში, რომ ხშირად პარადოქსული სიტუაცუაც იქმნება – თანამედროვე სოციალურ თეორიაში ანომია ხშირად განხილულია როგორც მნიშვნელოვანი სოციალური მიღწევების, მაგრამ, ასევე, საზოგადოებრივი ბოროტების წყარო.⁶ თუ ანომიის ეტიმოლოგიური დეფინიცია პრობლემას არ წარმოადგენს (ამ მხრივ, ათვლის წერტილად მიიჩნევა ბერძნული სიტყვა *anomos*, თავისი კონკრეტული შინაარსით), მნიშვნელოვანი სირთულეები იქმნება ამ ცნების სემანტიკური განმარტებისას: მოცემული სიტყვის კონტექსტი იცვლებოდა ყოველ ისტორიულ ეპოქაში – ძველი ბერძნული ფილოსოფიის, ძველი აღთქმის, ინგლისურენოვანი თეოლოგიის, ფრანგული სოციალური თეორიისა თუ თანამედროვე კრიმინოლოგიური სკოლების ფარგლებში ანო-

5 Marra, Realino: 'Geschichte und aktuelle Problematik des Anomiebegriffs' - *Zeitschrift für Rechtssoziologie*, Band 10 (1), 1989: 67-80, 67.

6 Orrù, Marco: 'The Ambivalence of Anomie' - in *Oñati Proceedings*, Vol. 11, *Anomic Norms, Expectations and Social Legitimation*, 1993: 49-66, 49.

მიის ცნება მუდამ განსხვავებული, ხანაც ცალსახად საწინააღმდეგო მნიშვნელობებით გამოიყენებოდა.

ბუნებრივია, ბერძნული წარმოშობის სიტყვა – ანომია – უხვადაა გამოყენებული ძველ ბერძნულ წყაროებში. ანომიის ცნებას შეხვდებით ბერძენ ტრაგიკოსთა, ისტორიკოსთა და ფილოსოფოსთა ნაწარმოებებში, ასევე ბიბლიის ბერძნულ ტექსტში. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ადრინდელ ლათინურ კულტურაში, იშვიათი გამონაკლისის გარდა, მოცემული კონცეფცია საერთოდ არ გვხვდება. მხოლოდ ძველი ბერძნული წყაროებისა და ბიბლიის ბერძნული ტექსტის ათვისების შემდეგ იწყება ანომიის ცნების გამოყენება მეთექვსმეტე და მეჩვიდმეტე საუკუნის დასაველეთ ევროპულ კულტურაში, მეტადრე – ინგლისურენოვან ფილოსოფიურ და თეოლოგიურ ლიტერატურაში.⁷ პირველად ინგლისურ ენაზე მოცემული ტერმინის გამოყენება ფიქსირდება 1589 წელს,⁸ რის შემდეგაც იგი ხშირად იხმარებოდა თეოლოგიაში საღვთო სამართლის უგულებელყოფის მნიშვნელობით. შემდგომ კი, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, ანომიის ცნება სულ უფრო იშვიათად გამოიყენებოდა. თუმცა, მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს, ხდება ანომიის კონცეფციის ხელახალი აღმოჩენა და დამკვიდრება ფრანგული ფილოსოფიის წიაღში.

გავრცელებული მოსაზრების თანახმად, საფრანგეთში განვითარებული „ახალი ანომიის კონცეფციის“ ავტორად ითვლება სოციოლოგიის ფუძემდებელი – ემილ დიურკემი. მოცემული შეხედულება იმდენად მყარადაა დამკვიდრებული, რომ იგი ეჭვსაც აღარ იწვევს თანამედროვე სოციოლოგებსა თუ კრიმინოლოგებს, რომლებიც ბრმად უთითებენ დიურკემს, როგორც მოცემული ცნების დამამკვიდრებელს თანამედროვე სოციალურ

7 Orr, Marco: 'The Ethics of Anomie: Jean-Marie Guyau and Emile Durkheim~ *The British Journal of Sociology*, Vol 34 (4), 1983: 499-518, 500.

8 Orr, Marco: *Anomie. History and Meanings*, Boston: Allen & Unwin, 1987: 66. თუმცა, სხვა გამოცემებში, ოქსფორდის ინგლისურ ლექსიკონზე დაყრდნობით, ინგლისურ ენაზე ანომიის ხმარების ათვლის წერტილად მითითებულია 1591 წელი. იხილეთ მაგალითად: Fox, Vernon: *Introduction to Criminology*, Englewood Cliffs: Prentice-Hall, 1976.

მეცნიერებებში. თუმცა, ეს უბრალოდ მცდარი შეხედულებაა, რადგანაც მოცემული კონცეფცია ფრანგულენოვან ლიტერატურაში უკვე დამკვიდრებული იყო დიურკემის მიერ ამ კონცეფციის პირველად გამოყენებამდე. სინამდვილეში, არა ემილ დიურკემი, არამედ დღეს უკვე ნაკლებად ცნობილი ფრანგი ფილოსოფოსი და სოციოლოგი – ჟან-მარი გიო არის ანომიის კონცეფციის დამამკვიდრებელი კლასიკურ სოციალურ თეორიაში. სწორედ გიომ დაიწყო მოცემული ცნების ინტენსიური დამუშავება და გამოყენება თავის ნაშრომებში, რის შემდგომაც ანომიის კონცეფცია წარმატებით აითვისა და განავრცო დიურკემმა.⁹

მიუხედავად იმისა, რომ გიო სულ რაღაც ოცდაცამეტი წლის ასაკში გარდაიცვალა, საკმაოდ პროდუქტიული იყო მისი სამეცნიერო მოღვაწეობა, რამაც ახალგაზრდა მეცნიერს საზღვარგარეთაც გაუთქვა სახელი.¹⁰ გიო ითვლება მეცნიერად, რომელმაც, კლასიკური ფილოსოფიური მოძღვრებების მოდიფიცირებისა და თანამედროვე ეთიკური თეორიის კრიტიკული ანალიზის შედეგად, ახალი სიტყვა თქვა მეცხრამეტე საუკუნის ფილოსოფიაში.

9 დამკვიდრებული მოსაზრების თანახმად, დიურკემმა პირველად გამოიყენა ანომიის კონცეფცია 1893 წელს გამოქვეყნებულ ცნობილ ნაშრომში – „სოციალური შრომის დანაწილება“ თუმცა მას ჯერ კიდევ ექვსი წლით ადრე ჰქონდა გამოყენებული მოცემული ცნება, 1887 წელს გამოქვეყნებული ჟან-მარი გიოს ნაშრომის – *L'Irréligion de l'avenir* (მომავლის არა-რელიგიურობა) განხილვისას. იხილეთ: Orr, Marco: 'The Ethics of Anomie: Jean-Marie Guyau and Emile Durkheim' – *The British Journal of Sociology*, Vol 34 (4), 1983: 499-518, 499. მოცემულ მიმოხილვაში დიურკემი განიხილავს ასევე გიოსხეულ ანომიის კლასიკურ კონცეფციას, რომელიც განვითარებულია 1885 წელს გამოცემულ გიოს ნაშრომში – *Esquisse d'une morale sans obligation ni sanction* (ესკისი მორალის შესახებ ვალდებულებისა და სანქციის გარეშე). უშუალოდ ის გარეგნობა, რომ დიურკემმა განიხილა და გამოაქვეყნა თავისი მოსაზრება გიოს ნაშრომის შესახებ, სადაც ეხმაურება გიოს მიერ გამოყენებულ ანომიის კონცეფციას, მოწმობს იმაზე, რომ მან სწორედ გიოსაგან იხესხა მოცემული ცნება. გიოს შემდეგ, ანომიის კონცეფციას სხვა ფრანგ ფილოსოფოსთა და სოციოლოგთა ტექსტებშიც შეხვედებით, მაგალითად გაბრიელ ტარდის შემოქმედებაში. თუმცა, უზომო პოპულარობისა და ავტორიტეტის გამო, მინც დიურკემს მიიჩნევენ მოცემული ცნების დამამკვიდრებლად კლასიკურ სოციალურ თეორიაში.

10 გიოს ფრანგულენოვანი ნაშრომები, 1888 წელს მისი გარდაცვალებიდან სულ მცირე ხანში, ითარგმნა და გამოქვეყნდა ინგლისურ, გერმანულ, ესპანურ და იტალიურ ენებზე. გიოს გავლენა საკმაოდ საგრძნობია ასევე ადრეულ ამერიკულ სოციოლოგიაში.

გიოს შემოქმედების მთავარი თემაა მორალის ევოლუციური თეორიის ახლებური ფორმულირება. იგი ავითარებს მოსაზრებას, რომლის თანახმადაც ეთიკის თეორია მორალს უნდა განიხილავდეს არა მხოლოდ როგორც მორალთან დაკავშირებული ფაქტების ერთობლიობას, არამედ როგორც მორალის შესახებ იდეების სისტემას. გიო აკრიტიკებს უტილიტარიზმსა და კანტისეულ ეთიკის თეორიას, რომლებიც, მისი აზრით, ვერ ახდენენ თანამედროვე მორალის სფეროს ჯეროვან ასახვას. ეთიკის უტილიტარისტული კონცეფცია ეფუძნება მარტოოდენ მატერიალური სიამოვნების პრინციპს და ყურადღებას არ აქცევს ინტელექტუალური და ესთეტიკური სიამოვნების მორალურ მნიშვნელობას. ხოლო კანტისეულ ეთიკის თეორიაში მორალური იდეების გამოყენება ხდება საზოგადოებაში მოქმედი პრაქტიკული საფუძვლების გარეშე – ეთიკის სფეროს ავტონომიის კონცეფციის განვითარებით, კანტმა უგულვებელყო თეოლოგიური მსოფლმხედველობა, რომლის მიხედვითაც ადამიანის ნება, მორალის საფუძველზე, ექვემდებარება ღვთიურ სამართალს. გიოს აზრით, კანტის მოსაზრებები ერთმანეთთან წინააღმდეგობაში მოდის, როდესაც იგი ერთდროულად ამტკიცებს ინდივიდის ავტონომიასა და მორალური სამართლის უნივერსალობას.¹¹ სწორედ ამიტომაც ცდილობს გიო ერთმანეთს შეუთავსოს უტილიტარიზმისა და კანტისეული ეთიკის ძირითადი პრინციპები და ჩამოაყალიბოს სინთეზური თეორია, რომლის მთავარი მიზანი იქნებოდა თანამედროვე მორალური თეორიის განვითარება.

გიო ამკვიდრებს მოსაზრებას, რომლის თანახმადაც ეთიკის მეცნიერება შეუძლებელია იყოს უნივერსალური; მაგრამ, ამავე დროს, მორალურ იდეებზე დაფუძნებული იდეალისტური ეთიკა შეიძლება იყოს უნივერსალური სამართლის წყარო, თუმცა – მხოლოდ ჰიპოთეტური თვალსაზრისით. ამდენად, მოვალეობისა და სანქციის ცნებები ზედმეტია თანამე-

11 Orrù, Marco: 'The Ethics of Anomie: Jean-Marie Guyau and Emile Durkheim' - *The British Journal of Sociology*, Vol 34 (4), 1983: 499-518, 502.

დროვე ეთიკური თეორიისთვის, რადგან მათ აქვთ მხოლოდ ფაქტობრივი, შემთხვევითი ხასიათი. სწორედ ეთიკური თეორიის შესახებ მსჯელობისას იყენებს გიო პირველად ანომიის ცნებას.

გიო, რომელიც კარგად იცნობდა პლატონისა და პლუტარქეს ნაშრომებს, სადაც ხშირადაა ნახმარი ანომიის ცნება, იყენებს მოცემული სიტყვის ორიგინალურ ბერძნულ ორთოგრაფიას და აღნიშნავს: „მომავლის მორალური თეორია, სხვადასხვა თვალსაზრისით, იქნება არა მარტო ავტონომიური, არამედ ანომიური.“¹² გიოსათვის ანომია წარმოადგენს არა თანამედროვე ეპოქის ბოროტებასა თუ ავადმყოფობას, არამედ მის განმასხვავებელ ნიშანს. თანამედროვე მორალური ფასეულობანი ავტონომიურია არა მარტო ადამიანური გონისაგან, არამედ იგი თავისუფალია უნივერსალური სამართლებრივი იძულებისგანაც. რელიგიური კონტროლისა და სამართლებრივი ბოჭვისგან გათავისუფლება განაპირობებს თანამედროვე მორალური ნორმების პროგრესულ ინდივიდუალიზაციას. გიოს თანახმად, კანტისეული მოძღვრება მორალის სფეროს ავტონომიურობისა და უნივერსალობის შესახებ შეიცავს ლოგიკურ წინააღმდეგობას – ის, რაც ავტონომიურია და ეფუძნება ინდივიდუალურ ნებელობას, შეუძლებელია განისაზღვრებოდეს უნივერსალური გონით, უნივერსალური სამართლებრივი იძულებით. ამდენად, გიო ერთმანეთს კი არ უპირისპირებს კანტისეულ ავტონომიურობის იდეას და ანომიის ცნებას, არამედ ცდილობს ამ უკანასკნელით შეავსოს პირველი – ინდივიდუალობა ყოველთვის ეფუძნება ზოგადი კანონისაგან თავისუფლებას, იგი უნდა იყოს ერთდროულად ავტონომიური და ანომიური. თანამედროვე ეთიკური თეორია კი უნდა დაეფუძნოს ინდივიდუალურ ინტერესებსა და ვარაიციებს და უნდა

12 Guyau, Jean-Marie: *Esquisse d'une morale sans obligation ni sanction*, Paris: Aclan, 1885: 6. მოცემული ციტატა მოყვანილია შემდეგი ნაშრომიდან: Orr, Marco: 'The Ethics of Anomie: Jean-Marie Guyau and Emile Durkheim' - *The British Journal of Sociology*, Vol 34 (4), 1983: 499-518, 503. აქ და შემდგომ, თუ მთარგმნელი მითითებული არ არის, ორიგინალური ტექსტების თარგმანი ეკუთვნის წინამდებარე ნაშრომის ავტორს.

იყოს ანომიური, რაც გულისხმობს თავისუფლებას მბოჭავი ნორმებისაგან. გიოსეული თანამედროვე ეთიკის თეორიის განმასხვავებელი ნიშანი სწორედ მისი ანომიურობაა.

თავის გვიანდელ ნაშრომში გიოთ ავითარებს რელიგიური ანომიის კონცეფციას. იგი ერთმანეთს ადარებს მის მიერ ჩამოყალიბებულ მორალური ანომიისა და რელიგიური ანომიის ცნებებს და ამტკიცებს: „იდეალური მორალის სახით ჩვენ უკვე შემოგთავაზეთ მორალური ანომიის ცნება, როგორც აპოლიქტიური, მყარი და უნივერსალური ნორმების არარსებობა. თუმცა, უფრო ღრმად ვართ დარწმუნებულნი, რომ ნებისმიერი რელიგიის იდეალი უნდა ესწრაფვოდეს რელიგიურ ანომიას – ინდივიდის გათავისუფლებას, რომლის აზროვნების თავისუფლებაც უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მისივე სიცოცხლე, და ასევე დოგმატიური რწმენის გაუქმებას, მიუხედავად მისი მრავალგვარი შენიღბვისა.“¹³ მეცნიერების პროგრესი და მის მიერ გამოძევაებული რაციონალური პრინციპების ერთობლიობა ჩაენაცვლა „ბუნებითი რელიგიების“ მოძღვრებებს, შესაბამისად, გიოს თანახმად, აუცილებელია სოციალური რეალობა დაეფუძნოს ემპირიულ დაკვირვებებს და არა მისტიკურ წარმოდგენებს. სკეპტიციზმი და პოზიტიური შემეცნება, და არა რელიგიური დოგმატიკა, განაპირობებს თანამედროვე საზოგადოებრივი დინამიკის ტრანსფორმაციას და სოციალურ ცვლილებებს. რელიგიაც ხდება ინდივიდუალური, ანომიური – ინდივიდის განვითარება აღარ ეფუძნება საერთო რელიგიურ დოგმატიკას, რომელიც საუკუნეების განმავლობაში წარმართავდა ადამიანთა თანაცხოვრებას. ანომია, გიოს აზრით, განაპირობებს არა მარტო ინდივიდთა მორალურ, არამედ რელიგიურ თავისუფლებასაც, და განსაზღვრავს მათ ავტონომიურობას უნივერსალურ ნორმათა სისტემის ზეწოლისაგან.

13 Guyau, Jean-Marie: *L'Irréligion de l'avenir*, Paris: Aclan, 1987: 323. მოცემული ციტატა მოყვანილია შემდეგი ნაშრომიდან: Orrù, Marco: 'The Ethics of Anomie: Jean-Marie Guyau and Emile Durkheim' - *The British Journal of Sociology*, Vol 34 (4), 1983: 499-518, 505-506.

ამდენად, გიოს შემოქმედებაში ანომია განიხილება როგორც მორალისა და რელიგიის სფეროში უნივერსალური, მყარი ნორმების არარსებობა, რაც ინდივიდუალური ავტონომიის, ნორმატიული ბოჭვისაგან გათავისუფლების წინაპირობაა. ამ მხრივ, ანომიას პოზიტიური მნიშვნელობა ენიჭება, იგი მიხნეულია მოვლენად, რომელიც თანამედროვე საზოგადოების იდეალური მოდელის დამკვიდრების საწინდარია, განამტკიცებს პიროვნულ თავისუფლებასა და საზოგადოებაში კონკრეტულ ინდივიდთა ორიგინალობას. გიოსათვის, მორალის ნორმები, რომლებიც განსაზღვრავენ ადამიანის ქცევებს, არიან არა ტრანსცედენტალური ხასიათის, არამედ ინდივიდუალური მნიშვნელობის, რაც იმთავითვე განსხვავდება დიურკემის მიერ განვითარებული ანომიის კონცეფციისაგან. გიოს ეთიკურ თეორიაში ანომია წარმოადგენს პოზიტიურ მოვლენას. სწორედ ეს განასხვავებს ყველაზე მეტად ანომიის მისეულ ვერსიას დიურკემისეული კონცეფციისაგან, რომელიც ანომიას ნეგატიურ, პათოლოგიურ მოვლენად წარმოაჩენს.

3. ანომიის დიურკემისეული ვერსია

ფრანგი სოციოლოგი ემილ დიურკემი მრავალი მიზეზის გამო ითვლება თანამედროვე სოციოლოგიის ფუძემდებლად, და ზოგადად – რევოლუციური სიახლეების დამნერგავად კლასიკურ სოციალურ თეორიაში. დიურკემის მოღვაწეობამ უდიდესი წვლილი შეიტანა არა მარტო სოციალური თეორიისა და მორალური ფილოსოფიის, არამედ თანამედროვე კრიმინოლოგიისა და სამართლის სოციოლოგიის განვითარებაშიც. იმ მრავალ ნოვაციასთან ერთად, რომლის დამამკვიდრებლადაც ითვლება დიურკემი თანამედროვე სოციალურ მეცნიერებებში, უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია მის მიერ დამუშავებულ სოციალური შრომის დანაწილების, მექანიკური და ორგანული სოლიდარობის, კოლექტიური ცნობიერების, სოციალური ნივთების და, რა თქმა უნდა – ანომიის კონცეფციებს.

დიურკემის უნიკალური, ორიგინალური აზროვნების ნიმუშია მის მიერ წამოყენებული თეზისი, რომლის მიხედვითაც სოციალური ფაქტები წარმოადგენენ ნივთებს. იმდენად, რამდენადაც მატერიალურ სამყაროში შესაძლებელია სოციალურ ფაქტებზე დაკვირვებების წარმოება, აუცილებელია მათი მიხევა ნივთებად. სწორედ ამის საფუძველზე შეიძლება ჩამოყალიბდეს საზოგადოებრივი პროცესების ამსახველი მეცნიერება – სოციოლოგია. დიურკემი ერთმანეთისგან განასხვავებს ნორმალურ და არანორმალურ (პათოლოგიურ) სოციალურ ფაქტებს. მისი მტკიცებით, ნორმალურია სოციალური ფაქტი, თუ მას, გარკვეული ინტენსივობით, როგორც წესი, ადგილი აქვს განსაზღვრულ საზოგადოებასა თუ სოციალურ ჯგუფში, ხასიათდება კონკრეტულ გარემოში მუდმივი არსებობითა და წარმოადგენს კოლექტიური ცხოვრების სტაბილურ ელემენტს. სოციალური ფაქტები მხოლოდ მაშინ ატარებენ არანორმალურ, პათოლოგიურ ხასიათს, როდესაც მათი შინაარსი უცნობი და განუსაზღვრელია საზოგადოებისათვის და რეალურად არ წარმოადგენენ კონკრეტული სოციალური ჯგუფისათვის მახასიათებელ, საზოგადოებაში რეგულარულად აღმოცენებად ფაქტებს.¹⁴ ამგვარად მიდის დიურკემი პარადოქსულ დასკვნამდე – დანაშაული არის ნორმალური სოციალური ფაქტი, რადგანაც მას ადგილი აქვს ნებისმიერ საზოგადოებაში, იგი იმანენტურადაა დაკავშირებული საზოგადოების შინაგან სტრუქტურასთან და ხასიათდება განსაზღვრული ინტენსივობით. დიურკემის იდეას მართლაც ინოვაციური, რევოლუციური შინაარსი ჰქონდა: როდესაც მისი თანამედროვე მეცნიერები ავითარებდნენ დანაშაულობის ბიოლოგიურ თეორიებს და ამტკიცებდნენ დანაშაულობის არანორმალურ, პათოლოგიურ ხასიათს, დიურკემი ავითარებდა დანაშაულობის ნორმალურობის კონცეფციას. მისი მტკიცებით, „დანაშაული ნორმალურია, რადგან შეუძლებელია არსებობდეს საზოგადოება, სადაც იგი

14 Raiser, Thomas: *Grundlagen der Rechtssoziologie*, Tübingen: Mohr Siebeck, 4. Auflage, 2007: 61.

არ აღინიშნება.¹⁵ დანაშაულობა მხოლოდ მაშინ ღებულობს პათოლოგიურ ხასიათს, როდესაც ირღვევა თანაფარდობა საზოგადოების შემადგენლობასა და დანაშაულებრივ ფაქტებს შორის, როდესაც დანაშაული აღწევს ისეთ ზღვარს, რომელიც არასდროს არ ახასიათებდა კონკრეტულ საზოგადოებას, რაც არღვევს მის შინაგან ინტეგრაციას. მოცემული დასკვნიდან დიურკემი მიდის პარადოქსულ მტკიცებამდე, რომლის მიხედვითაც დანაშაული არის არა მარტო ნორმალური, არამედ საზოგადოებისთვის სასარგებლო სოციალური ფაქტი: „დანაშაული უსათუოდ დაკავშირებულია ყოველი სოციალური ცხოვრების ძირითად პირობებთან და გამოდის, რომ სასარგებლოა, რადგან აღნიშნული პირობები თავის მხრივ აუცილებელია მორალისა და სამართლის ნორმალური ევოლუციისათვის.“¹⁶ დანაშაულის, როგორც სასარგებლო სოციალური მოვლენის ბუნება გამომდინარეობს იმ ორი მნიშვნელოვანი ფუნქციიდან, რომელსაც იგი ემსახურება: (1) დანაშაული განაპირობებს სოციალური ცვლილებების ევოლუციას, რამდენადაც მიუთითებს კონკრეტულ ხარვეზებზე სოციალურ სისტემაში, რომელთა გამოსწორება, რეფორმირება საზოგადოებრივ აუცილებლობას წარმოადგენს. ამდენად, დანაშაულს აქვს ინოვაციური, ადაპტაციური ფუნქცია; (2) დანაშაულის მეშვეობით შესაძლებელი ხდება საზოგადოებაში კარგი და ცუდი ქცევების ურთიერთგამიჯვნა – დანაშაულის ჩადენა განაპირობებს მის წინააღმდეგ საზოგადოების ინტეგრაციას და სოციალური სტაბილურობის მიღწევას. ამდენად, დანაშაული ხელს უწრობს სოციალურ ფასეულობათა დიფერენცირებას.¹⁷ დანაშაულის სასარგებლო ფუნქციას განსაზღვრავს ის ფაქტიც, რომ მისი მეშვეობით ხდება ინდივიდუალური ქცევების გამოვლენა, რაც ეწინააღმდეგება სოციალურ კონფორმიზმს – საზოგადოება, რომელიც

15 დიურკემი, ემილ: სოციოლოგიის მეთოდის წესები, (მთარგმნელი – დოდო ლაბუნიძე-ხოფერია), თბილისი: „იოანე პეტრიწი“ 2001: 101.

16 დიურკემი, ემილ: სოციოლოგიის მეთოდის წესები, (მთარგმნელი – დოდო ლაბუნიძე-ხოფერია), თბილისი: „იოანე პეტრიწი“ 2001: 104.

17 Giddens, Anthony: *Sociology*, 5th Edition, Cambridge: Polity Press. 2006: 797.

ეფუძნება მარტოოდენ გაბატონებულ იდეოლოგიასა და ერთ-სახოვან ფასეულობებს, წარმოადგენს რეპრესიულ სისტემას და ზღუდავს ინდივიდუალურ თავისუფლებებს; ამდენად, საზოგადოების წევრთა ქცევები, რომლებიც ცალკეულ შემთხვევაში დევიაციური ფორმითაც ვლინდება, არღვევს სოციალური კონფორმიზმის ჩარჩოებს და გარკვეულწილად გამოხატავს ინდივიდის პირად თავისუფლებასაც.¹⁸ დიურკემის თანახმად, დანაშაული იმითაცაა სოციალურად სასარგებლო, „ჯანმრთელი“ მოვლენა, რომ იგი მიუთითებს „საზოგადო ბოროტებაზე“ – დანაშაულის სტაბილური დონის სწრაფი ზრდა აუცილებელი ნიშანია კონკრეტულ სექტორში სახელმწიფოებრივი რეგულირების გააქტიურებისა და ინტენსიური სამართლებრივი ცვლილებებისათვის, რაც შეიძლება გამოიხატოს სისხლისსამართლებრივი პოლიტიკისა თუ დანაშაულობასთან ბრძოლის ფორმებისა და მეთოდების რეფორმირებაში.¹⁹ ამდენად, დანაშაული, გარკვეულწილად, სოციალური ინდიკატორის როლსაც ასრულებს და განსაზღვრავს, თუ საზოგადოებრივი ცხოვრების რომელი სექტორი საჭიროებს განსხვავებულ, ახლებურ რეგულირებას. რაციონალური სამართლებრივი ცვლილებები კი აუცილებელია სოციალური დეზორგანიზაციის, საზოგადოებრივი წესრიგისა და ფასეულობების დასაცავად, წინააღმდეგ შემთხვევაში საზოგადოება შეიძლება ანომიამ მოიცვას.

ანომიის კონცეფციის რეფორმულირებას დიურკემი 1893 წელს გამოქვეყნებულ სადოქტორო დისერტაციაში – „სოციალური შრომის დანაწილება“ – იწყებს.²⁰ მოცემული ნაშრომი წარმოადგენს დიურკემის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პროექტს, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე სოციოლოგიის განვითარებას. ნაშრომში დიურკემი ავითარებს ადამიანურ

18 Cotterrell, Roger: *Émile Durkheim: Law in a Moral Domain*, Stanford: Stanford University Press, 1999: 75.

19 Siegel, Larry J.: *Criminology*, 4th Edition, St. Paul: West Publishing, 1992: 40.

20 ვრცლად დიურკემისეული ანომიის, ასევე დიურკემის შემდგომ მოცემული ცნების ისტორიული გაუნითარების შესახებ, იხილეთ მონოგრაფია: Besnard, Philippe: *L'anomie. Ses usages et ses fonctions dans la discipline sociologique depuis Durkheim*, Paris: Presses Universitaires de France, 1987.

თანაცხოვრების, ინდივიდისა და საზოგადოების ურთიერთმიმართების, სოციალური ევოლუციის ძირითად საკითხებს და სოციალური შრომის მხარდ დანაწილებას და დიფერენცირებას საზოგადოებრივი განვითარების ძირითად, შეუქცევად პირაბად მიიჩნევს. კაპიტალისტურ სისტემაში, წარმოებისა და მოხმარების ურთიერთმიმართების, ინდუსტრიალიზაციისა და პროფესიონალიზაციის პროცესების ზეწოლის შედეგად, ყალიბდება კონკრეტული სოციალური სფეროების დიფერენცირებისა და მათი შინაგანი რეგულირების აუცილებლობა – საზოგადოებრივი ფუნქციების სპეციალიზაცია განაპირობებს განსაზღვრული ფუნქციის მქონე სოციალური სფეროების ჩამოყალიბებასა და განვითარებას. თუმცა, სოციალური შრომის დანაწილება, დიურკემის თანახმად, არ წარმოადგენს საზოგადოების „გახლეჩის“ სოციალური სისტემის რღვევის წინაპირობას, რადგანაც დიფერენცირებული სექტორები, და მაშასადამე, კონკრეტული სფეროს წარმომადგენელი ადამიანები, ურთიერთდამოკიდებულების მდგომარეობაში იმყოფებიან და სოციალური სოლიდარობის მეშვეობით ახდენენ საზოგადოებრივი ერთობის შენარჩუნებასა და განმტკიცებას.²¹ სოციალუ-

21 დიურკემის შემდგომ, თანამედროვე სოციოლოგიაშიც შრომის დანაწილება საზოგადოების ორგანიზების უმნიშვნელოვანეს წინაპირობად ითვლება. ენტონი გიდენსის თანახმად, სოციალური შრომის დანაწილება განაპირობებულობა წარმოების სისტემის დიფერენცირებით სპეციალიზებულ პროფესიებად, რის შედეგადაც ყალიბდება ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების აუცილებლობა. ნებისმიერი სახის საზოგადოება ხასიათდება შრომის დანაწილებით, მათ შორის პრიმიტიული საზოგადოებებიც, რომლებშიც როდისა თუ სტატუსის დანაწილება ადამიანებს შორის უმარტივესი ნიშნით – სქესის მიხედვით – განისაზღვრება. თუმცა, საზოგადოების განვითარებასთან ერთად, სოციალური შრომის დანაწილებაც კომპლექსურ ხასიათს ღებულობს, რაც გამოიხატება თანამედროვე სამყაროში შრომის საერთაშორისო დანაწილებით: Giddens, Anthony: *Sociology*, 5th Edition, Cambridge: Polity Press, 2006: 1014. ასევე, დიურკემისეული სოციალური შრომის დანაწილების კონცეფცია უნდა ჩაითვალოს თანამედროვე გერმანელი სოციოლოგის, ნიკლას ლუშანის მიერ აუტოპოიეტურ სოციალურ სისტემათა თეორიის ფარგლებში განვითარებული საზოგადოების ფუნქციონალური დიფერენცირების პრინციპის წინამორბედად. ლუშანის თეორიის თანახმად, თანამედროვე მსოფლიო საზოგადოება დიფერენცირებულია გლობალურ ფუნქციონალურ ქვესისტემებად (ეკონომიკა, პოლიტიკა, რელიგია, სამართალი, ხელოვნება...), რომლებიც ხასიათდებიან ინდივიდუალური სოციალური ფუნქციით, და ამდენად, წარმოადგენენ თვითრეგულირებად, თვითრეგულირებად, თვითწარმოებად

რი სოლიდარობა, რომელსაც წარმოშობს შრომის დანაწილება, დიურკემისთვის წარმოადგენს საზოგადოების განვითარებისა და სოციალური ინტეგრაციის უნიშვნელოვანეს წინაპირობას. იგი ერთმანეთისაგან განასხვავებს სოლიდარობის ორ სახეს – მექანიკურ და ორგანულ სოლიდარობას. დიურკემის აზრით, ეკონომიკურად და ინდუსტრიულად განუვითარებელი, ტრადიციული საზოგადოებები, სადაც სახეზეა შრომის დანაწილების დაბალი დონე, ხასიათდებიან მექანიკური სოლიდარობით. მსგავსი საზოგადოების წევრები ჩაბმულნი არიან ერთსაზოვან სოციალურ აქტივობაში, არ არის მკაფიოდ განსაზღვრული თითოეული ინდივიდის სოციალური, პროფესიული როლი, ინდივიდთა კერძო ინტერესებსა და მისწრაფებებს არ ეძლევა გასაქანი და ყალიბდება რეპრესიული სოციალური კონტროლის მექანიზმები, რომლის მეშვეობითაც ისჯება ყველა, ვინც არღვევს კონვენციურ კანონებს, თანაცხოვრების საერთო წესებს. საერთო კონსენსუსი და ფასეულობათა ვიწრო სისტემა განსაზღვრავს საზოგადოების წევრთა თანაცხოვრებას. მაგრამ, ეკონომიკისა და წარმოების სისტემის განვითარების, ინდუსტრიული და ტექნოლოგიური რევოლუციების კვალდაკვალ ყალიბდება ვიწრო პროფესიონალიზაციის აუცილებლობა, რაც განაპირობებს საზოგადოების წევრთა შორის სოციალური როლების დანაწილებას. სოციალური დინამიკა საფუძველს უყრის საზოგადოებაში სოციალური შრომის დანაწილებას. იქ, სადაც სახეზეა მაღალი დონის შრომის დანაწილება, ადგილი აქვს ორგანულ სოლიდარობას. ორგანული სოლიდარობის დროს, საზოგადოების წევრები, მიუხედავად სხვადასხვა სოციალურ სექტორში მოღვაწეობისა, ერთმანეთთან შეკავშირებულნი არიან ურთიერთსაჭიროების პრინციპის საფუძველზე. ინდივიდები ხდებიან ერთმანეთზე, ერთმანეთის საქმიანობაზე დამოკიდებულნი, აღიარებენ ერთმანეთის ინდივიდუალური სო-

სტრუქტურებს. ლუმანისეული საზოგადოების ფუნქციონალური დიფერენცირების კონცეფციის შესახებ, იხილეთ: Luhmann, Niklas: *Die Gesellschaft der Gesellschaft*, 2. Teilband, Frankfurt: Suhrkamp, 1998: 743.

ციალური როლისა და ფუნქციის მნიშვნელობას და, კონკრეტული სახეობის საზოგადოებრივი შრომის შესრულების ფარგლებში, განაპირობებენ საზოგადოების ევოლუციას.²²

მექანიკურ და ორგანულ სოლიდარობას დიდი მნიშვნელობა აქვს სამართლის ევოლუციისათვის – სოციალური ორგანიზების მოცემული სახეები განაპირობებენ საზოგადოებაში სამართლის განსხვავებული ფორმების ჩამოყალიბებას. დიურკემი ერთმანეთისგან გამიჯნავს სამართლის ორ ფორმას – რეპრესიულსა და რესტიტუციულ სამართალს.²³ რეპრესიული სამართალი მოქმედებს მექანიკური სოლიდარობის საფუძველზე ორგანიზებულ საზოგადოებაში, რესტიტუციული სამართალი კი ახასიათებს ორგანული სოლიდარობის ლოგიკის საფუძველზე ინტეგრირებულ საზოგადოებას. რეპრესიული სამართლის ფუნქციაა საზოგადოებაში მკაცრი სანქციების გატარება დევიაციური ქცევების პროფილაქტიკისა და დამნაშავეთა დასჯის მიზნით. რეპრესიული სამართლის მეშვეობით ტრადიციულ საზოგადოებებში ინტენსიურად ხორციელდება დამნაშავეთა ფიზიკური და მორალური დასჯის ღონისძიებები, მათთვის თავისუფლების აღკვეთა და მკაცრი ჯარიმების დაწესება. სამართლებრივი რეგულირების ფარგლები კონკრეტული გადაცდომის ჩამდენის დასჯამდე დაიყვანება. სამართლის მოცემული ფორმა ადგენს ტოტალურ კონტროლს ინდივიდთა ქმედებებზე, რაც მიზნად ისახავს საზოგადოებაში კონფორმიზმის შენარჩუნებას და ინოვაციური მოქმედებების პრევენციას. რეპრესიული სამართლის საუკეთესო მაგალითს, დიურკემის აზრით, წარმოადგენს სისხლის სამართალი. ამდენად, მექანიკური სოლიდარობის საფუძველზე ორგანიზებულ საზოგადოებებში სისხლის სამართალი სოციალური რეგულირების ძირითად ინსტრუმენტს წარმოადგენს. ორგანული სოლიდარობის საფუძველზე მოწყობილ საზოგადოებებს კი,

22 Giddens, Anthony: *Sociology*, 5th Edition, Cambridge: Polity Press, 2006: 14.

23 Cotterrell, Roger: *Émile Durkheim: Law in a Moral Domain*, Stanford: Stanford University Press, 1999: 32.

დიურკემის თანახმად, ახასიათებს სამართლის უფრო განვითარებული, მოდიფიცირებული ფორმის – რესტიტუციული სამართლის – ჩამოყალიბება. რესტიტუციული სამართლის მთავარი არსია არა ცალსახად კონკრეტული დამნაშავეის დასჯა, არამედ კანონსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად დამღვარი ზიანის ანაზღაურება, კომპენსაცია. რესტიტუციული სამართალი მიმართულია საზოგადოებაში არსებული კონკრეტული პრობლემის გამოსწორებისკენ, რაც მიზნად ისახავს სოციალური შრომის დანაწილების საფუძველზე ჩამოყალიბებული საზოგადოებრივი ინტეგრაციის განმტკიცებას. დიურკემის თანახმად, რესტიტუციული სამართლის ფორმას განეკუთვნება სამოქალაქო, კომერციული, საკონსტიტუციო, ადმინისტრაციული და საპროცესო სამართალი, სამართლის ის დარგები, სადაც არ გამოიყენება სისხლისსამართლებრივი დასჯადობის პრინციპი.²⁴ კონკრეტულ საზოგადოებაში რეპრესიული თუ რესტიტუციული სამართლის ფორმის არსებობა არის იმისი ინდიკატორი, თუ სოციალური ორგანიზების რომელ საფუძველზეა – მექანიკური თუ ორგანული სოლიდარობა – მოწყობილი კონკრეტული საზოგადოება. დიურკემის თანახმად, სოციალური ევოლუცია განაპირობებს სამართლებრივ ევოლუციასაც. ამიტომაც, ტრადიციულ, პრიმიტიულ საზოგადოებებში, რომლებიც ორგანიზებულია მექანიკური სოლიდარობის პრინციპის საფუძველზე, მოქმედებს რეპრესიული სამართალი. სოციალური კომპლექსურობის ზრდა და საზოგადოების ფუნქციონალური დიფერენცირება კი განაპირობებს სამართლის უფრო განვითარებული ფორმის – რესტიტუციული სამართლის ჩამოყალიბებას. სამართლის ევოლუციას განსაზღვრავს უშუალოდ საზოგადოების ორგანიზაციული სტრუქტურის მოდიფიცირე-

24 დიურკემისეულ სამართლის მოცემულ ტიპოლოგიას აკრიტიკებს მერთონი და ამტკიცებს, რომ რესტიტუციული სამართლის ფორმა ახასიათებს ასევე პრიმიტიულ საზოგადოებებსაც, რომლებიც მოწყობილია მექანიკური სოლიდარობის მოდელების მიხედვით, სადაც კერძოსამართლებრივი ურთიერთობები რეგულირდება რესტიტუციის პრინციპის საფუძველზე და არ ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. იხილეთ: Merton, Robert K.: 'Durkheim's Division of Labor in Society' - *American Journal of Sociology*, Vol. 40 (3), 1934: 319-328, 324.

ბა და არა ფასეულობებისა თუ მორალური წარმოდგენების ცვლილება. ამის შედეგად, სისხლისსამართლებრივი სასჯელის როლი სულ უფრო მცირდება და იგი ადგილს უთმობს საზოგადოებაში კონკრეტული პრობლემის აღმოფხვრის, გამოსწორების, კომპენსირების, სოციალურ ურთიერთობათა ბალანსის პოლიტიკას. ამდენად, თანამედროვე, ინდუსტრიულად განვითარებულ საზოგადოებებში, სოციალური რეგულირება უზრუნველყოფილია რესტიტუციული სამართლის მეშვეობით.²⁵ შესაბამისად, საზოგადოებაში მექანიური სოლიდარიობიდან ორგანულ სოლიდარიობაზე გადასვლა სოციალური ევოლუციის, რეპრესიული სამართლის ფორმის ჩანაცვლება რესტიტუციული სამართლით კი სამართლებრივი ევოლუციის ნიშანია. სოციალური პროგრესი კი, საბოლოო ჯამში, საზოგადოებრივი შრომის მზარდი დანაწილებითაა განპირობებული.

სწორედ საზოგადოებრივი შრომის დანაწილების, მექანიკური და ორგანული სოლიდარიობის შესახებ მსჯელობის დროს იყენებს დიურკემი ანომიის ცნებას. ცალკეულ შემთხვევაში შრომის დანაწილებამ შეიძლება არ წარმოშვას სოლიდარიობა, რაც შრომის არანორმალური დანაწილების ბრალია. დიურკემი ერთმანეთისგან განასხვავებს შრომის არანორმალური დანაწილების სამ სახეს – შრომის ანომიური დანაწილება (რეგულირების მოშლა შრომის დანაწილებულ სექტორებში), შრომის იძულებითი დანაწილება (ფუნქციის იძულებით დაკისრება ინდივიდებს, რაც არღვევს შრომის დანაწილების ჰარმონიას და კლასობრივი დაპირისპირების საფუძველია) და შრომის არასაკმარისი დანაწილება (ცალკეულ ინდივიდთა შრომითი საქმიანობა არასაკმარისია, იგრძნობა დიფერენცირებულ ფუნქციებს შორის კოორდინაციის ნაკლებობა).

განსხვავებით გიიოსაგან, რომელიც უნივერსალურ ნორმათაგან, საზოგადოებრივი მორალისა და რელიგიის დოგმატიკისაგან თავისუფლებასა და ანარქიულ, პროგრესულ ინდი-

25 Cotterrell, Roger: *Émile Durkheim: Law in a Moral Domain*, Stanford: Stanford University Press, 1999: 82.

ვიდუალიზაციას – ანომიას – პოზიტიურ მოვლენად მიიჩნევს, დიურკემი ამ ცნებას ცალსახად ნეგატიურ, პათოლოგიურ ფენომენად ახასიათებს.²⁶ მისთვის ანომია არის მორალის ნეგაცია. დიურკემი პირდაპირ აცხადებს: „ანომია არის წინააღმდეგობა ყოველივე მორალურთან“.²⁷ მოცემულ ნაშრომში დიურკემი სწორედ ანომიას მიიჩნევს შრომის არანორმალური დანაწილების ერთ-ერთ საფუძვლად და აყალიბებს „შრომის ანომიური დანაწილების“ კონცეფციას, რაც გამოიხატება სპეციალიზებულ სექტორებს შორის სოციალური დიფერენცირების განუსაზღვრელობასა და რეგულირების კონკრეტულ ფორმათა არარსებობაში, სხვადასხვა სოციალური ფუნქციის ერთმანეთთან თანამშრომლობისა და მათი კოორდინირებული მუშაობის მოშლაში: „თუ შრომის დანაწილება არ წარმოშობს სოლიდარობას, ეს გამომდინარეობს იქიდან, რომ ცალკეულ ორგანოებს შორის ურთიერთობები არ არის რეგულირებული, რადგანაც ისინი ანომიის მდგომარეობაში არიან“.²⁸ ამდენად, ანომია წარმოადგენს იურიდიულ და მორალურ ფენომენს, რომელიც წარმოიშობა საზოგადოებრივი რეგულირების ნორმათა არარსებობის ან არაეფექტური, არაკოორდინირებული მუშაობის შემთხვევაში და შეუძლებელს ხდის სოციალური სისტემის გამართულ ფუნქციონირებას. ანომია წარმოიშობა ასევე იმ შემთხვევაშიც, როდესაც არსებული რეგულაციური ნორმები აღარ შეესაბამებიან საზოგადოების განვითარების დონეს, ჩამორჩებიან უკვე არსებული კოლექტიური ორგანიზაციის ფორმას.²⁹ შრომის ანომიური დანაწილება იწვევს ინდუსტრიულ პრობლემებს, ეკონომიკურ დერეგულირებას, კლასო-

26 Besnard, Philippe: 'Anomie~ in Smelser N. J. and Baltens P. B. (eds.): *International Encyclopedia of the Social and Behavioral Sciences*, Volume 1, Amsterdam: Elsevier, 2001: 510-512, 510.

27 Durkheim, Émile: *The Division of Labor in Society* (translated by George Simpson). New York: Free Press, 1964: 431.

28 Durkheim, Émile: *The Division of Labor in Society* (translated by George Simpson). New York: Free Press, 1964: 368.

29 Marra, Realino: 'Geschichte und aktuelle Problematik des Anomiebegriffs~ *Zeitschrift für Rechtssoziologie*, Band 10 (1), 1989: 67-80, 69.

ბრივ დაპირისპირებას, მეცნიერების მთლიანობის რღვევასა და სოციალური სოლიდარობის მოშლას. დიურკემი ძირითადად სამ სიტუაციას გამოყოფს, რომლის დროსაც ყალიბდება ანომიის მდგომარეობა: (1) ინდუსტიული და ეკონომიკური კრიზისი, (2) მეცნიერების უკიდურესი სპეციალიზაცია, როდესაც შეუძლებელი ხდება მისი მთლიანობის შენარჩუნება და (3) ანტაგონიზმი კაპიტალსა და შრომას შორის, რასაც საზოგადოების კომერციალიზაცია და კლასობრივი დიფერენცირება იწვევს. დიურკემის თანახმად: „თუ ანომია არის ბოროტება, ეს უპირველეს ყოვლისა გამოწვეულია იმით, რომ საზოგადოებაში, რომლის ფუნქციონირება შეუძლებელია ინტეგრაციისა და რეგულირების გარეშე, იქმნება პრობლემები მის გამო. შესაბამისად, მორალური თუ იურიდიული რეგულირება აშკარად წარმოადგენს იმ სოციალურ საჭიროებას, რომელსაც უშუალოდ შეგრძნობს საზოგადოება.“³⁰ თუმცა, დიურკემი აკეთებს ოპტიმისტურ დასკვნას და ამტკიცებს, რომ ანომია გამორიცხულია, როდესაც ორგანული სოლიდარობის საფუძველზე დიფერენცირებული სოციალური სექტორები მჭიდრო კონტაქტში არიან ერთმანეთთან, რის საფუძველზე მათი შინაგანი რეგულირებაც გამართულად ხორციელდება და თითოეული შრომითი სექტორის ინდივიდუალური ფუნქციის შესრულება და მისი საყოველთაო-სასარგებლო მნიშვნელობის აღიარებაც განმსახლავრელი პირობაა ზოგადად საზოგადოების ჯანმრთელი და პროგრესული განვითარებისათვის.

დიურკემი ანომიას უკვე ახალი მნიშვნელობით იყენებს თავის მომდევნო ფუნდამენტურ ნაშრომში „თვითმკვლელობა“ რომელიც 1897 წელს გამოქვეყნდა და დღემდე ითვლება ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სოციოლოგიურ გამოკვლევად.³¹ თუ

30 Durkheim, Émile: *The Division of Labor in Society* (translated by George Simpson), New York: Free Press, 1964: 5.

31 Durkheim, Émile: *Le Suicide. Etude de sociologie*, Paris: Alcan, 1897. წინამდებარე ნაშრომში ციტირებული იქნება დიურკემის მოცემული მონოგრაფიის უახლესი ინგლისურენოვანი გამოცემა: Durkheim, Émile: *Suicide. A Study in Sociology* (translated by John A. Spaulding and George Simpson), London: Routledge, 2005.

დიურკემისეული ანომიის პირველი კონცეფცია სოციალურ ანომიას განსაზღვრავდა, „თვითმკვლელობაში“ განვითარებული ცნება ცალსახად სუბიექტურ ხასიათს ატარებს, იგი ინდივიდის შინაგან მდგომარეობასთანაა დაკავშირებული. დიურკემის მოცემული ნაშრომი წარმოადგენს თვითმკვლელობის პრობლემის პირველ მონოგრაფიულ დამუშავებას სოციოლოგიური მეთოდების გამოყენებით. დიურკემის თანამედროვე ეპოქაში, კაპიტალიზმის განვითარებისა და დრამატული სოციალურ-პოლიტიკური ცვლილებების კვალდაკვალ, ინდუსტრიული და ტექნოლოგიური პროგრესის პარალელურად, შესამჩნევი გახდა თვითმკვლელობის ფაქტების არნახული ზრდა. ფრანგი სოციოლოგი მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემული დრამატული ფაქტების დინამიკას განაპირობებს არა მარტო ინდივიდთა შინაგანი განწყობა და ფსიქიკური აშლილობა, არამედ უშუალოდ სოციალური გარემო, რომელშიაც ადამიანებს უხდებათ ცხოვრება და ის მოულოდნელი საზოგადოებრივი ცვლილებები, რომელთა მოწმენიც ხდებიან ადამიანები ყოველდღიურ ცხოვრებაში. ამდენად, ადამიანის კონკრეტული მოქმედების, მათ შორის თვითმკვლელობის, მიზეზები უნდა ვეძებოთ არა მარტო კონკრეტულ ადამიანსა და მის სულიერ მდგომარეობაში, არამედ უშუალოდ საზოგადოებაში, სოციალური ორგანიზების სტრუქტურაში.

დიურკემმა, თავისი ჰიპოთეზების ვერიფიკაციის მიზნით, შეისწავლა თვითმკვლელობის მრავალი შემთხვევა – სხვადასხვა ქვეყანაში, სხვადასხვა პერიოდის განმავლობაში, სხვადასხვა სოციალურ ჯგუფში ჩადენილი თვითმკვლელობის ფაქტები და ემპირიულ მონაცემთა ანალიზის საფუძველზე მივიდა დასკვნამდე, რომ თვითმკვლელობათა რიცხვი საგრძნობლად იზრდება სწრაფი ეკონომიკური ცვლილებების პარალელურად, მიუხედავად იმისა, ეს ეკონომიკური ცვლილებები პოზიტიურ თუ ნეგატიურ ხასიათს ატარებენ, იწვევენ საყოველთაო დეპრესიას თუ კეთილდღეობას.³² მკვეთრი სოცია-

32 Adler, Freda / Mueller, Gerhard O. W. and Laufer, William S.: *An Introduction to Crimi-*

ლური ცვლილებები, მიუხედავად მათი შინაარსისა, არღვევენ საზოგადოებაში დამკვიდრებულ სოციალურ მოლოდინთა სისტემას, ეწინააღმდეგებიან სოციალური ინტეგრაციისა და სოლიდარობის პრინციპებს, ამკვიდრებენ არასტაბილურ სოციალურ გარემოს და იწვევენ აპათიას, შინაარსს უკარგავენ საზოგადოების მარეგულირებელი ნორმატიული სისტემის ეფექტიანობას, განუსაზღვრელს ხდიან ადამიანის მოქმედებათა მიზეზებსა და შედეგებს. ამასთანავე, მხოლოდ ნეგატიური ცვლილებები, რომლებიც აუარესებენ ადამიანთა ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობას, არ იწვევენ ასეთ ვითარებას – პოზიტიური, საყოველთაო კეთილდღეობის მომტანი ცვლილებებიც განაპირობებენ სოციალური სოლიდარობის მოშლასა და ინდივიდთა გაუცხოებას, საზოგადოებრივი მომავლის განუსაზღვრელობასა და დეზორიენტაციას, ერთი სიტყვით – ანომიას, რაც იწვევს საზოგადოებაში თვითმკვლელობის ფაქტების ზრდას. დიურკემი თვითმკვლელობის მიზეზთა ასახსნელად და სხვადასხვა სახის თვითმკვლელობის სისტემატიზაციისთვის იყენებს სოციალური სოლიდარობის კონცეფციას, ასევე ინდივიდისა და საზოგადოების ურთიერთმიმართების, საზოგადოებასთან ინდივიდის კავშირის ორი განსაზღვრული ტიპის – სოციალური ინტეგრაციისა და სოციალური რეგულირების – ანალიზს. სწორედ ინდივიდის საზოგადოებასთან ინტეგრაციისა და საზოგადოების მხრიდან ინდივიდის კონტროლის, რეგულირების ხასიათი და ხარისხი განსაზღვრავს კონკრეტული ადამიანის ადგილს საზოგადოებაში, ასევე მისი ქცევების შესაძლო შინაარსს.

შესწავლილი ემპირიული მასალის ანალიზის საფუძველზე, დიურკემი განასხვავებს თვითმკვლელობის ოთხ სახეს:

ეგოისტური თვითმკვლელობა,³³ რომლის მიზეზიცაა სოციალური ინტეგრაციის დაბალი დონე. ეგოისტური თვითმკვ-

nology and Criminal Justice System, New York: McCraw-Hill, 2003: 117.

33 Durkheim, Émile: *Suicide. A Study in Sociology* (translated by John A. Spaulding and George Simpson), London: Routledge, 2005: 105.

ლელობის მსხვერპლნი ხდებიან ინდივიდები, რომლებიც იმყოფებიან საზოგადოებისაგან იზოლირების ან თვითიზოლირების პირობებში. ოჯახი წარმოადგენს ადამიანის სოციალური ინტეგრაციის ერთ-ერთ ფორმას, ამიტომაც თვითმკვლელობათარიცხვი შედარებით ნაკლებია დაოჯახებულთა შორის. დიურკემმა ერთმანეთს შეადარა კათოლიკეთა და პროტესტანტთა თვითმკვლელობის მონაცემები, რის საფუძველზეც დაასკვნა, რომ კათოლიკეთა მაღალი სოციალური ინტეგრაცია იცავს მათ თვითმკვლელობის ჩადენისაგან, ხოლო პროტესტანტთა ინდივიდუალიზმი და პირადი დამოუკიდებლობა არ აიძულებს მათ კონკრეტულ რელიგიურ კავშირში ინტეგრაციასა და არსებული წესების დაცვას, რაც მათ შორის თვითმკვლელობის შედარებით მაღალ მაჩვენებლებზეც აისახება. ომის დროს კი, როგორც წესი, საკმაოდ ნაკლებია თვითმკვლელობის რიცხვი, რადგანაც ინდივიდები ინტეგრირებულნი არიან სამშობლოს დაცვისა და გამარჯვების საერთო იდეით;³⁴

ალტრუისტული თვითმკვლელობა,³⁵ რასაც განაპირობებს კონკრეტულ სოციალურ ჯგუფში ინდივიდთა „ზედმეტი“ ზომაზე მეტი ინტეგრაცია, როდესაც ადამიანი, სოციალური კონტროლის სხვადასხვა მექანიზმისა თუ ფეტიშისტური რწმენის საფუძველზე, მზად არის კონკრეტული ჯგუფის იდეის, მიზნისა თუ დავალების მისაღწევად დათმოს საკუთარი სიცოცხლე. ალტრუისტული თვითმკვლელობის დროს ადამიანის სიცოცხლე ნებაყოფლობით ეწირება სოციალური ჯგუფის ინტერესებს, რომელიც წარმართავს მის ყოველ მოქმედებას. დიურკემი ამის მიზეზად კონკრეტულ ჯგუფში მექანიკური სოლიდარობის მაღალ დონეს მიიჩნევს. ამგვარი სახის თვითმკვლელებს წარმოადგენენ ისეთი განსხვავებული სოციალური ჯგუფის წარმომადგენლები, როგორებიც არიან თავდადებული

34 ეგოისტური თვითმკვლელობის კონცეფციის შემდგომი დამუშავების შესახებ, იხილეთ: Berk, Bernard B.: 'Macro-Micro Relationships in Durkheim's Analysis of Egoistic Suicide' - *Sociological Theory*, Vol. 24 (1), 2006: 58-80.

35 Durkheim, Émile: *Suicide. A Study in Sociology* (translated by John A. Spaulding and George Simpson), London: Routledge, 2005: 175.

სამხედროები და ფანატიკოსი ტერორისტები;

ანომიური თვითმკვლელობა,³⁶ რის მიზეზსაც წარმოადგენს სოციალური რეგულირების სისტემის მოშლა. მკვეთრი სოციალური და ეკონომიკური ცვლილებების პერიოდში, არასტაბილური საზოგადოებრივი ევოლუციის პარალელურად, ძველი ნორმატიული რეგულირების მექანიზმები ვეღარ ახერხებენ ინდივიდუალური ურთიერთობების კოორდინირებას, რაც ადამიანებში იწვევს მძლავრ სულიერ მოშლილობასა და დეზორიენტაციას. ადამიანურ თანაცხოვრებას ეცლება იურიდიული და მორალური საფუძველი, ირღვევა ბალანსი „მოთხოვნასა და მიწოდებას“ შორის, ეკარგება მნიშვნელობა გამომუშაებულ სოციალურ სტანდარტებსა და ნორმებს, ინდივიდები ვეღარ ახერხებენ ახალი სოციალური მოთხოვნილებებისა და მიზნების მისადაგებას ძველი, არაქმედითი ნორმატიული სისტემისადმი.

ფატალისტური თვითმკვლელობა,³⁷ რომელაც საფუძველად უდევს ადამიანის პესიმიზმი და მტკიცე რწმენა ბედისწერისა და მსჯავრის აუცდენლობის შესახებ. დიურკემს თვითმკვლელობის მოცემული სახე უმნიშვნელოდ ესახებოდა მისი თანამედროვე ეპოქისთვის, თუმცა, ისტორიული თვალსაზრისით, ეს პრობლემა საკმაოდ აქტუალურია. ფატალისტურ თვითმკვლელობას ადგილი აქვს საზოგადოების მხრიდან ცალკეულ ინდივიდთა ზღვარგადასული რეგულირების დროს, როდესაც სოციალური იძულების საფუძველზე ადამიანებს ეუფლებათ უძღურების გრძნობა და ეკარგებათ ყოველგვარი იმედი საკუთარი თავის გადარჩენისა. დიურკემს მაგალითად მოყავს უშვილო დედების, ფიზიკური და მორალური დესპოტიზმის მსხვერპლთა, ასევე მონების თვითმკვლელობის ფაქტები.³⁸

36 Durkheim, Émile: *Suicide. A Study in Sociology* (translated by John A. Spaulding and George Simpson), London: Routledge, 2005: 201.

37 Durkheim, Émile: *Suicide. A Study in Sociology* (translated by John A. Spaulding and George Simpson), London: Routledge, 2005: 239.

38 დიურკემი ამ შემთხვევაში ფატალისტური თვითმკვლელობის კატეგორიას იყენებს ანომიური თვითმკვლელობის შინაარსობრივად საპირისპირო ფორმად. ისევე როგორც ერთმანეთის საწინააღმდეგო შინაარსი აქვს ევოლუციურ და ალტრუისტულ

ამდენად, მოცემულ ნაშრომში დიურკემი ანომიას, მიკრო-სოციოლოგიური თეორიის სახით, დევიაციური სოციალური მოვლენის – თვითმკვლევლობების მიზეზთა ემპირიული და თეორიული ანალიზისათვის იყენებს. დიურკემის თანახმად, თვითმკვლევლობა არის სოციალური ფაქტი და მისი ახსნა შესაძლებელია მხოლოდ სხვა სოციალური ფაქტების გამოყენებით. ისეთი ინდივიდუალური, შინაგანი სუბიექტური მოვლენაც კი, როგორცაა თვითმკვლევლობა, მიჩნეულ უნდა იქნეს სოციალურ, და არა ინდივიდუალურ პრობლემად და სწორედ საზოგადოებრივ გარემოში, კონკრეტულ სოციალურ ჯგუფთან ინდივიდის მიმართებაში, უნდა ვეძებოთ მისი გამომწვევი რეალური მიზეზები. ანომიური თვითმკვლევლობის დახასიათებისას დიურკემი ერთმანეთისაგან განასხვავებს ეკონომიკურ ანომიას (რასაც იწვევს საზოგადოების ეკონომიკური სტრუქტურის ცვლილებას) და სექსუალურ ანომიას (რაც გამოწვეულია განქორწინების ინსტიტუტის შემოღებითა და ფართო გავრცელებით).³⁹ კაპიტალიზმის განვითარების შედეგად დამკვიდრებული ტექნოლოგიური, ურბანული და ინდუსტრიული ცვლილებები განაპირობებენ მოსახლეობის მომხმარებლური ინტერესების სისტემატიურ, არაპროპორციულ, პათოლოგიურ ზრდას, რაც სოციალური მიზნების განუსაზღვრელობას, უსაზღვრო მისწრაფებების ჩამოყალიბებას განაპირობებს. საზოგადოების კომოდიზაცია, ეკონომიკური პროგრესის პარალელურად, საფუძველს უყრის მზარდი მომხმარებლური ინტერესების ჩამოყალიბებას, რომელთა ლიმიტირება სულ უფრო შეუძლებელი ხდება. ინდივიდები, რომლებიც დეზორიენტირებულნი არიან სოციალური მიზნების იდენტიფიკაციის თვალსაზრისით, ექცევიან

თვითმკვლევლობებს. ზოგადად ფატალიზმისა და თვითმკვლევლობასთან მისი მიმართების შესახებ დიურკემის შემოქმედებაში, იხილეთ: Acevedo, Gabriel A.: 'Turing Anomie on its Head: Fatalism as Durkheim's Concealed and Multidimensional Alienation Theory–*Sociological Theory*, Vol. 23 (1), 2005: 75-85, 77.

39 Marks, Stephen R.: 'Durkheim's Theory of Anomie– *The American Journal of Sociology*, Vol. 80 (2), 1974: 329-363, 331; Besnard, Philippe: 'Anomie– in Smelser N. J. and Baltens P. B. (eds.): *International Encyclopedia of the Social and Behavioral Sciences*, Volume 1, Amsterdam: Elsevier, 2001: 510-512, 511.

გაუცხოების, დეზორგანიზაციისა და სოციალური ინტეგრაციის მოშლის წინების ქვეშ. ეს კი საზოგადოებაში აყალიბებს ანომიურ სიტუაციას, რადგან აღარ არსებობს განსაზღვრული სტანდარტები, ნორმები, რომლებიც აუცილებელია სოციალური მოქმედებების კოორდინირებისათვის. რამდენადაც ანომია გვევლინება თანამედროვე სამყაროში თვითმკვლელობათა გახშირების ერთ-ერთ მიზეზად, ამიტომ აუცილებელია მისი გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრა.⁴⁰ დიურკემის თანახმად, „ანომია აღმოცენდება საზოგადოების კონკრეტულ სექტორში კოლექტიური ძალების სისტემის ნაკლებობის შემთხვევაში; იგულისხმება ის სოციალური ჯგუფები, რომლებიც შექმნილია საზოგადოებრივი ცხოვრების რეგულირებისთვის“.⁴¹ აქედან გამომდინარე, სწორედ საზოგადოების რაციონალური, ფექტიანი რეგულირების მექანიზმთა განმტკიცება წარმოადგენს ანომიისაგან თავის დაღწევის საშუალებას.⁴²

40 თანამედროვე კონტექსტში თვითმკვლელობის ანალიზისათვის დიურკემის ანომიის თეორიის ემპირიული შემოწმებისა და კრიტიკის შესახებ, იხილეთ: Hamlin, Synthia Lins and Brym, Robert J.: 'The Return of the Native: A Cultural and Social-Psychological Critique of Durkheim's *Suicide* Based on the Guarani-Kaiowa of Southwestern Brasil' - *Sociological Theory*, Vol. 24 (1), 2006: 42-57. ავტორები იკვლევენ სამხრეთ-დასავლეთ ბრაზილიის პრიმიტიულ საზოგადოებას, რომელიც ხასიათდება თვითმკვლელობათა საკმაოდ მაღალი დონით და ასევე, რომ დიურკემის თეორია რამდენიმე მნიშვნელოვან ხარვეზს შეიცავს. მოცემულ ხარვეზთა დაძლევა, ავტორთა მტკიცებით, შესაძლებელია, თუ თვითმკვლელობათა ანალიზისას გაკეთდება კავშირი სოციალურ პირობებს, კულტურულ წარმოადგენებსა და ფასეულობებს და ასევე – ინდივიდუალურ მდგომარეობას შორის. ამდენად, საზოგადოებაში თვითმკვლელობის ფაქტთა გახშირების ანალიზისათვის, აუცილებელია კულტურული და სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორების გათვალისწინება.

41 Durkheim, Emile: *Suicide. A Study in Sociology* (translated by John A. Spaulding and George Simpson), London: Routledge, 2005: 350.

42 დიურკემისეული ანომიის კონცეფციისა და თვითმკვლელობის ურთიერთ-მიმართების შემდგომი დამუშავების თვალსაზრისით, საინტერესოა გამოკვლევა, რომლის მიხედვითაც თვითმკვლელობის მიზეზს წარმოადგენს უშუალოდ პიროვნების სტატუსი, მისი სოციალური მდგომარეობა, ადგილი და როლი საზოგადოებაში. იხილეთ: Powell, Elwin H.: 'Occupation, Status, and Suicide: Toward a Redefinition of Anomie' - *American Sociological Review*, Vol. 23 (2), 1958: 131-139, 132.

4. ანომიის ამერიკანიზაცია

ანომიის თეორიამ, ისევე როგორც დიურკემისეულმა მრავალმა ორიგინალურმა კონცეფციამ, განიცადა ფართო რეფერენცია ამერიკის შეერთებულ შტატებში, რეცეფციასთან ერთად – მნიშვნელოვანი ტრანსფორმაციაც. ანომიის თეორიის დამუშავება შეერთებულ შტატებში გასული საუკუნის ოცდაათიან წლებში დაიწყო, ძირითადად ჰარვარდის უნივერსიტეტში.⁴³ ანომიის კონცეფციის ანალიზსა და მის ტრანსპლანტაციას ამერიკულ სოციოლოგიურ დისკუსიებში დიდი ყურადღება დაუთმო ჰარვარდის სოციოლოგიური სკოლის ფუძემდებელმა, ტოლკოტ პარსონსმა, მეტადრე 1937 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში – სოციალური მოქმედების სტრუქტურა.⁴⁴

43 იხილეთ, მაგალითად: Mayo, Elton: *The Human Problems of the Industrial Civilization*, New York: Macmillan, 1933. მოცემულ ნაშრომში ანომიის კონცეფცია ფაქტობრივად პირველადაა გამოყენებული ამერიკულ სოციოლოგიაში, როგორც კონკრეტული მნიშვნელობის სოციოლოგიური ცნება. ნაშრომში ანომიის ცნება გამოყენებულია სოციალური ღუსორგანიზაციის შინაარსით.

44 Parsons, Talcott: *The Structure of Social Action. A Study in Social Theory with Special Reference to a Group of Recent European Writers*, 5th Printing, New York: The Free Press, 1967. მოცემული პერიოდისთვის, შეერთებულ შტატებში, სადაც არნახული მასშტაბებით ვითარდებოდა სოციოლოგია, შეიქმნა საკმაოდ დიდი კონკურენცია სოციოლოგიის სხვადასხვა ცენტრს შორის, რამაც განაპირობა ახალი სოციოლოგიური მიმართულებისა და კონცეფციების დამუშავების აუცილებლობა. ჰარვარდის სოციოლოგიურმა სკოლამ განახლებისა და განვითარების საფუძველად გამოიყენა კლასიკური ევროპული სოციოლოგიის ფუძემდებელთა, მათ შორის დიურკემის, ნაშრომები და მოცემული ნაშრომებში განვითარებული მნიშვნელოვანი კონცეფციები. ბუნებრივია – ანომიის თეორიაც. ერთგვარი „ბრძოლა პირველობისთვის“ შეიქმნებოდა შეერთებული შტატების სამ სოციოლოგიურ სკოლას – ჰარვარდის, კოლუმბიისა და ჩიკაგოს სოციოლოგიურ ცენტრებს – შორის. დიურკემის ნაშრომთა თარგმნას ძირითადად უზრუნველყოფდა კოლუმბიის უნივერსიტეტი. ჰარვარდის სოციოლოგიური სკოლა იმითაც გაემიჯნა კონკურენტ სოციოლოგიურ ცენტრებს, რომ იყენებდა ანომიის ფრანგულ ორთოგრაფიას – *anomie*, თუმცა თავად დიურკემის ნაშრომების მთარგმნელებმა მოახდინეს მოცემული ტერმინის „ორთოგრაფიული ამერიკანიზაცია“ – *anomy*. ჰარვარდის სკოლის წარმადგენელთა მოცემული გადაწყვეტილება „სტრატეგულ არჩევნად“ იქნა მიხნეული, რითაც მათ სურდაც ინტელექტუალური კავშირების შენარჩუნება სოციოლოგიის ევროპელ ფუძემდებლებთან. ინგლისურენოვან სოციოლოგიურ ლიტერატურაშიც, მიუხედავად უშუალოდ დიურკემის ტექსტების თარგმანებში ამერიკანიზებული ორთოგრაფიის (*anomy*) გამოყენებისა, დამკვიდრდა ანომიის სწორედ ფრანგული ორთოგრაფია (*anomie*).

პარსონსის მოცემული ფუნდამენტური ნაშრომი ეძღვნება თანამედროვე სოციოლოგიის ფუძემდებლების, ევროპელი მეცნიერების - პარეტოს, დიურკემისა და ვებერის - ძირითადი შრომების ანალიზსა და პოპულარიზებას შეერთებულ შტატებში. ნაშრომის საკმაოდ დიდი ნაწილი ეთმობა უშუალოდ დიურკემის სოციოლოგიის ანალიზს. პარსონსი თანმიმდევრულად მიმოიხილავს დიურკემის ძირითად ნაშრომებში განვითარებულ მოსაზრებებს, ასევე მნიშვნელოვან ყურადღებას აქცევს თავად ანომიის ცნებას და „სოციალური შრომის დანაწილებასა“ და „თვითმკვლელობაში“ მოცემული ანომიის კონცეფციების ანალიზს. პარსონსის თანახმად, სოციალური ჯგუფის წევრთა ქცევები დამოკიდებულია ნორმატიული სტრუქტურის არსებობაზე, რომელიც საზოგადოდაა დამკვიდრებული და აღჭურვილია მორალური ძალაუფლებითა და სუბორდინაციის ძალით. საზოგადოების ნორმატიული სტრუქტურა მნიშვნელოვნად ზღუდავს ინდივიდუალურ, არაკონვენციურ ქცევებს - იგი არა მარტო უბრალოდ არეგულირებს კონკრეტული მიზნის მისაღწევი საშუალების არჩევას ინდივიდის მიერ, არამედ მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს და აყალიბებს ინდივიდის მიზნებსა და სურვილებს. პარსონსი დაასკვნის: „როდესაც მაკონტროლებელი ნორმატიული სტრუქტურა მოშლილი და დეზორგანიზებულია, ინდივიდუალური ქცევაც ქაოტური და დეზორგანიზებული ხდება - ინდივიდი იკარგება უაზრო მოქმედებათა სიცარიელეში. ანომია წარმოადგენს დეზორგანიზების სწორედ იმ მდგომარეობას, როდესაც დარღვეულია ინდივიდუალურ ქცევებზე ნორმათა მოქმედების ძალა. მისი უკიდურესი გამოხატულებაა „წმინდა ინდივიდუალიზმი“ რომელიც დიურკემისთვის, ისევე როგორც პოხსისთვის, წარმოადგენს „ყველას ბრძოლას ყველას წინააღმდეგ“. კოორდინირებისა და წინააღმდეგობის ფორმა ანომიის მდგომარეობისადმი იქნებოდა „სრულყოფილი ინტეგრაცია“ რაც ორ პირობას მოიცავს - ნორმატიულ ელემენტთა ერთობლიობამ, რომელიც მართავს ქცევებს საზოგადოებაში, უნდა ჩამოაყალიბოს თან-

მიმდევრული სისტემა და მისი კონტროლი ინდივიდებზე უნდა იყოს ეფექტიანი – იგი უნდა უზრუნველყოფდეს მისდამი დამორჩილებას.⁴⁵

მოგვიანებით, სოციალურ მეცნიერებათა საერთაშორისო ენციკლოპედიაში, სტატიაში, რემელიც ეძღვნება დიურკემს, პარსონსი აღნიშნავს: „ანომია იქცა ერთ-ერთ ცნებად იმ მცირერიცხოვან, ჭეშმარიტად სოციოლოგიურ კონცეფციათაგან, რომლებიც ცენტრალური მნიშვნელობისაა თანამედროვე სოციალური მეცნიერებისთვის“.⁴⁶

ალბთ ერთ-ერთმა ყველაზე გავლენიანმა ამერიკელმა სოციოლოგმა, ტოლკოტ პარსონსმა, წარმატებით მოახერხა ანომიის თეორიის ადაპტაცია და წარდგინება შეერთებულ შტატებში, რამაც თეორიის შემდგომი განვითარება და რეფორმულირება განაპირობა. პარსონსის შემდეგ, 1938 წელს რობერტ კინგ მერტონის მიერ ამერიკის სოციოლოგიურ მიმოხილვაში გამოქვეყნებული ნაშრომი იქცა შეერთებულ შტატებში ანომიის თეორიის სამუდამო დამკვიდრებისა და შემდგომი დამუშავების ათელის წერტილად.⁴⁷ თუმცა, ანომიის რეფორმულირებისას, მერტონმა ძირითადი აქცენტი დევიაციურ ქცევათა გენერირების ახსნაზე გააკეთა, რითაც განსაზღვრა კიდევ ანომიის კონცეფციის დამკვიდრება თანამედროვე კრიმინოლოგიაში.⁴⁸

45 Parsons, Talcott: *The Structure of Social Action. A Study in Social Theory with Special Reference to a Group of Recent European Writers*, 5th Printing, New York: The Free Press, 1967: 377.

46 Parsons, Talcott: 'Durkheim, Émile~ in Sills, David L. (ed.): *International Encyclopedia of the Social Sciences*, Vol. 4, New York: MacMillan, 1968: 311-320, 316.

47 Merton, Robert K.: 'Social Structure and Anomie~ *American Sociological Review*, Vol. 3 (5), 1938: 672-682. მოცემული ნაშრომი, რომელიც ტონის მიმცემ ტექსტად იქცა გასული საუკუნის პირველი ნახევრის ამერიკულ სოციოლოგიასა და კრიმინოლოგიაში და დღემდე სარგებლობს დიდი პოპულარობით, ნაწილობრივ სახეცვლილი და გადამშავებული სახით შევიდა მერტონის წიგნში მეოთხე თავად: Merton, Robert K.: *Social Theory and Social Structure*, Enlarged Edition, Glencoe: Free Press, 1959. მოცემულ წიგნში შესულ ნაშრომს, გაგრძელების სახით, მეხუთე თავად დაემატა მერტონის ახალი ტექსტი ანომიის შესახებ: 'Continuities in the Theory of Social Structure~ 161-194. წინამდებარე ნაშრომში ციტირებისათვის გამოყენებულია მერტონის მოცემული გამოკვლევის ორივე ვარიანტი.

48 მერტონმა ჯერ კიდევ 1934 წელს გამოაქვეყნა ნაშრომი, რომელიც მიუძღვ

ნაშრომში „სოციალური სტრუქტურა და ანომია“ მერტონი არ ახდენს ანომიის კონცეფციის ზუსტ დეფინიციას. თუმცა, მერტონის ნააზრვის ანალიზი საფუძველს იძლევა განიმარტოს მისეული ანომიის ცნება, როგორც წინააღმდეგობა კულტურის მიერ განსაზღვრულ სოციალურ მიზნებსა და მოცემული მიზნების მისაღწევად არსებულ ლეგიტიმურ საშუალებებს შორის. ნებისმიერ საზოგადოებაში, კულტურისა და სოციალური ნორმების საფუძველზე, ყალიბდება განსაზღვრული სოციალური მიზნებისა და ფასეულობების სისტემა, რომლის მისაღწევაც გამოიყენება დადგენილი, ლეგიტიმური საშუალებები. როდესაც ინდივიდები ვეღარ ახერხებენ არსებული საშუალებებით ცალკეული სოციალური მიზნის მიღწევას, ხდება საზოგადოებრივად დადგენილი, ლეგიტიმირებული საშუალებების უგულებელყოფა, და მათგან გადახვევით, კონკრეტული მიზნის მიღწევისათვის ალტერნატიული საშუალებების (მათ შორის კანონის დარღვევის) გამოყენება, რაც განაპირობებს საზოგადოებაში ანომიის მდგომარეობის დამკვიდრებას. მერტონი ანომიის მიზეზს უშუალოდ საზოგადოების სოციალურ სტრუქტურაში ხედავს და პირდაპირ უკავშირებს მას დევიაციური მოქმედებების, დანაშაულობის გენეზისს.⁴⁹

ნა დიურკემის „სოციალური შრომის დანაწილების“ ანალიზს. ნაშრომში მერტონი აკრიტიკებს დიურკემისეულ დიფერენცირებას მექანიკურ და ორგანულ სოლიდარობას შორის და მოცემული დიფერენცირების შესაბამისად სამართლის ტიპოლოგიას რეპრესიულ და რესტიტუციულ ფორმებად. მერტონის თანახმად, ორგანული სოლიდარობა შეიძლება ეფუძნებოდეს ჩვეულებით ნორმებს და სულაც არ იყოს საჭირო ოფიციალური კერძოსამართლებრივი რეგულირების გამოყენება. ასევე, თანამედროვე საზოგადოებებში, სადაც ჯერ კიდევ მძლავრია მექანიკური სოლიდარობა, შეიძლება საერთოდ იგნორირებულ იქნეს სისხლისსამართლებრივი რეგულირების ფორმები. იხილეთ: Merton, Robert K.: 'Durkheim's Division of Labor in Society' *American Journal of Sociology*, Vol. 40 (3), 1934: 319-328, 327. მოცემულ ნაშრომში მერტონი ორჯერ ახსენებს ანომიას, თუმცა თავს იკავებს მოცემული ცნების ანალიზისაგან.

49 სანტერესოა ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში შეტანილი სტატია ანომიის შესახებ, რომლის ავტორია მინდია უგრეხელიძე. სტატიაში აღნიშნულია: „ანტისოციალური პროცესების ახსნას ანომიის თეორიის მიმდევრები ღამოზენ საზოგადოების „კულტურული სტრუქტურის“ სოციოლოგიური ანალიზით: მათი აზრით, ყოველი საზოგადოების „კულტურული სტრუქტურა“ შეიცავს სხვადასხვა ელემენტებს, რომელთაგან განმსაზღვრელია ამ საზოგადოებაში გაბატონებული მისწრაფებანი და მათი რეალიზაციის ნებადართული საშუალებანი (ე. წ.

კრიმინოლოგიურ ლიტერატურაში ზოგადად მიღებულია სოციოლოგიურ თეორიათა დაჯგუფება შემდეგი სამი ძირითადი მიმართულების მიხედვით – დაძაბულობის, კულტურული დევიაციისა და სოციალური კონტროლის თეორიები.⁵⁰ დაძაბულობის თეორიის (Strain Theory) თანახმად, საზოგადოების წევრები ესწრაფვიან საყოველთაოდ დადგენილ კულტურულ ფასეულობებს, რომელთაგან უმნიშვნელოვანესია ეკონომიკური წარმატების პრინციპი. რამდენადაც ეკონომიკური წარმატება დაბალი ფენის საზოგადოებებში საკმაოდ რთული მისაღწევია, ეს იწვევს სოციალური დაძაბულობის სიტუაციას და ხდება საზოგადოებაში დანაშაულობის გენეზისის მიზეზი. მერტონის თეორია სწორედ დაძაბულობის ზოგადი თეორიის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია. მერტონის თეორიაში მოცემულია ორი უმთავრესი მახვენებელი, რომელსაც ეფუძნება ყოველი საზოგადოების სოციალური სტრუქტურა – კულტურის ნორმების მიერ განსაზღვრული ფასეულობათა, სოციალური მიზნების სისტემა და მოცემულ მიზანთა მიღწევის ინსტიტუციონალიზებული, დადგენილი საშუალებები. საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენელი განსხვავებული შესაძლებლობებითაა აღჭურვილი კონკრეტული მიზნების მისაღწევად, რაც საზოგადოების დიფერენცირებას იწვევს. ადამიანები

„ინსტიტუციური ნორმები“); და როცა ხსენებულ მისწრაფებათა რეალიზაცია ამ საშუალებებით ვეღარ ხერხდება, ანომია წარმოიშობა. იგი მოასწავებს საზოგადოების „სოციალურ-კულტურულ“ რღვევას, რომლის კულმინაციაა რევოლუცია, სამოქალაქო ომი. ანომიის დროს პირებისათვის გაუფასურებულია საზოგადოებრივი ღირებულებანი, მას იპყრობს ცინიზმი, გარიყულობის, სხვათა ინტერესების უგულვბელყოფის განწყობილება. ეს კი ნიადაგს უქმნის დანაშაულობას, რაც ანომიის ერთ-ერთი მახვენებელია...“ იხილეთ: უგრეხელიძე, მინდია: „ანომია“ ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტომი 1, თბილისი, 1975: 470. მოცემულ სტატიაში ანომიის თეორია, ბუნებრივია, კრიტიკულადაა შეფასებული, იგრძნობა ის ზოგადი სექპტიციზმი, რომლითაც განმსჭვალული იყო საბჭოური იდეოლოგია „ბურჟუაზიული“ მეცნიერების თეორიული თუ პრაქტიკული ინოვაციების მიმართ, თუმცა 1975 წელს მოცემული თეორიის შესახებ მნიშვნელოვანი, უაღრესად საინტერესო და იმ პერიოდისათვის ერთობ „უცნაური“ ინფორმაციის მოწოდება „აუცილებელი იდეოლოგიური კრიტიკის“ გარეშე ალბათ შეუძლებელიც იყო.

50 Adler, Freda / Mueller, Gerhard O. W. and Laufer, William S.: *An Introduction to Criminology and Criminal Justice System*, New York: McCraw-Hill, 2003: 116.

ცდილობენ გამოქმნონ სოციალური ადაპტაციის შესაბამისი ფორმები, რათა მიაღწიონ დასახულ მიზნებს. სოციალური მიზნების მიღწევადობა განსაზღვრავს სოციალური ადაპტაციის დიფერენცირებული ფორმების ჩამოყალიბებას. მერტონი განასხვავებს სოციალური ადაპტაციის შემდეგ სახეებს – კონფორმიზმი, ინოვაცია, რიტუალიზმი, უკუქცევა და წინააღმდეგობა (Conformity, Innovation, Ritualism, Retreatism and Rebellion), რომელთაგან თითოეული განსხვავებულ დამოკიდებულებაშია კულტურულ მიზნებსა და ამ მიზნების მიღწევის ინსტიტუციონალიზებულ საშუალებებთან მიმართებაში. სწორედ ეს განსხვავებანი განსაზღვრავენ საზოგადოების კონკრეტულ ნაწილში დანაშაულობის დინამიკის ინდივიდუალურ ინტენსივობას. მოცემულ განსხვავებებს კი განაპირობებს უშუალოდ ინდივიდთა დამოკიდებულება, მათი მიმართება საზოგადოების კულტურული სტრუქტურის საფუძველზე ჩამოყალიბებულ სოციალურ მიზნებსა და მოცემულ მიზანთა მიღწევის ნებადართულ საშუალებებს შორის. თუმცა, მერტონის თანახმად, ინდივიდებს შეუძლიათ ინდივიდუალური სოციალური ადაპტაციის კონკრეტული ფორმის შეცვლა, თუ ისინი შეცვლიან საკუთარ დამოკიდებულებებს მიზნებსა და/ან საშუალებებთან მიმართებაში, რაც ინდივიდთა სოციალურ მოქმედებებზეა დამოკიდებული.⁵¹

კონფორმიზმი,⁵² მერტონის თანახმად, წარმოადგენს სოციალური ადაპტაციის იმ სახეს, რომლის დროსაც ინდივიდებისთვის საზოგადოებაში დადგენილი კულტურული მიზნების მიღწევა შესაძლებელია არსებული, ინსტიტუციონალიზებული საშუალებებით. საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილისთვის მისაღებია როგორც კონკრეტული სოციალური მიზნები, ასევე ამ მიზანთა მიღწევის ლეგალური საშუალებანი. ამდენად, სტაბილურ საზოგადოებაში კონფორმიზმი წარმოადგენს სო-

51 Merton, Robert K.: 'Social Structure and Anomie' - *American Sociological Review*, Vol. 3 (5), 1938: 672-682: 676.

52 Merton, Robert K.: *Social Theory and Social Structure*, Enlarged Edition, Glencoe: Free Press, 1959: 141.

ციალური ადაპტაციის ყველაზე ჩვეულ სახეს. საზოგადოების წევრთა უმრავლესობა სწორედ მიზნებისა და საშუალებების უეთიერთშეთავსებით ახდენს კონკრეტულ სოციალურ მოქმედებათა ინიცირებას, რაც კანონმორჩილებას და დანაშაულობის დაბალ დონეს განაპირობებს. ინდივიდების პროდუქტიული მოდერნიზაცია და ზოგადად, აქტიური სოციალური ცხოვრება, გაიგივებულია საზოგადოების კულტურული სტრუქტურით განსაზღვრული მიზნების მიღწევასთან, რასაც ისინი წარმატებით ახერხებენ მათ ხელთ არსებული ლეგალური საშუალებებით.

ინოვაცია⁵³ განეკუთვნება სოციალური ადაპტაციის იმ ფორმას, რომლის დროსაც ინდივიდისთვის მისაღებია სოციალური მიზნების სისტემა, თუმცა არა მოცემული მიზნების მიღწევის საშუალებები. ამის საფუძველზე, ინდივიდები ვერ ან არ ახდენენ ინსტიტუციური ნორმების ინტერნალიზაციას და ეძებენ ახალ საშუალებებს საზოგადოებაში დამკვიდრებული მიზნების მისაღწევად, რაც ძირითადად კანონის უგულვებელყოფასა და დევიაციური ქცევის ჩადენაში გამოიხატება. ამიტომაც, სოციალური ადაპტაციის სხვა სახეებთან შედარებით, ინოვაცია ყველაზე მეტადაა ასოცირებული კრიმინალურ ქმედებებთან. ინოვაცია ძირითადად დამახასიათებელია საზოგადოების დაბალი ფენისათვის, სადაც ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გამო, საკმაოდ რთულია კონკრეტული სოციალური მიზნების მიღწევა; თუმცა მოცემული მიზნების მიღწევა საზოგადოებაში წარმატების ძირითადი ნიშანია, სოციალურ წარმატებას კი საზოგადოების ნებისმიერი წევრი ესწრაფვის.

რიტუალიზმი⁵⁴, როგორც სოციალური ადაპტაციის დამოუკიდებელი სახე, ყალიბდება მაშინ, როდესაც ინდივიდები, კანონის პატივისცემისა და ინსტიტუციური საშუალებების

53 Merton, Robert K.: *Social Theory and Social Structure*, Enlarged Edition, Glencoe: Free Press, 1959: 141.

54 Merton, Robert K.: *Social Theory and Social Structure*, Enlarged Edition, Glencoe: Free Press, 1959: 149.

დაცვის უზრუნველსაყოფად, უარს ამბობენ კონკრეტულ სოციალურ მიზნებზე. ამდენად, სოციალური ადაპტაციის მოცემული სახის გაზიარების დროს, ინდივიდთათვის უფრო მნიშვნელოვანი ხდება საზოგადოების ნორმატიული სისტემის ინტერნალიზაცია, ვიდრე კონკრეტული მიზნების მიღწევა, რაც ლეგიტიმური საშუალებებით საკმაოდ რთულია. რიტუალიზმი, როგორც სოციალური ადაპტაციის სახე, ძირითადად ახასიათებთ კონკრეტულ რელიგიურ ჯგუფებს მათში მოქმედი ნორმატიული წესრიგის განმტკიცების სახით, ეკლესიის მსახურთ, განსაკუთრებული მისიის ორგანიზაციებს თუ გაერთიანებებს, რომლებშიაც ინსტიტუციური ნორმების დაცვასა და ნორმატიული რიტუალების აღსრულებას, და ამდენად – კანონის პატივისცემას, ენიჭება უდიდესი მნიშვნელობა კონკრეტული სოციალური ჯგუფის შინაგანი სტაბილურობისა და იდენტობის შენარჩუნებისათვის.

უკუქცევა⁵⁵ წარმოადგენს სოციალური ადაპტაციის ისეთ ფორმას, რომლის დროსაც ხდება როგორც სოციალური მიზნების, ასევე მოცემულ მიზანთა მიღწევის ინსტიტუციური საშუალებების უზუღებელყოფა. უკუქცევის, სოციალურ ცხოვრებაში „უკან დახევის“ დროს ინდივიდისთვის კულტურით განპირობებულ მიზანთა სისტემას არ აქვს არანაირი ფასეულობა, მისთვის მიუღებელია სოციალური წარმატების მიღწევის დადგენილი ფორმები. უკუქცევა განაპირობებს ინდივიდთა ასოციალიზაციას, არაპროდუქტიულ სოციალურ ცხოვრებას. ამიტომაც სოციალური ადაპტაციის მოცემული ფორმის წარმომადგენლები არიან ისინი, ვინც, ნებსით თუ უნებლიედ, რჩებიან აქტიური საზოგადოების გარეთ: ნარკომანები, ალკოჰოლიკები, ქრონიკული აუტისტები, განდგომილები, უსახლკარონი, მათხოვრები, მოხეტიალენი, ოკულტური რელიგიის წარმომადგენლები. მოცემულ ჯგუფთა წარმომადგენლებისთვის მნიშვნელობას კარგავს საზოგადოებრივი აქტივობა, კონკრეტული სოციალუ-

55 Merton, Robert K.: *Social Theory and Social Structure*, Enlarged Edition, Glencoe: Free Press, 1959: 153.

რი მიზნების მიღწევა და შესაბამისად – ინსტიტუციური ნორმების გამოყენება, რის საფუძველზეც ისინი თვითიზოლაციას მიმართავენ და ექცევიან უნუგეში აპათიის მდგომარეობაში.

წინააღმდეგობა⁵⁶ განეკუთვნება სოციალური ადაპტაციის იმ სახეს, რომელიც ყალიბდება ინდივიდთა ორმხრივი დამოკიდებულების შედეგად სოციალურ მიზნებსა და ინსტიტუციურ საშუალებებთან მიმართებაში. საზოგადოების გარკვეულ ნაწილს არ აკმაყოფილებს არც სოციალურად დამკვიდრებული ფასეულობებისა თუ მიზნების სისტემა და არც მათი მიღწევის ლეგიტიმური საშუალებები, რის გამოც ცდილობს სოციალური სტრუქტურის ახალი, ალტერნატიული მოდელის შექმნას. ამდენად, სოციალური წინააღმდეგობის საფუძველზე, კონკრეტული სოციალური ჯგუფები აყალიბებენ მიზნებისა და საშუალებების ალტერნატიულ სისტემას, რისი მიზანიცაა არსებული სოციალური სისტემის ტრანსფორმაცია. სოციალური ადაპტაციის მოცემული ფორმის პროპაგანდისტები არიან სხვადასხვა რევოლუციური თუ საპროტესტო მოძრაობების წარმომადგენლები, რომლებიც ქადაგებენ რადიკალური სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული ცვლილებების აუცილებლობას და სეკპტიკურად ეკიდებიან როგორც დამკვიდრებულ ფასეულობებს, ასევე საზოგადოების ნორმატიულ სისტემასაც.

ამდენად, მერტონის სქემის თანახმად, რომელიც მოცემულია წინამდებარე ცხრილის მეშვეობით,⁵⁷ სოციალური ადაპტაციის ისეთი ფორმები, როგორიცაა ინოვაცია, რიტუალიზმი, უკუქცევა და წინააღმდეგობა, წარმოადგენენ დევიაციურ ქცევათა გენერირების მნიშვნელოვან ფაქტორს, მაშინ, როდესაც კონფორმიზმი ხელს უწყობს საზოგადოებაში დამკვიდრებული

56 Merton, Robert K.: *Social Theory and Social Structure*, Enlarged Edition, Glencoe: Free Press, 1959: 155. სოციალური ადაპტაციის მოცემული ფორმა – წინააღმდეგობა (Rebellion) ქართულად შეიძლება ასევე ითარგმნოს, როგორც პროტესტი, აჯანყება, აღშფოთება.

57 Merton, Robert K.: 'Social Structure and Anomie' – *American Sociological Review*, Vol. 3 (5), 1938: 672-682: 676; Merton, Robert K.: *Social Theory and Social Structure*, Enlarged Edition, Glencoe: Free Press, 1959: 140.

ნორმატიული სისტემის დაცვასა და ინდივიდის ჩაბმას აქტიურ სოციალურ ცხოვრებაში. კულტურული ფასეულობების გენერალიზების შედეგად ჩამოყალიბებულ მიზნებსა და მათი მიღწევის საშუალებებს განმსაზღვრელი მნიშვნელობა ენიჭება დანაშაულობის მიზეზთა იდენტიფიკაციისათვის. მერტონის მტკიცებით, სტაბილურ საზოგადოებებში ხდება მიზნებისა და მათი მიღწევის საშუალებების დაბალანსება და ინტეგრირება, ხოლო თუ საკმაოდ დიდია ზღვარი სოციალური სისტემის მოცემულ ორ ელემენტს შორის, ვითარდება სოციალური დაძაბულობა, რაც საზოგადოებაში ანომიასა და შესაბამისად – დანაშაულობის ზრდას იწვევს.

სოციალური ადაპტაციის სახეები	კულტურული მიზნები	დადებითი საშუალებები
1. კონფორმიზმი	+	+
2. ინოვაცია	+	-
3. რიტუალიზმი	-	+
4. უკუქცევა	-	-
5. წინააღმდეგობა	±	±

თავის გვიანდელ ნაშრომში მერტონი მკაფიოდ განასხვავებს ერთმანეთისგან სოციალური (anomie) და ინდივიდუალური (anomia) ანომიის ფორმებს. მერტონის თანახმად, ინდივიდის ანომიური მდგომარეობის მიმართება სოციალური სისტემის ანომიურობასთან ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსაკუთრებულ ხასიათს ატარებს და თავისებურად განსაზღვრავს დევიაციის დონეს სხვადასხვა სოციალურ კონტექსტში.⁵⁸ გა-

58 Merton, Robert K.: 'Anomie, Anomia, and Social Interaction: Contexts of Deviant Behavior~ in Clinard, Marshall B. (ed.): *Anomie and Deviant Behavior: A discussion and Critique*, New York: Free Press, 1966: 213-242: 230. თავად მერტონის მტკიცებით, ინდივიდუალური ანომიის (anomia) იდეა პირველად დამუშავებულია ნაშრომში: Srole, Leo: 'Social Integration and Certain Corollaries: An Explanatory Study~ *American Sociological Review*, Vol. 21 (6), 1956: 709-716.

მოთქმულია ასევე მოსაზრება, რომლის თანახმადაც ერთმანეთისაგან მკვეთრად უნდა გაიმიჯნოს მერტონისეული ორი დამოუკიდებელი – დაძაბულობისა და ანომიის – თეორია. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებაში არსებული სტრუქტურული დაძაბულობა ანომიისა და დანაშაულობის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს, ანომია და სოციალური დაძაბულობა განსხვავებული მოვლენებია, შესაბამისად, მოცემული მოვლენების ამსახველი თეორიებიც დამოუკიდებელ პერსპექტივებს წარმოადგენენ.⁵⁹

მერტონის თეორიაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კულტურის ცნებას. სოციალურ ფასეულობათა სისტემის ჩამოყალიბებას, მერტონის თანახმად, განაპირობებს უშუალოდ კულტურა. ამიტომაც, მერტონი მოცემულ ფასეულობებს „კულტურულ მიზნებს“ (Culture Goals) უწოდებს. მიუხედავად იმისა, რომ მოცემულ თეორიაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება კულტურას, როგორც სოციალური მიზნების იდენტიფიკაციის ძირითად სისტემას, მერტონი ყურადღებას არ აქცევს კულტურას, როგორც სოციალურ მოქმედებათა წარმმართველ ფაქტორს, რისი მეშვეობითაც, საზოგადოების სხვადასხვა სექტორში, ინდივიდუალური კულტურული თავისებურებების გათვალისწინებით, ყალიბდება სოციალურ მოქმედებათა განსხვავებული სისტემები, საზოგადოებასთან ურთიერთქმედების თავისებური მექანიზმები, რაც განსხვავებულ ხასიათს ღებულობს სხვადასხვა კულტურულ ჯგუფში. ამდენად, კულტურა, ერთი მხრივ აყალიბებს სოციალური მიზნების სისტემას, მაგრამ მეორე მხრივ განსაზღვრავს ინდივიდუალურ სოციალურ მოქმედებათა შინაარსსა და ფორმას. მერტონი იყენებს მაკროკულტურის კონცეფციას, რომელიც განსაზღვრავს სოციალურ ფასეულობათა ზოგად სისტემას, თუმცა მას ყურადღების გარეშე რჩება მიკროკულტურული ზეგავლენის ფაქტორი, რომელიც ზემოქმედებს ინდივიდთა სოციალური ადაპტაციის,

59 Featherstone, Richard and Deflem, Mathieu: 'Anomie and Strain: Context and Consequences of Merton's Two Theories' - *Sociological Inquiry*, Vol. 73 (4), 2003: 471-489.

სოციალურ მოქმედებათა გენერირებისა და საზოგადოებრივ ფასეულობებთან კონკრეტული ინდივიდისა თუ სოციალური ჯგუფის მიმართების პროცესებზე. კულტურა განსაზღვრავს საზოგადოების ფასეულობათა, სოციალური მიზნების სისტემას, მაგრამ ამავე დროს მოცემული სისტემისადმი ინდივიდთა მიმართებასაც. სწორედ ამითი უნდა აიხსნას ის პარადოქსული სიტუაცია, როდესაც ერთი კონკრეტული სოციალური ჯგუფის წარმომადგენლები, რომლებიც ესწრაფვიან იდენტურ კულტურულ მიზნებს და გააჩნიათ მოცემული მიზნების მიღწევის იდენტური საშუალებები, შეიძლება იყვნენ ასოცირებულნი მერტონისეული სოციალური ადაპტაციის ხუთივე ფორმასთან (კონფორმიზმი, ინოვაცია, რიტუალიზმი, უკუქცევა, წინააღმდეგობა). ამითვე უნდა აიხსნას ის გარემოებაც, რომ კონკრეტულმა ადამიანმა, სხვადასხვა ეტაპზე, შეიძლება თვითიდენტიფიკაცია მოახდინოს სოციალური ადაპტაციის სხვა, ახალ ფორმასთან. აქედან გამომდინარე, სწორედ ინდივიდუალური კულტურული დამოკიდებულებები განაპირობებენ ინდივიდთა მიმართებას სოციალურ კულტურული ფასეულობებისადმი.

მერტონის თეორიას მნიშვნელოვანი კრიტიკა ხვდა წილად რადიკალური კრიმინოლოგიის სკოლის წარმომადგენლებისაგან, რომელთა მტკიცებითაც მერტონი ახდენს დამნაშავეთა იდენტიფიკაციას მხოლოდ საზოგადოების ქვედა ფენებში, დაბალ კლასში, რადგანაც არსებული სოციალური მიზნებისა და მოცემული მიზნების მიღწევის ლეგალური საშუალებების ინტეგრირება სწორედ დაბალი კლასის პრობლემაა. ამის გამო კი, მოცემული თეორიის მეშვეობით, შეუძლებელი ხდება საზოგადოების წარმატებულ ფენებში დამნაშავეთა იდენტიფიცირება. დღესდღეობით დანაშაულობა საკმაოდ გავრცელებული ფენომენია საზოგადოების ელიტარულ, წარმატებულ ნაწილში, ასევე ხელისუფლების წარმომადგენელთა წრეშიც, რაც საგან-

გებო ტერმინითაც აღინიშნება – „თეთრსაყელოიანი დანაშაულობა“ (White-Collar Crime),⁶⁰ თუმცა მერტონის თეორია საზოგადოების მოცემულ ფენაში დამნაშავეთა იდენტიფიკაციის ნაკლებ შანსს იძლევა. მერტონის თეორია გაკრიტიკებულ იქნა სუბკულტურათა თეორიის პერსპექტივიდანაც, რომლის მიხედვითაც არ არსებობს უნიფიცირებულ ფასეულობათა, საყოველთაო კულტურულ ღირებულებათა ერთიანი სისტემა. საზოგადოება შედგება მრავალი სოციალური ჯგუფისაგან, რომელსაც საკუთარი, ინდივიდუალური კულტურული ღირებულებანი და მიზნები გააჩნია. მოცემული თეორიის მიხედვით, დანაშაულობას წარმოშობს სწორედ კულტურული განსხვავებანი, ყოველი სუბკულტურის თავისთავადობა და ანტაგონისტური დამოკიდებულება სხვა სუბკულტურასთან, და არა ერთიანი კულტურული მიზნების განსხვავებული მიღწევადობა საზოგადოების სხვადასხვა ფენაში.⁶¹ მერტონი გაკრიტიკებულ იქნა ასევე სოციალური მიზნების ერთიანი სისტემის ხელოვნური და არა ემპირიული სურათის შექმნის გამო. მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ემპირიული თვალსაზრისით სოციალური მიზნის სტრუქტურა შედგება ორი ნაწილისაგან – სურვილი (რაც დამოუკიდებელია ინდივიდის სოციალური მდგომარეობისაგან) და მოლოდინი (რასაც განსაზღვრავს ინდივიდის სოციალური მდგომარეობა). საზოგადოების წევრები შესაძლოა იზიარებდნენ საერთო მიზნებს ზოგადი სურვილების დონეზე, რაც გამოიხატება მატერიალური წარმატების თუ სხვადასხვა სოციალური პრივილეგიის მოპოვების სურვილში. თუმცა, საზოგადოების შიგნით არსებობს დიფერენცირებული დამკვიდრებული სურვილებისადმი, რასაც განაპირობებს კონკრეტულ სოციალურ ჯგუფში დამკვიდრებული მოლოდინების გან-

60 „თეთრსაყელოიანი დანაშაულობის“ ანალიზის შესახებ ანლიზის თეორიის პერსპექტივის გამოყენებით, იხილეთ: Waring, Elin / Wisburd, David and Chayet, Ellen: 'White-Collar Crime~ in Adler, Freda and Laufer, William S. (eds.): *The Legacy of the Anomie Theory*, New Brunswick: Transaction Publishers, 1995: 207-225.

61 Adler, Freda / Mueller, Gerhard O. W. and Laufer, William S.: *An Introduction to Criminology and Criminal Justice System*, New York: McCraw-Hill, 2003: 124.

სხვაეგებულები შინაარსი – ინდივიდის სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი განსაზღვრავს მის სტაბილურ დამოკიდებულებას კონკრეტული სურვილებისადმი, მაშასადამე, უყალიბებს ინდივიდს მისი სოციალური სტატუსის შესაბამის, და არა საზოგადოების ყველა წევრისათვის საერთო მიზნების სისტემას.⁶²

5. ძირითადი განსხვავებანი ანომიის თეორიის დიურკემისა და მერტონისეულ ვერსიებს შორის

დიურკემისა და მერტონის თეორიებს ბევრი რამ განსხვავებს ერთმანეთისაგან. ეს ბუნებრივიცაა, რამეთუ ანომიის უკვე კლასიკურად ქცეული თეორიების ავტორები განსხვავებულ კულტურულ და ისტორიულ ეპოქებში მოღვაწეობდნენ, რამაც განაპირობა ორი განსხვავებული, ნაწილობრივ საწინააღმდეგო აქცენტების შემცველი თეორიის განვითარება.⁶³ თავად მერტონი, მიუხედავად იმისა რომ საკმაოდ ახლოს იცნობდა დიურკემის შემოქმედებას, გახმაურებულ ნაშრომში „სოციალური სტრუქტურა და ანომია“ მხოლოდ ერთხელ ახსენებს დიურკემს და საერთო ჯამში სრულიად განსხვავებული მიმართულებით ავითარებს თავის თეორიას, აძლევს რა მას კონკრეტულ დანიშნულებას, რაც მდგომარეობს საზოგადოებაში დევიაციური ქცევების გენერირების ახსნასა და სოციალური სტრუქტურის ანალიზში. ამ თვალსაზრისით, მკვლევართა ნაწილი მიიჩნევს, რომ მერტონმა მოახდინა დიურკემისეული ანომიის კონცეფციის „დეკუმანიზაცია“⁶⁴ რითაც მოცემული სოციალური

62 Albrecht, Peter-Alexis: *Kriminologie: Eine Grundlegung zum Strafrecht*, München: Verlag C. H. Beck, 2005: 32.

63 მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ანომიის თეორიების განვითარებამ განსხვავებულ სოციალურ კონტექსტში განაპირობა ანომიის ცნების კონცეპტუალური დიფერენციაცია და კლასიკური ანომიის კონცეფციის ანტიანომიების ჩამოყალიბება. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვან გამოკვლევას წარმოადგენს: Ritsert, Jürgen: 'Die Antinomien des Anomiekonzepts- Soziale Welt, Band 20 (2), 1969: 145-162.

64 Horton, John: 'The Dehumanization of Anomie and Alienation: A Problem in the Ideology of Sociology- in *The British Journal of Sociology*, Vol. 15 (4), 1964: 283-300.

მდგომარეობა დაუკავშირა საზოგადოების სტრუქტურულ ანალიზს და დააშორა ინდივიდუალურ საწყისებს.

ანომიის მოცემულ ორ თეორიას, უპირველეს ყოვლისა, განასხვავებს მიზნებისა და მათი მიღწევის საშუალებებისადმი არაერთგვაროვანი დამოკიდებულება. დიურკემის თეორიაში, ანომიის მდგომარეობის ჩამოყალიბების თვალსაზრისით, ძირითადი აქცენტი კეთდება სოციალური მიზნების განუსაზღვრელობასა და მათი ლიმიტირების შეუძლებლობაზე. დიურკემისტოვის პრობლემას წარმოადგენს უშუალოდ სოციალური მიზნების არარსებობა, განუსაზღვრელობა, თანამედროვე ადამიანში პათოლოგიური მომხმარებლური ფსიქოლოგიის ზრდა, რაც საბოლოო ჯამში სოციალურ გაუცხოებასა და დესტრუქციულ პროცესებს იწვევს. მერტონის თეორიაში კი პირიქით, კონკრეტულადაა განსაზღვრული სოციალური მიზნების სისტემა, თუმცა პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ საზოგადოების ცალკეული ფენის წარმომადგენლებს არ აქვთ არსებული, კულტურულად დამკვიდრებული მიზნების მიღწევის შესაძლებლობა ლეგალური, ინსტიტუციონალიზებული საშუალებების მეშვეობით, რის საფუძველზეც ისინი ცდილობენ ალტერნატიული გზების გამონახვას, რაც საბოლოო ჯამში დევიაციურ ქცევებს განაპირობებს. ამდენად, მერტონის თანახმად, ანომიას წარმოშობს არა კულტურული მიზნების განუსაზღვრელობა, არამედ თანაფარდობის არარსებობა სოციალური მოქმედებების მიზნებსა და სასურველ შედეგებს შორის.⁶⁵

დიურკემისტოვის ანომია არის ცალსახად არანორმალური, პათოლოგიური ფენომენი, რაც გამოიხატება საზოგადოებრივი შრომის არანორმალურ, ანომიურ დანაწილებაზე და სოციალური სტრუქტურის მოშლაში. მერტონისათვის ანომია წარმოადგენს ნორმალურ, თუმცა უარყოფითი შინაარსის მოვლენას, რომელის აღმოცენება მოსალოდნელია ყოველ ინდუსტრიულ საზოგადოებაში, რაც გამოწვეულია უშუალოდ საზოგადოებაში არსებული კულტურული მიზნების მიღწევის განსხვავე-

65 Orrù, Marco: *Anomie. History and Meanings*, Boston: Allen & Unwin, 1987: 121.

ბული შესაძლებლობებით.⁶⁶ ამდენად, მერტონი ანომიის აღმოცენების შესაძლებლობას ხედავს ნებისმიერ საზოგადოებაში, რასაც სოციალური სტრუქტურის განსხვავებული ორგანიზება განაპირობებს. ნებისმიერ საზოგადოებაში, განსხვავებული დროით, ადგილი აქვს ინოვაციური სოციალური ადაპტაციის ფორმის გამოყენებას, რაც დევიაციური ქცევების გენერირებას განაპირობებს.

დიურკემი ანომიის აღმოცენებას უკავშირებს საზოგადოების მზარდ ინდუსტრიალიზაციას, კომერციალიზაციასა და ეკონომიკის სისტემის პროგრესს, რასაც საზოგადოების ორგანიზებაში გაუთვალისწინებელი კორექტივები შეაქვს და იწვევს მოულოდნელ, არაპროგნოზირებად სოციალურ ცვლილებებს. მერტონი კი დევიაციური ქცევების გენერირებას სოციალური წარმატების იდეალში, „ამერიკულ ოცნებაში“⁶⁷ ხედავს, რაც დამკვიდრებული კულტურული მიზნების სახით ზეწოლას ახდენს ინდივიდზე და აიძულებს მას ნებისმიერი ფორმით მიაღწიოს საზოგადოებრივ წარმატებას. „ამერიკული ოცნებით“ განსაზღვრული წარმატება კი ძირითადად ეკონომიკურ კეთილდღეობასა და მატერიალურ პროგრესში, ძალაუფლების მოხვეჭასა და მაღალი სოციალური მდგომარეობის მოპოვებაში გამოიხატება.

დიურკემის თეორიაში ინდივიდი არის უნუგეშო, პასიური არსება, რომელსაც, საზოგადოებრივი დეზორგანიზების პირობებში, უჭირს თვითიდენტიფიკაცია, იპყრობს აპათია და თვითიზოლირებისა თუ სოციალური გაუცხოების საბაბით, მიმართავს უკიდურეს ზომებს, მათ შორის თვითმკვლელობას. მერტონის თეორიაში ინდივიდი არის აქტიური, მატერიალურ წარმატებას მისწრაფებული არსება, რომელსაც არ აკმაყოფი-

66 Passas, Nikos: 'Theorising in the Anomie Tradition: Durkheim, Merton and Beyond' in *Oñati Proceedings*, Vol. 11, *Anomie: Norms, Expectations and Social Legitimation*, 1993: 25-48, 28.

67 მერტონის თეორიის ფარგლებში დამუშავებული „ამერიკული ოცნებისა“ და დანაშაულობის ურთიერთმიმართების საკითხის შესახებ, იხილეთ: Rosenfeld, Richard and Messner, Steven F.: 'Crime and the American Dream: An Institutional Analysis' - in Adler, Freda and Laufer, William S. (eds.): *The Legacy of the Anomie Theory*, New Brunswick: Transaction Publishers, 1995: 159-181.

ლებს სოციალური მიზნების მიღწევის დადგენილი ფორმები და საკუთარი კეთილდღეობისთვის მიმართავს ალტერნატიულ, მათ შორის დევიაციურ საშუალებებს. დიურკემის თეორიაში ადამიანი არის ანომიის მსხვერპლი, მერტონის თეორიაში კი ანომიას შეუძლია ადამიანი ჩამოაყალიბოს ანტი-სოციალურ სუბიექტად, დამნაშავედ.

მოცემულ ორ თეორიას შორის საგრძნობი განსხვავებაა ასევე ნორმებთან მიმართებაშიც: ანომიის დიურკემისეულ ვერსიაში სოციალურ პრობლემას წარმოშობს ნორმათა არარსებობა, განუსაზღვრელობა, ნორმათა უკმარობა, არასაკმარისი და არაეფექტიანი სამართლებრივი რეგულირება. მერტონის თეორიაში კი ნორმები მოცემული და ინსტიტუციონალიზებულია, არსებობს თანმიმდევრულად ჩამოყალიბებული ნორმათა სისტემა, რომელსაც საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი (კონფორმისტული სოციალური ადაპტაციის პირობებში) საკმაოდ პროდუქტიულადაც იყენებს. დიურკემის თეორიაში ანომიას წარმოშობს ნორმათა არარსებობა, მერტონის თეორიაში კი – არსებული ნორმების მეშვეობით კულტურული მიზნების მიღწევის განსხვავებული შესაძლებლობანი.

მიუხედავად მნიშვნელოვანი განსხვავებებისა, დიურკემისა და მერტონის თეორიებს ერთი უმნიშვნელოვანესი მსგავსებაც ახასიათებთ – მოცემული თეორიების მიხედვით ანომია წარმოადგენს ნეგატიურ სოციალურ ფენომენს, საზოგადოებრივი დეზორგანიზაციისა და დეზორიენტაციის ნიშანს, რასთანაც ბრძოლა აუცილებელია ჯანსაღი სოციალური ევლუციისა და საზოგადოებრივი პროგრესის მიღწევისათვის და, რა თქმა უნდა – დევიაციური ქცევების შემცირებისათვის.⁶⁸ ორივე თეორიის მიხედვით ანომიის ძირითადი ნიშანია საზოგადოებაში სოციალური კონტროლის მექანიზმების მოშლა, კონვენციური ნორმებისა და ფასეულობათა სისტემის შესუსტება და

68 უფრო დაწვრილებით, კრიმინოლოგიური თვალსაზრისით დიურკემისა და მერტონის თეორიების ურთიერთმიმართების შესახებ, იხილეთ: Ortmann, Rüdiger: *Abweichendes Verhalten und Anomie. Entwicklung und Veränderung abweichendes Verhaltens im Kontext der Anomietheorie von Durkheim und Merton*, Freiburg: Edition Iuscrim, 2000; 106-115.

სახოგადობრივად დამკვიდრებული სტანდარტების რღვევა.⁶⁹ „დიურკემის აზრით დერეგულირება აყალიბებს უსაზღვრო მიზნებს; მერთონის მტკიცებით კი – უსაზღვრო მიზნები იწვევენ დერეგულირებას. შედეგი კი ორივე შემთხვევაში იგივეა: დევიაციის მაღალი დონე“.⁷⁰

განხილული კონცეპტუალური წინააღმდეგობების გამო, თანამედროვე სოციალურ თეორიაში გამოთქმულია ასევე კრიტიკული მოსაზრება, რომლის თანახმადაც ანომიის ცნება წარმოადგენს უბრალო დეკორაციას, რომელსაც არათუ საწინააღმდეგო მნიშვნელობებით, არამედ ხშირად კონკრეტული მნიშვნელობის გარეშეც კი, სრულიად „უაზროდ“ და უშინაარსოდ იყენებდნენ სამეცნიერო ლიტერატურაში.⁷¹ ანომიის თეორიის კრიტიკული ანალიზი სწორედ მოცემული კონცეფციის უზომო პოპულარობამ და სხვადასხვა სოციალური პრობლემის ასახვას ნელადა მისმა ფართო გამოყენებამ განაპირობა, რაც, ანომიის თეორიის კრიტიკოსთა აზრით, ხშირად მისი კოგნიტიური თვისებებისა და დესკრიფციული პოტენციალის გათვალისწინების გარეშე ხდებოდა, და რამაც, ცალკეულ შემთხვევაში, განაპირობა ანომიის კონცეფციის მხოლოდ დეკორაციული მიზნით გამოყენება.⁷²

თუმცა, სწორედ სხვადასხვა დისციპლინურ ფარგლებში და განსხვავებული სოციალური მოვლენების ანალიზის მიზნით ანომიის კონცეფციის წარმატებული გამოყენება უნდა ჩაითვალოს მოცემული თეორიული კონსტრუქციის ძლიერ და არა სუსტ მხარედ. ამას კი ცხადყოფს სოციალურ პრობლემათა ის ფართო სპექტრი, რომლის ანალიზისათვის, სხვადასხვა

69 Passas, Nikos: 'Theorising in the Anomie Tradition: Durkheim, Merton and Beyond~ in *Oñati Proceedings*, Vol. 11, *Anomie: Norms, Expectations and Social Legitimation*, 1993: 25-48, 30.

70 Downes, D. and Rock, P.: *Understanding Deviance: A guide to the Sociology of Crime and Rule-Breaking*, Oxford: Clarendon Press, 1982: 102.

71 Besnard, Philippe: 'The True Nature of Anomie~ *Sociological Theory*, Vol. 6, 1988: 91-95, 91.

72 Besnard, Philippe: 'The True Nature of Anomie~ *Sociological Theory*, Vol. 6, 1988: 91-95, 94.

სოციალური მეცნიერების ფარგლებში, ანომიის პერსპექტივა პროდუქტიულად იქნა ათვისებული და გამოყენებული აქტუალური ემპირიული თუ თეორიული საკითხების დასამუშავებლად.

6. ანომიის თეორიის გავლენა თანამედროვე სოციალურ მეცნიერებაზე

დიურკემისა და მერტონის თეორიებმა მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონიეს თანამედროვე კრიმინოლოგიისა და სამართლის სოციოლოგიის განვითარებაზე. თუმცა, ანომიის თეორიის გავლენა თავდაპირველად განსაკუთრებით საგრძნობი იყო კრიმინოლოგიურ ლიტერატურაში. გასული საუკუნის 50-60-იან წლებში მერტონის მიერ ჩამოყალიბებული და მისი მიმდევრების მიერ განვითარებული ანომიის თეორია ერთ-ერთი დომინირებული პერსპექტივა იყო დასავლეთის ქვეყნებში სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის მობილიზებისა და დანაშაულობის თავიდან აცილების ღონისძიებების წარმართვისათვის. მაგრამ, უკვე 70-იანი წლებიდან თეორია კარგავს დომინირებულ პოზიციას და ადგილს უთმობს ახალ კრიმინოლოგიურ მიმართულებებს. თუმცა, კრიმინოლოგიაში აქტუალობის დაკარგვასთან ერთად, ანომიის თეორია სულ უფრო პოპულარული ხდება სამართლის სოციოლოგიაში.

უკვე გასული საუკუნის 50-იან წლებში წარმოებს ანომიის „ფსიქოლოგიზირება“ რაც განაპირობა მოცემული ცნების გამოყენებამ ისეთი ინდივიდუალური გრძნობების ანალიზისათვის, როგორცაა დაუცველობა, უნდობლობა, წუხილი. ანომიის ცნების საფუძველზე შემუშავებული ფსიქოლოგიური ცხრილებისა თუ გრაფიკების მეშვეობით ფსიქოლოგები ცდილობდნენ გაეზომათ საზოგადოებაში არსებული პესიმიზმისა და ინდივიდუალური კონტროლის მოშლილობის დონეები. ამ მხრივ, ანომიის ფსიქოლოგიური ცნების განვითარებისა და კონკრე-

ტული მანქანებლებით მისი გაზომვისათვის ნოვატორული მნიშვნელობა იქონია ლეო სროულის მიერ შექმნილმა საგანგებო სკალამ.⁷³ ამ პერიოდშივე ჩნდება „ანომიური ინდივიდის“ კონცეფცია, რომლის თანახმადაც პიროვნების განვითარება საზოგადოებრივი იზოლაციის პირობებში უარყოფით ზემოქმედებას ახდენს მის სოციალიზაციაზე.⁷⁴ ფსიქოლოგები ანომიის კონცეფციას სოციოლოგებსაც კი ეცილებოდნენ და ამტკიცებდნენ, რომ ანომია წარმოადგენს ინდივიდუალურ, ადამიანის შინაგანი არსებისთვის მახასიათებელ ფენომენს, ამდენად, მხოლოდ ფსიქოლოგიური მეთოდების გამოყენებით შეიძლება ინდივიდში ანომიური მდგომარეობის აღმოჩენა და დამარცხება. ანომიის სოციოლოგიური ცნება კი, ფსიქოლოგთა მტკიცებით, დესკრიფციული და კონცეპტუალური სისუსტით გამოირჩევა და ვერ აკმაყოფილებს აუცილებელ თეორიულ თუ ემპირიულ მოთხოვნებს. ინდივიდის ანომიური მდგომარეობა წარმოიშევა ურთიერთობების, კომუნიკაციის, სოციალური განათლების აკრძალვის შემთხვევაში. თავის მხრივ, აკრძალვა ატარებს ინტელექტუალურ, ფსიქოლოგიურ ან ფიზიკურ ხასიათს. ამდენად, მცემული პრობლემის, როგორც პათოლოგიური ინდივიდუალური მდგომარეობის იდენტიფიკაციისა და აღმოფხვრისათვის აუცილებელია ინტენსიური ფსიქოლოგიური მუშაობა.⁷⁵

ანომიის თეორიამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი სოციალური ფსიქოლოგიის განვითარებასაც. ინდივიდისა და საზო-

73 Srole, Leo: 'Social Integration and Certain Corollaries: An Explanatory Study~ *American Sociological Review*, Vol. 21 (6), 1956: 709-716. სროულის თანახმად, ინდივიდში ანომიური მდგომარეობის წარმოშობას იწვევს მისი წარმოდგენები, რომელთა მიხედვითაც: (1) საზოგადოების ლიდერებსა და საჯარო მოხელეებს არ აინტერესებთ ინდივიდის პრობლემები და რეალურად არ იცავენ მის ინტერესებს; (2) სოციალური წესრიგი არის არამყარი და განუსაზღვრელი, ამდენად, რთული მომავლის პროგნოზირება; (3) წარმოებს უკვე მიღწეული მიზნების უარყოფა, მათგან დისტანცირება; (4) ინტერნალიზებულ სოციალურ ნორმათა სისტემა მოშლილია, რაც სიცოცხლის უნუგეშობის, უაზრობის განცდას იწვევს; (5) სოციალურ ურთიერთობებში შეუძლებელია სხვათა მხარდაჭერის მოპოვება. იხ. მითითებული ნაშრომი, გვ: 712-713.

74 Bell, Wendell: 'Anomie, Social Isolation and the Class Structure~ *Sociometry*, Vol. 20 (2), 1957: 105-116, 105.

75 McClosky, Herbert and Schaar, John H.: 'Psychological Dimensions of Anomy~ *American Sociological Review*, Vol. 30 (1), 1965: 14-40.

გადღობის ურთუერთმიმართების პრობლემა ჯერ კიდევ დიურკემმა განაწილარა ანომიის კლასიკურ თეორიაში. მერტონისეული სოციალური ადაპტაციის ფორმები კი უშუალოდ განსაზღვრავენ ინდივიდის დამოკიდებულებას საზოგადობის მიმართ, მის ადგილს სოციალურ სტრუქტურაში, პიროვნების ინდივიდუალური თუ კონფორმისტული სოციალური როლის ჩამოყალიბების წინაპირობებს. მერტონი, თავის გვიანდელ ნაშრომში, განასხვავებს სოციალური და ინდივიდუალური ანომიის ცნებებსაც და სწორედ მათ ურთუერთქმედებებს უკავშირებს დევიაციური ქცევების დონის ვარიაციას სხვადასხვა სოციალურ კონტექსტში.⁷⁶ ანომიის თეორია გამოყენებულ იქნა ასევე ურბანიზაციისა და პიროვნული გაუცხოების პრობლემების ანალიზისათვის. ემპირიული გამოკვლევების საფუძველზე დადგინდა, რომ ურბანიზაცია არ წარმოადგენს ანომიის მდგომარეობის ჩამოყალიბების მნიშვნელოვან საფუძველს, არსებობს მხოლოდ უმნიშვნელო კავშირი ურბანიზაციისა და ანომიას შორის და ურბანიზაციის მზარდ პროცესები არ წარმოადგენენ პიროვნული გაუცხოების ძირითად ფაქტორს.⁷⁷

უშუალოდ კრიმინოლოგიის დისციპლინურ ფარგლებში ანომიის კონცეფციის თეორიულმა და ემპირიულმა დამუშავებამ არნახულ ზღვარს მიაღწია.⁷⁸ ანომიის თეორიის ანალიზს განსაკუთრებული ადგილი ეთმობა კრიმინოლოგიის ნებისმიერ თანამედროვე სახელმძღვანელოში. სწორედ ანომიის თეორიის მეშვეობით, ერთხელ და საბოლოოდ მოხდა კრიმინოლოგიის სოციოლოგიური სკოლის ინსტიტუციონალიზება და დანაშაუ-

76 Merton, Robert K.: 'Anomie, Anomia, and Social Interaction: Contexts of Deviant Behavior~ in Clinard, Marshall B. (ed.): *Anomie and Deviant Behavior: A discussion and Critique*, New York: Free Press, 1966: 213-242.

77 Fischer, Claude S.: 'On Urban Alienations and Anomie: Powerlessness and Social Isolation~ *American Sociological Review*, Vol. 38 (3), 1973: 311-326.

78 იხილეთ ანომიისა და დევიაციური ქცევების ურთუერთქმედებისადმი მიძღვნილი სხვადასხვა ნაშრომი კრებულებში: Clinard, Marshall B. (ed.): *Anomie and Deviant Behavior: A discussion and Critique*, New York: Free Press, 1966; Adler, Freda and Laufer, William S. (eds.): *The Legacy of the Anomie Theory*, New Brunswick: Transaction Publishers, 1995.

ლობის ახსნის უმნიშვნელოვანეს პერსპექტივად დამკვიდრება, რის აღიარებასაც, ბუნებრივია, ერიდებოდა საბჭოური კრიმინოლოგია. ანომიის კონცეფციის საფუძვლიანი თეორიული და ემპირიული⁷⁹ დამუშავების შედეგად დამკვიდრდა საყოველთაო შეხედულება დანაშაულზე, როგორც სოციალურ მოვლენაზე, რის საფუძველზეც დანაშაულობის მიზეზებს თანამედროვე კრიმინოლოგები ძირითადად „ინსტიტუციურ დისლოკაციაში“⁸⁰ საზოგადოებრივ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ პროცესებში და არა ინდივიდუალურ ბიოლოგიურ თუ ფსიქოლოგიურ პრობლემებში ეძებენ. ანომიის პერსპექტივის გამოყენება უახლეს ემპირიულ კრიმინოლოგიურ ლიტერატურაშიც აქტიურად მიმდინარეობს.⁸¹ ანომიის თეორია დამუშავებულ იქნა შედარებით კრიმინოლოგიაშიც,⁸² რის საფუძველზეც შესაძლებელი გახდა ანომიის ცნების გლობალური პერსპექტივით გამოყენება განსხვავებულ სამართლებრივ კულტურებში დანაშაულობის განსხვავებული დონის ანალიზისათვის.

ანომიის თეორიამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი სოციალური რეფორმების, სისხლისსამართლებრივი პოლიტიკისა და ნორმატიული რეგულირების მეთოდების სრულყოფას. ნორმიდან გადახრილი, დევიაციური ქცევების ანალიზის თვალსაზრი-

79 Rose, Gordon: 'Anomie and Deviation – A Conceptual Framework for Empirical Studies'~ *The British Journal of Sociology*, Vol. 17 (1), 1966: 29-45.

80 Powell, Elvin H.: 'Crime as a Function of Anomie'~ *The Journal of Criminal Law, Criminology and Police Science*, Vol. 57 (2), 1966: 161-171, 161. ხანგრძლივი ემპირიული გამოკვლევების, ძირითადად ისტორიული სტატისტიკის შედარებითი ანალიზის შემდეგ, პაუელი მივიდა დასკვნამდე, რომ ანომია წარმოადგენს დანაშაულობის ძირითად წყაროს. პაუელი ერთმანეთისგან განასხვავებს დანაშაულობის ეგზისტენციურ (მატერიალურ) და ინსტიტუციურ ფაქტორებს. ეგზისტენციური (ურბანიზაცია, ინდუსტრიალიზაცია) ფაქტორისაგან განსხვავებით, რომელიც შეიძლება გარკვეულწილად იყოს დანაშაულობის მნიშვნელოვანი ფაქტორი, იგი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ინსტიტუციურ ფაქტორებზე, რასაც იწვევს ანომია. ამდენად, პაუელი განასხვავებს ანომიის ორ სახეს: ანომია, როგორც ერთი მხრივ ინსტიტუციური წესრიგის კოლაპსი, ხოლო მეორე მხრივ – შეუსაბამობა არსებულ მოლოდინებსა და მათ რეალიზებას შორის. იხილეთ დასახელებული ნაშრომი, გვ: 168-169.

81 Konty, Mark: 'Microanomie: The Cognitive Foundations of the Relationships between Anomie and Deviance'~ *Criminology*, Vol. 43 (1), 2005: 107-131.

82 Karstedt, Susanne: 'Comparing Cultures, Comparing Crime: Challenges, Prospects and Problems for a Global Criminology'~ *Crime, Law & Social Change*, Vol. 36, 2001: 285-308, 292.

სით, გარკვეულწილად გადახალისდა მერტონისეული ანომიის თეორია. ამ მხრივ საინტერესოა ანომიის კონცეფციის მოდიფიცირება რიჩარდ კლოვარდისა და ალბერტ კოენის მიერ. კლოვარდი თავის გამოკვლევაში ყურადღებას ამახვილებს არა მარტო კულტურული მიზნების მიღწევის ლეგიტიმური საშუალებების განსხვავებაზე საზოგადოების სხვადასხვა ნაწილში, არამედ უშუალოდ არალეგიტიმური საშუალებების ხელმისაწვდომობის ვარიაციაზეც. საზოგადოება ხასიათდება შესაძლებლობათა დიფერენცირებული სტრუქტურით, რაც განაპირობებს როგორც ლეგიტიმური, ასევე არალეგიტიმური საშუალებების განსხვავებულ გამოყენებას სასურველი მიზნების მისაღწევად.⁸³ კოენიც ავითარებს შესაძლებლობათა სტრუქტურის ფაქტორის მნიშვნელობის იდეას დევიაციური ქცევის გენერირებაზე და ამტკიცებს, რომ მიზნებისა და საშუალებების ურთიერთმიმართებას, ასევე კონკრეტული სოციალური ადაპტაციის ფორმას, მათ შორის – ნორმიდან გადახრილ ქცევას, იწვევს სწორედ შესაძლებლობათა სტრუქტურა, რომელიც, კონკრეტულ შემთხვევაში, კანონიერ თუ უკანონო შესაძლებლობათა „გახსნითა“ თუ „დახურვით“ განსაზღვრავს ინდივიდუალური ქცევის შინაარსს.⁸⁴

მერტონისეული ანომიის თეორიის პერსპექტივები გამოყენებულ იქნა კორპორაციული დანაშაულობის მიზეზთა ორიგინალური ანალიზისთვისაც, რომლის მიხედვით კაპიტალისტურ საზოგადოებებში არსებული საბაზრო ეკონომიკის სისტემა საწარმოთა გარკვეულ ნაწილს, არსებული კანონმდებლობის საფუძველზე, უზღუდავს მაღალი შემოსავლის მიღებისა და ბაზარზე წარმატების მიღწევის შესაძლებლობას.⁸⁵ ეს კი განაპირობებს საწარმოთა მიერ ხარჯების შემცირების პარალელურად მოგების ზრდის არალეგალური მექანიზმების ინიცი-

83 Cloward, Richard A.: 'Illegitimate Means, Anomie, and Deviant Behavior~ *American Sociological Review*, Vol. 24 (2), 1959: 164-176, 176.

84 Cohen, Albert K.: 'The Sociology of the Deviant Act: Anomie Theory and Beyond~ *American Sociological Review*, Vol. 30 (1), 1965: 5-14, 10.

85 Eisenberg, Ulrich: *Kriminologie*, 6. Auflage, München: C. H. Beck, 2005: 60.

რების, კორპორაციულ სამყაროში ინოვაციური სოციალური ადაპტაციის ფორმის აღმოცენებას.

სამართლის სოციოლოგიის დისციპლინურ ფარგლებში ანომიის თეორიის დამუშავება განაპირობა იურიდიული ნორმების მოქმედების ეფექტიანობის გაზომვისა და სამართლებრივი რეფორმების შედეგთა თეორიული თუ ემპირიული შესწავლის აუცილებლობამ. ანომია, როგორც მოვლენა, რომელიც გულისხმობს საზოგადოებაში კონკრეტულ ნორმათა არარსებობას, უკმარობასა თუ არაეფექტიანობას, რაც სოციალურ დეზორგანიზაციასა და საზოგადოებრივი ინტეგრაციის მოშლაში გამოიხატება, მართლაც სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს სამართლებრივი რეფორმებისა და მოქნილი, ქმედითი სამართლებრივი სისტემის ჩამოყალიბებისათვის. სწორედ ნორმათა მოქმედების კანონზომიერებათა წარმოჩენისა და სამართლის დინამიკური განვითარების პროცესთა ანალიზისათვის ანომიის თეორია გამოყენებულ იქნა „სამართლის ინფლაციის“ „ნორმათა ეროზიის“ პროცესების ასახსნელად.⁸⁶ ამ მხრივ სამართლის მეშვეობით სოციალური ინტეგრაციის პროცესების განმტკიცება საზოგადოებაში ანომიის მდგომარეობის დაძლევის უმნიშვნელოვანეს წინაპირობადაა მიჩნეული.

სამართლის სოციოლოგიაში ანომიის პერსპექტივა საკმაოდ ორიგინალურად იქნა გამოყენებული საერთაშორისო კერძოსამართლებრივ ურთიერთობათა თუ ურთიერთქმედებათა დროს წარმოშობილი ნორმატიული პრობლემების ანალიზისათვის. თანამედროვე გლობალურ სამყაროში სხვადასხვა ნაციონალურ სისტემას შორის სულ უფრო გახშირებული კულტურათშორისი ურთიერთქმედებები განიცდიან ნორმატიული რეგულირების პრობლემებს. მიუხედავად საერთაშორისო დონეზე კერძოსამართლებრივ ურთიერთობათა ინტენსიუ-

86 იხილეთ სხვადასხვა ნაშრომები კრებულში: Frommel, Monika und Gessner, Volkmar (Hrsg.): *Normenerosion*, Baden-Baden: Nomos, 1996, განსაკუთრებით: Münch, Richard: *Zwischen Normenerosion und Normenwandel: Rechtsentwicklung als dynamischer Prozess* - in Frommel, Monika und Gessner, Volkmar (Hrsg.): *Normenerosion*, Baden-Baden: Nomos, 1996: 147-162.

რი რეგულირებისა და კერძო სამართლის ჰარმონიზაციის ყოვლისმომცველი პროცესებისა, მოცემულ ურთიერთობებში ჩაბმული მხარეები ხშირად აწყდებიან დერეგულირების, ნორმატიული ვაკუუმის, „კულტურული შოკის“ განუსაზღვრელობისა თუ ორმხრივი გაუგებრობის ფაქტებს, როდესაც ვერ ხერხდება კონკრეტული ურთიერთობის სამართლებრივი რეგულირება შესაბამის ნორმათა არარსებობის, თუ არსებულ ნორმათა სხვადასხვა კულტურული ინტერპრეტაციისა და განსხვავებულ კულტურულ სივრცეში ნორმათა განსხვავებული მოქმედების გამო. ინტერკულტურული კომუნიკაციები ხშირად ჩიხში ექცევიან ქცევათა პროგნოზირების სირთულეებიდან გამომდინარე. ამიტომაც, საერთაშორისო კომერციულ ურთიერთობებში და სხვადასხვა სახის ეკონომიკურ პროცესში ჩართული მხარეები, რომლებიც ძირითადად წარმოდგენილნი არიან კერძო სუბიექტების – ფიზიკური პირებისა თუ კორპორაციული სტრუქტურების სახით, აყალიბებენ „მესამე კულტურას“ კონკრეტულ სფეროში მოქმედ ნორმატიულ სისტემას, რომელიც ჩვეულებების, პრინციპების, მხოჯავი ორმხრივი მოვალეობებისა და კერძო მართლმსაჯულების ფორმის სახით არსებობს და ვითარდება განსაზღვრულ სოციალურ სექტორში. „მესამე კულტურის“ ჩამოყალიბების შედეგად, კონკრეტულ სოციალურ ჯგუფში მოცემული ნორმატიული სისტემის ინტერნალიზაციის საშუალებით, ხორციელდება ნორმატიულ მოლოდინთა სტაბილიზება და ანომიის მდგომარეობის დაძლევა კულტურათშორის, საერთაშორისო ურთიერთობებში.⁸⁷ მხარეთა „საშინაო კულტურის“ გამოყენებას ენაცვლება ნეიტრალური, „მესამე კულტურა“ რასაც მინიმუმამდე დაყავს განსხვავებულ სამართლებრივ კულტურათა კოლიზიისათვის დამახასიათებელი განუსაზღვრელობა, ნორმათა კონფლიქტი და დერეგულირება. ტრანსნაციონალურ ეკონომიკურ, კომერციულ ურთიერ-

87 Schade, Angelika: 'On the Explanatory Power of the Anomie Concept in Cross-border Legal Relations~ in *Onati Proceedings*, Vol. 11, *Anomie: Norms, Expectations and Social Legitimation*, 1993: 93-105, 101.

თობებში ჩაბმული ბიზნეს-სტრუქტურები, სავაჭრო გაერთიანებანი, საარბიტრაჟო სასამართლოები, იურიდიული ფირმები თუ გლობალური კერძო ურთიერთობების სხვა სუბიექტები, მათი მოქმედების სფეროებში აყალიბებენ სამართლისა და კულტურის საერთო ნორმებს, რომელთა მეშვეობითაც ხდება ნორმატიული ხარვეზისა თუ კულტურული შეუთავსებლობის გამო აღმოცენებული იურიდიული კონფლიქტებისა და კოლიზიების რეგულირება. შედეგად, ეკონომიკური რაციონალიზაციის პრინციპის საფუძველზე, „მესამე კულტურის“ ნორმების მეშვეობით ინტეგრირებული კერძო სუბიექტები განაგრძობენ პროდუქტიულ ურთიერთქმედებას ანომიის უარყოფითი ზემოქმედების საფრთხის გარეშე.⁸⁸

7. ანომიის თეორიის უამღგომი განვითარების კარსკამპტივები

თანამედროვე კრიმინოლოგიასა და სამართლის სოციოლოგიაში, ზოგადი მნიშვნელობით, ანომია დამკვიდრდა როგორც ცნება, რომელიც ასახავს საზოგადოების ნორმატიული სისტემისა რღვევის, კონკრეტულ სოციალურ სექტორში სამართლებრივი ნორმების არარსებობის პრობლემას, რაც ხელს უწყობს დევიაციური ქცევების გენერირებას და სოციალურ მოლოდინთა სტაბილურობის მოშლას. როგორც სოციოლოგიური ცნება, ანომია აღნიშნავს „ქცევების წარმმართველი სოციალური სტანდარტების რღვევას, რაც განაპირობებს სუსტ სოციალურ ინტეგრაციას“.⁸⁹ ზოგადი წარმოდგენით, ანომიის მდგომარეობა არის ისეთი სოციალური ვითარება, რომლის

88 Gessner, Volkmar and Schade, Angelika: 'Conflicts of Culture in Cross-border Legal Relations: The Conception of a Research Topic in the Sociology of Law', in Featherstone, Mike (ed.): *Global Culture: Nationalism, Globalization and Modernity*, London: Sage Publication, 1990: 253-277, 268.

89 Merton, Robert K.: 'Anomie, Anomia, and Social Interaction: Contexts of Deviant Behavior~ in Clinard, Marshall B. (ed.): *Anomie and Deviant Behavior: A discussion and Critique*, New York: Free Press, 1966: 213-242, 226.

დროსაც შესუსტებული ან საერთოდ არაეფექტიანი, არაქმედითია სოციალური კონტროლის არსებული მექანიზმების სისტემა, როდესაც არ არსებობს კონკრეტული საზოგადოებრივი ურთიერთობების მარეგულირებელი კანონმდებლობა, რაც ხელს უწყობს სოციალურ ანარქიასა და ზღვარდაუდებელ პიროვნულ თავისუფლებას. ამდენად, როგორც მოცემული სიტყვის ეტიმოლოგიაც გვიჩვენებს, ლაკონური ფორმულირების სახით, ანომია გამოხატავს ნორმათა, კანონთა არარსებობის მდგომარეობას.

თუმცა, ანომიის თეორიის ფარგლებში, დღემდე არ დამუშავებულა უმნიშვნელოვანესი საკითხი, რომელიც შემდეგი თეზისის სახით შეიძლება გამოიხატოს – საზოგადოებაში შეიძლება არსებობდეს განსაზღვრული სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობა, გამართული ნორმატიული სისტემა, მაგრამ მანაც წარმოიშვას სოციალური დეზორგანიზაციის, ანომიის მდგომარეობა. თანამედროვე სამყაროში არსებობს ბევრი ქვეყანა, სადაც ფორმალურად მოქმედებს დემოკრატიული სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი პოლიტიკური და სამართლებრივი სისტემა, სოციალური ცხოვრების ყოველ სფეროს დათმობილი აქვს სპეციალიზებული კანონმდებლობა, თუმცა მაინც იქმნება საზოგადოებაში ნორმათა არარსებობის, ანომიის მდგომარეობის შთაბეჭდილება. მსგავსი სიტუაცია განსაკუთრებით საგრძნობია პოსტსაბჭოურ ქვეყნებში, სადაც ინტენსიური სამართლებრივი ტრანსპლანტაციის პროცესების გავლენით, „გადმონერგილ იქნა“ თანამედროვე სამართლებრივი სახელმწიფოსათვის აუცილებელი ყველა „სიმბოლიკა“ – კონსტიტუცია, თანამედროვე კანონმდებლობა, ხელისუფლების დანაწილებისა და ბალანსის პრინციპები, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფოს მოდელები, პოლიტიკური ლიბერალიზმისა და საბაზრო ეკონომიკის საფუძვლები, ადამიანის უფლებების უზენაესობისა და პიროვნული თავისუფლების „იდეალები“. თუმცა, ობიექტური დაკვირვების საფუძველზე, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ ზოგიერთ პოსტსაბჭოთა

ქვეყანაში ადგილი ჰქონდა მარტოოდენ სიმბოლურ რეფორმირებას, რეალობაში კი ტრანსპლანტირებული ნორმები თუ ინსტიტუტები არ მიესადაგებიან კონკრეტული ქვეყნის საზოგადოებრივი და კულტურული განვითარების დონეს და შესაბამისად, მათი მეშვეობით ვერ ხერხდება სოციალური რეგულირების ფუნქციის განხორციელება, რაც, ნორმათა ფაქტობრივი, მაგრამ მარტოოდენ სიმბოლური მნიშვნელობით არსებობის მდგომარეობაში, განაპირობებს ანომიის წარმოშობას. სახელმწიფო ადგენს ნორმათა სისტემას, ძალაში შედის კოდიფიცირებული სამართალი, რომელიც მოიცავს საზოგადოების ყველა სფეროს, მაგრამ მიუხედავად გარეგნული ეფექტებისა, მოცემული კანონმდებლობა რეალურად არაქმედითია, ხშირად შეუძლებელი ხდება მისი გამოყენება და „ამუშავება“ რაც პარადოქსის სახეს ღებულობს – არსებობს ნორმათა სისტემა, რაც იწვევს ანომიას, „ნორმათა არარსებობას“. რეალურად, მიუხედავად კონსტიტუციური გარანტიებისა, კონკრეტულ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში არ არის რეალიზებული სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპები, სახეზეა ეკონომიკური განუვითარებლობა, რაც ხშირ შემთხვევაში გამოირიცხავს მოსახლეობის მინიმალური სოციალური მოთხოვნების დაკმაყოფილების შესაძლებლობასაც, სახეზეა ასევე პოლიტიკური განუვითარებლობა, რაც ასევე გამოირიცხავს „კარგი მმართველობის“ პრინციპის დამკვიდრებას და დემოკრატიული კანონმდებლობის ნიღბის ქვეშ ხელს უწყობს ანტიდემოკრატიული, ანტიჰუმანური პოლიტიკური რეჟიმების შენარჩუნებას. მოცემული პრობლემის გადაჭრის ერთადერთ გამოსავალს ისევ კულტურული რევოლუცია წარმოადგენს, რომელიც შეცვლის საზოგადოების ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სამართლებრივ კულტურას და გამოირიცხავს ანომიის მდგომარეობის აღმოცენებას. საზოგადოების კულტურულმა განვითარებამ უნდა გამოიწვიოს სოციალური სისტემის ევოლუცია, შესაბამისად, პოლიტიკური რეჟიმების მოდერნიზაცია და სოციალური ანომიის მდგომარეობის აღმოფხვრა. სოციალური რეფორმებისა

და ეკონომიკური პროექტების განხორციელება წარმოადგენს პოლიტიკური სისტემის ლიბერალიზაციის და სოციალური სახელმწიფოს იდეალის რეალობად ქცევის საფუძველს. ამ შემთხვევაში, კანონიც დაკარგავს მხოლოდ სიმბოლური ინსტრუმენტის ფუნქციას და გადაიქცევა სოციალური რეგულირების რეალურ, ქმედით საშუალებად. ამისათვის კი, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია სამართლებრივ ნორმათა ინტერნალიზაცია როგორც საზოგადოებაში, ასევე ხელისუფლებაში, რაც გამორიცხავს გაუცხოებას მოსახლეობასა და მოქმედ სამართლის სისტემას შორის, საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის, ხელმისაწვდომს გახდის მართლმსაჯულებასა და კანონით დადგენილი უფლებების გამოყენებას.

თანამედროვე საზოგადოებებში, ხშირ შემთხვევაში, არათუ არსებობს კონკრეტულ ურთიერთობათა მარეგულირებელი ნორმატიული სისტემა, არამედ სახეზეა რამდენიმე პარალელური სისტემის თანარსებობის ფაქტი, რაც სამართლებრივი პლურალიზმის ცნებით გამოიხატება. კონკრეტულ სოციალურ სექტორში, განსაზღვრულ სოციალურ ურთიერთობებს ხშირად აწესრიგებს სხვადასხვა, არცთუ იშვიათად ერთმანეთისადმი დაპირისპირებული სამართლის სისტემა, რაც იმთავითვე იძლევა ალტერნატიული ნორმატიული სისტემის არჩევის საშუალებას და გამორიცხავს ნორმათა არარსებობის, ანომიის მდგომარეობას. თუმცა, მიუხედავად განსაზღვრული ურთიერთობების მარეგულირებელ ნორმათა არსებობისა, თანამედროვე საზოგადოებებში, ძირითადად ეკონომიკური თვალსაზრისით განვითარებად ქვეყნებში, ხშირია ისეთი სოციალური ვითარების არსებობა, რომელსაც კლასიკურ სოციოლოგიაში ანომიის ცნებით გამოხატავენ. კვლავ იქმნება პარადოქსული სიტუაცია – ნორმათა ამომწურავი სისტემის (ხშირად პარალელური სისტემების) არსებობის პირობებშიც, სახეზეა ყველა ის სიმპტომი, რაც ახასიათებს ანომიის სიტუაციას. ასევე, პარადოქსულია ის გარემოებაც, რომ ანომია შეიძლება ჩამოყალიბდეს ეკონომიკურად განვითარებულ, წარმატებულ საზოგადოებებ-

შიც. ანომია შეიძლება ჩამოყალიბდეს არა მარტო კონკრეტული სამართლებრივი სისტემის არსებობის პირობებში, არამედ კონკრეტულ სექტორში ალტერნატიული სამართლებრივი რეჟიმების არსებობის დროსაც, რაც მიუთითებს საზოგადოების სამართლებრივი რეგულირების ფორმისა და მეთოდის რეფორმირების აუცილებლობაზე.

ანომიის მდგომარეობა ხშირად კოლექტიურ ხასიათსღებულობს. კონკრეტული ქვეყნის მოსახლეობის უმეტესი ნაწილი შეიძლება მოიცვას სოციალური კრიზისისა და უპერსპექტივობის სენმა, რაც საზოგადოებას უკარგავს სოციალური აქტივობის მოტივაციას. ამ შემთხვევაში ანომიის მიზეზი ხდება არა კონკრეტული ნორმატიული სისტემის არარსებობა ან არაეფექტიანობა, არამედ უმძიმესი სოციალური პრობლემები, რასაც ადგილი აქვს თანამედროვე მსოფლიოს მრავალ რეგიონში – ლათინური ამერიკის, აფრიკის, აღმოსავლეთ ევროპისა თუ ცენტრალური აზიის კონკრეტულ ქვეყნებში ჩამოყალიბებულია ერთგვარი სოციალური კრიზისის მდგომარეობა, რომლის გამოსწორებაც საკმაოდ რთულ, თითქმის დაუძლეველ ამოცანადაა მიჩნეული. ამ შემთხვევაშიც სოციალური პრობლემების სათავე კოლექტიურ ანომიაში უნდა იყოს, რომლის დროსაც მოსახლეობის დიდი ნაწილი უპერსპექტივოდ აფასებს კრიზისული ეკონომიკური, პოლიტიკური თუ სოციალური პრობლემების დაძლევის შესაძლებლობას, ეთიშება აქტიურ საზოგადოებრივ ცხოვრებას და ორიენტირებულია მარტოოდენ მინიმალური სოციალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე. მოცემული მდგომარეობა უკვე სახელმწიფოებრივი მმართველობის კრიზისზეც მიანიშნებს. კოლექტიური ანომიის პრობლემის დაძლევისათვის აუცილებელია ნათლად ჩამოყალიბებული სახელმწიფოებრივი პოლიტიკა, სამართლებრივი და სოციალური რეფორმების გამართული კოორდინირება, სამართლის მობილიზება უპირველეს ყოვლისა სოციალური პრობლემების გადაჭრისა და ეკონომიკური თუ პოლიტიკური კრიზისის დაძლევისათვის, ნორმატიული სისტემის გამოყენება

კონკრეტული საზოგადოებრივი პრობლემების იდენტიფიკაციისა და მათი დარეგულირებისათვის.

თანამედროვე იურისპრუდენციაში აღმოცენდა უჩვეულო ტერმინი – იურიდიზაცია (Juridification, Verrechtlichung), რომელიც გამოხატავს სახელმწიფოს მხრიდან საზოგადოების რეგულირებას ზომაზე მეტი სამართლებრივი ნორმების გამოყენებით. გადაჭარბებული, ზღვარგადასული იურიდიული რეგულირება, რაც კანონთა თუ სხვა სახის ნორმატიული აქტების არნახულ სიმრავლეში გამოიხატება, სწორედ რომ ანომიის საპირისპირო ცნებად გვევლინება: ანომიის დროს სოციალური პრობლემები იქმნება ნორმათა არარსებობის გამო, იურიდიზაცია კი პრობლემებს უქმნის საზოგადოებას ინტენსიური, „ნორმაზე მეტი“ სახელმწიფოებრივი რეგულირების პოლიტიკით. ამდენად, ანომია და იურიდიზაცია წარმოადგენენ შინაარსობრივად ერთმანეთის საპირისპირო ცნებებს, თუმცა, პარადოქსია, მაგრამ ორივე მოვლენის ზოგადი შედეგი ერთგვაროვანია, რაც საზოგადოებრივი ინტეგრაციის მოშლაში გამოიხატება. საზოგადოების ცალკეული სექტორი აუცილებლად საჭიროებს რეფლექსურ კოორდინირებას, თვითორგანიზებასა თუ ალტერნატიულ რეგულირებას, რასაც სერიოზულ საფრთხეს უქმნის იურიდიზაცია. ამდენად, ანომიის ცნების ანალიზისათვის აუცილებელია იურიდიზაციის პრობლემების გათვალისწინებაც – ერთნაირად სახიფათოა როგორც კონკრეტული ურთიერთობების მარეგულირებელ ნორმათა არარსებობა, ასევე მოცემულ ნორმათა არსებობა გადაჭარბებული, „ნორმალურზე“ მეტი დოზით.

ტერორიზმთან ბრძოლის სამართაურობის და კონსტიტუციური-სამართლებრივი საფუძვლები

ტერორიზმი დანაშაულობის ერთ-ერთი სახეობაა, ხოლო დანაშაული და დამნაშაეობასთან ბრძოლა კაცობრიობის მუდმივი თანმხლები მოვლენებია, ისევე როგორც ბოროტება და სიკეთე. ისინი მუდამ არსებობდნენ კაცობრიობის ისტორიაში, დღესაც არსებობენ და მომავალშიც ყოველთვის იარსებებენ. რეალურ საფუძველს მოკლებულია და უტოპიური, განუხორციელებელია თეორიები ისეთი საზოგადოების შექმნის შესახებ, სადაც აღარ იქნებიან დამნაშაეები და საბოლოოდ მოისპობა დანაშაულობა.

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ დანაშაული ადამიანთა საზოგადოებისათვის დამახასიათებელი მარადიული კატეგორიაა. ამასთან ერთად, დანაშაულობა ისტორიული თვალსაზრისით, საზოგადოების განვითარების კვალობაზე, მეტად თუ ნაკლებად ცვალებადობასაც განიცდის. ეს მეტნაკლებობა საერთოდ და სხვადასხვა ისტორიულ ეპოქებშიც სხვადასხვანაირად გამოიხატება. კერძოდ, სახეობათა მიხედვით დანაშაულობას დიდი ძვრები და ცვლილებები არ განუცდია. მაგალითად, ჩვენს წელთაღრიცხვამდე XX საუკუნეში შედგენილ ძველბაბილონურ საკანონმდებლო ძეგლებში ისეთივე დანაშაულები იხსენიება, რომლებიც დღესდღეობითაც გავრცელებულია. ასეთებია, ვთქვათ, მკვლელობა, სხეულის დაზიანება, ბავშვის მოტაცება, ცილისწამება, გაძარცვა, მითვისება, ქურდობა, გაუპატიურება, ლაშქრობისაგან თავის არიდება და თადღითობა.¹

ამავე დროს, განიდა დანაშაულის ახალი სახეობები, რომლებიც ძველ დროს ვერანაირად ვერ იარსებებდა. ისინი ახალი

¹ ი. დილიძე, ძველი აღმოსავლეთის სამართალი, თბ., 1960, გვ. 044-045.

ვითარების, თანამედროვე ეპოქის წარმონაქმნებია. ამის მაგალითად, აშუამად ჩვენთვის საინტერესო სფეროდან შეიძლება დავასახელოთ კიბერტერორიზმი, რომლის დასჯადობა განისაზღვრა საქართველოს 2002 წლის 28 დეკემბრის კანონის საფუძველზე² კიბერტერორიზმი გამოიხატება კანონით დაცული კომპიუტერული ინფორმაციის მართლსაწინააღმდეგო დაუფლებით, მისი გამოყენებით ან გამოყენების მუქარით, რაც ქმნის მძიმე შედეგის საშიშროებას და ხელყოფს საზოგადოებრივ უსაფრთხოებას, სახელმწიფოს სტრატეგიულ პოლიტიკურ ინტერესს და ჩადენილია მოსახლეობის დაშინების ან/და ხელისუფლების ორგანოზე ზემოქმედების მიზნით.

დაშინება არა მარტო კიბერტერორიზმის, არამედ ზოგადად ტერორიზმის იმანენტური ნიშან-თვისებაა. ეტიმოლოგიურად „ტერორიზმი“ მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან terror – შიში, ზარი (terreo – ვაშინებ)³. „ზარი“ აქ იგივე შიშის მნიშვნელობით იხმარება. სპარსულად „ზარი“ ტირილს ნიშნავს და მისი ერთ-ერთი ქართული მნიშვნელობა არის „უზომო შიში ან რაიმე საშინელი სანახაობით, ამბით ... გამოწვეული შეშფოთება, - შეძრწუნება, ელდა“ (თუმცა, „შიშის ზართან“ „თავზარ-თან“ და „გლოვის ზართან“ ერთად არსებობს გამოთქმა „სიამოვნების ზარი“, რაც სიამოვნების ძლიერ, თავბრუდამხვევ განცდას გამოხატავს)⁴. თანამედროვე ქართულ სიტყვათხმარებაში „ტერორი“ ნიშნავს ფიზიკურ ძალადობას (მკვლელობას...) კლასობრივი და პოლიტიკური მოწინააღმდეგის დაშინების მიზნით, ხოლო ტერორიზმი არის ტერორის ტაქტიკა, ტერორის პოლიტიკა.⁵

თანამედროვე მსოფლიოში, მძლავრი სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის, ბირთვული მასალების არსებობისა და ყოველისმომცველი გლობალიზაციის პირობებში, განსაკუთრებით

2 საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ნაწ. I (საქართველოს კანონები), 2003, 4, მუხ. 23.

3 ს.კაუხჩიშვილი, ლათინურ-ქართული ლექსიკონი (ქართულ-ლათინურ შესატყვისობათა დართვით), თბ., 1961, გვ. 329, 392.

4 ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, ტ. IV, თბ., 1955, სვეტ. 97-98, 240-241.

5 ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, თბ., 1986, გვ. 419.

საგრძნობი და საერთაშორისო მასშტაბით საშიში გახდა ზოგიერთი სახის დანაშაულის შედეგები, რაც საფრთხეს უქმნის არა მარტო ცალკეულ ადამიანს, არამედ მთლიანად საზოგადოებას, მთელ სახელმწიფოსა და თვით კაცობრიობის ნორმალურ არსებობას. სწორედ ასეთ დანაშაულთა რიცხვს მიეკუთვნება ტერორიზმი, რომელიც კარგა ხანია გასცდა შიდასახელმწიფოებრივ ფარგლებს და საერთაშორისოსამართლებრივი მნიშვნელობის ფაქტორად გადაიქცა.

ამგვარად, ტერორიზმი გლობალური მოვლენაა და მასთან ბრძოლაც, ცხადია, საერთო ძალისხმევას მოითხოვს. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ტერორიზმის საწინააღმდეგო გლობალური პოლიტიკა ჯერ კიდევ არ არის შემუშავებული. ჯერჯერობით თვით ტერორიზმის საყოველთაოდ მისაღები ცნებაც კი ვერ ჩამოყალიბდა. ამჟამად, ტერორიზმის დაახლოებით 200 განმარტება არსებობს.⁶ ასეთ პირობებში, ცნობილი ამერიკელი სპეციალისტის ბ.ჯენკინსის მოსწრებული თქმით, „თანამედროვე ტერორიზმის განსაზღვრების შემუშავება თითქმის ისეთივე რთულია, როგორც მასთან ბრძოლა“.⁷

უდავოდ, ტერორიზმის გავრცელების მასშტაბები და კატასტროფული შედეგები განაპირობებენ მისი საწინააღმდეგო ღონისძიებების საერთაშორისოსამართლებრივ დონეზე წარმართვის აუცილებლობას. ამის გამოხატულებას წარმოადგენს ისეთი საერთაშორისო აქტები, როგორიცაა: 1973 წლის კონვენცია იმ პირთა, მათ შორის დიპლომატიურ აგენტთა, წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის თავიდან აცილებისა და დასჯის შესახებ, რომლებიც სარგებლობენ საერთაშორისო დაცვით; 1979 წლის საერთაშორისო კონვენცია მძევლად აყვანასთან ბრძოლის შესახებ; 1980 წლის კონვენცია ბირთვული მასალების ფიზიკური

6 В.П.Емельянов, Терроризм и преступления с признаками терроризирования (уголовно-правовое исследование), СПб, 2002, стр. 17.

7 ციტირებულია გგორაშვილის სტატიიდან - „ტერორისტული ხახიათის დანაშაულთა საკანონმდებლო სრულყოფისათვის“. - იხ. „მართლმსაჯულება და კანონი“, 2006, №1, გვ. 88.

დაცვის შესახებ; 1988 წლის კონვენცია საზღვაო ნაოსნობის უსაფრთხოების საწინააღმდეგო არაკანონიერ აქტებთან ბრძოლის შესახებ, ოქმები (ა) კონტინენტურ შეღწეზე განლაგებული სტაციონალური პლატფორმების უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართულ უკანონო აქტებთან ბრძოლის შესახებ და (ბ) საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის მომსახურების აეროპორტებში ძალადობის კანონსაწინააღმდეგო აქტებთან ბრძოლის შესახებ (დამატებითი); 1991 წლის კონვენცია, რომელიც შეეხება ფეთქებად პლასტიკურ ნივთიერებათა მარკირებას მათი აღმოჩენის მიზნით; 1997 წლის საერთაშორისო კონვენცია ბომბურ ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ; 1999 წლის საერთაშორისო კონვენცია ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლის შესახებ; 2005 წლის საერთაშორისო კონვენცია ბირთვული ტერორიზმის აქტებთან ბრძოლის შესახებ.

საერთაშორისო-სამართლებრივი აქტების ნორმები ეროვნულ კანონმდებლობაშიც აისახება.

ასე მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების სისხლის სამართალში (ამერიკის შეერთებული შტატების კანონთა კრებული - ტიტული 18, ნაწ.1, დანაშაულობანი, თავი 51 - მკვლელობა, §1116) გათვალისწინებულია უცხოეთის წარმომადგენლების, ოფიციალური სტუმრების ან საერთაშორისო დაცვით მოსარგებლე პირების მძიმე ან მარტივი მკვლელობა და დაწესებულია სათანადო სასჯელი.⁸

ასეთივე ურთიერთმიმართების დადასტურებაა, სახელდობრ, 1973 წლის ზემოაღნიშნული კონვენცია და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 326-ე მუხლი. ამ მუხლით გათვალისწინებულია საერთაშორისო დაცვით მოსარგებლე უცხო ქვეყნის წარმომადგენელზე ან საერთაშორისო ორგანიზაციის თანამშრომელზე ანდა მათ სამსახურებრივ ან საცხოვრებელ შენობაზე ან სატრანსპორტო საშუალებაზე თავდასხმა, აგრეთვე მათი ოჯახის წევრის სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან სა-

⁸ Соединенные Штаты Америки. Конституция и законодательные акты, М., 1993, стр. 612.

კუთრების ხელყოფა პოლიტიკური მოტივით ან საერთაშორისო ურთიერთობების გართულების მიზნით, რაც ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შეიდიდან ოც წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთით.

ანალოგიურად ითქმის 1999 წლის საერთაშორისო კონვენციაზე ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლის შესახებ და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 331⁹ მუხლზე („ტერორიზმის დაფინანსება“). აღნიშნული მუხლით, კერძოდ, ისჯება ფინანსური სახსრების ან სხვა სახის ქონების შეგროვება ან მიწოდება იმის წინასწარი შეცნობით, რომ იგი მთლიანად ან ნაწილობრივ გამოყენებული იქნება ან შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ტერორისტული ორგანიზაციის მიერ.

ტერორიზმის დაფინანსების დასჯადობა საქართველოში 2006 წლის 25 ივნისის კანონით დაწესდა,⁹ რაც იმის მანქნებელია, რომ შესაბამისი საერთაშორისოსამართლებრივი ნორმების შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში დანერგვა კვლავაც გრძელდება.

საქართველოს 2006 წლის 25 ივნისის კანონი იმ მხრივაც არის საინტერესო, რომ მან ქართულ კანონმდებლობაში საერთოდ პირველად დააწესა იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, კერძოდ კი (1) საერთაშორისო დაცვით მოსარგებლე პირზე ან დაწესებულებაზე თავდასხმისა და (2) ტერორიზმის დაფინანსების შემთხვევებში. ასეთი ქმედებებისათვის იურიდიული პირი ისჯება: ლიკვიდაციით ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით და ჯარიმით (საერთაშორისო დაცვით მოსარგებლე პირზე ან დაწესებულებაზე თავდასხმისათვის); ჯარიმით, ლიკვიდაციით ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით და ჯარიმით (ტერორიზმის დაფინანსების შენთხვევაში).¹⁰

9 საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ნაწ. I (საქართველოს კანონები), 2006, №37, მუხ. 271.

10 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი (ოფიციალური ტექსტი 2007 წლის 15 თებერვლის მდგომარეობით), თბ., 2007, გვ. 167, 170.

როგორც უკვე ვნახეთ, ტერორიზმის სფეროში მოქმედი საერთაშორისოსამართლებრივი ნორმები საჭიროებისამებრ აისახება ხოლმე საქართველოს სისხლისსამართლებრივ კანონმდებლობაში.

საერთაშორისო ნორმების როლი და ადგილი საქართველოს სამართლებრივ სივრცეში, მათი მნიშვნელობა ქართული სინამდვილისათვის საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციით განისაზღვრება. ეს საკითხი კონსტიტუციის მე-6 და მე-7 მუხლებით არის მოწესრიგებული.

საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, კონსტიტუციურ შეთანხმებას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ.

რაც შეეხება კონსტიტუციის მე-7 მუხლს, იგი ადგენს, რომ სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდული არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით.

ამგვარად, საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულია საერთაშორისო სამართლის უპირატესობის პრინციპი. ეს პრინციპი, რაღა თქმა უნდა, ტერორიზმის სფეროსაც მოიცავს.

ამასთან ერთად, საჭიროა ითქვას, რომ ტერორიზმთან წარმატებული ბრძოლის საწინდარი პირველ რიგში მაინც შესაბამისი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობაა. ეს კანონმდებლობა, ცხადია, შეესაბამება საერთაშორისო სამართლის დებულებებს. იმავდროულად, იგი სახელმწიფოს უზენაესი კანონიდან – საქართველოს კონსტიტუციიდან გამომდინარეობს

და მის საფუძველზე მიიღება.

ტერორიზმის საწინააღმდეგო შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში ძირითადი, ფუძემდებლური მნიშვნელობა კონსტიტუციის დებულებებს ენიჭება. ტერორიზმთან ბრძოლა სწორედ იმიტომ არის საჭირო და აუცილებელი, რომ იგი ხელყოფს კონსტიტუციის ნორმებსა და პრინციპებს. ტერორიზმთან ბრძოლას კონსტიტუციის დაცვის, მისი დარღვევის თავიდან აცილების მოთხოვნილება განაპირობებს.

წინამდებარე მცირე მოცულობის სტატიაში შეუძლებელია ტერორიზმთან ბრძოლის კონსტიტუციურსამართლებრივი საფუძვლების ყოველმხრივი და ამომწურავი განხილვა. ამიტომ აქაც, ისევე როგორც ტერორიზმთან ბრძოლის საერთაშორისოსამართლებრივ საფუძვლებზე მსჯელობისას, ყურადღება მხოლოდ ზოგიერთ გარემოებაზე იქნება გამახვილებული.

ტერორიზმთან ბრძოლის კონსტიტუციური საფუძვლებიდან განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები.

საქართველოს მოქმედ კონსტიტუციაში ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი „ზოგადი დებულებების“ შემდეგ პირველ ადგილზე – მეორე თავშია წარმოდგენილი.

ადამიანის სხვა ძირითად უფლებებთან და თავისუფლებებთან ერთად კონსტიტუციით აღიარებული და გარანტირებულია სიცოცხლის უფლება. კონსტიტუციის მე-15 მუხლის პირველი პუნქტი განსაზღვრავს, რომ „სიცოცხლე ადამიანის ხელშეუვალი უფლებაა და მას იცავს კანონი“. ადამიანის ამ ხელშეუვალი უფლებას ემუქრება, საფრთხეს უქმნის ტერორისტული აქტი, რომელიც აფეთქებით, ცეცხლის წაკიდებით, იარაღის გამოყენებით ან სხვა ქმედებით გამოიხატება. ტერორისტული აქტის შემთხვევაში ადამიანის სიცოცხლესთან მიმართებით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 323-ე მუხლი ითვალისწინებს ორ შესაძლებლობას: 1) ტერორისტული აქტი „ქმნის ადამიანის სიცოცხლის მოსპობის ... საშიშროებას“, რისთვისაც 323-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილია თავისუფლების აღკვეთა

ვადით ათიდან თხუთმეტ წლამდე; 2) ტერორისტულმა აქტმა „გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა“. ამისათვის მესამე ნაწილი ადგენს უფრო მძიმე სასჯელს – თავისუფლების აღკვეთას თხუთმეტიდან ოც წლამდე ვადით ან უვადო თავისუფლების აღკვეთას.

ტერორიზმის შედეგად „ადამიანის სიცოცხლის მოსპობა“ ისჯება აგრეთვე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 324¹ მუხლის მეორე ნაწილით, 329-ე მუხლის მესამე ნაწილითა და 330-ე მუხლის მეორე ნაწილით. 324-ე მუხლის მეორე ნაწილით კი ისჯება ტექნოლოგიური ტერორიზმი, რამაც გამოიწვია „ადამიანის სიკვდილი“. ასეთი ტერმინოლოგიური სხვადასხვაობა, ალბათ, არასასურველია.

კოდექსის 326-ე მუხლით სასჯელს (თავისუფლების აღკვეთას ვადით შვიდიდან ოც წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას) იწვევს საერთაშორისო დაცვით მოსარგებლე უცხო ქვეყნის წარმომადგენლის ან საერთაშორისო ორგანიზაციის თანამშრომლის ოჯახის წევრის „სიცოცხლის ... ხელყოფა“.

საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლით გათვალისწინებულია ღონისძიებანი „ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად“. შესაბამისად, სისხლის სამართლის კოდექსის 324-ე მუხლით ისჯება ადამიანის ჯანმრთელობისათვის მავნე ნივთიერებების ხელში ჩაგდება, გამოყენების მუქარა და გამოყენება. აქვე უნდა აღინიშნოს აგრეთვე 326-ე მუხლის ნორმა საერთაშორისო დაცვით მოსარგებლე უცხო ქვეყნის წარმომადგენლის ან საერთაშორისო ორგანიზაციის თანამშრომლის ოჯახის წევრის ჯანმრთელობის ხელყოფის შესახებ.

სისხლის სამართლის კოდექსი დასჯის მუქარით ითვალისწინებს ტერორისტული აქტის შედეგად მნიშვნელოვანი ქონებრივი ზიანის საშიშროებას (323-ე მუხლი) და საერთაშორისო დაცვით მოსარგებლე პირის საკუთრების ხელყოფას (326-ე მუხლი). ეს არის საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის იმ დებულების ერთ-ერთი გარანტია, რომ სა-

კუთრება აღიარებული და უზრუნველყოფილია.

საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის ძალით, „ადამიანის თავისუფლება ხელშეუვალია“. ამ ხელშეუვალი უფლების ხელყოფის საშიშ ფორმას წარმოადგენს ადამიანის მძევლად აყვანა ტერორისტული მიზნით, ე.ი. რათა მძევლის გათავისუფლების პირობით აიძულონ სახელმწიფო ხელისუფლება ანდა საერთაშორისო ან რელიგიური ორგანიზაცია, შეასრულოს ან არ შეასრულოს ესა თუ ის მოქმედება. კონსტიტუციის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, ადამიანის თავისუფლების ხელშეუვალობის უზრუნველსაყოფად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 329-ე მუხლით დასჯად ქმედებად არის გამოცხადებული მძევლად ხელში ჩაგდება ტერორისტული მიზნით. სასჯელად დანაშაულის მარტივი შემადგენლობისთვის დაწესებულია თავისუფლების აღკვეთა ვადით რვიდან თორმეტ წლამდე. მაკვალიფიცირებულ ნიშნებად ითვლება და უფრო მკაცრად ისჯება იგივე ქმედების ჩადენა საქართველოს პოლიტიკური თანამდებობის პირის ან მისი ოჯახის წევრის მიმართ, უცხოეთის ოფიციალური წარმომადგენლის ან საერთაშორისო სამართლებრივ დაცვას დაქვემდებარებული პირის მიმართ, ჯგუფურად, არაერთგზის, აგრეთვე ტერორისტული ორგანიზაციის მიერ. ამ დროს დადგენილია თავისუფლების აღკვეთა ვადით ათიდან თხუთმეტ წლამდე, ხოლო ადამიანის სიცოცხლის მოსპობის ან სხვა მძიმე შედეგის დადგომის შემთხვევაში – თავისუფლების აღკვეთით ვადით თოთხმეტიდან ოც წლამდე.

ქვეყნის უზენაესი კანონით დადგენილი და დაცული ინსტიტუტების წინააღმდეგ არის მიმართული ტერორიზმის ისეთი გამოვლინებები, როგორცაა საზოგადოებრივი უსაფრთხოების, სახელმწიფოს სტრატეგიული, პოლიტიკური ან ეკონომიკური ინტერესების ხელყოფა, საქართველოს პრეზიდენტსა და სხვა პოლიტიკური თანამდებობის პირზე თავდასხმა სახელმწიფოებრივ მოღვაწეობასთან დაკავშირებით, საერთაშორისო დაცვით მოსარგებლე პირზე ან დაწესებულებაზე თავდასხმა პოლი-

ტიკური მოტივით ან საერთაშორისო ურთიერთობების გართულების მიზნით და სტრატეგიული ან განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტის ხელში ჩაგდება ან ბლოკირება ტერორისტული მიზნით. კონსტიტუციის დებულებებიდან გამომდინარე, აღნიშნული ტერორისტული ქმედებებისათვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლებით დადგენილია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის სათანადო ღონისძიებები.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 330¹ მუხლის მიხედვით, ისჯება ტერორიზმისაკენ საქვეყნოდ მოწოდება. აქ იგულისხმება საქვეყნოდ ინფორმაციის გაერცვლება ან სხვაგვარი მიწოდება ისეთი ტერორისტული დანაშაულისაკენ მოწოდების მიზნით, როგორცაა, მაგალითად, ტერორისტული აქტი, ტექნოლოგიური ტერორიზმი, კიბერტერორიზმი, საქართველოს პოლიტიკური თანამდებობის პირზე და საერთაშორისო დაცვით მოსარგებლე პირზე ან დაწესებულებაზე თავდასხმა, მძევლად ხელში ჩაგდება ტერორისტული მიზნით და სტრატეგიული ან განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტის ხელში ჩაგდება ან ბლოკირება ტერორისტული მიზნით.

ამ შემთხვევებში გამამართლებელ გარემოებად ვერ გამოდგება საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ის დებულება, რომ ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გააერცვლოს ინფორმაცია, გამოთქვას და გააერცვლოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით. კონსტიტუციის ამავე მუხლის მე-4 პუნქტის ძალით, ხსენებულ უფლებათა განხორციელება შესაძლებელია კანონით შეიზღუდოს ისეთი პირობებით, რომლებიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, სხვათა უფლებებისა და ღირსების დასაცავად.

ანალოგიურად შეიძლება მსჯელობა აგრეთვე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 327-ე მუხლის შეს-

ასე. ამ მუხლით დაწესებულია სასჯელი ტერორისტული ორგანიზაციის შექმნისათვის, მისი ხელმძღვანელობისა და ასეთ ორგანიზაციაში მონაწილეობისათვის. მართალია, საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტებით აღიარებულია გაერთიანების უფლება, მაგრამ იქვე, მესამე პუნქტში, დადგენილია გამონაკლისები: დაუშვებელია ისეთი გაერთიანების შექმნა და საქმიანობა, რომლის მიზანია საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობა ან ძალადობით შეცვლა, ან რომელიც ეწევა ძალადობის პროპაგანდას.

ასევე, თავ-თავიანთი კონსტიტუციური საფუძვლები გააჩნიათ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 328-ე და 331¹ მუხლებს, რომელთა მიხედვითაც სისხლისსამართლებრივი წესით ისჯება (1) უცხო ქვეყნის ტერორისტულ ორგანიზაციაში ან უცხოეთის კონტროლს დაქვემდებარებულ ასეთ ორგანიზაციაში გაერთიანება ანდა მისი დახმარება ტერორისტულ საქმიანობაში და (2) ტერორიზმის დაფინანსება.

ტერორიზმის საწინააღმდეგო სისხლისსამართლებრივი ნორმები, ბუნებრივია, თავმოყრილია სისხლის სამართლის კოდექსში. ტერორისტული დანაშაულის ჯგუფის ნორმებს ცალკეული ქვეყნების სისხლის სამართლის კოდექსების სისტემაში სხვადასხვა ადგილი აქვს მიჩენილი. კერძოდ, რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსში ისინი, ცალკე ჯგუფად გამოყოფის გარეშე, მოთავსებულია IX კარის („დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და საზოგადოებრივი წესრიგის წინააღმდეგ“) 24-ე თავში – „დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროების წინააღმდეგ“.¹¹ ამ კარშია გაერთიანებული აგრეთვე თავი 25 – „დანაშაული მოსახლეობის ჯანმრთელობისა და საზოგადოებრივი ზნეობის წინააღმდეგ“, თავი 26 – „ეკოლოგიური დანაშაული“, თავი 27 – „დანაშაული მოძრაობის უსაფრთხოებისა და ტრანსპორტის ექსპლოატაციის წინააღმდეგ“, თავი 28 – „დანაშაული კომპიუტერული ინფორმაციის სფეროში“.

¹¹ Уголовный кодекс Российской Федерации (официальный текст). Текст Кодекса приводится по состоянию на 20 сентября 2006 г., М., 2006, стр. 97-109.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ტერორისტული დანაშაულის ჯგუფი ცალკე – 38-ე თავის სახით („ტერორიზმი“)¹² მოთავსებულია მეთერთმეტე კარში – „დანაშაული სახელმწიფოს წინააღმდეგ“. ამ კარში ტერორიზმთან ერთად ცალ-ცალკე თავებად წარმოდგენილია აგრეთვე „დანაშაული საქართველოს კონსტიტუციური წყობილებისა და უშიშროების საფუძვლების წინააღმდეგ“ (თავი 37), „სამოხელეო დანაშაული“ (თავი 39) და „დანაშაული მმართველობის წესის წინააღმდეგ“ (თავი 40).

ტერორისტული დანაშაულის ჯგუფის ადგილი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში, სისტემური განლაგების თვალსაზრისითა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის კონსტიტუციურ საფუძვლებთან მიმართებით, რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსთან შედარებით უფრო სწორად არის განსაზღვრული.

12 სისხლის სამართლის კოდექსი (ოფიციალური ტექსტი 2007 წლის 15 თებერვლის მდგომარეობით), თბ., 2007, გვ. 165-170.

კრიმინოლოგიური დახასიათება კორუფციისა საქართველოში

კორუფცია წარმოადგენს თანამედროვეობის ერთ-ერთ საშიშ სოციალურ მოვლენას. კორუფციის განსაკუთრებული დამანგრეველი შედეგები ვლინდება ეკონომიკურად სუსტ პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებში, რომელთა შორის საქართველოც მოიაზრება.

საერთაშორისო არაკომერციული ორგანიზაციის „transparency international“-ის მიერ 2001-2005 წლებში ჩატარებული კვლევის შედეგების, ბიზნესმენების, სპეციალისტებისა და ფართო საზოგადოების მიერ მსოფლიოში კორუფციის დონის აღქმის შედეგად, აგრეთვე სხვა წყაროების მონაცემებით, საქართველო იყო და რჩება განსაკუთრებით მაღალი კორუმპირებული ხარისხის მქონე სახელმწიფოთა ოცეულში.¹

საქართველოში კორუფციის მაღალ დონეს თავისი ობიექტური მიზეზები და ღრმა ისტორიული ფესვები აქვს. ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში და განსაკუთრებით XX საუკუნის 60-იანი წლებიდან, კორუფცია განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენდა და იწვევდა რესპუბლიკის ხელმძღვანელობის სერიოზულ შეშფოთებას. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სამოქალაქო ომისა და ეკონომიკური დაპირისპირებების, სახელმწიფოებრივი ყველა ინსტიტუტის დეზორგანიზაციისა და დანაშაულის უკიდვანო ზრდის ფონზე, კორუფციამ მიიღო ყოვლისმომცველი ხასიათი.

სამწუხაროდ, პრეზიდენტმა ე. შევარდნაძემ, რომელიც რესპუბლიკას ხანგრძლივი დროის მანძილზე ხელმძღვანელობდა,

¹ Global corruption report – 2001, 2003, 2004, 2005 prepared by Transparency International.

ვერ შეძლო სახელმწიფოს წინაშე რეალურად არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემების გადაჭრა.²

უფრო მეტიც, მისი მმართველობის დროს 90-იან წლებში შეიქმნა გიგანტური ბიუროკრატიული აპარატი, რომელიც ჩაეფლო კორუფციასა და თანამდებობრივ ბოროტმოქმედებებში, ამით რესპუბლიკის ისედაც მცირე ბიუჯეტი მიიყვანა სრულ სიცარიელემდე, ხოლო მოსახლეობა – სტიქიურ აჯანყებამდე.

2003 წლის ნოემბერში მოხდა „ვარდების რევოლუცია“, რომელსაც სათავეში ედგა კორუფციის წინააღმდეგ განსაკუთრებული მებრძოლი მ. სააკაშვილი, რომელიც შემდგომში ხალხმა საქართველოს პრეზიდენტად აირჩია.

ახალმა ხელისუფლებამ თავიდანვე გამოავლინა პოლიტიკური ნება და პრაქტიკულად დაიწყო ორგანიზებული დანაშაულისა და კორუფციის წინააღმდეგ მიმართული მთელი რიგი კონკრეტული, ზოგჯერ რადიკალურიც კი, პროგრამათა კომპლექსის რეალიზება..

რევოლუციის შემდეგ გასული ორი წლის განმავლობაში ქვეყანაში მოხდა რეკორდული რაოდენობის პოლიტიკური, ორგანიზაციული და საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებმაც არსებითად შეცვალეს კრიმინოგენული სიტუაცია და განაპირობეს რთული სოციალური პროცესები, რაც საჭიროებს მეცნიერულ ანალიზსა და ობიექტურ შეფასებებს.

² საერთო ჯამში ე. შვეარდნაძე საქართველოში ხელმძღვანელად იყო 30 წელზე მეტხანს. XX საუკუნის 70-იან წლებში იგი საქართველოს შს მინისტრის თანამდებობიდან გადაყვანილი იქნა საქართველოს კომუნისტური პარტიის მდივნად. მაშინ შვეარდნაძე ხელისუფლებაში მოვიდა როგორც კორუფციის წინააღმდეგ უკომპრომისო მებრძოლი. მან გადაპტრელი ზომებით დაიწყო სახელმწიფოებრივი აპარატის წმენდა და ამით არსებითად გაანადგურა რესპუბლიკის კორუმპირებული კლანები. ამ კამპანიის შედეგად საქართველოში დაპატიმრებული და პასუხისგებაში მიცემული იქნა რამდენიმე ათასი ჩინოვნიკი, ხოლო ზოგიერთ მაღალი თანამდებობის პირს მიუსაჯა დახვეწა. შემდგომში შვეარდნაძე პერიოდულად ატარებდა მოკლევადიან აქციებს, რომლებმაც საგრძნობი ეფექტი ვერ გამოიღო. (ორგანიზებული დანაშაულები, როგორც ძალადობრივი დანაშაულისა და ეთნიკური კონფლიქტების ერთ-ერთი ძირითადი წყარო. თბილისი 1998).

საჭიროა აღინიშნოს, რომ რესპუბლიკაში მიმდინარე ყველა პროცესი ერთმნიშვნელოვნად როდი იწვევს დადებით სოციალურ რეაქციას, უფრო მეტიც, მრავალი ამ რეფორმათაგანი ექვემდებარება სამართლიან კრიტიკას, თუმცა, მეორეს მხრივ უნდა აღინიშნოს ორგანიზებული დანაშაულისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში სოციალური რეფორმების სერიოზული მიღწევებიც.

ახალი ხელისუფლების ხელში მნიშვნელოვანი „კოზირია“ სამართალდამცავი და სასამართლო ორგანოების რეორგანიზაციისა და დეკრიმინალიზაციის სახით ეფექტურად რეალიზებული პროგრამა, რომელიც საქართველოში სამართლიანად ითვლებოდა შედარებით კორუმპირებულ სტრუქტურებად. ეს პრობლემები იწვევს განსაკუთრებულ საზოგადოებრივ ინტერესსა და ცხარე პოლემიკას მეცნიერთა, სპეციალისტებსა და მთლიანად მოსახლეობას შორის.

აღნიშნულის გათვალისწინებით, სტატიის ავტორებმა გადაწყვიტეს საქართველოს სამართალდამცავ და სასამართლო ორგანოებში მომხდარი რეფორმების დადებითი და უარყოფითი მხარეების გაანალიზება. ამ მიზნით ძალოვან სტრუქტურებში უკანასკნელი 5 წლის მანძილზე მათ განახორციელეს კორუფციის სტრუქტურისა და მდგომარეობის ემპირიული კვლევა და ამ მოვლენის „ვარდების რევოლუციამდელი“ და მისი შემდგომი დინამიკის შედარებითი ანალიზი.

წინამდებარე სტატიის მოსამზადებლად გამოყენებულია შემდეგი წყაროები:

- საქართველოს კანონმდებლობა
- საქართველოს შს სამინისტროს სტატისტიკური ცენტრის, გენერალური პროკურატურის, საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს იუსტიციის საბჭოს ოფიციალური მონაცემები.
- საერთაშორისო და ადგილობრივი დამოუკიდებელი ორგანიზაციების მიერ ჩატარებული სოციოლოგიური კვლევის მასალები;

- ავტორის მიერ 2002-2005 წლებში ჩატარებული მონოგრაფიული კვლევის მასალები;
- სხვა სამეცნიერო პუბლიკაციები და კვლევები.

კორუფციასთან ბრძოლის კანონმდებლობის ანალიზი თანამედროვე საქართველოში

ქართული საზოგადოების კორუმპირებულობის საფუძველში დევს ობიექტურ და სუბიექტურ მიზეზთა მთელი კომპლექსი, რომელთა შორის ერთ-ერთ სერიოზულ მიზეზს წარმოადგენს საკანონდებლო ბაზის არასრულყოფილება. ეს იმითაა განპირობებული, რომ დამოუკიდებლობის შექმნის შემდეგ საქართველოს ხელისუფლებას მოუწია დაჩქარებულად შეექმნა ახალი კანონმდებლობა საბაზრო ეკონომიკასთან შესაბამისობაში სახელმწიფოებრივი ფორმაციის თითქმის „ნულიდან“ დაწყება. ეს იყო პოლიტიკურად არასტაბილური ახალგაზრდა რესპუბლიკისათვის მეტად რთული პროცესი, რომელსაც კატასტროფულად არ ყოფნიდა საშუალებანი, სპეციალისტები და რაც მთავარია, სახელმწიფოებრივი გამოცდილება. ამიტომ თეორიული ბაზის ერთიანი კონცეფციისა და კანონმდებლობაში ერთიანი მიდგომის არარსებობის გამო სამართლებრივი რეფორმა ჩატარდა უსისტემოდ. საქართველოს კონსტიტუცია გარკვეულწილად დაემსგავსა ამერიკულ სამართლებრივ სისტემას, სამოქალაქო სამართალი ორიენტირებული იქნა კონტინენტური (ევროპული) სამართლისაკენ, ხოლო სისხლის სამართალმა შეიძინა მრავალი რუსული დოქტრინა.³

ასევე ბუნდოვნად და უსისტემოდ ვითარდებოდა საქართ-

³ კანონებისა და კოდექსების შექმნისას პრიორიტეტები განისაზღვრებოდა, უპირველეს ყოვლისა, იმ ქვეყნის დოქტრინით, რომელიც სპონსორობას უწევდა ამ სამართლებრივი აქტის მომზადებას, ხოლო დაფინანსების არ არსებობის შემთხვევაში გამოიყენებოდა მისაწვდომი მოდელები.

ველოს ანტიკორუფციული ბაზა, რომელიც 90-იანი წლების მეორე ნახევარში მიღებულ რამდენიმე სამართლებრივ აქტს ეფუძნებოდა.

ანტიკორუფციულ კანონთა შორის, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა აღინიშნოს 1977 წლის 17 ოქტომბრის კანონი „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“, რომელიც მრავალი ქვეყნის გამოცდილების გათვალისწინებით იყო მომზადებული და რომელსაც აქტიურ ლობირებას უწევდნენ საერთაშორისო ორგანიზაციები. ამ კანონზე მრავალი ამყარებდა დიდ იმედს, მაგრამ დადებითი შედეგი მას არ მოჰყოლია. ამის მიზეზად მიჩნეულია რამდენიმე ფაქტორი, რომელთა შორის მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ აღნიშნული ანტიკორუფციული კანონმდებლობა იქმნებოდა არსებული რეალობიდან მოწყვეტით და არ იყო გათვლილი საქართველოს კონკრეტულ სამართლებრივ და ეკონომიკურ ბაზაზე.⁴

2000 წელს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით შეიქმნა ანტიკორუფციული პროგრამის შემუშავებელი სპეციალური კომისია 7 წევრის შემადგენლობით საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავჯდომარის ლ. ჭანტურიას თავმჯდომარეობით⁵ რომელმაც მოამზადა ეროვნული ანტიკორუფციული პროგრამა და რომელმაც კრახი განიცადა.

ასევე სათანადოდ ვერ გამოავლინა თავი საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 13 აპრილის ბრძანებულებით შექმ-

⁴ კანონი საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ (1997 წ. 17 ოქტომბრის №982); თანამდებობის პირთა მიერ ქონებრივი და ფინანსური მდგომარეობის დეკლარირების წესი. დამტკიცებული საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 10 ივნისის №413 ბრძანებულებით, თანამდებობის პირის მიერ ქონებრივი და ფინანსური მდგომარეობის დეკლარაციის ტექნიკურად სწორად შევსების ინსტრუქცია დამტკიცებული საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 10 ივლისის №413 ბრძანებულებით; საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება თანამდებობის პირთა ქონებრივი და ფინანსური მდგომარეობის დეკლარირების პროცედურის შესახებ (ბრძანებულება 1998 წლის 10 ივლისის №413); თანამდებობის პირთა ქონებრივი და ფინანსური მდგომარეობის შესახებ საინფორმაციო ბიურის დებულება.

⁵ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება – ეროვნული ანტიკორუფციული პროგრამის შემუშავების შესახებ 2000 წლის 9 ივლისის №296 ბრძანებულება.

ნიღმა საქართველოს ანტიკორუფციული პოლიტიკის საკოორდინაციო საბჭომ, რომელმაც იარსება 2004 წლამდე.

კორუფციასთან ბრძოლის ძირითად ინსტრუმენტს წარმოადგენს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, რომელშიც გათვალისწინებულია ისეთი დანაშაულების შემადგენლობები, რომლებიც სხვადასხვა ხარისხითა და დონით დაკავშირებულია კორუფციის კრიმინალიზაციასთან.

- საქართველოს სსკ 146-ე მუხლი - უდანაშაულო პირის განზრახ მიცემა სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში.

- საქართველოს სსკ 147-ე მუხლი - განზრახ უკანონო დაკავება ან დაპატიმრება.

- საქართველოს სსკ 182-ე მუხლი - მითვისება ან გაფლანგვა.

- საქართველოს სსკ 190-ე მუხლი - კანონიერი სამეწარმეო საქმიანობისათვის ხელის შეშლა.

- საქართველოს სსკ 194-ე მუხლი - უკანონო შემოსავლების ღეგალიზაცია.

- საქართველოს სსკ 203-ე მუხლი - პროფესიული სპორტული შეჯიბრის ანდა კომერციულ-სანახაობითი კონკურსის მონაწილის ან ორგანიზატორის მოსყიდვა.

- საქართველოს სსკ 220-ე მუხლი - უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება.

- საქართველოს სსკ 221-ე მუხლი - კომერციული მოსყიდვა.

- საქართველოს სსკ 332-ე მუხლი - სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება.

- საქართველოს სსკ 333-ე მუხლი - სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება.

- საქართველოს სსკ 334-ე მუხლი - სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან უკანონო გათავისუფლება.

- საქართველოს სსკ 337-ე მუხლი - სამეწარმეო საქმიანობაში უკანონო მონაწილეობა.

- საქართველოს სსკ 338-ე მუხლი - ქრთამის აღება.

- საქართველოს სსკ 339-ე მუხლი - ქრთამის მიცემა.

– საქართველოს სსკ 340-ე მუხლი – კანონით აკრძალული სანუქრის მიღება.

– საქართველოს სსკ 341-ე მუხლი – სამსახურებრივი სიყალბე.

რაც შეეხება ხელისუფლების მიერ მიღებულ მრავალ სხვა კანონს, საკმაოდ რთულია მათი ავტორობის დადგენა, თუმცა, ძირითადად, ისინი გამოხატავდნენ ცალკეული ჯგუფებისა და კლანების ინტერესებს და არ ჰქონდათ არავითარი პრაქტიკული მნიშვნელობა.

ბუნებრივია, რომ ასეთი საკანონმდებლო სისტემის მქონე საქართველოს სახელმწიფოებრივი მანქანა ეფექტურად ვერ იმუშავებდა, ცალკეულ შემთხვევებში კი, სრულ უმწიფობას აღუენდა მოსახლეობის ინტერესების დაცვის საკითხებში, მაგრამ ხელისუფლებაში ინარჩუნებდა მმართველ რეჟიმს.

ახალი ხელისუფლების მოსვლისას, 2003 წლის დასასრულიდან დაიწყო ახალი ანტიკორუფციული პოლიტიკის ფორმირება.

უკვე 2004 წლის 13 თებერვალს საქართველოს პარლამენტმა ცვლილებები შეიტანა საქართველოს ორგანულ კანონში „პროკურატურის შესახებ“ და დამატებები ადმინისტრაციულ-საპროცესო კოდექსში. ამ საკანონმდებლო აქტებით გაფართოვებული იქნა პროკურორის უფლებები მიემართა სასამართლოსათვის სარჩელით სახელმწიფოს სასარგებლოდ უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების ამოღების შესახებ. მოცემული კანონების მოთხოვნათა შესაბამისად, სასამართლო პროცესში განხილვისას, იმ ფაქტის დადასტურებისას, რომ თანამდებობის პირს (მისი ოჯახის წევრებს და ახლო ნათესავებს) აქვთ უკანონო ან დაუსაბუთებელი ქონება (ანუ ქონება, რომელიც დოკუმენტალურად შეუძლებელია დადასტურდეს), მოცემული ქონება უნდა გადაეცეს კანონიერ მფლობელს, ხოლო ასეთის არარსებობის შემთხვევაში, სახელმწიფოს.⁶

⁶ საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს პროკურატურის შესახებ“. www.Parliament.ge. 2004-წლის 13 თებერვალი.

ამავე პერიოდში შეტანილი იქნა ცვლილებები კანონში „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობასა და კორუფციის შესახებ“, რომელთა შესაბამისადაც პირის დანიშვნა შეუძლებელი იქნებოდა სახელმწიფო თანამდებობაზე, ვიდრე იგი არ წარმოადგენდა იუსტიციის სამინისტროს საინფორმაციო ბიუროში დეკლარაციას თავისი ქონების შესახებ. ამასთან ასეთი თანამდებობის მაძიებელი ვალდებულია განმარტოს დეკლარაციაში დაფიქსირებული ფასიანი ქონების წარმოშობა.

საინტერესო ცვლილებებია შეტანილი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, სამართლებრივ პრაქტიკაში შეტანილია ახალი სამართლებრივი ინსტრუმენტი, რომელსაც ეწოდა ბრალის აღიარების პროცესუალური შეთანხმება. ასეთი საპროცესუალური ნოველის არსი მდგომარეობს პროკურორსა და ბრალდებულის ადვოკატს შორის დადებულ შეთანხმებაში, რაშიც იგულისხმება ბრალდებულის მიერ ბრალის აღიარება და გამოძიებასთან ნებაყოფლობითი თანამშრომლობა კონკრეტული თანამდებობის პირის (პირების) მიერ მძიმე კორუფციული დანაშაულის ჩადენის უტყუარი ინფორმაციის მიწოდებით, რის შედეგადაც პროკურორს ეძლევა უფლება უარი თქვას სისხლისსამართლებრივ დევნაზე და სასამართლოს წინაშე აღძრას საქმის განხილვის გარეშე გამამართლებელი ან შემსუბუქებელი განაჩენის გამოტანის შესაძლებლობის შუამდგომლობა.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ამ ცვლილებათა ფარგლებში ე.წ. საპროცესო კონფისკაციასთან ერთად ამოქმედდა განზრახ უკანონო გზით მოპოვებული ქონების ამოღების სამართლებრივი მექანიზმი.

საპროცესო კოდექსის ახალი დებულებების შესაბამისად ბრალდებულის სასჯელი შეიძლება შემსუბუქდეს ან შეიცვალოს, თუ იგი აღიარებს ბრალს და აანაზღაურებს თავისი ქმედებით მიყენებულ ზიანს.

2005 წლის 24 ივნისს მიღებულია საქართველოს ანტიკორუფ-

ციული სტრატეგია.⁷ წინამდებარე სტრატეგია ითვალისწინებს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შემდეგ დებულებებს:

1. კონკრეტული კორუფციული პრაქტიკის გამოვლენა, რეფორმების კრიტიკული ანალიზი, შესაბამისი კანონმდებლობის შექმნა.

2. კორუფციის ფაქტების შემცირების მიზნით საქმისთვის მნიშვნელობის მქონე სამართლებრივი ანალიზისა და ნორმატიული ბაზის ინსტიტუციონალიზაცია.

3. კორუფციის აქტების კრიმინალიზაცია საერთაშორისო აქტებთან შესაბამისობაში.

4. კორუფციის ფარგლების დადგენის სტანდარტული მეთოდოლოგიის დადგენა.

საკანონდებლო ცვლილებებისა და დამატებებთან ერთად საქართველოს პარლამენტმა 2004 წლის 17 თებერვალს მოახდინა დანაშაულებრივი შემოსავლების გათეთრებით შექმნილი ქონების გამოძიების, ამოღებისა და კონფისკაციის სტრასბურგის 1990 წლის 8 ნოემბრის კონვენციის რატიფიცირება.

– ტრანზიტული ეკონომიკისათვის ანტიკორუფციული ქსელი (ACN), რომელიც მიღებულია 1998 წელს აღმოსავლეთ ევროპისა და დსთ-ს ქვეყნების კოორდინაციისა და პოლიტიკური დიალოგებისათვის.

– კორუფციის წინააღმდეგი სახელმწიფოთა ჯგუფი (GRECO), რომელიც შეიქმნა 1999 წლის 1 მაისს ევროპის მინისტრთა საბჭოს მიერ, საქართველო (GRECO)-ს წევრი გახდა 1999 წელს.

კორუფციასთან საბრძოლველად ახალმა ხელისუფლებამ გამოიყენა ტრადიციული და ახალი სტრუქტურული დანაყოფები:

1. საქართველოს პრეზიდენტთან არსებული უშიშროების საბჭო. შეიქმნა საქართველოს უშიშროების საბჭოს აპარატთან არსებული სპეციალური ანტიკორუფციული დეპარტამენტი,

⁷ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №550 საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგია.

რომლის ფუნქციებშიც შედის სახელმწიფოს ანტიკორუფციული სტრატეგიისა და ანტიკორუფციული საქმიანობის კოორდინაციის შემუშავება. 2006 წლის დასაწყისიდან მოხდა ანტიკორუფციული დეპარტამენტის ლიკვიდაცია. მის ნაცვლად, სახელმწიფო მინისტრის კ. ბენდუქიძის აპარატში შეიქმნა ანტიკორუფციული ჯგუფი, რომელმაც თავის თავზე აიღო კორუფციასთან ბრძოლის სახელმწიფოებრივი პოლიტიკის კოორდინირების ფუნქცია.

2. საქართველოს გენერალური პროკურატურა.¹³ საქართველოს გენერალური პროკურატურის ბრძანების თანახმად

3. საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული საფინანსო პოლიცია. 2004 წლის 24 თებერვალს პარლამენტმა მიიღო კანონი „საფინანსო პოლიციის შესახებ“.⁸ რომლითაც შეიქმნა ახალი სამართალდამცავი სტრუქტურა და რომელსაც აქვს სისხლის სამართლის საქმის აღძვრისა და ეკონომიკურ დანაშაულობებზე გამოძიების განხორციელების უფლება, რაც ადრე სულ სხვა უწყებებს ეკისრებოდათ (შსს, პროკურატურა, სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო, საგადასახადო ინსპექცია და საბაჟო დეპარტამენტი). ამ ძალოვანი სტრუქტურის შექმნა განპირობებული იყო ანტიკორუფციული ფუნქციების ერთ უწყებაში კონცენტრირების სურვილით, ეფექტურობის, მიზანმიმართულობისა და პასუხისმგებლობის ამადლების მიზნით.

⁸ კანონი საფინანსო პოლიციის შესახებ – 24.04.2004.

**კორუფციის საერთო მდგომარეობა,
სტრუქტურა და დინამიკა საქართველოში
1999-2005 წლებში.**

ავტორებმა გაანალიზეს საქართველოს შსს საინფორმაციო ცენტრში არსებული სტატისტიკა ძირითადი კორუფციული დანაშაულების მიხედვით.⁹

ანტიკორუფციული კამპანიისა და საზოგადოებაში ცნობილი ბიზნესის წარმომადგენლებისა და სახელმწიფო მოღვაწეთა დაპატიმრებების მიუხედავად, საქართველოს შსს-ს მიერ მოწოდებულმა სისხლისსამართლებრივმა სტატისტიკამ არ გვიჩვენა არსებითი რაოდენობრივი და ხარისხობრივი განსხვავება 2003-2004 წლებთან შედარებით. (იხილეთ ცხრილი)

**ცხრილი №10. კორუფციულ დანაშაულთა დინამიკა საქართველოში
2003-2004 წლებში.¹⁰**

დანაშაული	2003 წელი			2004 წელი		
	ნადენილია	გახსნილია	გახსნილია- ია%	ნადენილია	გახსნილია	გახსნილია- ია%
1	2	3	4	5	6	7
თანამდებობის ბოროტად გამოყენება	147	145	98.6	238	176	73.9
უფლებამოსილების გადამეტება	87	83	95.4	178	127	71.3

⁹ კორუფციული დანაშაულების სტატისტიკა სიამოვნებით მოგვაწოდა საქართველოს შსს იურიდიული სამმართველოს უფროსის მოადგილემ, პოლკოვნიკმა ჯ. გაბელიამ.

¹⁰ მონაცემები მიღებულია საქართველოს შსს საინფორმაციო ცენტრიდან.

1		2	3	4	5	6	7
მექრთამეობა		27	26	96.3	39	38	97.4
მათ შორის	მძიმე	13	13	100	16	15	93.8
	ნაკლ.მძიმე	3	3	100	13	13	100
დაუდევრობა		61	61	100	63	52	82.5
სამსახურებრივი სიყალბე		61	60	98.4	108	77	71.3
მითვისება გაფლანგვა		215	213	99.1	189	182	96.3
საბაჟო წესების დარღვევა		118	116	98.3	69	62	89.9
მათ შორის	ნაკლ.მძიმე	101	99	98	42	38	90.5
	მძიმე	16	16	100	23	21	91.3
	განსაკ.მძიმე	1		0	4	3	75
გადასახადებისაგან თავის არიდება		320	302	94.4	248	237	95.6

როგორც ცხრილიდან ჩანს, 2003-2004 წლებში შეიმჩნევა უმნიშვნელო ზრდა რეგისტრირებული მექრთამეობის ფაქტების აბსოლუტურ მაჩვენებლებში – სულ 12 ფაქტი ანუ 20%-ია, ხოლო გადასახადებისაგან თავის არიდებაში დაფიქსირებულია კლება-დობა 70 ერთეულით ანუ დაახლოებით 20%. უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული ანგარიში სრულად არ ასახავს კორუფციული დამნაშავეობის რეალურ დონეს, მხოლოდ ადასტურებს ამ საქმიანობის მაღალ ლატენტურობას. რასაკვირველია, ლატენტური დანაშაულობანი მსოფლიოს მრავალი ქვეყნისათვის ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს, მაგრამ საქართველოს მასშტაბით მონაცემები ყველაზე ნეგატიურ მოლოდინსაც კი აღემატება.

უფრო მეტად დამორგუნავ ეფექტს ახდენს კორუფციულ დანაშაულობათა სასამართლო სტატიტიკა.

საერთო სასამართლოების სტატისტიკა კორუფციული დანაშაულების მიხედვით 2002-2005 წლებში.¹¹

დანაშაულები	2002		2003		2004		2005 (8თვის)	
	სულ	თავისუფლების აღკვეთა	სულ	თავისუფლების აღკვეთა	სულ	თავისუფლების აღკვეთა	სულ	თავისუფლების აღკვეთა
ქრთამის აღება და მიცემა	7	2	8	1	27	24	40	18
სხვა თანამდებობრივი დანაშაულობანი	68	2	43	1	121	66	72	44

მოცემული ცხრილის მიხედვით 2002-2003 წლებში საქართველოს სასამართლოების მიერ მექრთამეობისა და სხვა კორუფციული დანაშაულებისათვის თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა მხოლოდ 4 ადამიანს.

2004 წლიდან კორუფციასთან ბრძოლის ეფექტურობა სახელმწიფოებრივ და სამართალდამცავ დონეზე საქართველოში, მართალია, უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც მომატებულია. მაგალითად, სასამართლოებში გაიზარდა სისხლის სამართლის საქმეთა აბსოლუტური რაოდენობა, გამამტყუნებელი განაჩენები 10-20-ჯერ გაიზარდა, ხოლო აბსოლუტურ მანქანებლებში მან შეადგინა 90 განაჩენი თავისუფლების აღკვეთით.

იმავდროულად, როგორც ამას პრაქტიკა გვიჩვენებს. ბიზნესმენებისა და მაღალი თანამდებობის ჩინოვნიკთა წინააღმდეგ ხმაურიან კორუმპირებულ საქმეთა უმრავლესობა არ შევიდა

¹¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ოფიციალური სტატისტიკური ანგარიში – WWW.supremecourt.ge/.

სასამართლო სტატისტიკაში, რადგანაც ისინი დასრულებულია ან შეწყვეტილია მას შემდეგ, რაც მათ აღიარეს დანაშაული და პროკურატურასთან შეთანხმებით ქვეყნის ბიუჯეტში შეიტანეს თანხები. ასეთი შეთანხმება ბრალდებულსა და გამოძიებას შორის შესაძლებელი გახდა საპროცესო კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებების შედეგად, ხელისუფლების მტკიცებით ამ გზით ბიუჯეტში შესაძლებელი გახდა 30 მილიონზე მეტი დოლარის დაბრუნება. ეს საქმეები თანამდებობრივ დანაშაულთა დაახლოებით 50%-ს შეადგენს.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ სახელმწიფო ხელისუფლების მიერ მიღწეული წარმატებები უნდა მივიჩნიოთ კორუფციასთან ბრძოლის პირველ ნაბიჯებად. ეკონომიკის მრავალი სფერო ძველებურად რჩება ჩრდილოვან სექტორად, ხოლო გადასახადების მოუწესრიგებლობა სამართალდამცავ, საგადასახადო და საბაჟო ორგანოებში ქმნის ნაყოფიერ ნიადაგს კორუფციისათვის. მაგალითისათვის აღინიშნება 2005 წლის ოქტომბერში რესპუბლიკის რეფორმირებულ საბაჟო ორგანოებში ჩატარებული დიდი წმენდა, როდესაც მექრთამეობისათვის სარფში თურქეთის საზღვართან დააპატიმრეს საბაჟოს 3 მოხელე, ხოლო სულ პასუხისგებაში მიცემულია ამ უწყების 12 თანამშრომელი.¹² ამით დადასტურდა ვარაუდი, რომ რეფორმირება და პირადი შემადგენლობის ცვლა კორუმპირებულობისაგან პანაცეას სულაც არ წარმოადგენს;

საზოგადოებისათვის კორუფციული თემატიკა რჩება აქტუალურად და საინტერესოდ და ფართოდაა წარმოდგენილი საქართველოს მასობრივ ინფორმაციათა საშუალებებში. მაგალითად, ზოგიერთი გაზეთი თავისი სტატიების 18%-დან 53%-მდე უძღვნის სამართალდამცავ და სასამართლო ორგანოებს, ამასთან პუბლიკაციათა 4%-მდე შეიცავს მკაცრ კრიტიკას.¹³

12 საქართველოს შსს საინფორმაციო ცენტრი – www.police.ge.

13 edia monitoring study of Ministry of Internal Affairs, Ministry of State Security, Public Prosecutour's and Court (May 2005, BCG Research) – [http://www.alpe.ge/EN/opinion/Media%20Monitoring/report March\(eng\) files/frame.htm](http://www.alpe.ge/EN/opinion/Media%20Monitoring/report%20March(eng)files/frame.htm).

**კორუფციის მდგომარეობა და სტრუქტურა
სამართალდამცავ და სასამართლო სისტემაში
„პარღვის რეპოლუციაზე“ და შემდეგ**

საქართველოში სამართალდამცავ და მაკონტროლებელ ორგანოებში კორუფცია მუდამ სერიოზულ პრობლემას წარმოადგენდა კანონიერების განმტკიცებისა და დანაშაულობასთან ბრძოლის საქმეში.

GORBI-ს მიერ გამოკვლეული მონაცემების მიხედვით, შედარებით კორუმპირებულ სფეროებს წარმოადგენენ:¹⁴

საქართველოში კორუფციის გავრცელების შესახებ საზოგადოებრივი აზრი	2001	2002	2003	2004
საბაჟო	66%	70%	71%	–
პოლიციის თანამშრომლები	73%	70%	70%	48%
საგადასახადო ინსპექცია	70%	70%	70%	–
პროკურორები	59%	63%	63%	41%
მოსამართლეები	56%	61%	61%	37%

წინამდებარე მონაცემები დადასტურებულია ავტორის მიერ 2003 წელს ჩატარებული გამოკითხვის შედეგად, რომლის მიხედვითაც შედარებით კორუმპირებულ სტრუქტურებად დასახელებული იყო პოლიცია, საგზაო პოლიცია, საბაჟო, სასამართლოები, საგადასახადო ინსპექციები, პროკურატურა, ხოლო შედარებით ნაკლებკორუმპირებულად ჯანმრთელობისა და განათლების სისტემები.¹⁵

მსოფლიო ბანკის მიერ ჩატარებული კვლევების მონაცემთა მიხედვით საქართველოს სამართალდამცავ, სასამართლო და

¹⁴ Judicial Reform in Georgia 2004-A Study of Public Opinion – <http://WWW.alpe.ge/EN/opinion.asp>

¹⁵ Independent Agencies: Basic Trends and Implementation in international Practice, CRC, COLPI, Tbilisi 2000 <http://crc.gateway.ge/colpi/acabt.pdf>

მაკონტროლებელ ორგანოებში ადგილი ჰქონდა ხელმძღვანელ თანამდებობათა გაყიდვის პრაქტიკას; საბაჟოში (48%), საგადასახადო ინსპექციაში(41%), პოლიციაში (40%), სასამართლოში (32%), ადგილობრივ ხელისუფლების ორგანოებში (22%) და ა.შ.¹⁶

აღსანიშნავია, რომ საზოგადოებრიობა ყოველთვის ნეგატიურ დამოკიდებულებას იჩენდა კორუფციის მიმართ, მაშინაც კი, თუ მექრთამეობის მეშვეობით აღწევდა დასახულ მიზნებს. მაგალითად, გამოკითხულთა 25%-მა განიცადა განრისხება, 31% – აღშოთდა, 31%-მა უხერხულობა განიცადა, და მხოლოდ 4% – დარჩა კმაყოფილი.¹⁷

კვლევამ გვიჩვენა, რომ სამართალდამცავ ორგანოებში უნდა განეხილათ კორუფციის სახეები:

– სამართალდამცავ საქმიანობასთან დაკავშირებული კორუფცია;

– კორუფცია დაკავშირებული თანამდებობაზე დანიშნასთან ან სამსახურებრივ დაწინაურებასთან და ა.შ.

– კორუფცია განათლებისა და გადამზადების სისტემაში.¹⁸

კორუფციას სამართალდამცავ სფეროში და სასამართლო საქმიანობაში გააჩნია განსაკუთრებით დიდი საფრთხე, რადგანაც ხელყოფს სახელმწიფოებრივ და მოქალაქეთა ინტერესებს, მართმსაჯულებას როგორც სახელმწიფოს საქმიანობის ძირითად ფუნქციას.

არანაკლებ სახიფათოა კორუფცია დაკავშირებული სამსახურებრივ დანიშნებთან და დაწინაურებასთან, რომელიც ხელს უწყობს სახელმწიფოებრივ სამსახურში დამანგრეველ

¹⁶ Daniel Kaufmann, Sanjay Pradhan, and Randi Ryterman – World Bank Finde New Ways to Diagnose Corruption Symptoms . <http://www.worldbank.org/transitionnewsletter/janfeb99/pas10-11.htm>

¹⁷ Corruption survey in Georgia – third wave. August 2003, GORBI

¹⁸ Г. Глonti – Методы борьбы с коррупцией в правоохранительной системе. Доклад на 13-ой конференции руководителей высших учебных заведений Центральной и Восточной Европы, Баку, Азербайджан 10.09.2005.

ტენდენციებს და კრიმინალური ორგანიზაციების შექმნას, სადაც აღვილი აქვს „ურთირეთთავედებობას“.

და ბოლოს, კორუფცია განათლების სისტემაში ავსებს ამ ნეგატიური მოვლენის დეზორგანიზაციულ ეფექტს არაპროფესიონალი და ამორალური კადრების რეპროდუქცირებით.

კორუფციის ყოველი ჩამოთვლილი სახეობა მეტნაკლებად ახასიათებს კრიმინალური იუსტიციის ყოველ ორგანოს.

განვიხილოთ დაწვრილებით სხვადასხვა სამართალდამცავ და სასამართლო ორგანოებში კორუფციის მიზეზები და პირობები.

კორუფცია შინაგან საქმეთა სამინისტროში

შინაგან საქმეთა სამინისტრო საქართველოში წარმოადგენს ყველაზე მსხვილ სახელმწიფოებრივ სტრუქტურას, რომელიც საბჭოთა კავშირის პერიოდიდან რჩებოდა პრაქტიკულად არარეფორმირებულად. შედეგად, ამ დაწესებულებაში დაგროვდა სერიოზული პრობლემები, რომლებიც ეხებოდა როგორც ორგანიზაციულ სტრუქტურას, მმართველობის მეთოდებს, ისე კორუფციაში ჩაბმის დონეს. გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ შს სამინისტრო საქართველოში იყო ყველაზე კორუმპირებული სამინისტრო. კორუფციაში ჩაბმული იყო პრაქტიკულად ყველა სტრუქტურული დანაყოფი მინისტრიდან დაწყებული რაიონული დონის რიგით პოლიციელამდე.

2004 წლამდე განსაკუთრებით კორუმპირებულად ითვლებოდა საქართველოს შს სამინისტროს სახელმწიფო ავტონისპექცია. ავტორის მიერ პირადი სარგებლობისათვის ჩატარებული კვლევის მონაცემებით, ავტომობილებით მოსარგებლე პირთა და პროფესიონალ მძღოლთა შორის გამოკითხულთა 90%-მა განაცხადა, რომ მათი ავტომობილი, თუნდაც ერთხელ მაინც, იყო განქრებული საი-ს თანამშრომლების მიერ, ამასთან 72%-მა გვაცნობა, რომ მათზე ხორციელდებოდა ზეწოლა საი-ს თანამ-

შრომელთა მხრიდან, ხოლო 45%-მა აღიარა, რომ საი-ს ინსპექტორს გადაუხადეს ქრთამი, 78% ამტკიცებდა, რომ ისინი საი-ს თანამშრომლებმა გააჩერეს საგზაო წესების არა კონკრეტული დარღვევისათვის, არამედ ე.წ. დოკუმენტების შესამოწმებლად და გახდნენ გამოძალვის მსხვერპლნი სხვადასხვა საბაბით. მაგალითად: (აფთიაქის ან ხანძრის ჩასაქრობის არქონის გამო და ა.შ.), 36%-მა განაცხადა, რომ მათ დღეში რამდენჯერმე აჩერებდნენ, 12%-მა, რომ საი-ს თანამშრომლები ძალადვნენ ფულს, ემუქრებოდნენ და შეურაცხყოფდნენ. ყველა გამოკითხულიდან 96% დარწმუნებული იყო, რომ საი-ს სტრუქტურა მთლიანად იყო კორუმპირებული – დეპარტამენტის უფროსიდან დაწყებული რიგით თანამშრომლებამდე.¹⁹

კვლევამ გეჩვენა, რომ საი-ს კორუფციული შემოსავლების ძირითად წყაროებს წარმოადგენს:

- გზებზე გადასახადები
- ტექნიკური მდგომარეობის დათვალიერება
- ავტომობილების რეგისტრაცია
- მძღოლის მოწმობის გაცემა

შედარებით შემოსავლიანი იყო საავტომობილო ტრასების პატრულირება. საი-ს სტაციონალურ და დროებით პოსტებზე ინსპექტორები აკუმულირებდნენ მძღოლებისაგან გადასახადების საშუალებებს, რომელთა ნაწილიც ხელმძღვანელებისათვის იყო განკუთვნილი: ტრასის უფროსისათვის, რომელიც თავის მხრივ, თანხას გადასცემდა დეპარტამენტის ხელმძღვანელს, იგი მინისტრის მოადგილეს, რომელიც კურირებდა ამ სამსახურს, ეს უკანასკნელი კი შს მინისტრს.

ზღაპრულ შემოსავლებს დებულობდა საი-ს სამსახური ავტომობილების ნომრების რეგისტრაციისას.

კორუფციული გარიგებების ობიექტებად ხდებოდნენ:

- სხვა ქვეყნებში, ძირითად რუსეთსა და დასავლეთ ევ-

¹⁹ სამართლებრივი რეფორმების ინსტიტუტის ბაზაზე 2003 წ. ჩატარებული კვლევის მასალები. თბილისი 2003წ. გვ.11.

როპაში გატაცებული ავტომობილების რეგისტრაცია და ლეგალიზაცია.

– საბაჟოს გაელისა და განბაჟების პროცედურისათვის სათანადო გადახდის გარეშე ავტომობილთა რეგისტრაცია

– პრესტიჟული ლიცენზირებული ნომრების მაღალ ფასებში გაყიდვა

– ავტომობილის დოკუმენტების გასაცემად ელემენტარული გამოძალაველობა (გაჭიანურება, გაჯანჯლება).²⁰

2004 წელს გამოაშკარავებულია უმსხვილესი მაქინაციები ევროპიდან და რუსეთიდან ჩამოყვანილი მანქანების შესახებ, როცა მაღალჩინოსანი ჩინოვნიკების დახმარებით შს მინისტრის მოადგილის დონეზე, მფლობელების მიერ ხდებოდა ავტომობილების გაფორმება საბაჟო გადასახადების გვერდის ავლით. გამოყენებულია შემდეგი სქემა: მოქალაქეები, რომლებსაც არ სურდათ განბაჟების თანხების გადახდა უცხოეთიდან ჩამოყვანილი მანქანისათვის და დაჩქარებული წესით სურდათ დოკუმენტაციასთან დაკავშირებული საკითხების მოწესრიგება, დანაშაულებრივად მოურიგდებოდნენ საგზაო პოლიციის თანამშრომლებს, იხდიდნენ ქრთამს 400-600 დოლარს და ღებულობდნენ სათანადო დოკუმენტებს საქართველოს შს სამინისტროდან. ამავე სქემით ხდებოდა საზღვარგარეთ მოპარული ავტომობილების ლეგალიზაცია. მაგალითად, მასობრივ ინფორმაციათა საშუალებებში ნახსენები იყო 100-ზე მეტი ძვირფასი ავტომობილის შესახებ, რომელთა დატაცებაც ევროპაში, ხოლო ლეგალიზაცია კი თბილისში მოხდა, რის შედეგადაც, რამდენიმე მილიონი დოლარი ჩაიჯიბეს საგადასახადო და საბაჟო ორგანოების ჩინოვნიკებმა.²¹

²⁰ K. Mchedlishvili – Коррупция в ГАИ и меры по ее предупреждению. стр. 77_ В сборнике «Организованная преступность и коррупция в Грузии» TRACCC Georgia Office 2005 – WWW.traccn.cdn.ge

²¹ 2005 წელს სკანდალი მოხდა ბელგიაში, სადაც დააკავეს საქართველოს 10-ზე მეტი მოქალაქე, რომლებიც ეჭვმიტანილი იყვნენ ორგანიზებულ დანაშაულებებში ძვირადღირებული ავტომობილების დატაცებასა და საქართველოში და სხვა ქვეყნებში გადაზღვრებაში. ანალოგიური დამნაშავე ჯგუფები იყვნენ მიცემული პასუხისმგებლობაში ავსტრიაში და დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებში.

საი-ს მუშაობა იმდენად შემოსავლიანი და „პრესტიჟული“ გახდა, რომ თუნდაც რიგით თანამდებობაზე დანიშვნას კურატორობდა შსს მაღალჩინოსანი ხელმძღვანელები და კანდიდატს დანიშვნა უჯდებოდა 5000-დან 50000-მდე დოლარი. ასევე ძვირადღირებული იყო სასაქონლო და სოფლის-მეურნეობის ბაზრის პოლიციაში და ა.შ. დანიშვნები.

კორუფცია ფართოდ იყო გავრცელებული სისხლის სამართლის სამსახურის მთავარი სამმართველოს თანამშრომელთა შორის. კორუფციის უდიდესი დონე აღინიშნებოდა მოკვლევისა და გამოძიების განხორციელებისას, რაც ტენდენციურად და ადამიანის უფლებათა დარღვევებით ხდებოდა. ბრალდებულები ექვემდებარებოდნენ დამამცირებელ, ძალის გამოყენებით დაკითხვას, მათ სთავაზობდნენ ელიარებიანთ დანაშაულები, რომლებიც არ იყო მათ მიერ ჩადენილი და ფიზიკური ლიკვიდაციის მუქარის შიშის გამო, ცდილობდნენ გამოძიებლებისაგან თავის დაღწევას გამოსყიდვის გზით.

ამ სამმართველოს თანამშრომელთა გამყიდველობის დონის შესახებ შეიძლება ვიმსჯელოთ თუნდაც შემდეგი მაგალითის საფუძველზე.

2002 წლის ივნისში თბილისში „ჩაის სახლის“ სააქტო დარბაზში ჩატარდა საქართველოში და საზღვარგარეთ მცხოვრები „კანონიერი ქურდების“ შეკრება. უსაფრთხოებისა და ხელშეუხებლობის უზრუნველსაყოფად ქურდებმა შსს ხელმძღვანელობას გადასცეს თანხა 103,000 დოლარის ოდენობით. ეს საშუალებანი დაყოფილი იყო შემდეგნაირად: 70,000 დოლარი დარჩა ცენტრალურ აპარატში, 30,000 დოლარი თბილისის შს სამმართველოში და მხოლოდ 3000 დოლარი შეხვდათ აფხაზეთის შს (დევნილთა) სამინისტროს.²²

²² Г. Сирадзе – Коррупция в системе МВД, стр. 110-В сборнике «Организованная преступность и коррупция в Грузии.» TRACCC Georgia Office 2005 – www.traccc.cdn.ge

Г. Глonti – Организованная преступность в Грузии В сб. Кримнология и правоохранительная система, с. 271 Тбилиси 2003

ოკერატიულ და საგამოძიებო სამსახურთა უმრავლესობა არც კი ცდილობდა კომუფლირება მოეხდინა გადასახადებისა და გამომძიებლობისათვის, ამართლებდნენ რა თავის მოქმედებას „უკიდურესი აუცილებლობით“ ცხოვრების მძიმე პირობების, 30 დოლარიანი ხელფასის გამო. უფრო მეტიც, სისტემაში არსებობდა სხვადასხვა სამსახურის სამსახურებრივი დანახარჯების თვითდაფინანსების ბინძური, უზნეო პრაქტიკა, მაგალითად: შსს-თვის ჩვეულებრივი საქმე იყო თანამშრომელთა მიერ საკუთარი ავტომობილების მოხმარება, ბენზინის საფასური, სატელეფონო ანგარიშები (ბარათები) და საიდუმლო აგენტურის დაფინანსებაც კი „თავისი ანგარიშიდან“ უნდა მოეხდინათ. შემდეგ კი ეს თანხა გამოიძალგებოდა ეჭვმიტანილებისაგან, აგრეთვე გროვდებოდა პრივილეგირებული კრიმინალებისაგან ქრთამის სახით. განსაკუთრებით მჭიდრო კავშირები დადგინდა „კანონიერ ქურდებთან“, რომლებიც პრაქტიკულად დაუსჯელად იყოფდნენ მთელ რესპუბლიკას ზეგაელენის ზონებად, სადაც მკაცრად აკონტროლებდნენ ორგანიზებულ დანაშაულობას.²³

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს შსს და სხვა უწყებათა ჩინოსან თანამშრომელთა საქმიანობა საერთაშორისო პასპორტების მიღების გაჯანჯღლებითა და გაჭიანურებით. მანიპულაციების შედეგად, იქმნებოდა ხელოვნური დეფიციტი საერთაშორისო პასპორტების ბლანკებზე, რომლებიც საფრანგეთში მზადდებოდა. ამის შედეგად იქმნებოდა მრავალთვიანი რიგები და მოთხოვნილების აჟიოტაჟი. როგორც შედეგი, დაჩქარებულ ვადებში პასპორტის მიღების მსურველები, იძულებულნი იყვნენ გადაეხადათ 400-700 დოლარი.

კორუმპირებული აღმონდა აგრეთვე საქართველოს შსს ქვედანაყოფი – ნარკომანიასთან ბრძოლის სამსახური. ნარკომანიასთან დაკავშირებული დანაშაულობათა დონე ხელოვნურად მცირდებოდა. ნარკომანები, როგორც წესი, პოლიციას უხდიდნენ ფულს მფარველობისათვის, მაშინ, როცა უდანაშაულო პირები, ხშირად პროვოკაციის მსხვერპლნი ხდებოდნენ, რაც დაკა-

შირებული იყო პოლიციის თანამშრომელთა მიერ ჩაგდებული ნარკოტიკების შენახვისა და მოხმარების ინკრიმინირებასთან. ამერიკის შეერთებული შტატების (DEA) ნარკოტიკებთან ბრძოლის ადმინისტრაციის ამერიკელი წარმომადგენელი არაერთხელ აღნიშნავდა, რომ საქართველოში ნარკობიზნესის კონტროლირება ხდებოდა საქართველოს შს სამინისტროს მაღალჩინოსნების მიერ. მისი ინფორმაციით რესპუბლიკაში ფუნქციონირებდა ჰეროინის წარმოების მინიმუმ ორი ლაბორატორია (თბილისსა და ბათუმში), რომელიც მიეკუთვნებოდა ხსენებულ პირებს. ამ წარმომადგენლის აღნიშნული და ყურადსაღები სხვა ინფორმაციაც კატეგორიულად იყო უარყოფილი საქართველოს შს სამინისტროს ხელმძღვანელობის მიერ, როგორც სინამდვილეს მოკლებული ინფორმაცია.

კორუფცია აყვავდა შსს-ს საინფორმაცო ცენტრში. არსებობდა შემდეგი ტაქსები: ნასამართლობის ცნობის დადგენილ ვადაზე ადრე მისაღებად 10-20 დოლარი, კომპიუტერულ ბაზაში ნასამართლობის მონაცემების შესწორებისა ან ნასამართლობის მონაცემების განადგურებისათვის 500-დან 10000 დოლარამდე იმისდა მიხედვით, თუ პირი რა მუხლით იყო ნასამართლები.

განსაკუთრებით შეუწყნარებლად იყო მოჩნეული და რჩება დანაშაულის ინსცენირების ფაქტები, როცა ოპერატიული სამსახურის თანამშრომლები გარკვეულ პირთა დაკავების მიზნით, მაგალითად „კანონიერი ქურდების“, ჯიბეებში უგდებდნენ ნარკოტიკებს დაუგდებდნენ ცეცხლსასროლ იარაღს, იყენებდნენ ცრუ მოწმეებს და სხვა უკანონო მეთოდებს.

ღრმად კორუმიპირებული აღმოჩნდა შს სამინისტროს განათლების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფილი იყო შსს აკადემიის მიერ. შსს აკადემია შეიქმნა 1991 წელს მოსკოვის მილიციის უმაღლესი სკოლის თბილისის ფაკულტეტის ბაზაზე. აკადემიის მოვალეობაში შედიოდა რესპუბლიკის შსს-თვის ოფიცერთა მომზადება 300-400 პირის ოდენობით და უკვე მომუშავე თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება. სკოლის პირადი შემადგენლობა მონაწილეობდა საქართველოს ტერიტორიაზე ყველა შეიარაღებულ კონფლიქტში, 90-იანი წლების

რევოლუციისა და სამოქალაქო ომის დროს და უზრუნველყოფდა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას. ამ პერიოდში უკონტროლობამ და არასწორმა საკადრო პოლოტიკამ მიგვიყვანა იქამდე, რომ მომზადების დონე მკვეთრად შესუსტდა და მოხდა კორუფციის დამკვიდრება პროცესის ყველა სტადიაზე – ჩაბარებიდან სახელმწიფო დიპლომის გადაცემამდე. მკაფიოდ იყო განსაზღვრული თანხები: აკადემიაში ჩაბარება შეფასებული იყო 4000 დოლარად, კურსის გამოცდები – 100 დოლარი, სახელმწიფო გამოცდები – 500 დოლარი და ა.შ. ფართო გავრცელება ჰქონდა პროტექციონიზმმა, როცა მისაღებ გამოცდებზე ფიქსირებული იყო აბიტურიენტთა სიები, რომლებიც მაინც ირიცხებოდნენ მიუხედავად მომზადების დონისა. არსებობს დასაბუთებული ინფორმაცია, რომ საქართველოს შსს აკადემიაში ყოველწლიური კორუფციული საქმიანობიდან შემოსული თანხა შეადგენდა 500,000 დოლარს.²⁴

ზემოაღნიშნული ინფორმაცია და ჩატარებული კვლევები ადასტურებენ, რომ შს სამინისტროში კორუფციას ჰქონდა გლობალური ხასიათი და მასში ჩაბმული იყო პრაქტიკულად ყველა რგოლი. ამიტომ შსს-ში არსებული გენერალური ინსპექცია, რომელიც მოწოდებულია ებრძოდეს თანამშრომელთა მხრიდან ჩადენილ სამართალდარღვევებსა და დანაშაულებს რეალურად ამახინჯებდა მონაცემებს. მაგალითად, საქართველოს შსს გენერალური ინსპექციის 1994-2004 წლების მონაცემებით მიღებული იქნა შემდეგი შედეგები:

სახელები	1994	1995	1996	1997	1998	1999	2000	2001	2002	2003	2004
სამსახური დასტურდა	72	159	382	188	202	163	92	119	112	97	148

²⁴ Г. Глonti – Методы борьбы с коррупцией в правоохранительной системе. Доклад на 13-ой конференции руководителей высших учебных заведений Центральной и Восточной Европы, Баку, Азербайджан 10.09.2005.

დაკავებულთა თანამდებობიდან განთავისუფლება	38	42	213	71	54	87	37	65	89	27	38
სხვა დისციპლინური დარღვევები	159	193	889	653	428	391	297	317	438	281	249
კამი	269	394	1484	912	684	642	426	501	639	405	435

არსებითად ეს მონაცემები არა გამოხატავენ რეალობას, რადგან აფიქსირებენ მხოლოდ იმ ზომებს, რომლებიც მიმართული იყო რიგითი თანამშრომლების ან ხელმძღვანელობისათვის არასასურველი პირების მიმართ, მაშინ, როცა ძირითადი დამნაშავე კორუმპირებული მასა საზოგადოებისათვის ფარულად რჩება.

შსს სისტემაში კორუფციის თავაშვებულობის მიუხედავად, პოლიტიკური ხელისუფლება არ ღებულობდა არანაირ ზომებს, რასაც ადასტურებს ოფიციალური სტატისტიკა, რომლის მიხედვითაც კორუფცია პრაქტიკულად არ არსებობდა.

შსს-ში 2004 წელს განხორციელებული კორუფციასთან ბრძოლის ღონისძიებანი

ახალი ხელისუფლება აცნობიერებდა, რომ შსს იმდენად კორუმპირებული აღმოჩნდა, რომ სიტუაციის კარდინალურად გაუმჯობესებისათვის, საჭირო იყო ყველაზე რადიკალური ზომების მიღება სხვადასხვა მიმართულებით და მათი უზრუნველყოფა:

1. პირადი შემადგენლობის შემცირება (ოპტიმიზაცია)
2. შსს სამსახურში მისაღებად მოთხოვნათა გამკაცრება
3. ხელფასის 30 დოლარიდან 300-500 დოლარამდე გაზრდა
4. სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობაზე საზოგადოებრივი და შინაგანი კონტროლის გაძლიერება.

ამ კამპანიის ფარგლებში დაკავებული და პასუხისგებაში მიცემულია ყოფილი შს მინისტრი კ. ნარჩემაშვილი, ხოლო მისმა წინამორბედმა მინისტრმა კ. თარგამაძემ მოასწრო მოსკოვში მიმალვა, სადაც რუსეთის მოქალაქეობა მიიღო. სისხლის სამართლის პასუხისგებაში იყვნენ მიცემული შს მაღალჩინოსანი სხვა ჩინოვნიკებიც.

ახალი ხელისუფლების დირექტივებიდან გამომდინარე შსს-ში გატარებულა რადიკალური ზომები, რომელთა მიზანიც იყო ამ ძალოვანი სტრუქტურის რაოდენობრივი შემადგენლობა ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მიეყვანათ, შეემცი-რებინათ მათი შენახვის ხარჯები და გათავისუფლებულიყვნენ კორუმპირებული და დისკრედიტირებული სამსახურებისაგან.

სულ რეფორმების შედეგად საქართველოს შს სამინისტროს რაოდენობრივი შემადგენლობა 53,000-დან 24,000-მდე შემცირდა.

სრულიად ლიკვიდირებულია:

- სატრანსპორტო პოლიციის დეპარტამენტი 2907 თანამშრომლის ოდენობით.²⁵

- სახელმწიფო ავტონისპექციის სამმართველო (საი) 2738 თანამშრომლით

- საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამმართველო (ად-მინისტრაციული პოლიცია) 2266 თანამშრომლით

- ეკოლოგიური პოლიცია - 462 თანამშრომლით

- ექსტრემალური სიტუაციების დროს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამსახური - 612 თანამშრომლით

გადაყვანილა სხვა სახელმწიფო სტრუქტურებში:

- შინაგანი ჯარები - თავდაცვის სამინისტროში 7941 თანამშრომელი

- საპასპორტო სამსახური - იუსტიციის სამინისტროში 484 თანამშრომელი

²⁵ საქართველოს შს მინისტრის ბრძანებულება, 2004 წლის 12 ივლისი

- სახანძრო სამსახური გახდა ადგილობრივი ხელისუფლების სამსახური - 1378 თანამშრომელი
- საგამოძიებო იზოლაციური - იუსტიციის სამინისტროში

შემცირებები ჩატარდა:

ნარკომანიასთან ბრძოლის სისხლის სამართლის სამძებროს დეპარტამენტში, აგრეთვე შსს სხვა ქვედანაყოფებში.

რესტრუქტირებული სამსახურების ნაცვლად შეიქმნა:

- საპატრულო პოლიცია
- ჟანდარმერია

შედევად შს სამინისტროს შემადგენლობა განახლდა 80%-ით.

რადიკალური ცვლილებები მოხდა საქართველოს შსს აკადემიაში, პირადი შემადგენლობა 650-დან შემცირდა 150 თანამშრომლამდე. ყველა ახალი თანამშრომელი სამსახურში მოღებულია ღია კონკურსის შედეგებით. აკადემიის ორიენტაცია შეიცვალა და გარდაიქმნა საპატრულო სამსახურის ახალი კადრების მომზადებისათვის, რომლებმაც შეცვალეს კორუმპირებული საი-ს და ადმინისტრაციული პოლიციის კადრები. ოფიცერთა ოთხწლიანი მომზადების პროგრამა შეიცვალა და არსებულმა კონტიგენტმა მიიღო უფლება დაემთავრებინა უმაღლესი განათლების პროგრამა და ობიექტურად ნაებარებინათ სახელმწიფო გამოცდები. ძირითად იურიდიულ დისციპლინებში სახელმწიფო გამოცდების წარმატებით ჩაბარება შეძლო მხოლოდ კურსანტთა ნახევარმა. აღნიშნული გარემოება აბსოლუტურად ადეკვატურად გამოხატავს აკადემიაში ადრე არსებულ კორუფციას.

იმავდროულად რეფორმირებული აკადემიის ბაზაზე შესაძლებელი გახდა უზრუნველყოფილიყო ახალი ქვედანაყოფის - საპატრულო პოლიციის სულ 2500 თანამშრომელის მიღება და გადამზადება. ამასთან კურსანტების, როგორც შერჩევა, ისე

სწავლება სრულიად გათავისუფლდა კორუფციისა და პროტექციონიზმისაგან.

შსს-ში ჩატარებული რეფორმების შედეგად მკვეთრად შემცირდა კორუფციის დონე. მაგალითად, ადრე კორუმპირებული საი-ს სამსახური გახდა ერთ-ერთი ყველაზე და „სუფთა“ სამსახური. ამას ადასტურებს დამოუკიდებელი ორგანიზაციების მიერ ჩატარებული სოციოლოგიური გამოკვლევები.

მთლიანობაში შს სამინისტრომ სრულყო თავისი საქმიანობა ყველა მიმართულებით: გაუმჯობესდა დანაშაულის რეგისტრაცია, უფრო გამჭვირვალე და კანონიერი გახდა საგამოძიებო ღონისძიებანი და ა.შ.

იმავედროულად დარჩა მრავალი პრობლემა, როგორცაა, მაგალითად განსაკუთრებით ანგარებით ჩადენილი დანაშაულების მაღალი დონე, დანაშაულის პრევენციისა და გახსნის დაბალი დონე, რაც ითხოვს შემდგომ ძალისხმევას.

არანაკლებ მნიშვნელოვან ამოცანად რჩება ანტიკორუფციული საქმიანობის გაფართოება, რათა არ დაეკარგოს ინიციატივა და მიღწეული შედეგები.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ კორუფციას და სხვა სამართალდარღვევებს ჯერ კიდევ აქვს ადგილი შსს სისტემაში, მაგალითად, მხოლოდ 2004 წლის 10 თვეში საქართველოს შსს გენერალურმა ინსპექციამ გამოაქვეყნა მონაცემები ორგანობიდან დათხოვილ 187 თანამშრომელზე, რომლებმაც ჩაიდინეს სამართალდარღვევები და დანაშაულები, მათ შორის:

- ნარკოტიკების მოხმარებისათვის - 72
- შექრთამეობისათვის - 29
- ადამიანის უფლებათა დარღვევისათვის - 30
- დოკუმენტების ფალსიფიცირებისათვის - 18
- სხვა სამართალდარღვევებისათვის - 38.²⁶

²⁶ Г. Сирадзе – Коррупция в системе МВД, стр. 110-В сборнике «Организованная преступность и коррупция в Грузии.» TRACCC Georgia Office 2005 – www.traccc.edn.ge

ავტორის მიერ საქართველოს შსს-დან მიღებული მონაცემების მიხედვით 2005 წლის 10 თვეში ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას დაექვემდებარა 314 თანამშრომელი, ხოლო 54 თანამშრომელი მიეცა სისხლის სამართლის პასუხისგებაში შემდეგი დანაშაულებისათვის:

- ქრთამის აღება - 21
- ნარკოტიკებთან დაკავშირებული საკითხები - 11 (სულ 36)
- სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება - 3
- ძალადობა - 3
- ფალსიფიკაცია - 1
- გამოძალვა - 1.²⁷

გარკვეულ კითხვებს იწვევს ოპერატიულ თანამშრომელთა მომზადების დონე, რომელთაც არ შეუძლიათ ორგანიზებული და ტრანსნაციონალური დანაშაულის პრევენცია და აღკვეთა. ასევე დაბალ დონეზე რჩება დანაშაულის გახსნა, განსაკუთრებით საკუთრების დატაცება. მრავალი თანამშრომელი იღუპება და ტრავმირებულია დამნაშავეებთან დაპირისპირებისას, რაც ადასტურებს მაღალ ვიქტიმოგენურობას და პოლიციელთა დაბალ პროფესიონალიზმს.

პროკურატურა

საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად გენერალურ პროკურატურას აქვს დიდი ძალაუფლება და მნიშვნელოვანი დამოუკიდებლობა. იმაედროულად გენერალური პროკურატურა საქართველოს დამოუკიდებლობის მთელი პერიოდის მანძილზე რჩებოდა სახელმწიფო ხელისუფლების მკაცრი კონტროლის ქვეშ და ხშირად გამოიყენებოდა, როგორც პოლიტიკური ზეწოლისა და შანტაჟის ინსტრუმენტი.

²⁷ საქართველოს შს საინფორმაციო ცენტრი 01.10.2005

გენერალური პროკურატურა შედარებით ნაკლებია შსს-ს სტრუქტურაზე, იგი აერთიანებს 1000-მდე თანამშრომელს. პროკურატურა ყოველთვის დახურული დაწესებულება იყო, მას თავის განკარგულებაში უფრო კვალიფიცირებული თანამშრომლები ჰყავდა, ვიდრე შსს-ს. პროკურატურის მოვალეობას წარმოადგენს კორუფციული დანაშაულების გამოძიების განხორციელება და სასამართლო პროცესებზე სახელმწიფო ინტერესების დაცვა. ამიტომ თვითონ ფუნქცია ითვალისწინებს დიდ შესაძლებლობებს და საზოგადოებაში ამ ორგანიზაციის გავლენიანობას. იმავედროულად უნდა ვაღიაროთ, რომ პროკურატურა, ისევე, როგორც შსს ღრმად ჩაეფლო კორუფციასა და თანამდებობის ბოროტად გამოყენებაში.

პროკურატურისადმი საზოგადოების უნდობლობა დადასტურებულია GORBT-ს მიერ ჩატარებული სოციოლოგიური შედეგებით, რომელთა შესაბამისადაც კორუფციაში ჩაბმის მიხედვით პროკურატურას უჭირავს მეხუთე ადგილი საქართველოში 20 შედარებით კორუმპირებულ სტრუქტურას შორის.³⁵

ძირითადი კორუფციული სქემა, რითაც ხდებოდა გენერალური პროკურატურის მუშაობის ორგანიზაცია მდგომარეობდა სისხლის სამართლის საქმეთა ბიუროკრატიული პროცედურების გაჯანჯლებასა და გახანგრძლივებაში, ზოგჯერ წლობითაც კი. შედეგად კი იკარგებოდა იმ კონკრეტულ საქმეთა დინამიკა და აქტიურობა, რომლებიც იყო დაკავშირებული მექრთამეობასთან, სამსახურებრივი მდგომარეობისა და უფლებამოსილების გადაშეცვლებასთან. საქმეთა ასეთმა პროცესუალურმა გაჭიანურებამ, გაჯანჯლებამ, ე.წ. „დამუხრუჭებამ“ შესაძლებელი გახადა მრავალი ცნობილი და გავლენიანი პირის პასუხისმგებლობისაგან თავის დაღწევა, რომელთაც ბრალად ედებოდათ თურქეთიდან კრედიტის სახით მიღებული მილიონების მითვისება, ენერგეტიკაში დიდი ოდენობის საშუალებების დატაცება და საბანკო მაქინაციები

იმის მიუხედავად, რომ არსებობდა პროკურატურის კორუმპირებულობის მრავალი ფაქტი, უწყების შიგნით ცდილობდნენ

პროკურატურის თანამშრომელთა მიერ ჩადენილი სამართალდარღვევების ჩაფარცხვას, მათ შორის მექრთამეობასაც.

2000 წლიდან საქართველოს ხელისუფლება შსს-ს იუსტიციის სამინისტროსა და სახელმწიფოებრივი დეპარტამენტის დახმარებით შეეცადა გაეტარებინა პროკურატურის დიდი რეფორმირება. ამ პროგრამის შესაბამისად იგეგმებოდა სტრუქტურული ცვლილებების განხორციელება, პროკურატურის მუშაკთა ატესტაციები, ხელფასის მომატება, თუმცა პრეზიდენტ ე. შევარდნაძის დროს ეს რეფორმა სრული მოცულობით მაინც ვერ იქნა რეალიზებული.

პროკურატურის ორგანოებში კორუფციასთან ბრძოლის ზომები

ახალმა ხელისუფლებამ პროკურატურის რეფორმა დაიწყო სტრუქტურული ცვლილებებითა და კადრების წმენდით. პროკურატურა, თითქმის მთლიანად, დაკომპლექტებული იქნა ახალი თანამშრომლებით. ყოფილმა გენერალურმა პროკურორმა ნ. გაბრიჩიძემ შს ხელმძღვანელობისაგან განსხვავებით, შეძლო დაახლოება ახალ ხელისუფლებასთან და არ დაექვემდებარა სისხლისსამართლებრივ დევნას, უფრო მეტიც, გახდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრი, თუმცა მის მიმართ წამოჭრა სერიოზული საკითხები. პრეზიდენტ მ. სააკაშვილის ადმინისტრაციისათვის პროკურატურა გახდა მსხვილი ანტიკორუფციული კამპანიის გამტარებელი მთავარი ინსტრუმენტი, რაც დასრულდა მრავალი ოდიოზური პიროვნების დაპატიმებით.²⁸

საქართველოს გენერალური პროკურორის 2003 წლის 10 ოქტომბრის ბრძანების შესაბამისად შეიქმნა დანაშაულებრივი

²⁸ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №500 საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგია

შემოსავლების ლეგალიზაციის სისხლისსამართლებრივი დევნის სპეციალური სამსახური.

პროკურატურის ანტიკორუფციული საქმიანობის შედეგად სახელმწიფოს საღარიში დაბრუნებულია 30 მილიონზე მეტი დოლარი, თუმცა საზოგადოებრიობაში გაჩნდა სერიოზული პრეტენზიები პროკურატურის მიმართ. რაც ყოფილი ჩინოვნიკებისაგან ფულის ამოღების პროცედურებთან იყო დაკავშირებული, რადგანაც სამართლებრივად ეს ექსპროპრიაციის აქტები ფორმდებოდა, როგორც სახელმწიფოსათვის ნებაყოფლობით დაბრუნებული საშუალებანი.

უნდა აღინიშნოს, რომ ახალი ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ პროკურატურაში სამი გენერალური პროკურორი შეიცვალა.

პროკურატურა საქართველოში რჩება ერთ-ერთ დახურულ ორგანიზაციად. სტატიის ავტორებმა ვერ მოახერხეს მიეღოთ პროკურატურის სისტემაში გამოვლენილი კორუფციის ფაქტების სტატისტიკური მონაცემები და შიდა სამსახურების კონტროლის სამსახურის ანგარიში.

სასამართლო ორგანოები

აქსიომადაა აღიარებული, რომ საზოგადოების დემოკრატიზაციის დონის ერთ-ერთ საკვანძო მაჩვენებელს წარმოადგენს სასამართლო ორგანოების დამოუკიდებლობა და მოუსყიდველობა. ჯერ კიდევ 1996 წელს საქართველოს ხელისუფლებამ საერთაშორისო ორგანიზაციების თანადგომით შექმლო სასამართლო ხელისუფლების კარდინალური რეფორმის გატარება, რომელსაც იმ პერიოდში ხელმძღვანელობდა პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავჯდომარე, მომავალში საქართველოს პრეზიდენტი მ. სააკაშვილი. რეფორმების ძირითად მიზნად დასახული იყო თანამედროვე სასამართლო ხელისუფლების შექმნა, რომელიც გათავისუფლდებოდა კორუფციისაგან და სახელმწიფო ჩინოვნიკების ზეწოლისაგან. რეფორმების ჩარჩოებში გატარდა

ყველა მოსამართლის ატესტაცია, შეიტანეს საკანონმდებლო ნოველები, საქართველოს პრეზიდენტთან შეიქმნა სპეციალური ორგანო იუსტიციის საბჭო.²⁹ და ბოლოს მოსამართლეებს მრავალჯერ გაეზარდათ ხელფასები.

აღნიშნულმა რეფორმამ გარკვეული შედეგები გამოიღო და დასაწყისში მნიშვნელოვნად შემცირდა მოსამართლეთა კორუფციულობა წინა შემადგენლობასთან შედარებით. თუმცა რეფორმა არ განმტკიცდა სხვა სამართალდამცავი ორგანოების რეფორმირებით და თანდათანობით დაკარგა საზოგადოებრივი მნიშვნელობა და განვითარების დინამიკა.³⁰

90-იანი წლების ბოლოს სასამართლო სისტემაში კვლავ დაიწყო ჩასახვა კორუფციამ, რომელმაც სერიოზულად შეარყია სასამართლოს ავტორიტეტი საქართველოს მოსახლეობაში.³¹

სოციოლოგიური კვლევების მონაცემებით რუსოდენტთა 41%-მა განაცხადა, რომ სასამართლო სისტემა სრულიად კორუმპირებულია, ხოლო ყველაზე უფრო კორუმპირებულ პროფესიათა შორის 56%-ით მოსამართლე მე-7 ადგილზე აღმოჩნდა.³²

იმედები ვერ გაამართლა საქართველოს იუსტიციის საბჭომაც, რომელიც სასამართლო ინსტანციების მონიტორინგისა და კოორდინირებისათვის შეიქმნა, თუმცადა მეტად გადამეტებული ლიბერალურობა გამოიჩინა. უფრო სწრაფ კი, ფარავდა მოსამართლეთა თანამდებობის ბოროტად გამოყენების ფაქტებს, ცდილობდა რა „არ გაეტანა ნაგავი შინიდან“. კორუფციის ისეთი აშკარა ფაქტებიც კი, როგორცაა ჟურნალისტური გამოძიებისას რუსთავე-2 ტელეარხის ვიდეოკამერით დაფიქსირებული გარდაბნის სასამართლოს თავჯდომარის მიერ ქრთამის აღების ფაქტი

²⁹ საქართველოს იუსტიციის საბჭო – <http://www.coj.gov.ge>

³⁰ С. Роуз – Аккерман – Коррупция и власть: причины, результаты, реформа, Тбилиси, 2002 стр. 226

³¹ ა. კახნიაშვილი – როგორ ვებრძოლოთ კორუფციას. გამომც. „კაბაღონი“, თბილისი 2002.

³² Survey conducted by Georgia Opinion Research Business International (GORBI) May-june 2001

არ იქნა მიყვანილი რეალურ სასჯელის დაკისრებამდე.³³

2002 წელს საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციამ განახორციელა სასამართლო ხელისუფლების ორგანოებში კორუფციის მონიტორინგის საერთაშორისო პროექტი. ანალიზის ერთ-ერთ ინსტრუმენტად გახდა სატელეფონო „ცხელი ხაზი“, რომელმაც საინტერესო შედეგები მოიტანა. ამ კვლევამ გაიარა ამერიკელ ადვოკატთა ასოციაციის ტექნიკური და საფინანსო თანადგომით (ABA CEELI). სატელეფონო ცხელი ხაზი ფართოდ რეკლამირებულია პოპულარულ ტელეარხებზე. მოქალაქეებისაგან მიღებული ინფორმაციის ფიქსირება ხდებოდა ფირზე. ამ პროექტის მიზანი იყო მოსამართლეთა და სასამართლო პერსონალის მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების შესახებ კორუფციულ დარღვევებთან რაოდენობრივი და ხარისხობრივი მონაცემების კვლევა.

კვლევებმა მოიცვა 2003 წლის 10 ნოემბრიდან 2004 წლის 1 აგვისტომდე პერიოდი.

შედეგად მოღებულია შემდეგნაირი შედეგები:

- 80-მა რესპოდენტმა (საერთო რაოდენობიდან 31%-მა) განაცხადა სასამართლო ინსტანციებისადმი სრული უნდობლობა, დაადანაშაულეს რა ისინი არაობიექტურობასა და მიკერძოებაში.

- 89 რესპოდენტმა (34%) - განაცხადა სასამართლოში საქმეთა არაობიექტურად განხილვის შესახებ

- 115-მა რესპოდენტმა (45%) - განაცხადა სასამართლო პროცესის განზრახ გაჭიანურების შესახებ

- 32-მა რესპოდენტმა (12%) - განაცხადა, რომ თავის დროზე არ მიიღო ან საერთოდ არ მიუღია უწყება.

- 10-მა რესპოდენტმა (4%) - პრეტენზიები განაცხადა მოსამართლის თანაშემწის მიმართ.

- 24-მა რესპოდენტმა (10%) აღნიშნა გაჯანჯლება სააღსრულებო ფურცელთან დაკავშირებით და ა.შ.

- 12-მა რესპოდენტმა (5%) აღნიშნა ხარვეზებზე საქმის

³³ ტელეკომპანია რუსთავი-2-ის 2004 წლის ვადაცემა „60 წუთი“.

მასალების და სასამართლო სხდომის ოქმების გაცნობის თაობაზე, აგრეთვე განაჩენის მიღების, გადაწყვეტილების მიღების გაჯანჯლებისა და სხვა დოკუმენტაციის მიღების გატიანურების შესახებ.

რაც შეეხება ზოგად კორუფციულ დარღვევებს – გამოძალვასა თუ ქრთამის აღებას, ანალიზმა გვიჩვენა შემდეგი სურათი

– რესპოდენტთა 10-მა პროცენტმა აღიარა სასამართლოში საქმის დასაჩქარებლად ქრთამის მიცემა

– რესპოდენტთა 08%-მა განაცხადა, რომ ფული გადაუხადეს სასამართლო პერსონალს.³⁴

საინტერესო მონაცემები წარმოადგინა საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო საბჭომ, რომელმაც 1999-2004 წლებში აღძრა 120 სადისციპლინო საქმე 126 მოსამართლეზე. ამ საბჭომ მოსამართლეთა მიმართ მიიღო შემდეგი ზომები:

- სარეკომენდაციო ჩანაწერი – 43 მოსამართლეზე
- შენიშვნა – 24 მოსამართლეს
- საყვედური – 9 მოსამართლეს
- სასტიკი საყვედური – 2 მოსამართლეს
- თანამდებობიდან გათავისუფლება – 13 მოსამართლეს
- გამართლება – 14 მოსამართლეს.³⁵

ამასთან, მოცემული მასალების ანალიზმა გვიჩვენა, რომ 5 წლის მანძილზე სადისციპლინო საბჭოს ფარგლებში განხილულა კორუმპირებული მოსამართლის მხოლოდ ერთი საქმე.

ასეთ სიტუაციას, რასაკვირველია, არ შეეძლო დაეკმაყოფილებინა ახალი ხელისუფლება, რომელმაც გადაწყვიტა გაემკაცრებინა მოსამართლეთა პასუხისმგებლობა და რეალურად შეემცირებინა კორუფცია, რადგანაც კორუფცია სერიოზულ

³⁴ ნ. გვენტაძე – კორუფცია სასამართლო სისტემაში. კრებულში „ორგანიზებული დანაშაულობა და კორუფცია საქართველოში“ TRACCC Georgia Office 2005_www.traccc.cdn.ge

³⁵ იქვე, გვ. 69.

შეშფოთებას და უკმაყოფილებას იწვევს ქვეყნის საზოგადოებრიობაში.

**კორუფციასთან ბრძოლის წინააღმდეგ
განხორციელებული ზომები სასამართლო
ხელისუფლების ორგანოებში 2004 წლიდან.**

მიუხედავად იმისა, რომ ყველა სოციოლოგიურმა გამოკითხვამ და ოპერატიულმა ინფორმაციამ დაადასტურა საქმეთა არაკეთილსასურველი მდგომარეობა რესპუბლიკის ყველა სასამართლო ინსტანციაში, სასამართლო ხელისუფლების ორგანოებში კორუფციასთან ბრძოლა აღმოჩნდა მეტად რთულ საქმედ.

ეს იმითაა განპირობებული, რომ შს ორგანოებისაგან განსხვავებით, სასამართლო ორგანოები რეფორმირებული და მთლიანად შეცვლილია 90-იანი წლების ბოლოს. ყველა მოსამართლემ ჩააბარა საკვალიფიკაციო გამოცდები და დაინიშნა თავისი მოვალეობის შესასრულებლად 10 წლის ვადით, ამდგავარად სასამართლო კორპუსის შეცვლა, გათავისუფლების ან რეორგანიზების გზით პროცესუალურად შეუძლებელი აღმოჩნდა.

ამას გარდა, სასამართლო ინსტანციებში, ყოველწლიურად განიხილება საქმეთა უდიდესი რაოდენობა, რომელთა კანონიერებაზე კონტროლი მეტად რთულია. მაგალითად, საქართველოს სასამართლოების მიერ მხოლოდ 2003 წელს განხილულია 130.515 საქმე, მათ შორის 31.760 სამოქალაქო, 54,770 ადმინისტრაციული და 43,985 სისხლის სამართლის საქმე.³⁶ ამასთან, სასამართლო გადაწყვეტილებათა გარკვეული ნაწილი უდაოდ მიღებულია დანაშაულებრივი შეთანხმების შედეგად პროცესის მონაწილეთა შორის, მაგრამ კორუფციის ფაქტის დამტკიცება ფაქტიურად შეუძლებელია.

ანტიკორუფციული სტრატეგიის ჩასატარებლად საქართ-

³⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ოფიციალური სტატისტიკური ანგარიში www.supreme.court.ge

ველოს სასამართლო სისტემაში სერიოზული ფუნქციები დაეკისრა იუსტიციის საბჭოს:

1. მოსამართლეთა მოტივირებულობისა და სასამართლო აპარატების სისტემის შექმნა.

2. მოსამართლეთა რაციონალური რაოდენობის განსაზღვრა და კვალიფიციური პერსონალის შერჩევა.

3. მოქალაქეებთან ურთიერთობაში სასამართლოს ტრანსპარანტირების უზრუნველყოფა.

4. სასამართლოებში საქმეთა გადაწოდების ოპტიმალური მექანიზმის შექმნა.

5. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შექმნა

6. მოწმეთა დაცვის სისტემის შექმნა.³⁷

ობიექტური სირთულეების მიუხედავად, ახალმა ხელისუფლებამ მაინც შეძლო მიეღწია სასამართლო ხელისუფლების ორგანოებში პოზიტიური ორგანიზაციული და სამართლებრივი ცვლილებებისათვის.

ასევე განხორციელდა საკანონმდებლო ცვლილებანი, რომელთა შორის 2004 წლის 30 ივნისის დამატებები და ცვლილებანი 2000 წლის 23 თებერვლის კანონში „საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალდარღვევების შესახებ“, რომელმაც შეიძინა გამოხატული ანტიკორუფციული მიმართულება. სხვადასხვა ნოველებთან ერთად მასში პირდაპირაა შეტანილი კორუფციული სამართალდარღვევის დეფინიცია, რომელიც არ ითვალისწინებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას.³⁸

მიღებულმა ზომებმა გარკვეულწილად შეამცირა კორუფციის დონე ყველა ინსტანციის სასამართლოში, თუ ადრე

37 საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №550. საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგია. 2005-2006 წ. მოქმედების გეგმა.

38 საქართველოს პარლამენტი, კანონმდებლობა <http://WWW.parliament.ge/index.php?iang id=GEO&sec id=69>

მომხვეჭელობა, ხელშეკრულებითი განაჩენები და პირდაპირი ფალსიფიცირება ჩვეულებრივ საქმედ ითვლებოდა, უკანასკნელი წელიწადნახევრის განმავლობაში ასეთმა ფაქტებმა დაკარგეს რეალობა, თუმცა ჯერ კიდევ შეიმჩნევა ასეთი ფაქტები, მაგალითად, საჩვენებელი იყო 2005 წლის 8 ოქტომბერს მოსამართლე ხაქალიას დაკალება, რომელმაც ადვოკატის შუამდგომლობით ქ. სამტრედიიაში, აიღო ქრთამი – 3000 დოლარი მსჯავრდებულისათვის, ყოფილი შსს თანამშრომლისათვის დახმარების გაწევის მიზნით.³⁹

უკანასკნელ დროს მეკლევარები აღნიშნავენ მოსამართლეთა კორუფციის სხვა მხარესაც, როდესაც ისინი იღებენ უსამართლო გადაწყვეტილებებს აღმასრულებელი ხელისუფლების ზეწოლის გამო. მოსამართლეთა დამოუკიდებლობის დონის შესუსტება. აღინიშნება საერთაშორისო სამართალდამცავი ორგანიზაციების და დამოუკიდებელი ორგანიზაციების მიერაც. ზოგი წყარო ადასტურებს, რომ აღმასრულებელ ხელისუფლებას, განსაკუთრებით სამართალდამცავ ორგანოებს აქვთ კომპრომატები გარკვეულ მოსამართლეებზე, რაც შესაძლებლობას იძლევა აშანტაჟოს ისინი სასურველი გადაწყვეტილების მისაღწევად. როგორ შეიძლება იფიქრო სხვაგვარად, თუ 2006 წლის მანძილზე საქალაქო სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლოს კოლეგიაში 987 სისხლის სამართლის ყველა საქმე დამთავრდა საბრალდებო დასკვნის გამოტანით.

თუმცადა, ნაკლოვანებების მიუხედავად, სასამართლოებში ანტიკორუფციული კამპანიის მუშაობა მოსახლეობის მიერ დადებითად ფასდება, რასაც ადასტურებენ სხვადასხვა ორგანიზაციებისა და ცალკეულ მეცნიერთა მიერ ჩატარებული კვლევები.

³⁹ 47. საქართველოს შსს საინფორმაციო ბიულეტენი №№ პოლიცავა

ფინანსთა სამინისტროს უზღვევამოსილების
სფეროში საბაჟო და საგადასახადო ორგანოებში
არსებული კორუფცია

სოციოლოგიური გამოკითხვებით ტრადიციულად მაღალი რეიტინგი აქვს კორუფციას საბაჟო და საგადასახადო ორგანოებში. მიუხედავად მრავალრიცხოვანი რეფორმებისა და სტრუქტურული ცვლილებებისა, ეს ორგანოები დღეისათვის კვლავაც რჩებიან მაღალკორუმპირებულებად. ეს დაკავშირებულია მთელ რიგ მიზეზებთან, რომელთა შორისაც მაღალი ვიქტიმოგენობა აქვს ისეთ პროფესიებს, რომლებიც დაკავშირებულია კანონმდებლობით მოუწესრიგებელი და ჩრდილოვანი ეკონომიკის დიდ ფულად ნაკადთან. საქართველოს ბაზრების დამოუკიდებელი კვლევის მონაცემებით აქ მაღალი კრიმინალური ხარისხის დონე რჩება, რადგანაც ადგილი აქვს მასობრივად კონტრაბანდული საქონლის შემოტანას და გადასახადებისაგან თავის არიდებას. აღნიშნულს ხელს უწყობს, როგორც ობიექტური ისე სუბიექტური ფაქტორები. მაგალითად, სიგარეტებსა და ზოგიერთ სხვა პროდუქტზე აქციზების მაღალი დონე, რუსეთიდან და არაკონტროლირებადი ტერიტორიიდან ამ საქონლის კონტრაბანდის კატალიზირებას ახდენს, ხოლო მაკონტროლებელი ორგანოების შრომის ანაზღაურების დაბალი დონე ხელს უწყობს კონტრაბანდისტებთან მათი კორუფციული შეთანხმებების ცდუნებას. მხოლოდ 2006 წლის დასაწყისიდან აზერბაიჯანის, სომხეთისა და თურქეთის საზღვრებზე დაკავებულია საბაჟო მუშაკებისა და საგადასახადო ინსპექციების ოფიცერთა ჯგუფები.

საქართველოს პარლამენტი ამუშავებს ახალ საგადასახადო კანონმდებლობას, რომელიც შეძლებს ფინანსთა სამინისტროს სისტემის ქვედანაყოფებში კორუფციის დონის შემცირებას.

კორუფცია სხვადასხვა სფეროში

საზოგადოება მკვეთრად რეაგირებს კორუფციის გამოვლენაზე, როცა მას მასობრივი ხასიათი აქვს და თუ მას თან ერთვის გამომძაღველობა. საი-ს რეორგანიზაციის შემდეგ, რომელიც მასობრივ მომხვეჭელობას ეწეოდა, ხშირად განიხილებოდა კორუფცია სოციალური მომსახურების სხვადასხვა სფეროში. კერძოდ, უფრო და უფრო დიდი ყურადღება ეთმობა საქმეთა მდგომარეობას მედიცინასა და სოციალური უზრუნველყოფის სფეროში. სამწუხაროდ, უნდა ვაღიაროთ, რომ რეფორმები ჯერ კიდევ ნაკლებად შეეხო ამ სფეროებს და გვიწევს იმის კონსტანტირება, რომ კორუფცია და თვითნებობა ჯერ კიდევ ყვავის ყველა საფეხურზე. იმავდროულად ავლნიშნავთ, რომ არ არსებობს ობიექტური სტატისტიკა და ფაქტების განზოგადება და მიმოხილვა გვიხდება NGO-სა და მასობრივ ინფორმაციათა საშუალებების გაცხადებებიდან. უკანასკნელი პერიოდის ერთ-ერთი ხმაურიანი საქმე იყო ფსიქიატრებთან დაკავშირებული სკანდალი, რომლებიც, პროკურატურის განცხადებით, ფულადი ანაზღაურების შედეგად დამნაშავეებს სამედიცინო დასკვნებს უყალებდნენ, მათ შორის ოთხ „კანონიერ ქურდს“ და სხვა კრიმინალურ ავტორიტეტებს.

სერიოზული პრობლემებია ფარმაცევტებთან დაკავშირებით, რომლებიც მოსყიდვების შედეგად ქვეყნის აფთიაქებში ფალსიფიცირებულ მედიკამენტებს ყიდიან.

დასკვნა

ნატარებულმა გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ ახალმა ხელისუფლებამ შეძლო სამართალდამცავ ორგანოთა სისტემაში კორუფციასთან ბრძოლაში წარმატების მიღწევა, განსაკუთრებით ეს მიღწევები შეინიშნება შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურაში, სადაც მოხდა სრული რეორგანიზაცია.

განმტკიცდა პროკურატურის როლი, რომელშიც მოხდა ყოფილ ხელმძღვანელთა უმრავლესობის შეცვლა და პროკურატურის ოპტიმალური რაოდენობის განსაზღვრა. პროკურატურას კორუფციასთან ბრძოლის ახალი ფუნქცია დაეკისრა და არაერთხელ მიუღია გადამჭრელი ზომები კორუპციის ბრძოლაში და ორგანიზებულ დანაშაულობათა წინააღმდეგ.

მიუხედავად საქართველოს სასამართლოების საკმაოდ ხანგრძლივი რეფორმირების ისტორიისა და დადებითი ტენდენციებისა, ამ ინსტიტუტის საქმიანობა საერთაშორისო საზოგადოებრიობისა და საქართველოს მოქალაქეთა მხრიდან ჯერ კიდევ სერიოზულ შენიშვნებს იწვევს.

მოსახლეობაში გაიზარდა სამართალდამცავი ორგანოების რეიტინგი, თუმცა მოქალაქეთა ჯერ კიდევ დიდი რაოდენობა გამოთქვამს პრეტენზიებს სასამართლოთა ობიექტურობასთან დაკავშირებით, პროკურატურის ჩაკეტილობასა და სიდიინჯის გამო, პოლიციის არასაკმარისი პროფესიონალიზმისა და განათლების თაობაზე. ამის მიუხედავად რესპოდენტთა უმრავლესობა ადასტურებს იმ ფაქტს, რომ კორუფცია ფულის გამოძალვის სახით, მომხვეჭელობა და დაუმსახურებელი შედავათების მიღება არსებითად ძალიან შემცირდა.

გამოკვლევებში არ შევხებივართ ახალ სამართალდამცავ სტრუქტურას - საფინანსო პოლიციას, რომელიც სულ ახლახანს (2004 წ.) შეიქმნა და არ გახდა მოცემული კვლევის ობიექტი.

გაამართლებული და საპატიო გარემოებების გამიჯვნის საკითხი ინგლისურ და ამერიკულ სისხლის სამართალში

საქართველოს 1999 წლის 22 ივლისის სისხლის სამართლის კოდექსმა სხვა მრავალ სიახლესთან ერთად ერთი მნიშვნელოვანი სიახლე შემოიტანა კოდექსში. დანაშაულის სამნიშნოვანი სტრუქტურიდან გამომდინარე (შემადგენლობა, მართლწინააღმდეგობა, ბრალი), სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამომრიცხავი გარემოებები დაყოფილია გამამართლებელ და საპატიო გარემოებებად. ამით კოდექსმა ბოლო მოუღო თეორიულ ბუნდოვანებას ამ საკითხში, რომელიც გამოიხატებოდა გარემოებების ერთი ნაწილის არევაში დანაშაულის სუბიექტის პრობლემასთან (ფსიქიკური დაავადება, ასაკი) და დანარჩენი ნაწილის (აუცილებელი მოგერიება, უკიდურესი აუცილებლობა, იძულება, და სხვ.) დაუსაბუთებელ თავმოყრაში საზოგადოებრივი საშიშროების გამომრიცხავი გარემოებების ერთიანი ცნების ქვეშ. ამ კონტექსტში საინტერესოა ის გარემოებაც, რომ გამართლების და პატიების ერთმანეთისგან გამიჯვნას იცნობს და აღიარებს რომანულ-გერმანულისგან ისეთი განსხვავებული სამართლებრივი სისტემა, როგორც ანგლო-ამერიკული სისხლის სამართალია.

აღბათ თანამედროვე მსოფლიოს სამართლებრივ სისტემებში მოიძებნება ორი ისეთი განსხვავებული სისტემა, როგორცაა რომანულ-გერმანული და ანგლო-ამერიკული. თუ პირველის განვითარებაში ღომის წილი საუნივერსიტეტო კუდლებში აღმოცენებულ სამართლის მეცნიერებას მიუძღვის, მეორე სისტემა თავის უმთავრეს მასაზრდოებელ წყაროს საუკუნეების მანძილზე ნაშენები სასამართლო პრეცედენტებიდან

(binding precedent) დებულობდა. ალბათ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ინგლისელებმა სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის პრობლემების დამუშავება შედარებით გვიან დაიწყეს. პირველი სერიოზული ნაბიჯი ამ მიმართულებით გადაიდგა მხოლოდ 1953 წელს, როცა გამოიცა ინგლისური სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის სახელმძღვანელო გლენვილ უილიამსის ავტორობით¹. ინგლისურ-ამერიკული სისხლის სამართლის სკოლა გერმანულ სამართალში კლასიკურად გამოცხადებულ დანაშაულის სამნიშნოვან ფორმულას არ იცნობს. მისთვის უცხოა გერმანული დოქტრინის მიერ სანიმუშოდ დამუშავებული მართლწინააღმდეგობის ცნება. ვინაიდან საერთო სამართლის ქვეყნებში გაბატონებული დოქტრინა და სასამართლო პრაქტიკა დანაშაულის ცნების მხოლოდ ორწევროვან სტრუქტურას (ქმედების ობიექტური მხარე – actus reus) და (ქმედების სუბიექტუბ მხარეს – mens rea) აღიარებს, ერთი უმთავრესი შეკითხვა უკავშირდება იმას, როგორ ერგება გამამართებელი და საპატიო გარემოებების არსებობა დანაშაულის ცნებას ანგლო-ამერიკულ სამართალში, მეორე შეკითხვა ეხება იმ საკითხს თუ სად გადის ზღვარი გამართლებასა და პატიებას შორის. ბოლოს ისმის საკითხი თუ რა მნიშვნელობა აქვს გამართლებასა და პატიებას შორის განსხვავებას საერთო სამართლის სისტემებისათვის. ჩვენც საკითხების განხილვას სწორედ ამ თანმიმდევრობით შევეუდგებით.

¹ lenville Williams, General Part . 1953

გამამართლებელი და საკაცთმოკლებელი ბრალდება და დანაშაულის ცნება

ანგლო-ამერიკულ სისხლის სამართალში გაბატონებული დოქტრინა დანაშაულის ცნებაში მხოლოდ ორ ნიშანს გამოყოფს: 1. actus reus, 2. mens rea.

თუ გერმანულ სამართალთან უხეშ ანალოგიას გავაუქმებთ, პირველი ნიშანი ქმედების შემადგენლობის ობიექტურ მხარეს, ხოლო მეორე ნიშანი შემადგენლობის სუბიექტურ მხარეს უთანაბრდება².

მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოკლედ დავახასიათოთ თითოეული მათგანი.

actus reus – 1996 წელს ჯონ სმიტისა და ბრიან ჰოგანის მიერ გამოცემულ სისხლის სამართლის სახელმძღვანელოში გატარებულია ის აზრი რომ actus reus-ი გარდა ქმედების (conduct), შედეგის (result), და მათ შორის მიზეზობრივი კავშირისა (causal link) მოიცავს სისხლის სამართლის კანონში მითითებულ იმ გარემოებებს, რომლებშიც ეს ქმედება უნდა იქნეს ჩადენილი. მაგალითად, ქურდობისას საკუთრებისათვის დამახასიათებელი ნიშანი „სხვისი“, გაუპატიურებისას (rape) დაზარალებულის თანხმობის არარსებობა, როგორც ნეგატიური ელემენტი და სხვა. გარდა ამისა ინგლისურ იურიდიულ ლიტერატურაში ფეხმოკიდებულია ის აზრი, რომ actus reus-ი მხოლოდ სხეულებრივ მოძრაობას არ გულისხმობს, არამედ იგი უნდა იყოს ნებელობითი. უნებლიე, რეფლექსური მოძრაობა actus reus-ს ვერ შექმნის³. ტერმინი – mens rea, გულისხმობს მოქმედი პირის ფსიქიკურ დამოკიდებულებას actus reus-ს ელემენტებთან. ავტორთა ერთი ჯგუფი ფიქრობს რომ იგი არა მხოლოდ ფსიქიკურ დამოკიდებულებას, არამედ გასაკიცხ (blameworthy)

² იხ. Jens Watsek. Rechtfertigung und entschuldigung im Englischen strafrecht 1997. s. 39

³ C.Klarkson, H. Keating. Criminal Law. Text and Materials 1998

ფსიქიკურ დამოკიდებულებას მოიცავს⁴. ანგლო-ამერიკული სისხლის სამართალი ერთმანეთისგან არჩევს ბრალის შემდეგ ფორმებს: intention, recklessness, negligence, რაც ქართულ სისხლის სამართალში დაახლოებით განზრახვას, დაუდევრობას და თვითიმედოვნებას შეესაბამება.

რაც შეეხება უშუალოდ პასუხისმგებელობის გამომრიცხავ გარემოებებს, სისხლის სამართლებრივი დოქტრინა და სასამართლო პრაქტიკა მათ ერთი ტერმინის“ defence ქვეშ აერთიანებს, რაც ქართულად „დაცვას“ ნიშნავს. იგი იხმარება როგორც ფართო, ასევე ვიწრო გაგებით. ფართო გაგებით იგი გულისხმობს იმ მატერიალურ სისხლის სამართლებრივ საშუალებებს, რომლებსაც ბრალდებული (accused) იყენებს ბრალდების (prosecution)-გან თავის დასაცავად. ამ გაგებით იგი მოიცავს actus reus-ის რომელიმე ელემენტის ან, mens rea-ს არ არსებობას. (მაგალითად: შემთხვევა. (defence of accident), ასევე გამამართლებელი, ან საპატიო გარემოებების არსებობაც. ვიწრო გაგებით მასში მხოლოდ გამამართლებელი და საპატიო გარემოებები მოიაზრება.

კლარკსონისა და კიტინგის ავტორობით გამოცემული ინგლისური სისხლის სამართლის სახელმძღვანელო defence-ის დახასიათებას ასეთი შესავლით იწყებს: „პირმა შეიძლება ჩაიდინოს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება actus reus, და მას ჰქონდეს შესაბამისი mens rea, მაგრამ იგი გათავისუფლდეს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან იმიტომ, რომ მის მხარეზე არის პასუხისმგებლობის გამომრიცხავი რომელიმე გარემოება – defence“. სახელმძღვანელოს. მოყავს აუცილებელი მოგერიების მაგალითი, რომლის დროსაც სუბიექტი ახორციელებს actus reus-ს და mens rea-ს, მაგრამ თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან გამამართლებელი გარემოების არსებობის გამო⁵. როგორც ვხედავთ, ტრადიციულმა სისხლის სამართალმა, ერთი მხრივ, მყარად ჩა-

⁴ იხ. Hart. Punishment and Responsibility . p.219.

⁵ C. Klarkson, H. Keating, დასახ. ნაშრ. კვ. 276

მოაყალიბა დანაშაულის ორნიშნის ცნება და, მეორეს მხრივ, ცალკე საკითხად გამოყო პასუხისმგებლობის გამომრიცხავ გარემოებათა ცნება. ამის ფონზე, ანგლო-ამერიკულ სისხლის-სამართლებრივ დოგმატიკაში მე-20 საუკუნის შუა წლებში დაიხსნა საკითხი ამ ორ კატეგორიას შორის კავშირის დადგენისათვის. პრინციპში შესაძლებელი იყო სამგვარი მიდგომა: 1. ეს გარემოებები მიებათ ან actus reus-ზე, ან 2. mens rea-ზე, ან 3. დანაშაულის ცალკე, მე-3 ელემენტად გამოყოფით. ინგლისური სისხლის სამართლის თეორია სწორედ ამ სამი მიმართულებით განვითარდა.

გლენვილ უილიამსი მიიჩნევს, რომ actus reus-ი თავის თავში მოიცავს გამამართლებელი ან საპატიო გარემოებების არარსებობას, როგორც ნეგატიურ ნიშანს (absence of defence). ამიტომ აუცილებელი მოგერიების, უკიდურესი აუცილებლობის ან იძულების (duress) შემთხვევაში actus reus-ი, ანუ კანონში აღწერილი აკრძალული ქმედება გამოირიცხება⁶.

კადიში მიიჩნევს, რომ პასუხისმგებლობის გამომრიცხავი გარემოებები ბრალის არარსებობაზე მიუთითებენ და გამორიცხავენ mens rea-ს როგორც გასაკიცხ ფსიქიკურ მდგომარეობას⁷.

კლარკსონის და კიტინგის სისხლის სამართლის სახელმძღვანელო აყალიბებს დანაშაულის სამელემენტო სტრუქტურას. ეს ელემენტებია; actus reus, mens rea და პასუხისმგებლობის გამომრიცხავი გარემოების არ არსებობა, როგორც ნეგატიური ელემენტი. (absence of a defence).

საინტერესოა ის, რომ არც ერთი ეს მიმართულება არ ცდილობს თვით დანაშაულის ცნებაში ასახოს განსხვავება გამამართლებელ და საპატიო გარემოებებს შორის. ამ მხრივ, ჩვენი აზრით, უნდა ჩაითვალოს თანამედროვე ამერიკული სისხლის სამართლის ერთ-ერთი მამამთავრის, უილიამ ფლენჩერის მიერ გადადგმული ნაბიჯი, რომელმაც სისხლისსამართ-

⁶ Criminal Law, The General part. p 57

⁷ იქვე

ღებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლების შემდეგი თეზისი ჩამოაყალიბა:

პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დადგომა, ფლენერის აზრით, უკავშირდება სამ მთავარ შეკითხვას: „1) დაარღვია თუ არა ბრალდებულმა სისხლის სამართლის მყარი ნორმა, 2) იყო თუ არა დარღვევა გაუმართლებელი (unjustified) და ბოლოს, 3) იყო თუ არა დარღვევა არასაპატიო (onexcused). ერთ-ერთ ამ კითხვაზე უარყოფითი პასუხის გაცემა გამორიცხავს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას“⁸. ფლენერის კონცეფცია იმაში მდგომარეობს, რომ თუ აუცილებელი მოგერიების აქტით ხდება ადამიანის სიცოცხლის ხელყოფა, მოქმედი ნომინალურად არღვევს სისხლისსამართლებრივ ნორმას „არა კაც კვლა“, მაგრამ ეს დარღვევა არის კანონიერი (Lawful). ვინაიდან თვითონ კანონი ასახავს მისი მართლზომიერების პირობებს. ფლენერის მცდელობამ თვითონ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლებშივე აესახა განსხვავება გამართლებასა და პატიებას შორის, ამერიკულ სამართლებრივ დოქტრინაში აღიარებული ადგილი დაიკავა. ამის დასტურია ის, რომ ამერიკული დანაშაულისა და სასჯელის ენციკლოპედია ამ თეორიას გამართლებისა და პატიების გამიჯვნის ერთადერთ თეორიად წარმოადგენს⁹ ფლენერს სურს აჩვენოს, რომ გამართლებისა და პატიების საკითხი ისმება მას შემდეგ, რაც დადგინდება, რომ სუბიექტმა დაარღვია მყარი (valid) სისხლისსამართლებრივი ნორმა. ანუ ამ მსჯელობის შემდეგ უნდა დადგინდეს, არის თუ არა დარღვევა კანონიერი (გამართლებული), თუ საპატიო. უნდა ითქვას, რომ ვინაიდან ამერიკული სისხლის სამართლებრივი დოქტრინა შემადგენლობისა და მართლწინააღმდეგობის ცნებებს არ იცნობს, იგი მიდის ისეთი აბსურდული ცნებების შემოღებამდე, როგორიცაა „კანონიერი დარღვევა“.

⁸ Encyclopedia of Crime and Justice. p.942

⁹ იხ. Encyclopedia of Crime and Justice. Justification.

ბანსსკაჰმა პატიებასა და გამართლებას შორის ანგლო-ამერიკულ სისხლის სამართალში

მართალია, გამამართლებელი და საპატიო გარემოებების გამიჯვნის საკითხი საერთო სამართლის ქვეყნების სიერცეში თეორიულად მხოლოდ მე-20 საუკუნის 50-იან წლებში დამუშავდა, ინგლისის პრეცედენტული სამართალი 1828 წლამდე გამამართლებელ გარემოებაში ჩადენილ მკვლელობას ანსხვავებდა საპატიო გარემოებაში ჩადენილისაგან. პირველის მაგალითს წარმოადგენდა სიკედილის განაჩენის აღსრულება, მეორის მაგალითი იყო მკვლელობა შემთხვევით, ბრალის გარეშე (Killing by misadventure and without culpable negligence). ასევე, შუასაუკუნეების ეპოქაში საპატიოდ მიიჩნეოდა აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში ჩადენილი მკვლელობაც (ითვლებოდა, რომ სამართალი ყოველგვარ მკვლელობას კრძალავდა, ამიტომ მოგერიებელს ქმედება მხოლოდ ეპატიებოდა). თუ გამამართლებელ გარემოებებში ჩადენილ მკვლელობას სამართალი საერთოდ არ უკავშირებდა რაიმე არასასურველ სამართლებრივ შედეგს, საპატიო გარემოებებში ჩადენილი მკვლელობისას სასამართლო სასჯელისაგან ათავისუფლებდა, მაგრამ ქონების კონფისკაციას (forfeiture of property) უფარდებდა ქმედების ჩამდენს¹⁰.

1928 წელს, როდესაც ინგლისში ქონების კონფისკაცია გაუქმდა, გამართლებასა და პატიებას შორის განსხვავებამ დაკარგა თავისი პრაქტიკული მნიშვნელობა. ინგლისურ სისხლის სამართალში და თითქმის საუკუნე ნახევრის მანძილზე ეს პრობლემა მივიწყებული იქნა. მხოლოდ მე -20 საუკუნის 70- იანი წლების ბოლოს, მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა ჯ.ფლენერის გახმაურებული ნაშრომი „Rethinking Criminal Law“ (სისხლის სამართლის გადასინჯვა, დისკუსია საკითხის ირგვლივ ერთბაშად გამოცოცხლდა.გამოითქვა დაპირისპირე-

¹⁰ იხ. Jens Watsek. Rechtfertigung und entschuldigung im Englischen schtaf-recht 1997.s. 75.

ბული მოსაზრებები, შეიქმნა მონოგრაფიული ნაშრომებიც საპატიო და გამამართლებელ გარემოებათა ირგვლივ. დღეს თუ ინგლისელ მეცნიერთა ერთი ნაწილი პასუხისმგებლობის გამომრიცხავი გარემოებების დაყოფას გამართლებულად და საპატიოდ ფუძემდებლურ და სასიცოცხლო მნიშვნელობას მიაწერს¹¹. მეორე ნაწილი ამ განსხვავებას ან უყურადღებოდ ტოვებს, ან საკითხის დასმას ნაადრევად თვლის. მაგალითად, სმიტისა და ჰოგანის 1996 წელს გამოცემული სისხლის სამართლის სახელმძღვანელო მას შემდეგ, რაც მოკლედ მოიხსენიებს გამართლება-პატიების თეორიულ საფუძველს, შემდეგ დასკვნაზე ჩერდება: „Any attempt, to categorize defences, as justifications or excuses would, in the present state of law be premature and is not made in the following pages“ (ნებისმიერი მცდელობა, პასუხისმგებლობის გამომრიცხავი გარემოებები დაიყოს გამამართლებლად და საპატიოდ, სამართლის დღევანდელ სტადიაზე ნაადრევი და ამიტომ ჩვენ მას თავს ავარიდებთ წინამდებარე საკითხების განხილვისას“).

რაც შეეხება ამერიკულ დოქტრინას, ჩვენ უკვე წინა თავში აღვნიშნეთ, რომ აქ გამართლება-პატიების გამიჯვნის საკითხი შედარებით ერთსულოვნად გადაწყდა და ეს განსხვავება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველშივე იქნა ასახული.

მას შემდეგ, რაც მიმოვიხილეთ საკითხის ზოგადი ასპექტები, მიზანშეწონილად მიგვანია გადავიდეთ გამართლებისა და პატიების იმ თეორიათა განხილვაზე, რომლებიც არსებობენ ანგლო-ამერიკულ სისხლის სამართალში.

პოლ რობინსონის მიხედვით „გამართლებული ქმედება არის არსებითად სწორი (correct) ქმედება, რომელიც საზოგადოების მხრიდან წახალისდება (Is encouraged), ან სულ მცირე, მოითმინება (tolerated). იმის გასაგებად, თუ რომელი ქმედებაა გამართლებული, აქცენტი უნდა გაკეთდეს თვითონ ქმედებაზე და არა მოქმედებაზე. პატიება კი გამოხატავს სამართლებრივ

¹¹ C.Klarkson, H. Keating. Criminal Law. Text and Materials 1998 p. 277

მსჯელობას, რომ ქმედება არის არასწორი, არასასურველი (undisirable), მაგრამ მოქმედებისათვის დამახასიათებელი თავისებურებების გამო იგი მისთვის პასუხს არ აგებს. პატიებისას აქცენტი გადადის მოქმედებაზე, მოქმედებები მართლდება, ხოლო მოქმედს ეპატიება¹².

კენტ გრინვალტი გამართლებას პატიებისაგან შემდეგი სიტყვებით განასხვავებს: „გამართლებული ქმედება ნებადართული ქმედებაა, მსგავსი ქმედების ჩადენა ყველას შეუძლია. არავის არ აქვს უფლება მას შეეწინააღმდეგოს, ხოლო დახმარების გაწევა, კი პირიქით ნებადართულია. ხოლო თუ ქმედება საპატიოა, მოქმედი თავისუფლდება გაკიცხვისაგან, მაგრამ სხვებს არ შეუძლიათ ასეთი მოქმედების ჩადენა. ამ მოქმედებისათვის წინააღმდეგობის გაწევა შეიძლება, ხოლო დახმარება – არა“¹³.

ანგლო-ამერიკულმა სამართალმა ჩამოაყალიბა გამამართლებელ გარემოებათა შემდეგი სახეები.

ა) self defence – აუცილებელი მოგერიება ბ) Necessity – უკიდურესი აუცილებლობა გ) public authority – საჯარო ხელისუფლება დ) discipline – დისციპლინა, და ე) Consent – დაზარალებულის თანხმობა.

ინგლისურ სისხლის სამართალში გამართლების საფუძვლების საკითხზე ძირითადად სამი თეორია ჩამოყალიბდა.

1) ე.წ. „მორალური კონფისკაციის“ თეორია. 2) სამართლებრივი და მორალური უფლებების დაცვა და 3) ზემდგომი ინტერესის თეორია. სანამ მათ მიმოხილვას შეუვლდებოდეთ, დასაწყისშივე უნდა აღვნიშნოთ, რომ პირველი ორი თეორია ძირითადად აუცილებელი მოგერიების ირგვლივაა კონცენტრირებული.

საკითხი ისმება შემდეგნაირად: რატომ არის გამართლებული იმ ადამიანის მოქმედება, რომელიც რაღაც სიკეთეს გან-

¹² Paul Robinson. Criminal Law Defences. A systematic analysis. 1982

¹³ Kent Greenwalt. „The perplexing borders of Justification and excuse“. Columbia Law Review, 1984

ზრახ აზიანებს? (მაგალითად, კლავს მეორე ადამიანს აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში).

1) „მორალური კონფისკაციის“ თეორია ამბობს, რომ, თუ ერთი ადამიანი თავს ესხმის და ხელყოფს სხვის ინტერესებს, მაშინ საზოგადოებამ შეიძლება ცალმხრივად უარი თქვას თავდამსხმელის ინტერესებისა და უფლებების დაცვაზე, ანუ მოახდინოს მათი „მორალური კონფისკაცია“ (moral forfeiture). „როცა D კლავს v-ს აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში, ითვლება, რომ სოციალურად მავნე შედეგი არ დამდგარა. d-ს ქმედება უთანაბრდება ბუზის მოკვლას ან უსულო საგნის დაზიანებას“¹⁴.

ეს მოძღვრება ერთი შეხედვით დამაჯერებლად გამოიყურება, მაგრამ იგი მხედველობიდან უშვებს ერთ გარემოებას: „აუცილებელი მოგერიების უფლება გამოიყენება იმ აგრესორის წინააღმდეგაც, რომელიც არაბრალეულად, საპატიო გარემოებების გავლენის ქვეშ მოქმედებს. (არასრულწლოვანი, სულით ავადმყოფი) და ვინაიდან მას ეპატიება ჩადენილი მოქმედება, არ შეიძლება რაიმე „მორალურ კონფისკაციაზე“ იყოს საუბარი. გარდა ამისა, როგორც ინგლისელი იურისტების ნაწილი ამტკიცებს, დოქტრინა, რომელიც ადამიანის სიცოცხლეს ბუზის სიცოცხლესთან და უსულო საგანთან აიგივებს, არსებობის სერიოზულ პრეტენზიას ვერ განაცხადებს“¹⁵.

მეორე თეორია, რომელიც „მორალური და სამართლებრივი უფლებების დაცვის“ სახელითაა ცნობილი (securing legal and moral rights), მოხერხებულად უსხლტება თავდამსხმელის ინტერესების ყოფნა-არყოფნის პრობლემას და ამის ნაცვლად აქცენტი მომგერიებლის უფლებებზე გადააქვს. ამ თეორიის მიხედვით, ყველას აქვს უფლება თვითონ დაიცვას სოციალური ღირებულების მქონე ინტერესი, რომელსაც საფრთხე ემუქრება.

¹⁴ იქვე

¹⁵ იხ. C Klarkson, H. Keating, Criminal Law. Text and Materials 1998 p.278

აქედან გამომდინარე, თავდამსხმელის V-ის მოკვლა D-ის მიერ იმიტომ კი არაა გამართლებული, რომ იგი ბუზის მოკვლას ნიშნავს, არამედ იმიტომ, რომ თავისი მოქმედებით D იცავს სამართლებრივად დაცულ საკუთარ სხეულებრივ ხელშეუხებლობის უფლებას.

როგორც ამ თეორიის ოპონენტები აღნიშნავენ, ასეთი მიდგომა მომგერიებლის უფლებებისადმი უზომოდ აფართოვებს ამ უკანასკნელის მოქმედების თავისუფლებას. კერძოდ, მომგერიებელს უფლება ეძლევა თავისი უმცირესი სამართლებრივი უფლების (წერილმანი საკუთრება) დასაცავად თავდამსხმელის უდიდესი სამართლებრივი სიკეთე (სიცოცხლე) ხელყოს. ანუ იგი არაპროპორციული თავდაცვის საშუალებას იძლევა.

ინგლისურ-ამერიკულ სისხლისამართლებრივ ლიტერატურაში გაგრძელებულია აზრი, რომ ინტერესების ბალანსის თეორია (balancing interests) ყველაზე კარგად ხსნის გამართლების საფუძვლებს. ეს თეორია სოციალურად დაცულ ინტერესთა შორის იერარქიის იდეას ემყარება და ამბობს, რომ გამართლების დროს ქვემდგომი სოციალურად დაცული ინტერესი ეწირება ზემდგომ ინტერესს. ამის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს უკიდურესი აუცილებლობა (Necessity), რომელიც მოითხოვს, რომ გადარჩენილი სიკეთე უფრო დიდი იყოს, ვიდრე განწირული. ფლენერის აზრით, ინტერესთა ბალანსის პრინციპი მოქმედებს აუცილებელი მოგერიებისა და კანონის აღსრულების დროსაც, ოღონდ ცოტა სახეშეცვლილი ფორმით. კერძოდ, თუ აუცილებელი მოგერიების ზოგიერთ კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება სახეზე იყოს ინტერესთა აშკარა დისბალანსი (მაგ., ერთი მომგერიებელი ხუთი თავდამსხმელის წინააღმდეგ), სამაგიეროდ ზოგადად, აუცილებელი მოგერიების წესის არსებობას საზოგადოებაში ბევრად უფრო მეტი სარგებლობა მოაქვს, ვიდრე მისი არარსებობა მოიტანდა. ასე რომ, ზოგადი გაგებით აუცილებელი მოგერიების ნორმა საესკებით ჯდება ინტერესთა ბალანსის თეორიაში.

ფლენერის მიხედვით, გამამართლებელ გარემოებებს სამი უმთავრესი ნიშანი ახასიათებს: ინტერესთა ბალანსი, საფრთხის მყისიერობა და სუბიექტის მიერ გამამართლებელი გარემოების შეცნობა. ეს ბოლო ნიშანი, ფლენერის აზრით, მიუთითებს იმაზე, რომ გამართლება სულ მთლიანად ობიექტურ ფაქტორებს არ ეფუძნება, არამედ ობიექტურთან ერთად სუბიექტური ელემენტიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს. მაგალითად, ფლენერის აზრით, ვერ გამართლება ექიმი, რომელიც განზრახ მოკვლის მიზნით სასიკვდილო ინექციას შეუშხაპუნებს პაციენტს, თუნდაც გაირკვეს, რომ ეს უკანასკნელი იმავე წუთებში მის მოკვლას აპირებდა¹⁶.

პოლ რობინსონის მიხედვით, გამამართლებელ გარემოებებს ერთი საერთო ნიშანი აქვთ „როდესაც რაღაც განსაზღვრული პირობები შეიქმნება, სამართალი დასაშვებად მიიჩნევს აუცილებელი და პროპორციული საპასუხო ქმედების განხორციელებას“. იგი ხაზგასმით გამოყოფს საპასუხო მოქმედების აუცილებლობას და პროპორციულობას (The response must be necessary and proportional)¹⁷.

საპატიო გარემოებათა საკითხზე ანგლო-ამერიკულ სამართალში ასევე სამი სხვადასხვა დოქტრინა ჩამოყალიბდა.

1) მიზეზობრიობის თეორია; 2) ხასიათის თეორია და 3) პერსონალობის თეორია.

მიზეზობრიობის თეორიის მიხედვით ადამიანი ვერ გაიკიცხება კონკრეტული ქმედების ჩადენისათვის, თუ მისი საქციელი გამოწვეულია შინაგანი, ან გარეგანი (internal or external) მიზეზებით, რომლებსაც იგი ვერ აკონტროლებს. მიზეზობრიობის თეორიას აყვედრიან, „რომ იგი ვერ სცემს პასუხს კითხვაზე, თუ რატომ არ უნდა გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგან, მაგ. ის, ვინც მკვლელობას ჩაიდენს ქონების განადგურების მუქარით¹⁸.

¹⁶ იხ. Encyclopedia of Crime and Justice. Justification

¹⁷ Paul Robinson, Criminal Law Defences. A systematic analysis. 1982

¹⁸ Joshua Dressler, Understanding Criminal Law. (1987) p. 186

გარდა ამისა, მკვლევარების აზრით, თუ დეტერმინიზმის მოძღვრებას გავყვებით, ყოველი ჩვენი ქცევის უკან მრავალი მიზეზი დგას და აქედან გამომდინარე სისხლის სამართლებრივ სასჯელს მთლიანად პატიება შეცვლის, ხოლო სასჯელი შეიცვლება სოციალური თერაპიის ღონისძიებით. ეს თავისთავად სამართლის გაქრობას მოასწავებს.

ხასიათის თეორია ამბობს, რომ საპატიო გარემოების გავლენით, ადამიანი სწადის ქმედებას, რომელიც მისი ხასიათით არ არის განსაზღვრული. ეს ქმედება უფრო გამოწვეულია ნებისაგან დამოკიდებული ფაქტორების ზემოქმედების შედეგად. ამიტომ მას იგი ეპატიება. პერსონალობის თეორიას აქცენტი გადააქვს თავისუფალ ნებაზე, და პატიებას დასაშვებად მიიჩნევს, როცა ნების თავისუფლება ანუ პერსონალობა იზღუდება. უნდა ითქვას, რომ დღევანდელ ანგლოამერიკულ სისხლის სამართალში სამივე თეორია თითქმის თანაბარი სისრულით არის წარმოდგენილი.

აღნიშნული თეორიულ დებულებების შესაბამისად ანგლო-ამერიკული სამართალი იცნობს შემდეგ საპატიო გარემოებებს:

ა) insanity – სულიერი ავადმყოფობა, ბ) lack of age – ასაკი, გ) mistake – შეცდომა დ) provocation, – პროვოკაცია ე) diminished responsibility, – შეზღუდული პასუხისმგებლობა ვ) intoxication. – ინტოქსიკაცია.

გამამართლებელი და საპატიო გარემოებების გამიჯვნის მნიშვნელობა ანგო-ამერიკული სამართლებრივი სისტემისთვის.

ინგლისელი და ამერიკელი ავტორები გამართლებებისა და პატიების გამიჯვნას ოთხ ძირითად მნიშვნელობას ანიჭებენ:

1) ამ გამიჯვნით მიიღწევა თეორიული სიცხადე (theoretical clarity) სისხლის სამართალში.

2) ქმედებაში დახმარება, ან წინააღმდეგობის გაწევა შეიძლება იმის მიხედვით, იგი გამართლებულია თუ საპატიო. გამართლებულ ქმედებაში დახმარება შეიძლება, წინააღმდეგ-

გობის გაწევა კი არა. საპატიო ქმედებაში პირიქით¹⁹.

3) გამართლებული ქმედება მოწონებულია (approved") საზოგადოების მიერ, ამიტომ სისხლის სამართალი არ ცდილობს მისი გარემოების თავიდან აცილებას. როცა ქმედება საპატიოა, მოქმედების მიმართ შეიძლება გამოყენებული იქნეს იძულებითი ზემოქმედების ღონისძიებები – coercive remedies, რათა საზოგადოება დაცული იქნეს მსგავსი ქმედებების განმეორებისგან მისი მხრიდან. ასეთი შეიძლება იყოს მაგალითად ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოთავსება (commitment in a secure mental hospital).²⁰

4) მიიჩნევენ, რომ გამართლებასა და პატიებას შორის ზღვარის დადგენას მნიშვნელობა აქვს ე.წ. „მკაცრი პასუხისმგებლობის“ დელიქტებში. ძირითადი წესის მიხედვით, „მკაცრი“ პასუხისმგებლობისას გამართლება პირს ათავისუფლებს პასუხისმგებლობისაგან და პატიება არა. ეს იმიტომ რომ პასუხისმგებლობის ეს სახე, რომელიც ანგლო-ამერიკული სისტემისთვის დამახასიათებელ მეტად თავისებურ ინსტიტუტს წარმოადგენს, ბრალის არსებობას არ მოითხოვს (იხ. ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა ინგლისურ-ამერიკულ სისხლის სამართალში, სამართლებრივი ანომალია თუ დაცვის ეფექტური მექანიზმი. ჟურნალი „სამართალი“, №8. 1999 წ.).

დასასრულს გვინდა აღვნიშნოთ, რომ კიდევ ერთ საინტერესო განსხვავებას გამართლებასა და პატიებას შორის ადგენს ამერიკული დანაშაულისა და მართლმსაჯულების ენციკლოპედია. კერძოდ, იგი მიიჩნევს, რომ, თუ გამართლების ნორმები მიმართულია ხალხისკენ, ანუ მათი ადერსატია ხალხი, პატიების პირობების დამდგენი ნორმები მიმართულია მოსამართლეებისა და სხვა სასამართლო მოხელეებისკენ.

შეჯამების სახით უნდა ითქვას, რომ საკუთარ სამართლებრივ ტრადიციებზე დაყრდნობით და მეცნიერული აზ-

¹⁹ Paul Robinson. criminal law defences. systematic analysis. 1982. 274

²⁰ იხ. ლარკინონ. H. Keating. criminal law. text and materials 1998 p. 285)

როვნების გააქტიურებით, ანგლო-ამერიკულმა სისხლის სამართლის მეცნიერებამ აითვისა და საკმაოდ საინტერესო დონეზე დაასაბუთა გამამართლებელი და საპატიო გარემოებების დოქტრინა. ამ გაგებით, პასუხისმგებლობის გამომრიცხავი გარემოებებისა და მასთან დაკავშირებული პრობლემატიკის ინგლისურ-ამერიკული ხედვა უდაოდ არ უნდა იყოს ინტერეს-მოკლებული ქართული სისხლის სამართლებრივი აზროვნებისათვის.

საზოგადოებრივი ერთიანობა და დანაშაული

კრიმინოლოგიის განვითარების დღევანდელი დონე გვაძლევს საშუალებას მეცნიერული პოზიციებიდან აეხსნათ საზოგადოებაში არსებული ამა თუ იმ დანაშაულობის დონე, მისი გავრცელების მდგომარეობა, სტრუქტურული დახასიათება, დინამიკა და ა.შ. ჯერ კიდევ მე-XIX საუკუნის მიწურულს, როდესაც დანაშაულის მიზეზებს ხედავდნენ ხან ადამიანის ანტროპოლოგიურ წყობაში და ხან საზოგადოებრივი ეკონომიკის სისტემაში, ცნობილმა ფრანგმა სოციოლოგმა ე. დიურკჰეიმმა შეეცადა დაეკავშირებინა დანაშაულობის დონე საზოგადოებრივ ერთიანობას, საზოგადოებრივ სიმჭიდროვეს, ერთსულოვნებას. მისი აზრით, საზოგადოების მაღალი სიმჭიდროვე, ერთსულოვნება უნდა განიხილებოდეს დანაშაულობის დონის დამწვევ ფაქტორად, ხოლო საზოგადოებრივი განცალკევება კი პირიქით – დანაშაულობის დონის ამწვევ ფაქტორად.

მე-XX საუკუნის მეორე ნახევარში ამერიკელმა კრიმინოლოგმა რედა ადლერმა შესძლო ემპირიულად დაემტკიცებინა ე. დიურკჰეიმის ჰიპოტეზის სისწორე. მისი ანალიზის შედეგად გამოირკვა, რომ კერძოდ, დანაშაულობის დაბალი დონის განპირობების ძირითად, წამყვან ფაქტორად გვევლინება არა ეკონომიკური სისტემა, არა ინდუსტრიალური განვითარების დონე, არა მოსახლეობის რელიგიური მრწამსი, არა სიმდიდრე ან სიღარიბე და ა.შ., არამედ საზოგადოებაში არსებული საზოგადოებრივი კონტროლის მძლავრი სტრუქტურები, რომლებიც მოქმედებენ სისხლისსამართლებრივი სისტემის ფარგლებს გარეთ.¹

უხლა შევეცადოთ მიღებული შედეგების საფუძველზე განვიხილოთ საქართველოში დანაშაულთან მიმართებაში

¹ Ганс Йоахим Шнайдер. Криминология . М. 1994, с. 40-41

არსებული მდგომარეობა და ავსნათ იგი ზემოთ აღწერილი პოზიციიდან. ამისათვის, პირველ რიგში, საჭიროა დაეადგინოთ საქართველოში დანაშაულობის გავრცელების დონე. ამის დადგენაში ჩვენ დაგვეხმარება ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში არსებული დანაშაულობის სტატისტიკა. ანალიზი გვიჩვენებს, რომ საქართველოში ფიქსირდებოდა საბჭოთა რესპუბლიკებს შორის დანაშაულობის ერთ-ერთი ყველაზე დაბალი დონე. საბჭოთა კავშირის დაშლის წინა პერიოდში დანაშაულობის დონის მიხედვით საქართველო მხოლოდ მეცამეტე ადგილას იმყოფებოდა.²

ჩვენის აზრით, ეს მდგომარეობა ლაპარაკობდა საქართველოში არსებულ სხვა რესპუბლიკებთან შედარებით მძლავრ საზოგადოებრივ, არაფორმალურ კონტროლზე, რომელიც გვეუფლებოდა დანაშაულობის გავრცელების ძლიერ შემაკავებელ ფაქტორად. ეს სისხლის სამართლებრივი სისტემის გარეთ არსებული საზოგადოებრივი კონტროლი, ჩვენის აზრით, აგებული იყო იმ ტრადიციულ ფასეულობებზე (უფროსების პატივისცემა, არაფორმალური ნორმების არსებობა, რომლებიც ეფექტურ კონტროლს უწევენ ადამიანის ქცევას ოჯახში, საზოგადოების შეყრის ადგილებში, ნასვამ მდგომარეობაში და ა.შ.), რომლებიც ბატონობდნენ საქართველოში დიდი ხნის განმავლობაში და ერისთვის მძიმე მომენტებშიც ქართველი ხალხის გადარჩენის ერთ-ერთ ეფექტურ საშუალებას წარმოადგენდნენ.

ხშირად კონკრეტული დანაშაულობის მიზეზად სახელდება ემოციონალური თავშეუკავლობა, მაღალი ტემპერამენტი და ა.შ. მართლაც, ეს ფაქტორები ხშირად ხელს უწყობენ კონკრეტული დანაშაულობის ჩადენას, მაგრამ სწორედ ამ თვისებების არსებობამ სამხრეთ ქვეყნების ხალხებში და, კერძოდ, ქართველებში, ჩვენის აზრით, განაპირობებს, მისაღები ქცევის სტერეოტიპების ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით, შექმნილი ყოფილიყო გაძლიერებული მოთხოვნები. საზოგადოებრივ აზრში ამ სტერეოტიპების არსებობა შემაკავებელ როლს თამაშობს პიროვნებათ-

² Криминология. М. 1994, с. 84

შორის კონფლიქტების დანაშაულად, კერძოდ კი, ძალადობრივ დანაშაულად გარდაქმნისას. ეს კარგად ჩანს ძალადობრივი დანაშაულობის მაგალითზე, რომლის მაჩვენებლები საქართველოში შედარებით მცირეა. ანალოგიური სურათი ფიქსირდება არასრულწლოვან დანაშაულთან მიმართებაში, რომელიც ყოველთვის უფრო დამოკიდებულია რეგიონში ოჯახური აღზრდის სათანადო დონის არსებობაზე.

ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ ტრადიციული ფასეულობები საქართველოში ყოველთვის დანაშაულობის საწინააღმდეგოდ „მუშაობენ“. ზემოდ მითითებული წყარო ცხადყოფს, რომ საქართველოს ეკონომიკური დანაშაულების პროცენტული მაჩვენებლებით ეკავა ერთ-ერთი ყველაზე მაღალი (მეორე) ადგილი საბჭოთა კავშირში შემავალ რესპუბლიკებს შორის. ასეთი მდგომარეობა, ჩვენის აზრით, ისევე უნდა აიხსნას ზემოდ აღნიშნული პოზიციების გათვალისწინებით. კერძოდ, ასეთი მდგომარეობა აიხსნება იმით, რომ ცხოვრების წესი, რომელიც საქართველოში გაბატონებული იყო და გვევლინებოდა როგორც ანტიკრიმინოგენური ფაქტორი თავის მხრივ მოითხოვდა სათანადო ეკონომიკურ ძალისხმევას მის შესანარჩუნებლად. თავისი ეფექტური არსებობისათვის ოჯახი როგორც ტრადიციული ფასეულობების მძლავრი მატარებელი მოითხოვდა სათანადო ეკონომიკურ უზრუნველყოფას. ამის გარეშე ოჯახმა შეიძლება დაკარგოს მოსახლეობაში არსებული და დამკვიდრებული წლების მანძილზე თავისი როლი და ავტორიტეტი. პატივისცემა ოჯახურ ფასეულობების მიმართ შეიძლება ადვილად გაიქარწლოს, როგორც კი ოჯახში წარმოიშვება ეკონომიკური პრობლემები.

ამუამად საქართველო თავისი განვითარების იმ ეტაპზე იმყოფება სადაც ის განიცდის ეკონომიკურ სიძნელეებს, რაც აისახება ოჯახური და ტრადიციული ფასეულობების მნიშვნელობის დაქვეითებაზე. მართალია, ერთის მხრივ, საქართველოს მოსახლეობა ერთიანდება ქვეყნის დამოუკიდებელი არსებობის ნაციონალური იდეის ირგლივ, მაგრამ, მეორეს მხრივ, ეკონომი-

კური სიძნელეების ფონზე იწყება დანაშაულობის გამოცოცხლება, რაც პირდაპირი მანიშნებელია იმის, რომ ტრადიციული ფასეულობანი, რომლებიც ერს აკავშირებდნენ დადგნენ საფრთხის წინაშე. სწორედ მათი შენარჩუნების მიზნით ინდივიდებს, რომლებიც იდენენ ეკონომიკური ხასიათის დანაშაულებს ჩვენს პირობებში ეძლევათ დამატებითი მოტივაცია, რომლის სათავეებში დგას ოჯახური ტრადიციების შენარჩუნების სურვილი.

სახელმწიფო ხელისუფლების დასუსტების, განათლების სისტემის დაშლის, უმუშევრობის გაზრდის, სამართალდამცავი სისტემის კრიზისის ფონზე დანაშაულობა შეადგენს საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, პოლიტიკის და ბიზნესის გაკონტროლებას იწყებს. ამ პრობლემებთან დაკავშირებულია საქართველოში დანაშაულის მკვეთრი ზრდა, რომელიც, ფიქსირდება მე-XX საუკუნის 90-იან წლებში.

XXI-ე საუკუნის დასაწყისიდან საქართველოში აღინიშნება დანაშაულობის სტაბილიზაცია, რაც დაკავშირებულია სახელმწიფოს ერთგვარ გაძლიერებასთან, ეკონომიკის გამოცოცხლებასთან და სამართალდამცავი ორგანოების მუშაობის გაუმჯობესებასთან. ამ პროცესებმა უნდა თანდათან შეაბრუნონ ქვეყანა ტრადიციული ფასეულობების აღსადგენისაკენ, რომლებიც იმედია მხოლოდ დროებით, მათზე გარე გარემოებების გავლენის შედეგად, დაკარგეს თავისი ძალა. ამ მდგომარეობიდან გამომდინარე კარგად ჩანს კავშირი დანაშაულობას და საზოგადოებაში არსებული საერთო სიტუაციის შორის. რაც უფრო წარმატებულია სახელმწიფო, და საზოგადოება უზრუნველყოფილია ეკონომიკურად, მით უფრო მას ეძლევა შანსი თვითონ სახელმწიფოს ძალისხმევის გარეშე წინ აღუდგნენ დანაშაულობას, ტრადიციულ ფასეულობებზე დაყრდნობით დაარეგულიროს პიროვნებათა შორის კონფლიქტები და თავიდან აიცილოს მათი გადაზრდა დანაშაულში.

მსოფლიოში ფიქსირდება დანაშაულობის განაწილების ზოგიერთი კანონზომიერება, რომლის შესახებაც ზემოდ აღნიშნული საკითხის გაშუქებიდან გამომდინარე შესაძლოა

აქ აგრეთვე ითქვას. კერძოდ დაფიქსირებულია ის გარემოება, რომ დანაშაულობა ერთნაირად არ ნაწილდება ყველა საზოგადოებრივ ფენაში (კლასში). დაბალ კლასებში დანაშაულობის დონე განსაკუთრებით მაღალია. საშუალო და მაღალ კლასებში დანაშაულის დონე საგრძნობლად დაბალია. კრიმინოლოგიური თვალსაზრისით ეს ნიშნავს იმას, რომ რაც უფრო მეტია საზოგადოებაში საშუალო და მაღალი კლასების წილი, მით უფრო დაბალია დანაშაულობა.

თუ ამ პოზიციიდან გადავხედოთ თვალს დანაშაულობას საქართველოში, მაშინ დავინახავთ რომ ამ მომენტისათვის საქართველოში მოსახლეობის 80 პროცენტი სიღარიბის პირზეა მისული. დაბალი სოციალური ფენა ბევრად უსწრებს სხვა დანარჩენს. შესაბამისად, მარალია დანაშაულობების რიცხვიც. ამ პირობებში დაბალ შემოსავლიანი ოჯახების სწრაფვა ეკონომიკური უზრუნველყოფისაკენ ეს არ არის სწრაფვა მიმართული მხოლოდ ფიზიკური, ან მატერიალურად უფრო უზრუნველყოფილი სიცოცხლესაკენ. ამ სწრაფვას საქართველოში საფუძვლად უდევს თვით ოჯახის როგორც მნიშვნელოვანი სოციალური ინსტიტუტის და მისი ტრადიციული ფასეულობების გადარჩენის სურვილი, რაც მნიშვნელოვანია ყველა ქართველისათვის.

თუ ამ პოზიციებიდან შევაფასებთ დანაშაულობის გაერცვლებას საქართველოში მაშინ უნდა ითქვას, რომ დღეს მოსახლეობის დაბალ ფენაში არსებობს კერძოთ ეკონომიკური დანაშაულობის ჩასადენად დამატებითი მოტივაცია, რომელიც სცილდება მხოლოდ ეკონომიკური უზრუნველყოფის სურვილის ფარგლებს. ამას ემატება ოჯახის შექმნის ან შენარჩუნების მოთხოვნილება, რომელიც პირდაპირ კავშირშია ეკონომიკურ უზრუნველყოფასთან. შესაძლოა სხვა ერებში ეს მოთხოვნილება იმდებად აქტუალური არ იყოს. მაგრამ ჩვენს ერში მას დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. ამით, ჩვენის აზრით, პირველ რიგში, უნდა აიხსნას ეკონომიკური, ანგარებითი დანაშაულობის შედარებით მაღალი დონე.

აქედან გამომდინარე, დანაშაულობის დონის დაწევის ერთ-ერთ ფაქტორად შესაძლოა განვიხილოთ სახელმწიფოს მიერ სპეციალური პოლიტიკის გატარების აუცილებლობა, რომელიც მოსახლეობის უბრალოთ მატერიალურ უზრუნველყოფაზე კი არ იქნება ორიენტირებული, არამედ გაითვალისწინებს ისეთ დონისძიებებს, რომლების სპეციალურად იქნებიან მიმართულნი ახალგაზრდა ოჯახების მხარდასაჭერად და საერთოდ ქართული ოჯახის გაძლიერებაზე.

როგორც ვხედავთ წარმატებას ქვეყნის ეკონომიკური განვითარების საქმეში შესწევს უნარი არა მხოლოდ გადაწყვეტოს ბევრი სოციალური პრობლემა, არამედ გაამყარებს საზოგადოებაში მოშლილ სოციალურ კავშირებს, გააერთიანოს ერი ტრადიციული ფასეულობების ირგვლივ და ამით გააუმჯობესოს ქვეყანაში არსებული რთული კრიმინოგენური მდგომარეობა.

როგორც ანალიზმა გვიჩვენა საზოგადოებრივი ერთიანობის დონე, რომელიც საქართველოში ბევრადაა დამოკიდებული ტრადიციულ ფასეულობების შენარჩუნებაზე, ოჯახურ სიძლიერეზე, განაპირობებს ქვეყანაში არსებულ დანაშაულობის დონეს და მიგვითითებს იმაზე, რომ წინ ბევრი რამ არის გასაკეთებელი იმისათვის, რომ აღდგეს საქართველოსათვის დამახასიათებელი საზოგადოებრივი ერთსულოვნება, დამფუძნებელი ტრადიციულ ფასეულობებზე, რომელიც ყოველთვის სისხლისსამართლებრივი ჩარევის გარეშეს არეგულირებდა საზოგადოებრივ ქცევას და ამით საგრძნობლად ამცირებდა დანაშაულობის დონის მაჩვენებლებს.

დანაშაულებრივი ქცევის სუბიექტურსა და ობიექტურ ფაქტორთა ლეტარმიანობის კრიმინოლოგიური ასპექტები

ადამიანის ნებისმიერი ქმედება – დანაშაული ამ მხრივ გამონაკლისს არ წარმოადგენს – ყოველთვის ხასიათდება ობიექტური და სუბიექტური თვისებების განსაზღვრული ერთიანობით. სწორედ ეს ერთიანობა გამოხატავს ადამიანის ქცევის ლოგიკას, ხდის მას ინდივიდუალურად, ანიჭებს მას განსაკუთრებულ სპეციფიკურობას და განუმეორებლობას.

ადამიანის ქცევაში ობიექტური და სუბიექტური ნიშნების ერთიანობა თავსდება უშუალო პირობებში, რომლებშიც ხდება ქმედების არჩევა და ხორციელდება ნებელობითი აქტი. თვით ფაქტი ქმედებისაკენ გაზრახვის წარმოქმნისა და გადაწყვეტილებების მიღება შეუძლებელია უიმისოდ, რომ არ იყოს განსაზღვრული მათი რეალიზაციის გზები და საშუალებები. მეორე მხრივ, ადამიანში აღძრული განზრახვები და მიზნები თავიანთ კონკრეტულ შინაარსს მის მიერ ჩადენილ ქმედებებში დებულობენ. როგორი ძლიერიც არ უნდა იყოს სურვილი, მას არ აქვს პრაქტიკული მნიშვნელობა მანამ, სანამ იგი არ კპოვებს ასახვას ნებისყოფის ქმედებაში. მხოლოდ განხორციელება აძლევს ჩვენს მიზნებს, ჩვენს საოცნებო განზრახვებს „ყოფიერების არსებობას“ (პეგელი).

ობიექტურისა და სუბიექტურის ერთიანობა ნებელობის კონკრეტულ გამოვლინებაში, უპირველეს ყოვლისა, გამოიხატება მათ მორალურ-ეთიკურ და სამართლებრივ შინაარსში. რაც უფრო მნიშვნელოვანია მიზანი, მით უფრო მნიშვნელოვანი უნდა იყოს საშუალებები მის მისაღწევად. თუ დასახული მიზნის მისაღწევად არჩეული საშუალებები და ხერხები უმნიშვნელოდ

მცირე და უზნეოა, მათ შეუძლია თვით მიზნის დისკრედიტაცია. მეორე მხრივ, უმნიშვნელოდ მცირე მიზანი არ გადაიქცევა მნიშვნელოვნად იმით, რომ მის განსახორციელებლად არჩეული საშუალებები მნიშვნელოვანია.

ადამიანის განზრახვებისა და მისწრაფებების მორალურ-ეთიკური შეფასება არ უნდა უპირისპირდებოდეს მისი ქმედებების მორალურ-ეთიკურ შეფასებას. თუ ჩვენ ადამიანის ქცევას უარყოფითად ვაფასებთ, მაშინ, ზოგადი წესის მიხედვით, უარყოფით შეფასებას იმსახურებს ის მოტივები და მიზნები, რომლებმაც ცხოვრებაში ეს ქცევა გამოიწვია. სხვა სიტყვებით, მორალურ-ეთიკური თვალსაზრისით ადამიანის მოტივები და მიზნები და ამ საფუძველზე მის მიერ ჩადენილი ქმედებები, საერთო წესის მიხედვით, ასე ეთქვათ, ერთ რიგში თავსდება, ერთ ხაზზე, და ერთ სიბრტყეში ექცევა.

მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ კრიმინოლოგიურ ლიტერატურაში ზოგჯერ დასაშვებია წინააღმდეგობრივი მიდგომა ადამიანის განზრახვების და მიზნების ზნეობრივ-ეთიკური დახასიათებისადმი და ამის საფუძველზე ჩადენილი ქმედებებისადმი. არც თუ იშვიათად, ცდილობენ დაამტკიცონ, რომ თავისთავად საშიშია არა ადამიანის მოტივები და მისწრაფებები, არამედ ხერხები და საშუალებები, რომლებიც მათ სარეალიზაციოდ არის არჩეული. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ადამიანის მიერ ჩადენილი და ჩადენილისადმი მისი სუბიექტური დამოკიდებულება შეიძლება მორალურ-ეთიკური თვალსაზრისით სხვადასხვა სიბრტყეში თავსდებოდეს, რომ ცუდი განზრახვებიდან შეიძლება გამოვიდეს სიკეთე, ხოლო კეთილი განზრახვები ყოველთვის არ გამორიცხავს ბოროტების შესაძლებლობას.

ამასთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის ქმედებაში ობიექტური და სუბიექტური – ეს ის მომენტებია, რომლებიც ახასიათებს ნებელობის ერთიან პროცესს, რომლის საშუალებითაც მიზანი ხორციელდება. ისინი ყოველთვის ერთიანობაში გამოდიან, როგორც ადამიანის კონკრეტული ქცევის სტრუქტურის ელემენტები, და არ შეიძლება ერთმანეთს

დავუპირისპიროთ. საერთოდ არ არის სწორი ერთმანეთს დავუპირისპიროთ ობიექტური და სუბიექტური, რადგანაც ისინი უფრო ერთმანეთში გადადიან, რამეთუ არ წარმოადგენენ აბსტრაქტულ განსაზღვრებებს, როგორც მაგალითად, დადებითი და უარყოფითი...

მოცემულ შემთხვევაში, ამ ცნებებში იგულისხმება სპეციფიკური შინაარსი, მაგრამ ამგვარი თანაფარდობის დიალექტიკას შეიძლება ნებისმიერ მოვლენაში დავაკვირდეთ, მათ შორის, ადამიანის კონკრეტულ ქმედებებში.

ობიექტურისა და სუბიექტურის დაპირისპირების საფუძველში, ჩვეულებრივ, სუბიექტური აზრი დევს, ინდივიდუალური წარმოდგენა, რომელიც ეყრდნობა „ზნეობრიობის მრავალფეროვან შინაგან დანაწევრებას“. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამგვარი დაპირისპირების საფუძველი არის წინააღმდეგობრიობა არსებულსა და რაც უნდა იყოს იმას შორის, ზნეობრიობასა და კანონს, მორალსა და სამართალს შორის,

მორალი და სამართალი, ზნეობრივი მოვალეობა და კანონი ერთმანეთთან წინააღმდეგობაში არ არიან. კრიმინოლოგიაში ეს კავშირი განსაკუთრებით ნათლად არის გამოხატული. ის, რაც დანაშაულად არის მიჩნეული, არ შეიძლება არ იყოს უზნეო. თუ პიროვნება ცნობილ იქნა დამნაშავედ ჩადენილ დანაშაულში, სასამართლო ამით გამოხატავს მისი მოტივების, განზრახვების და ჩადენილი დანაშაულის მორალურ-ეთიკურ შეფასებას, როგორც საფუძველს საზოგადოებრივად საშიში ქმედებისა.

ქცევა არ შეიძლება იყოს კეთილი, თუ იგი გამოწვეულია უკეთური განზრახვებით. ვეიცხავთ რა ქმედებას, ამით ჩვენ ვეიცხავთ პიროვნებასაც, რომელმაც იგი ჩაიდინა, აგრეთვე მოტივებსა და მიზნებს, რომლებმაც განაპირობა ქმედების ჩადენა. მაგრამ, რა თქმა უნდა, გაუმართლებელი გამარტივება იქნებოდა, თუ ჩავთვლიდით, რომ ამგვარი განსაზღვრებებით ჩვენ მოვხსენით ყოველგვარი წინააღმდეგობრიობა. ცხოვრება ნებისმიერ განსაზღვრებებზე უფრო რთულია.

ნებისმიერი ტენდენცია სხვადასხვაგვარად ვლინდება იმის

მიხედვით, განიხილება იგი ზოგადთან, განსაკუთრებულთან თუ ცალკეულთან მიმართებაში. მორალი და სამართალი ერთხვევა რა ერთმანეთს თავიანთ მთავარ განსახლდერებაში, და გამოხატავს რა სახელმწიფოსა და სამართლის განვითარების ტენდენციას, ამასთან ერთად, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში შეიძლება ჰქონდეს თავისი სპეციფიკა, რომელიც განპირობებულია წინააღმდეგობრივობით მოტივის შეფასებასა და ამ მოტივით ჩადენილ ქმედებას შორის. ეს წინააღმდეგობრიობა, უპირველეს ყოვლისა, შეიძლება განპირობებულ იყოს კანონის არასრულყოფილობით, მაგალითად, რომ კანონი დაძველდა ან იმიტომ, რომ იგი დაფუძნებულია შემთხვევით გარემოებებზე და არ გამოხატავს საზოგადოების განვითარების დამახასიათებელ ტენდენციებს.

ამ საკითხის გადაწყვეტისას მხედველობაში უნდა მივიღოთ საზოგადოებრივი ურთიერთობების დინამიკური ხასიათიც. სოციალური ცხოვრება ხასიათდება ურთიერთობათა რთული სისტემით, რომელიც განუწყვეტლივ იცვლება, რის გამოც შეიძლება იცვლებოდეს მორალური და სამართლებრივი მოთხოვნების საზღვრებიც. ამასთან, საზოგადოებრივი შეგნება, რომელიც მორალური მოთხოვნების საფუძველს შეადგენს, არ არის ცალმხრივი, არამედ შეიცავს წინააღმდეგობრივ ტენდენციებს, რომლებიც გამოხატავს წინააღმდეგობებს ეკონომიკაში, ყოფა-ცხოვრებაში, ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულებაში. ყოველივე ამან არ შეიძლება დაღი არ დაასვას განზრახვების მიზნებისა და სხვა სუბიექტური თვისებების შეფასებას, აგრეთვე საზოგადოებრივად იმ საშიში ქმედებების შეფასებას, რომლებიც ჩადენილია ზემოთ აღნიშნულის საფუძველზე.

ქმედების ობიექტური და სუბიექტური თვისებების ერთიანობის პრინციპი – კრიმინალიგიური თვალსაზრისით კონკრეტული დანაშაულებრივი ქცევის ერთერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპია.

დანაშაულის ობიექტური და სუბიექტური თვისებების ერთიანობა გამოიხატება არა მხოლოდ მათი მორალურ-ეთი-

კური შინაარსის მსგავსებაში, არამედ კონკრეტულ ქმედებაში აღნიშნული ნიშნების გარეგან შესაბამისობაშიც. განსაკუთრებით დიდი არის მსგავსება მიზანსა (მოტივსა) და დანაშაულის ჩადენის ხერხს შორის.

ხერხი – ქმედების უმნიშვნელოვანესი თვისებაა. ქმედება ყოველთვის ინდივიდუალური და სპეციფიკურია და ამ სპეციფიკურობას მას ხერხი ანიჭებს. დანაშაულის ხერხი – ეს დამნაშავეის ქცევის ნიმუშია, რომელიც ხასიათდება ანტისაზოგადოებრივი მიზნების მისაღწევად მიმართულ ქმედებათა კომპლექსით და დაკავშირებულია სხვადასხვა მეთოდების, საშუალებებისა და პირობების გამოყენებასთან დანაშაულის ჩასადენად.

ხერხი ახდენს დანაშაულის ინდივიდუალიზაციას, ხაზს უსვამს მის სოციალურ არსს და საზოგადოებრივ საშიშროებას და, მაშასადამე, მას არ შეუძლია დიდი გავლენა იქონიოს დანაშაულზე და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაზე.

ხერხი, ისევე როგორც ზოგადად დანაშაულის ობიექტური მხარე, უშუალოდ არის დაკავშირებული დამნაშავეის პიროვნებასთან, აგრეთვე განზრახვებთან და მიზნებთან, რომლებითაც იგი ხელმძღვანელობდა დანაშაულის ჩადენისას.

ხერხის კავშირი დამნაშავეის პიროვნებასთან და დანაშაულის სუბიექტურ თვისებებთან, მისი განპირობებულობა ადამიანის ფსიკური მდგომარეობით და თვისებებით იმაზე არის დამყარებული, რომ ყოველი ქმედების საფუძველში დევს ნებელობითი აქტი. ნებელობითი აქტი – ეს არა უბრალოდ გარეგანი ქცევის შეგნებული აქტია, არამედ აქტი, რომელსაც ადამიანი თავისუფლად ირჩევს თავის შეგნების ფარგლებში და კონკრეტული გარემოების პირობებში. ადამიანს, როგორც ცნობილია, მოქმედება უხდება სხვადასხვა შესაძლებლობების პირობებში და ობიექტური სინამდვილის რთულ და წინააღმდეგობრივ გარემოებებში, რომლებიც, როგორც წესი, ქცევის რამდენიმე ვარიანტს უშვებს და იმისთვის, რომ არ შეცდეს, იგი ანგარიშს უნდა უწევდეს ამ პირობებს, ითვალისწინებდეს ობიექტურ კანონზომიერებებს და ყველა კონკრეტულ გარემოებებს,

რომლებშიც ხორციელდება ქმედება. და, მაშასადამე, ქმედების ხერხის შერჩევა შემთხვევითი არ არის. ხერხი ყოველთვის დეტერმინირებულია (განსაზღვრულია) იმ გარემოებათა სრული ერთობლიობით, რომლებიც ახასიათებს როგორც დანაშაულს, ისე მის ჩამდენ პიროვნებას.

ყველაზე დიდი გავლენა დანაშაულის ხერხის შერჩევაზე, ეჭვს გარეშეა, მიზანს აქვს. უკვე მიზნის დასახევაც კი, ყოველთვის დაკავშირებულია მის მისაღწევად საჭირო იარაღისა და საშუალებების განსაზღვრასთან. მიზანი იმდენად არის სასურველი, რამდენადაც იგი კონკრეტულია.

ყოველ მიზანს შეესაბამება ქმედების მისთვის დამახასიათებელი ხერხი. კრიმინოლოგიური კვლევები ადასტურებს, რომ მსგავსი ანტისაზოგადოებრივი მიზნები, ჩვეულებრივ, ქმედების მსგავსი ხერხებით სრულდება.

სპეციფიკური ნიშნები, რომლებიც დამახასიათებელია იმ მიზნისათვის, რომლის მიღწევასაც განიზრახავდა პიროვნება დანაშაულის ჩადენის ფაქტით, შეიძლება აღმოჩენილ იქნას იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც პიროვნება განზრახ შეირჩევს დანაშაულის ჩადენის ისეთ ხერხს, რომელიც ყველაზე ნაკლებად შეესაბამება მის განზრახვებსა და მიზნებს. მაშასადამე, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, მიზნისა და ხერხის ცნებებს შორის დამოკიდებულების დადგენა საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ საქმის ჭეშმარიტი არსი, ავავოთ დანაშაულის გამოძიების სწორი მეთოდიკა, განვსაზღვროთ მისი ობიექტური და სუბიექტური ნიშნები. პირუკუ შემთხვევაში, ამ დამოკიდებულების იგნორირება ართულებს დანაშაულის გამოძიებას მივეყვართ ჩადენილის არასწორ შეფასებასა და კვალიფიკაციაში.

კავშირი ქმედების მიზანსა და ხერხს შორის, ისევე, როგორც ზოგადად კავშირი ქმედებასა და პიროვნებას შორის, რა თქმა უნდა, არ უნდა მოიაზრებოდეს სწორხაზოვნად და ერთმნიშვნელოვნად. განზრახვების რეალიზაციის ხერხებში ერთმნიშვნელოვნება შეუთავსებელია ადამიანის ქცევის თავისუფლებასთან. გამოსახვის ფორმების თვალსაზრისით მიზანს

შეიძლება ჰქონდეს იმდენი მნიშვნელობა, რამდენის საშუალებასაც იძლევა გარემოებები, რომლებშიც იგი ხორციელდება.

ქმედება ყოველთვის განსაზღვრულ გარემოებაში სრულდება, კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციაში, მრავალრიცხოვან გარემოებათა ერთობლიობაში, რომლებიც არასოდეს არ არის ერთნაირი. ურთიერთშორის მათ შერწყმაში, აგრეთვე მათ თანაფარდობაში პიროვნების თავისებურებებსა და თვისებებთან ძალზე ბევრია შემთხვევითი, თვითმყობადი, განუმეორებელი. ამ გარემოებებს შეუძლია არსებითი გავლენა მოახდინოს პიროვნებაზე, მის ხასიათზე და ქმედების თავისებურებებზე. მათ შეუძლიათ დანაშაულის ჩადენის აღძრული განზრახვის გაძლიერება, მისთვის სხვა მიმართულების მიცემა, შეამცირონ ან გაადიდონ განზრახვის თავდაპირველი ძალა. აღნიშნული გარემოებები შესაძლებლობას იძლევა გამოინახოს დამატებითი სტიმულები, იარაღები და საშუალებები დანაშაულებრივი ქმედების გასაგრძელებლად, შეცვალოს განზრახვათა იერარქია და მოტივაციური სფეროს სტრუქტურა. ამასთან ერთად, ამ გარემოებათა ზემოქმედება ადამიანის ქმედებაზე ერთმნიშვნელოვანი არ არის.

ქმედების ვარიანტების შერჩევა და დანაშაულებრივი ქმედების ხერხების განსაზღვრა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული დამნაშავის პიროვნების ინდივიდუალურ თვისებებზე, კერძოდ, მის ფსიქოლოგიურ შესაძლებლობებზე, ფსიქიკური მდგომარეობის თავისებურებებზე და ინტერესებზე და ა.შ. „პიროვნების ინტელექტუალური, ნებელობითი და ემოციონალური თავისებურებების ანალიზი გვეხმარება განვსაზღვროთ მისი ფსიქიკური და ფიზიკური შესაძლებლობების ზომა, კერძოდ, შესაძლებლობა გაიაზროს და განსჭვრიტოს ესა თუ ის ფაქტები, უხელმძღვანელოს თავის ქმედებებს“.

ამ შემთხვევაში ბევრი რამ არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად კონკრეტული გარემოებები იქნა გააზრებული პიროვნების მიერ, რამდენად უწყვედა ის ანგარიშს ამ გარემოებებს, როდესაც მიიღო გადაწყვეტილება ჩაედინა მართლსაწინააღმდე-

გო ქმედება. მიზნის წარმოდგენა, ისევე როგორც საკუთარი ქმედებების გააზრება, ყოველთვის ინდივიდუალურია. რაც უფრო თავისუფალია ადამიანის მსჯელობა, მით უფრო ნაკლებია განსხვავება მის წარმოდგენებსა და სინამდვილეს შორის. რაც უფრო უკეთ ხედავს პიროვნება დანაშაულის ჩადენის გარემოებებს და ნათლად წარმოიდგენს წინააღმდეგობებს, რომლებსაც იგი შეიძლება შეეჯახოს მიზნის რეალიზაციის პროცესში, მით უფრო ვიწრო იქნება იმ გარემოებათა წრე, რომელთაც შეუძლია ზეგავლენა იქონიოს თავდაპირველ გადაწყვეტილებაზე და, შესაბამისად, ნაკლები იქნება განსხვავება თავდაპირველად განსაზღვრულ მიზანსა და დანაშაულის ჩადენის ხერხს შორის. ადამიანი, რომელიც სუსტად არის გათვითცნობიერებული თავდაპირველად მიღებული გადაწყვეტილების რეალიზაციის ნამდვილ პირობებში, ნაკლებად თავისუფალია იმაში, რომ მიჰყვეს თავის გადაწყვეტილებას.

ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე პიროვნების ისეთ თვისებებს, როგორიცაა ტემპერამენტის, ხასიათის და ნებისყოფის თავისებურებები, პროფესიული ჩვევები, ფსიქიკური პროცესების მიმდინარეობის თავისებურებები და სხვა ინდივიდუალური ნიშანთვისებები, რომლებიც პიროვნების სპეციფიკას განსაზღვრავს. ასე მაგალითად, პიროვნების ისეთმა თვისებებმა, როგორიცაა სისასტიკე, თავაშეებული ეგოიზმი, სხვა პიროვნებების ინტერესების უგულვებელყოფა შეიძლება კპოვოს ესა თუ ის ასახვა პიროვნების მიერ ჩადენილ, საზოგადოებრივად საშიში ქმედებების ხასიათში.

კრიმინოლოგიური კვლევის მასალები გვიჩვენებს, რომ განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილ მკვლელობებში დანაშავეთა შორის უმეტესობას შეადგენენ ის პირები, რომელთა ხასიათში გადამეტებული მნიშვნელობა აქვს ამ დანაშაულისათვის დამახასიათებელ ნიშნებს: თავაშეებულ ეგოიზმს, შურისმაძიებლობას და გაბოროტებას, საზოგადოებისადმი, სხვა პირებისადმი, ქცევის საყოველთაოდ მიღებული წესებისადმი აგდებულ დამოკიდებულებას. ამ დანაშაულებების 80%-ზე მეტში

მოტივაციას შეადგენს შურისძიების და ეჭვიანობის განზრახვა, რომლებშიც უფრო მკვეთრად არის გამოხატული პიროვნების ზემოთ ჩამოთვლილი უარყოფითი თვისებები და რომლებიც დაკავშირებულია მისწრაფებასთან, მიაყენოს რაც შეიძლება მეტი ზიანი დაზარალებულს, დასცინოს მას და ა.შ.

განხილული ფაქტორები დიდ მაკორექტირებელ ზეგავლენას ახდენს ქცევის ვარიანტების შერჩევაზე, დაღს ასევე ქმედების იმ ხასიათსა და თავისებურებებს, რომელთა საშუალებითაც სრულდება დანაშაული და ამასთან ერთად, ართულებს პიროვნების ქმედებებში ნამდვილი მიზნის მოძებნას. ეს გარემოება მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, როდესაც დამნაშავეის მიერ ჩადენილი ქმედების საფუძველზე უნდა გადავჭრათ საკითხი დანაშაულის მიზნის შინაარსის შესახებ.

პიროვნების ქცევის მიზანმიმართულობის დადგენისას აუცილებელია იმ გარემოებათა გათვალისწინებაც, რომლებიც თან ახლდა მართლსაწინააღმდეგო ქმედებას. აქ ყველაფერს მნიშვნელობა აქვს – მოქმედების ხერხს და იარაღის ხასიათს, რომლებიც გამოიყენა დამნაშავემ დანაშაულის ჩადენისას; დანაშაულის ჩადენის ადგილს და მიყენებული ზარალის სიმძიმეს; დამნაშავეის და დაზარალებულის ურთიერთობებს და დანაშაულის ჩადენის მოტივებს და ა.შ.

კონკრეტული დანაშაულებრივი ქცევის სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების ურთიერთკავშირის როლს არსებითი მნიშვნელობა აქვს თვით დანაშაულებრივი ქცევის, როგორც კონკრეტული მოვლენის არსის განსაზღვრისათვის. კრიმინოლოგიური თვალსაზრისით ამ პრობლემატიკასთან დაკავშირებულ საკითხთა წრე ძალზედ ფართოა, ჩვენ შევეცადეთ მოცემულ ნაშრომში განგვეხილა მხოლოდ ზოგიერთი მათგანი, რომლებიც თავისთავად, არ გამორიცხავენ სხვა საკითხთა აქტუალურობას.

